


მიხეილ ბელგაკოვი 
თსტატი და მარგარიტა



მიხაილ ბულგაკოვის რომანის „ოსტატი და მარგარიტას“ სიმბოლური გააზრებისათვის

მიხაილ ბულგაკოვის შემოქმედებაში, და არა მარტო მის შემოქმედებაში, არამედ XX საუკუნის რუსულ ლიტერატურაში, ერთ-ერთი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რომანს „ოსტატი და მარგარიტა“. ამ რომანის შესახებ მრავალი გამოკვლევა დაწერილა, ბევრი თქმულა მის მხატვრულ თუ ისტორიულ ღირებულებებზე, ავტორისა და რომანის თაობაზე მრავალი ზეპირი გადმოცემებიც არსებობს, მათ შესახებ ლაპარაკი ალბათ ძალიან შორს წაგვიყვანდა.

ოღონდ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც საერთოდ სახასიათოა თანამედროვე ბულგაკოლოგთათვის. რატომღაც ამ რომანის განხილვისას ლიტერატურათმცოდნეები გულდასმით ეძიებენ რომანში მოყვანილი ისტორიული ფაქტების და პერსონაჟების წყაროებთან იდენტირობას, დიდხანს კამათობენ, კერძოდ რომელი წყაროებით სარგებლობდა მ. ბულგაკოვი ამ რომანზე მუშაობისას, ვინ იყო ამა თუ იმ პერსონაჟის პროტოტიპი, მაგრამ იმ უმთავრესს კი ივიწყებენ, რომ წყაროები ყოველთვის წყაროებად რჩება და მხატვრული, კერძოდ, ლიტერატურული ნაწარმოების განხილვისას, უპირველესი და უმთავრესი მნიშვნელობა ენიჭება, თუ როგორ სტრუქტურულ მთლიანობაშია გააზრებული სწორედ ეს ისტორიული წყაროები და, აქედან გამომდინარე, რამდენად ახერხებს ავტორი საკუთარი თვალთახედვის გამოხატვას.

სტრუქტურულ-სიმბოლური თვალსაზრისით რომანს რთული არქიტექტონიკა გააჩნია, ამავე როლს ასრულებს სტილური მრავალფეროვნებაც, მაგრამ რადგან ეს ორივე საკითხი ძალზე მჭიდრო კავშირშია რომანის ძირითადი დედააზრის გაგებასა და გაცნობიერებასთან, ამის შესახებ ოდნავ მოგვიანებით ვისაუბრებთ.

თავდაპირველად კი გვინდა იმ საკითხზე გავამახვილოთ თქვენი ყურადღება, რომლის გარეშეც შეუძლებლად მიგვაჩნია რომანის მხატვრული ღირებულებისა თუ მისი სტრუქტურული არქიტექტონიკის აღქმა და ქვეტექსტების წვდომა. უპირველეს ყოვლისა, გგულისხმობთ, რომანში ესოდენ ჭარბად წარმოდგენილი სიმბოლური ქარგის ამოკითხვას.

რომანის სიმბოლური გააზრებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია ორი უმთავრესი საკითხი, შეიძლება ითქვას, სტრუქტურულ-აზრობრივი გასაღები, რომელსაც ყველა მომდევნო სიმბოლური კვანძი ექვემდებარება და მისგან გამომდინარეობს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. ბულგაკოვი სახარებისეულ ალუზიებს საკმაოდ თავისუფლად იყენებს. მისთვის მთავარია არა კანონიკური გააზრება საკითხისა, არამედ „ახალი აღთქმის“ სიუჟეტური ქარგის, კეთილისა და ბოროტის მარადიული ჭეშმარიტებების მეშვეობით საკუთარი თვალთახედვის, საკუთარი სათქმელის გამომწვეურება.

ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია გეოგრაფიულ სახელთა ორაზროვანება. ეს გახლავთ სწორედ რომანის სტრუქტურულ-აზრობრივი სიმბოლიკის პირველი გასაღები.

„მივიდნენ ადგილას, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, რაც ნიშნავს თხემის ადგილს“ (მათე, 27, 33), გვაუწყებს ახალი აღთქმა. სახარების რუსულ თარგმანში „თხემის მთა“ მოხსენიებულია,

როგორც „Лобное место“. „Лобное место – возвышенность, холм, место казни, видное со всех сторон. В этом значении переведено в Евангелие calvarium – темя“.

ქართული სახარება ამ ადგილს „თხემის მთად“ თარგმნის. მაგრამ „Лобное место“ და „თხემის მთაც“ მთის მოტიტვლებული ადგილია და ამიტომ, თითქოს კითხვაც აღარ გვიჩნდება, როცა მ. ბულგაკოვი ამ ადგილის სახელწოდების ოდნავ სახეცვლილ ვარიანტს გვთავაზობს – „Лысая гора“, ქართულად „ტაბაკელას^[1] მთას“. რუსულ ფოლკლორშიც „Лысая гора“ კუდიანთა სამყოფელს, კუდიანთა სერობის ადგილს აღნიშნავს.

სიტყვის ამ ორმაგი მნიშვნელობით ახერხებს მ. ბულგაკოვი თავისი უმთავრესი კონცეფციის – ქრისტეს ჯვარცმის ფიზიკური აქტის მნიშვნელობის გადმოცემას. ქრისტე ჯვარს აცვეს გოლგოთას მთაზე, მთაზე, რომელსაც ბულგაკოვი „Лысая гора-ს“ ანუ „ტაბაკელას მთას“ უწოდებს და სწორედ ამ პერიფრაზით მიგვანიშნებს, რომ მაშინაც, ქრისტეს ჯვარცმის დროს, სხვადასხვა მიზეზთა გამო იმძლავრა ბოროტებამ, რომელსაც საწყისი სატანური აქვს და აკი სატანაც (რომანში ვოლანდი) მეორედაც იქ ვლინდება, სადაც აღზევებულია ბოროტება.

ეს არის პირველი და უმთავრესი ქვეტექსტი რომანისა, პირველი დაშიფრული სიმბოლო, რომელსაც მ. ბულგაკოვი ერთი ცნების გაორებით – გოლგოთა – ტაბაკელას მთათი გადმოგვცემს.

ეს შეგნებული გაორება ცნებისა, მისი სხვადასხვა კუთხით წარმოჩენა, საფუძვლად უდევს რომანის მეორე, და შეიძლება ითქვას, უმთავრეს გასაღებსაც.

პირველად სატანა მოსკოვში, პატრიარქთა ტბორებთან განმარტოვებულ ორ ლიტერატორს გამოეცხადება და როცა მიხეილ ბერლიოზი და უსახლკარო საბუთებს მოსთხოვენ **უცნობს**, უსახლკაროს მისი გვარის პირველი ასო ამახსოვრდება, ორმაგი „ვ“ – „W“, შემდეგ უსახლკარო დიდხანს ვერ იხსენებს მის გვარს, იტანჯება და, თუმცა მოქმედების განვითარებასთან ერთად, მკითხველი უკვე შეიტყობს, რომ ეს უცნობი მაგი, საგასტროლოდ ჩამოსული უცხოელი მსახიობი – სხვა არავინაა, თუ არა ვოლანდი, სატანა – ივან უსახლკარო მის გვარს და ვინაობას მხოლოდ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში იგებს, მას შემდეგ, რაც მის ოთახში ჩაჩუხ „M“ ასოამოქარგული კვლავ ვიღაც **უცნობი** შეიპარება. ახლა ისღა გვრჩება ამ ორ ასოს დავაკვირდეთ და აღვნიშნოთ, რომ „W“ და „M“ გრაფიკული დაწერილობით ერთმანეთის სარკულ სიმეტრიას წარმოადგენს. აი, ეს სარკული სიმეტრიაა ის უმთავრესი საზომი, რომელსაც მთლიანად ემყარება რომანის არქოტექტონიკა და რომელიც რომანში „W“ – „M“ სიმბოლოთი არის მინიშნებული.

სარკული სიმეტრია

მ. ბულგაკოვის მკვლევარები ერთხმად აღნიშნავენ, რომ რომანში ჩართული სახარებისეული სიუჟეტის თავები, ოსტატის რომანის ციტირებული ნაწილები, არის „რომანი რომანში“. ეს ხომ თავისთავად ასეა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ჩართული რომანი მეტად დიდ როლს ასრულებს მთელი რომანის გააზრებაში. ამ ორი რომანის შეპირისპირებით მჟღავნდება რომანის ქვეტექსტი, რომლის პირდაპირ თქმაც საბჭოთა რუსეთისა და სტალინის ეპოქაში ვერ, ან არ ისურვა მწერალმა. თუ გულდასხმით დავაკვირდებით ამ ორ რომანს, ადვილი მისახვედრი გახდება, რომ ეს ჩართული ეპიზოდები სხვა არაფერია, თუ არა, რომანის ორი სიბრტყის, სხვადასხვა ისტორიულ მონაკვეთში გათამაშებული კოლიზიის სარკული ანარეკლი, რომლებშიც თითქმის იდენტურად გარდაიტეხება ეთიკური პრობლემები და ერთმანეთის პარალელური პერსონაჟები მოქმედებენ.

თავდაპირველად გვინდა აღვნიშნოთ, რომ ორივე რომანის – სახარებისეულისა და მოსკოვის – მოქმედების დრო ერთი და იგივეა. სახარებისეულ თავებში მოქმედება მიმდინარეობს „გაზაფხულის თვის ნისანის 14-ს“, იმ დღეს, როცა ჯვარს აცვეს იეშუა ჰა-ნოცრი. ნისანი ებრაული კალენდრის პირველი თვეა, აპრილის დასასრულსა და მაისის დასაწყისს და, რაც მთავარია, გაზაფხულის ბუნიობას ემთხვევა. მოსკოვური ეპიზოდებიც ზაფხულის ბუნიობის დროს მიმდინარეობს.

ეს რომანი ერთ სტრუქტურულ მთლიანობაში რომ აქვს ავტორს გააზრებული და ორივე ეპიზოდი ერთსა და იმავე პრინციპებს ექვემდებარება იმითიც მტკიცდება, რომ ორივე რომანი ერთი და იგივე წინადადებით მთავრდება: „და იუდეველთა მეხუთე, უმოწყალო პროკურატორი, მხედარი პონტოელი პილატე“.

მაგრამ მაინცადამაინც ეს ფრაზა რატომ იყო დამასრულებელი ოსტატის რომანისათვის და თვით ბულგაკოვიც სწორედ ამ ფრაზას რატომ მიიჩნევს უმნიშვნელოვანესად? ამ ბოლო ფრაზას, გარდა იმისა, რომ კრავს ორი რომანის არქიტექტონიკას, განსაკუთრებული აზრობრივი დატვირთვაც გააჩნია. ის მიგვანიშნებს რომანის დედააზრზე, რომელიც რამდენიმე ერთმანეთისგან გამომდინარე ცნებით შეიძლება გამოისახოს და რომელიც ნაწილობრივ არის კიდევ რომანის დაფარული ქვეტექსტი: **ურწმუნობა, როგორც ცოდვის დედა და მაშასადამე, შიშის სათავეც**. იმ შიშისა, რომლის შესახებაც ჯვარცმულმა იეშუამ თქვა: „ყველაზე დიდი ცოდვა შიშია“ და რომელსაც „Acta Pilati“ უკავშირდება.

მოვიყვანოთ კიდევ ერთ მაგალითს რომანის არქიტექტონიკის სარკული სიმეტრიის დასამტკიცებლად. იეშუას ჯვარცმის შემდეგ გასაოცარი უკუნი ისადაგურებს: „ხმელთაშუა ზღვიდან დაძრულმა უკუნმა ერთიანად გადაფარა პროკურატორის საძულველი ქალაქი. ანაზღად გაქრა თავკიდული ბალები, რომელის ტაძარს ანტონიუსის უძველეს კომპოზიციონს აერთებდა, ციდან წკვარამი დაეშვა და მთლიანად შთანთქა ჰიპოდრომზე დავანებული ფრთოსანი ღმერთები, ქარვასლა, ჩიხები, ტბორი... გაქრა ერშალაიმი – დიდებული ქალაქი, თითქოს არც არსებულა ამქვეყნად“. და მოსკოვში, როცა უკვე გადაწყდება ოსტატის სიკვდილი: „და ამ უკუნმა, დასავლეთიდან რომ მოაწყდა ქალაქს, ერთიანად გადაფარა ეს თვალგაუწვდენი ქალაქი. გაქრა ხიდები და სახლები, ყველაფერი გაქრა, თითქოს არც არსებულა ამქვეყნად“.

ამ ორი მონაკვეთის მსგავსება ექვს არ იწვევს. მეორე მონაკვეთში სტილი უფრო დაწეულია, ბევრად გაუბრალოებული, მაგრამ იესოს ჯვარცმის ალუზია იმდენად თვალნათლივი ხდება და იმდენად ხაზგასმულია ავტორისეული ჩანაფიქრი, რომ ეს განმეორება თავისთავად წარმოშობს ამ ორი რომანის შემაერთებელ სიმბოლურ კვანძს. ეს სიმბოლური კვანძი გახლავთ ის მარადიული საკითხი, რომელიც მსოფლიო ლიტერატურასა და ხელოვნებაში ღრმად არის დამუშავებული, მაგრამ დიდ დატვირთვას იძენს ამ რომანში – შემოქმედის, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდის საკითხი, მისი ღვთიური თუ სატანური საწყისი, მისი დამოკიდებულება სოციალურ დეტერმინიზმთან, რომელიც სახელმწიფოს სტრუქტურის სახით გვევლინება. რომანში ერთის მხრივ ვოლანდის – სატანური საწყისისა და მეორეს მხრივ – იეშუა ჰა-ნოცრის – ღვთიური საწყისის შორის არის მოქცეული და გააზრებული ოსტატის – ხელოვანისა და შემოქმედის სახე.

საერთოდ აღსანიშნავია, რომ მიხაილ ბულგაკოვი ხანდახან ზედმეტადაც კი ცდილობს ასეთი ალუზიური კვანძების შექმნას. ამის მაგალითი მრავლადაა რომანში და არც მკითხველს გაუჭირდება მათი დაძებნა. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მოვიყვანოთ: ცხენოსანთა ალა და ფეხოსანი ჯარი პილატე პონტოელის ეპიზოდებში და ერთთავად განმეორებადი

ცხენოსანი და ფეხოსანი მილიცია მოსკოვის ქუჩებში; მაღალი ვაზი ერშალაიმის ქუჩებში და იგივე ვაზი გრიბოედოვის ეზოში... და მრავალი, მრავალი სხვა.

რომანის მოქმედება სამ სიბრტყეზე იშლება. ეს სამი სიბრტყე პირობითად ალბათ შემდეგნაირად შეიძლება იყოს სახელდებული: ისტორიული (იეშუა, პილატე პონტოელი), რეალური (ოსტატი, მარგარიტა) და ირეალური (ვოლანდი). პირველი ორი – ისტორიული და რეალური – თითქმის არაფრით არ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, მათ შორის მხოლოდ სულ პატარა შემაერთებელი კვანძი არსებობს (ოსტატი, და ნაწილობრივ, ვოლანდიც, მთხრობელის სახით), მაგრამ თუ უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ შემთხვევით არც ოსტატი წერს რომანს იეშუა ჰა-ნოცრიზე და არც ვოლანდის გამოჩენაა შემთხვევითი, რამეთუ ყოველი სიმბოლური კვანძი და ჩანაფიქრი ან ისტორიული სიბრტყის პოზიციიდან იხსნება.

ისტორიული სიბრტყე რომანში პილატესა და იეშუას დიალოგით იწყება და პილატეს დახასიათებას მწერალი ძალზე კომპაქტური, მრავლისმეტყველი ერთი ფრაზით ახერხებს: „სისხლისფერქობიანი თეთრი მოსასხამით, დილაადრიან, გაზაფხულის თვის ნიშანის თოთხმეტს, დიდებული ჰეროდეს ორფრთიანი სასახლის გადახურულ სვეტოვანში, ცხენოსნის ფლატუნა ნაბიჯით შემოვიდა იუდეველთა პროკურატორი პონტოელი პილატე“. სწორედ ამ პირველი ფრაზით – სისხლისფერქობიანი თეთრი მოსასხამით – სისხლში მდგარი სიწმინდის სიმბოლოთი ხსნის მწერალი პილატე პონტოელის სახეს და ეგებ მთელი რომანის ქვეტექსტსაც. აღსანიშნავია, რომ პილატეს სახის სიმბოლიკაში მ. ბულგაკოვი არაერთხელ იყენებს დაღვრილი სისხლის სიმბოლოს. გავიხსენოთ, იეშუას ჯვარცმის შემდგომ, აივანზე მწოლარე პილატეს ფერხთით სისხლის გუბესავით რომ დგას გატეხილი დოქიდან გადმოღვრილი ღვინო და შიგ ორი ვარდი დაცურავს; იგივე ღვინის – სისხლის გუბე დგას პილატეს ფერხთით იმ კლდეზეც, მის სამუდამო სამყოფელში, მარგარიტასაც მეჯლისის წინ სისხლში ბანენ და ვარდის ნელსურნელებას აფრქვევენ.

იეშუასთან საუბარში ქრება პილატეს სიზვიადე, პროკურატორი თანდათან ხვდება, ვინ დგას მის წინაშე, მაგრამ იმასაც ხვდება, რა სირთულეთა გადატანა მოუწევს მის დასახსნელად. ამიტომ უყვირის განწირული: „როგორ გგონია, უბედურო, რომაელ პროკურატორს შესწევს ძალი, დაიხსნას კაცი, ვინც შენსავით ლაპარაკობს?“

შიშმა დიდებული კეისრის წინაშე, თანამდებობის დაკარგვის შიშმა აიძულა სასიკვდილო განაჩენი გამოეტანა, როგორც თვითონ ამბობს, „ამ კეთილი ფილოსოფოსისთვის“, მაგრამ ამ შიშის მიზეზს პილატე იქამდე ვერ აცნობიერებს, ვიდრე იეშუას ბოლო სიტყვებს არ აცნობებენ: „ამქვეყნად ყველაზე დიდი ცოდვა – შიშია“. და „ეგებ, უპირველესი ცოდვა“ – დასძენს თვითონ პილატე. სწორედ შიშია აქცია პილატე ბოროტმოქმედად და იგივე შიში დაპატრონებიათ რეალური სამყაროს გმირებსაც. ყოვლისმომცველი, ადამიანის ნებელობისა და მორალური კრიტერიუმების დამჩლუნგებელი შიში აიძულებთ მათ დააბეზღონ ერთმანეთი, გაანადგურონ, გასწირონ. იგივე შიში თანგავს ოსტატს მას შემდეგ, რაც რომანი დაასრულა და პირდაპირ შეეჯახა ლიტერატურულ სამყაროს. ოსტატის ერთადერთი გრძნობა მხოლოდ შიშია. შიში გასჯდომია მთელ სხეულში, კარზე დაკაკუნებაც კი აფრთხობს. და იმდენად არის ამ შიშით შეპყრობილი, რომ ფსიქიატრიულ კლინიკაში ყოფნა უფრო საიმედოდ ეჩვენება, იქ უფრო მშვიდად გრძნობს თავს. ასე, ერთი და იმავე მორალური კრიტერიუმით ერთდება ეს ორი სიბრტყე – ისტორიული (იეშუა, პილატე პონტოელი) და რეალური (ოსტატი) – შიში, რომელმაც აიძულა პილატე, სიკეთე (იეშუა) მოესპო, ოსტატს კი – გაენადგურებინა საკუთარი შემოქმედება. შიში, რომელიც ურწმუნოების ან მცირედმორწმუნოების შედეგია. გამომდინარე აქედან, ბუნებრივი ხდება, რომ ამ ორ სიბრტყეს – ისტორიულსა და რეალურს შიშისა და ურწმუნოების მთესველნი –

ვოლანდი და მისი ამაღლა აკავშირებს. ისტორიული და რეალური სამყაროს სარკულ სიმეტრიას – მესამე განზომილებას – ირეალური სამყარო ქმნის, რომელიც პირველი ორი სიბრტყის ერთგვარად ამობრუნებულ, დამახინჯებულ და წაბილწულ ფორმას წარმოადგენს და სწორედ ამ კუთხიდან, ამ მინუსური თვალთახედვიდან ხდება შესაძლებელი იმ შემზარავი ზემოქმედების გაცნობიერება, რომელსაც შიშის შემქმნელი ბადებენ ადამიანებში.

როდესაც რომანის არქიტექტონიკაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომანის სტილის თავისებურებებიც. სტილისტური განსხვავება ამ სამ სიბრტყეს შორის თვალში საცემია. თუკი რეალური სიბრტყის სცენები XX საუკუნის 30-იანი წლებისათვის დამახასიათებელი, შეიძლება ითქვას, ჟარგონითაც კი არის დაწერილი, ისტორიული სიბრტყის, მაშასადამე, სახარებისეულ თავებში ხაზგასმულად ამაღლებული ტონი იგრძნობა და თითქმის რიტმული პროზით არის დაწერილი. ირეალური სამყაროს გმირთა დიალოგი კი მთლიანად ბუფონადურ იერს ატარებს.

სიმბოლოთა პარალელები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რომანის არქიტექტონიკა სამი სიბრტყის სარკულ სიმეტრიაზე დაყრდნობით არის აგებული. შესაბამისად, რომანის ქვეტექსტის გააზრებისათვის ალბათ აუცილებელია გავიაზროთ ამ სამ სიბრტყეში მოქმედი პარალელური გმირებიც.

იქამდე კი, ჯერ ციფრ სამზე გვინდა შევაჩეროთ ჩვენი ყურადღება. რას მიგვანიშნებს ბულგაკოვი სამი სიბრტყის სარკული სიმეტრიით?

ციფრი 3 ყველა აღმოსავლურ რელიგიაში უდროობის, თავისთავად განმეორებადი ქმნადობის, მარადიულობის აღმნიშვნელია. ციფრი 3 – სამება მონაწილეობს არსებითად, დაბადების, ზრდის და განახლების ციკლში (თუნდაც: ბრამა, შივა, ვიშნუ), შემოქმედი ძალების – სამების ანარეკლი შეინიშნება ყველგან, სადაც დროის სვლა გაგებულა, როგორც განმეორებადი, ადრე არსებულის ხელახლა აღმოცენება. აღმოსავლურ რელიგიაში ყოველგვარი ზრდა ბორბლის სახით არის წარმოდგენილი და ამ ბორბლის ბრუნვას ახალი არაფერი მოაქვს, მეორდება ის, რაც ადრე იყო.

იგივე განმეორებად პრინციპზეა აგებული რომან „ოსტატისა და მარგარიტას“ ფაბულაც (აღსანიშნავია, რომ სამი სარკული სიბრტყის არსებობა თვით რომანშივეა მითითებული – გავისხენოთ მარგარიტას სამკარედიანი სარკე). თუ ამ სამ სიბრტყეში მოქმედ პერსონაჟებს დავაკვირდებით, ჩვენი აზრით, ისინი შემდეგი სახით შეიძლება დავაჯგუფოთ:

ისტორიული სიბრტყე **იეშუა** – რეალური **ოსტატი** – ირეალური **ვოლანდი**

1. ლევი მათე 1. მარგარიტა 1. კაროვიევ-ფაგოტი
 2. პილატე პონტოელი 2. მიხეილ ბერლიოზი 2. აზაზელო
 3. ვირთხათმძლე 3. ივან უსახლკარო 3. კატა ბეჰემოტი
 4. ნიზა 4. ანუშკა 4. გელლა
1. ვინც ჯვარს შეუდგა – სიყვარულისთვის თავის განწირვა;

2. მცოდნე, მაგრამ უარყოფელი;
3. ხელისუფლების ნების უფიქრელად აღმსრულებელი;
4. ბრმა იარაღი.

იეშუა. ოსტატი. ვოლანდი

უკვე აღვნიშნეთ, რომ მ. ბულგაკოვი რომანში სახარებისეულ მასალას უფრო ისტორიული თვალსაზრისით აშუქებს, ვიდრე რელიგიურით. ამ საკითხში უფრო ღრმად გასარკვევად, აუცილებელია, გავიხსენოთ, რომ მე-18, მე-19 საუკუნეებში ბიბლიოგრაფიაში განსაკუთრებით იმძლავრა ორმა მიმართულებამ: მითოლოგიურმა და ისტორიულმა. ისტორიული მიმდინარეობის მიმდევრები იესო ქრისტეს, ისტორიულ პირად მიიჩნევდნენ და რეალურად არსებულ ვინმე ნაზარეველი ქადაგის ცხოვრების მითოლოგიზაციით ხსნიდნენ სახარებას. ამ მიმართულებას სათავე დაუდო ჰეგელის შრომამ „ცხოვრება იესოსი“. შემდგომ ამ პერიოდშივე იქმნება ე. რენანის „იესოს ცხოვრება“ და დ. შტრაუსის „იესოს ცხოვრება“ (ამ ავტორს მ. ბულგაკოვი ახსენებს კიდევ ვოლანდისა და ბერლიოზის დიალოგში). ეს ავტორები მიზნად ისახავდნენ, სახარებიდან გამოეკვეთათ ისტორიული იესოს, როგორც ადამიანის სახე. მ. ბულგაკოვის საკმაოდ კარგად უნდა იცნობდეს დ. შტრაუსის ამ ნაწარმოებს და თვითონაც უნდა იზიარებდეს მის თვალთახედვას. ეს მოსაზრება თუნდაც იმითი მტკიცდება, რომ მ. ბულგაკოვი იესო ქრისტეს ებრაული საკუთარი სახელით – იეშუათი მოიხსენიებს და არა იესოდ. ამით თავიდანვე მხოლოდ ძე კაცისას სტატუსით შემოჰყავს რომანში და სრულიად უგულვებელყოფს მის ღვთიურ საწყისს. ამდენად, თავისთავად მოხსნილია ამ პერსონაჟის ღვთიურ-რელიგიური გააზრება, რაც რომანის სიუჟეტში მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომის მისტერიის უგულვებელყოფითაც დასტურდება.

ამ თვალთახედვით, იეშუა დიდი ძალების მატარებელი, მაგრამ რეალური ადამიანია და არა მაცხოვარი, აქედან იღებს სათავეს მ. ბულგაკოვის ფილოსოფიური მრწამსის გაორებაც და ვოლანდის ირეალური სამყაროს ლამის იდეალურად შერაცხვის ცდაც. რომანში მხსნელი ძალა ვოლანდია, კეთილი – იეშუა ჰა-ნოცრი კი უმოქმედო რჩება. და არავის, გარდა სიყვარულით განწმენდილი და რწმენაშეძენილი ლევი მათესი არ შესწევს უნარი მის საუფლოში მყოფობდეს.

რომანში იეშუას სახე-სიმბოლოს გააზრებისათვის ალბათ ის ფაქტიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მე-19 საუკუნის ევროპულ ლიტერატურაში იესო ქრისტეს სახე გაიზარება არა როგორც ღვთის განსხეულება ადამიანთა ცოდვების გამოსასყიდად, არამედ, როგორც ღვთიურობადაკარგული, ჩაგრული მოყვასისადმი სამსხვერპლო სიყვარულის მქადაგებელი იესო. რომანში ჩაგრული მოყვასისადმი სიყვარულით მსხვერპლის გაღების ცნებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება და მისი პირდაპირი განსახიერებები მარგარიტა და ლევი მათე არიან.

როგორც აღვნიშნეთ, მწერალს იესო ქრისტე მხოლოდ ადამიანის სტატუსით შემოჰყავს რომანში, ის იეშუა ჰა-ნოცრია. „კეთილი ფილოსოფოსი“, რომელიც სიკეთეს უქადაგებს ირგვლივმყოფთ და სწამს, რომ „ბოროტები არ არიან ამქვეყნად“. ისიც სწამს, რომ მოაწევს ჟამი, როცა აღარ იარსებებს ტირანია და დესპოტიზმი, როცა ადამიანი შეძლებს თავისი სულიერი სიწმინდის გამოვლენას. ჯერ კი სატანა ბატონობს, რადგან ადამიანები შიშით არიან გათანგულნი, რადგან შეუძლიათ დააბეზლონ და აწამონ ერთმანეთი, რადგან დავიწყებიათ, რომ „ხატნი არიან ღვთისა“, დავიწყებიათ თავიანთი ადამიანური სახე და

ზოგი ფულისთვის, ზოგი უგუნურებით, უმეტესობა კი შიშის გამო, ემორჩილება ძალადობას – ტირანას. აი, ამიტომ მძლავრობს რომანში ვოლანდი, ამიტომ არიან ის და მისი ხელქვეითი ყოვლისშემძლენი, რადგან შიში დაპატრონებიათ ადამიანებს, შიში, რომელსაც ტირანია წარმოშობს.

ტირანია და შიშია გაბატონებული იმ მოსკოვშიც, სადაც ოსტატი ცხოვრობს. იგივე შიში დაუფლებია მასაც, ხელოვანს – შემოქმედს – ოსტატს. და აქ ისევ მწვავედ დგება შემოქმედისა და ტირანიის, შემოქმედის ღვთიური და სატანური საწყისებისა და ამ საწყისებს შორის მისი არჩევანის საკითხი. ოსტატია სწორედ ის რგოლი, ვინც რომანში იეშუასა და ვოლანდის სიბრტყეებს ჰკრავს და ამ სიბრტყეების გათვალისწინებითა და მათგანვე გამომდინარე იკითხება, მისი როგორც შემოქმედის როლი, დანიშნულება და რაობაც.

იეშუას ეპიზოდები ოსტატის კალამს ეკუთვნის, მისი სულის კეთილი საწყისის ამოფრქვევაა სიკეთისა და ჰარმონიის მქადაგებელი ჰა-ნოცრი. ოსტატი შემოქმედია – ღვთის იერსახე ფიზიკურ სიბრტყეში – და ამდენად, არჩევანის მეტი უნარი გააჩნია, ვიდრე ჩვეულებრივ მიკვდავთათვის არის შესაძლებელი. მაგრამ არჩევანის გაკეთება მხოლოდ თავისუფალი ნების, სულიერად თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ, ოსტატი კი ტირანიის, შიშის მეუფებაში მყოფობს და ამდენად, არჩევანი მისთვის შეუძლებელია. ის უბრალოდ ნებდება შიშს. და თუკი „კეთილი ფილოსოფოსი“ იეშუა ჰა-ნოცრი რწმენისთვის ჯვარცმაზე მიდის, გარე სამყაროს მარწუნებში მოქცეული, შიშით გათანგული ოსტატი თავის რწმენას, საკუთარ რომანს წვავს, და რამდენად გასაოცარადაც უნდა ჩანდეს, მხსნელად ბოროტი შემოქმედი – ვოლანდი ევლინება, რადგან თვით ბოროტების მეუფეც კი გულმოწყალე ჩანს იმ საშინელებასთან შედარებით, რაც იმჟამინდელ მოსკოვში გამეფებულა. ვოლანდი მიუჩენს მას საუკუნო საყუდელს იქ, სადაც ადრე იმავე ცოდვით დალდასმული პონტოელი პილატე განისვენებდა, რადგან ოსტატს ჯერ არ დაუმსახურებია ნათელში ყოფნა, მას მხოლოდ მარადიული სიმშვიდე ებოძა. ამ არჩევანზე, ტირანიის წინააღმდეგ უმოქმედობისა და შიშის სატანურ საწყისზე ის გარემოებაც მიგვანიშნებს, რომ სიმბოლოთა წყვილში ოსტატის სახელი ვოლანდის სახელის სარკული სიმეტრიად არის გამოსახული.

აღსანიშნავია ის ძალზე მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ავტორი ვოლანდს – „წყვდიადის მეუფეს“ ერთ-ერთ ყველაზე რეალურ და ეგებ, ყველაზე სიმპათიურ არსებადაც კი გვიხატავს. და რაკი ზემოთ შემოქმედის არჩევანზე გვქონდა ლაპარაკი (სხვათა შორის მ. ბულგაკოვის მკვლევართა უმეტესობა ოსტატს ავტორის პროტოტიპად აღიქვამს) ალბათ ნაკლებმნიშვნელოვანი არც ის გარემოება იქნება, რომ ბულგაკოვი თავადაც არჩევანის წინაშე დგას და იეშუა ჰა-ნოცრის კი არა, სწორედ ვოლანდს ასახიერებს ერთადერთ რეალურ ძალად, რომელსაც უნარი შესწევს დათრგუნოს მოძალებული ბოროტება. მასში ხედავს მხსნელს და სიკეთის მთესველს. ამ მოსაზრების დასამოწმებლად, გვინდა რომანის ეპიგრაფი გავიხსენოთ, რომელსაც მ. ბულგაკოვი საკმაოდ პერიფრაზირებული სახით აწვდის მკითხველს: „Я часть той силы, что вечно хочет зла и вечно совершает благо“. „ფაუსტის“ რუსულ თრგმანში ეს ფრაზა შემდეგნაირად ჟღერს: „Творить добро, всему желая зла“ (თარგმანი ბ. პასტერნაკისა). ამ ორ კონცეფციას შორის საკმაოდ დიდი განსხვავებაა. მ. ბულგაკოვის პერიფრაზიდან გამომდინარე, ვოლანდი რომანში ის ძალაა, რომელსაც ბოროტება სწადია, მაგრამ მაინც „სიკეთეს იქმს“, ხოლო გოეთესეული გააზრებით – ბოროტი ძალა, რომელსაც მოჩვენებითი სიკეთე მოაქვს ადამიანთათვის, მოჩვენებითი სიკეთე კი მხოლოდ და მხოლოდ ბოროტებაა, ადამიანის არასულიერში შთანთქმა, მიწიერ (არიმანულ) ან ირეალურ (ლუციფერულ) სამყაროში მისი დაკავება და სულიერი ნათელისგან – ღმერთისგან განდგომა.

აი, ამ პერიფრაზირებული ეპილოგიდან არის გააზრებული რომანში ვოლანდის სახე.

ვოლანდი – სატანა ის ძალაა, რომელიც უფლობს შიშით მოცულ ადამიანებში, იმ ადამიანებში, ვისაც დავიწყებია მაღალ-მორალური კრიტერიუმები და შიშს დამორჩილებილნი, ერთგვაროვან, უფერულ ყოფაში გათქვეფილან. მარადიული სიკეთე, ის, რასაც ქადაგებს იეშუა ჰა-ნოცრი, მიუღწეველია ამ ერთფეროვანი ყოფიდან. აი, რას წერდა მერეჟკოვსკი გოგოლის შემოქმედების განხილვისას: „Зло видимо всем в великих нарушениях нравственного закона, в редких и в необычайных злодействах, в потрясающих развязках трагедии. Гоголь первый увидел чёрта без маски, увидел подлинное лицо его, страшное не своей необычайностью, а обыкновенностью, пошлостью, первый понял, что чёрт есть не далёкое, чужое, странное, фантастическое, а самое близкое, знакомое, вообще реальное, „человеческое, слишком человеческое“ лицо, лицо толпы, лицо „как у всех“, почти наше собственное лицо в те минуты, когда мы не смеем быть самим сабою, а соглашаемся быть „как все“.

ეს რუხი ერთფეროვნება წარმოშობს ბოროტებას (სხვათა შორის, რომანში უმეტესად რუხი ფერი გვხვდება. პილატე პონტოელისა და ჰა-ნოცრის გარდა, რეალური და ირეალური სამყაროს გმირებს ყველას ნაცრისფერი – ფერფლისა და ერთფეროვნების ფერი ტანსაცმელი აცვია).

აქ კიდევ ერთ საკითხზე გვსურს გავამახვილოთ თქვენი ყურადღება. ცნობილია, რომ ბოროტება, როგორც სუბსტანცია არ არსებობს. სატანა ღვთის ბოროტი იერსახე კი არ არის, ან მისი ბნელი ნაწილი („Бог есть свет и нет в ней никакой тьмы“), არამედ მის მიერვე შექმნილი ანგელოზი, რომელიც ღმერთს აუჯანყდა, ციდან იქნა გამოძევებული და მიწაზე ჩამოსროლილი. ამიტომ ასრტრალური იერარქიით მის სიბრტყეზე მთავარანგელოზი მიქაელი დგას და არა ღმერთი.

ემანაციის პრინციპით, ბოროტება იქ მძლავრობს, სადაც ნაკლებია სიკეთე (არეოპაგელი). და იმ სამყაროში, სადაც რომანის მოქმედება მიმდინარეობს, კრიტერიუმებარეულ, ტირანიისა და შიშის სამყაროში ვოლანდი-სატანა – ყოვლისშემძლეა. იგია მბრძანებელი ამ შიშით გათანგულ სულთა და თვით ამ ერთფეროვნებისგან გამორჩეულ ადამიანთა – ოსტატისა და პილატე პონტოელის სულთა მეუფეც, რადგან ისინი, მიუხედავად თავიანთი გამორჩეულობისა, შიშით არიან დალდასმულნი, მაშასადამე, მცირედმორწმუნენიც და ამდენად, ჯერ ვერ ახერხებენ იეშუას მთვარის ბილიკზე შედგან ფეხი. მათ ეს ჯერ არ დაუმსახურებიათ, მათ მხოლოდ მარადიული სიმშვიდე ებოძათ.

ღვთიურ ნათელს, ჭეშმარიტებას გარიდებულ ადამიანთა მახასიათებელ ნიშნად ბულგაკოვი „უდაბნოს“ ცნებას იყენებს. მარადიული უდაბნოს შეგრძნება აქვს პილატე პონტოელს; უდაბნო ჩადგომია თვალეში ოსტატს.

ეს ცნება ამ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვნად გვესახება. „უდაბნო“ ხომ ბიბლიურ-სახარებისეული გაგებით ის ადგილია, სადაც განიწმინდება სული და ახალი საფეხურისთვის ემზადება. გავიხსენოთ მოსეს მიერ ებრაელთა გაყვანა უდაბნოში, იოანე ნათლისმცემლისა და ქრისტეს ყოფნა უდაბნოში.

მაგრამ პილატე პონტოელი და ოსტატი ჯერ მხოლოდ ემზადებიან უდაბნოსათვის. მათ ჯერ გასავლელი აქვთ განწმენდა, მანამდე კი უკუნში მყოფობენ, რადგან უკუნი ბატონობს ყველგან – ბატონობს სატანა. ბნელის, ჩრდილის არსებობას ვოლანდი აკი ლოგიკურადაც ასაბუთებს: „Не будешь ли ты так добр, – еубნება ლევი მათეს, – подумать над вопросом: что бы

делало твоё добро, если бы не существовало зла, и как бы выглядела земля, если бы с неё исчезли тени? Ведь тени получаются от предметов и людей“.

დიახ, ჩრდილს, ბნელს ადამიანები ქმნიან თავიანთი ურწმუნობით, სიკეთისგან განდგომით, მცირედმორწმუნობით, შიშით, მორჩილებით, ნებით თუ უნებლიედ ბოროტისათვის ხელის შეწყობით.

რომანში გასაოცარი ძალით იგრძნობა ეს ჩრდილი, უკვე ქცეული უკუნად. ყველაფერს უკუნი და წყვილი ფარავს, სრავს და აქრობს უზარმაზარ ქალაქებს, თითქოს „არც არსებულან ამქვეყნად“, ყოვლისმომცველი ჯოჯოხეთური ცეცხლი ანადგურებს უზარმაზარ სასახლებს, ელვა (სატანის ნიშანი) სერავს ცას. აქ სატანა ბატონობს და ამდენად, არც არის გასაკვირი, რომ სატანის საუფლოში შეცვლილია ყველა კრიტერიუმი და სახარებისეული თეზისი: „ითხოვდეთ და მოგეცემათ“, ნაცვლად, რომანში ანტითეზას ვკითხულობთ: „არასოდეს არაფერი ითხოვოთ“. ქედმაღლობა – მორჩილების ნაცვლად, შიში – რწმენის, უკუნი კი ნათელის ნაცვლად, აი, ის, რასაც ქადაგებს ვოლანდი – სატანა. იგი ძალმოსილია და ყოვლისშემძლე, ვიდრე რწმენის ნაცვლად შიში გამეფებულა. მაგრამ იმ დროს, როცა მარადიულ სიმშვიდეგამოვლილი, ცოდვისაგან განწმენდილი და რწმენაშეძენილი პილატე პონტოელი იეშუა ჰა-ნოცრის მთვარის ბილიკზე შედგამს ფეხს, სატანა უკვე უძღლურია. იქ მხოლოდ შემოქმედს – ოსტატს შეუძლია ცოდვათა მიტევება და მარადიული ნათლის გზაზე დაყენება. იგივე გზის გავლა ელის თავად ოსტატსაც, აკი მასაც იმავე ადგილას, მარადიულ სიმშვიდეში მიუჩინეს საყუდელი, რათა შემდეგ, განწმენდილი დაადგეს ნათლის ბილიკს.

ალბათ ამიტომ, რომ ასეთი იმედით შესცქერის მთვარეს მიწაზე დარჩენილი ივან უსახლკარო, რომელიც ოსტატთან შეხვედრის შემდეგ აცნობიერებს სულიერ სამყაროს და ისიც თავისი „არასულიერი“ საზარზეიმო ლექსებიდან განწმენდილი, „განკურნებული“ მის მოწაფედ რჩება მიწაზე. მან უნდა გააგრძელოს ოსტატის მიერ დაწყებული რომანი.

და მაინც, ვინ არის ვოლანდი? რომელ სატანურ ძალას ასახიერებს მ. ბულგაკოვი ვოლანდის სახეში? თანამედროვე ბულგაკოლოგები უმეტესწილად ვოლანდს მეფისტოფელად აღიქვამენ. მეფისტოფელისა და ვოლანდის მსგავსებაზე რომანში ძალზე ბევრი მინიშნებაა, თუნდაც გარეგნობა, პუდელისბუნკიანი ჯოხი, მაგრამ „ფაუსტში“ მეფისტოფელი ლუციფერისა და არიმანის გაერთიანებული სახეა. მ. ბულგაკოვთან კი სატანისტური ძალების იერარქიული დაყოფა შეინიშნება.

ჩვენ მაინც უმთავრესად ის მინიშნება მიგვაჩნია, რასაც თვით რომანი გვკარნახობს. რომანში ვოლანდის ძიების დროს დაკითხული მოქალაქეები „უცნობის“ სიკოჭლეს აღნიშნავენ და მოგვიანებითაც, სატანის მეჯლისის წინ, გელლა მტკივან მუხლს უზელს ვოლანდს. ქრისტიანული ტრადიციით სატანის ერთ-ერთი იერსახე – ლუციფერია – ის დაცემული ანგელოზი, ამაყი და უღონო მიმბაძველი ღვთიური ნათლისა, რომელიც ციდან იქნა გამოძევებული და მიწაზე დაცემისას, მიხლი დაიზიანა. ლუციფერია, აგრეთვე, ის მისტიური ძალა, რომელიც ადამიანს ყალბი, ოცნებისეული სამყაროსკენ იტაცებს, ამით აკარგვინებს ყოფიერების რეალურ აღქმას და განაშორებს უმთავრეს მიზანს – ღვთიური ნათლის წვდომის საშუალებას უზნობს. აი, ამ მონაცემების მიხედვით, ვფიქრობთ, ამ რომანში რომ ვოლანდი – ლუციფერია. ამ მოსაზრებას დაგვიდასტურებს, აგრეთვე, სატანური იერარარქიის ის თანამიმდევრობაც, რომელსაც მ. ბულგაკოვი ვოლანდის ამაღლის სიმბოლიკაში ასახიერებს. მაგრამ მათ შესახებ დაწვრილებით ცალკე თავში გვექნება საუბარი, ამჯერად მხოლოდ ის გვინდა აღვნიშნოთ, რომ მ. ბულგაკოვი ვოლანდის ამაღლაში ყველა დემონურ სახეს წარმოაჩენს და ამ ამაღლას ერთ მთლიანობაში იაზრებს. ეს ერთიანი მთლიანობაა და ამ სიბრტყეში მონაწილე ყველა ფიგურას თავის როლი და დანიშნულება

აქვს მინიჭებული. არც ერთი მოქმედი პირის, იქნება ეს კაროვიევ-ფაგოტი, აზაზელო თუ კატა ბეჰემოტი, სახელი შემთხვევითად არ შეიძლება ჩაითვალოს. ყველა მათგანს თავისი სიმბოლოური მნიშვნელობა აქვს მინიჭებული და თავისებურად საცნაურს ხდის და კრავს რომანის სტრუქტურულ ქარგას.

სოცარულითვის მსხვერპლის გაღება. მარგარიტა – ლევი მათე

სარკული სიმეტრიის სიმბოლოთა წრეში მეორე პარალელს მარგარიტა და ლევი მათე ქმნიან. ეს ორი, ერთმანეთთან სიუჟეტურად დაუკავშირებელი პერსონაჟი ერთსა და იმავე როლს ასრულებს რომანის სიუჟეტში და ერთი და იმავე იდეის მატარებლები არიან.

მარგარიტას სახის გააზრებისთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მარგარიტას სახელიც ასო M-ით იწყება და ამით ერთგვარად ოსტატის, შემოქმედის საწყისის იდენტური ხდება. ვინ არის მარგარიტა? ქალი, რომელსაც არაფერი აკლდა, ჰყავდა შესანიშნავი ქმარი, ცხოვრობდა შესანიშნავ სახლში, ბევრი ფული ჰქონდა და, როგორც ავტორი ამბობს: „მრავალი ქალი ალბათ ყველაფერს გაიღებდა იმისათვის, რომ მარგარიტა ნიკოლაევნას მდგომარეობისთვის მიეღწია“, და მაინც უბედური იყო. რას დაეძებდა ეს ქალი, აუტანელი ყვითელი ყვავილებით ხელში რომ გამოვიდა იმ დღეს სასიეროდ? სიყვარულს. რადგან მისი კეთილმოწყობილი ცხოვრება სწორედ ეს ყვითელი ყვავილები – მარტოობა და უსიყვარულობა იყო, რომელიც ოსტატთან შეხვედრისთანავე დაუნანებლად მოისროლა არხში. ოსტატიც ხომ ასევე ახასიათებს მარგარიტას: „მე მხოლოდ მისმა სილამაზემ კი არ გამაოცა, არამედ მის თვალებში ჩაღვრილმა უჩვეულო, აქამდე უნახავმა მარტოობამ!“

უსიყვარულობა, მარტოობა კლავდა მარგარიტა ნიკოლაევნას და მზად იყო თავიც კი მოეწამლა, ოღონდ კი დასრულებულიყო ეს უაზრო არსებობა. მაგრამ „წინ სიყვარული გადაგვეღობა, როგორც მოულოდნელად, მოსახვევში, მიწიდან ამოდკრება ხოლმე მკვლეელი და ორივე განგვირია!“ და მარგარიტა ოსტატის იდუმალი მეუღლე გახდა.

აუცილებლად ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ მარგარიტა ოსტატის „საყვარელი“ კი არ არის, ამ სიტყვის ბანალური, ცხოვრებისეული გაგებით, არამედ მისი „იდუმალი მეუღლეა“, რადგან მარგარიტაა ის ჭეშმარიტად მარად ქალური საწყისი, რომელიც არის მბადი და მშობელი ღვთიური სიყვარულისა.

პლატონისათვის სიყვარული სიბრძნის წინაპირობაა. თუკი სიბრძნე მარადიური ლოგოსი – ღვთის ძეა, სიყვარული – მისი მშობელია. ის მრავალფეროვნება, საგანთა ის სიმრავლე, რომელშიც გაიბნა ღვთიური ერთიანობა, სწორედ სიყვარულის მეშვეობით ილტვის ისევ ერთიანობისა და ჰარმონიისკენ.

ამ მარად ქალური საწყისის – სიყვარულის მატარებელი და შემოქმედია მარგარიტა.

ლევი მათეს მსგავსად, ის ერთადერთი პერსონაჟია რომანში, ვის სულშიც ანთია „კეთილი ფილოსოფოსის“ იეშუა ჰა-ნოცრის სიყვარული და გულმოწყალება. ერთადერთი პერსონაჟია, ვისაც ცოდვის ცნება აქვს გაცნობიერებული („ვალარებ, ვცრუობდი და ვიტყუებოდი, ხალხისაგან დაფარული იდუმალი ცხოვრებით ვცხოვრობდი, მაგრამ განა ამისთვის შეიძლება ასე მკაცრად დასჯა?“), ვისაც სწამს („მე მწამს!. . მე მწამს!. . რაღაც უნდა მოხდეს!“).

მას სწამს სიყვარულის ძალმოსილების და ეს რწმენა ანიჭებს ძალას დასძლიოს ყოველდღიურობა, ერთფეროვნება, გამეფებული ბოროტება და შიში. ამ რწმენისა და

სიყვარულის გადასარჩენად, მარგარიტა თანახმაა „სული მიჰყიდოს ეშმაკს“, ვოლანდის წვეულებაზე მივიდეს და მისი ნება აღასრულოს. მარგარიტა თავისი შინაგანი ძალით, რწმენითა და გულმოდრინებით (ფრიდას ეპიზოდი) თვით ვოლანდის პატივისცემასაც კი იმსახურებს, რადგან იმ ძალის წინაშე, რასაც ჭეშმარიტი სიყვარული და თავგანწირვა ჰქვია, ვოლანდი უძლურია.

და თუკი ნაწარმოების მოქმედ გმირთა, შიშით გათანგულ არსებათა უმეტესობის დამახასიათებელი ნიშანი სწორედ მცირედმორწმუნეობა და უსიყვარულობაა (პილატე პონტოელს მხოლოდ ძალი ბანგა უყვარს), მარგარიტას უმთავრესი მახასიათებელი სიყვარული და გულმოდრინებაა. ეს ის ცნებებია, რომელსაც „კეთილი ფილოსოფოსი“ იეშუა ქადაგებდა და რომელსაც უკვე ცოდვაშეცნობილი პილატე ითხოვს ლევი მათესაგან: „შენ, ვიცი, იეშუას მოწაფედ თვლი თავს, მაგრამ ერთს გეტყვი: ვერაფერი შეგითვისებია იქიდან, რაც მან გასწავლა, რადგან სხვაგვარად, აუცილებლად მიიღებდი ჩემგან რაიმეს. არ დაგავიწყდეს, მან ხომ სიკვდილის წინ თქვა, რომ არავის ადანაშაულებდა... თვითონ აუცილებლად აიღებდა რაღაცას. შენ უღმობელი ხარ, ის კი უღმობელი არ იყო“.

სიყვარული და თავგანწირვა, რწმენა და გულმოდრინება – აი, ის უმთავრესი, რაც უშიშარს ხდის მარგარიტას. მას სწამს, რომ შეძლებს ოსტატის დახსნას და თუკი ერთხელ დაიგვიანა („ჰო, მე დავბრუნდი, როგორც უბედური ლევი მათე, მაგრამ ძალზე გვიან!“), თავგანწირვის ფასად, მაგრამ ბოლოს მაინც შეძლო შიშის და ტირანის მარწუნებიდან დაეხსნა ოსტატი.

მარგარიტასა და ლევი მათეს პარალელი, სხვა პარალელებისაგან განსხვავებით, ძალზე თვალში საცემია, რომანის სტრუქტურულ წყობას თუ დავუკვირდებით, ცხადად დავინახავთ, რომ მარგარიტასა და ლევი მათეს თავები ერთმანეთს მოჰყვება და თვით მარგარიტაც არაერთხელ აიგივებს თავს ლევი მათესთან.

ლევი მათეც თავგანწირული, ერთგული სიყვარულის სიმბოლოა, ისიც მარგარიტას დარად, ადვილად თმობს ამქვეყნიურ სიკეთეს („ფული მიწაზე მიმოაბნია“) და იეშუას მიჰყვება, ისიც მზად არის ცოდვა დაიდოს – თუნდაც მოკლას იეშუა, ოღონდ კი იხსნას იმ საშინელი სატანჯველისგან.

„მომყევი მკითხველო! ვინ დაგაჯერათ, თითქოს ამქვეყნად ჭეშმარიტი, ერთგული და მარადიული სიყვარული არ არსებობდეს?“ გვეკითხება ავტორი და მართლაც, მარგარიტასა და ლევი მათეს მარადიული, თავგანწირული სიყვარულის წყალობით, სიყვარულის ნათელი და რწმენა იჭრება რომანში აღწერილ წყვილიდან მოცულ, სატანადაპატრონებულ სამყაროში. რადგან სიყვარულია ის ერთადერთი კრიტერიუმი, რომელსაც ძალუძს იხსნას შიშით დალდასმული ადამიანები და მარადიული სიკეთისაკენ – ღვთიური ნათლისკენ უჩვენოს მათ გზა.

და თუკი სატანურს ადამიანთა ჩრდილოვანი მხარე, მათი ურწმუნობა წარმოშობს, მარგარიტა და ლევი მათე არიან ის პერსონაჟები, რომელთაგან ნაწილობრივ, მაგრამ მაინც განიფინება სიკეთის ძალა.

ნაწილობრივ იმიტომ, რომ თავად სიკეთე, იეშუა ჰა-ნოცრიც კი უძლურია იმ ტოტალური ბოროტების წინაშე, რაც რომანში აღწერილ სამყაროში სუფევს, და ამდენად, მარგარიტა და ლევი მათეც, ფიზიკურ სიბრტყეზე უძლურნი არიან წინ აღუდგნენ ბოროტებას. მარგარიტა თავისი სიყვარულის გადასარჩენად ჯოჯოხეთში ჩადის (თავისთავად ჩნდება ასოციაცია ორფევსსა და ევრიდიკესთან), სისხლში განიბანება და კუდიანთა სერობას ესწრება, რათა იხსნას ოსტატი და იმ მარადიული სიმშვიდისკენ უწინამძღვროს, რომელიც მას ერგო. ამ

მისიას მარგარიტა ასრულებს, მარადიული ქალურობის, სიყვარულის განსახიერება. სიყვარული ხომ შემეცნების გზაა ღმერთისკენ (პლატონი). ამიტომ ინაწილებს იმის ხვედრს, ვინც უყვარს, რათა შემდეგ, შიშის ცოდვისაგან თავდახსნილი და სიყვარულის გზაზე შემდგარი ოსტატი იეშუას მთვარის ბილიკამდე აამაღლოს.

კაროვიევ-ფაგოტი, აზაზელო, კატა ბეჰემოტი

რომანის სიმბოლური გააზრებისთვის ერთ-ერთი უმთავრესი როლი ვოლანდის ამაღლას ენიჭება. სწორედ მათი თვალთახედვიდან ხდება შესაძლებელი იმ მორალური კრიტიკიუნების განსაზღვრა, რომელსაც შიში და ტირანია წარმოშობს ადამიანში.

ვოლანდზე საუბრისას ჩვენ უკვე ვთქვით, რომ, თუმცა როგორც ლიტერატურული გმირი ვოლანდი ერთობ ჩამოჰგავს მეფისტოფელს მაგრამ თუ მეფისტოფელი ფაუსტში სატანის ერთიანი სახეა, რომელიც ისტორიულ და რელიგიურ მიზეზთა გამო აერთიანებს ლუციფერულ და არიმანულ საწყისს, მ. ბულგაკოვის „ოსტატსა და მარგარიტაში“ ვოლანდი მხოლოდ ლუციფერია. ამას გვიმოწმებს მისი სიკოჭლეც.

ცხადია ვოლანდის ამაღლასაც თავისი სატანური იერარქიული მნიშვნელობა უნდა გააჩნდეს.

მ. ბულგაკოვი გასაოცარი გულმოდგინებით ეძიებს და არქმევს სახელებს რომანის მოქმედ გმირებს, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ, თითქოსდა უმნიშვნელო ბგერით პარალელებზე, როგორცაა რომაელთა (რუსულად Римский) პროკურატორი და ფინდირექტორი რიმსკი, სამძებრო დაწესებულებების ძალღი ტუზბუბენი (იმ ხანად, პოლიტპატიმრებს ხალათზე აგურის ტუზის მსგავსი ნიშანი ჰქონდათ) და ა. შ. მაგრამ სახელთა სიმბოლიკა სწორედ ვოლანდის ამაღლაში იძენს უდიდეს მნიშვნელობას.

ვინ არიან ეს პერსონაჟები და რომელ ბოროტ ძალას განასახიერებენ?

1. **კაროვიევ-ფაგოტი, იისფერი რაინდი** – Корова (ძროხა) სლავურ მითოლოგიაში სამსხვერპლო ცხოველი, მუქიისფერი მოსასხამი – ფერთა სიმბოლიკაში იისფერი, თავგანწირვის, მსხვერპლის ფერია, ფაგოტი – მრუდე, გამრუდებული.
2. **აზაზელო** – ბულგაკოვისეული განმარტებით: უდაბნოს დემონი, დემონი მკვლელი. იუდაისტურ მითოლოგიაში (აზა-ელ) ქალთა მაცდუნებელი. ფერუმარილისა და ქალთა საიდუმლოთა მცოდნე.
3. **კატა ბეჰემოტი** – ევროპული ტრადიციით სატანის ამაღლის წევრი. ინდურ მითოლოგიაში სიცოცხლის ქალღმერთის – ბუბასტისის სიმბოლო. ბეჰემოტი – ეგვიპტური მისტიური ტრადიციით – სატანის ერთ-ერთი სიმბოლური გამოსახულებაა. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ კატა, თავისთავად თავგთა და ვირთხათა მძლეველია (პილატეს თავებში – კენტურიონი ვირთხათმძლე).

შიშით გათანგულ, ნებელობადაკარგულ სამყაროს ორი სატანური საწყისი – ლუციფერი და არიმანი და მათი თანმხლები ამაღლა ეპატრობება. კეთილი ძალა – იეშუა ჰა-ნოცრი უძლურია და უმოქმედო. რომანისეულ ამ სამყაროში ბოროტება მძლავრობს. ოღონდ აქ კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი, რომ იეშუა ჰა-ნოცრის სახეში ავტორი თავისებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს, ის არამც და არამც არ არის სახარებისეული იესო.

ვინ იცის, ეგებ 30-იანი წლების საშინელებებით განაწამებ მწერალს სხვა გამოსავალი არც ესახებოდა. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ ცხადია. რომ მ. ბულგაკოვი ტირანიას ბოროტებას უპირისპირებს და არა ნათელს. თვით ვოლანდიც – „წყვდიადის მეუფე“ იმ გამეფებულ სატანიზმში უფრო ჰუმანური და გულმოწყალე ჩანს. ნათელი შორსაა და მოიწვდომელი, ის თავისთავად არსებობს, ქვეყანას კი სატანა დაპატრონებია.

მზია გელაშვილი

ნაწილი პირველი

„... და მაინც ვინ ხარ, ბოლოს და ბოლოს?

- მე ნაწილი ვარ იმ ძალისა, ვისაც მარად
ბოროტება სწადია და სიკეთეს კი იქმს“.

გოეთე, „ფაუსტი“

თავი პირველი

ნურასოდეს დაელაპარაკებით უცნობებს

გაზაფხულის ხვატით გათანგულ საღამოსპირზე, მოსკოვში, პატრიარქთა ტბორებთან, ორი მოქალაქე გამოჩნდა. ერთ მათგანს რუხი, საგაზაფხულო კოსტიუმი ეცვა. ტანდაბალი, ჩასუქებული და მელოტი კაცი იყო, ლაზათიანი ქუდი სამი თითით ეჭირა წვიპზე და სუფთად გაპარსულ სახეს შავი, რქისჩარჩოიანი, უჩვეულო სიდიდის სათვალე უფარავდა. მეორეს – მხარბეჭიან და წითურქოჩორა ახალგაზრდას – კინკრიხოზე მოეგდო კუბოკრული კეპი. ქურთუკი, დასმურკლული თეთრი შარვალი და შავი სპორტული ფეხსაცმელი ეცვა.

პირველი თავად მიხაილ ალექსანდროვიჩ ბერლიოზი გახლდათ, მოსკოვის უდიდესი ლიტერატურული ასოციაციის, შემოკლებით „მასსოლიტის“ თავმჯდომარე და სქელტანიანი მხატვრული ჟურნალის რედაქტორი, ხოლო მისი ყმაწვილი თანამგზავრი – პოეტი ივან ნიკოლაევიჩ პონირევი, რომელიც „უსახლკაროს“ ფსევდონიმით წერდა.

სიმწვანეშეპარულ ცაცხვების ჩრდილს მიაღწიეს თუ არა, მწერლები ჭრელი ჯიხურისაკენ გაცვივდნენ, „ლუდი და წყლები“ რომ ეწერა.

იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ მაისის ამ ავბედითი საღამოს პირველივე საოცრება. არამცთუ ჯიხურთან, მაღაია ბრონნაიას პარალელურ ამ ხეივანში ადამიანი არ ჭაჭანებდა. დღეს, როცა სუნთქვაც კი ჭირდა, როცა მზეს მოსკოვი დაეფუფქა და სადღაც, სადოვოე კალცოს მიღმა, გამომშრალ ბურუსში აპირებდა შთანთქმას, არავის მონატრებია ცაცხვების ჩრდილი, არავინ ჩამომჯდარა მერხზე – უკაცური იყო ხეივანი.

– „ნარზანი“ დაგვისხით, – სთხოვა ბერლიოზმა.

– „ნარზანი“ არა გვაქვს, – ჯიხურიდან გამოეპასუხა ქალი და რატომღაც გაიბუსა.

– არც ლუდი? – ხმა ჩაეხლიჩა უსახლკაროს.

– ლუდს საღამოს მოიტანენ, – უპასუხა ქალმა.

– აბა, რა გაქვთ? – ჰკითხა ბერლიოზმა.

– გარგარის წვენია, ოღონდ თბილი, – უთხრა ქალმა.

– კარგი, დაგვისხით! დაგვისხით!

გარგარის წვენმა გვარიანი ყვითელი ქაფი მოიგდო და ჰაერში სადალაქოს მძაფრი სუნი დატრიალდა. წყურვილმოკლულ მწერლებს მაშინვე სლოკინი აუტყდათ, ფული გადაიხადეს და ტბორისპირზე, ბრონნაიასკენ ზურგშექცევით ჩამოსხდნენ სკამზე.

ამ დროს მეორე საოცრებაც მოხდა, რომელიც მხოლოდ ბერლიოზმა იგრძნო. მოულოდნელად სლოკინი შეუწყდა, გული აუფანცქალდა, მიელაია, სადღაც გაეპარა, მერე კი ბლაგვი მახათივით ჩაესო საგულეში. თან რაღაც უსაფუძვლო, მაგრამ თავზარდამცემმა შიშმა გაუთანგა სხეული და უკანმოუხედავად მოუნდა აქედან გაქცევა. ბერლიოზი ვერა და ვერ მიხვდა, ასე რამ დააფრთხო, იქაურობა სევდიანად მოათვალიერა და გაიფიქრა: „უცნაურია!“

რა დამემართა... გული მიწუხს... გადავიღალე. ალბათ დროა მივატოვო ყველაფერი და კისლოვოდსკისკენ... „

უეცრად ხორშაკიანი ჰაერი დაკელტდა მის თვალწინ და ამ ჰაერიდან უცნაურზე უცნაური, გამჭვირვალე მოქალაქე გამოიკვეთა. ერთ ციდა თავზე ჟოკეის კეპი ეხურა, კუბოკრული, მოკლე და ვიწრო პიჯაკი კი... მოქალაქე საჟენის სიმაღლისა იყო, მხარმოკლე, გამწლიკული და სახეზე, გთხოვთ დაიხსომოთ, დამცინავი ღიმილი დასთამაშებდა.

ბერლიოზის ცხოვრება იმთავითვე ისე აეწყო, ამგვარ სასწაულებს არ იყო ჩვეული. მთლად დაეტეტკა სახე, თვალეზი დააჭყიტა და დაზაფრულმა გაიფიქრა: „დაუჯერებელია“.

მაგრამ ვაი, რომ დაუჯერებელი არაფერი იყო და ეს აწოწილი, გამჭვირვალე მოქალაქე, მიწაზე ფეხის დაუკარებლად ხან მარჯვნივ გადაქანდებოდა, ხან მარცხნივ.

თავზარდაცემულმა ბერლიოზმა თვალი დახუჭა და როცა წამის შემდეგ კვლავ გაახილა, შვებით ამოისუნთქა: მოჩვენება გამლღვალიყო, კუბოკრულკოსტიუმინიცი აღარსად ჩანდა და აღარც გული აწუხებდა.

– ფუი ეშმაკს! – წამოიძახა რედაქტორმა, – გაგონილა, სიცხისაგან ლამის გული გამისკდა, რაღაც უჟმურიც კი მომელანდა, – მან ჩაცინება სცადა, მაგრამ თვალეზი ისევ ფეთიანიციით დაურბოდა და თითეზიც უკანკალეზდა.

თუმცა თანდათან სული მოითქვა, ცხვირსახოცი დაინიავა, მერე საკმაოდ მხნედ წარმოთქვა: „მაშ, ასე“, და გარგარის წვენის სმისას შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

საუბარი ესე, როგორც მოგვიანებით გაირკვა, იესო ქრისტეს ეხებოდა. ამ ცოტა ხნის წინ, ჟურნალის მორიგი ნომრისათვის რედაქტორს პოეტისათვის ვრცელი, ანტირელიგიური პოემა დაეკვეთა. ივან ნიკოლაევიჩმა პოემა შეთხზა და ძალიან მოკლე დროშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, რედაქტორის გული მაინც ვერ მოიგო. გააშავა, მაგრამ რა გააშავა უსახლკარომ მთავარი მოქმედი გმირი, ე. ი. იესო, რედაქტორი კი უმტკიცებდა, პოემა ხელახლათ დასაწერიო. ახლაც ბერლიოზს უნდოდა, ძირეულ შეცდომეზზე მიენიშნებინა და ამიტომაც ესაუბრებოდა იესოს შესახებ. ვერ გეტყვიოთ, კალამმა უმტყუნა პოეტს თუ საკითხის უცოდინარობის გამო დაემართა ასე, მაგრამ უსახლკაროს პოემაში იესო, თუმცა კი ძალზე უარყოფითად, მაგრამ ცოცხალი ადამიანიციით იყო ასახული. ბერლიოზი კი უმტკიცებდა, რომ პოეტს იესოს ავკარგიანობაზე კი არ უნდა გაემახვილებინა ყურადღება, არამედ ეჩვენებინა მკითხველისათვის, რომ იესო, როგორც პიროვნება, საერთოდ არ არსებობდა ამქვეყნად და მის შესახებ შეთხზული თქმულებეზი მონაჩმახი და ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მითი იყო მხოლოდ.

უნდა ითქვას, რომ რედაქტორი ნაკითხი კაცი ბრძანდებოდა და მსჯელობისას ერთობ ჯეროვნად იშველიებდა ძველი დროის ისტორიკოსებს. ისეთებს, მაგალითად, როგორეზიც იყვნენ, ფილონ ალექსანდრიელი და დიდად განათლებული იოსებ ფლავიუსი, სიტყვაც რომ არ დასცდენოდაოთ იესოს არსებობის შესახებ. მიხაილ ალექსანდროვიჩმა საკმაო ერუდიცია გამოამჟღავნა და სხვათა შორის, ისიც ამცნო პოეტს, ტაციტუსის სახელგანთქმული „ანალების“ მეთხუთმეტე წიგნის 44-ე თავის ის ადგილი, სადაც იესოს ჯვარცმაზეა ლაპარაკი – სხვა არაფერია, თუ არა გვიანდელი, ყალბი ჩანართიო.

პოეტი ამ საკითხებში ხამად გახლდათ, დიდი გულისყურით უსმენდა მიხაილ ალექსანდროვიჩს, მკვირცხლი, ჭროლა თვალები მისთვის მიეპყრო, მხოლოდ ხანდახან თუ ამოასლოკინებდა და ჩურჩულით წყევლიდა გარგარის წვესს.

– ყველა აღმოსავლურ რელიგიაში, – განაგრძობდა ბერლიოზი, – როგორც წესი, უმწიკვლო ასული შობდა ღმერთს. ქრისტიანებმაც ვერაფერი მოიგონეს უკეთესი და ასევე შეთხზეს საკუთარი იესო, რომელიც სინამდვილეში ამქვეყნად არასოდეს მოსულა. სწორედ ამაზე უნდა გაამახვილო ყურადღება...

ბერლიოზის მაღალი ტენორი უკაცრიელ ხეივანში იფანტებოდა და რაც უფრო ღრმად იჭრებოდა მიხაილ ალექსანდროვიჩი გაუკაფავში, სადაც კინწის მოუტეხავად მხოლოდ ერთობ განათლებული ადამიანი თუ შეძლებდა შესვლას, პოეტი უფრო და უფრო საგულისხმო და მეტად სასარგებლო ამბებს იტყობდა მიწისა და ცის ნებიერ ღმერთზე – ეგვიპტელ ოზირისზე, ფინიკიელ ღმერთ თამუზზე, მარდუქსა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ნაკლებად ცნობილ, მრისხანე ღმერთ ვიცლიპუცლიზე, ოდესღაც, მექსიკაში, დიახაც რომ ეთაყვანებოდნენ აცტეკები.

სწორედ იმ დროს, როცა მიხაილ ალექსანდროვიჩი პოეტს მოუთხრობდა, თუ როგორ ძერწავდნენ აცტეკები ცომისაგან ვიცლიპუცლის ალალებს, ხეივანში ერთი სულიერი გამოჩნდა.

მოგვიანებით, როცა, სიმართლე ითქვას, გვიანდა იყო თითზე კბენანი, მრავალმა დაწესებულებამ წარმოადგინა ამ ადამიანის აღწერილობა. მასალის შეჯერება უდავო გამოცემას იწვევს. ასე, მაგალითად, ერთნი იუწყებოდნენ, რომ მოქალაქე დაბალი იყო, ოქროს კბილები ჰქონდა და მარჯვენა ფეხით კოჭლობდა. მეორენი სხვას ამტკიცებდნენ: თითქოს უცნობი გოლიათური აღნაგობისა იყო, კბილებზე პლატინაგადაკრული და მარცხენა ფეხით კოჭლობდა. მესამენი კი მოკლედ იტყობინებოდნენ, მოქალაქეს განსაკუთრებული ნიშნები არ გააჩნდაო.

უნდა ვაღიაროთ, არც ერთი ცნობა სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

ჯერ ერთი, ხსენებული მოქალაქე სულაც არ კოჭლობდა, არც ჩია იყო და არც გოლიათური აღნაგობის, უბრალოდ, მაღალი ტანის კაცი ეთქმოდა, ხოლო რაც შეეხება კბილებს, მარცხენა მხარეს პლატინა ჰქონდა გადაკრული, მარჯვნივ კი – ოქრო. ძვირფასი, ფერფლისფერი კოსტიუმი და იმავე ფერის უცხოური ფეხსაცმელი ეცვა. ნაცრისფერი ბერეტი თავმომწონედ მოეგდო კეფაზე და ილღიაში პუდელის თავის ბუნიკიანი ჯოხი ამოეჩარა. შესახედავად ორმოცს იქნებოდა გადაცილებული. ტუჩები როგორღაც გვერდულად ჰქონდა მოქცეული. შავგვრემანი, სუფთად გაპარსული სახე. მარჯვენა თვალი შავი, მარცხენა კი, რატომღაც – მწვანე. ყორნისფერი, უსწორმასწორო წარბები – ერთი სიტყვით, უცხოელი იყო.

იმ სკამს რომ ჩაუარა, სადაც რედაქტორი და პოეტი მოკალათებულიყვნენ, უცხოელმა ცერად გახედა მსხდომთ, შედგა და უეცრად იქვე, გვერდით სკამზე ჩამოჯდა.

„გერმანელია“, – გაიფიქრა ბერლიოზმა.

„ინგლისელია, – გონებაში გაივლო უსახლკარომ, – ხელთათმანებიც აცვია ამ გაგანიაში“.

უცხოელმა კი გუბურის ირგვლივ კვადრატულად შემოჯარულ მრავალსართულიან სახლებს ჰკიდა თვალი, იმავ წამს შეეტყო, აქაურობას პირველად ხედავდა და ძალიანაც დაინტერესდა.

დაჟინებით უცქეროდა სახურავებქვეშ, მინებზე თვალისმომჭრელად აკიაფებულ, ჩამავალ და მიხაილ ბერლიოზისათვის აწ სამარადჟამოდ მიღეულ მზეს, შემდეგ ქვევით, ბინდისპირზე ჩამუქებულ ფანჯრებს შეავლო თვალი, რაღაცას მოწყალედ გაუღიმა, თვალები მოჭრუტა, ხელები ჯოხის ბუნიკზე დააწყო და ნიკაპი ზედ ჩამოაყრდნო.

ბერლიოზი კი განაგრძობდა:

– შენ ძალზე დამაჯერებლად და სასაცილოდ აღწერე ღვთის შვილის, იესოს შობა, მაგრამ ის კი დაგავიწყდა, რომ ქრისტემდეც მრავლად იყვნენ ღვთის შვილები, თუნდაც ფრიგიელი ატიხი. მოკლედ, ეს ღვთის შვილები და იესოც მათ შორის, არასოდეს შობილან და არც არსებულან ამქვეყნად. ამიტომ, ჩემი აზრით, შობისა და თუნდაც, მოგვთა მოახლების ნაცვლად, ჯობდა მთარული ჭორები აგეწერა დაბადებაზე... თორემ შენი პოემით ისე გამოდის, თითქოს იესო მართლაც არსებობდა!..

ივან ნიკოლაევიჩმა სცადა აუტანელი სლოკინი შეეკავებინა, სუნთქვა შეიკრა, ამის გამო უფრო ძლიერად ამოასლოკინა და იმავ წამს, ბერლიოზსაც გაუწყდა სიტყვა, რადგან უცხოელი უეცრად წამოდგა და მწერლებისკენ გამოეშურა.

ისინი გაოცებულები შეაჩერდნენ.

– მომიტევეთ კადნიერება... – კილომოქცევით, მაგრამ სიტყვების დაუმახინჯებლად წარმოთქვა უცხოელმა, – მაგრამ თქვენი საუბრის თემამ იმდენად მიმიზიდა...

მან თავაზიანად მოიხადა ბერეტი, მეგობრებს კი სხვა რაღა გზა ჰქონდათ, ფეხზე წამოდგნენ და თავი დაუკრეს.

„არა, ფრანგს უფრო ჰგავს... „ – გაიფიქრა ბერლიოზმა.

„პოლონელია?“ – გულში გაივლო უსახლკარომ.

აქვე უნდა ითქვას, უცხოელის გარეგნობამ თვალის შევლებისთანავე პოეტს ზიზღი მოჰგვარა, ბერლიოზს კი მოეწონა, უფრო სწორად, კი არ მოეწონა... როგორღაც... დაინტერესდა თითქოს.

– თუ ნებას დამრთავთ... – თავაზიანად ითხოვა უცხოელმა და მეგობრებმაც უნებლიეთ გაიწ-გამოიწიეს. უცხოელი მოხერხებულად მოკალათდა მათ შორის და ხელადვე ჩაება საუბარში.

– თუ არ მომეყურა, ბრძანებდით, იესო არ არსებობდაო? – იკითხა უცხოელმა და მარცხენა, მწვანე თვალით გახედა ბერლიოზს.

– დიახ, არ შემცდარხართ, – ასევე თავაზიანად უპასუხა ბერლიოზმა, – სწორედ ამას ვამბობდი.

– გასაოცარია! – წამოიძახა უცხოელმა.

„რა ეშმაკი უნდა?“ – გაიფიქრა უსახლკარომ და მოიღუშა.

– თქვენც დაეთანხმეთ? – დაინტერესდა უცხოელი და ახლა მარჯვნივ, უსახლკაროსკენ იქცია პირი.

– ასი პროცენტით! – დაუმოწმა ღვარჭნილსიტყვაობისა და ფიგურალური გამოთქმების მოყვარულმა პოეტმა.

– გასაოცარია! – კვლავ წამოიძახა დაუპატიჟებელმა მოსაუბრემ, – შემდეგ, რატომღაც ქურდულად მიმოიხედა და ჩურჩულით განაგრძო, – მომიტევეთ ეს აკვიატება, მაგრამ, როგორც ვხედავ, სხვა ყველაფერთან ერთად, თქვენ არც ღმერთი გწამთ? – მას სახეზე შეშფოთება დაეტყო და წაიჩურჩულა, – გეფიცებით, არავის ვეტყვი...

– დიახ, ჩვენ ღმერთი არ გვწამს, – ინტურისტის სიფრთხილემ ღიმილი მოჰგვარა ბერლიოზს, – მაგრამ ამაზე სრულიად უშიშრად შეიძლება ლაპარაკი.

უცხოელი სკამის საზურგეს გადაეყრდნო და ლამის აწკმუტუნდა ცნობისმოყვარეობით.

– ათეისტები ხართ?

– დიახ, ათეისტები, – გაუღიმა ბერლიოზმა, უსახლკარომ კი ბრაზით გაიფიქრა: „რას გადაგვეკიდა, ეს უცხო ჩიტილა გვაკლდა!“

– მშვენიერია, შესანიშნავია! – აყვირდა ეს უცნაური უცხოელი და თავის ქიცინს მოჰყვა, ხან ერთ ლიტერატორს მიაჩერდებოდა, ხან – მეორეს.

– ჩვენს ქვეყანაში ათეიზმი არავის უკვირს, – დიპლომატიურად და თავაზიანად აუხსნა ბერლიოზმა, – რა ხანია ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობას შეგნებულად აღარ სჯერა იმ არაკების, ღმერთებზე რომ თხზავდნენ.

აქ კი თავი მოიგიჟიანა უცხოელმა: უეცრად წამოხტა და გაოცებულ რედაქტორს ხელი ჩამოართვა.

– ნება მომეცით, უღრმესი მადლობა მოგახსენოთ!

– რა? . . – თვალეზი აახამხამა უსახლკარომ, – რისთვის?

– ძალზე მნიშვნელოვანი ცნობებისათვის, რომელიც მე, როგორც მოგზაურს, ერთობ მესაჭიროებოდა, – განუმარტა უცნაურმა სტუმარმა და მრავლისმეტყველად აღმართა თითი.

მნიშვნელოვანმა ცნობამ, როგორც ჩანდა, მართლაც ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა უცხოელზე. მან ძრწოლით ახედა სახლებს, თითქოს შიშობდა, ყოველ ფანჯარაში წყვილ-წყვილი ათეისტი არ დაენახა.

„არა, ინგლისელი არ უნდა იყოს“... – გაიფიქრა ბერლიოზმა, უსახლკარომ კი, – „ასე მაინც სად ისწავლა რუსული, აი, ესაა გასაკვირი!“ – და ისევ მოიქუფრა.

– მაგრამ, ნება მომეცით, გკითხოთ, – ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ კვლავ ამოიღვა ენა უცხოელმა, – ღვთის სუფევის დამადასტურებელი იმ მტკიცებულებებს რაღა ვუყოთ, რომელთა რიცხვი, მოგენსენებათ, სრულად ხუთია!

– სამწუხაროდ, – თანაგრძნობით ჩაიცინა ბერლიოზმა, – ეს მტკიცებულებანი ჩალის ფასადაც არ ღირს და კაცობრიობამ კარგა ხანია მიივიწყა. ალბათ დამეთანხმებით, გონიერი კაცისათვის ღმერთის არსებობის დამამტკიცებელი საბუთი ნაკლებსარწმუნოა.

– ბრავო! – დაიღრიალა უცხოელმა, – ბრავო! თქვენ ახლა ზედმიწევნით გაიმეორეთ მოხუცი იმანუილ კანტის აზრი. მაგრამ სეირიც ეგ არის, მან ჯერ ერთიანად გააცამტვერა ხუთივე მტკიცებულება, შემდეგ კი, თითქოს საკუთარ თავს დასცინაო, თავადვე მიაკვლია მეექვსეს.

– კანტის მტკიცება, – მოწყალედ გაუღიმა დიდად განათლებულმა რედაქტორმა, – ძალზე საეჭვოა. ტყუილად კი არ ამბობდა შილერი, ამ საკითხზე კანტის მსჯელობა მხოლოდ და მხოლოდ მონებს თუ დააკმაყოფილებსო, შტრაუსი კი, უბრალოდ დასცინოდა ამ თვალთახედვას.

ბერლიოზი ლაპარაკობდა, გულში კი ფიქრობდა: „მაინც ვინ არის, ბოლოს და ბოლოს? ან რუსული სად ისწავლა ასე კარგად?“

– ეგ ვიღაც კანტი მაგ სისულელეებისათვის სამი წლით სოლოვკაში უნდა ჩააყუდო! – მოულოდნელად წამოაყრანტალა ივან ნიკოლაევიჩმა.

– ივან! – წამოიძახა შემფოთებულმა ბერლიოზმა.

მაგრამ კანტის სოლოვკაში გადასახლების მუქარამ კი არ გააოცა, პირიქით, აღაფრთოვანა კიდეც უცხოელი.

– მართალს ბრძანებთ, მართალს, – წამოიძახა და ბერლიოზისკენ მიმართული მარცხენა თვალი დაკვესა, – მოუხდებოდა! ერთხელ, საუზმის დროს გავაფრთხილე: „თქვენი ნებაა, პროფესორო, მაგრამ მგონია, რაღაც აბდაუბდა მოჩმანეთ. შეიძლება მართალიც ბრძანდებოდეთ, მაგრამ ვერავინ გაგიგებთ, დაგცინებენ!“

ბერლიოზმა თვალეხი დააჭყიტა: „საუზმეზე... კანტს?... რას ბოდავს!“ – გაიფიქრა მან.

უცხოელმა არად ჩააგდო ბერლიოზის გაოცება და ახლა პოეტს მიუბრუნდა:

– კანტს კი სოლოვკაში მაინც ვერ გავგზავნით, ჩემო კარგო, რადგან საუკუნეზე მეტია შორეულზე შორეულ ქვეყანაში განისვენებს და მისი იქიდან გამოხმობა, დამერწმუნეთ, ყოველგვარ ძალას აღემატება.

– აფსუს! – შეუღრინა პოეტმა.

– მეც მწყინს! – თავი დაუქნია უცნობმა, თვალი დაკვესა და განაგრძო, – ეგ ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ერთი საკითხიც მაინტერესებს: თუ ღმერთი არ არსებობს, ვიღა განაგებს ადამიანთა მოდგმას და მთელ დედამიწას?

– თვითონვე განაგებს, ადამიანი, – საჩქაროდ უპასუხა აღრენილმა უსახლკარომ, ამ, უნდა ვაღიაროთ, არცთუ იოლ შეკითხვას.

– მაპატიეთ, – დაუყვავა უცნობმა, – მაგრამ მართვა რომ შეძლოს, თუნდაც სულ მცირე, რაღაც დროით მაინც ხომ უნდა ჰქონდეს შემუშავებული ზუსტი გეგმა. ნება მიბოძეთ, დაგეკითხოთ, სხვათა ბედი როგორ უნდა განაგოს ადამიანმა, თუკი მას, არამცთუ იმისი უნარი არ შესწევს, ერთი ათასწლეულით, ამ სასაცილოდ მცირე ვადით დაგეგმოს რაიმე, არამედ ისიც არ იცის, ხვალ რა მოელის? აბა, დაფიქრდით, – უცნობმა ბერლიოზისკენ იბრუნა პირი, – დავუშვათ, თქვენ განაგებთ ამ დედამიწას, თქვენზეა დამოკიდებული მოკვდავთა ბედ-იღბალი, თანდათან ეჩვევით, ასე ვთქვათ, ნელ-ნელა უღებთ ალღოს და უეცრად... კხ... კხ... ფილტვის სარკომა დაგემართებათ, – უცხოელმა ტკბილად ჩაიკუჭკუჭა, თითქოს ფილტვის სარკომის განსენებამ გაახარაო, კატასავით მოწკურა თვალები და ერთხელ კიდევ გაიმეორა, – დიახ, სარკომა... იმ წუთიდან დასრულდება თქვენი გამგებლობაც! საკუთარი თავის გარდა აღარავინ გადარდებათ. ახლობლები გატყუებენ, თქვენ კი გული ცუდს გიგრძნობთ და სწავლულ ექიმებთან გარბინართ, შემდეგ ექიმბაშებსაც მიაკითხავთ, შეიძლება მკითხავენთანაც დაიწყოთ სიარული. ერთიც, მეორეცა და მესამეც ყოვლად უშედეგოა, თავადაც ხვდებით. და აჰა, დგება ტრაგიკული აღსასრული: ცოტა ხნის წინ რაღაცის გამგებელი რომ ეგონა თავი, ახლა უძრავადაა ჩაჭედილი ხის ყუთში, ახლობლებმაც იციან, მისგან ხეირი რომ აღარ იქნება და წვავენ. უარესიც ხდება ხოლმე: კაცი კისლოვოდსკში დააპირებს წასვლას, – უცნობმა ბერლიოზს ცერად განედა და თვალი მოჭრუტა, – თითქოს ამაზე იოლი რა უნდა იყოს, მაგრამ რატომღაც ვერ ახერხებს, უეცრად ფენი დაუსწლტება და ტრამვაის ქვეშ დურთავს თავს. ნუთუ დამიმტკიცებთ, რომ თავად გაიმზადა ამგვარი აღსასრული? განა უფრო სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ ვიღაც სხვამ იწება ასე? – ისევ ჩაიქირქილა უცხოელმა.

ბერლიოზი ყურადღებით უსმენდა ამ უსიამო საუბარს სარკომასა და ტრამვაიზე და უეცრად მტკივნეულმა აზრმა გაუელვა: „უცხოელი არ უნდა იყოს! უცხოელი არ უნდა იყოს! ნეტა მაინც ვინ არის?“

– მგონი მოწევა გასურთ, არა? – მოულოდნელად მიმართა უცხოელმა უსახლკაროს, – რომელი გირჩევნიათ?

– თქვენ რა, ასარჩევად გაქვთ? – წარბის გაუხსნელად ჰკითხა პოეტმა, რომელსაც მართლა გასთავებოდა ჰაპიროსი.

– მითხარით, რომელს ამჯობინებთ? – დაიჟინა უცხოელმა.

– „ჩვენი მარკა“, – წაისისინა უსახლკარომ.

უცნობმა ჯიბიდან პორტსიგარი ამოიღო და უსახლკაროს გაუწოდა.

– ესეც „ჩვენი მარკა“.

პოეტიცა და რედაქტორიც მხოლოდ იმან კი არ გააოცა, პორტსიგარში მართლა „ჩვენი მარკა“ რომ აღმოჩნდა, არამედ თვით პორტსიგარმაც. ის უზარმაზარი ბაჯალლო ოქროსაგან იყო ნაკეთები და გადახსნილ სახურავზე თეთრ-ცისფრად გაბრწყინდა ბრილიანტებით მოოჭვილი სამკუთხედი.

ამჯერად ლიტერატორებს სხვადასხვა აზრმა გაუელვათ. ბერლიოზს: „არა, უცხოელია!“, უსახლკაროს კი: „ეშმაკმა დალახვროს!“

პოეტმა და პორტსიგარის მფლობელმა გააბოლეს, ბერლიოში კი არ ეწეოდა და მადლობა მოახსენა.

„ალბათ აჯობებს, ასე ავუხსნა, – გადაწყვიტა ბერლიოში, – დიან, ადამიანი მოკვდავია, ამას ვინ უარყოფს, მაგრამ... „

გაფიქრებაც ვერ მოასწრო და უცხოელმა განაგრძო:

– დიან, ადამიანი მოკვდავია, მაგრამ ეგ კიდეც არაფერი. უბედურება ის გახლავთ, ხანდახან მოულოდნელადაც რომ კვდება ხოლმე. აი, ესაა ოინი! საერთოდ, იმასაც ვერ გეტყვით დანამდვილებით, ამ სალამოს რას გააკეთებს.

„რა სულელურად დასვა საკითხი... „ – ჩაფიქრდა ბერლიოში და შეედავა:

– ახლა კი, მგონი, გადააჭარბეთ. მე, მაგალითად, ზუსტად ვიცი, ამ სალამოს რას გავაკეთებ. რა თქმა უნდა, ბრონნაიაზე თავზე აგური თუ არ დამეცემა...

– აგური, – შთაგონებით შეაწყვეტინა უცხოელმა, – უმიზეზოდ თავზე არავის ეცემა. თქვენ კი, დამერწმუნეთ, მაგისი არ უნდა გეშინოდეთ... სხვაგვარი სიკვდილი გელით...

– იქნებ ისიც მითხრათ, როგორ მოგკვდები? – ირონიულად ჩაეკითხა ბერლიოში, რომელიც მართლა უაზრო საუბარში ჩაება.

– ბატონი ბრძანდებით, – უცნობმა, თითქოს კოსტიუმის შეკერვას უპირებსო, ყურადღებით შეათვალიერა ბერლიოში, კბილებში გამოსცრა: „ერთი, ორი... ოტარიდი მესამე სახლში... მთვარე წავიდა... ექვსი... უბედურება... სალამო – შვიდი... „ – და განარებულმა ხმამაღლა წამოიძახა, – თავს მოგკვეთენ!

უსახლკარო ველური გაბოროტებით მიაჩერდა მოურიდებელ უცნობს. ბერლიოში კი ჩაიციხა:

– მაინც ვინ? მტრები თუ ინტერვენტები?

– არც ერთი და არც მეორე, – უპასუხა მოსაუბრემ, – რუსი კომკავშირელი ქალი.

– მმ... – დაიზმუვლა უცნობის ხუმრობით გაღიზიანებულმა ბერლიოში, – მაპატიეთ, მაგრამ ეგ კი მეეჭვება.

– მეც მაპატიეთ, – დაიჟინა უცხოელმა, – მაგრამ ეს ასეა. ერთი რამ მინდა გკითხოთ, თუ საიდუმლო არ არის, ხომ ვერ მეტყვით, ამ სალამოს რას აპირებთ?

– რა საიდუმლოა, ახლა შინ, სადოვარიაზე შევივლი, მერე კი, სალამოს ათ საათზე „მასსოლიტში“ უნდა ვიყო, თათბირი მაქვს დანიშნული, თავმჯდომარეობა მომიწევს.

– ეგ შეუძლებელია, – არ ცხრებოდა უცხოელი.

– რატომ?

– იმიტომ, – უცხოელმა თვალი მოჭუტა და ცას ახედა, სადაც უხმოდ დაფრინავდნენ გრილს დანატრებული ჩიტები, – ანუშკამ უკვე იყიდა ზეთი და არამცთუ იყიდა, დაეღვარა კიდევ. ჰოდა, ასე, თათბირი არ შედგება.

ცხადზე ცხადია, უცებ ცაცხვების ქვეშ მღუმარებამ დაისადგურა.

– მაპატიეთ, – კვლავ ამოიდგა ენა ბერლიოზმა და გაოცებით შეხედა უცხოელს, რა სისულელეებს ჩმახავსო, – რა შუაშია ზეთი?.. ან ანუშკა ვილაა?

– მე ვიცი, რაშიც არის საქმე... – უეცრად გამოფხიზლდა უსახლკარო, ალბათ გადაწყვიტა, საბოლოოდ მოესპო ეს არამკითხე, – სულით ავადმყოფთა თავშესაფარში არასოდეს შეგივლიათ, მოქალაქე?

– ივან! – ჩუმი ხრიალი აღმოხდა მიხაილ ალექსანდროვიჩს.

მაგრამ უცხოელი არ განაწყენებულა, პირიქით, მხიარულად გაიცინა:

– შემვივლია, შემვივლია და თანაც არაერთხელ! – ხარხარებდა და პოეტს თვალს არ აშორებდა, – სად არ ვყოფილვარ! მხოლოდ ის მწყინს, პროფესორისთვის არასოდეს მიკითხავს, რა არის შიზოფრენია. თქვენ მაინც ჰკითხეთ, ივან ნიკოლაევიჩ.

– ჩემი სახელი საიდანლა იცით?

– რას ბრძანებთ, ივან ნიკოლაევიჩ, თქვენ ვინ არ გიცნობთ? – უცხოელმა ჯიბიდან „ლიტერატურული გაზეთის“ გუშინდელი ნომერი ამოიღო და ივან ნიკოლაევიჩმა პირველსავე გვერდზე თავის ფოტოსურათს და იქვე დაბეჭდილ ლექსებს მოჰკრა თვალი. მაგრამ სახელისა და დიდების დამადასტურებელმა ამ ფაქტმა, გუშინ რომ სიხარულით ახვევდა თავბრუს, ამჯერად გააღიზიანა კიდევ:

– ბოდიშს გიხდით, – სახე მოეჭოფრა უსახლკაროს, – წუთით დაგველოდეთ. მინდა ამხანაგს ორიოდ სიტყვა ვუთხრა.

– დიდი სიამოვნებით! – წამოიყვირა უცნობმა, – ცაცხვების ჩრდილში თავს კარგად ვგრძნობ, არც არსად მეჩქარება.

– იცი, რას გეტყვი, მიშა, – ბერლიოზს ჩასჩურჩულა პოეტმა, – ინტურისტი კი არა, ჯაშუშია. რუსი ემიგრანტი იქნება, რაღაც მიზნებით შემოიპარებოდა ჩვენთან, საბუთები მოსთხოვე, თორემ წავა...

– ეგრე გგონია? – შემფოთდა ბერლიოზი, გულში კი გაიფიქრა: „მართალს ამბობს“.

– დამიჯერე, – ყურში წაუსისინა პოეტმა, – თავს ისულელებს, რაღაც უნდა დაგვტყუოს. არ გესმის, რუსულად რა კარგად ლაპარაკობს, – პოეტს ცალი თვალი უცხოელისკენ ეჭირა, – მოდი, დავკითხოთ, თორემ წავა...

პოეტმა ბერლიოზს ხელი ჩაჰკიდა და სკამისკენ წაიყვანა.

უცნობი სკამიდან წამომდგარიყო, ხელში რაღაც რუხყდიანი წიგნაკი, სქელი კონვერტი და სავიზიტო ბარათი ეჭირა.

– მაპატიეთ, კამათით გავერთე და დამავიწყდა გაგცნობოდით. აი, ჩემი სავიზიტო ბარათი, პასპორტი და კონსულტაციისათვის მოსკოვში ჩამოსასვლელად გამოგზავნილი მოსაწვევი, – თავდაჯერებული კაცის ტონით წარმოთქვა უცნობმა და თან ლიტერატორებისთვის დაუჩინებელი მწერა არ მოუცილებია.

ორივე შეწუხდა. „ემმაკსაც წაუღია, ყველაფერი გაიგონა“, – გაიფიქრა ბერლიოზმა და თავაზიანი ხელის აქნევით ანიშნა, საბუთების წარმოდგენა საჭირო არ არისო. და ვიდრე უცხოელი რედაქტორს ჩრიდა საბუთებს, პოეტმა მოასწრო სავიზიტო ბარათზე ამოეკითხა უცხოურად დაბეჭდილი სიტყვა „პროფესორი“ და გვარის პირველი ასო – ორმაგი „ჭ“.

– ძალზე სასიამოვნოა, – იმეორებდა დაბნეული და შეშფოთებული რედაქტორი. უცხოელმა საბუთები ჯიბეში შეინახა.

ამგვარად, საეჭვო აღარაფერი იყო და სამივენი ისევ მერხზე ჩამოსხდნენ.

– ჩვენთან კონსულტანტად ხართ მოწვეული, პროფესორო? – ჰკითხა ბერლიოზმა.

– დიახ, კონსულტანტად.

– გერმანელი ბრძანდებით? – ჩაეძია ბერლიოზი.

– მე? – ჩაეკითხა პროფესორი და უეცრად დაფიქრდა, – დიახ, დიახ... ალბათ გერმანელი... – თქვა ბოლოს.

– რუსულად კარგად ლაპარაკობთ, – სიტყვა ჩააკერა უსახლკარომ.

– პოლიგლოტი გახლავართ და ძალიან ბევრი ენა ვიცი, – უპასუხა პროფესორმა.

– რა სპეციალობის ბრძანდებით? – ჰკითხა ბერლიოზმა.

– მე... მისანი გახლავართ.

„ოჰო!“ – თავზარი დაეცა მიხაილ ალექსანდროვიჩს.

– და... და ამ სპეციალობით ჩვენთან მოგიწვიეს? – სლოკინით დაეკითხა პროფესორს.

– დიახ, ამისთვის მომიწვიეს, – დაუდასტურა პროფესორმა და განმარტა, – თქვენთან, სახელმწიფო ბიბლიოთეკაში, მეათე საუკუნის ცნობილი მისნის, ჰერბერტ ავრილაკის ხელნაწერები აღმოჩნდა. ჰოდა, მათი ამოკითხვაა საჭირო. მე ერთადერთი სპეციალისტი ვარ მსოფლიოში.

– ა-ა-ა! ისტორიკოსი ბრძანდებით? – გულზე მოეშვა და პატივისცემით განიმსჭვალა ბერლიოზი.

– დიახ, ისტორიკოსი, – დაუდასტურა მეცნიერმა და უაზროდ დასძინა, – ამ საღამოს, პატრიარქთა ტბორებთან საგულისხმომ ისტორია მოხდება!

ხელახლა გაოცდნენ რედაქტორიცა და პოეტიც, პროფესორმა კი თითოთ ორივე თავისკენ მიიხმო და როცა ლიტერატორებმა თავები დახარეს, ჩაიჩურჩულა:

– კარგად დაიხსომეთ, იესო არსებობდა.

– იცით, რას გეტყვით, პროფესორო, – ნაძალადევად გაუღიმა ბერლიოზმა, – ჩვენ პატივს ვცემთ თქვენს უდიდეს ცოდნას, მაგრამ ამ საკითხზე საკუთარი თვალთახედვა გაგვაჩნია...

– საკუთარი თვალთახედვა აქ არაფერ შუაშია! – უპასუხა უცნაურმა პროფესორმა, – უბრალოდ, არსებობდა და მორჩა.

– მაგრამ დამამტკიცებელი საბუთები ხომ უნდა... – დაიწყო ბერლიოზმა.

– ამას არც საბუთები სჭირდება, – უპასუხა პროფესორმა და უეცრად ხმას დაუწია. უკვე აღარც კილოს უქცევდა, – ყველაფერი უფრო მარტივად: სისხლისფერქობიან თეთრ მოსასხამით...

თავი მეორე

პილატე პონტოელი

სისხლისფერქობიან თეთრ მოსასხამით, დილაადრიან, გაზაფხულის თვის ნისანის თოთხმეტს, დიდებული ჰეროდეს ორფრთიანი სასახლის გადახურულ სვეტოვანში, ცხენოსნის ფლატუნა ნაბიჯით შემოვიდა იუდეველთა პროკურატორი პონტოელი პილატე.

ამქვეყნად პროკურატორს ყველაფერზე მეტად ვარდის ზეთის ნელსურნელება სძაგდა და რაკილა სუნი დილიდან აჰყვა, ახლა ყოველივე ნავს დღეს უქადდა. პროკურატორს ეჩვენებოდა, რომ ვარდის სურნელს აფრქვევდა კვიპაროსები და პალმები, ტყავისა და ბადრაგის სუნსაც ეს დაწყევლილი ვარდის სურნელი ერწყმოდა. სასახლის უკანა ყურის ფლიგელებიდან, სადაც პროკურატორთან ერთად იერუსალიმში ჩამოსული მეთორმეტე ელვისებური ლეგიონის პირველი კოჰორტა იყო დაბანაკებული, სვეტოვანში კვამლის სუნი იპარებოდა და ამ მომწარო კვამლსაც, კენტურიებში^[2] საუზმის მზადებას რომ აუწყებდა პროკურატორს, იგივე ცხიმოვანი სუნი უდიოდა. ჰოი, ღმერთებო, რად მსჯით ასე?

„ეჭვს გარეშეა, ის არის, ისევ ის, მოუცილებელი, საზარელი სენი ჰემიკრანია^[3], საფეთქლებს რომ მიბურღავს და აზრს მაკარგვინებს. მისგან საშველი არ არსებობს, არც წამალია. თავი არ უნდა გავარზიო“.

შადრევნებთან, მოზაიკიან იატაკზე უკვე დაედგათ საკარცხული. პროკურატორს არავისთვის შეუხედავს, შიგ ჩაესვენა და მდივნისკენ გაიწვდინა ხელი.

მდივანმა მოწიწებით ჩაუდო ხელში პერგამენტის გრაგნილი. ტკივილით დაღრეჯილმა პროკურატორმა ცერად გადაავლო თვალი ნაწერს, პერგამენტი მდივანს მიუბრუნა და ძლივს ამოთქვა:

– ბრალდებული გალილეველია? . ტეტრარქს თუ გაუგზავნეთ საქმე?

– გავუგზავნეთ, პროკურატორო, – უპასუხა მდივანმა.

– მერე? . .

– დასკვნაზე უარი თქვა და სინედრიონის მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი თქვენთან გადმოგზავნა დასამტკიცებლად, – განუმარტა მდივანმა.

პროკურატორს ძარღვი შეუტოკდა ყვრიმალზე და ჩუმად თქვა:

– შემოიყვანეთ ბრალდებული.

იმავე წამს, ბაღის ტაფობიდან ორმა ლეგიონერმა შემოიყვანა და პროკურატორის საკარცხულთან დააყენა ოცდაშვიდიოდე წლის კაცი. მას დაკონკილი, ცისფერი ქიტონი ემოსა. თეთრი თავსახვევი შუბლზე ზეზით ჰქონდა შემოჭერილი და ხელები უკან გაკრული. მარცხენა უპე ჩალურჯებოდა. ტუჩის კუთხეებზე სისხლი შეხმობოდა. ტყვე შემფოთებული ცნობისწადილით უმზერდა პროკურატორს.

ის ერთხანს დუმდა, შემდეგ ხმადაბლა დაეკითხა არამეულად:

– შენა ხარ, ხალხს რომ მოუწოდებდი, იერუშალაიმის ტაძრის დანგრევას?

პროკურატორი გაქვავებული იჯდა და სიტყვის წარმოთქმისას მხოლოდ ოდნავ არხევდა ტუჩებს – ეშინოდა ჯოჯოხეთური ტკივილებით ანთებული თავის განძრევა.

ხელდაბორკილმა ბიჯი წინ წადგა და თქვა:

– კეთილო კაცო! დამერწმუნე...

პროკურატორი არ განძრეულა, არც ხმა აუწევია, უგულოდ შეაწყვეტინა:

– შენ მე მიწოდებ კეთილ კაცს? ცდები. იერუშალაიმში ხალხი ჭორობს, რომ ურჩხულივით საზარელი ვარ, არცა ცდებიან, – შემდეგ ისევ დუნედ განაგრძო, – კენტურიონ ვირთხათმძლეს მიხმეთ!

აივანზე თითქოს ჩამობნელდა, როცა საგანგებო კენტურიის მეთაური, კენტურიონი მარკუსი, ვირთხათმძლედ წოდებული, პროკურატორის წინაშე წარდგა.

ვირთხათმძლე ლეგიონის ჯარისკაცთაგან უმაღლესი იყო და იმდენად მხარბეჭიანიც, რომ სრულად დაფარა ჯერ ამოუწვერავი მზე.

პროკურატორმა ლათინურად მიმართა კენტურიონს:

– დამნაშავე „კეთილ კაცს“ მიწოდებს. გაიყვანე და აუხსენი, როგორ უნდა მელაპარაკოს. ოღონდ ნუ დაასახიჩრებ.

და ყველამ, გაქვავებული პროკურატორის გარდა, თვალი მიადევნა მარკუს ვირთხათმძლეს, რომელმაც ტყვეს ხელით ანიშნა, უკან გაჰყოლოდა.

ვირთხათმძლე ერთობ დიდ ყურადღებას იპყრობდა უჩვეულო აღნაგობით, პირველმნახველთ კი მეტწილად მისი დამახინჯებული სახე აოცებდათ – ცხვირი გერმანული ჩუგლუგით ჰქონდა ჩატეხილი.

მარკუსის მძიმე ჩექმამ მოკირწყლოვ იატაკზე გაიბრახუნა, ხელდაბორკილი უჩუმრად გაჰყვა უკან და სვეტებიან თაღქვეშ მყუდროებამ დაისადგურა. ისმოდა, ბალის ტაფობზე, აივანთან, როგორ ღულუნებდნენ მტრედები და კიდეც, როგორ მღეროდა შადრევანი ძნელსაცნაურ, საამურ სიმღერას.

პროკურატორს მოესურვა წამომდგარიყო, წყლის ნაკადისთვის შეეშვირა საფეთქელი და მოესვენა, მაგრამ იცოდა, ესეც ვერ უშველიდა.

კენტურიონმა სვეტოვანიდან ბაღში გაიყვანა ტყვე, ბრინჯაოს ქანდაკების ფერხით მდგარ, გაქვავებულ ლეგიონერს ხელიდან ტაჯგანალი გამოართვა, ძალდაუტანებლად აიქნია და პატიმარს მხრებზე გადაუჭირა. კენტურიონმა დაუდევრად და მსუბუქად დაჰკრა, მაგრამ ხელდაბორკილი მოცელილივით დაასკდა მიწას, სული შეეხუთა, ფერი წაუვიდა და თვალები გადმოეკარკლა. მარკუსმა მარცხენა ტორით ცარიელი ტომარასავით აიტაცა წაქცეული, ფეხზე დააყენა და ადუდლუნდა, თან ძლივს წარმოთქვამდა არამეულ სიტყვებს:

– რომის პროკურატორს უწოდებ იგემონი. ბევრი არ ილაპარაკო. გაჭიმული იდეები. გაიგე თუ კიდევ დაგკრა?

ტყვე შექანდა, მაგრამ თავს სძლია, სახეზე ფერი მოუბრუნდა, ამოისუნთქა და ხმაჩახლეჩილმა უპასუხა:

– გავიგე, ნუ მცემ...

წუთის შემდეგ იგი კვლავ პროკურატორის წინაშე იდგა.

მინავლული, სნებიანი ხმა გაისმა:

– სახელი?

– ჩემი? – აჩქარებით მოუნაცვლა კითხვა პატიმარმა და სხეულზე დაეტყუო, ძალზე ეწადა, აზრიანად უპასუხა და პროკურატორი აღარ განერისხებინა.

პროკურატორმა ხმადაბლა თქვა:

– ჩემი – ჩემთვის ცნობილია. თავს ნუ ისულებ. შენი სახელი მითხარი.

– იეშუა, – სწრაფად უპასუხა პატიმარმა.

– მეტსახელად რას გეძახიან?

– ჰა-ნოცრის.

– სადაური ხარ?

– გამალიდან, – თავი გაიქნია და მიაწინა, რომ იქ, მარჯვნივ, ჩრდილოეთით იყო ასეთი ქალაქი, გამალა.

– ვისი გვარის ხარ?

– დანამდვილებით არ ვიცი, – სხარტად უპასუხა ტყვემ, – მშობლები აღარ მახსოვს. ამბობენ, მამაჩემი სირიელი ყოფილა...

– სად ცხოვრობ?

– მუდმივი ბინა არ გამაჩნია, – მორცხვად უპასუხა პატიმარმა, – ქალაქიდან ქალაქში ვმოგზაურობ.

– ამის თქმა მოკლედაც შეიძლება, ერთი სიტყვით მაწანწალა ხარ, – უთხრა პროკურატორმა და ისევ დაეკითხა, – ნათესავები გყავს?

– არავინ, მარტო ვარ ამქვეყნად.

– წერა-კითხვა თუ იცი?

– დიახ.

– არამეულის გარდა სხვა ენაც იცი?

– ვიცი. ბერძნული.

შეშუპებული ქუთუთო შეირხა და სნების კვალით დაბურული თვალი ტყვეს მიაჩერდა. მეორე თვალი დახუჭული ჰქონდა.

პილატემ ბერძნულად თქვა:

– მაშასადამე, ტაძრის დანგრევას აპირებდი და ხალხსაც აქეზებდი?

ტყვე ისევ გამოცოცხლდა, თვალეში შიში გაუქრა და ბერძნულადვე უპასუხა:

– მე, კეთილ... – წამოცდენილმა სიტყვამ თავზარი დასცა, ისევ სასოწარკვეთა ჩაეღვარა თვალეში, – ჩემს სიცოცხლეში არასოდეს მიფიქრია ტაძრის დაქცევა. არც არავინ წამიქეზებია ამ უაზრო საქციელისკენ.

დაბალ მაგიდასთან თავდახრილ მდივანს გაოცება დაეტყო სახეზე. წამისად ასწია თავი და მაშინვე ისევ პერგამენტს მიუბრუნდა.

– სადღესასწაულოდ ამ ქალაქში ათასი ჯურის ხალხი იყრის თავს. მოგვები, ასტროლოგები, წინასწარმეტყველები, მკვლელები, – დუნედ ამბობდა პროკურატორი, – ფლიდებიც გვხვდებიან. შენ, მაგალითად, ფლიდი ხარ. აქ გარკვევით წერია: ტაძრის დანგრევას მოუწოდებდაო. ამას ამოწმებს ხალხიც.

– ამ კეთილ ადამიანებს, – ალაპარაკდა ტყვე და სწრაფად დასძინა, – იგემონო, – მერე განაგრძო, – არასოდეს უსწავლიათ და ჩემი ნათქვამი ვერ გაიგეს, საერთოდ, მეშინია, რომ ეს გაუგებრობა დიდხანს გასტანს. ის ხომ სწორად არ იწერს ნათქვამს.

სიჩუმემ დაისადგურა. ახლა ორივე სნებიანი თვალი ტყვეს უცქეროდა მძიმედ.

– უკანასკნელად გიმეორებ, თავს ნუ ისულელებ, ავაზაკო, – ლბილად და დუნედ წარმოთქვა პილატემ, – აქ ბევრი არაფერი წერია, მაგრამ ჩამოსახრიობად ესეც კმარა.

– არა, არა, იგემონ, – ერთიანად დაიძაგრა ტყვე, – ის დამყვებოდა, დამყვებოდა და თხის პერგამენტზე იწერდა რაღაცას. ერთხელ ჩავიხედე, მინდოდა მენახა, რას წერდა და თავზარი დამეცა, იმგვარი არაფერი მეთქვა. შევეკედრე: დაწვი-მეთქი, ღვთის გულისათვის! მაგრამ მან პერგამენტი ხელიდან გამომტაცა და გაიქცა.

– ვისზე ამბობ? – ზიზღით ჰკითხა პილატემ და საფეთქელზე მიიღო ხელი.

– ლევი მათეზე მოგახსენებ, – გულლიად განუმარტა ტყვემ, – იგი მეზვერე იყო, პირველად ვიფაგიის გზაზე შევხვდი, ლელვის ბაღთან და გავესაუბრე. თავდაპირველად ცუდად მიმიღო და შეურაცხმყოფდა კიდევ, უფრო სწორად, ეგონა, შეურაცხმყოფდა, ძალსს თუ მიწოდებდა, – ტყვემ ჩაიციხა, – კეთილშობილი ცნოველია, არცა მწყენია...

მდივანმა წერა შეწყვიტა და გაოცებულმა, წარბებს ქვემოდან გახედა ტყვეს კი არა, პროკურატორს.

– ... თუმცა მალე შეისმინა ჩემი და გული მოიღობო, – განაგრძო იეშუამ, – ბოლოს ფული მიწაზე მოაბნია და მითხრა, შენ გამოგყვებიო სამოგზაუროდ...

პილატემ ცალყბად ჩაიცინა, ჩაყვიტლებული კბილები გამოაჩინა, მთელი ტანით შებრუნდა მდივნისაკენ და ჩაიბუტბუტა:

– ო, იერუშალაიმ! რას არ გაიგებ აქ! გესმით, მეზვერეს ფული გადაუყრია!

მდივანმა აღარ იცოდა, რა ეპასუხა და გაყინული ღიმილი შეაგება პილატეს.

– მან განმიმარტა, რომ ამიერიდან ფული შესძაგდა, – ლევი მათეს უცნაური საქციელი აუხსნა იეშუამ და განაგრძო, – იმ დღიდან ჩემი თანამგზავრია.

პროკურატორი ღიმილუცვლელად შეაჩერდა ტყვეს, შემდეგ სადღაც შორს, მარჯვნივ, ქვევით გართხმული იპოდრომის ცნენთა ქანდაკებების თავზე დავანებულ მზეს ახედა, უეცრად მტანჯველი გულზიდვა იგრძნო და გაიფიქრა, რომ ათასწილ იოლი იქნებოდა, აივნიდან გაეძევებინა ეს ავაზაკი, ერთადერთი სიტყვა წარმოეთქვა: „ჩამოახრჩვეთ“, შემდეგ მეზადრაგენიც დაეთხოვა, სვეტოვანიდან სასახლეში შესულიყო, ოთახის ჩაბნელება ებრძანებინა, ტახტზე დამხობილს საბრალობლად მოეხმო ძალღი ბანგა და მისთვის შეეჩვილა სატკივარი... და უეცრად, მაცდურმა ფიქრმა გაუელვა პროკურატორს... საწამლავი...

ამღვრეული თვალებით უმზერდა ტყვეს, ერთხანს დუმდა და ტანჯვით იხსენებდა, იერუშალაიმის მცხუნვარე მზის გულზე რად იდგა მის წინ ცემით სახედამახინჯებული პატიმარი და რას უნდა დაჰკითხვოდა კიდეც, ყოვლად უსარგებლოდ.

– ლევი მათე? – ხმა ჩაეხლიჩა სნეულს და თვალი დახუჭა.

– დიახ, ლევი მათე, – სმენას მისწვდა მაღალი, მტანჯველი ხმა.

– მაინც რას ეუბნებოდი ბაზარში შეკრებილ ბრბოს?

მოპასუხის ხმა თითქოს საფეთქლებს უბურღავდა და ენით აუწერელ ტკივილს აყენებდა.

– იგემონ, მე ვთქვი, რომ დაიქცეოდა ძველი რწმენის ტაძარი და ჭეშმარიტების ახალი საუფლო აღორძინდებოდა. მეგონა, ასე უფრო გაიგებდნენ.

– მაწანწალავ, ხალხს რად აშფოთებდი ბაზარზე ჭეშმარიტების ქადაგებით, თავად ხომ არაფერს უწყის მის შესახებ? განა იცი, რა არის ჭეშმარიტება?

უეცრად იზრახა პროკურატორმა: „ჰოი, ღმერთებო!.. განა შეიძლება სასამართლოზე ეს ჰკითხო?. . გონი მერევა... – და ისევ მუქსითხიანი თასი მოელანდა, – საწამლავი მომეცით, საწამლავი!“

კვლავ განმიანდა:

– უპირველესად, ჭეშმარიტება ის არის, რომ თავი გტკივა, ტკივილისაგან ძალმილეული სულმოკლედ ნატრობ სიკვდილს და არამცთუ ჩემთან საუბარი, თვალის გახელაც გიმძიმს. ახლა უნებლიეთ მე ვარ შენი ჯალათი, დამერწმუნე, ვწუხვარ. შენ ახლა ფიქრიც კი გიჭირს

და მხოლოდ შენი ძალის ნახვა გწადია, ის ალბათ ერთადერთი მეგობარია შენი, ერთადერთი არსება, ვინც გიყვარს. მაგრამ მალე დასრულდება ტანჯვა... ტკივილი გაგივლის.

თვალეზდაჭყეტილმა მდივანმა ტყვეს ახედა და გაშეშდა.

პილატემ ნაწამები თვალეზი მიაპყრო პატიმარს, ისიც დაინახა, მზე თავზე მოქცეოდა იპოდრომს, სხივი სვეტოვანში შემოჭრილიყო და იეშუას გაცვეთილ ხამლს ეპარებოდა. იგი კი თავს არიდებდა მზეს.

მაშინ კი წამოდგა პროკურატორი, შუბლზე თითები შემოისალტა და ზაფრანისფერ, გაპარსულ სახეზე სასოწარკვეთა აღებეჭდა. მაგრამ წამისად სძლია თავს და ისევ საკარცხულში ჩაესვენა.

ტყვე კი ლაპარაკობდა, მდივანი აღარაფერს იწერდა, ბატივით წაეგრძელებინა კისერი და იმას ცდილობდა, სიტყვა არ დასცდენოდა.

– აჰა, ტკივილმაც გაგიარა, – კეთილად გაუღიმა ტყვემ პილატეს, – ძალიან მიხარია. ჩემი რჩევა შეისმინე, იგემონო, ერთხანს დააგდე სასახლე და სადმე გარეუბანში გაისეირნე ფეხით, თუნდაც ზეთისხილის მთაზე, ბაღში. ჭექა-ქუხილი... – ტყვე შებრუნდა, მზეს მოუჭუტა თვალი, – მოგვიანებით, საღამოსპირზე აიშლება, სეირნობა ერთობ გარგებს, მეც სიამოვნებით გეახლებოდი თან. ახლა რაღაც მომაფიქრდა. ვგონებ, შენც გულისხმაში ჩაგაგდებს ჩემი ნააზრევი, ერთობ გონიერი კაცი ჩანხარ.

მდივანს მკვდრისფერი დაედო და გრაგნილი ხელიდან გაუვარდა.

– უბედურება ისაა, – განაგრძო ნებაზე მიშვებულმა ტყვემ, – რომ გულჩათხრობილი ხარ და უკვე აღარც ადამიანების გჯერა. დამეთანხმები, ხომ შეუძლებელია მთელი სიყვარული ძალღს შეალოო, სულით გაღარიბდი, იგემონო, – კვლავ კეთილად გაუღიმა პატიმარმა.

მდივანი ახლა იმასღა ფიქრობდა, ყური ხომ არ მატყუებსო, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა, უნდა ერწმუნა, მერე იმის წარმოდგენა სცადა, კერძოდ, რა საოცარი სახით გამჟღავნდებოდა გულფიცნი პროკურატორის რისხვა პატიმრის გაუგონარი თავხედობის გამო. ვერც ამას მიხვდა, თუმცა კი, კარგად იცნობდა პროკურატორს.

პილატეს ხრინწეპარული, ათრთოლებული ხმა გაისმა, მან ლათინურად თქვა:

– ხელები შეუხსენით!

მებადრაგე ლეგიონერთაგან ერთ-ერთმა შუბი იატაკს დაჰკრა, მეორეს გადასცა, ტყვეს მიუახლოვდა და თოკები შეხსნა. მდივანი იატაკზე დავარდნილ გრაგნილს დასწვდა და გადაწყვიტა, აღარაფერი ჩაეწერა, არც გაოცება დასტყობოდა სახეზე.

– აღიარე, – ხმადაბლა, ბერძნულად ჰკითხა პილატემ, – ცნობილი ექიმი ხარ?

– ცდები, პროკურატორო, ექიმი არ ვარ, – უპასუხა ტყვემ და ნეტარებით შეიზილა შეშუპებული, დაბუჟებული ხელის მტევნები.

პილატე წარბებს ქვემოდან, მზერით ბურღავდა ტყვეს, ამღვრეული თეთრონი დაწმენდოდა და უკვე ნაპერწკლებს აკვესებდა თვალეზიდან.

– ველარ გკითხე, – თქვა პილატემ, – ეგებ ლათინურიც იცი?

– დიახ, ვიცი, – უპასუხა ტყვემ.

ზაფრანისფერი ღაწვები აელანდა პილატეს და ლათინურად ჰკითხა:

– როგორ მიხვდი, ძაღლს რომ ვიხმობდი?

– ძალზე იოლად, – ლათინურადვე უპასუხა ტყვემ, – ჰაერს ისე ეფერებოდი... – ტყვემ პილატეს მოძრაობა გაიმეორა, – თითქოს ძაღლს უსვამდი ხელს და ტუჩებით...

– ჰო... – თქვა პილატემ.

დადუმდნენ, შემდეგ პილატემ ბერძნულად ჰკითხა:

– ექიმი ხარ?

– არა, არა, – სხარტად უპასუხა ტყვემ, – დამიჯერე, ექიმი არ ვარ.

– კეთილი, თუ გსურს საიდუმლოდ დარჩეს, შენი ნებაა. ეს საქმეს არ ეხება. მაშასადამე, ამტკიცებ, რომ არავინ წაგიქეზებია... ტაძრის დასანგრევად... . დასაწვავად ან სხვა ხერხით დასამხობად?

– იგემონო, კიდეც გიმეორებ, ამგვარი საქციელისკენ არავინ წამიქეზებია. განა შეშლილს ვგავარ?

– არა, შეშლილობას ვერავინ დაგწამებს, – ხმადაბლა უპასუხა პროკურატორმა და რაღაც შემზარავად გაუღიმა, – მაშ, დაიფიცე!

– რა დაგიფიცო, მითხარი? – მკვირცხლად ჰკითხა ბორკილშეხსნილმა.

– თუნდაც საკუთარი სიცოცხლე, – უპასუხა პროკურატორმა, – სწორედაც რომ დროულია, ბეწვზე ჰკიდია, იცოდე!

– ხომ არ გგონია, ბეწვზე შენ დაჰკიდე, იგემონო? – დაეკითხა ტყვე, – თუ ასე ფიქრობ, ძალიან ცდები!

პილატე შეკრთა და კბილებში გამოცრა:

– მე ისიც ძალმიძს, ეგ ბეწვი გადავჭრა!

– ამაშიც ცდები, – სახე მოიჩრდილა და გულლიად გაუღიმა ტყვემ, – დამეთანხმები, ბეწვის გადაჭრაც იმასვე ძალუძს, ვინაც დაჰკიდა.

– ჰო... – ღიმილით დაეთანხმა პილატე, – ახლა კი მივხვდი, რად დაგდევენ ფეხდაფეხ იერუშალაიმის უსაქმურები. არ ვიცი, ენა ვინ შეგაბა, მაგრამ კარგად კი შეუბამს. ერთი ისიც მითხარი, მართალია, რომ იერუშალაიმში სუზის კარიბჭიდან შემოხვედი სახედარზე ამხედრებული, უპოვართა და გლახაკთა ბრბო მოგაცილებდა და ვინმე წინასწარმეტყველივით გესალმებოდა? – პერგამენტის გრაგნილზე მიუთითა პილატემ.

ტყვემ გაოცებით შეხედა პილატეს.

– სახედარი არცა მყოლია, იგემონო, იერუშალაიმში მართლაც სუზის კარიბჭიდან შემოვდი, ფეხით და მხოლოდ ლევი მათე მახლდა თან. ვინ უნდა მომსალმებოდა, არავინ მიცნობდა იერუშალაიმში.

– ხომ არ იცნობ, – პილატემ თვალი თვალში გაუყარა ტყვეს, – ვინმე დისმასს, გესმასს და ბარ-რა-ბას?

– ამ კეთილ ადამიანებს არ ვიცნობ, – უპასუხა ტყვემ.

– სიმართლეს ამბობ?

– სიმართლეს.

– ახლა ისიც მითხარი, წამდაუწუმ „კეთილ ადამიანებს“ რად გაიძახი? შენ რა, ყველას ასე უწოდებ?

– ყველას, – უპასუხა ტყვემ, – ბოროტები არ არიან ამქვეყნად.

– პირველად მესმის, – ჩაიჭირჭილა პილატემ, – ეგებ ნაკლებად ვიცნობ ცხოვრებას? ნულა ჩაიწერთ, – მიმართა მდივანს, თუმცა იგი კარგა ხანია აღარაფერს იწერდა, და კვლავ ტყვეს მიუბრუნდა, – ეგ სიბრძნე რომელიმე ბერძნულ წიგნში ამოიკითხე?

– არა, თავად მივხვდი.

– ამას ქადაგებ?

– დიახ.

– კენტურიონი მარკუსი, ვირთხათმძლედ წოდებული, ისიც კეთილია?

– დიახ, – უპასუხა ტყვემ, – უბედური კაცია მხოლოდ. კეთილმა ხალხმა დაამახინჯა, ისიც გაბოროტდა და გული გაუქვავდა. ნეტა ვინ გაიმეტა ასე?

– სიამოვნებით გაუწყებ, – უპასუხა პილატემ, – ეგ ყოველივე ჩემ თვალწინ მოხდა. ის კეთილი ხალხი ისე შემოესია კენტურიონს, როგორც დათვს დააცხრებიან ხოლმე მეძებრები. გერმანები კისერში სწვდნენ და ხელ-ფეხი გაუკავეს. ქვეითები ალყაში მოექცნენ და ფლანგიდან ცხენოსნები რომ არ წამოშველებოდნენ, მათ მე ვსარდლობდი, აღარც შენ მოგიწევდა, ფილოსოფოსო, კენტურიონთან საუბარი. ეს მოხდა იდისტავიზოსთან, ქალწულთა ველზე.

– მასთან რომ მალაპარაკა, – ოცნებით ჩაილაპარაკა ტყვემ, – მჯერა მოვაქცევდი.

– არა მგონია, ლეგიონის ლეგატი მადლიერი დაგრჩენოდა, თუ მის რომელიმე ოფიცერს ან ჯარისკაცს გაესაუბრებოდი. თუმცა, საბედნიეროდ, ეს არ მოხდება და ამაზე უპირველესად მე ვიზრუნებ.

უეცრად სვეტოვანში მერცხალი შემოფრინდა, ოქროსფერ ჭერქვეშ კამარა შეკრა, დაბლა დაეშვა, ლამის ფრთა წაჰკრა ნიშაში ასვეტილ სპილენძის ქანდაკებას და თაღის უკან მიიმალა, ეგებ ბუდის აგება ეწადა იქ.

ვიდრე მერცხალი დაფრინავდა, პროკურატორის აწ ტკვილდახსნილ გონებაში აზრი მომწიფდა, კერძოდ ასეთი: იგემონმა განიხილა მოხეტიალე ფილოსოფოსის, იეშუას, მეტსახელად ჰა-ნოცრის საქმე და ცნო იგი უდანაშაულოდ... კერძოდ, ვერ მიაკვლია, რა კავშირი ჰქონდა იერუშალაიმში ცოტა ხნის წინ მომხდარ მღელვარებასთან. ამის გამო არ დაამტკიცა მცირე სინედრიონის^[4] მიერ გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი. მაგრამ რადგანაც ჰა-ნოცრის უგუნურმა საუბარმა, შესაძლებელია, იერუშალაიმის ბინადართა მღელვარება გამოიწვიოს, პროკურატორი ბრძანებს, გააძვეონ ქალაქიდან და ხმელთაშუა ზღვაში, სტრატონის კესარეაში დაატყვევონ, სწორედ იქ, სადაც პროკურატორის რეზიდენცია მდებარეობდა.

ისღა რჩებოდა, მდივნისათვის ეკარნახა განაჩენი.

მერცხლის ფრთებმა იგემონის ყურთან გაიბათქუნა, ჩიტი შადრევნის თასს მიაწყდა და გაინავარდა. პროკურატორმა ტყვეს ახედა და დაინახა, მის ხამლთა სიახლოვეს სვეტად აბუქდა მტვერი.

– სულ ეს არის? – მდივანს დაეკითხა პილატე.

– არა, სამწუხაროდ, – მოულოდნელად უპასუხა მდივანმა და პერგამენტის ახალი გრაგნილი მიაწოდა.

– კიდევ რაღა? – ჰკითხა პილატემ და მოიღუშა.

მოწოდებული წაიკითხა და უფრო მეტად ეცვალა ნირი. ეგებ სისხლი მოაწვა ღაწვებზე, თუ სხვა რამ მიზეზი იყო, მაგრამ ზაფრანისფერი სახე ჩაუშავდა, თვალები კი თითქოს ჩაუქრა.

ეგებ ისევ საფეთქლებს მოწოლილი სისხლის ბრაღი იყო, მაგრამ პროკურატორს მზერა აებნა. მოეჩვენა, თითქოს სადღაც გაცურდა პატიმრის თავი და მის ნაცვლად სხვა დაედგა. ამ გამელოტებულ თავს კბილმეჩხერი ოქროს გვირგვინი ამშვენებდა, შუბლზე მრგვალი იარა აჩნდა, კანისგამღრღნელი და მალამოწაცხებული. ქვედა ყბა ჩამოვარდნოდა და უკბილო პირის ღრუ მოუჩანდა. სადღაც გაქრა ვარდისფერი სვეტოვანი თაღი და ბაღს იქით არეკლილი იერუშალაიმის სახურავები, ირგვლივ ყოველივე კაპრის ბაღთა სიმწვანემ გადაფარა. სმენასაც რაღაც დაემართა, თითქოს შორეთში ხმამალალი რისხვით დაგრგვინეს საყვირები და ცხადად გახმიანდა ნიღნიღა ხმა, დამცინავად რომ წელავდა სიტყვებს... „დიდებულების შეურაცხყოფის კანონით... „

მოკლე, ერთმანეთს დაუკავშირებელმა და უჩვეულო აზრებმა გაუელვა: „დაიღუპა!“ შემდეგ: „დავიღუპეთ!“ და სრულიად უაზროდ, ვიღაც თანამდებობიანზე: „უცილობლად ერგოს – მერე რა? – უკვდავება“, ამასთან, „უკვდავებამ“ რატომღაც აუტანელი ნაღველი მოჰგვარა.

პილატე დაიძაბა, ხილვა განდევნა, მზერა აივანზე მოაბრუნა და ისევ პატიმრის თვალებს წააწყდა.

– მისმინე, ჰა-ნოცრი, – ბოლოს ალაპარაკდა პროკურატორი და იეშუას უცნაურად შეხედა: სახეზე მრისხანება ეწერა, თვალებში კი შემოფოთება ედგა, – ოდესმე დიდებულ კეისარზე თუ

გითქვამს რამე? მიპასუხე! გითქვამს? თუ... არა? . – პილატემ სიტყვა „არა“ უფრო გაწელა, ვიდრე ეს სასამართლოზე იყო დაშვებული და იეშუას მზერით რაღაც აზრი გაუგზავნა, თითქოს პატიმრისათვის ეწადა შთაეგონებინა.

– სიმართლის თქმა იოლია და სასიამოვნო, – შენიშნა ტყვემ.

– არ მსურს გავიგო, – დაგუდული, გაბოროტებული ხმით უთხრა პილატემ, – გსიამოვნებს თუ არა სიმართლის ლაპარაკი. მაგრამ თქმა კი მოგიწევს. ოღონდ, ვიდრე იტყოდე, ყოველი სიტყვა აწონ-დაწონე, თუ არ გწადია უცილობელი და მტანჯველი სიკვდილი.

არავინ უწყის, რამ უბიძგა იუდეველთა პროკურატორს, ეს კი იყო, ხელი ასწია, თითქოს სახე მოიჩრდილაო, და უცხო თვალთაგან დაფარულად რაღაც ანიშნა ტყვეს.

– ჰოდა, – განაგრძო მან, – მიპასუხე, იცნობ თუ არა კირიათელ იუდას, და რას ეუბნებოდი მას კეისარზე?

– ეს ასე იყო, – ხალისიანად დაიწყო ტყვემ, – გუშინწინ, ტაძართან ერთი ყმაწვილი კაცი გავიცანი, როგორც მითხრა, კირიათელი იუდა იყო. მან შინ მიმიწვია, ქვედა ქალაქში და გამიმასპინძლდა...

– კეთილი კაცია? – ჰკითხა პილატემ და სატანური ალი დაკვესა თვალთაგან.

– ძალიან კეთილი და ცნობისმოყვარე, – დაუმოწმა ტყვემ, – გულისყურით მომისმინა, თბილად მიმიღო...

– ლამპარიც აანთო... – პატიმრის კილოზე კბილებში გამოსცრა პილატემ და თვალელები აუციმციმდა.

– დიახ, – განაგრძო ოდნავ გაოცებულმა იეშუამ, – მთხოვა, ჩემი აზრი გამომეთქვა სახელმწიფო წყობაზე. მომეტებულად ეს აინტერესებდა.

– შენ რაღა უთხარი? – დაეკითხა პილატე, – თუ დაგავიწყდა? – პროკურატორის ხმაში უკვე სასოწარკვეთა ჟღერდა.

– სხვათა შორის, ვთქვი, – განაგრძო პატიმარმა, – რომ ყოველი ძალაუფლება ძალადობაა. მალე მოაწევს ჟამი, გაქრება კეისარიცა და მისი ძალაუფლებაც. ადამიანი ჭეშმარიტებისა და სიმართლის საუფლოში გადასახლდება, სადაც აღარ იარსებებს არავითარი მმართველობა.

– შემდეგ?!

– შემდეგ არაფერი, – თქვა პატიმარმა, – ამ დროს ხალხი მომცვივდა, ხელები გამიკრეს და ციხეში წამიყვანეს.

მდივანი ცდილობდა სიტყვა არ გამორჩენოდა, აჩქარებით გამოჰყავდა სიტყვები პერგამენტზე.

– ამქვეყნად არ არსებულა, არ არსებობს და არც იარსებებს უფრო დიდებული და წარმტაცი ძალაუფლება, ვიდრე იმპერატორ ტიბერიუსის მმართველობაა, – იმძლავრა პილატეს თრთოლაშეპარულმა, სნებიანმა ხმამ.

პროკურატორი, რატომღაც, ზიზღით უცქეროდა მდივანს და მეზადრაგებს.

– და იგი შენი განსასჯელი არ არის, ბრიყვო! – უცრად იღრიალა პილატემ, – ბადრაგი აივნიდან გაიყვანეთ! – შემდეგ მდივანს მოუბრუნდა, – მარტო დაგვტოვეთ, სახელმწიფო საქმეა!

მეზადრაგებმა შუბები ასწიეს, ნალდაკრული წაღების ზომიერი რაწკუნით გავიდნენ აივნიდან და მათ უკან მდივანიც მიჰყვა.

აივანზე გამეფებულ სიჩუმეს ერთხანს შადრევნის წყლის სიმღერა არღვევდა. პილატე ხედავდა, როგორ იბურცებოდა მილს ზემოთ წყალი, შემდეგ კიდეები ემსხვრეოდა და ნაკადულებივით ეცემოდა ძირს.

ისევ ტყვე ალაპარაკდა.

– ვხედავ, კარგი არაფერი მოჰყოლია კირიათელ ყმაწვილთან საუბარს, იგემონო. ისეთი წინათგრძნობა მაქვს, თითქოს უბედურება შევამთხვავე, ძალიან მეზრალემა.

– მე კი მგონია, – უცნაურად ჩაიცინა პილატემ, – ამქვეყნად ერთი სულიერი იუდა კირიათელზე შესაბრაღისია, მას მეტი სიმძიმილი ეღის, ვიდრე იუდას! ამგვარად, გულქვა და დაუეჭვებელი ჯალათი მარკუს ვირთხათმძლე, ადამიანები, რომელთაც, – პროკურატორმა იესოს დამახინჯებულ სახეზე მოუთითა, – ქადაგების გამო გცემეს, ავაზაკი დისმასი და გესმასი, თავის დამქაშებთან ერთად ოთხი ჯარისკაცი რომ მოკლეს დაბოლოს, ბინძური მოღალატე – იუდა, ყველანი კეთილები არიან?

– დიახ, – უპასუხა ტყვემ.

– და მოვა ჟამი ჭემმარიტების მეუფებისა?

– მოვა, იგემონო, – გულდაჯერებით უთხრა ტყვემ.

– არასოდეს! – საზარღად იღრიალა პილატემ და იეშუამ უკან დაიხია. ამგვარი ხაფი ხმით უყვიროდა თავის ჯარისკაცებს მრავალი წლის წინ, ქალწულთა ველზე: „დასცხეთ! დასცხეთ! მარკუს ვირთხათმძლე ალყაშია!“ აწ უფრო იმძღავრა ხშირი ბრძანებებით ჩახლეჩიღმა ხმამ, – დამნაშავე ხარ, დამნაშავე, დამნაშავე!

შემდეგ ჩურჩულით ჰკითხა:

– იეშუა ჰა-ნოცრი, თუ გწამს რომელიმე ღმერთი?

– ღმერთი ერთია, – უპასუხა იესომ, – ის მწამს.

– ჰოდა, ილოცე! გულმხურვალედ ილოცე! თუმცა, – პილატეს ხმა ჩაუწყდა, – აღარაფერი გიშვეღის. ცოღი თუ გყავს? – რატომღაც ნაღვღიანად დაეკითხა და ვერ მიხვდა, ასე რამ შეუძრა გული.

– არა, მარტო ვარ.

– საძაგელი ქალაქი, – უცებ რატომღაც ჩაიბუტბუტა პროკურატორმა, თითქოს გააცნაო, მხრები შეუტოკდა და ხელები ისე მოიფშვნიტა, გეგონებოდათ, წყალი გადაივლო, – იუდა კირიათელთან შეხვედრამდე ყელი რომ გამოელადრათ შენთვის, აჯობებდა.

– იქნებ გაგეშვი, იგემონო, – მოულოდნელად შეევედრა ტყვე და ხმაში შემოფოთება დაეტყო, – ვგონებ, სიკვდილს მიპირებენ.

პილატეს კრუნჩხვით მოექცა სახე, ანთებული, ჩასისხლიანებული თვალები მიაპყრო იეშუას და უთხრა:

– როგორ გგონია, უბედურო, რომაელ პროკურატორს შესწევს ძალა, ტყვეობიდან დაიხსნას კაცი, ვინც შენსავით ლაპარაკობს? ო, დიდებულო ღმერთებო! ეგებ გგონია, მაგ ადგილის დაკავება მსურს? მე შენს აზრებს არ ვიზიარებ. და კარგად დაიხსომე, ამიერიდან სიტყვაც რომ დაგცდეს, მიფრთხილდი! გიმეორებ: მიფრთხილდი!

– იგემონო...

– ხმა! – იყვირა პილატემ და შეშლილი მზერა გააყოლა შემოჭრილ მერცხალს, – ჩემკენ! – იყვირა შემდეგ.

ოდეს მეზადრაგენი და მდივანი თავ-თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ, პროკურატორმა განაცხადა, რომ ამტკიცებდა მცირე სინედრიონის მიერ იეშუა ჰა-ნოცრისათვის გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს და მდივანმაც სიტყვასიტყვით ჩაიწერა ნათქვამი.

წუთის შემდეგ პროკურატორის წინაშე მარკუს ვირთხათმძლე იდგა. პილატემ უბრძანა, საიდუმლო სამსახურის მეთაურისთვის ჩაებარებინა დამნაშავე, თანაც პროკურატორის ნება გადაეცა, რომ იეშუა ჰა-ნოცრი სხვა პატიმრებისგან გაეცალკეებინათ და მცველთათვის, უმძიმესი სასჯელის შიშით, აეკრძალათ მასთან ლაპარაკი ან მის შეკითხვებზე პასუხის გაცემა.

მარკუსის ნიშანზე მეზადრაგენი გარს შემოერთყნენ ტყვეს და აივნიდან გაიყვანეს.

შემდეგ პროკურატორის წინაშე წარდგა წარმოსადეგი, ჟღალწვერიანი, ლამაზი კაცი, მკერდზე ლომის ხახა უელავდა, ჩაფხუტის თხემი არწივის ნაკრტენით ჰქონდა დამშვენებული, ხმლის აშურმაზე ოქროსფერი ბალთები ეკეთა, სამმაგლანჩიანი ფეხსამოსი მუხლამდე შეეშარტა და მარცხენა მხარზე მეწამული მოსასხამი მოეგდო. ლეგიონის ლეგატი იყო. პროკურატორი დაეკითხა, ამჟამად სად იმყოფებოდა სებასტიის კოჰორტა. ლეგატმა ამცნო, სებასტიელები იპოდრომთან, მოედანზე ამაგრებენ ალყას, სადაც ხალხს ეუწყება განაჩენი.

მაშინ პროკურატორმა ბრძანა, რომაული კოჰორტიდან ორი კენტურია გამოეყო ლეგატს. პირველისათვის ვირთხათმძლეს ეწინამძღვრა, დამნაშავენი, დასასჯელი მოწყობილობა და ჯალათთა მაზიდები მიეცილებინათ ტაბაკელას მთაზე და მისვლისთანავე დაეკავებინათ ზედა ქამარი. მეორეს კი წამის დაუხანებლად უნდა გაეწია ტაბაკელასკენ და ალყა შემოერთყა მისთვის. პროკურატორმა ლეგატს სთხოვა, იმავე მიზნით, ესე იგი, მთის დასაცავად, გაეგზავნა ცხენოსანთა დამხმარე პოლკი – სირიელთა ალა.

ლეგატი აივნიდან გავიდა, პროკურატორმა კი მდივანი იხმო, უბრძანა სინედრიონის პრეზიდენტი, მისი ორი წევრი და იერუშალაიმის ტაძრის მცველთა უფროსი მოეწვია, თანაც დასძინა, ისე მოეწყო, რომ რჩეულთა თათბირამდე, პრეზიდენტს შეხვედროდა პირისპირ.

პროკურატორის ბრძანება თვალის დახამხამებაში, სიტყვის შეუბრუნებლად შესრულდა და მზე, რომელიც იმ დღეებში საოცარი სიფიცხით წვავდა იერუშალაიმს, ჯერ შუბის წვერზე არ იყო ასული, რომ ბაღის ზედა ტაფობზე კიბესთან მოდარაჯე მარმარილოს ლომთა ფერხითთ, ერთმანეთს შეხვდნენ პროკურატორი და სინედრიონის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, იუდეველთა ქურუმთქურუმი – იოსებ კაიაფა.

ბაღში სიჩუმე სუფევდა. სვეტოვანიდან გამოსულებმა საოცარი, გაბარჯგულდერიანი პალმებით დამშვენებული, მზედაღვრილი ბაღის ზედა ტაფობზე დაივანეს და პროკურატორს თვალწინ აერეკლა საძულველი ქალაქი იერუშალაიმი, მისი თავკიდული ბაღები, ციხესიმაგრეები, იგავმიუწვდენელი, გველშაპის ქერეჭის მსგავსად მოვარაყებული უზარმაზარი გუმბათი – ტაძარი იერუშალაიმისა და სადღაც შორს, დაბლიდან, სადაც ბაღის ქვედა ტაფობი და ქალაქის მოედანი იკვეთებოდა, პროკურატორის მახვილ სმენას ხმადაბალი დრტვინვა მისწვდა, ჟამიჟამ სუსტი, გამყინავი კვნესა თუ ყვირილი რომ ფარავდა.

პროკურატორი მიხვდა, მოედანზე უკვე თავი მოეყარა უკანასკნელი არეულობებით აღელვებულ იერუშალაიმის მკვიდრთა ბრბოს, ბრბო მოუთმენლად ელოდა განაჩენს და გაჰყვიროდნენ ხალხში შერეული, მუდამ მოუსვენარი წყლის გამყიდველნი.

პროკურატორმა ამ უმოწყალო ხვატისაგან თავის დასაღწევად უპირველესად, აივანზე მიიწვია ქურუმთქურუმი, მაგრამ კაიაფამ თავაზიანად ჰკადრა უარი. პილატემ მელიოტშეპარულ თავზე კაპიუშონი იფარა და ალაპარაკდა. ბერძნულად საუბრობდნენ.

თავდაპირველად ის აუწყა ქურუმთქურუმს, იეშუა ჰა-ნოცრის საქმე განვიხილეთ და სასიკვდილო განაჩენი დავამტკიცეთო.

ამგვარად, დღეს სამ ავაზაკს ჰქონდა სიკვდილი მისჯილი – დისმასს, გესმასს, ბარაბასა და ამათ გარდა, კიდევ იეშუა ჰა-ნოცრის. ამათგან ორმა კეისრის წინააღმდეგ განიზრახა ხალხის აჯანყება, რომის მმართველობამ შეიპყრო ბრძოლით, ამიტომ არ ღირდა მათზე საუბრის გაგრძელება, უკანასკნელნი კი, ბარაბა და ჰა-ნოცრი, ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაატყვევა და სინედრიონმა დასდო მსჯავრი. კანონისა და ადათის თანახმად, დიდებული დღესასწაულის, პასექის დადგომასთან დაკავშირებით, ამ ორთაგან ერთ-ერთს თავისუფლება უნდა მინიჭებოდა.

ამგვარად, პროკურატორს ახლა ის ეწადა შეეტყო, ვის ათავისუფლებდა სინედრიონი: ბარაბას თუ ჰა-ნოცრის? კაიაფამ თავის დახრით ანიშნა, შეკითხვას მიგიხვდიო და უპასუხა:

– სინედრიონი ითხოვს ბარაბას მიენიჭოს თავისუფლება!

პროკურატორი ქურუმთქურუმისგან სწორედ ამ პასუხს ელოდა, მაგრამ უმთავრესი ის იყო, კაიაფა მიეხვედრებინა, პასუხმა რომ გააოცა.

პილატემ დიდი ოსტატობით გამოხატა გაკვირვება, დამცინავ სახეზე წარბები აძვია და გულწრფელი გაოგნებით ჩახედა თვალებში ქურუმთქურუმს.

– გამოგიტყდებით, ამგვარი პასუხი მაოცებს, – თბილად შეაპარა პროკურატორმა, – ხომ არ ცდებით?

და განუმარტა. რომაული მთავრობა სულაც არ ზღუდავს ადგილობრივ სასულიერო ხელისუფალთ, ქურუმთქურუმს ეს, დიანაც მოეხსენება, მაგრამ ამჯერად უთუო შეცდომასთან გვაქვს საქმე. ხოლო ამ შეცდომის გამოსწორებას, რა თქმა უნდა, ძალზე ისურვებდა რომაული მმართველობა.

მართლაც, ბარაბასა და ჰა-ნოცრის დანაშაული ერთგვაროვანი როდია, თუ ჰა-ნოცრის, ამ შეშლილ კაცს, მხოლოდ და მხოლოდ ის ედება ბრალად, რომ იერუსალიმსა თუ სხვა ქალაქებში უაზრო ქადაგებით აშფოთებდა ხალხს, პირველს უფრო მეტი ცოდვა ამძიმებს. იგი აჯანყებისკენ აქეზებდა ხალხს და ამას გარდა, მცველიც შემოაკვდა დაპატიმრებისას. ბარაბას მეტი დანაშაული მიუძღვის, ვიდრე ჰა-ნოცრის.

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო, პროკურატორი სთხოვდა ქურუმთქურუმს, ერთხელ კიდევ აეწონა პასუხი და ორთაგან ის მსჯავრდებელი გაეთავისუფლებინა, ვინაც ნაკლებად საშიში იყო, ასეთად კი, უდავოდ, ჰა-ნოცრი ესახებოდა. ამგვარად?

კაიაფამ თვალი გაუსწორა პილატეს და ხმადაბლა, მაგრამ მტკიცედ გაუმეორა, სინედრიონი გულდასმით გაეცნო საქმეს და ხელმეორედ აცხადებს, თავისუფლება ბარაბას ეკუთვნისო.

– როგორ? ჩემი შუამდგომლობის მიუხედავად? მე ვშუამდგომლობ, ვისი სახითაც რომის ძალაუფლება ლაპარაკობს! ქურუმთქურუმო, მესამედაც გამიმეორე!

– მესამედაც გაუწყებ, პროკურატორო, ვათავისუფლებთ ბარაბას, – ხმადაბლა უთხრა კაიაფამ.

ყოველივე დასრულდა, აწ აღარაფერზე შეიძლებოდა ლაპარაკი. ჰა-ნოცრი სამარადისოდ მიდიოდა და პროკურატორის სამინელო, ბოროტ სნებას ველარავინ უშველიდა. მისგან სახმილი აღარ იყო სიკვდილის გარდა. მაგრამ ახლა ეს ნაკლებად თავზარდამცემი ეჩვენა პილატეს. კვლავ იმავე, გაურკვეველმა ნაღველმა, ადრე აივანზე რომ ეწვია, შეუძრა მთელი არსება. იმავე წამს სცადა მიზეზს ჩასწვდომოდა და გაოცდა – პროკურატორს ბუნდად ეჩვენა, რომ რაღაც ბოლომდე ვერ უთხრა ტყვეს, ეგებ რაღაცაც ვერ მოისმინა ბოლომდე.

პილატემ ფიქრი განდევნა და ისიც მალევე ჩამოსცილდა. ფიქრი გაფრინდა, მაგრამ ნაღველი დარჩა, ის გაურკვეველი ნაღველი, რომელსაც ვერა და ვერ განუმარტავდა ელვასავით გამკრთალი და იმავე წამს მილეული რაღაც მოკლე, სრულიად სხვა აზრი: „უკვდავება... უკვდავება მოვიდა...“, ვისი უკვდავება, ამას ვერ მიხვდა პილატე. მაგრამ ამ იდუმალ უკვდავებაზე გაფიქრებისას ცივად შეაჟრჟოლა მზვარეში.

– კეთილი, – თქვა პილატემ, – დე, ასე იყოს!

შებრუნდა, თვალი მოავლო თვალსაწიერს და ცვლილებამ გააოცა. ვარდებით დამძიმებული ბუჩქი გამქრალიყო, აღარც ზედა ტაფობს შემოჯარული კვიპაროსები ჩანდა, აღარც ბროწიულის ხე, მწვანეში ჩაფლული თეთრი ქანდაკება და თვით სიმწვანე. მის ნაცვლად რაღაც მეწამული გუბე ატივტივდა, შიგ წყალმცენარეები შეირხნენ, სადღაც გასრიალდნენ და პილატეც თან წარიტაცეს. ახლა მას უბიძგებდა და მიაქანებდა, ხუთავდა და წვავდა საზარი რისხვა, რისხვა უსუსურობისა.

– სული მეხუთება, – გამოცრა პილატემ, – სული მეხუთება!

მან გათოშილი, ოფლიანი თითებით გაგლიჯა საყელოს ბალთა და მოსასხამი ქვიშაზე დააგდო.

– სუნთქვა ჭირს, სადღაც წვიმს ალბათ, – ხმა გასცა კაიაფამ, პროკურატორის წამონთებულ სახეს დააკვირდა და წინასწარ შეიგრძნო კვლავ მოსალოდნელი წამება, – „ო, რა საშინელი თვეა ნისანი ამ წელს!“

– ცდები, – უთხრა პილატემ, – სიცხის რა ბრალია, შენს სიახლოვეს მეხუთება სული, კაიაფა, – პილატემ თვალი მოჭუტა, გაიღიმა და განაგრძო, – თავს გაუფრთხილდი, ქურუმთქურუმო!

ქურუმთქურუმმა ლუსკუმი თვალეები დაკვესა და მანაც, პროკურატორზე არანაკლები ოსტატობით გამოხატა გაოცება.

– ეს რა მესმის, პროკურატორო? – მშვიდად და ამაყად მიუგო კაიაფამ, – შენვე დაამტკიცე განაჩენი და მე მემუქრები? განა ეს დასაშვებია? ჩვენ მივეჩვიეთ, რომ რომელიც პროკურატორი სიტყვებს წონიდა წარმოთქმამდე. ვინმე არ გვისმენდეს, იგემონო!

პილატემ ჩამკვდარი მზერა მიაპყრო ქურუმთქურუმს, კბილები დაკრიჭა და ცალყბად გაუღიმა:

– რა ბრძანებაა, ქურუმთქურუმო! ვინ უნდა გვისმენდეს? განა იმ მოხეტიალე ღვთის გლახას ვგავარ, დღეს რომ დასჯიან? პატარა ბიჭი ხომ არ გგონივარ, კაიაფა? კარგად ვიცი, რას ვამბობ და სად! ალყაშემორტყმულია ბაღიც და სასახლეც, თავი ვერ შემოდგრება! თავი კი არა, აი ის, რა ჰქვია... კირიათელიც ვერ შემოადწევს... ხომ არ იცნობ, ქურუმთქურუმო? დიახ... აქ რომ შემომძვრალიყო, მწარედ ინანებდა, ამას ხომ მაინც დამიჯერებ? გახსოვდეს, ქურუმთქურუმო, დღეიდან საშველს ნულა ელი! ნურც შენ და ნურც შენი ხალხი! – პილატემ შორეთში ამალღებული ტაძრისკენ გაიშვირა ხელი, – ამას მე გეუბნები, პილატე პონტოელი, ოქროსშუბიანი მხედარი.

– ვიცი, ვიცი! – უშიშრად უპასუხა კაიაფამ და თვალეები დაკვესა. მან ზეცისკენ აღაპყრო ხელნი და განაგრძო, – იციან იუდეველთა, რომ მთელი გულით გძაგს ისინი, მრავალ სატანჯველსაც მოუვლენ, მაგრამ ვერ დალუპავ! ღმერთი დაგვიცავს! შეისმენს ჩვენს მუდარას, შეისმენს ყოვლისშემძლე კეისარი და დაგვიფარავს მტარვალი პილატესაგან!

– არა! – ინავლა პილატემ და იგრძნო, ყოველი სიტყვის წარმოთქმისას, როგორ უხალვათდებოდა გული: აღარც თვალთმაქცობა იყო საჭირო, აღარც სიტყვის მოზომვა, – ერთობ ხშირად შეგიჭირვებია კეისარი და ახლა ჩემი ჯერი დადგა, კაიაფა! ახლა მე მივაწვდი ამბავს, ანტიოქიასა და რომში კი არა, პირდაპირ კაპრში, თვით იმპერატორს შევატყუობინებ, როგორ იფარავთ სიკვდილისაგან პირწავარდნილ მეამბოხეებს იერუშალაიმში. და სოლომონის ტბორებით კი არ დავარწყულებ მაშინ იერუშალაიმს, როგორც მეწადა თქვენდა სასიკეთოდ! არა, წყლით, არა! გაიხსენე, თქვენ გამო ჩამოვხსენი კედლიდან იმპერატორის დამლადადებული შუბები, ჯარის განლაგება შევცვალე და ხედავ, თავად ჩამოვედი, რათა მენახა, რა ხდებოდა აქ, თქვენთან! ჩემი ნათქვამი დაიხსომე, ქურუმთქურუმო! ერთსა და ორ კოჰორტას არ ნახავ იერუშალაიმში, არა! ქალაქის კედლებს ფულმინატის მძიმედ შეჭურვილი ლეგიონი და არაბ ცხენოსანთა რაზმები მოადგება, მაშინ გაიგებ გულამოსკვნილ მოთქმა-გოდებას! მაშინ გაგახსენდება დახსნილი ბარაბა და მწარედ ინანებ, რომ სასიკვდილოდ გაიმეტე სიკეთის მქადაგებელი ფილოსოფოსი!

ქურუმთქურუმს სახე აუფორეჯდა, თვალები დაკვესა. პროკურატორივით მანაც დაკრიჭა კბილები ღიმილის ნიშნად და უპასუხა:

– ნუთუ თავად გჯერა შენი ნათქვამის, პროკურატორო? არა მგონია! იერუშალაიმში სიკეთე არ მოუტანია ხალხთა მაცდურს და შენც, მხედარო, ეს კარგად მოგეხსენება! შენ მისი გათავისუფლება გსურდა, რათა ხალხი შეეშფოთებინა, რწმენა წაეხილწა და იუდეველნი რომაული მახვილის ქვეშ მოექცია! მაგრამ მე, იუდეველთა ქურუმთქურუმი, ვიდრე ცოცხალ ვარ, რწმენას არ წაგაბილწვინებ და ხალხს არ დაგიმონებ! გესმის, პილატე? – და კაიაფამ მრისხანედ აღმართა ხელი, – ყური მიუგდე, პროკურატორო!

კაიაფა დადუმდა და პროკურატორის სმენას კვლავ მისწვდა ჰეროდე დიდის ბაღს შეხეთქებული ზღვის შირალისდარი ხმა. ზათქი პილატეს ტერფებს აწყდებოდა და სახემდე აღწევდა, ზურგს უკან კი, იქ, სასახლის ფრთების მიღმიდან, საყვირების განგაშიანი გადაძახილი, ასობით ფენის მძიმე ხრაშუნი და რკინის ჭახუნი მოისმოდა – პროკურატორი მიხვდა, მისი ბრძანებისამებრ რომაელი ქვეითები უკვე ტოვებდნენ სასახლეს და ავაზაკთა და მოჯანყეთა სასიკვდილო აღლუმზე ისწრაფოდნენ.

– გესმის, პროკურატორო? – ჩურჩულით გაუმეორა ქურუმთქურუმმა, – ნუთუ დამიმტკიცებ, რომ ეს ყოველივე, – კაიაფამ ხელები ზეალაპყრო და მუქი კაპიუშონი თავიდან ჩაუცურდა, – იმ საბრალო ავაზაკის – ბარაბას დამსახურებაა?

პროკურატორმა ხელის ზურგით შეიწმინდა ცივი ოფლით დაცვარული შუბლი, მიწას დააჩერდა, შემდეგ თვალმოჭუტულმა ახედა ცას, დაინახა, გავარვარებული დისკო პირდაპირ მას დასცქეროდა, კაიაფას ჩრდილი კი ლომის კუდთან მიკუნტულიყო და ხმადაბლა, გულგრილად წარმოთქვა:

– მოშუადღევდა, საუბრით გავერთეთ და საქმე დაგვაავიწყდა.

გასხიპული თავაზიანობით მოუხადა ბოდიში ქურუმთქურუმს, სთხოვა, მაგნოლიის ჩრდილში, საკარცხულზე დაბრძანებულიყო, მოეცადა, ვიდრე უკანასკნელ, ხანმოკლე თათბირზე მოიწვევდა მსაჯულთ და კიდევე ერთ განკარგულებას გასცემდა, მსჯავრთან დაკავშირებულს.

კაიაფამ მკერდზე მიიღო ხელი, ქედი მოიდრიკა და ბაღში დარჩა, პილატე კი აივნისაკენ გაეშურა, იქ მომლოდინე მდივანს ლეგიონის ლეგატის, კოჰორტის ტრიბუნის, სინედრიონის ორი წევრისა და სატაძრო დაცვის მეთაურის ხმობა უბრძანა, ბაღის ქვედა ტაფობზე, მრგვალ შადრევანთან, ფანჩატურში რომ ელოდნენ. შემდეგ დასძინა, მეც ახლავე დავბრუნდებო და სასახლეში შევიდა.

ვიდრე მდივანი მოთათბირეთ იხმობდა, პროკურატორი მუქი ფარდებით ჩაბნელებულ დარბაზში ვიღაც კაცს შეხვდა, რომელსაც შავი კაპიუშონი სანახევროდ უფარავდა სახეს. ერთობ ხანმოკლე იყო შეხვედრა. პროკურატორმა რამდენიმე სიტყვა წასჩურჩულა მოსულს, შემდეგ სვეტოვანი განვლო და ბაღში გავიდა.

იქ, ყველას თანდასწრებით, კიდევე ერთხელ, დინჯად და აუმღვრევლად გაიმეორა, რომ ამტკიცებდა იეშუა ჰა-ნოცრის სასიკვდილო განაჩენს და სინედრიონის წევრთ ოფიციალურად დაეკითხა, რომელი მსჯავრდებულის გათავისუფლება ეწადათ. პასუხად ბარ-რა-ბას სახელი გაიგონა და პროკურატორმა ბრძანა:

– კეთილი, – შემდეგ მდივანს ეს ყოველივე ოქმში ჩააწერინა, მდივნის მიწოდებული, ქვიშიდან აღებული ბალთა მომუჭა ხელში და საზეიმოდ განაცხადა, – დროა!

იქ მყოფნი კედლებად ასვეტილ ვარდთა თავბრუდამხვევი სურნელის თანხლებით დაეშვნენ მარმარილოს ფართო კიბეზე. თანდათან უახლოვდებოდნენ გლუვად მოკირწყლულ მოედანზე მიჯრილი ბალის კედელს, ბჭეს, საიდანაც თვალნათლივ მოჩანდა იერუშალაიმის იპოდრომის სვეტები და ქანდაკებანი.

როგორც კი ბალიდან გავიდნენ და მოედანს დაპატრონებულ უზარმაზარ ფიცარნაგზე შედგეს ფეხი, პილატემ მოჭუტული ქუთუთოების ქვევიდან გახედა სივრცეს და მდგომარეობა შეაფასა. ახლახან გავლილი მანძილი სასახლის კედლიდან ფიცარნაგამდე უკაცური იყო, სანაცვლოდ, მოედანს ვერ სწვდებოდა თვალი – ბრბოს შთაენთქა. მოსეირენი ამ გაწმენდილ სივრცეს – ფიცარნაგსაც წალეკავდნენ, მარცხნიდან სებასტიელი ჯარისკაცების სამმაგ რიგსა და მარჯვნიდან, ოტურიის დამხმარე კოჰორტას რომ არ შეეკავებინა.

ასე და ამგვარად, პილატემ ფიცარნაგზე შედგა ფეხი, აზრმიუცემლად მუჭავდა აწ უმაქნის ბალთას და თვალეხს ჭუტავდა. არა, მზე არ სჭრიდა თვალს! რატომღაც ერიდებოდა მსჯავრდებულთა ჯგუფის დანახვას, კარგად უწყოდა, მის ფეხდაფეხ ამოიყვანდნენ ფიცარნაგზე.

ის იყო სისხლისფერქობიანი თეთრი მოსასხამი მოსეირეთა ზღვის პირას, ფიცარნაგზე გაკრთა და თვალდახუჭული პილატეს სმენას მისწვდა შხუილი: „ა-ა-ა... „, შხუილი ბუბუნით დაიწყო, სადღაც იპოდრომს იქით იშვა, შემდეგ მომძლავრდა, ქუხილს დაემსგავსა, რამდენიმე წამს გრუხუნებდა და მერე ჩაცხრა. „დამინახეს“, – გაიფიქრა პილატემ. ხმაური არც იყო ჩაღველფილი, რომ მოულოდნელად ისევ იმატა, ტაათით გაიზარდა და, როგორც ზვირთს მოედება ხოლმე ქაფი, ზრიალში გამოკვეთილი სტვენა და ქალების ნაწყვეტ-ნაწყვეტი დრტვინვა ატივტივდა. „ქვაფენილზე ამოიყვანეს... – გაიფიქრა პილატემ, – ბრბო წინ მოაწყდა, ქალები გადაჯეგეს და ამიტომ კვნესიან“.

ერთხანს შეიცადა, იცოდა, ვერავითარი ძალა ვერ დაადუმებდა ბრბოს, ვიდრე გულში დაგროვილს არ ამოანთხევდა და თავად არ გაჩუმდებოდა.

და როცა ეს დროც დადგა, პროკურატორმა ხელი აღმართა და უკანასკნელი ხმაურიც მოსხიპა.

მაშინ პილატემ ღრმად ჩაისუნთქა გავარვარებული ჰაერი, ამოიყვირა და ათასობით თავს გადაუფრინა ხრინწშეპარულმა ხმამ:

– კეისარ-იმპერატორის სახელით!

უეცრად სმენას რკინის მოსხეპილი ღრიალი ეცა – კოჰორტებმა მაღლა შემართეს შუბები და რამდენჯერმე შემაზრუნნად იხუვლეს:

– დიდება კეისარს!

პილატემ თავი ააღირა და პირდაპირ მზეს შეხედა. ვასვასა აღმა დაუწვა ქუთუთოები, გონება გაუნათა და ბრბოს მისწვდა არამეული სიტყვები:

– მკვლელობისათვის, ჯანყისაკენ მოწოდებისთვის, კანონისა და რწმენის შეურაცხყოფისთვის, იერუშალიმში დაპატიმრებულ ოთხ ავაზაკს მიესაჯა სამარცხვინო სასჯელი – ბოძზე გაკვრა! სასჯელი ახლავე აღსრულდება ტაბაკელას მთაზე... ავაზაკთა სახელებია – დისმასი, გესმასი, ბარაბა და ჰა-ნოცრი! აი, ისინიც!

პილატემ ხელი მარჯვნივ გაიშვირა, დამნაშავეებს ვერ ხედავდა, მაგრამ იცოდა, იქ იყვნენ.

ბრბომ გაოცებისა თუ მორჩილების გუგუნით უპასუხა. მერე ხმაური ჩაცხრა თუ არა, პილატემ განაგრძო:

– ამათგან მხოლოდ სამი დაისჯება, რამეთუ, ადათითა და კანონით, პასექის დღესასწაულის აღსანიშნავად, მცირე სინედრიონის არჩევითა და რომის ხელისუფლების თანხმობით, დიდსულოვანი კეისარი იმპერატორი ერთ-ერთ მსჯავრდებულს უბრუნებს საწყალობელ სიცოცხლეს!

პილატე სიტყვებს წარმოთქვამდა, თან აყურადებდა, გუგუნის სანაცვლოდ როგორ ივანებდა დიდებული სიჩუმე. ახლა აღარც შრიალი და ოხვრა აღწევდა მის სმენამდე და დადგა ის წუთიც, როცა მოეჩვენა, რომ გაქრა ყოველივე მის ირგვლივ, ჩაკვდა ეს საძულველი ქალაქი და ახლა იგი ეულად იდგა ირიბი სხივებით დაფუფქული და ზეცისკენ პირმიქცეული. პილატემ ერთხანს შეაკავა სიჩუმე, მერე ისევ იყვირა:

– მას ახლა თქვენ თვალწინ გაათავისუფლებენ. მისი სახელია...

ისევ დადუმდა, სახელი ყელში გაეხირა, გონებით მოჩხრიკა, ყველაფერი თქვა თუ არა, რადგან იცოდა, გაათავისუფლებულის სახელის წარმოთქმისთანავე აღდგებოდა ჩამკვდარი ქალაქი და ველარაფერს გაიგებდა.

„დასრულდა! – უნმოდ ჩაიჩურჩულა პილატემ, – დასრულდა. სახელი!“

და დადუმებულ ქალაქს დაგრძელებული ასო „რ“ მოჰფინა:

– ბარ-რ-რ-აბა!

მოეჩვენა, მზე აჟღერიალდა, თავს ზემოთ გასკდა და ცეცხლით აუვსო ყურები. ამ ცეცხლში ბობოქრობდა ღრიალი, კვილი, კვნესა, ხარხარი და სტვენა.

პილატემ პირი იქცია და ფიცარნაგს გაუყვა კიბისკენ. აღარავის უმზერდა, მხოლოდ ქვაფენილს დასცქეროდა და ცდილობდა, ფეხი არ წამოეკრა. კარგად იცოდა, ზურგს უკან სეტყვასავით მოფრინავდა ბრინჯაოს ფული და ხურმა, აბღავლებული ხალხი ერთმანეთს ქელავდა, მხრებზე აჯდებოდა, რათა საკუთარი თვალთ ეხილა სასწაული – ადამიანი, რომელიც აქამდე სიკვდილს ეპყრა ხელთ და ამ ხელებიდან დაიხსნა თავი! იცოდა, ლეგიონერები თოკებს ხსნიდნენ შეწყალებულს, უნებლიეთ მწარედ ტკენდნენ დაკითხვაზე ამოგდებულ სახსრებს, ისიც წარბშეკრული კვნესოდა და მაინც იღიმებოდა უაზროდ, სულელურად.

ისიც იცოდა, მეზადრაგეებს უკვე გვერდით კიბისკენ მიჰყავდათ მსჯავრდებული სამეული, რათა ხალხს გასცლოდნენ და დასავლეთით, ქალაქგარეთ, ტაბაკელას მთისკენ აეღოთ გეზი. მან ფიცარნაგი გადაიარა და მხოლოდ მაშინლა ასწია თავი, აქ საფრთხე აღარ ემუქრებოდა – მსჯავრდებულები შორს იყვნენ და ველარ დაინახავდა.

გაყუჩებული ბრბოს დუდუნს ახლა ერწყმოდა და გარკვევით ხმიანდებოდა მოღალადეთა გამყინავი ყვილი, ხან არამეულად, ხან ბერძნულად რომ აუწყებდნენ ბრბოს პროკურატორის ბრძანებას. სმენას სწვდებოდა დანაწევრებული და მოახლოებული ფლოქვების ტკაპატკუპი და საყვირის უწყინარი, მხიარული გადაძახილი. ამ ხმებს ბაზარსა და იპოდრომს შორის დაკლავნილ შუკებზე მიჯრით ჩაწყობილი ქონმახების ლაფარობიდან გამოქნაურა ბიჭების გამყინავი სტვენა და ყვირილი: „უფრთხილდი!“

მოედნის ცარიელ სივრცეში ეულად მდგარმა ჯარისკაცმა ხელში ჩაბლუჯული ნიშანი აიქნია და შედგნენ პროკურატორი, ლეგიონის ლეგატი, მდივანი და მეზადრაგეები.

ცხენოსანთა ალა ჭენებით გამოიჭრა მოედანზე, ხალხის ბრბოს გვერდი აუქცია და მალლა ატოტვილ ქვის კედელთან მიყუჟული ჩიხით – ამ უმოკლესი გზით – ტაბაკელას მთისკენ გაემართა.

ცხენოსანთა რაზმის მეთაურმა, ბიჭვით კაფანდარა და მულატივით შავტუხა სირიელმა, პილატეს გაუსწორდა თუ არა, რაღაც შეჰყვირა რიხიანად და ხმალი იშიშვლა. გაოფლილი ოჩანი შავრა დაფრთხა და ყალყზე შედგა. მეთაურმა ხმალი ქარქაშში ჩააგო, მათრახი ქედზე გადაუჭირა ცხენს, რაზმს დაეწია და ჩორთით გადაჭრა მოედანი. სამ-სამად დაწალიკებული მხედრები უკან მიჰყვნენ, მტვრის ბუქში ბამბუკის შუბის წვერები ახტუნავდა და პროკურატორის წინ ჩაიქროლა თეთრი ჩალმების ფონზე განსაკუთრებით ჩაშავებულმა, მხიარულად პირდაღებულმა, კბილმოელვარე სახეებმა.

მტვრის ბული ცას შეასკდა, რაზმი მოსახვევში შეიჭრა და პროკურატორის წინ უკანასკნელმა ჯარისკაცმაც ჩაიარა, მზეზე ალაპლაპებული საყვირი რომ მოეგდო ზურგზე.

პილატემ უკმაყოფილოდ მომუწა ტუჩები, მტვრისგან იფარა სახე, გზა განაგრძო, სასახლის ბაღის ჭიშკრისკენ გაემართა, უკან ლეგატი, მდივანი და მეზადრაგეები მიჰყვნენ.

იქნებოდა დილის ათი საათი.

თავი მესამე

მეშვიდე საბუთი

– დიახ, იქნებოდა დილის ათი საათი, პატივცემულო ივან ნიკოლაევიჩი, – თქვა პროფესორმა.

პოეტმა ახალგამოფხიზლებულივით ჩამოისვა სახეზე ხელი და მიმოიხედა – პატრიარქთა ტბორებზე ბინდი იწვა.

წყალი ჩამუქებულიყო, მსუბუქი ნიავი ჭავლს მოაპობდა, ისმოდა ნიჩბების დგაფუნი და ნავში მოკალათებული ვიღაც ქალის ტკარცალი. ხეივანში ხალხი მომრავლებულიყო, მაგრამ რატომღაც მხოლოდ კვადრატის სამ მხარეს ისხდნენ, ჩვენი მოსაუბრეების სიახლოვეს კი არავინ ჩანდა.

მოსკოვის თავზე ცა გამონუნებულიყო და ზედ ოქროშეპარული, თეთრად მოვანებული მთვარე ეკიდა. სუნთქვა საგრძნობლად გაადვილდა, ცაცხვების ჩრდილიდან, რბილად, სადამოსეულად ხმინდებოდა საუბარი.

„ვერც კი შევნიშნე, თვალსა და ხელს შუა როგორ შეთხზა მოთხრობა... – გაიფიქრა გაოცებულმა უსახლკარომ, – დაბინდებულა, იქნებ კი არ გვიყვებოდა, მე მეძინა და სიზმრად ვნახე ეს ყველაფერი?“

თუმცა, ალბათ მაინც პროფესორი ყვებოდა, თუ არა და, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბერლიოზსაც იგივე ესიზმრა, რადგან მან ყურადღებით ახედ-დანხედა უცხოელს და უთხრა:

– ძალიან საგულისმო მოთხრობაა, პროფესორო, თუმცა სრულიად არ ემთხვევა სახარებას.

– მომიტევეთ, – მოწყალედ ჩაიციხა პროფესორმა, – ვინ ვინ და თქვენ მაინც უნდა იცოდეთ, რომ სახარებაში აღწერილი ამბები არასოდეს მომხდარა და თუკი მას ისტორიულ წყაროდ მივიჩნევთ... – მან კვლავ ჩაიქირქილა და ბერლიოზმა ენა მოიკვნიტა: სიტყვასიტყვით ამას ეუბნებოდა უსახლკაროს პატრიარქთა ტბორებთან მოსვლამდე.

– ცხადია, – დაეთანხმა ბერლიოზი, – მაგრამ ვგონებ, ვერც თქვენი ნაამბობის ჭეშმარიტებას დაამტკიცებს ვინმე.

– ო, არა! ამის მოწმეები არსებობენ! – უცხოელმა ისევ ენა მოიტეხა და გულდაჯერებული კაცის იერით თავისკენ მოიხმო ორივე მეგობარი.

ისინი პროფესორისკენ გადაიხარნენ და კვლავ სუფთა რუსული შემოესმათ, ეშმაკმა უწყის, ჟამიჟამს ასე რად ეცვლებოდა გამოთქმა.

– ახლავე აგიხსნით... – პროფესორმა შიშით მიმოიხედა და ჩურჩულით განაგრძო, – მე თავად ვარ მოწმე. პილატე პონტოელის აივანზეც გახლდით, ბაღში, კაიაფასთან საუბარსაც მივაყურადე, ფიცარნაგზეც ვიყავი, მხოლოდ უჩუმრად, ასე ვთქვათ, ინკოგნიტოდ, ამიტომაც გთხოვთ, ამის შესახებ სიტყვა არავისთან დაგცდეთ, საიღუმლოა! ჩუ!

სიჩუმე გამეფდა და ბერლიოზი გადაფითრდა.

– თქვენ... რა ხანია მოსკოვში ბრძანდებით? – ხმა გაეზარა მას.

– ეს წუთია ჩამოვფრინდი, – როგორღაც დაბნეულად უპასუხა პროფესორმა და მეგობრებმა მხოლოდ ახლა მოისაზრეს, გულდაგულ დაჰკვირვებოდნენ მის თვალებს, მარცხენა, ჭრუტა თვალი შეშლილივით რომ უციმციმებდა, მარჯვენა კი ცარიელი, ჩაშავებული და უსიცოცხლო იყო.

„ცხადია, – გაიფიქრა შეშფოთებულმა ბერლიოზმა, – გერმანელი შეშლილი ჩამოვიდა, ანდა აქ შეირყა, პატრიარქთა ტბორებთან“.

დიახ, ყველაფერი გაირკვა: უცნაურზე უცნაური საუზმე აწ განსვენებულ ფილოსოფოს კანტთან, სულელური ლაპარაკი ზეთსა და ანუშკაზე, თავის მოკვეთასა და ათას უაზრობაზე, მოკლედ, ყველაფერს ნათელი მოეფინა – პროფესორი შეშლილი იყო.

ბერლიოზმა მაშინვე მოისაზრა, როგორ უნდა მოქცეულიყო. მერხს გადაეყრდნო და პროფესორის ზურგს უკნიდან თვალი ჩაუკრა უსახლკაროს – ანიშნა, ნუ ედავებო, მაგრამ პოეტი იმდენად იყო დაბნეული, რომ ვერაფერს მიუხვდა.

– დიახ, დიახ! – განაგრძობდა აღგზნებული ბერლიოზი, – ყველაფერი შესაძლებელია! დიახ, შესაძლებელი! პილატე პონტოელიც, აივანიც... მარტო ჩამობრძანდით თუ მეუღლესთან ერთად?

– მარტო ვარ, მარტო, მე მუდამ მარტო ვარ, – მწარედ ამოიკვნესა პროფესორმა.

– ბარგი? ბარგი სადა გაქვთ, პროფესორო? – შეეკითხა ბერლიოზი, – „მეტროპოლში“ დაბინავდით?

– მე? არსად, – უპასუხა შეშლილმა გერმანელმა და ნაღვლიანი, ველური მზერა მოავლო პატრიარქთა ტბორებს.

– როგორ? აბა, სად იცხოვრებთ?

– თქვენს ბინაში, – უეცრად მოურიდებლად განუცხადა პროფესორმა და თვალი ჩაუკრა.

– ძალიან... ძალიან მოხარული ვარ, – ალუღლულდა ბერლიოზი, – მაგრამ ჩემთან ალბათ თავს უხერხულად იგრძნობთ... „მეტროპოლში“ კი მშვენიერი ნომრებია, პირველხარისხოვანი სასტუმრო გახლავთ...

– არც ეშმაკი არსებობს? – უეცრად მხიარულად დაეკითხა ავადმყოფი ივან ნიკოლაევიჩს.

– არა...

– ნუ ედავები! – პროფესორის ზურგს უკნიდან შეუტია ბერლიოზმა.

– ეშმაკი საერთოდ არ არსებობს! – ივან ნიკოლაევიჩმა ამდენ უაზრობას ველარ გაუძლო და მთლად უადგილოდ წამოიყვირა, – რა დავაშავეთ? მორჩით სისულელეებს!

შეშლილმა ისე გადაიხარხარა, რომ მოსაუბრეთა თავს ზემოთ, ცაცხვის ტოტებზე დაბუდებული ბელურები აიშალნენ.

– ეს კი მართლაც საგულისხმოა, – დაგდაგებდა პროფესორი, – მაინც, რა უბედურება გჭირთ, რაც ვახსენე, არაფერი არ არსებობს! – მან მოულოდნელად შეწყვიტა სიცილი და ახლა მეორე უკიდურესობაში გადავარდა – გაღიზიანდა და მრისხანედ იყვირა, – მაშასადამე, საერთოდ არ არსებობს?

– დამშვიდდით, დამშვიდდით, დამშვიდდით, პროფესორო, – ავადმყოფის აღელვებას მოერიდა ბერლიოზი, – ერთხანს ამხანაგ უსახლკაროსთან ისაუბრეთ, მე კი აქვე, კუთხეში მივირბენ, ტელეფონით დავრეკავ, შემდეგ კი სადაც ინებებთ, იქ მიგაცილებთ. თქვენ ხომ ცუდად იცნობთ ქალაქს...

უნდა ვაღიაროთ, რომ მართებულად მიგვაჩნია ბერლიოზის გეგმა: საჭირო იყო უახლოეს ტელეფონ-ავტომატთან მიერბინა და უცხოელთა ბიუროში შეეტყობინებინა, რომ საზღვარგარეთიდან ჩამოსული შემლილი კონსულტანტი პატრიარქთა ტბორებზე იმყოფებოდა და, რა თქმა უნდა, უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, ზომების მიღება იყო საჭირო.

– დარეკავთ? თქვენი ნებაა, დარეკეთ, – ნაღვლიანად დაეთანხმა ავადმყოფი და უეცრად გახელბული შეევედრა, – გამოთხოვებისას გემუდარებით, ის მაინც დამიჯერეთ, რომ ეშმაკი არსებობს! მხოლოდ ამას გთხოვთ! გაითვალისწინეთ, საამისოდ მეშვიდე, ყველაზე საიმედო საბუთი არსებობს და ამაში ახლავე დარწმუნდებით.

– კეთილი, კეთილი, – ცალყბად დაუყვავა ბერლიოზმა, გუნებაწამხდარ უსახლკაროს თვალი ჩაუკრა და პატრიარქთა ტბორების იმ ჭიშკრისაკენ გაეჩქარა, ბრონნაიასა და ერმოლაევის კუთხეში რომ გადიოდა.

პროფესორი კი თითქოს იმავ წამს გამოჯანმრთელდა და გონს მოეგო.

– მიხაილ ალექსანდროვიჩი! – ძახილი დაადევნა ბერლიოზს.

ის შეკრთა, უკან მოიხედა, მაგრამ თავი დაიმშვიდა, ჩემი სახელი და მამის სახელიც ასევე გაზეთებიდან თუ იცის პროფესორმაო, პროფესორმა კი ხელები ტუჩებთან მიიტანა და გასძახა:

– ხომ არ მიბრძანებთ, ვინმეს დავავალო, კიევში, ბიძათქვენთან გაგზავნონ დეპეშა?

ახლა კი გააჟრჟოლა ბერლიოზს. კიეველი ბიძის არსებობა საიდანღა უნდა სცოდნოდა უცხოელს? ამაზე ხომ მაინც არაფერი ეწერა გაზეთებში? ოჰო, იქნებ უსახლკარო არ ცდება? საბუთები რომ ყალბი აღმოაჩნდეს? ჰო, ძალიან უცნაური ტიპია! დავრეკო, აუცილებლად უნდა დავრეკო! ახლავე! ხელად გაარკვევენ!

ბერლიოზმა ყური აღარ ათხოვა პროფესორს და სირბილით განაგრძო გზა.

ის იყო ბრონნაიაზე გამავალ ჭიშკართან მიივრბინა, რომ მის შესახვედრად სკამიდან სწორედ ის მოქალაქე წამოიმართა, წელან, ცხიმოვანი ხვატის დროს, მზის შედედებული სხივებიდან რომ ჩამოიღვენთა. თუმცა ახლა, ჰაეროვანი კი არა, ჩვეულებრივი, ხორციელი კაცი ედგა წინ, და ბინდისპირზე ბერლიოზმა გარკვევით გაარჩია – უღვაში ქათმის ნაკრტენს მიუგავდა, ვიწრო, დამცინავი და გალექებული თვალები ჰქონდა, კუბოკრული შარვალი კი იმდენად ამოესუტა ლაჯებში, რომ ტოტებს ქვევიდან ჭუჭყიანი თეთრი წინდა მოუჩანდა.

მიხაილ ალექსანდროვიჩი ლამის უკან გაბრუნდა, მაგრამ თავს შეუძახა, ყველაფერი უაზრო შემთხვევითობას მიაწერა და ისევ წინ წადგა ნაბიჯი.

– ტურნიკეტს ეძებთ, მოქალაქევ? – აჟღერიალდა კუბოკრული ტიპი, – აქეთ მობრძანდით! ზუსტად დანიშნულებისამებრ მიგიყვანთ! გზას თუ მიგასწავლით, იქნებ ასი გრამის საფასური მიწყალობოთ... გამოვკეთდებოდი... ყოფილი რეგენტი გახლავართ! – ტიპმა მანჭვა-გრენით მოიშვლია ჟოკეის ქუდი.

ბერლიოზმა ყური აღარ ათხოვა გაღლეტილ და ციგან რეგენტს, ტურნიკეტთან მიირბინა, მოტრიალდა და ის იყო, რელსებზე უნდა გადაეხიჯებინა, რომ წითელი და თეთრი შუქი შეეფრქვა სახეში: მინის ყუთზე წარწერა აინთო: „ფრთხილად, ტრამვაი!“

ტრამვაიმაც აღარ დააყოვნა, ერმოლაევიდან ბრონნაიაზე გამოუხვია, ახალდაგებულ ლიანდაგზე გამოსრიალდა, შიგნიდან ელექტრონით გაბრწყინდა, აწკრიალდა და სვლას უმატა.

ბერლიოზმა, თუმცა საიმედო ადგილას იდგა, გადაწყვიტა, ტრამვაის მორიდებოდა, ტურნიკეტის სახელურს მოჰკიდა ხელი და ნაბიჯი უკან წადგა. უეცრად ხელი აუსრიალდა, ფეხი დამრეც ქვაფენილზე გაუსხლტა, ველარც მეორე ფეხით შეიმაგრა თავი და ბერლიოზი პირდაპირ რელსებს დაასკდა.

ხელმოსაჭიდის ძებნაში ბერლიოზი გულაღმა ამოტრიალდა, ქვაფენილს ძალუმად დაჰკრა კეფა და ისღა დაინახა, მალლა, მარჯვნივ თუ მარცხნივ – ველარ გაარჩია – ოქროსფერი შეჰპარვოდა მთვარეს. თავზარდაცემულმა ფეხები მოკუნტა, შებრუნდა და დაუოკებელი ძალით მისკენ მომქროლავი ვატმანი ქალის სიმწრით გადაფითრებული სახე და წითელი თავსაფარი დაინახა. ბერლიოზს არ უყვირია – ირგვლივ ქალების განწირული ხმით აკივლდა ქუჩა. ვატმანმა ელექტრომუნრუჭი ჩამოქაჩა, ვაგონი, თითქოს ცხვირით ჩაესო მიწას, იმავ წამს შეხტა და ფანჯრებიდან ხმაურითა და ზრიალით ჩამოშვავდა მინა. ბერლიოზის ტვინში ვილაცამ განწირულად იკივლა – „ნუთუ?“ კიდევ ერთხელ და უკანასკნელად გაიელვა მთვარემ, ნაწილებად დაიმსხვრა და ჩაქრა.

ტრამვაიმ ბერლიოზი გადაფარა და პატრიარქთა ტბორების ხარიხებთან დამრეც ქვაფენილზე მრგვალი, მუქი საგანი მოისროლა. საგანი დაგორდა და ბრონნაიაზე ახტუნავდა.

ეს ბერლიოზის მოკვეთილი თავი იყო.

თავი მეოთხე

ღევნა

ქალების ისტერიული კვილი მიწყდა, მილიციელთა სასტვენებმაც გადაისტვინა და ორი სასწრაფო დახმარების მანქანაც დაიდრა: ერთმა თავმოკვეთილი ტანი და მოჭრილი თავი წაიღო მორგში, მეორემ – მინის ნამსხვრევებით სახედასერილი ლამაზი ვატმანი წაიყვანა, წითელთავსაფრიანმა მეუზოვეებმა ქვაფენილი მოასუფთავეს, სისხლის გუბეს ქვიშა წააყარეს, ივან ნიკოლაევიჩი კი როგორც დაასკდა მერხს, ისევე იჯდა გაუნძრევლად.

რამდენჯერმე სცადა წამომდგარიყო, მაგრამ სხეული ვერ დაიმორჩილა – ხელ-ფეხი დამბლადაცემულივით წართმეოდა.

უსახლკარო კვილის გაგონებისთანავე გაიქცა ტურნიკეტისკენ და საკუთარი თვალით დაინახა, ქვაფენილზე როგორ მოხტუნავდა ბერლიოზის თავი. გაოგნებული დაასკდა სკამს და ხელზე იკბინა. ცხადია, შეშლილი გერმანელი აღარც გახსენებია, მხოლოდ იმის გარკვევას ცდილობდა, როგორ მოხდა, რომ სულ ახლახან ბერლიოზს ელაპარაკებდა, წუთის შემდეგ კი – თავი...

პოეტის თვალწინ, ხეივანში აღელვებული ხალხი მიმორბოდა, რაღაცას გაჰყვიროდნენ, მაგრამ გახევებული ივან ნიკოლაევიჩი სიტყვებს ვერ არჩევდა.

მოულოდნელად მის შორიახლოს ორი ქალი შედგა და ერთმა, ცხვირპაჭუამ და თმაგადასლეკილმა, ზედ პოეტის ყურთან უკივლა მეორეს:

– ანუშკას, ჩვენს ანუშკას! სადოვაიადან! იმის ბრალია! გასტრონომში ზეთი უყიდია და ლიტრიანი სახელოურზე გადასტყდომია! კაბაც გაითხვარა! ნეტა გენახა, რას ილანძღებოდა! ამ საცოდავს კი ალბათ ფეხი აუსხლტა და რელსებზე გასრიალდა...

ქალის წამონაყვირიდან ივან ნიკოლაევიჩის გალიგვებულ გონებაში ერთადერთი სიტყვა ჩაიწრიტა: „ანუშკა!“

სიტყვა „ანუშკას“ მეორე მოჰყვა: „ზეთი“, შემდეგ რატომღაც – „პილატე პონტოელი“. პოეტმა პილატე განდევნა, „ანუშკაზე“ მიბმულ ჯაჭვს მიჰყვა, წამიერად აასხა რგოლები და შეშლილ პროფესორს მიაღგა.

აი, ვინ არის დამნაშავე! ამ ცოტა ხნის წინ ხომ თქვა, თათბირი არ შედგება, რადგან ანუშკას ზეთი დაეღვარაო? და აჰა, ინებეთ, არ შედგა კიდეც! კიდეც... აკი პირდაპირ უთხრა ბერლიოზს, თავს ქალი მოგკვეთსო? დიახ, დიახ, დიახ! ვატმანი ხომ ქალი იყო?! გასაოცარია!

ეჭვის ნასახიც აღარ რჩებოდა. როგორც ჩანს, უცნობმა კონსულტანტმა წინასწარ იცოდა ბერლიოზის საშინელი აღსასრულის შესახებ. უეცრად ორმა აზრმა გაუელვა პოეტს: „შეშლილი არ უნდა იყოს! რა სისულელეა!“ და მეორე: „თავად ხომ არ მოაწყო?!“

მაგრამ, ნება მომეცით, დაგეკითხოთ, როგორ?

– არა, არა! ყველაფერს გავარკვევთ!

უდიდესი ძალისხმევით წამოდგა და იმ სკამისაკენ წალასლასდა, ამ ცოტა ხნის წინ ბერლიოზთან ერთად რომ იჯდა.

ბრონნაიაზე უკვე ბჟუტავდა ნათურები, პატრიარქთა ტბორებს ოქროსფერი მთვარე დანათობდა და მთვარის მარად მაცდურ შუქზე ივან ნიკოლაევიჩს ეჩვენა – პროფესორი სკამთან იდგა და ილლიაში ჯონი კი არა, დაშნა ამოეჩარა.

გადამდგარი ლაქუცა რეგენტი ივან ნიკოლაევიჩის ადგილას დასკუპებულიყო, ცხვირზე ახლა სრულიად უმაქნისი პენსნე დაეკოსებინა, რომლიდანაც ერთი მინა ამოვარდნილი იყო, მეორე კი, მთელ სიგრძეზე გაბზარული. ეგებ ამიტომაც, კუბოკრულკოსტიუმისანი მოქალაქე უფრო ბილწი შესახედაობის ჩანდა, ვიდრე ამ ცოტა ხნის წინ, ბერლიოზს რელსებისკენ რომ მიუთითებდა.

ივანი მუხლების ცახცახით მიუახლოვდა პროფესორს, სახეზე დააკვირდა და კიდეც ერთხელ ირწმუნა, შემოილობის ნიშანწყალი არც ახლა ემჩნეოდა და არც ადრე.

– გამოტყდით, ვინა ხართ? – დაგუდული ხმით ჰკითხა ივანმა.

უცხოელმა წარბი შეიკრა, პოეტს ისე შეაცქერდა, თითქოს პირველად ხედავსო და მტრულად უპასუხა:

– არ გესმის... რუსული არ ლაპარაკობს...

– არ ესმით! – განუმარტა რეგენტმა, თუმცა არავის უთხოვია თარჯიმნობა.

– ნუ თვალთმაქცობთ! – განრისხდა ივანი და გული გაეპარა, – ახლახან მშვენივრად ლაპარაკობდით რუსულად? თქვენ არც გერმანელი ხართ და არც პროფესორი! თქვენ მკვლელი და ჯაშუში ხართ! საბუთები! – იღრიალა ბოლოს.

იღუმალ პროფესორს ისედაც მობრეცილი ტუჩები ზიზღით მოექცა და მხრები აიჩეჩა:

– მოქალაქე! – ისევ ჩაეკვება ის ბილწი რეგენტი, – ინტურისტს ნუ ანერვიულებთ! ამის გამო სასჯელი არ აგცდებათ! – ეჭვიმითანილი პროფესორი კი აიმრიზა და ივანს გაერიდა.

თავზარდაცემულ ივანს სული შეეხუთა, აქლოშინდა და რეგენტს შეევედრა:

– მოქალაქე! დამეხმარეთ, ბოროტმოქმედი დავაკავო! ვალდებული ხართ, დამეხმაროთ!

რეგენტი აცმუკდა, წამოხტა და დაიღრიალა:

– აბა, სად არის ბოროტმოქმედი? სად? ეს უცხოელი ბოროტმოქმედი? – მერე სიხარულით აუჟუჟუნდა თვალები, – ესა? თუ ბოროტმოქმედი, მილიციას უნდა დავუძახოთ, გაგვექცევა. აბა, ერთად, ჰე! – და რეგენტმა პირი დააღო.

დაბნეულმა ივანმა ციგან რეგენტს დაუჯერა და იყვირა: „მილიცია!“ მას კი ხმაც არ ამოუღია.

ივანისეულ გაბზარულ ხავილს კარგი არაფერი მოჰყოლია. ორი გოგონა განზე გახტა და ერთმანეთს უჩურჩულეს: „მთვრალია!“

– აჰა, ერთად ხართ, არა? – წამოიძახა განრისხებულმა ივანმა, – დამცინი კიდეც? გამიშვით!

ივანმა მარჯვნივ გაიწია – რეგენტი წინ აეტუზა, მერე მარცხნივ გადადგა ნაბიჯი, ისიც იქ დახვდა.

– წინ ნუ მელობები! – იყვირა გამხეცებულმა ივანმა, – ამას თუ არა, შენ მაინც წაგაბრძანებ მილიციაში!

უსახლკარომ სცადა არამზადისთვის სახელოში ეტაცა ხელი, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. რეგენტი გაქრა, თითქოს მიწამ უყოლო პირი.

ივანი შეცბა, ხეივანს გახედა და იმ საზიზღარ უცნობს მოჰკრა თვალი. უკვე ხეივნიდან გადიოდა, მაგრამ მარტო აღარ იყო – ცალ მხარეს ეჭვმიტანილი რეგენტი ამოსდგომოდა, მეორე მხარეს კი, ეშმაკმა უწყის, საიდან მოხეტეებული, ქოსმენივით ზონზროხა, ნახშირით თუ ჭილყვავივით შავი და ულვაშაწკეპილი კატა მიჰყვებოდა. სამეული ხეივნიდან გავიდა. საოცარი ის განხლდათ, რომ კატა უკანა ფეხებზე ატატებული მიაბიჯებდა.

ივანი ბოროტმოქმედებს დაედევნა, თუმცა მაშინვე მიხვდა, რომ დაწევა გაუჭირდებოდა.

სამეულმა თვალის დახამხამებაში გადაჭრა ჩიხი და სპირიდონოვკაზე ამოყო თავი. ივანი გამწარებული მისდევდა, მაგრამ მანძილი არ მცირდებოდა. პოეტმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო და უკაცური სპირიდონოვკიდან პირდაპირ ნიკიტას კარიბჭესთან აღმოჩნდნენ. აქ კი გართულდა დევნა. ქუჩაში ზღვა ხალხი ირეოდა. ივანი ერთ-ერთ გამვლელს დაეჯახა, გვარიანდაც გაილანძლა. ბოროტმოქმედებმა კი სწორედ აქ გადაწყვიტეს ბანდიტთა ჩვეული ფანდი ეხმარათ – გაფანტულიყვნენ.

რეგენტი ცქვიტად შეახტა არბატის მოედნისაკენ მიმავალ ავტობუსს და თვალს მიეფარა. რაკილა ერთი ბოროტმოქმედი ხელიდან დაუსხლტა, ივანმა გადაწყვიტა მთელი გულისყური კატაზე გაემახვილებინა და ცხადლივ დაინახა, ეს უცნაური კატა გაჩერებაზე ჩამომდგარ „A“ ტრამვაის საფეხურს მიუახლოვდა, ვიღაც აწიკვინებულ ქალს თავხედურად გაჰკრა მუჯლუგუნი, სახელოურს ჩამოეკიდა და საჭაერო სარკმლიდან კონდუქტორს შაურიანი მიაწოდა.

კატის მოქმედებამ ისე გააოცა ივანი, რომ გასტრონომის კუთხეში გახევიდა, და იმავ წამს, ხელმეორედ, ახლა კონდუქტორის ქვევამ გააბეცა. კონდუქტორმა ტრამვაიში შემძვრალი კატა დაინახა და გაბოროტებულმა იკივლა:

– ვისია ეს კატა! კატას ნუ შემოიყვანთ! აცხა! ახლავე მილიციას დავუძახებ!

კონდუქტორი და მგზავრები საქმის არსს კი არ გაუოცებია: კატა რომ ტრამვაიში მიძვრებოდა, ეგ ნაკლები უბედურება იყო, მაგრამ ფულის გადახდასაც რომ აპირებდა?

კატა არა მარტო გადახდისუნარიანი, არამედ კარგად აღზრდილი ცხოველიც აღმოჩნდა. კონდუქტორის პირველსავე დაცაცხანებაზე უკან დაიხია, საფეხურიდან ჩამოხტა, გაჩერებაზე დასკუპდა და ულვაშზე შაურიანი გადაისვა. მაგრამ, როგორც კი კონდუქტორმა ზარს ჩამოქაჩა და ტრამვაიც დაიძრა, კატაც ისევე მოიქცა, როგორც ტრამვაიდან გაძევებული ყველა ადამიანი მოიქცეოდა – მშვიდად დაელოდა, როდის ჩაივლიდა სამივე ვაგონი, მერე უკანასკნელს შეახტა, თათით რაღაც თოკს მოეჭიდა და გასრიალდა, თან შაურიანიც დაზოგა.

ამ საზიზღარი კატის თვალთვალში ივანს ლამის სამთავან უმთავრესი – პროფესორი დაეკარგა. ბედად, მას მაინც ვერ მოესწრო მიმალვა. ივანმა გერცენის ქუჩაზე თუ ნიკიტას

კარიბჭის კუთხეში ნაცრისფერ ბერეტს მოჰკრა თვალი. მაშინვე თვითონაც იქ აღმოჩნდა, მაგრამ უშედეგოდ. პოეტმა ნაბიჯსაც უმატა, გამვლელებსაც უბიძგებდა და დაოთხილიც მისდევდა, მაგრამ ერთი მისხლითაც ვერ უახლოვდებოდა პროფესორს.

პოეტი ძალზე აღგზნებული კი იყო, მაინც აოცებდა ეს ენით აუწერელი სისწრაფე. ოცი წუთიც არ იყო გასული და ნიკიტას კარიბჭიდან დაძრულს არბატის ნათურებმა მოსჭრა თვალი. კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ, რომელიღაც ჩალუსკუმებულ, ტროტუარგადაფერდებულ ჩიხში აღმოჩნდნენ. აქ კი ივან ნიკოლაევიჩი წაიქცა და მუხლი გადაიქლითა, მაგრამ მაინც მისდევდა. უეცრად გაჩირაღდნებულ კროპოტკინის ქუჩაზე აუხვიეს, ოსტოჟენკა განვლეს და ნაკლებად განათებულ, მოქუშულ და საზიზღარ ქუჩაბანდში აღმოჩნდნენ. აქ კი მზერა ველარ მიაწვდინა გაქცეულს – პროფესორი თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ივან ნიკოლაევიჩი წამით შეცბა, მაგრამ მაშინვე მოეგო გონს და რატომღაც გადაწყვიტა, მეცამეტე სახლის № 47 ბინაში გაეგრძელებინა ძებნა.

ივან ნიკოლაევიჩი სადარბაზოში შეიჭრა, მეორე სართულზე აირბინა, თვალის დახამხამებაში მიაგნო ბინას და სულმოუთქმელად დარეკა. დიდხანს არ უცდია: კარი ხუთიოდე წლის გოგონამ გაუღო, მოსულისათვის არაფერი უკითხავს, გაბრუნდა და სადღაც მიიმალა.

ფართო, მოუვლელ წინკარს მკრთალად ანათებდა ჭუჭყიანი, ჩაშავებული ჭერიდან დაშვებული ერთადერთი, მომცრო ნათურა. კედელზე დანჯღრეული ველოსიპედი ეკიდა, იქვე იდგა უზარმაზარი, შეჭედილი ზანდუკი, თაროზე კი ზამთრის ქუდი იდო და გრძელი ყურები საკიდზე ჰქონდა ჩამოფართხუნებული. ერთ-ერთი კარის მიღმა ვიღაც კაცი ხაფი ხმით, ყვირილით კითხულობდა ლექსს.

ივან ნიკოლაევიჩი უცხო გარემოს არ შეუცბუნებია, „ალბათ სააბაზანოში იმალებო“, გაიფიქრა და პირდაპირ დერეფანს მიაწყდა. დერეფანში სიბნელე იდგა. ივანი კედელს დაეჯახა, მაგრამ კარის ქვედა ღრიჭოდან სინათლის სუსტი ზოლი დალანდა, ხელის ფათურით მოიძია სახელური და მთელი ძალით მოქაჩა. საკეტი ახტა, პოეტი სააბაზანოში აღმოჩნდა და ბედს მადლობა შესწირა.

მაგრამ ბედს იმგვარად არ გაუღიმიო, როგორც თვითონ ეწადა! ივანს ნოტიო სითბო შეეფრქვა სახეში, ღუმელში მინავლული ნაკვერჩხლის შუქის ფონზე კედელზე აჩონჩხილი უზარმაზარი ვარცლები და ემალამძვრალი, შავად დალაქავებული აბაზანა დაინახა. აბაზანაში შიშველი, გასაპნული ქალი იდგა და ხელში ჯაგრისი ეჭირა. მან ახლომხედველივით მოჭუტა თვალები, ივანს გამოხედა, მაგრამ ამ ჯოჯოხეთურ სიბნელეში ალბათ ვერ შეიცნო და მხიარული ჩურჩულით გაუწყრა:

– კირიუმკა! ნუ ცუდლუტობთ! ხომ არ გაგიჟდით, ფედორ ივანოვიჩი ახლავე დაბრუნდება. მოუსვით აქედან! – და კეკლუცად აუქნია ჯაგრისი.

ამ გაუგებრობაში მხოლოდ და მხოლოდ ივანს მიუძღოდა ბრალი, მაგრამ, უნდა გამოგიტყდეთ, სინდისის ქენჯნა არ უგრძნია, „თავად ხარ ცუდლუტო“, მიაძახა ქალს და წამის შემდეგ რატომღაც სამზარეულოში ამოყო თავი. იქაც არავინ დაუხვდა, ბინდბუნდში მხოლოდ ათამდე ჩამქრალი პრიმუსი იდგა უტყვად. მთვარის შუქი დამტვერილ, წლობით გაუწმენდავ ფანჯარაში იპარებოდა და მკრთალად ანათებდა იმ კუთხეს, სადაც ლოხორსა და ობობის ქსელში ყველასაგან მივიწყებული ხატი ეკიდა, სადგარიდან კი ჯვრისწერის ორი

სანთელი გამოჩრილიყო. დიდ ხატთან ქალაღდის მომცრო ხატიც მიემაგრებინათ ქინძისთავით.

ყოვლად გაუგებარია, რა აზრმა გაიფაჩუნა ივანის გონებაში, მაგრამ ვიდრე უკანა კიბისკენ გაიჭრებოდა, ერთ-ერთ სანთელსა და ქალაღდის ხატს სტაცა ხელი. ასე, ქურდივით გაიძურწა უცხო ბინიდან, გზად დამორცხვებული იხსენებდა ახლახან სააბაზანოში განცდილს და უნებლიეთ ცდილობდა წარმოედგინა, ვინ უნდა ყოფილიყო ის თავხედი კირიუშკა და მას ხომ არ ეკუთვნოდა ის ყურებიანი ქუდი.

პოეტმა დაცარიელებული, მოქუფრული ჩიხი მოათვალიერა, გაქცეული მოიძია თვალით, მაგრამ ვერსად შენიშნა და რატომღაც ირწმუნა:

– მდინარეზე იქნება! წინ!

ურიგო არ იქნებოდა, დავკითხოვდი ივან ნიკოლაევიჩს, ასე რად სჯეროდა, რომ პროფესორი მდინარესთან დახვდებოდა, მაგრამ უბედურებაც სწორედ ის განხლდათ, რომ ქუჩაში არავინ ჩანდა – ეს ამაზრზენი ჩიხი სრულიად ცარიელი იყო.

თვალის დახამხამებაში მიიბრინა მდინარე მოსკოვის მარმარილოს კიბესთან. ტანთ გაიხნადა და ვიღაც სასიამოვნო შესახედაობის წვეროსანს მიაბარა ტანსაცმელი, რომელიც თეთრ, დაბებკილ პერანგთან და ზონრებშეხსნილ, გაცვეთილ ფეხსაცმელთან იდგა და ეწეოდა.

პოეტმა გასაგრილებლად ხელები აიქნია და მერცხალივით გადაეშვა მდინარეში. გაყინულმა წყალმა სუნთქვა შეუკრა, გონებაში გაუელვა, ეგებ ზედაპირზე ვერც ამოვადწიოო, თუმცა მაინც ამოყვინთა და შიშით თვალეგაფართოებულმა, ფრუტუნ-ფრუტუნით გასცურა ნავთის სუნით აქოთებულ, ჭუჭყიან წყალზე არეკლილი სანაპიროს ნათურების ზიგზაგში.

როცა გალუმპულმა ივანმა ხტუნვა-ხტუნვით აირბინა კიბე და იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც წელან ტანსაცმელი დაუტოვა წვეროსანს, აღმოჩნდა, რომ ორივე გამქრალიყო – ტანსაცმელიცა და წვეროსანიც. ტანსაცმლის გროვის ნაცვლად ახლა ზოლიანი ქვედა საცვალი, დახეული პერანგი, სანთელი, ხატი და ასანთის კოლოფი დახვდა. ივანი უსუსური გაბოროტებით დაემუქრა ვიღაცას და დანატოვრით შეიმოსა.

ამჯერად ორმა საკითხმა შეაწუნა: პირველი, გაქრა „მასსოლიტის“ წიგნაკი, რომელსაც მუდამ თან დაატარებდა და მეორეც, ამგვარი ჩაცმულობით მოსკოვში შეუფერხებლად ვერ გაივლიდა. ვის რაში ეკითხებოდა, ქვედა საცვალი ეცვა თუ შარვალი, მაგრამ რომ ახირებოდნენ და დაეკავებინათ?

ივანმა ქვედა საცვალს კოჭებზე შესაკრავი ღილები დააძრო, ეგებ საზაფხულო შარვალს დაემსგავსოსო, მერე ხატი, სანთელი და ასანთი ჩაბლუჯა და თავს შეუძახა:

– გრიბოედოვთან! ნამდვილად იქ იქნება!

ქალაქი უკვე საღამოსპირის ხიბლით ცხოვრობდა. მტვერში ჯაჭვების რაჩხარუჩხით მიგრუხუნებდნენ სატვირთო მანქანები, რომელთა ბაქანზე ახორხლილ ტომრებზე გამხლართულიყვნენ ცისკენ მუცელაშვერილი კაცები. ფანჯრები ყურთამდე იყო ღია. ყოველ ფანჯარაში მეწამული აბაჟურიდან იფრქვეოდა შუქი და ამ ფანჯრებიდან, ყველა კარიდან, ყველა ეზოდან „ევგენი ონეგინის“ პოლონეზის ღრიალი მოისმოდა.

ივან ნიკოლაევიჩი არ შემცდარა: გამვლელი უყრადღებს აქცევდნენ და თვალს აყოლებდნენ. ამიტომ გადაწყვიტა, პროსპექტებს მორიდებოდა და ჩიხებით ევლო, იქნებ იქ მაინც ნაკლებად მიეპყრო ადამიანთა უყრადღება, იქ მაინც არავინ ასდევნებოდა ფეხშიშველა კაცს და სული არ ამოეხადა ქვედა საცვალზე საუბრით, რომელსაც ჯიუტად არ სურდა, შარვალს დამსგავსებოდა.

ივანი ასეც მოიქცა და არბატის ჩიხების იდუმალ ლაბირინთს გაუყვა, კედელ-კედელ მიიპარებოდა, დამფრთხალი აკვირდებოდა არემარეს, წარამარა უკან იხედებოდა, ხანდახან სადარბაზოებს აფარებდა თავს და შუქნიშნებიან გასასვლელებსა თუ საელჩოთა დიდებულ ბჭებს ერიდებოდა.

და ამ ტანჯვით აღვსილ გზაზე რატომღაც გამოუთქმელად აწამებდა ყოვლისმომცველი ორკესტრი, რომლის თანხლებით მრისხანე ბარიტონი ტატიანას სიყვარულს უმღეროდა.

თავი მეხუთე

ეს მოხდა გრიბოედოვში

ორსართულიანი, ძველებური, სპილოსძვლისფერი შენობა გაქუცული ბაღის ხეივანში იდგა და ქვაფენილიდან მოჩუქურთმებული თუჯის მოაჯირით იყო გამოყოფილი. შენობის წინ, მომცრო მოედანზე ასფალტი დაეგოთ. ზამთრობით აქ თოვლის ზვინი იდგა ხოლმე, ზაფხულობით კი ტილოს უზარმაზარ ქოლგებს ჩაამწკრივებდნენ და რესტორნის არაჩვეულებრივ ფილიალად აქცევდნენ.

შენობას „გრიბოედოვის სახლი“ ერქვა. ამბობდნენ, თითქოს ძველად, ამ ბინის მფლობელი მწერალ ალექსანდრ სერგეევიჩ გრიბოედოვის დეიდა ყოფილა. დანამდვილებით ვერ მოგახსენებთ, მართლა ასე იყო თუ არა, ჩვენ არც ის გვახსენდება, დეიდა ჰყოლოდეს მწერალს... მაგრამ შენობა მაინც ამგვარად შერაცხეს. მეტსაც გეტყვით, ერთი მოსკოველი ფლიდი იმასაც ამტკიცებდა, თითქოს მეორე სართულზე, სვეტებიან მრგვალ დარბაზში, მწერალი ტახტზე მისვენებულ დეიდას უკითხავდა პოემის ნაწყვეტებს. თუმცადა, ეშმაკმა უწყის, იქნებ უკითხავდა კიდეც. ამას რა მნიშვნელობა აქვს!

უფრო მნიშვნელოვანი კი ის გახლდათ, რომ ამ შენობაში ამჟამად „მასსოლიტი“ იყო მოთავსებული, სწორედ ის „მასსოლიტი“, პატრიარქთა ტბორებზე გასეირნებამდე რომ ხელმძღვანელობდა სვედამწვარი მიხაილ ალექსანდროვიჩ ბერლიოზი.

„მასსოლიტის“ თანამშრომელთა წაბაძვით, შენობას „გრიბოედოვის სახლად“ აღარავინ იხსენიებდა. უბრალოდ ამბობდნენ – „გრიბოედოვი“. „გუშინ გრიბოედოვთან ვიყურყუტე ორ საათს“, – „მერე?“ – „ერთი თვით იალტა გავჩარხე“, „ყოჩაღ!“ ანდა: „ბერლიოზთან წავიდეთ, დღეს ოთხიდან ხუთ საათამდე გრიბოედოვში აქვს მიღება...“ და ასე შემდეგ.

„მასსოლიტი“ იმგვარად მოერგო გრიბოედოვს, უკეთესს ვერც ინატრებდა კაცი. გრიბოედოვში შესული მოქალაქე, სურდა თუ არა, ჯერ სპორტული წრეების განცხადებებს გაეცნობოდა, მერე კი მეორე სართულზე ამავალი კიბით კედელზე ჩამწკრივებულ „მასსოლიტის“ წევრთა ჯგუფურ და ინდივიდუალურ ფოტოსურათებსაც იხილავდა.

მეორე სართულზე ასული კი, პირველსავე ოთახის კარზე გაკრულ უზარმაზარ წარწერას მოჰკრავდა თვალს: „სათევზაო-სააგარაკო სექცია“ და ანკესზე წამოგებულ კარჩხანასაც დაინახავდა.

№2 ოთახის კარზე ეწერა: „ერთთვიანი შემოქმედებითი მივლინებები. მიმართეთ ვ. მ. პოდლოჟნიას“.

მომდევნო კარი სრულიად მოკლე, მაგრამ ასევე სრულიად გაუგებარი წარწერით აუბნევდა თავგზას: „პერელიგინო“. შემდეგ და შემდეგ კი გრიბოედოვის შემთხვევით სტუმარს, დეიდის ნასათუთარ მუხის კიბეზე გამოკრული წარწერებით აუჭრელდებოდა თვალი: „ქალაქის რიგში ჩაწერა პოკლეკინასთან“, „სალარო“, „იუმორისტთა პირადი ანგარიშები“...

მესამე ოთახთან გაჭიმულ რიგს რომ გაარღვევდა, მაშინვე თვალში მოხვდებოდა: „საბინაო საკითხი“. აქ მუდამ მიღეთის ხალხი ირეოდა.

საბინაო საკითხის შემდეგ ერთი დიდებული პლაკატი მოუშხამავდა გუნებას. პლაკატზე კლდე ეხატა, ამ კლდის ქიმზე ფაფანინი და თოფ-იარაღსმული მხედარი მიაჭენებდა ცხენს, ქვევით, პალმებით დაბურულ აივანზე ქოჩორა ყმაწვილი იჯდა და ხელში მუდმივი კალამი ეჭირა. წარწერა: „სრულმოცულობიანი შემოქმედებითი შვებულებები ორი კვირიდან (მოთხრობა – ნოველა) ერთ წლამდე (რომანი, ტრილოგია). იალტა, სუუკ-სუ, ცინისძირი, მახინჯაური, ლენინგრადი (ზამთრის სასახლე)“. ამ კართანაც მუდამ გვარიანი რიგი იდგა. ასე ორმოცდაათ კაცამდე.

და ილაჯგაწყვეტილი მოქალაქე გრიბოედოვის სახლის თავნება მოსახვევებს, ასასვლელებსა და თავქვე დაშვებულ კიბეს მინებდებოდა – „მასსოლიტის სამმართველო“, „სალარობი 2, 3, 4, 5“, „სარედაქციო კოლეგია“, „მასსოლიტის თავმჯდომარე“, „საბილიარლო“, „სხვადასხვა დამხმარე დაწესებულება“, ვიდრე იმ სვეტებიან დარბაზში არ ამოყოფდა თავს, სადაც დეიდა გენიალური დისშვილის კომედიით ტკბებოდა.

ჰოდა, გრიბოედოვის მოვლის შემდეგ, თუკი მართლა ბრიყვი არ იყო, მიხვდებოდა, რაოდენ უზრუნველად ცხოვრობდნენ რჩეულნი – „მასსოლიტის“ წევრები და შური გაუგლეჯდა გულს, იმავ წამს ცას დასწყევლიდა მწარედ, რომ დაბადებიდანვე არ დააყოლა ლიტერატურული ნიჭი, ურომლისოდაც, ცხადია, ყოვლად შეუძლებელი განლდათ „მასსოლიტის“ საწევრო წიგნაკის ხელში ჩაგდება. ამ ყავისფერი, ძვირფასი ტყავის სურნელის მფრქვევი, ოქროსსირმიანი განიერი წიგნაკისა, რომელსაც მთელი მოსკოვი შენატროდა.

შურს ვინ აღუვლენს ხოტბას? ამაზე საშინელი ხომ არაფერია ამქვეყნად, მაგრამ იმ უცხო კაცსაც უნდა გაკუგოთ. ზედა სართულით ხომ არ მთავრდებოდა ყველაფერი. დიას, უმთავრესი ჯერ კიდევ წინ ელოდა – გრიბოედოვის დეიდის სახლის პირველ სართულზე რესტორანი იყო მოთავსებული. რესტორანი და მერე როგორი! ტყუილად კი არ თვლიდნენ მოსკოვში საუკეთესოდ! არა იმიტომ, რომ ორი უზარმაზარი დარბაზი ეკავა და გუმბათოვანი ჭერი ფაფარაშლილი, იისფერი ცხენებით იყო მოხატული. არა იმიტომ, ყოველ მაგიდაზე ნათურა რომ იდგა და ქუჩიდან ვერაკაცი ვერ შემოაღწევდა. არა და არა. გრიბოედოვის რესტორნის მომარაგება მოსკოვის ნებისმიერი რესტორნისას სჯობდა და, რაც მთავარია, ეს მომარაგება ერთობ ხელმისაწვდომ, თითქმის იაფადაც კი გაიცემოდა.

ამიტომაც, რალა გასაოცარია, თუკი ამ მართალი სტრიქონების ავტორი, ერთხელ, გრიბოედოვის თუჯის ჯებირთან, ასეთ საუბარს შეესწრო:

– დღეს სად ვახშობ, ამბროსი?

– რას მეკითხები, ცხადია, აქ, ძვირფასო ფოკა! არჩიბალდ არჩიბალდოვიჩმა საიდუმლოდ მაცნობა, დღეს ულუფებად აქვთ ფარგა, ისეთია, თითებს ჩაიკვნეტ!

– გვარიანად კი მოეწყვე! – ოხვრით უთხრა გაძვალტყავებულმა, კისერწაგრძელებულმა და მოუვლელმა ფოკამ ლოყებლაჟლაჟა, წითელტუჩა და ოქროსკულულებიან ამბროსი-პოეტს.

– რა მოწყობაა? – ნათქვამი გაუბიაბრუა ამბროსიმ, – უბრალოდ, მინდა ადამიანურად ვიცხოვრო. მეტყვი, ფარგა „კოლიზეუმშიც“ იშოვებაო, მაგრამ „კოლიზეუმში“ ერთი ულუფა ფარგა ოცდაათი მანეთი და თხუთმეტი კაპიკი ღირს, ჩვენთან კი – ხუთი მანეთი და ორმოცდაათი კაპიკი! ამას გარდა, „კოლიზეუმში“ გუშინდელ ფარგას მოგართმევენ, თან არც ის იცი, თეატრალური მოსახვევიდან შემოხეტებული უსაქმური როდის გამოგიქანებს

სიფათში ყურძნის მტევანს. არა, მე „კოლიზუმის“ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ – მთელი ხეივანის გასაგონად ხორხოცებდა მუცელმერთა ამბროსი, – ნურც მთხოვ, ფოკა!

– არა, განა გთხოვ, – წამოიკნავლა ფოკამ, – სახლშიც შეიძლება ვახშობა.

– უჰ, რაღა მიჭირს, – ისევ აროხროხდა ამბროსი, – წარმომიდგენია, რას ემსგავსება საერთო სამზარეულოში, ქვაბში მოთხიპნილი ფარგა! ჰა-ჰა-ჰა!... ორეკუარ, ფოკა! – და ამბროსი ღიღინ-ღიღინით გაეშურა ტილოსქოლგებიანი აივნისაკენ, ეჰ-ჰე-ჰე!.. დიახ, იყო!.. რა კარგად ახსოვთ მოსკოვის მკვიდრთ სახელგანთქმული გრიბოედოვი! ეჰ, მოხარშული ულუფა ფარგა რა მოსატანია! ნუ დაწვრილმანდებით, ძვირფასო ამბროსი! ზუთხი? ზუთხი აღარ გახსენდებათ ვერცხლის ქვაბურებში, კიბოს კისრით და ახალი ხიზილალით გაწყობილი? ერბოკვერცხი და შამპინიონის პიურე ფინჯნებში? შაშვის სუკები აღარ გაგონდებათ? ქამა სოკო? მწყერი გენუურად? თუმანი და ათი შაური რომ ღირდა? ჯაზი! თავაზიანი მომსახურება! ივნისში, როცა მთელ ოჯახს აგარაკზე გაისტუმრებდით, თქვენ კი გადაუდებელი საქმეები ქალაქში გაკავებდათ – აივანზე, მაღლარი ვაზის ჩრდილში, ქათქათა სუფრაზე დასვენებული ოქროსფერი ლამბაქი და წვნიანი პრენტანიერი? გახსოვთ, ამბროსი? ან კი, რას გეკითხებით? ტუჩებზე გატყობთ, არაფერი დაგვიწყებიათ. სიგი და ფარგა რა სახსენებელია! აბა, გაიხსენეთ ლაინები, ჭოვილო, ჩიბუხა, ტყის ქათმები, მწყერი, ღაღღები! ყელში აშიშხინებული „ნარზანი“? თუმცა საკმარისია, ყურადღება გაგვეფანტა, მკითხველო! აბა, მომყევით...

ღამის თერთმეტის ნახევარზე, სწორედ იმ საღამოს, როცა ბერლიოზმა პატრიარქთა ტბორებთან განუტევა სული, გრიბოედოვის მეორე სართულზე მხოლოდ ერთი ოთახიღა იყო განათებული და შიგ თორმეტი ლიტერატორი იტანჯებოდა, რომელნიც თათბირზე იყვნენ მოწვეულები და მიხაილ ალექსანდროვიჩს ელოდნენ.

ისინი „მასსოლიტის“ თავმჯდომარის ოთახის ორივე ფანჯრის რაფაზე, სკამებსა და მაგიდაზე ისხდნენ და მართლაც ტანჯავდათ სიცხე. ღია ფანჯრებიდან ნიავიც არ იძვროდა. მოსკოვი დღისით დაგროვილ ბუღსლა გამოსცემდა და ცხადი ხდებოდა, ველარც ღამე მოიტანდა შველას. დეიდის სახლის სარდაფში მოთავსებული სამზარეულოდან ხახვის სუნი ამოდიოდა, ყველას წყურვილი კლავდა, ყველა ნერვიულობდა და გულს ასკდებოდა.

ბელეტრისტმა ბესკუდნიკოვმა – ჩუმმა, ხეირიანად ჩაცმულმა კაცმა, ყურადღებიანი და ანცი თვალეები რომ ჰქონდა, საათი ამოიღო. ისარი თერთმეტისკენ მიცოცავდა, ბესკუდნიკოვმა თითი დაჰკრა ციფერბლატს, პოეტ დეკუბრატსკის დაანახვა, რომელიც იქვე, მაგიდასთან იჯდა და მოწყენილობისგან რეზინისლანჩიან, ყვითელ ფეხსაცმელში ჩაჭედილ ფეხებს აქანავებდა.

– ჰო-ო, – ჩაიბუზღუნა დეკუბრატსკიმ.

– ყმაწვილი ალბათ კლიაზმაზე შერჩა, – ბოხი ხმით უპასუხა ნასტასია ლუკინიშნა ნეპრემენოვამ, მოსკოველი ვაჭრის შვილმა, ახლა მწერლობისთვის რომ მიეყო ხელი და ბატალურ საზღვაო მოთხრობებს თხზავდა „შტურმან ჟორჟის“ ფსევდონიმით.

– რასა ბრძანებთ! – თამამად დაიწყო პოპულარული სკეტჩების ავტორმა ზაგრივოვმა, – აქ მოხარშვას მეც მერჩივნა აივანზე ჩაის დალევა. თათბირი ხომ ათზე უნდა დაწყებულიყო?

– ახლა ალბათ კარგია კლიაზმაზე, – დამსწრეები გააღიზიანა „შტურმანმა ჟორჟმა“. ლიტერატორთა სააგარაკო დასახლება პერელიგინო, კლიაზმაზე, ყველას აწუხებდა, – უკვე

ბულბულები გალობენ. რატომღაც ქალაქგარეთ უკეთ ვმუშაობ ხოლმე, განსაკუთრებით გაზაფხულზე.

– მეორე წელია ფული მოგროვილი მაქვს, მინდა ბაზედოვის დაავადებით დასნეულებული ცოლი გავგზავნო მაგ სამოთხეში, მაგრამ ვერაფერი გავახერხე, – მწარე გაბოროტებით ჩაილაპარაკა ნოველისტმა იერონიმ პოპრიხინმა.

– ბედი უნდა ყველაფერს, – დაიროხროხა რაფაზე ჩამომჯდარმა კრიტიკოსმა აბაბკოვმა.

„შტურმან ჟორჟს“ თვალები წამოენთო და თავი მოიკატუნა:

– ნუ გშურთ, ამხანაგებო, პერელიგინოში სულ ოცდაოთხი სააგარაკო შენობაა, კიდეც შვიდს აშენებენ, ჩვენ კი „მასსოლიტში“ სამი ათასი ვართ.

– სამი ათას თერთმეტი, – შეუსწორა ვილაცამ.

– აი, ხომ ხედავთ, – განაგრძო შტურმანმა, – რას იზამ? ბუნებრივია, დასასვენებლად ყველაზე ნიჭიერებს უშვებენ...

– თუ სავარძლიანებს? – ტყვიასავით ახალა სცენარისტმა გლუხარევმა.

– ლავროვიჩი ექვსოთხიანი ბინაში მარტოა გამოჭიმული, – წამოიყვირა დენისკინმა, – სასადილოშიც მუხაა აკრული!

– ახლა ეგ რა სალაპარაკოა? – ჩაიბუბუნა აბაბკოვმა, – უკვე თორმეტის ნახევარია.

აყაყანდნენ, იძულებული გახდნენ იმ საძაგელ პერელიგინოში დაერეკათ, ბერლიოზის ნაცვლად ლავროვიჩთან მოხვდნენ, შეიტყვეს, ლავროვიჩი მდინარეზე წასულიყო სასეირნოდ და მთლად წაუხდათ გუნება. შემდეგ წყობილსიტყვაობის კომისიაში დარეკეს და ვერც იქ მიაკვლიეს ვერავის.

– დაერეკა მაინც! – ერთხმად იყვირეს დენისკინმა, გლუხარევმა და კვანტმა.

ოჰ, რა ტყუილად ცხარობდნენ: მიხაილ ალექსანდროვიჩი ველარსად დარეკავდა. გრიბოდოვიდან კარგა მოშორებით, ათასსანთლიანი ნათურებით განათებულ უზარმაზარ დარბაზში, თუთიის სამ მაგიდაზე ეწყო ის, რასაც ამ ცოტა ხნის წინ მიხაილ ალექსანდროვიჩი ბერლიოზი ერქვა.

პირველზე – მკლავგადატეხილი, გულისფიცარჩამტვრეული, შიშველი და სისხლშემხმარი სხეული იდო, მეორეზე – კბილებჩაცვენილი თავი, რომელსაც თვალები ჩაღამებოდა და ეს მკვეთრი შუქი აღარ აღიზიანებდა, ხოლო მესამეზე – გახეშეშებული ტანსაცმლის გროვა.

თავმოკვეთილთან იდგნენ: სასამართლო მედიცინის პროფესორი, პათოლოგანატომი, პროზექტორი, გამომძიებელი და ავადმყოფი ცოლის საწოლიდან ტელეფონის ზარით წამოგდებული, მიხაილ ალექსანდროვიჩის თანაშემწე – ლიტერატორი ჟელდბინი.

ჟელდბინთან მანქანა გაგზავნეს და გამომძიებლის თანხლებით, უპირველესად, მოკლულის ბინაში მიიყვანეს (შუალამე იქნებოდა), ქაღალდები დალუქეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაბრუნდნენ მორგში.

და ახლა, ცხედართან მდგარი ხალხი თათბირობდა, როგორ აჯობებდა, მოკვეთილი თავი კისერზე მიეკერებინათ თუ ნიკაპამდე შავი სუდარა გადაეფარებინათ და ისე დაესვენებინათ გრიბოედოვის დარბაზში.

დიახ, მიხაილ ალექსანდროვიჩი ველარსად დარეკავდა და სულ ტყუილად შფოთავდნენ და ცხარობდნენ დენისკინი, გლუხარევი, კვანტი და ბესკუდნიკოვი. ზუსტად შუალამისას თორმეტმა ლიტერატორმა ზედა სართული დატოვა და რესტორანში ჩავიდნენ. იქ კიდევ ერთხელ შეუკურთხეს მიხაილ ალექსანდროვიჩს: ცხადია, აივანზე ყველა მაგიდა დაკავებული იყო და იძულებული გახდნენ, ამ ლამაზ, მაგრამ ჩანუთულ დარბაზში ევახშმათ.

ზუსტად შუალამისას პირველ დარბაზში რაღაცამ დაიგრუნუნა, აჟღერიალდა, ათროლდა და იმავ წამს მამაკაცის წიკვინა ხმაც გამწარებული აჰყვა მუსიკას: „ალილუია!“ – გრიბოედოვის სახელოვანმა ჯაზმა დაკვრა დაიწყო. გაოფლილ სახეებს შუქი მოეფინა, თითქოს აჭიხვინდნენ ჭერზე მიხატული ცხენები, ნათურებშიც იმატა შუქმა და მოულოდნელად, ჯაჭვიდან აწყვეტილივით აცეკვდა მთელი დარბაზი, შემდეგ აივანიც აჰყვა.

გლუხარევი პოეტ თამარა პოლუმესიაცთან ირწეოდა, ცეკვავდა კვანტი, რომანისტი ჟუკოპოვი ვიღაც ყვითელკაბიან კინომსახიობ ქალს ჩახვეოდა. ცეკვავდნენ: დრაგუნსკი, ჩერდაკჩი, ჩია დენისკინი და გოლიათი შტურმანი ჟორჟი, თვალწარმტაცი არქიტექტორი სემეიკინა-გალი და თეთრი რაგოჟისშარვლიანი უცნობი. ცეკვავდნენ შინაურები და გარეულები, მოსკოველები და ჩამოსულები, კრონშტადელი მწერალი იოჰანი, როსტოველი რეჟისორი ვიტია კუფტიკი, მთელ ლოყაზე იისფერი სირსველი რომ ჰქონდა მოდებული. ცეკვავდნენ „მასსოლიტის“ ქვეგანყოფილებების მოწინავე წარმომადგენლები, ე. ი. პავიანოვი, ბოგოხულსკი, სლადკი, შპიჩკინი და ადელფინა ბუზდიაკი. ცეკვავდნენ გაურკვეველი პროფესიის ბოქსზე თამაშეკრეჩილი, ღიპიანი ახალგაზრდები, პირში ხახვის ფოჩგაჩრილი ვიღაც ბერიკაციც აცუნდრუკდა და სისხლნაკლოლობით გათანგული, აბრეშუმის წითელკაბიანი გადაბერებული ქალი ააცეკვა.

გახვითქული ოფიცინტები ლუდის დაცვარულ კათხებს მოარბენინებდნენ და ხმაჩახლეჩილები, ზიზღით გაჰყვიროდნენ: „მაპატიეთ, მოქალაქევ!“ . სადღაც ვიღაც მბრძანებლობდა: „ერთი ყარსული!“, „ორი ზუბრიკი!“

წიკვინა ხმა კი აღარ მღეროდა, გაჰკიოდა: „ალილუია!“ დასაკრავი ოქროს თეფშების ზრიალი სამზარეულოში ჩაცურებული სინების რაჩხუნს ფარავდა. ერთი სიტყვით, ირგვლივ ჯოჯოხეთი ტრიალებდა.

არც მოჩვენება დაჰკლებია ამ ჯოჯოხეთს! შუალამისას აივანზე წვერწამახული, შავთვალა, ფრაკიანი ლამაზი ყმაწვილი გადმოდგა და მეფური მზერა მოავლო თავის სამფლობელოს. რას არ ჰყვებიან მისტიკოსები, თითქოს მას ჟამსა შინა, ფრაკი არ ემოსა ამ ყმაწვილს, მაშინ წელზე შემორტყმული ტყავის ფართო ქამრიდან რევოლვერის ტარები მოუჩანდა, ყორნისფერ კულულებზე წითელი აბრეშუმი ჰქონდა გაკრული და კარიბის ზღვაში დაცურავდა შავდროშიანი, ორანძიანი ხომალდით.

მაგრამ არა, არა! ცრუობენ მაცდური მისტიკოსები, კარიბის ზღვა არ არსებობს ამქვეყნად, არც თავზე ხელაღებული მეკობრეები დაცურავდნენ იქ ოდესმე, არც კორნეტი მისდევდათ უკან და არც ზარბაზნის კვამლი ეფინებოდა ტალღებს. არაფერი არ არსებობს და არც არსებულა! არის მხოლოდ ეს ჩამომხმარი ცაცხვი, არის თუჯის ჯებირი და მის მიღმა ხეივანი... და ლღვება ყინული თასებში, მეზობელი მაგიდიდან ვიღაცის ჩასისხლიანებული, კამეჩივით

თვალეები მოგჩერებია და გეშინია, გეშინია... „ო, დიდებულო ღმერთებო, საწამლავი მომეცით, საწამლავი! . . . „

მოულოდნელად მაგიდებს ფარფატით გადაუარა სიტყვამ: „ბერლიოზი!“, უეცრად ჯაზი დადუმდა და წამოიშალა, თითქოს ვიღაცამ მუშტი დაუბრახუნაო. „რა? რაო, რაო, რაო?!“ – „ბერლიოზი!!!“ – ადგილიდან წამოხტნენ, აკივლდნენ.

ღიას, მიხაილ ალექსანდროვიჩის დალუპვის ცნობამ სიმწრის ტალღა ააზვირთა. ვიღაც დარბოდა, ყვიროდა, ახლავე, აქვე, ადგილიდან ფეხის მოუცვლელად, აუცილებლად შევადგინოთ კოლექტიური დეპეშა და სასწრაფოდ გავგზავნოთო.

რომელი დეპეშა, ვიკითხავთ ჩვენ, და ვის? რაღა საჭიროა? ან ვის უნდა გაუგზავნონ? რად სჭირდება დეპეშა იმას, ვისი გაჭეჭვილი კეფაც პროზექტორის რეზინისხელთათმინიან ხელებს უპყრია და ვის კისერსაც ამ წუთებში გაღუნული ნემსით ჩხვლევს პროფესორი? დაილუპა და აღარც დეპეშები ენაღვლება. ყოველივე დასრულდა, ჰოდა, ტყუილად ნულა გადავტვირთავთ ფოსტას.

ღიას, დაილუპა, დაილუპა... მაგრამ ჩვენ ხომ ჯერ ცოცხლები ვართ!

ღიას, აზვირთდა უბედურების ტალღა, ერთხანს იბობოქრა, იმძვინვარა, შემდეგ ნელ-ნელა ჩაცხრა, ვიღაც უკვე მიუბრუნდა თავის მაგიდას და ჯერ ჩუმ-ჩუმად, შემდეგ კი შეუფარველად გადაკრა არაყი, საჭმელიც მიაყოლა. მართლაცდა, ხომ არ გადავყრით ქათმის კატლეტ დე-ვოლიაის? რას წავადგებით მიხაილ ალექსანდროვიჩს ჩვენი შიმშილით? ჩვენ ხომ ჯერ ცოცხლები ვართ!

ცხადია, როიალი დახურეს, ჯაზი აიშალა და კიდევ რამდენიმე ჟურნალისტი გაიქცა რედაქციაში ნეკროლოგის დასაწერად. გაირკვა, რომ ჟელდიბინი დაბრუნებულიყო მორგიდან, ახლა მეორე სართულზე, გარდაცვლილის კაბინეტში იმყოფებოდა და იმავ წამს ხმაც დაირხა, ჟელდიბინი შეცვლის ბერლიოზსო. ჟელდიბინმა სამმართველოს თორმეტივე წევრი იხმო რესტორნიდან და ამ სახელდახელო თათბირზე განიხილეს გრიბოედოვის სვეტებიანი დარბაზის მოწყობის, მორგიდან ნემსის გადმოსვენებისა თუ სახალხო პანაშვიდის საკითხები. მოკლედ, ყველაფერი, რაც ამ სამწუხარო მოვლენას ეხებოდა.

რესტორანმა კი თავისი ჩვეულებრივი, ღამეული ცხოვრება განაგრძო და ასე გასტანდა დაკეტვამდე, ე. ი. დილის ოთხ საათამდე, კიდევ ერთი უცნაურობა რომ არ მომხდარიყო, რომელიც ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა და ბერლიოზის დალუპვაზე მეტად შეაძრწუნა რესტორნის სტუმრები.

უპირველესად გრიბოედოვის კარიბჭესთან მოდარაჯე მეეტლეები შეშფოთდნენ. გარკვევით გაისმა ერთ-ერთის ყვირილი:

– ოჰო! ერთი ამას დამიხედეთ!

წამოძახილის კვალად მოაჯირთან ალი გაკრთა და აივნისაკენ გამოემშურა. მაგიდასთან მსხდომნი წამოცვივდნენ, სიბნელეს დააკვირდნენ და გაარჩიეს, რომ ალთან ერთად აივნისაკენ მოჩვენებაც მოიწევდა. ლანდი კარადას მიუახლოვდა და მწერლები სკამებს მიეყინნენ, ჩანგლებზე წამოცმული ლუკმა ხელში შეაცივდათ, თვალეები გადმოეკარკლათ. ეზოში მოსაწევად გასულმა შვეიცარმა პაპიროსი ფეხით გასრისა, მოჩვენებისათვის გზის გადაღობვა დააპირა, მაგრამ რატომღაც გადაიფიქრა, შედგა და სულელურად გაიკრიჭა.

მოჩვენებამ კი კარადის ნიშში გამოიარა, შეუჩერებლად შემოვიდა აივანზე და უეცრად ყველამ ცხადლივ გაარჩია, რომ მოჩვენება კი არა, ივან ნიკოლაევიჩი უსახლკარო მოდიოდა, ცნობილი პოეტი.

ფეხშიშველა იყო, თეთრ, დაკონკილ პერანგზე ინგლისური სარჭით მიემაგრებინა უცნობი წმინდანის ხატი და შარვლის ნაცვლად ზოლიანი ქვედა საცვალი ეცვა. ხელთ ანთებული, საქორწინო სანთელი ეპყრა. მარჯვენა ლოყიდან სისხლი მოწვეთავდა – და აივანზე სამარისებურმა მდუმარებამ დაისადგურა. ლუდი მოწანწკარებდა გადაფერდებული კათხებიდან.

პოეტმა სანთელი ზეაღმართა და იყვირა:

– სალამი, ძმებო! – შემდეგ უახლოესი მაგიდის ქვეშ შეიხედა და დანაღვლიანდა, – არც აქ არის, არც აქ!

ორად ორი ხმა გაისმა, ბარიტონმა უმოწყალოდ მოჭრა:

– მზადაა! თეთრი ცხელება აქვს!

მეორემ (ქალის ხმა იყო) შიშით იკითხა:

– მილიციამ როგორ არ დააკავა ქუჩაში?

ივან ნიკოლაევიჩმა შეკითხვას ყური მოჰკრა და უპასუხა:

– ორჯერ მიპირებდნენ დაკავებას, სკატერტნაიასა და ბრონნაიაზე, ღობეზე გადავძვერი და ლოყაც გავიგლიჯე! – ივან ნიკოლაევიჩმა სანთელი ისევ აღმართა და იყვირა, – ძმანო, ლიტერატორნო (ხრინწიანი ხმა გაცხოველდა და გაძლიერდა)! ყველამ მისმინეთ! გამოჩნდა! სასწრაფოდ დააკავეთ, თორემ აუწერელ უბედურებას დაატრიალებს!

– რა? რაო? რა თქვა? ვინ გამოჩნდა? – იკითხეს ყოველი მხრიდან.

– კონსულტანტი! – უპასუხა ივანმა, – იმ კონსულტანტმა ახლა მიშა ბერლიოზი მოკლა პატრიარქებზე.

შუა დარბაზიდან ხალხი აივანს მოაწყდა და ივანის აღს შემოეხვია.

– უკაცრავად, უკაცრავად, ეგებ ზუსტად აგვიხსნათ, – ივან ნიკოლაევიჩის ყურთან გახმიანდა ჩუმი, თავაზიანი ხმა, – გვითხარით, როგორ მოკლა? ვინ იყო?

– უცხოელი კონსულტანტი, პროფესორი და ჯაშუში! – მიმოიხედა ივანმა.

– რა გვარისაა? – ჩურჩულით ჰკითხეს.

– საქმეც ეგაა! – ნაღვლიანად იყვირა ივანმა, – გვარი რომ ვიცოდე... ბარათზე ვერ გავარჩიე. მხოლოდ პირველი ასო მახსოვს „ვ“. გვარი ვ-ზე იწყება! რა გვარებია ვ-ზე? – თავის თავს დაეკითხა ივანი, შუბლზე იტაცა ხელი და უეცრად ალუღლოღდა, – ვე, ვე, ვვ, ვე... ვა, ვა, ვაშნერი? ვაგნერი? ვაინერი? ვეგნერი? ვინტერი? – დაძაბულობისაგან თმა ყალყზე დაუდგა.

– ვულფი! – საბრალოდ მიაშველა ვიღაც ქალმა.

ივანი გაბრაზდა.

– უტვინო! – გალანძღა და თვალთ მოიძია წამომძახებელი, – ვულფი რა შუაშია? ახლა ვულფს დააბრალებთ ყველაფერი! ვო... ვო... არა! ასე ვერ გავიხსენებ! იცით, რას გირჩევთ, მოქალაქენო... პოლიციაში დარეკეთ, ხუთი მოტოციკლი გამოგზავნონ პროფესორის დასაჭერად, ტყვიამფრქვევებიც წამოიღონ. ისიც უთხარით, რომ თან ორი კაცი ახლავს: ერთი მაღალი, კუბოკრული... პენსნე გაბზარული აქვს... და შავი, მსუქანი კატა. მე კი მანამდე გრიბოედოვს გავჩხრეკ... აქ უნდა იყოს, დარწმუნებული ვარ!

აღელვებულმა ივანმა იქ მყოფნი გასწი-გამოსწია, სანთელს წარამარა იქნევდა, ცვილს ხალხს ასხამდა და მაგიდების ქვეშ იჭყიტებოდა. უეცრად გაისმა: „ექიმი!“ – და ვილაცის ალერსიანი, გაფიჟინებული, გაპარსული და რქისჩარჩონიანი სახე ივანის თვალწინ შეირხა.

– ამხანაგო უსახლკარო, – ჩურჩულით უთხრა მან, – დამშვიდდით, თქვენ აგაღელვათ ყველასათვის ძვირფასი მიზილ ალექსანდროვიჩის... არა, უბრალოდ, მიშა ბერლიოზის სიკვდილმა. ეს ყველას კარგად გვესმის. ახლა თქვენ სიმშვიდე გჭირდებათ. ამხანაგები ლოგინთან მიგაცილებენ და დაისვენებთ...

– გესმით, თუ არა, – სიტყვა შეაწყვეტინა კბილებდაკრეჭილმა ივანმა, – პროფესორი უნდა დავაკავოთ? რა დროს ძილია! კრეტინო!

– ამხანაგო უსახლკაროვ, შემეწყალეთ, – იმ კაცს სახე შეეფაკლა, უკან დაიხია და მწარედ ინანა, სხვის საქმეში რომ ჩაერია.

– არა, ვის ვის და შენ კი არ შეგიწყალებ, – ზიზღით უთხრა ივან ნიკოლაევიჩმა.

ტუჩები კრუნჩხვით მოექცა, სანთელი სასწრაფოდ გადაიტანა მარცხენა ხელში, მარჯვენა კი მოიქნია და ყურის ძირში ლეწა არამკითხეს.

მხოლოდ ახლა მიხვდნენ, გაეკავებინათ – და გააკავეს. სანთელი ჩაქრა და არამკითხეს სახიდან ჩამოვარდნილი სათვალე იატაკს მიესრისა. ივანმა შემზარავი საბრძოლო ყიჟინა დასცა, სამწუხაროდ, ყვირილი ხეივანსაც მისწვდა. მაგიდიდან გადმოცვენილი თეფშები აზრიალდა, ქალები აკივლდნენ.

ვიდრე ოფიციალტები პირსახოცებით კოჭავდნენ ივანს, გასახდელში მეკობრეთა წინამძღოლსა და შვეიცარს შორის ასეთი საუბარი გაიმართა:

– ხომ დაინახე, საცვლების ამარა რომ იყო? – ცივად ჰკითხა მეკობრემ.

– დავინახე, არჩიბალდ არჩიბალდოვიჩ, – უპასუხა დამფრთხალმა შვეიცარმა, – მაგრამ, როგორ არ შემეშვა, „მასსოლიტის“ წევრია!

– ხომ დაინახე საცვლების ამარა რომ იყო? – გაიმეორა ყაჩაღმა.

– შემებრალებთ, არჩიბალდ არჩიბალდოვიჩ, – გაწითლდა შვეიცარი, – ახლა რაღა ეშველება? მეც მესმის, აივანზე ქალები სხედან...

– რა შუაშია ქალები? ქალებს ფეხზე ჰკიდიათ, – უთხრა ყაჩაღმა და თვალებით გაბურღა, – აი, მილიციას კი სულაც არა ჰკიდია ფეხზე! შენც, თუ შვეიცარი ხარ, უნდა იცოდე, ასეთი კაცის დანახვისთანავე სასტვენს უნდა ჩაჰბერო, გესმის?

დაფეთებულ შვეიცარს აივნიდან ქოთქოთი, ჭურჭლის მსხვრევის ხმა და ქალების კვილი ესმოდა.

– თუ იცი, რისი ღირსი ხარ? – ჰკითხა მეკობრემ.

შვეიცარს სახეზე მიტკლისფერი დაედო და თვალები ჩაუქრა. მოეჩვენა, შუაზე გაყოფილ, შავ თმაზე ალისფერი აბრეშუმი აყაშყაშდა, ანაზდად გაქრა ფრაკი და ტყავის ქამრიდან რევოლვერის ტარი ამოიჩარა. თავად ფორ-მარსა-რეიზე ეკიდა ჩამოხრჩობილი. თავისი თვალით დაინახა საკუთარი გადმოგდებული ენა, მკერდზე უსიცოცხლოდ ჩამოვარდნილი თავი და ქიმი იქიდან ტალღების დგაფუნიც შემოესმა. შვეიცარს მუხლი მოეკვეთა. მაგრამ მეკობრემ შეიბრალა და მწერაში ცეცხლი ჩაიქრო.

– მიფრთხილდი, ნიკოლაი! უკანასკნელად გაფრთხილებ. შენნაირ შვეიცარს რა თავში ვიხლი. თუ არ შეგიძლია, ეკლესიაში მოეწყვე დარაჯად, – ესა თქვა და სხარტად, ზუსტად და გასაგებად ბრძანა, – ბუფეტიდან პანტელეიმონი მოიყვანე. მილიციელიც. ოქმი. მანქანა. ფსიქიატრიულში, – შემდეგ დასძინა, – დაუსტვინე!

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ, რესტორნის ბაღში გამზირალი სახლის ფანჯრებს მომწყდარმა და ხეივანში მოქუჩებულმა უსაქმურებმა დაინახეს, როგორ გამოჰყავდათ გრიბოედოვის კარიბჭიდან პანტელეიმონს, შვეიცარს, მილიციელს, ოფიციანტს და პოეტ რიუხინს თოჯინასავით გაკოჭილი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ცრემლად იღვრებოდა, რატომღაც რიუხინს აფურთხებდა და მწარედ გაჰყვიროდა:

– უნამუსო!

სატვირთო მანქანის მძღოლი, სახეგაბოროტებული კაცი, ძრავას ათუხთუხებდა. იქვე, ვიღაც მეეტლე ცხენს ლილისფერ მათრახს უტყლაშუნებდა და გაჰყვიროდა:

– აბა, ცხენები! ადრე მე დამყავდა საგიჟეთში!

ირგვლივ ბრბო ზუზუნებდა, უჩვეულო მოვლენაზე ჭორაობდა. ერთი სიტყვით, საზიზღარი, ამაზრზენი, ღორული აურზაური ატყდა და ყველაფერს მხოლოდ მაშინ მოელე ბოლო, როცა სატვირთო მანქანამ გრიბოედოვის ჭიშკარს მოაცილა უბედური ივან ნიკოლაევიჩი, მილიციელი, პანტელეიმონი და რიუხინი.

თავი მეექვსე

შიზოფრენია, როგორც უწინასწარმეტყველეს

ლამის ორის ნახევარი იქნებოდა, როცა ამ ცოტა ხნის წინ მოსკოვის გარეუბანში, მდინარის პირას აშენებული სახელგანთქმული ფსიქიატრიული კლინიკის მისაღებ ოთახში წვერცანცარა და თეთრხალათიანი კაცი შევიდა. სამი სანიტარი თვალს არ აშორებდა დივანზე წამოყინებულ ივან ნიკოლაევიჩს. მის გვერდით, იმავე დივანზე, პირსახოცები ეყარა გროვად. ივან ნიკოლაევიჩისთვის უკვე შეეხსნათ ხელ-ფეხი.

რიუხინმა შემოსულს მოჰკრა თვალი, გადაფითრდა, ჩაახველა და მორიდებით მიესალმა.

– გამარჯობა, ექიმო!

ექიმმა რიუხინს თავი დაუკრა, მაგრამ მისაღმებისას ზედაც არ შეუხედავს – ივან ნიკოლაევიჩს აკვირდებოდა.

ის კი გაბოროტებული და წარბშეკრული იჯდა. ექიმის შემოსვლისას არც შერხეულა.

– ექიმო, – რატომღაც ჩურჩულით დაიწყო რიუხინმა და შიშით გახედა ივან ნიკოლაევიჩს, – ეს გახლავთ ცნობილი პოეტი ივან უსახლკარო... იცით... გვეშინია, თეთრი ცხელება ხომ არ...

– ბევრს სვამდა? – კბილებში გამოსცრა ექიმმა.

– სვამდა, მაგრამ არც იმდენს...

– ტარაკნებს, ვირთხებს ან მაწანწალა ძაღლებს ხომ არ დასდევდა?

– არა, – შეკრთა რიუხინი, – გუშინ ვნახე, ამ დილასაც. სრულიად ჯანმრთელი იყო.

– საცვალი რატომ აცვია? ლოგინიდან ააყენეთ?

– რესტორანში მოვიდა ასე...

– აჰა, აჰა... – ესიამოვნა ექიმს, – ჭრილობა? ეჩხუბა ვინმეს?

– ლობიდან ჩამოვარდა, მერე რესტორანშიც გაარტყა ერთს... და სხვებსაც...

– ასე, ასე, ასე... – თქვა ექიმმა, ივანისკენ შებრუნდა და დასძინა, – გამარჯობა!

– გაგიმარჯოს, მავნებელო! – ბოროტად შეუღრინა ივანმა.

რიუხინმა დაირცხვინა და თვალი ველარ გაუსწორა თავაზიან ექიმს. მას კი არც სწყენია. ჩვეული, სხარტი მოძრაობით მოიხსნა სათვალე, ხალათის კალთა აიკეცა, შარვლის უკანა ჯიბეში ჩაიჩურთა და ივანს ჰკითხა:

– რამდენი წლის ხართ?

– ეშმაკსაც წაუღიხართ ყველა! – უხეშად უყვირა ივანმა და პირი იბრუნა.

– რატომ ბრაზობთ? გაწყენინათ ვინმემ?

– ოცდასამის, – აღელდა ივანი, – იცოდეთ, ყველას გიჩივლებთ, შენ კი განსაკუთრებით, შე დამპალო! – მიმართა რიუხინს.

– რატომ გვიჩივლებთ?

– საღ-სალამათი კაცი შემიპყრეს და ძალით მომათრიეს საგიჟეთში! – განრისხდა ივანი.

რიუხინი ივანს დააკვირდა და გააჟრჟოლა: სიგიჟის არაფერი ეტყობოდა. ამღვრეული თვალები დასწმენდოდა.

„ღმერთო! – შეძრწუნდა რიუხინი, – მართლა ნორმალურია, რა საშინელებაა! აქ რატომ მოვათრიეთ? ნორმალურია, ნორმალური, მხოლოდ სიფათი აქვს გაკაწრული...“

– თქვენ საგიჟეთში კი არა, კლინიკაში იმყოფებით, – მშვიდად განუმარტა ექიმმა და მზინავფეხებიან თეთრ სკამზე ჩამოჯდა, – თუ საჭიროდ არ ჩავთვლით, აქ არავინ გაგაჩერებთ...

ივან ნიკოლაევიჩმა ეჭვით გახედა, მაგრამ მაინც ჩაიბურღლუნა:

– მადლობა ღმერთს, ამდენ იდიოტში ძლივს ერთი ნორმალური კაცი გამოჩნდა. თუმცა ყველაზე დიდი ლენჩი და იდიოტი ეს უნიჭო საშკაა!

– ეს უნიჭო საშკა ვილაა? – დაინტერესდა ექიმი.

– აი ეს, რიუხინი! – უპასუხა ივანმა და ტურტლიანი თითი პოეტისაკენ გაიშვირა.

რიუხინი სიმწრით აიღეწა.

„მადლობის მაგიერია! – მწარედ ინანა მან, – მართლა უსინდისო ყოფილა!“

– ტიპური კულაკია, – ივან ნიკოლაევიჩმა რატომღაც აქ დააპირა რიუხინის გამოაშკარავება, – თანაც ისეთი კულაკი, გულდაგულ რომ არის ამოფარებული პროლეტარიატის ნიღაბს. ერთი შეხედეთ, როგორ ჩამოსტირის ცხვირ-პირი და მერე მაგისი სამაისოდ დაწერილი ლექსები წაიკითხეთ! ჰა-ჰა-ჰა... „იფრიალეთ! გაიშალეთ!“ ნეტა მაგის გულში ჩაგახედათ... გაოცდებით! – და ივან ნიკოლაევიჩმა ავად ჩაიხითხითა.

რიუხინს სუნთქვა შეეკრა, წამოწითლდა და ახლა მხოლოდ იმასლა ფიქრობდა, რომ მკერდში გველი მოეთბო და დასაზმარებლად უბოროტესი მტრისთვის გაეწოდებინა ხელი. სამწუხაროდ, ვერც ვერაფერს იღონებდა: სულით ავადმყოფს ხომ არ აუტენდა ჩხუბს?

ექიმმა გულისყურით მოუსმინა უსახლკაროს და ჰკითხა:

– აქ რატომ მოგიყვანეს?

– ეშმაკმა იცის ამ იდიოტების თავი! ხელი მტაცეს, რაღაც პაჭა-პუჭებით გამკოჭეს, სატვირთო მანქანაზე შემადგეს და აქ მომათრიეს.

– იქნებ ამიხსნათ, რესტორანში საცვლების ამარა რატომ მიბრძანდით?

– რა ძნელი ასახსნელი ეგაა? – უპასუხა ივანმა, – მდინარეში ვბანაობდი, ტანსაცმელი ამწაპნეს, სამაგიეროდ კი ეს საძაგლობა დამიტოვეს. რა მექნა, ტიტველი ხომ ვერ წამოვიდოდი? რაც ხელში მომხვდა, ის ჩავიცვი, გრიბოედოვში მეჩქარებოდა.

გაოცებულმა ექიმმა რიუხინს შეხედა, მან კი მოღუშულმა უთხრა:

– რესტორანს ჰქვია ასე.

– აჰა, – თქვა ექიმმა, – რატომ ჩქარობდით? ვინმესთან შეხვედრა გქონდათ დათქმული?

– კონსულტანტს ვიჭერ, – უპასუხა ივანმა და შეშფოთებულმა მიმოიხედა.

– ვინ კონსულტანტს?

– ბერლიოზს იცნობთ? – მრავალმნიშვნელოვნად ჰკითხა ივანმა.

– იმ... კომპოზიტორს?

ივანი გაბრაზდა.

– ვინ კომპოზიტორს? ჰო, დიახ, დიახ! კომპოზიტორი მიშა ბერლიოზის მოგვარეა.

რიუხინს ხმის ამოღება არ სურდა, მაგრამ იძულებული იყო, განემარტა:

– „მასსოლიტის“ თავმჯდომარე ბერლიოზი დღეს სალამოს, ჰატრიარქთა ტბორებთან ტრამვაიმ გაიტანა.

– ტყუილებს ჩმახავ! – შეუტია ივანმა, – შენ რა იცი, იქ მე ვიყავი. ძალით შეაგდო ტრამვაის ქვეშ.

– ხელი ჰკრა?

– „ხელი ჰკრა!“ – ამ გაუგებრობამ მთლად გააგიჟა ივანი, – ეგ ისეთი ტიპია, ხელის კვრაც არ სჭირდება, ისეთ ამბებს ატრიალებს, გაგიჟები! წინასწარ იცოდა, რომ ბერლიოზს ტრამვაი გაიტანდა.

– თქვენ გარდა სხვებმაც ნახეს ეგ კონსულტანტი?

– უბედურებაც ეგ არის, რომ მხოლოდ მე და ბერლიოზი ვიყავით.

– ასე. მკვლელის დასაკავებლად რა ზომები მიიღეთ?- ექიმი შებრუნდა და მოშორებით, მაგიდასთან მჯდარ თეთრხალათიან ქალს შეხედა, – მან უჯრიდან ფურცელი ამოიღო და რალაცის წერა დაიწყო.

– სამზარეულოში სანთელს მივაგენი...

– ამას? – ჰკითხა ექიმმა და მაგიდაზე ხატთან დაგდებულ გატეხილ სანთელზე მიუთითა.

– სწორედ მაგას, და...

– ხატი რაღად გინდოდათ?

– ჰო, ხატი... – ივანი წამოწითლდა, რიუხინზე მიუთითა, – ამ ხატმა შეაშინა ყველაფერზე მეტად. გულახდილად გეტყვით, ეგ კონსულტანტი... რაღაც უწმინდურ ძალასთან არის დაკავშირებული... ხორციელი ვერაფერს გააწყობს მასთან...

სანიტრები რატომღაც გაჯგამოულები იდგნენ და თვალს არ აშორებდნენ ივანს.

– დიახ, – განაგრძო უსახლკარომ, – აუცილებლად უწმინდურ ძალასთან არის დაკავშირებული! ამას ბევრი ლაპარაკი არ უნდა. თავისი თვალით უნახავს პონტოელი პილატე. ეგრე ტყუილად მიყურებთ. სიმართლეს ვამბობ! ყველაფერი ნანახი აქვს – აივანიც, პალმებიც... ერთი სიტყვით, პონტოელ პილატესთან იყო, მაგის თავდები მე ვარ.

– დაწყნარდით, დაწყნარდით...

– ჰოდა, მეც ხატი გულზე დავიბნიე და გავეკიდე...

საათმა ორჯერ შემოჰკრა.

– ოჰო-ჰო! – წამოიყვირა ივანმა და ტახტიდან წამოხტა, – ორი საათია! რა დრო გასულა! მაპატიეთ, ტელეფონი გაქვთ?

– მიუშვით ტელეფონთან, – სანიტრებს უბრძანა ექიმმა.

ივანი ყურმილს მისწვდა. ამასობაში ქალმა ჩურჩულით ჰკითხა რიუხინს:

– ცოლიანია?

– უცოლოა, – უპასუხა დამფრთხალმა რიუხინმა.

– პროფკავშირის წევრია?

– დიახ.

– ალო, მილიციაა? – ყურმილს ჩასძახა ივანმა, – მილიციაა? ახლავე უბრძანეთ, ხუთი მოტოციკლი გამოყონ ტყვიამფრქვევებით, საზღვარგარეთელი კონსულტანტის დასაჭერად. რა? გამომიარეთ, მეც წამოგყვებით... გელაპარაკებით პოეტი უსახლკარო საგიჟეთიდან... – ივანმა ყურმილს დააფარა ხელი და ჩურჩულით ჰკითხა ექიმს, – თქვენი მისამართი? – მერე ისევ ყურმილს ჩასძახა, – მისმინეთ, ალო! უჰ, შენი!. . – უეცრად იღრიალა ივანმა და ყურმილი კედელს მიანარცხა. შემდეგ ექიმს მიუბრუნდა, ხელი გაუწოდა, გულგრილად გამოემშვიდობა და წასვლა დააპირა.

– მოითმინეთ, სად მიდიხართ? – ჰკითხა ექიმმა და თვალეში შეხედა, – ახლა შუაღამეა, თქვენ საცვლების ამარა ხართ... შეუძლოდ ბრძანდებით... გირჩევნიათ, აქ დარჩეთ...

– ახლავე გამიშვით! – საშინელი ხმით უყვირა ივანმა კართან ატუზულ სანიტრებს, – გამატარებთ თუ არა?

რიუხინი აკანკალდა, ქალმა კი მაგიდაზე ღილაკს დააჭირა ხელი. მაგიდის რკინის ზედაპირზე ბრჭყვიალა კოლოფი და ამჟღავნა ამოხტა.

– აჰ, ეგრე არა?! – ველური გაბოროტებით მიმოიხედა ივანმა, – კეთილი, კარგად ბრძანდებოდეთ... – და თავით ისკუპა ფანჯარაში. ბრახვანი გაისმა. მაგრამ ფარდების მიღმა უტეხმა მინებმა გაუძლო დარტყმას და წამის შემდეგ პოეტი სანიტრების ხელში ფართხალებდა, ღრიალებდა, იკბინებოდა და ყვიროდა:

– ეს მინები მაინც სად იშოვეთ?! გამიშვით! გამიშვი, შენი!..

ექიმის ხელში ნემსმა გაიელვა, ქალმა თითის ერთი ჩამოკვრით გაურღვია პერანგის გაცრეცილი სახელო და არაქალური ძალით ჩააფრინდა ავადმყოფს. ჰაერში წამლის სუნი დატრიალდა, როგორც იქნა, ოთხმა კაცმა გააკავა პოეტი, მოხერხებულმა ექიმმა ამ წუთით ისარგებლა და ნემსი გაუკეთა. ივანს რამდენიმე წამს კიდევ აკავებდნენ, შემდეგ კი დივანზე მიაწვინეს.

– ბანდიტებო! – იყვირა ივანმა და ტანტიდან წამოხტა, მაგრამ ისევ დასვეს. ხელის შეშვებისთანავე ისევ აპირებდა წამოხტომას, მაგრამ მუხლი მოეკვითა. ერთხანს დუმდა, ველურად აბრიალებდა თვალებს, მერე მოულოდნელად დაამთქნარა და ბოროტად გაიღიმა.

– მაინც ჩამამწყვდიეთ, არა? – თქვა მან, კიდევ ერთხელ დაამთქნარა, მოულოდნელად ტანტზე მიწვა, თავი ბალიშზე დადო, ბავშვივით ლოყის ქვეშ ამოიღო ხელი და უკვე უბოროტოდ, ძილ-ბურანში წაილულლულა, – კი ბატონო, ახლა ყველაფერი თქვენს თავს დააბრალეთ, მე გაგაფრთხილეთ და თუ არ გინდათ, კისერიც გიტეხიათ... ახლა ყველაზე მეტად პილატე პონტოელის ამბავი მაინტერესებს... პილატე... – თქვა და თვალი დახუჭა.

– აბაზანა, ცალკე ასმეჩვიდმეტეში და მორიგეობა, – ბრძანა ექიმმა და სათვალე გაიკეთა. უეცრად უხმაუროდ გაიღო თეთრი კარი, კარს მიღმა ლურჯი საღამური ნათურებით განათებული დერეფანი გამოჩნდა. დერეფნიდან რეზინისბორბლებიანი ტანტი შემოაგორეს და ზედ ჩაძინებული ივანი დააწვინეს, ტანტი ისევ დერეფანში გაგორდა და კარი დაიკეტა.

– ექიმო, – ჩურჩულით ჰკითხა გაოგნებულმა რიუხინმა, – მართლა ავადაა?

– დიახ, – უპასუხა ექიმმა.

– რა სჭირს ასეთი? – მორცხვად ჩაეკითხა რიუხინი.

დაღლილმა ექიმმა რიუხინს შეხედა და უწადილოდ აუხსნა:

– მოქმედებისა და სალაპარაკო ცენტრის აღგზნება... რთული შემთხვევა ჩანს... ვგონებ, შიზოფრენია უნდა იყოს... თანდართული ალკოჰოლიზმით...

რიუხინმა მხოლოდ ის გაიგო, რომ ივან ნიკოლაევიჩის საქმე ჭკად იყო, ამოიოხრა და ჰკითხა:

– სულ ამ კონსულტანტს რატომ ახსენებს?

– დღეს ალბათ ვიღაცას შეხვდა და მისმა აღგზნებულმა წარმოსახვამ... ან იქნებ მოეჩვენა კიდევ...

რამდენიმე წუთის შემდეგ იგივე საბარგო მანქანა მოსკოვისკენ მიაქანებდა რიუხინს. თენდებოდა და გზაზე ჩამწკრივებული ნათურების შუქი ზედმეტი და უსიამოვნო ჩანდა. მძღოლი ბრაზობდა, ღამე უქმად რომ გაატარა, კისრისტენით მიაგელვებდა მანქანას და მოსახვევებში ბორბლებს აღრჭიალებდა.

ტყე მიიღია, სადღაც უკან დარჩა, მდინარემაც გვერდით გაუხვია და ახლა მხოლოდ თვალისთვის უსიამოვნო ათასგვარი ხაბაკხუბაკი ხვდებოდათ წინ: ჯერ რაღაც ღობეს ჩაუარეს, საყარაულო ჯიხურს, მორების გროვას, მაღალ ბოძებსა და ანძებს. მიწა არხებით იყო დაღარული – ერთი სიტყვით, იგრძნობოდა, რომ საცაა მოსკოვში შევიდოდნენ, აქვე, ერთი მოსახვევის შემდეგ გამოჩნდებოდა მოსკოვი, მთლიანად დაიპყრობდა და ჩაითრევდა.

რიუხინი ძლივს იმაგრებდა თავს, სატვირთო მანქანის ბორტებს აწყდებოდა და იატაკზე დაყრილი ფიცრებიც ფეხქვეშ ეცლებოდა, პირსახოცებიც აქეთ-იქით მიმორბოდა, ეს პირსახოცები ადრევე შემოყარეს მანქანაში მილიციელმა და პანტელეიმონმა, რომლებიც ქალაქისაკენ მიმავალ უკანასკნელ ტროლეიბუსს გაჰყვნენ. რიუხინმა ერთი კი დააპირა პირსახოცების მოკრება, მერე რატომღაც ბოროტად ჩაისისინა: „ემშაკსაც წაუღია ყველაფერი! მართლა რა სულელივით ვიქცევი?..“ – ფეხი გაჰკრა და იქით აღარც გაუხედავს.

საშინელ გუნებაზე იყო. საღმობიერ სახლში სტუმრობამ წარუშლელი კვალი დააჩნია. რიუხინი ცდილობდა გაერკვია, ასე რა ტანჯავდა – მეხსიერებაში ჩარჩენილი ლურჯნათურებიანი დერეფანი თუ იმის შეგრძნება, რომ გონის წართმევაზე დიდი უბედურება არ არსებობდა ამქვეყნად? ცხადია, ესეც. მაგრამ ეს ხომ ყველამ იცის. კიდეც რაღაც უღრღნიდა გულს. კერძოდ რა? ეგებ წყენა. დიან, იმ სიტყვებით მიყენებული წყენა, პირდაპირ სახეში რომ მიახალა უსახლკარომ. და კიდეც იმის შეგრძნებაც, რომ უსახლკარომ სიმართლე უთხრა.

პოეტი დაჟინებით დასცქეროდა ტურტლიან, მოცანცანხე იატაკს, რაღაცას ბუტბუტებდა, წუწუნებდა და გულს იღრღნიდა.

ჰო, ლექსები... უკვე ოცდაათორმეტი წლისაა! მართლაც ნეტა რას უქადის მომავალი? მომავალშიც წელიწადში რამდენიმე ლექსს დაწერს... და ასე გაგრძელდება სიბერემდე? ჰო, სიბერემდე. ან რას მოუტანენ ეს ლექსები? სახელს? „რა სისულელეა! თავს მაინც ნუ იტყუებ. ცუდი ლექსების მჩხაპნელს დიდება არ ეღირსება. მაგრამ რატომაა ცუდი? მართალი მითხრა, მართალი! – უმოწყალოდ ისამართლებდა თავს რიუხინი, – მე ხომ ისიც არ მჯერა, რასაც ვწერ!“

ნევრასთენიის შეტევით მოწამლული პოეტი უცებ შექანდა და ათახთახებული მანქანაც გაჩერდა. რიუხინმა თავი ასწია, დაინახა, რომ კარგა ხანია მოსკოვში შესულიყვნენ, უფრო მეტიც, მოსკოვის თავზე რიჟრაჟი კიაფობდა, ღრუბელი ოქროსფერი ნათებით იყო მოვარაყებული, საბარგო მანქანა ხეივანის მოსახვევში გაჩერებულიყო სხვა მანქანებს შორის, იქვე ახლოს კი, კვარცხლბეკზე, ოდნავ თავდახრილი, ლითონისაგან ჩამოსხმული კაცი იდგა და გულგრილად გასცქეროდა ხეივანს.

რაღაც უცნაური აზრები აეკვიატა სნებაშეყრილ პოეტს: „აი, ჭემმარიტი იღბლიანობის მაგალითი... – გაიფიქრა რიუხინმა, საბარგო მანქანის ძარაზე მთელი ტანით წამოიმართა, ხელი ასწია და ყოვლად უწყინარ კაცს შეუტია, – რაც უნდა გაეკეთებინა, რაც უნდა მომხდარიყო, ყველაფერი მისდა სასიკეთოდ ტრიალდებოდა, მის დიდებას ემსახურებოდა! რატომ? რა დაწერა ასეთი? მე რატომ არ მესმის?.. საოცარია, ნეტა რას ხედავენ მის ლექსებში?.. გაუგებარია... აი, ვის გაუმართლა! – უეცრად შხამიანი ღვარძლით დაასკვნა

რიუხინმა და იგრძნო, რომ ფეხქვეშ მანქანა შექანდა, – მერე იმ თეთრგვარდიელმა ესროლა, ფერდი ჩაულეწა და უკვდავებაც გაინაღდა... „

მანქანების რიგი დაიძრა და ლამის დასნეულებული და დაბერებული პოეტი ორიოდე წუთის შემდეგ გრიბოედოვის აივანზე ავიდა. აივანი დაცარიელებულიყო. კუთხეში მხოლოდ მოქეიფეთა ჯგუფი ღრეობდა, იქვე ნაცნობი კონფერანსიე დაფუსფუსებდა და ხელში აზარფემა ეჭირა.

არჩიბალდ არჩიბალდოვიჩი გულთბილად შეეგება პირსახოცებით დატვირთულ რიუხინს და მაშინვე ჩამოართვა ეს წყეული ჭინჭები. რიუხინი კლინიკასა და მანქანაში განცდილით ასე დათრგუნვილი რომ არ ყოფილიყო, ალბათ დიდი სიამოვნებით მოუთხრობდა საავადმყოფოს ამბებს და მონათხრობს გამოგონილი ამბებითაც შეავსებდა, მაგრამ ახლა ამის ძალა აღარ შესწევდა. თანაც, თუმცა დიდი დაკვირვებულობით არასოდეს გამოირჩეოდა, ახლა, სატვირთოზე განცდილი წუთების შემდეგ, პირველად გულდაგულ დააკვირდა ყაჩაღის სახეს და მიხვდა, უსახლკაროზე კი ეკითხებოდა, ოხრავდა კიდეც, „ვაი-ვაიო“, იმეორებდა, მაგრამ სრულიად არ ადარდებდა მისი ბედი და იოტისოდენადაც არ ებრალებოდა. „ყოჩად! ასეა საჭირო!“ – ცინიკურად, თვითგამანადგურებელი გაბოროტებით გაიფიქრა რიუხინმა, უსახლკაროს ავადმყოფობაზე თხრობა შეწყვიტა და სთხოვა:

– არჩიბალდ არჩიბალდოვიჩ, არაყი ხომ არ...

ყაჩაღმა თანაგრძნობით გაუღიმა და წაიხურჩულა:

– მესმის... ახლავე, – და ოფიციანტს დაუქნია ხელი.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ რიუხინი მარტო უჯდა მაგიდას. ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და საკუთარ თავს უტყდებოდა, რომ მის ცხოვრებაში უკვე გვიანი იყო რაიმეს შეცვლა, ერთადერთი გზალა რჩებოდა – თავდავიწყება.

ვიდრე სხვები ქეიფობდნენ, პოეტმა ღამე გალია. ახლალა მიხვდა, რომ ამ ღამის უკან მობრუნება შეუძლებელი იქნებოდა. ეს ღამე უკან აღარასოდეს დაბრუნდებოდა. დილამ იმძლავრა. ოფიციანტები მაგიდეებიდან კრეფდნენ სუფრებს. აივანთან მოკუნტულ კატებსაც დილისპირის იერი დაჰკრავდათ. და პოეტს უმოწყალოდ ემზობოდა თავზე დღე.

თავი მეშვიდე

ნავსი ბინა

იმ დილას სტიოპა ლიხოდევისათვის რომ გეთქვათ: „დაგხვრეტენ, ახლავე თუ არ წამოდგებიო!“ – სტიოპა ხრინწიანი ჩურჩულით უმაღლეს სიკვდილზე დაგთანხმდებოდათ, ოღონდ კი არავის გაელვძებინა.

წამოდგომა კი არა, ეგონა, თვალსაც ვერ გაახელდა, თუ გაახელდა, მეხი დაეცემოდა და თან ჩაიტანდა. თავში ზარებს გაჰქონდა გუგუნის, თვალის კაკლებსა და დახუჭულ ქუთუთოებს შორის ვასვასა მწვანით შემოსალტული ყავისფერი ლაქები უკრთოდა, თან გულზიდვასაც გრძნობდა, პატეფონის აბეზარ ზმუილს რომ აგონებდა.

სტიოპა გამწარებული ცდილობდა, გონი მოეკრიბა, მაგრამ მხოლოდ ერთი რამ ახსენდებოდა – წუხელ, სადღაც, უცხო ბინაში იყო, ვიღაც ქალს საკოცნელად ეტანებოდა და თან ჰპირდებოდა, ხვალვე, შუადღისას გესტუმრებითო. ქალი უარობდა: „არა, არა, შინ არ დაგხვდებით!“ – სტიოპა კი დაჟინებით იმეორებდა: „მე მაინც მოვალ!“

ვინ იყო ის ქალი, ანდა ახლა რომელი საათი იყო, რიცხვი ან თვე – სტიოპა ნამდვილად ვერ იტყოდა და რაც ყველაზე საშინელი იყო, ვერც ის გაერკვია, სად იმყოფებოდა. გადაწყვიტა, ეს მაინც დაეზუსტებინა და მარცხენა თვალის მიწებებული ქუთუთოები ძლივს ააგლიჯა ერთმანეთს. რაღაც მკრთალად გაარჩია ბინდბუნდში. მერე, როგორც იქნა, იცნო საკუთარი სარკე და მიხვდა, რომ გულაღმა იწვა თავის ლოგინში, ესე იგი, ოქრომჭედლის ნაქონ საწოლში.

გავერკვეთ: ვარიეტეს თეატრის დირექტორი სტიოპა ლიხოდევია დილით შინ გამოფნიზლდა, სადოვაიას ქუჩაზე, მყუდრო ექვსსართულიან სახლში, სწორედ მიშა ბერლიოზის ბინის მეზობლად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 50-ე ბინას ამ ბოლო ხანს ცუდად თუ არა, ეჭვის თვალით მაინც უცქეროდნენ. ორიოდ წლის წინ ამ ჭერქვეშ ოქრომჭედელ დე ფუჟერეს ქვრივი ბინადრობდა. ანა ფრანცოვნა დე ფუჟერე, ორმოცდაათი წლის დარბაისელი და საქმიანი ქალი, საკუთარი ხუთი ოთახიდან სამს აქირავებდა: ერთ-ერთი მდგმურის გვარი, ვგონებ, ბელომუტი იყო, მეორე კი, სამწუხაროდ, უგვაროდ გადაეგო.

სწორედ ამ ორი წლის წინ დაიწყო ეს უცნაური ამბები – ამ ბინიდან ხალხმა უკვალოდ დაიწყო გაქრობა.

ერთ კვირადღეს ბინაში მილიციელი გამოცხადდა, წინკარში გაიხმო მეორე მდგმური (რომლის გვარიც არ შემორჩა ისტორიას) და აცნობა, რომ რაღაც საბუთებზე ხელის მოსაწერად რამდენიმე წუთით მილიციის განყოფილებაში სთხოვდნენ მისვლას. მდგმურმა ანა ფრანცოვნას ერთგულ მოსამსახურეს – ანფისას დაუბარა, თუ ვინმემ მიკითხოს, ათ წუთში დავბრუნდებიო, და თეთრხელთათმნიან, თავაზიან მილიციელს გაჰყვა. ათი წუთიც გავიდა და მეტიც... იმ დღიდან მისთვის თვალის აღარავის მოუკრავს. ყველაზე გასაოცარი მაინც ის იყო, რომ მასთან ერთად მილიციელიც ველარ მოიძიეს.

ღვთისმორჩილ, უფრო სწორად – ცრუმორწმუნე ანფისას არც დაუმალავს ძალზე შეწუხებული ანა ფრანცოვნასათვის, რომ აქ რაღაც ჯადოქრობა იმალებოდა. თავად

მშვენივრად იცოდა, სად გაქრნენ მდგმური და მილიციელი, ოღონდ ახლა, ძილის პირს, ამაზე საუბარი არ ღირდა. ჯადომ კი, როგორც ცნობილია, საკმარისია სადმე მოიკიდოს ფეხი და მერე რაღა გააჩერებს! კარგად მახსოვს, ის უსახელო მდგმური ორშაბათს გაქრა, ოთხშაბათს კი ბელომუტი ჩაყლაპა მიწამ, ოღონდ უკვე სხვა ვითარებაში. დილით, ჩვეულებისამებრ, მანქანამ გამოუარა სამსახურში წასასვლელად, წაიყვანა კიდეც, სადამოს კი აღარც მანქანა გამოჩენილა და აღარც ბელომუტი.

ენით ვერ აგიწერთ, რა უბედურება და ვაგლახი ატეხა ქალბატონმა ბელომუტმა, მაგრამ, ვაი, რომ ერთიცა და მეორეც ხანგრძლივი არ აღმოჩნდა. იმავე ღამეს, რატომღაც სასწრაფოდ აგარაკზე წასული ანა ფრანცოვნა ანფისასთან ერთად შინ მობრუნდა და აღარც მოქალაქე ბელომუტის მეუღლე დაუხვდა შინ. ეგ არაფერი: ორივე ოთახის კარი, სადაც ცოლ-ქმარი ბელომუტები ცხოვრობდნენ, დალუქული იყო.

ორი დღეც რის ვაივაგლახით გავიდა. მესამე დღეს კი, უკანასკნელ ხანს უძილობით გატანჯული ანა ფრანცოვნა ისევ აგარაკზე გაემგზავრა სასწრაფოდ... რაღა საჭიროა გითხრათ, რომ აღარც ის დაბრუნებულა უკან!

დაობლებულმა ანფისამ ტირილით ამოიღამა თვალები და ღამის ორ საათზე დასაძინებლად დაწვა. რა შეემთხვა ამის შემდეგ, ვერაფერს გეტყვით, მაგრამ მეზობლები ამტკიცებდნენ, თითქოს 50-ე ბინიდან მთელი ღამე ისმოდა კაკუნი და დილამდე შუქი ენთო. დილით კი ანფისას კვალსაც ვეღარ მიაგნეს!

გამქრალ მდგმურებსა და დაწყევლილ ბინაზე ხალხი კიდეც დიდხანს იქავებდა ენას. ამბობდნენ, თითქოს ეს ჩამომხმარი, ღვთისნიერი ანფისა ავგაროზივით მკერდზე ატარებდა ანა ფრანცოვნას კუთვნილ ოცდახუთ მსხვილ ბრილიანტს. თითქოს იმ აგარაკზე, სადაც ასე წარამარა დაიარებოდა ანა ფრანცოვნა, შემის ფარდულში, თავისთავად აღმოჩენილიყო უზარმაზარი განძი – სულ ბრილიანტები და მეფის დროინდელი ოქროს ფული... ეჰ, ვინ იცის, რას აღარ ამბობდნენ, მაგრამ ჩემი თვალით არ მინახავს და ვერაფერს დავიჟინებ.

ასე იყო თუ ისე, 50-ე ბინა სულ ერთი კვირით დაცარიელდა და დაილუქა. შემდეგ კი ახალი ბინადარნი შესახლდნენ – აწ განსვენებული ბერლიოზი მეუღლითურთ და ეს ჩვენი სტიოპა ლიხოდეევი, ისიც მეუღლითურთ. ცხადზე უცხადესია, როგორც კი ამ შეჩვენებულ ბინაში ამოყვეს თავი, მათი ბედის ჩარხიც უკუღმა დატრიალდა. ერთ თვეში ორივე ქალი გაქრა. მაგრამ ამჯერად კვალს მაინც მიაგნეს. ბერლიოზის მეუღლეზე ამბობდნენ, თითქოს ხარკოვში ენახათ, ვიღაც ბალეტმაისტერთან ერთად, ხოლო სტიოპას ცოლი ბოჟედომკაზე აღმოჩნდა, სადაც, ჭორებს თუ დავუჯერებთ, თავად ვარიეტეს დირექტორს, თავისი უთვალავი ნაცნობის დახმარებით გაეხერხებინა მისთვის ერთი ოთახი, იმ პირობით, რომ სადოვანაზე ფეხს აღარ მიადგამდა...

ასე და ამრიგად, სტიოპამ დაიკვნესა. ის იყო შინამოსამსახურე გრუნის დაძახება და პირამიდონის თხოვნა დააპირა, მაგრამ იმასაც მიხვდა, რომ სისულელეს სჩადიოდა... გრუნის მაინც არ ექნებოდა პირამიდონი. სცადა, ბერლიოზი ეხმო, ორჯერ ამოიკვნესა: „მიშა... მიშაო“, მაგრამ თავადაც იცით, პასუხს ვერავინ გასცემდა. ბინაში ბუზის გაფრენას გაიგონებდით.

სტიოპამ ფეხის თითები შეარხია და ახლალა აღმოაჩინა, რომ წინდა ეცვა, აცანცანებული ხელი მოიფათურა ფერდებზე, უნდოდა გაერკვია, შარვლიანად იწვა ლოგინში თუ გახდილი, მაგრამ ვერაფერს მიხვდა.

ბოლოს დარწმუნდა, რომ მარტოდმარტო იყო მიტოვებული, ვერავინ დაეხმარებოდა და გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, წამომდგარიყო.

სტიოპამ ერთმანეთს მიწებებული ქუთუთოები გაახილა და თავისი თმაგაბურძენილი, თვალეხაწითლებული, შავად გაჯაგრული და გაჟივებული სიფათი დაინახა სარკეში. ზინტიან პერანგზე ჰალსტუხნი ეკეთა, საბნის ქვევიდან საცვლის ტოტები და წინდა მოუჩანდა.

სტიოპამ თავის გალამაზებულ სიფათს სარკეში შეუკურთხა და უცებ სარკის გვერდით ვიღაც უცხო კაცს მოჰკრა თვალი, რომელსაც შავი ტანსაცმელი ეცვა და შავი ბერეტი ეხურა.

სტიოპა ლოგინზე წამოჯდა და ჩასისხლიანებული თვალები დააჭყიტა.

სიჩუმე იმ უცნობმა დაარღვია და დაგუდული, თითქოს მიწისქვეშეთიდან მონადენი ხმით მიესალმა:

– დილა მშვიდობისა, უსიმპათიურესო სტეპან ბოგდანოვიჩ!

ერთხანს ისევ დუმილი გამეფდა, შემდეგ სტიოპამ რის ვაივაგლახით წარმოთქვა:

– რა გნებავთ? – და თავადვე გააოცა საკუთარმა ხმამ, – სიტყვა „რა“ დისკანტით წარმოთქვა, „გნე... „ – ბასით და „ბავთ“ – საერთოდ გადაყლაპა.

უცნობმა მეგობრულად გაუღიმა, უზარმაზარი ოქროს საათი ამოიღო, რომლის სახურავზეც ბრილიანტების სამკუთხედი გაკრთა და უთხრა:

– თერთმეტია! ზუსტად ერთი საათია თქვენს გაღვიძებას ველი. ათზე დამიბარეთ და მეც გაახელით!

სტიოპამ, საწოლის გვერდით, სკამზე გადაკიდებული შარვალი მოიძია და წაიჩურჩულა:

– მაპატიეთ... – ჩაიცვა და ხმაჩახლეჩილმა ჰკითხა, – თქვენი გვარი?

ლაპარაკი უჭირდა. ყოველი სიტყვის წარმოთქმისას ვიღაც ტვინში ურჭობდა ნემსებს და ჯოჯოხეთურ ტკივილს აყენებდა.

– როგორ? ჩემი გვარიც დაგავიწყდათ? – გაუღიმა უცხოელმა.

– მაპატიეთ... – დაიხრიალა სტიოპამ და უცებ მოეჩვენა, თითქოს ფერხით იატაკი გადაიხსნა, მიწამ პირი უყო და ჯოჯოხეთში ჩაიტანა.

– ძვირფასო სტეპან ბოგდანოვიჩ, – თვალი თვალში გაუყარა სტუმარმა, – პირამიდონი არ გიშველით. ისევ ჯობია ნაცად ხერხს მიმართოთ – მსგავსი მსგავსით განკურნოთ. ახლა მხოლოდ ორი ჭიქა არაყი თუ მოგაბრუნებთ.

სტიოპა ეშმაკი კაცი გახლდათ, თავი კი უბრუოდა, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ ჩათრევას ჩაყოლა სჯობდა.

– სიმართლე გითხრათ, – აბლუკუნდა მასპინძელი, – გუშინ ცოტა...

– ყველაფერი გასაგებია! – სიტყვა შეაწყვეტინა სტუმარმა და სავარძლიანად უკან გასრიალდა.

სტიოპას ლამის თვალები გადმოსცვივდა: პატარა მაგიდაზე ლამაზად გაწყობილი სინი იდგა, თეფშზე დაჭრილი თეთრი პური, აზელილი ხიზილა და მრგვალ-მრგვალი სოკო ელაგა, იქვე იდგა თავდახურული ქვაბი, ოქრომჭედლის ქვრივის მოზრდილ გრაფინში კი არაყი ლიცლიცებდა. სტიოპა განსაკუთრებით იმან გააოცა, რომ გრაფინი დაცვარული იყო. მაგიდაც სუფთად და გემოვნებით გაეწყობო.

უცნობმა სტიოპანს გაოცება აღარ აცადა და მარჯვედ ჩამოასხა არაყი.

– თქვენ არ მიირთმევთ? – წამოიკნავლა სტიოპამ.

– სიამოვნებით!

უცნობმა ერთი ამოსუნთქვით გამოცალა ჭიქა, სტიოპამ კი ხელის კანკალით აიღო სასმელი, ხიზილაღასმული პური ჩაკბიჩა და ძლივს ამოილუღლიდა:

– მიირთვით...

– გმადლობთ, არაყთან ჭამა არ მიყვარს, – უპასუხა უცნობმა და კიდეც დაუსხა. ქვაბს თავი მოხადეს, შიგ პომიდვრის წვენში ჩაწყობილი სოსისი აღმოჩნდა.

და აი, წყეული სიმწვანე გაიქნა თვალთაგან, სიტყვებიც უკვე დაუბრკოლებლად სწყდებოდა ტუჩებს და, რაც მთავარია, გუშინდელი დღეც გამოიკვეთა ბინდბუნდიდან. სტიოპას გაახსენდა, რომ გუშინ სხოდნაიაზე იყვნენ, იუმორისტ ხუსტოვის აგარაკზე, სადაც თვით ხუსტოვმა წაიყვანა ტაქსით. ისიც გაახსენდა, როგორ გააჩერეს ეს ტაქსი „მეტროპოლთან“, თან ვიღაც მსახიობი ახლდათ, მსახიობი კი არა... ჩემოდნით პატეფონი მიჰქონდა. დიახ, დიახ, აგარაკი! ისიც ახსოვდა, პატეფონიდან ძაღლების ყმუილი რომ ისმოდა, მხოლოდ იმ ქალის ვინაობა ვერ გაიხსენა, საკოცნელად რომ ეტანებოდა... ეშმაკმა უწყის იმისი თავი... მგონი, რადიოში უნდა მუშაობდეს ან იქნებ არც მუშაობს...

ამგვარად გუშინდელ დღეს თანდათან ნათელი მოეფინა. მაგრამ სტიოპას ახლა დღევანდელი დღე უფრო ადარდებდა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს უცნობი, საუზმე და არაყი რომ დაახვედრა? აი, ამის გახსენება ერჩივნა!

– მაინც ვერ გაიხსენეთ ჩემი გვარი?

სტიოპამ მორცხვად გაიღიმა და ხელები გაშალა.

– ალბათ არაყს პორტვეინი მიაყოლეთ! მაპატიეთ, მაგრამ ასე როგორ შეიძლება!

– ძალიან გთხოვთ, ამის შესახებ ნურავის ეტყვი, – დაამუნათა სტიოპამ.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა! მაგრამ ხუსტოვის ნაცვლად კი ვერაფერს შეგპირდებით.

– ხუსტოვსაც იცნობთ?

– ეგ ტიპი გუშინ ვნახე თქვენს კაბინეტში. ზედვე ეტყობა, დიდი უსინდისო, აყალმაყალის მოყვარული, ქვემძრომი და მლიქვნელი კაცია.

„სრული სიმართლე!“ – გაიფიქრა სტიოპამ და ხუსტოვის ასე ზუსტმა და ლაკონიურმა დახასიათებამ გააოცა.

დიახ, გუშინდელი დღე ნაწილ-ნაწილ გამოიკვეთა, მაგრამ ვარიეტეს დირექტორს სული მაინც აფორიაქებული ჰქონდა. უბედურება ის გახლდათ, რომ ამ გუშინდელი დღიდან მაინც შემოსცქეროდა ერთი ხანადაფჩენილი სიცარიელე: ვერა და ვერ გაეხსენებინა, როდის ესტუმრა კაბინეტში ეს ბერეტეიანი უცნობი.

– შავი მაგიის პროფესორი ვოლანდი, – ამაყად გაეცნო სტუმარი და რაკი შენიშნა, რომ სტიოპას მისი გვარი არ ახსენდებოდა, სცადა, დაწვრილებით მოეთხრო ყველაფერი.

უთხრა, რომ გუშინ დილით ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, ჩამოსვლისთანავე სტიოპას ეწვია და გასტროლების თაობაზე შეუთანხმდა. სტიოპამ მოსკოვის ოლქის სასცენო კომისიაში დარეკა და იქ შეათანხმა საკითხი (გაფითრებულმა სტიოპამ თვალეები აახამხამა), შემდეგ პროფესორ ვოლანდს შვიდი კონცერტის ჩატარების კონტრაქტზე ხელი მოაწერინა (სტიოპამ პირი დაალო) და დღეს, დილის ათი საათისათვის მიიწვია სტუმრად ზოგიერთი წვრილმანის დასაზუსტებლად... აჰა, ეწვია კიდევ!

კარი შინამოსამსახურე ქალმა გრუნია გაულო, რომელმაც აუხსნა, რომ თვითონაც სულ ახლახან მოსულიყო, ღამეს აქ არ ათევდა, ბერლიოში შინ არ ბრძანდებოდა და თუკი სტუმარს სტეპან ბოგდანოვიჩთან ეწადა შეხვედრა, თავად უნდა შესულიყო საძინებელში. სტეპან ბოგდანოვიჩის გაღვიძებას გრუნია თავს ვერ იდებდა. და აი, როცა მსახიობმა ნახა, რა დღეში იყო სტეფან ბოგდანოვიჩი, გრუნია უახლოეს გასტრონომში გაგზავნა, არყისა და საჭმლის მოსატანად, აფთიაქიდანაც ყინული მოატანინა და...

– ნება მომეცით, ფული გადაგიხადოთ, – სიტყვა ძლივს დაძრა ცოცხალ-მკვდარმა სტიოპამ და საფულეს დაუწყო ძებნა.

– აჰ, რას ბრძანებთ! – წამოიძახა გასტროლორმა და სიტყვა აღარ ათქმევინა.

არყისა და სტუმრის საკითხი გაირკვა, მაგრამ სტიოპა გონს მაინც ვერ მოდიოდა: სრულიად არ ახსოვდა, როდის დაუდო ხელშეკრულება და გინდაც მოგეკლათ, დარწმუნებული იყო, რომ გუშინ ეს ვოლანდი თვალითაც არ ენახა. დიახ, ხუსტოვი ესტუმრა, მაგრამ ვოლანდი – არა.

– თუ ნებას მომცემთ, ხელშეკრულებას დავხედავდი, – ხმადაბლა სთხოვა სტიოპას.

– ინებეთ, ინებეთ...

სტიოპამ ქალაღდს დახედა და გააცია. ყველაფერი თავის ადგილას იყო. უპირველესად მისი საკუთარი, ჩახუჭუჭებული ხელმოწერა! იქვე ფინანსური დირექტორის რიმსკის გვარიც ჩანდა, მისი ხელმოწერა ნებას რთავდა მსახიობ ვოლანდს შვიდი კონცერტის საზღაურის ოცდათხუთმეტი ათასი მანეთიდან ათი ათასი მანეთი მიეღო, და უფრო მეტიც: იქვე ვოლანდი აწერდა ხელს, ფულის მიღების თაობაზე!

„ეს რაღა უბედურებაა!“ – გაიფიქრა საბრალო სტიოპამ და თავბრუ დაესხა. ნუთუ უკვე მეხსიერებაც დალატობდა? მას შემდეგ, რაც ხელშეკრულება იხილა, თავისთავად ცხადია, უზრდელობად ჩაეთვლებოდა, ისევ გაოცებული გამომეტყველებით ეცქირა უცნობისათვის. სტიოპამ ბოდიში მოუხადა სტუმარს, სთხოვა, ერთი წუთით დალოდებოდა და ისევე, როგორც იყო, წინდისამარა გავიდა წინკარში, ტელეფონზე დასარეკად. გზად სამზარეულოს გასძახა:

– გრუნია!

არავინ გამოპასუხებია. რატომღაც ბერლიოზის ოთახის კარს შეავლო თვალი და მაშინ კი, როგორც იტყვიან, ადგილზე გაქვავდა. კარის სახელოურზე თოკით ეკიდა უზარმაზარი ლუქი. „ოჰო! – ვიღაცამ დაიხრიალა სტიოპას გონებაში, – ესღა გვაკლდა!“ და სტიოპას ორმა აზრმა გაუელვა თავში. მაგრამ, როგორც კატასტროფის დროს ხდება ხოლმე, ეს ორივე აზრი ერთი მიმართულებით წარიმართა, ოღონდ, ეშმაკმა უწყის, რომელი მიმართულებით. ჩვენ, ცხადია, ვერაფრით შევძლებთ სტიოპას თავში დატრიალებული აბდაუბდა აზრები გადმოგვცეთ. ჯერ ეს შავბერეტიანი, საოცარი ხელშეკრულებითა და ჩაცივებული არყით არ ეყოფოდა, ახლა ყველაფერს ეს დალუქული კარიც დაერთო! ვისთვისაც უნდა გეთქვათ, რომ ბერლიოზმა რაღაც დააშავა, არ დაიჯერებდა, ღმერთმანი არ დაიჯერებდა! მაგრამ კარი ხომ მაინც დალუქული იყო! ოჰო-ო-ო!..

შემდეგ ისიც გაახსენდა, სულ ცოტა ხნის წინ, თითქოს ჯიბრზე, ჟურნალში დასაბეჭდად რაღაც უსიამო სტატია რომ შეაჩეჩა მიხაილ ალექსანდროვიჩს. ჩვენ შორის დარჩეს და, სულელოური სტატია იყო, ფუჭი და არც მაინცდამაინც დიდ ფულს აიღებდა...

სტატიასთან ერთად ის ოდნავ საეჭვო საუბარსაც გაახსენდა, ისიც ზუსტად ახსოვდა, რომ ლაპარაკი ოცდაოთხ აპრილს შედგა, აქვე, ამ სასადილოში, ერთად რომ ისადილეს. თუმცა არც საეჭვო შეიძლებოდა დარქმეოდა ამ საუბარს (გიჟი კი არ იყო), მაგრამ რაღაც უაზრო საკითხზე კი ბჭობდნენ. ჰოდა, მოქალაქენო, სრულიად თავისუფლად შეიძლებოდა საერთოდ არ წამოეჭრათ ეს საკითხი. კარის დალუქვამდე ის საკითხი, უეჭველია, სრულიად უმნიშვნელოდ ჩათვლილიყო, მაგრამ ახლა, დალუქვის შემდეგ...

„ჰო, ბერლიოზი, ბერლიოზი! – გონება აემღვრა სტიოპას, – წარმოუდგენელია!“

თუმცა ახლა მოთქმა-გოდების დრო აღარ იყო და სტიოპამ ვარიეტეს ფინანსური დირექტორის, რიმსკის ტელეფონის ნომერი აკრიფა. ცუდ დღეში იყო: ჯერ ერთი, უცხოელი, შეიძლება, განაწყენებულიყო კიდეც, ხელშეკრულების წარდგენის მიუხედავად, სტიოპა მაინც რომ აზუსტებდა მონაცემებს, თან არც ფინანსურ დირექტორთან საუბარი იყო იოლი. მართლაცდა, ხომ ვერ ჰკითხავდა: „მითხარით, შავი მაგიის პროფესორს 35 ათას მანეთზე მართლა დავუდეთ გუშინ ხელშეკრულებაო?“ რაღაც სხვა უნდა მოეფიქრებინა.

– გისმენთ! – გაისმა ყურმილში რიმსკის მჭახე, უსიამოვნო ხმა.

– გამარჯობა, გრიგორი დანილოვიჩ, – ხმადაბლა დაიწყო სტიოპამ, – ლიხოდევვი გელაპარაკებათ. იცით, რაშია საქმე... ჰმ... ჰმ... ახლა ჩემთან... ე... ე... მსახიობი ვოლანდი მოვიდა... ჰოდა, მინდოდა მეკითხა, რა გადაწყვიტეთ, დღეს საღამოს რას ვაპირებთ?

– აა, შავი მაგია? – ყურმილიდან დაეკითხა რიმსკი, – აფიშები მალე იქნება.

– კეთილი, – სუსტი ხმით გასცა პასუხი სტიოპამ, – ნახვამდის...

– მალე მოხვალთ? – ჰკითხა რიმსკიმ.

– ნახევარ საათში, – უპასუხა სტიოპამ, ყურმილი დადო და გავარვარებულ თავზე შემოიჭდო ხელი, – ეს რაღა უბედურებაა! მეხსიერებას რაღა დაემართა, მოქალაქენო? რა დაემართა?

წინკარში დიდხანს დარჩენა უხერხული იყო და სტიოპამ აქვე მოიფიქრა, როგორ უნდა ემოქმედა: ყოველნაირად დაეფარა ეს საშინელი გულმავიწყობა და ეშმაკურად გამოეკითხა უცხოელისთვის, მაინც რის წარმოდგენას აპირებდა დღევანდელ საღამოზე სტიოპას რწმუნებულ ვარიეტეში?

სტიოპა უკან დასაბრუნებლად შეტრიალდა და ანაზღად წინკარში დაკიდებულ სარკეში, კარგა ხანია რომ აღარ გაეწმინდა ზარმაც გრუნიას, გარკვევით დაინახა ვიღაც უცნაური, ჭოკივით აყლაყული და პენსნიანი ტიპი (ოჰ, აქ რომ ივან ნიკოლაევიჩი ყოფილიყო, მაშინვე იცნობდა იმ ტიპს!). ეს უცნაური კაცი სარკეში აირეკლა და იმავე წამს გაქრა. შეწუხებულმა სტიოპამ გულდაგულ მოათვალიერა წინკარი და ხელმეორედ შეცბა, რადგან სარკეში ახლა უზარმაზარი შავი კატის ანარეკლი გაკრთა.

სტიოპას გული გაეპარა და შეტორტმანდა.

„რა ხდება? – გაიფიქრა, – ჭკუიდან ხომ არ ვიშლები? ეს რაღა მოჩვენებაა?“ – მერე სამზარეულოში შეიხედა და დაზაფრულმა იყვირა:

– გრუნია! ეს რა კატა დაწანწალებს? საიდან მოვიდა? მანდ ვინ არის კიდევ?

– ნუ წუხნართ, სტეპან ბოგდანოვიჩ, – უპასუხა ხმამ, მაგრამ არა გრუნიას, არამედ სტუმრის ხმამ საძინებლიდან, – ჩემი კატაა, ნუ ნერვიულობთ. გრუნია კი ვორონეჟში, თავის სამშობლოში გავგზავნე. შემომჩივლა, დიდი ხანია შვებულება აღარ მქონიაო.

ეს სიტყვები იმდენად მოულოდნელი და უაზრო იყო, რომ სტიოპამ ჩათვალა, მომეყურაო. საბოლოოდ დაბნეული, ლამის დაოთხილი შეიჭრა საძინებელში და კარის წირთხლთან გახევდა, თმა ყალყზე დაუდგა, შუბლიც ოფლით დაეცვარა.

საძინებელში სტუმარი მარტო აღარ იყო. მეორე სავარძელში ის ტიპი იჯდა, წინკარში რომ მოელანდა. ახლა გარკვევით დაინახა: ბურღლა ულვაში ჰქონდა, პენსნეში ერთი მინა უბზინავდა, მეორე კი – გაბზაროდა. მაგრამ საძინებელში ამაზე უარესიც შენიშნა სტიოპამ: ოქრომჭედლის ქვრივის დაბალ სკამზე უზარმაზარი კატა გაშხლართულიყო, ცალ ხელში არყის ჭიქა ეჭირა, მეორეში კი – ჩანგალზე წამოცმული სოკო.

საძინებლის ისედაც მქრქალი შუქი მთლად გაფერმკრთალდა სტიოპას თვალწინ. „ალბათ, ასე იშლებიან ჭკუიდან!“ – გაიფიქრა და კარნაგელს მოეჭიდა.

– ვხედავ, გაცეხული ბრძანდებით, უძვირფასესო სტეპან ბოგდანოვიჩ, – კბილარაწკუნებულ სტიოპას დაეკითხა ვოლანდი, – თუმცა კი, გასაოცარი არაფერია. ჩემი მსახიობები განლავან.

კატამ არაყი გადაკრა და სტიოპას კარნაგელზე ჩამოუცურდა ხელი.

– ჩემს მსახურებს ადგილი სჭირდებათ, – განაგრძო ვოლანდმა, – ამჟამად ამ ბინაში ერთ-ერთი ჩვენგანი ზედმეტია. და მგონი, ზედმეტი სწორედ თქვენ ბრძანდებით!

– ესენი არიან, ესენი! – თხასავით აკიკინდა მაღალი, კუბოკრულკოსტიუმიანი ტიპი, რატომღაც მრავლობით რიცხვში რომ იხსენიებდა სტიოპას, – საერთოდ, ისინი ამ ბოლო ხანს ღორულად იქცევინან. ლოთობენ, ქალებთან არშიყობენ, საკუთარ მდგომარეობას იყენებენ, თითს არ ანძრევენ, არც შეუძლიათ თითის განძრევა, რადგან დაკისრებული საქმის არაფერი გაეგებათ. უფროსებს თვალში ნაცარს აყრიან!

– სამსახურის მანქანას უსაქმოდ დააგრიალევენ! – დააბეზლა კატამ, თან სოკოს ღეჭავდა.

ამ დროს, მოულოდნელად, უკვე მეოთხედ, უკანასკნელი მოჩვენებაც გაჩნდა ბინაში. სტიოპა უკვე იატაკზე ჩაცუცქდა და სუსტადლა ფხოჭნიდა კარნაგელს.

კარის მოპირდაპირე სარკიდან გამოვიდა ჩია, მაგრამ უჩვეულოდ მხარბეჭიანი, ქვაბურაქუდიანი წითური ტიპი, რომელსაც ისედაც უჩვეულოდ ამაზრზენ სიფათს მთლად უმანინჯებდა პირიდან გამოჩრილი ღოჯი.

– მე, – საუბარში ჩაერია ახალმოსული, – საერთოდ ვერ გამიგია, როგორ გაიქაჩა დირექტორად? – უფრო და უფრო ნიღნიღებდა წითური, – ეგ ისეთივე დირექტორია, როგორიც მე – არქიელი.

– შენ ნამდვილად არ ჰგავხარ არქიელს, აზაზელო, – შენიშნა კატამ და სოსისი თეფშზე გადაიღო.

– მეც მაგას ვამბობ, – ჩაინიღნილა წითურმა, ვოლანდისკენ შებრუნდა და მოწიწებით დასძინა, – ნება მომეცით, მესირ, ეშმაკებში მოვისროლო მოსკოვიდან.

– აცხა! – უცებ დაიჩხავლა კატამ და აიფხორა.

იმავე წამს საძინებელი ამოტრიალდა, სტიოპამ წირთხლს დაჰკრა თავი, გონება დაებინდა და ისლა გაიფიქრა: „ვკვდები... „

მაგრამ არ მომკვდარა. თვალი ოდნავ რომ გაახილა, ქვაზე იჯდა და ირგვლივ რაღაც ხმაურობდა. მერე თვალეები დააჭყიტა, დაინახა, ზღვა შხუოდა, უფრო მეტიც, ტალღა ლამის მის ფეხებს ელამუნებოდა. მოკლედ, მიწაყრილზე იჯდა, წინ ცისფერი, ალიცლიცებული ზღვა მოჩანდა, უკან კი – მთაზე შეფენილი ლამაზი ქალაქი.

სტიოპამ არც კი იცოდა, როგორ იქცეოდნენ ასეთ შემთხვევაში, წამოდგა, ძლივს დაიმორჩილა აკანკალებული მუხლები და ნაპირს გაუყვა.

მიწაყრილზე ვიღაც კაცი იდგა, ეწეოდა და ზღვაში აწიტებდა. მან შემლილივით შეხედა სტიოპას, როცა სტიოპამ მუხლი მოიყარა მის წინაშე და შეევედრა:

– გემუდარებით, მითხარით, სად ვიმყოფები?

– ოჰო! – თქვა გულქვა მწეველმა.

– მთვრალი არ გეგონოთ, – ხმა ჩაეხლიჩა სტიოპას, – ავად ვარ, რაღაც დამემართა, ავად ვარ... მითხარით, რა ქალაქია და სადა ვარ?

– იალტაში...

სტიოპამ ჩუმად ამოიკვნესა, გულწასული დაეცა და მეჩეჩის გახურებულ ქვებს დაჰკრა შუბლი.

თავი მერვე

პროფესორისა და პოეტის ორთაბრძოლა

ზუსტად თორმეტის ნახევარზე, სწორედ იმავე დროს, სტიოპას იალტაში რომ წაერთვა გონი, ივან ნიკოლაევიჩ უსახლკარო გამოფხიზლდა ღრმა და ხანგრძლივი ძილის შემდეგ. ერთხანს ფიქრობდა, როგორ აღმოჩნდა ამ უცხო, თეთრკედლებიან ოთახში, სადაც უცნაური, ღია ფერის მაგიდა იდგა და მზემომდგარი თეთრი ფარდა ეკიდა ფანჯარაზე.

ივანმა თავი გაიქნია, მიხვდა, აღარ სტკიოდა და ისიც გაახსენდა, საავადმყოფოში რომ იყო. ამ აზრმა გუშინდელი ამბები და ბერლიოზის დაღუპვაც გაახსენა, მაგრამ დღეს ისერიგად აღარ შეუძრავს მომხდარს. კარგად გამოძინებული ივან ნიკოლაევიჩი დამშვიდებულიყო და დღეს უფრო ნათლად აზროვნებდა. ერთხანს გაუნძრევლად იწვა ქათქათაზეწრიან, რბილ და მოხერხებულ საწოლში, შემდეგ იქვე, გვერდით, ზარის ღილაკი შენიშნა. საგნების ხელით მოსინჯვას მიჩვეულმა, იმ ღილაკსაც დააჭირა თითი. ზარის ხმას ანდა ზარის გახმიანებისთანავე ვინმეს შემოსვლას ელოდა, მაგრამ უცნაური რამ მოხდა. ივანის საწოლის ფერხთით მიმაგრებული მქრქალი ცილინდრი აინთო და ზედ წარწერა აციმციმდა: „წყალი“, ერთხანს ასე იციმციმა, შემდეგ დატრიალდა და ახლა ახალი წარწერა გამოხტა: „ძიძა“. ცხადზე ცხადია, ამ ეშმაკურმა ცილინდრმა ძალზე გააოცა ივანი. წარწერა „ძიძა“ ახალი წარწერით შეიცვალა: „ეჭიმი გამოიძახეთ“.

„ჰმ“... ყელი ჩაიწმინდა დაბნეულმა ივანმა, ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რა მოეხერხებინა ამ ცილინდრისთვის, მაგრამ შემთხვევით გაუმართლა. ცილინდრზე სიტყვა „მედლა“ რომ შენიშნა, კიდევ ერთხელ დააჭირა ღილაკს თითი, ცილინდრმა პასუხად ხმადაბლა დაირაწკუნა, გაჩერდა, ჩაქრა და ოთახში ზონზროხა, სიმპათიური, თეთრხალათიანი ქალი შემოვიდა.

– დილა მშვიდობისა!

ივანმა ასეთი მისალმება ამ პირობებში უადგილოდ ჩათვალა და არ უპასუხია. ჯან-ღონით სავსე კაცი საავადმყოფოში გამოამწყვდიეს და ისე იქცევდნენ, თითქოს ასეც იყო საჭირო!

ქალი კი იმავე კეთილი გამომეტყველებით შესცქეროდა, შემდეგ მანაც ღილაკს დააჭირა ხელი, ფარდა ასწია და ჭერიდან ლამის იატაკამდე დაშვებული, ფართოჩარჩოიანი ფანჯრიდან მზე შემოიჭრა. ფანჯრის მიღმა აივანი მოჩანდა, უფრო მოშორებით – დაკლაკნილი მდინარის ნაპირი, გადაღმა ნაპირზე კი – ტანაყრილი ნაძვნარი.

– სააბაზანოში შებრძანებას ხომ არ ინებებთ? – მიიპატიჟა ქალმა. ხელის ერთი გარხევით გახსნა შიდა კედელი, რომლის მიღმა სააბაზანო და მშვენივრად მოწყობილი საპირფარეშო აღმოჩნდა.

ივანმა, თუმცა კი გადაწყვეტილი ჰქონდა, ხმა არ გაეცა ქალისთვის, აბაზანაში მოელვარე ონკანიდან გადმოღვრილ წყალს რომ მოჰკრა თვალი, თავი ველარ შეიკავა და დამცინავად უთხრა:

– ოჰო! „მეტროპოლივით“ მოგიწყვიათ აქაურობა!

– რას ბრძანებთ, – ამაყად უპასუხა ქალმა, – ჩვენთან უკეთესია. ამგვარი მოწყობილობა საზღვარგარეთაც არა აქვთ. მეცნიერები და ექიმები საგანგებოდ ჩამოდიან ჩვენი კლინიკის სანახავად. არც უცხოელი ტურისტები გვაკლია.

„უცხოელი ტურისტის“ გაგონებაზე ივანს გუშინდელი კონსულტანტი გაახსენდა. მოიღუშა, წარბებს ქვემოდან გახედა ქალს და უთხრა:

– რა ძალიან გიყვართ ეს უცხოელი ტურისტები... ისე კი, მათ შორის ვის არ შეხვდები! აი, მე, მაგალითად, გუშინ ისეთი ტიპი გავიცანი, უკეთესს ვერ ინატრებს კაცი!..

და ლამის პონტოელ პილატეზე დაუწყო მოყოლა, მაგრამ მიხვდა, ქალს ეს მონათხრობი არაფრად სჭირდებოდა, მაინც ვერაფერს უშველიდა და დროზე დააჭირა ენას კბილი.

დაბანილ ივან ნიკოლაევიჩს მაშინვე მიათვქნა ყველაფერი, რაც კი კაცს სჭირდებოდა აბაზანის შემდეგ: გაუთოებული პერანგი, ქვედა საცვალი და წინდა. უფრო მეტიც: ქალმა კარადის კარი გამოაღო და ჰკითხა:

– რას ჩაიცვამთ, ხალათს თუ პერანგს?

ამ ახალ ჭერქვეშ ძალით დაბინავებულმა და ქალის მოხერხებულობით გაოცებულმა ივანმა ლამის ტაში შემოჰკრა და უსიტყვოდ მოუთითა თივთიკის ალისფერ პიჟამაზე.

ამის შემდეგ ივან ნიკოლაევიჩი ცარიელ და ჩუმ დერეფანში გააბრძანეს და ერთ უზარმაზარ კაბინეტში შეიყვანეს. ივანმა გადაწყვიტა ყველაფერი გაემასხრებინა, რასაც კი ამ ჯადოსნურად მოწყობილ შენობაში ნახავდა და შესვლისთანავე კაბინეტს „ფაბრიკა – სამზარეულო“ დაარქვა.

ჰქონდა კიდევ მიზეზი. კარადებსა და მინის გამჭვირვალე თაროებზე მონიკელებული ხელსაწყოები ეწყო. იქვე იდგა უჩვეულოდ რთული მოწყობილობის სავარძლები, მუცელგაბერილი, მბზინავჩაჩიანი ნათურები, უთვალავი წამლის შუშა, მოჩანდა მავთულები და სრულიად გაუგებარი საგნები.

კაბინეტში ივანს სამი ადამიანი დაეპატრონა – ორი ქალი და ერთი კაცი – სამივე თეთრხალათიანი იყო. უპირველესად კუთხეში, მაგიდასთან მიიმწყვდიეს, ზედვე ეტყობოდათ, რაღაც უნდოდათ მისთვის დაეცინცლათ. ივანი თავის მდგომარეობას დაუფიქრდა. ახლა სამი გზაღა რჩებოდა: პირველი განსაკუთრებით მაცდური იყო: ამ ნათურებსა და გაფუყულ ნივთებს დარეოდა, მიელეწ-მოელეწა და უკანონო დატყვევების გამო პროტესტი გამოეხატა. მაგრამ დღევანდელი ივანი უკვე საგრძნობლად განსხვავდებოდა გუშინდელისაგან, ამიტომაც ეს პირველი გზა საეჭვოდ ეჩვენა – მართლა გიჟად მიიჩნევდნენ. მაშინვე უკუაგდო ეს შესაძლებლობა. იყო მეორე გზაც: სასწრაფოდ მოეთხრო კონსულტანტისა და პონტოელი პილატეს შესახებ, მაგრამ გუშინდელი გამოცდილებით ჰკუანასწავლმა ივანმა იცოდა, რომ ნაამბობს სწორად ვერ გაუგებდნენ და სულ სხვაგვარად აღიქვამდნენ. ამიტომ ეს გზაც უარყო და მესამე გზა – ამაყი ღუმილი არჩია.

თუმცა ამ გადაწყვეტილების შესრულებაც ვერ მოახერხა ბოლომდე და ნებსით თუ უნებლიეთ, იძულებული გახდა, ზოგიერთ კითხვაზე მოკლე-მოკლე და ბრაზიანი პასუხი გაეცა.

ივანს დაწვრილებით გამოჰკითხეს წარსული, იმითაც კი დაინტერესდნენ, თხუთმეტი წლის წინ როდის და როგორ მოეხადა ქუნთრუშა. პასუხებით მთელი გვერდი ააჭრელეს, ფურცელი გადააბრუნეს და თეთრხალათიანი ქალი ახლა ივანის ნათესავებს მიადგა. ისევ დაიწყო გაუთავებელი კითხვები: ვინ მოკვდა, როდის, რისგან, ვენერიული დაავადებებით ხომ არ იყო ავად და ასე შემდეგ. დასასრულს, სთხოვეს პატრიარქთა ტბორებზე მომხდარი გუშინდელი ამბავი მოეთხრო, მაგრამ ზედმეტად არ ჩაძიებია და არც პონტოელი პილატეს ხსენება გაჰკვირვებიათ.

შემდეგ იმ ქალმა კაცს გადასცა ივანი. მას აღარაფერი უკითხავს, მხოლოდ მისი სხეულით დაინტერესდა: სიცხე გაუზომა, პულსი დაუთვალა, რაღაც ნათურა ჩაანათა თვალეში და შიგ ჩახედა. შემდეგ იმ კაცს მეორე ქალიც წამოეხმარა, ივანს ზურგში უჩხვლიტეს მტკივნეულად, პატარა ჩაქუჩის სახელოვრით მკერდზე რაღაც ნიშნები დაახატეს, მუხლისთავებზე ჩაქუჩი დაუბრახუნეს, რის გამოც შეშლილივით უხტოდა ფენი, თითიდან აუღეს სისხლი, შემდეგ იდაყვის გადაკვეთაზე უჩხვლიტეს და ხელზე რაღაც რეზინის სამაჯურები წამოაცვეს...

ივანი გულში მწარედ დასცინოდა ექიმებს და იმაზელა ფიქრობდა, რა სულელურად და უცნაურად შეტრიალდა ყველაფერი! დაუჯერებელი იყო! უნდოდა ყველა დაეცვა იმ უცხოელი კონსულტანტისგან, მისი დაკავება ეწადა და ამის ნაცვლად, რომელიღაც იდუმალ კაბინეტში ამოყო თავი, რათა ათასი სისულელე მოეთხრო ძია ფედორზე, ვოლოგდაში რომ არყით სკდებოდა! რა აუტანელი სისულელე იყო!

ბოლოს გაუშვეს. უკანვე მიაბრძანეს თავის ოთახში, სადაც ფინჯანი ყავა, ორი მოხარშული კვერცხი და კარაქწასმული თეთრი პური მიართვეს. ივანმა შესვა და შეჭამა მიწოდებული, თან მტკიცედ გადაწყვიტა, ამ დაწესებულების უფროსს დალოდებოდა და მისგან მოეთხოვა ყურადღება და სამართლიანობა.

ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. საუზმე დაასრულა თუ არა, კარი გაიღო და ივანის ოთახში უამრავი თეთრხალათიანი ადამიანი შემოლაგდა. წინ მსახიობივით გულდასმით გაპარსული, მიმზიდველი, მაგრამ მანვილთვალა და თავაზიანი ორმოცდახუთიოდე წლის კაცი მოდიოდა. ამაღა დიდი პატივით ექცეოდა ამ კაცს და ამიტომ როგორღაც ერთობ ზეიმურად შემოვიდა. „პილატე პონტოელივით!“ – სრულიად მოულოდნელად გაიფიქრა ივანმა.

ღიახ, ეჭვს გარეშეა, ეს იყო უფროსი. ის ტაბურეტზე ჩამოჯდა, დანარჩენები ფეხზე იდგნენ.

– ექიმი სტრავინსკი, – გაეცნო შემოსული და მეგობრულად შეხედა ივანს.

– აი, ალექსანდრ ივანოვიჩი, – ხმადაბლა უთხრა ვილაც წვერდავარცხნილმა კაცმა და უფროსს ერთიანად აჭრელეული ფურცელი გაუწოდა.

„მთელი საქმე შეუკერავთ!“ – გაფიქრა ივანმა. იმ უფროსმა კი ჩვეული მოძრაობით გადაავლო თვალი ნაწერს, ჩაიბურღლუნა: „აჰა, აჰა... „ და იქ მყოფთ ნაკლებად ცნობილ ენაზე რამდენიმე სიტყვა უთხრა.

„ლათინურადაც პილატესავით ლაპარაკობს... „ – ნაღვლიანად გაიფიქრა ივანმა და ანაზდად ერთმა სიტყვამ შეაკრთო. ეს სიტყვა „მიზოფრენია“ გახლდათ, უკვე გუშინ რომ წარმოთქვა იმ წყეულმა უცხოელმა პატრიარქთა ტბორებზე და დღეს პროფესორმა სტრავინსკიმ გაიმეორა.

„ესეც რომ იცოდა!“ – შეშფოთდა ივანი.

უფროსს ალბათ წესად ჰქონდა, ყველას დათანხმებოდა, სინარულით მიეღო გარშემომყოფთა ნათქვამი და აუცილებლად ეპასუხა: „შესანიშნავია, შესანიშნავი... „

– შესანიშნავია! – თქვა სტრავინსკიმ, ფურცელი ვიღაცას მიუბრუნა და ივანს მიმართა, – თქვენ პოეტი ბრძანდებით, არა?

– დიახ, – უპასუხა წარბშეკრულმა ივანმა, პირველად შეიგრძნო პოეზიისადმი რაღაც გამოუთქმელი ზიზღი და საკუთარი ლექსები, იმავე წამს რომ გაახსენდა, რატომღაც უსიამოდ ეჩვენა.

სახემოქცეული ივანი ახლა თვითონ დაეკითხა სტრავინსკის:

– თქვენ პროფესორი ხართ?

სტრავინსკიმ რაღაცნაირი ყოყმანით, თავაზიანად დაუქნია თავი.

– თქვენ ხართ აქ მთავარი? – განაგრძო ივანმა.

სტრავინსკი ამაზეც დაეთანხმა.

– თქვენთან სალაპარაკო მაქვს, – მრავალმნიშვნელოვნად უთხრა ივან ნიკოლაევიჩმა.

– მეც ამისთვის გეახელით, – უპასუხა სტრავინსკიმ.

– იცით, – დაიწყო გახარებულმა ივანმა, როგორც იქნა, დადგა ის ნანატრი წუთიც, – მე აქ გიჟად მომნათლეს და არავინ მისმენს.

– დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დიდი გულისყურით მოგისმენთ, – სერიოზულად დაამშვიდა სტრავინსკიმ, – არც არავის მივცემ უფლებას, შეშლილად მოგნათლონ.

– თუ ასეა, მისმინეთ: გუშინ, საღამოს, პატრიარქთა ტბორებზე ერთ უცნაურ ადამიანს შევხვდი, ვერ გეტყვით, მართლა უცხოელია თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ წინასწარ იცოდა, როგორ მოკვდებოდა ბერლიოზი და ისიც ფაქტია, რომ პირადად იცნობდა პონტოელ პილატეს.

პროფესორის ამაღა გაუნძრევლად იდგა და ხმისამოუღებლად უსმენდა პოეტს.

– პილატეს? იმ პილატეს, იესოს დროს რომ ცხოვრობდა? – თვალების ჭრტვით შეხედა ივანს სტრავინსკიმ.

– სწორედ იმას.

– მითხარით, – ისევ დაეკითხა სტრავინსკი, – ბერლიოზი მართლა ტრამვამ გაიტანა?

– სწორედ ჩემ თვალწინ გაიტანა ტრამვამ პატრიარქებზე, თან იმ საოცარმა მოქალაქემ...

– პონტოელი პილატეს ნაცნობმა? – ჩაეკითხა სტრავინსკი, ჩანდა, დიდად მიხვედრილი კაცი უნდა ყოფილიყო.

– დიახ, იმან, – დაუმოწმა ივანმა და სტრავინსკი შეათვალიერა, – აი, იმან გვითხრა წინასწარ, რომ ანუშკას ზეთი დაეღვარა... და ბერლიოზსაც ზუსტად იმ ადგილას დაუცდა ფენი! როგორ მოგწონთ? – მრავალმნიშვნელოვნად დაეკითხა ივანი, ექიმის გაცემულ წამოძახილს ელოდა.

მაგრამ შეცდა. სტრავინსკიმ სრულიად მშვიდად დაუსვა შემდეგი კითხვა.

– ეგ ანუშკა ვილაა?

ამ კითხვამ ოდნავ გააბრაზა ივანი, სახე მოელუშა.

– ანუშკა აქ არაფერ შუაშია, – ნერვიულად ჩაიბურღლუნა მან, – ეშმაკმა უწყის, ვინ არის. ერთი ტუტრუცანა ქალია სადოვიაიდან. მთავარია, იმან რომ წინასწარ იცოდა ზეთის შესახებ! გესმით ჩემი?

– კარგად მესმის, – სერიოზულად უპასუხა სტრავინსკიმ, მერე პოეტს მუხლზე დაადო ხელი და უთხრა, – ნუ ღელავთ, განაგრძეთ.

– განვაგრძობ, – უპასუხა ივანმა, დაძაბული ცდილობდა სტრავინსკივით მშვიდად ელაპარაკა, რადგან გუშინდელი მწარე გამოცდილებით იცოდა, რომ მხოლოდ სიმშვიდე უშველიდა, – ჰო, მატყუარაა, ამბობს, კონსულტანტი ვარო, სინამდვილეში კი რაღაც უცნაური ძალა აქვს... აი, თუ გაეკიდე, თავიც რომ მოიკლა, ვერ დაეწევი. თან ვილაც ორი ტიპი ახლავს, ისინიც კაი ჩიტები არიან, ოღონდ თავისებურად. ერთი მაღალია, პენსნეგაბზარული. მეორე – უზარმაზარი კატაა, თავისით მგზავრობს ტრამვაიში. ამას გარდა... – ივანს არავინ აწყვეტინებდა და თანდათან უფრო დამაჯერებლად, აუღელვებლად განაგრძობდა თხრობას, – თვითონ იყო იქ, პილატე პონტოელის აივანზე, ამაში ეჭვსაც ვერ შეიტანთ. გაგიგიათ ასეთი რამე? სასწრაფოდ უნდა დავაპატიმროთ, თორემ საშინელ უბედურებას დაატრიალებს.

– თქვენ მის დაპატიმრებას აპირებდით? ხომ სწორად გაგიგეთ? – ჰკითხა სტრავინსკიმ.

„ძალიან ჭკვიანია, – გაიფიქრა ივანმა, – იშვიათად, მაგრამ ინტელიგენციაშიც გამოერევა ჭკვიანი კაცი. ამას ვერ უარყოფ!“ – და უპასუხა:

– დიახ! აბა, მითხარით, როგორ არ დამეპატიმრებინა? ამათ კი დახმარების ნაცვლად, ძალით გამომკეტეს ამ ოთახში, თვალეზში ნათურებს მჩრიან, აბაზანაში მაჭყუმპალავებენ, რატომღაც ძია ფედის ამბებს მეკითხებიან... ფედია რა ხანია მოკვდა! მოვითხოვ, რომ დაუყოვნებლივ გამათავისუფლონ!

– კეთილი, კეთილი! – უპასუხა სტრავინსკიმ, – მადლობა ღმერთს, ყველაფერს ნათელი მოეფინა. მართლაც, რა აზრი აქვს, ჯანმრთელი კაცის საავადმყოფოში დაკავებას? კეთილი. დაუყოვნებლივ გაგიშვებთ, თუ მეტყვით, რომ ნორმალური ხართ. კი არ დამიმტკიცებთ, მხოლოდ მეტყვით. მაშასადამე, თქვენ ნორმალური ხართ?

სიჩუმემ დაისადგურა და ზონზროხა ქალმა, ამ დილას ივანს რომ უვლიდა, მოწიწებით შეხედა პროფესორს, ივანმა კი ერთხელ კიდევ გაიფიქრა: „მართლა ჭკვიანი კაცია“.

პროფესორის წინადადება ძალიან მოეწონა, მაგრამ პასუხის გაცემამდე დაფიქრდა, შუბლი შეიკრა და ბოლოს მტკიცედ უთხრა:

– ნორმალური ვარ.

– ჰოდა, შესანიშნავია, – წამოიძახა სტრავინსკიმ, – თუ ასეა, მოდი, ლოგიკურად ვიმსჯელოთ. თუნდაც, გუშინდელი დღით დავიწყოთ, – ის შებრუნდა და ისევ აიღო ფურცელი, – იმ უცნობი ადამიანის ძებნისას, რომელიც პონტოელი პილატეს ნაცნობად გაგვცნოთ, თქვენ შემდეგი მოქმედებები ჩაიდინეთ: – სტრავინსკიმ გრძელ თითებზე დაიწყო ჩამოთვლა და ხან ივანს შეხედავდა, ხან ფურცელს, – გულზე ხატი ჩამოიკიდეთ, ასე იყო?

– იყო, – დაეთანხმა მოღუშული ივანი.

– ღობიდან ჩამოვარდით და ლოყა დაიშავეთ? ასეა? რესტორანში ანთებული სანთლით, საცვლების ამარა გამოცხადდით და ვიღაც სცემეთ. აქ გაკოჭილი მოგიყვანეს. მოსვლისთანავე დარეკეთ პოლიციაში და სთხოვეთ, ტყვიამფრქვევები გამოეგზავნათ. შემდეგ ეცადეთ ფანჯრიდან გადამხტარიყავით. ასეა? საკითხავია: ამგვარი ქცევით განა შეიძლება ვინმეს დაკავება ან დაპატიმრება? და თუ თქვენ ნორმალური ადამიანი ხართ, თქვენვე მიპასუხებთ: არასგზით. თქვენ აქედან წასვლა გსურთ? მიბრძანდით. მაგრამ ნება მომეცით, გკითხოთ, საით აპირებთ წასვლას?

– რა თქმა უნდა, მილიციაში, – უკვე არცთუ მტკიცედ უპასუხა ივანმა და პროფესორის გამოხედვამ დააბნია.

– აქედან პირდაპირ მილიციაში წახვალთ?

– უჰუ.

– შინ არ შეივლით? – სწრაფად ჰკითხა პროფესორმა.

– რა დროს შევლათ! ვიდრე აქეთ-იქით ვიბოდიალებ, დაიმალება კიდეც!

– ასე... მილიციაში რომ მიხვალთ, რას ეტყვით?

– პონტოელ პილატეზე ვუამბობ, – უთხრა ივან ნიკოლაევიჩმა და თვალთ დაუბნელდა.

– შესანიშნავია! – წამოიძახა სტრავინსკიმ, იმ წვერიან კაცს მიუბრუნდა და უთხრა, – ფიოდორ ივანოვიჩ, თუ შეიძლება, გაწერეთ ამხანაგი უსახლკარო, მაგრამ მის ოთახში არავინ დააწვინოთ, არც თეთრეული გამოცვალოთ, მოქალაქე უსახლკარო ორ საათში უკან დაბრუნდება. აბა, – მიმართა პოეტს, – წარმატებას ვერ გისურვებთ, რადგან თქვენი წარმატების ოდნავადაც არ მჯერა. ნახვამდის! – წამოდგა და მისი ამაღაც შეირხა.

– რატომ უნდა დავბრუნდე? – შეეკითხა შეშინებული ივანი.

სტრავინსკი, თითქოს ამ კითხვას ელოდაო, ისევ დაჯდა და უთხრა:

– იმიტომ, რომ როგორც კი საცვლების ამარა გამოცხადდებით მილიციაში და ეტყვით, რომ პილატე პონტოელის ნაცნობს შეხვდით, აუცილებლად ისევ აქეთ წამოგაბრძანებენ და ისევ თქვენს ოთახში აღმოჩნდებით.

– საცვლები რა შუაშია? – დაიბნა ივანი.

– მართალს ბრძანებთ, მთავარია პონტოელი პილატე, მაგრამ არც საცვალია ნაკლებად მნიშვნელოვანი. აქედან წასვლისას თქვენ ხომ საავადმყოფოს ტანსაცმელს გაიხდით და თქვენს სამოსს ჩაიცვამთ. ხომ არ გავიწყდებათ, თქვენ აქ საცვლების ამარა მოგიყვანეს. მიუხედავად ამისა, სულაც არ აპირებთ შინ მისვლას (თუმცა კი სიტყვა გადაგიკარით ამის თაობაზე). საცვლებით რომ მიხვალთ და პილატეზე დაიწყებთ ლაპარაკს...

უეცრად რაღაც დაემართა ივან ნიკოლაევიჩს. თითქოს გაერღვა ნებისყოფა, იგრძნო, როგორ დასუსტებულიყო და როგორ სჭირდებოდა დახმარება.

– აბა, რა ვქნა? – უკვე მორიდებით იკითხა.

– აი, ეს კი მომწონს! – უთხრა სტრავინსკიმ, – ეს უკვე გონივრული კითხვაა. ახლა აგინსნით, კერძოდ რა დაგემართათ. გუშინ ვილაცამ ძალიან შეგაშინათ და პონტოელ პილატესა თუ სხვა ამბებზე მონათხრობით გაგალიზიანათ. თქვენც განერვიულდით, აღშფოთებული გახვედით ქალაქში და პონტოელ პილატეზე უამბობდით შემხვედრთ. ბუნებრივია, რომ გიჟად ჩაგთვალეს. ახლა მხოლოდ ერთი რამ გიმშველით – სრული სიმშვიდე. ამიტომ საავადმყოფოში უნდა დარჩეთ.

– იმისი დაჭერაც რომ აუცილებელია? – უკვე ვედრებით თქვა ივანმა.

– გეთანხმებით, მაგრამ თქვენ თვითონ რატომ უნდა ირბინოთ? დაწერეთ, რა ბრალდებას უყენებთ იმ ადამიანს, ამაზე იოლი ხომ არაფერია. მე კი თქვენს ჩვენებას იქ გადავცემ, სადაც საჭიროა და თუკი, როგორც ფიქრობთ, საქმე მართლა ბოროტმოქმედებას ეხება, ყველაფერს სწრაფად გაარკვევენ. ოღონდ ერთი პირობით: გონებას ნუ დაძაბავთ და ეცადეთ ნაკლები იფიქროთ პილატე პონტოელზე. ბევრი რამ შეიძლება მოგიყვინენ, მაგრამ ყველაფერი ხომ არ უნდა დაიჯეროთ?

– გავიგე, – გადაჭრით განაცხადა ივანმა, – გთხოვთ ქალაქი და კალმისტარი მომცეთ.

– ქალაქი და პატარა ფანჯარი მიეცით, – იმ ზონზროხა ქალს უბრძანა სტრავინსკიმ, ივანს კი უთხრა, – მაგრამ გირჩევთ, დღეს ნურაფერს გააკეთებთ...

– არა, არა, დღესვე უნდა დავწერო, აუცილებლად დღესვე... – წამოიძახა შეწუხებულმა ივანმა.

– კეთილი, მხოლოდ გონებას ნუ დაძაბავთ. დღეს თუ არაფერი გამოგივათ, ხვალ სცადეთ.

– ამასობაში გაგვექცევა!

– ვერსადაც ვერ გაგვექცევა, – აუღელვებლად უთხრა სტრავინსკიმ, – პირობას გაძლევთ! ისიც განსოვდეთ, ჩვენთან ყოველმხრივ დაგეხმარებიან, სხვაგვარად ვერაფერს გააწყობთ. გესმით ჩემი? – უეცრად ჰკითხა სტრავინსკიმ და ივან ნიკოლაევიჩის ხელებს მისწვდა. ის დიდხანს და დაჟინებით უცქეროდა ივანს, თან იმეორებდა, – აქ დაგეხმარებიან... გესმით ჩემი? აქ დაგეხმარებიან... თავს კარგად იგრძნობთ... აქ სიმშვიდე და სიჩუმეა... აქ დაგეხმარებიან...

ივან ნიკოლაევიჩმა მოულოდნელად დაამთქნარა და სხეული მოუდუნდა.

– დიახ, დიახ, – ხმადაბლა ჩაილაპარაკა მან.

– ჰოდა, შესანიშნავია, – ჩვეულებისამებრ დაასრულა ლაპარაკი სტრავინსკიმ და წამოდგა, – ნახვამდის! – მერე ივანს ხელი ჩამოართვა, უკვე კართან იმ წვეროსანს მიუბრუნდა და უთხრა, – დიახ, ჟანგბადი სცადეთ... და აბაზანები...

წამის შემდეგ ივანის ოთახში აღარც სტრავინსკი იყო და აღარც მისი ამაღლა. ფანჯრის ცხაურს იქით, გაღმა ნაპირზე შუადღის მზე გაზაფხულისდარად აკისკასებდა ნაძვნარს, უფრო ახლოს კი, მდინარე ლიცლიცებდა.

თავი მეცხრე

კაროვივის ოინები

ნიკანორ ივანოვიჩ ბოსოი მოსკოვში, სადოვიაას ქუჩაზე მდებარე №302-ბის სახლის საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარე, სადაც განსვენებული ბერლიოზი ცხოვრობდა, ოთხშაბათ ღამიდან ხუთშაბათის ჩათვლით დიდ გაწამაწიაში აღმოჩნდა.

როგორც უკვე გაუწყეთ, ამ სახლში, შუალამისას ქელდინის თანხლებით მივიდა კომისია, ნიკანორ ივანოვიჩი გამოიძახეს, ბერლიოზის სიკვდილის ამბავი აცნობეს და მასთან ერთად გაემართნენ № 50-ე ბინისაკენ.

ბინაში შესულებმა განსვენებულის ხელნაწერები და ნივთები დალოქეს. იმ დროს შინ არავინ იყო, არც დღიური მოსამსახურე გრუნია და არც ის ქარაფშუტა სტეპან ბოგდანოვიჩი. კომისიამ ნიკანორ ივანოვიჩს აცნობა, რომ ხელნაწერებს მალე წაიღებდნენ გადასარჩევად, განსვენებულის საცხოვრებელი ფართი კი, მაშასადამე სამი ოთახი (ოქრომჭედლის ქვრივის ნაქონი კაბინეტი, სასტუმრო და სასადილო ოთახები) საბინაო ამხანაგობის გამგეობას უბრუნდებოდა, ხოლო განსვენებულის აღნიშნულ ფართზე არსებული ნივთები მემკვიდრის გამოჩენამდე უნდა შენახულიყო.

ბერლიოზის სიკვდილის ამბავი მთელ სახლს ზებუნებრივი სისწრაფით მოედო და ბოსოის უკვე ხუთშაბათს, დილის შვიდი საათიდან ურეკავდნენ ტელეფონით, შემდეგ კი პირადად მოდიოდნენ, განცხადებები მოჰქონდათ და განსვენებულის ფართზე აცხადებდნენ პრეტენზიას. ორ საათში ნიკანორ ივანოვიჩს ზუსტად ოცდაათორმეტი ასეთი განცხადება დაუგროვდა.

ამ განცხადებებში მუდარაც იყო, მუქარაც, დაბეზლებაც, ვიღაც პირობას დებდა, საკუთარი ხარჯებით გაერემონტებინა ბინა, ვიღაც აუტანელ სივიწროვეს უჩიოდა, ზოგი კი შეუძლებლად თვლიდა ავაზაკის გვერდით, ერთ ჭერქვეშ ეცხოვრა. ამ განცხადებებს შორის იყო გასაოცარი მნატვრული ღირებულების მქონე მონათხრობი იმის შესახებ, თუ როგორ გაიტაცეს პელმენები 31-ე ბინიდან, რომელიც მძარცველს პირდაპირ პიჯაკის ჯიბეებში ჩაეტენა, ამას გარდა ორი განცხადების ავტორი იტყობინებოდა, რომ თვითმკვლელობით დაასრულებდნენ სიცოცხლეს, ვიღაც ქალი კი გულახდილად უტყუებოდა, რომ ფეხმძიმედ იყო.

ნიკანორ ივანოვიჩს საკუთარი ბინის წინკარში იხმობდნენ, სახელოზე ექაჩებოდნენ, რაღაცას ეჩურჩულებოდნენ, თვალს უპაჭუნებდნენ და ჰპირდებოდნენ, ვალში არ დაგრჩებიო.

ეს წამება დღის პირველ საათამდე გაგრძელდა, ვიდრე ნიკანორ ივანოვიჩი საკუთარი ბინიდან უჩუმრად არ გამოიძურწა, სამმართველოს შენობაში აპირებდა თავის შეფარებას, მაგრამ იქაც ჭიშკართან შენიშნა მოდარაჯენი და კისრისტენით გამოიქცა უკან. რის ვაივაგლახით დააღწია თავი მოასფალტებულ ეზოში ფეხდაფეხ დადევნებულ მდევრებს, ძლივს მოასწრო მეექვსე სადარბაზოში შესხლტომა, იქიდან კი მენუთე სართულზე ავიდა, სადაც ის წყეული № 50 ბინა მდებარეობდა.

გვარიანად შესუქებულმა ნიკანორ ივანოვიჩმა ბაქანზე სული მოითქვა და კარზე დარეკა, მაგრამ კარი არავის გაუღია. დიდხანს რეკდა, მერე აჯუჯღუნდა და ჩუმად მოჰყვა გინებას. თუმცა არც მაშინ გაუღიათ კარი. ნიკანორ ივანოვიჩს მოთმინების ფიალა აევსო, ჯიბიდან

გასაღებების აცმა ამოიღო, სახლმმართველობას რომ ეკუთვნოდა, მბრძანებელივით გააღო კარი და შიგ შევიდა.

– არის აქ ვინმე? – ნახევრად ჩაბნელებულ წინკარს გასძახა ნიკანორ ივანოვიჩმა, – ეი, მოსამსახურე! რა გქვია? გრუნია? შინ ხარ?

ხმა არავის გაუცია.

მაშინ ნიკანორ ივანოვიჩმა კაბინეტის კარს ლუქი შეხსნა, პორტფელიდან დასაკეცი სანტიმეტრი ამოიღო და კაბინეტში შეაბიჯა.

შებიჯებით კი შეაბიჯა, მაგრამ გაცეცხული შედგა კარში და შეკრთა კიდეც.

მაგიდასთან მშვიდად იჯდა უცნობი, გამწლიკული და აწოწილი მოქალაქე, კუბოკრული პიჯაკი ეცვა, ჟოკეის ქუდი ეხურა და პენსნე ეკეთა... მოკლედ, ის იყო...

– თქვენ ვინ ბრძანდებით, მოქალაქევ? – იკითხა დამფრთხალმა ნიკანორ ივანოვიჩმა.

– ოჰო! ნიკანორ ივანოვიჩ, – მოულოდნელად ჟღერიალა ტენორით დაიღრიალა მოქალაქემ, ფეხზე წამოხტა და ძალისძალად ჩამოართვა ხელი თავმჯდომარეს. ამ მისაღმებამ სწორედაც რომ არ გაახარა ნიკანორ ივანოვიჩი.

– მაპატიეთ, – დაეჭვებით დაიწყო მან, – თქვენ ვინ ბრძანდებით? ოფიციალური პირი ხართ?

– ეჰ, ნიკანორ ივანოვიჩ! – გულლიად წამოიძახა უცნობმა, – რა ჯანდაბაა ოფიციალური ან არაოფიციალური პირი? ეგ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომელი კუთხიდან შეხედავთ საკითხს, ეგ ყველაფერი, ნიკანორ ივანოვიჩ, პირობითია და არამყარი. დღეს არაოფიციალური პირი ვარ, ხვალ კი, გაიხედავთ და, ოფიციალური აღმოვჩნდები! პირიქითაც ხდება ხოლმე, ნიკანორ ივანოვიჩ, თანაც რა ხშირად ხდება!

არც ამ მსჯელობამ დააკმაყოფილა სახლმმართველობის თავმჯდომარე. ბუნებით ეჭვიანი კაცი ბრძანდებოდა და მაშინვე დაასკვნა, რომ ეს გატლექილი მოქალაქე სწორედ არაოფიციალური პირი უნდა ყოფილიყო, უფრო მეტიც, უსაქმური.

– მაპატიეთ, ვინ ხართ? რა გვარი ბრძანდებით? – უეცრად მკაცრად უთხრა თავმჯდომარემ და უცნობისკენ გადადგა ნაბიჯი.

მოქალაქე სულაც არ დაუფრთხია თავმჯდომარის სიმკაცრეს.

– ჩემი გვარია... თუნდაც, კაროვიევი. ხომ არ წაისაუზმებდით, ნიკანორ ივანოვიჩ? ნუ მოგერიდებათ.

– მაპატიეთ, მაგრამ, – ისევ უთხრა გაბრაზებულმა ნიკანორ ივანოვიჩმა, – რა დროს საუზმეა (ძალიან მწყინს, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ჩვენი ნიკანორ ივანოვიჩი ბუნებით უხეში კაცი ბრძანდებოდა)! – მიცვალებულის ბინაში ჯდომა აკრძალულია! აქ რას აკეთებთ?

– ჯერ იქნებ დაბრძანდეთ, ნიკანორ ივანოვიჩ, – ისევ თავხედურად აღრიალდა მოქალაქე, ოთახში დაბზრიალდა და სავარძელი შესთავაზა.

გაცოფებულ ნიკანორ ივანოვიჩს სავარძლისთვის არც შეუხედავს და თვითონაც იღრიალა:

– მითხარით, ვინ ხართ?

– მე, ბატონო ჩემო, თარჯიმნად ვახლავარ ერთ უცხოელ პირს, ამ სახლში რომ დაიდო ბინა, – თავი გააცნო კაროვიევად წოდებულმა და ჟღერი, გაუწმენდავი ფეხსაცმლის ქუსლები ერთმანეთს მიარტყა.

ნიკანორ ივანოვიჩმა პირი დაადო. ვიღაც უცხოელის, თანაც თარჯიმნიანად ამ სახლში ჩასახლება მისთვის სრულიად ახალი ამბავი იყო და ამდენად, განმარტებასაც მოითხოვდა.

თარჯიმანმა სიამოვნებით განუმარტა: ვარიეტეს დირექტორმა სტეპან ბოგდანოვიჩ ლიხოდეევმა გულთბილად მიიწვია თავისთან უცხოელი სტუმარი, ბატონი ვოლანდი, და სთხოვა, ის ერთი კვირა, ვიდრე გასტროლებზე იქნებოდა მოსკოვში, მის ბინაში ეცხოვრა, რის გამოც გუშინვე წერილი გაუგზავნა ნიკანორ ივანოვიჩს და სთხოვა, დროებით ჩაეწერა უცხოელი, სანამ თვითონ იალტაში იმოგზაურებდა.

– ჩემთვის არაფერი მოუწერიათ, – გაოცდა თავმჯდომარე.

– პორტფელში გექნებათ, ნიკანორ ივანოვიჩ, – დამტკბარი ხმით ურჩია კაროვიევმა. ნიკანორ ივანოვიჩმა მხრები აიჩეჩა, პორტფელი გახსნა და შიგ ლიხოდეევის წერილი აღმოაჩინა.

– ეს როგორ დამავიწყდა? – ჩაიბურღლუნა ნიკანორ ივანოვიჩმა და გაშტერებული დააცქერდა გახსნილ კონვერტს.

– ყველაფერი ხდება ხოლმე, ყველაფერი, ნიკანორ ივანოვიჩ, – ისევ აჟღერიალდა კაროვიევი, – დაბნეულობის ბრალია, დაბნეულობის და გადაღლის, სისხლის წნევის აწევის, ჩემო ძვირფასო ნიკანორ ივანოვიჩ! მეც საშინლად დაბნეული ვარ. ერთხელაც იქნება, ჭიქა არაყზე მოგიყვებით ჩემი ბიოგრაფიის რამდენიმე ეპიზოდს, დამიჯერეთ, სიცილით დაიხრჩობით!

– ლიხოდეევი როდის აპირებს იალტაში წასვლას?

– ნუთუ არ იცოდით, უკვე წავიდა, წავიდა! – წამოიყვირა თარჯიმანმა, – გზაშია უკვე! ახლა, ეშმაკმა უწყის, სად იმყოფება! – დასძინა და წისქვილის ფრთასავით დაატრიალა ხელები.

ნიკანორ ივანოვიჩმა დამხვდურს განუცხადა, რომ აუცილებლად პირადად უნდა ენახა უცხოელი, მაგრამ თარჯიმანმა უარი სტკიცა, – ყოვლად შეუძლებელია! დაკავებულია! კატას წვრთნის!

– აი, თუ გნებავთ, კატას განახვებთ, – შესთავაზა კაროვიევმა.

ამაზე ახლა ნიკანორ ივანოვიჩმა სტკიცა ცივი უარი, თარჯიმანმა კი თავმჯდომარეს მოულოდნელი და საინტერესო წინადადება შესთავაზა:

იმის გამო, რომ ბატონ ვოლანდს არასგზით არ სურდა სასტუმროში ცხოვრება, თანაც ფართო, დიდ სახლში ცხოვრებას იყო მიჩვეული, ეგებ საბინაო ამხანაგობას მოეხერხებინა და ერთი კვირით, ვოლანდის გასტროლების დასრულებამდე, მთელი ბინა მისთვის მიეჭირავებინა, ესე იგი, გარდაცვლილის ოთახებიც.

– იმისთვის ახლა ხომ სულერთია, გარდაცვლილისთვის, – ჩურჩულით ექშუტუნებოდა კაროვიევი, – მას ახლა, თქვენც დამეთანხმებით, ნიკანორ ივანოვიჩი, ეს ბინა აღარაფერში არგია.

გაოგნებული ნიკანორ ივანოვიჩი მაინც ეწინააღმდეგებოდა და უმტკიცებდა, უცხოელები „მეტროპოლში“ უნდა ცხოვრობდნენ და არა კერძო ბინებში.

– აკი აგიხსენით, ისეთი ჭირვეულია, ეშმაკმა უწყის, ვის შეიძლება შეადარო! – აჩურჩულდა კაროვიევი, – არ უნდა და მორჩა! თვალის დასანახავად სძულს სასტუმროები! პირდაპირ ყელში ამომივიდნენ ეს უცხოელები! – ახლობელივით ყურში ჩაუპუტუნა კაროვიევმა და დაძარღვულ ყელზე მიიბჯინა თითი, – დამიჯერეთ, თავი მომაბეზრეს! ჩამოვა... და ან უკანასკნელ არამზადასავით დაგაბეზლებს, ანდა თავისი ჭირვეულობით დაგაგლეჯს ნერვებს: ვერაფრით ასიამოვნებ!.. თქვენი ამხანაგობა კი, ნიკანორ ივანოვიჩი, დამერწმუნეთ, მხოლოდ სარგებლობას ნახავს და უეჭველ სარგებლობასაც, დამერწმუნეთ, ფული ჩეჩქივით აქვს, – კაროვიევმა მიმოიხედა და თავმჯდომარეს ყურში წასჩურჩულა, – მილიონერია!

თარჯიმანმა საკმაოდ პრაქტიკული და ნათელი წინადადება მისცა, ერთობ სოლიდურიც. მაგრამ თვით თარჯიმანი გამოიყურებოდა საოცრად არასოლიდურად. არასოლიდური იყო მისი საუბრის ტონი, ტანსაცმელი და, განსაკუთრებით, ეს ამაზრზენი, ყოვლად გამოუსადეგარი პენსნე. თავმჯდომარეს რაღაც გაურკვეველი შიში კი უწურავდა გულს, მაგრამ მაინც გადაწყვიტა, უარი არ ეთქვა შემოთავაზებულზე. საქმე ის გახლდათ, რომ საბინაო ამხანაგობაში, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი დეფიციტი არსებობდა, საშემოდგომო გათბობისათვის ნავთი უნდა შეესყიდათ, მაგრამ ფული საიდან უნდა გაეჩინათ, არავინ იცოდა. ამ უცხოელისგან აღებული ფული კი შეიძლებოდა მართლაც გამოსდგომოდათ. მაგრამ საქმიანმა და წინდახედულმა ნიკანორ ივანოვიჩმა განაცხადა, რომ ჯერ უცხოელთა ბიუროსთან უნდა შეეთანხმებინა ეს საკითხი.

– მესმის, – დაეთანხმა კაროვიევი, – აბა, სხვაგვარად როგორ შეიძლება. აგერ, ტელეფონიც, ნიკანორ ივანოვიჩი, და ეგ საკითხი ახლავე მოვაგვაროთ, ფულზე კი ნუ მოგერიდებათ, – წასჩურჩულა და წინკარში, ტელეფონისკენ გაიყოლა თავმჯდომარე, – პირდაპირ მადლია ამისთვის ფულის გამორთმევა! ნეტა განახვათ, რა აგარაკი აქვს ნიცაში. აი, მომავალ ზაფხულს, საზღვარგარეთ რომ წაბრძანდებით, საგანგებოდ შეიარეთ და დაათვალიერეთ – ჭკუას დაკარგავთ!

უცხოელთა ბიუროში გასაოცარი, თავმჯდომარისათვის ერთობ განსაცვიფრებელი სისწრაფით გაიჩარხა საქმე. აღმოჩნდა, რომ იქ უკვე იცოდნენ ბატონი ვოლანდის სურვილის შესახებ, ლიხოდევის სახლში ეცხოვრა და საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ.

– სასწაული თუ გინდა, ეს არის! – ხრიალებდა კაროვიევი.

მისი უსასრულო ლაყბობით თავგზააბნეულმა თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბინაო ამხანაგობა თანახმა იყო მსახიობ ვოლანდისათვის ერთი კვირით მიექირავებინა № 50 ბინა... ნიკანორ ივანოვიჩს აქ ოდნავ დაება ენა და ბოლოს თქვა:

– დღეში ხუთას მანეთად.

ამჯერად კაროვიევმა საბოლოოდ გააოცა თავმჯდომარე. ბაცაცასავით ჩაუკრა თვალი, თავი საძინებელი ოთახის მიმართულებით გადაიქნია, საიდანაც მსუქანი კატის მსუბუქი ხტუნვის ხმა მოისმოდა და ჰკითხა:

– მაშასადამე, კვირაში 3. 500 მანეთი, არა?

ნიკანორ ივანოვიჩი ელოდა, კაროვიევი ეტყოდა, კარგი მადა გქონიათ, ნიკანორ ივანოვიჩო, მაგრამ სრულიად სხვა რამ გაიგონა, – ეგ რა ფულია? ხუთი მოითხოვეთ, მოგვცემენ.

გაოგნებულმა ნიკანორ ივანოვიჩმა ჩაიხიბნითა, თავადაც ვერ შენიშნა, როგორ აღმოჩნდა გარდაცვლილის საწერ მაგიდასთან, სადაც კაროვიევმა გასაოცარი მოხერხებულობით და სისწრაფით ორ პირად შეავსო ხელშეკრულება. შემდეგ ფურცლებიანად საძინებელ ოთახში შეფრინდა, იმავე წამს უკან დაბრუნდა და უცხოელის მიერ გაკრული ხელით შესრულებული ხელმოწერა დაანახვა. ხელშეკრულებაზე თავმჯდომარემაც მოაწერა ხელი. შემდეგ კაროვიევმა სთხოვა, ხელწერილი მიეცა ხუთი...

– ასოებით, ასოებით, ნიკანორ ივანოვიჩ!. . ათასი მანეთი... – და ამ სერიოზული საქმის ესოდენ შეუფერებელი ციგნობით – აინ, ცვაი, დრაი! – თავმჯდომარეს ბანკიდან სულ ახლახან გამოტანილი, სრულიად ცინცხალი ხუთი შეკვრა ჩაუთვალა.

ფულის თვლას კაროვიევის მხიარული შეძახილები ერთვოდა, ათას სისულელეს იხსენებდა. „ფულს თვლა უყვარსო“, „ძმამ ძმას ანგარიში უყოო“, რას არ რომავდა. ფულის გადათვლის შემდეგ თავმჯდომარემ, დროებით ჩასაწერად კაროვიევს უცხოელის პასპორტი გამოართვა, ხელშეკრულებასა და ფულთან ერთად ჩადო პორტფელში, მერე კი თავი ველარ შეიკავა და დარცხვენილმა, კონცერტზე დასასწრებად საშვიც სთხოვა...

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, – იღრიალა კაროვიევმა, – რამდენი ბილეთი გნებავთ, ნიკანორ ივანოვიჩ, თორმეტი, თხუთმეტი?

გაოგნებულმა თავმჯდომარემ აუხსნა, რომ მხოლოდ ორი საშვი სჭირდებოდა, თავისთვის და თავისი მეუღლის – პელაგია ანტონოვნასათვის.

კაროვიევმა იმავე წამს იშვლიპა ბლოკნოტი, ნიკანორ ივანოვიჩს ორი საშვი გამოუწერა, პირველ რიგში, მერე მარცხენა ხელით მიაჩეჩა, მარჯვენით კი – ხრამუნა შეკვრა ჩაუჩურთა ჯიბეში. ნიკანორ ივანოვიჩმა თვალი ფულის დასტისკენ გააპარა, წამოჭარხლდა, უკან დაბრუნება დააპირა და ალუღლულდა:

– არა, არა, როგორ გეკადრებათ...

– არაფრის მოსმენა არ მინდა, – ლამის პირდაპირ ყურში ჩასჩურჩულა კაროვიევმა, – ჩვენთან არ შეიძლება, უცხოელებთან კი ასეა მიღებული. ეწყინება, ნიკანორ ივანოვიჩ, უხერხულია. თქვენ შრომობთ...

– არა, არა, ასეთი რაღაცები მკაცრად გვეკრძალება, – ჩუმზე ჩუმად უჩურჩულა თავმჯდომარემ და მიმოიხედა.

– მოწმე ხომ არავინ გვყავს, – ახლა მეორე ყურში ჩაუპუტუნა კაროვიევმა, – მე თქვენ გეკითხებით, აბა, სად ხედავთ მოწმეს? გამომართვით!

და როგორც მოგვიანებით ამტკიცებდა თავმჯდომარე, აქ კი მართლა სასწაული მოხდა: ფულის შეკვრა თავისით ჩაცურდა პორტფელში. შემდეგ ერთიანად ძალაგამოცლილი და დარეტიანებული თავმჯდომარე კიბეზე აღმოჩნდა. ტვინი ებნეოდა. გონებაში უტრიალებდა ის აგარაკი ნიცაში, გაწვრთნილი კატა, იმაზეც ფიქრობდა, რომ მართლა არავინ იყო მოწმე და

იმაზეც, როგორ გაიხარებდა პელაგია ანტონოვნა, სპექტაკლზე დასასწრებ საშვს რომ მიუტანდა. აბურდული, მაგრამ სასიამოვნო ფიქრების რიგი ერთმანეთს მისდევდა და მიუხედავად ამისა, სადღაც სიღრმეში მაინც ღრღნიდა ეჭვის ჭია და გული უკვნესოდა. ეს შეშფოთების კვნესა იყო. და მაშინვე, იქვე, კიბეზე, თითქოს თავში ჩასცხესო, გონება გაუნათდა: „კი მაგრამ, კარი რომ დალუქული იყო!“ ამის შესახებ რატომ არაფერი ჰკითხა? თავმჯდომარე ერთხანს ცხვარივით უაზროდ დასჩერებოდა კიბეს, შემდეგ კი გადაწყვიტა, ამ ამბებისთვის მიეფურთხებინა და ათასი სისულელით არ გამოეტენა თავი.

როგორც კი თავმჯდომარის უკან კარი მიიხურა, საძინებელი ოთახიდან ბოხი ხმა გაისმა:

– ეგ ნიკანორ ივანოვიჩი ძალიან არ მომეწონა, მატყუარა და გამომძალველი ყოფილა. ნუთუ არ შეიძლება ისე მოაწყო, რომ მეტად აღარ შეგვაწუხოს?

– თქვენ ოღონდ მიბრძანეთ, მესირ! – საიდანღაც გამოეპასუხა კაროვიევი, თუმცა ამჯერად ჩვეულებისამებრ მჭახე ხმა კი არა, ძალიან სუფთა და მჟღერი ხმა ჰქონდა.

და წყეული თარჯიმანი მყის წინკარში გაიჭრა, ნომერი აკრიფა და რატომღაც წუწუნითა და ღიჭინით დაიწყო ლაპარაკი:

– ალო! ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, შეგატყობინოთ, რომ სადოვაიას ქუჩაზე მდებარე № 302-ბის სახლის საბინაო ამხანაგობის თავმჯდომარე ნიკანორ ივანოვიჩ ბოსოი ვალუტით ვაჭრობს. ამჟამად შინ, საპირფარეოს საჭაეროში უდევს გაზეთში გახვეული ოთხასი დოლარი. ლაპარაკობს აღნიშნული სახლის № 11 ბინის მცხოვრები ტიმოფეი კვასცოვი. მაგრამ, გთხოვთ, ნუ გამამხელთ. ზემოთ აღნიშნული თავმჯდომარისგან ყველაფერი მოსალოდნელია.

და ყურმილი დაკიდა, იმ უნამუსომ.

აღარ ვიცით, რა მოხდა მას შემდეგ 50-ე ბინაში, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რაც ნიკანორ ივანოვიჩთან ხდებოდა. შინ მისვლისთანავე თავმჯდომარე საპირფარეოში ჩაიკეტა, პორტფელიდან თოკით გადაკრული შეკვრა ამოიღო და დარწმუნდა, რომ შიგ ოთხასი მანეთი იდო. შემდეგ შეკვრა გაზეთის ნახევში გაახვია და საპირფარეოს საჭაერო ღრმულში შეინახა.

ხუთი წუთის შემდეგ თავმჯდომარე თავის პატარა სასადილო ოთახში მიუჯდა მაგიდას. მეუღლემ სამზარეულოდან გულდაგულ დაჭრილი და ხახვმოყრილი ქაშაყი გამოუტანა. ნიკანორ ივანოვიჩმა არაყი დაისხა, გადაკრა, მეორედაც დაისხა, ისიც გადაკრა, ჩანგლით ქაშაყს მისწვდა და... სწორედ ამ დროს კარზე დარეკეს კიდეც. პელაგია ანტონოვნამ ის-ის იყო ორთქლადენილი ქვაბი შემოიტანა, რომლის დანახვისთანავე მიხვდებოდა, რომ შიგ ცეცხლისფერი ბორშიის სიღრმეში ამქვეყნად ყველაფერზე გემრიელი რამ იმალებოდა – ძვლის ტვინი.

ნიკანორ ივანოვიჩმა ნერწყვი გადაყლაპა და ძალღვივით დაიღრინა:

– ეშმაკსაც წაუღიხართ ყველა! ჭამასაც არ აცლიან კაცს. არავინ შემოუშვა, უთხარი, რომ შინ არა ვარ, არა ვარ. ბინაზე თუ გკითხეს რამე, უთხარი, გული ნუ გააწყალეს, ერთ კვირაში თათბირი იქნება...

მეუღლე წინკარში გავიდა, ნიკანორ ივანოვიჩმა კი ორთქლით მქშინავი სითხიდან ჩამჩით ამოათრია ის სიგრძივ გაპობილი ძვალი. სწორედ ამ დროს სასადილოში ორი მოქალაქე შემოვიდა, მათ უკან რატომღაც გადამტკნარებული პელაგია ანტონოვნა შემოჰყვა. მოქალაქეთა დანახვაზე ნიკანორ ივანოვიჩსაც წაუვიდა ფერი და წელი ძლივს აითრია.

– ფეხსალაგი სად არის? – საქმიანად ჰკითხა პირველმა, თეთრი „უკრაინკა“ რომ ეცვა.

სასადილო მაგიდაზე რაღაც დაეცა (ნიკანორ ივანოვიჩს ჩამჩა გაუვარდა ხელიდან).

– აქეთ, აქეთ, – სხაპასხუპით მიიწვია პელაგია ანტონოვნამ.

და მოსულები წამისუსწრაფესად გაემართნენ დერეფნისაკენ.

– რაშია საქმე? – მორიდებულად იკითხა ნიკანორ ივანოვიჩმა და მოსულებს გაჰყვა, – ბინაში ისეთი არაფერი იქნება... თქვენი საბუთები... ბოდიშს კი გიხდით...

პირველი არც შეჩერებულა, ისე დაანახვა ნიკანორ ივანოვიჩს საბუთები, მეორე კი ფეხსალაგში შესვლისთანავე ტაბურეტზე შედგა და საჭაერო ღუმელში შეყო ხელი. ნიკანორ ივანოვიჩს თვალთ დაუბნელდა. შეკვრას გაზეთი შემოხსნეს, მაგრამ იქ მანეთიანები კი არა, რომელიღაც უცნობი ფული აღმოჩნდა, ცისფერი თუ მწვანე ფერის, ზედ ვიღაც ბერიკაცი რომ იყო გამოსახული. თუმცა კი ეს ყველაფერი ნიკანორ ივანოვიჩმა ბუნდოვნად დაინახა, თვალწინ რაღაც ლაქები უციმციმებდა.

– დოლარებია საჭაეროში, – ჩაილაპარაკა პირველმა და ძალიან რბილად და თავაზიანად დაეკითხა ნიკანორ ივანოვიჩს, – ეს შეკვრა თქვენია?

– არა, – საზარელი ხმით უპასუხა ნიკანორ ივანოვიჩმა, – მტრებმა მომიგდეს!

– ხდება ხოლმე, – დაეთანხმა ის პირველი და ისევ რბილად დაეკითხა, – რას იზამთ, სხვებსაც ჩაგვაბარებთ?

– არა მაქვს! არა მაქვს, ღმერთს გეფიცებით, არც არასოდეს მჭერია ხელში! – განწირულივით იყვირა თავმჯდომარემ.

მაშინვე კომოდს ეცა, ბრაზუნით გამოაღო უჯრა, იქიდან პორტფელი ამოიღო, თან უაზროდ იმეორებდა...

– აი, კონტრაქტი... იმ ნამუსგარეცხილმა თარჯიმანმა შემომაჩეჩა... კაროვიევმა... პენსნეთი!

მან პორტფელი გახსნა, შიგ ჩაიხედა, ხელიც ჩაყო, მერე სახეზე მწვანე ფერი დაედო და პორტფელი ბორშიში ჩაუვარდა. პორტფელი ცარიელი იყო: არც სტიოპას წერილი იდო შიგ, არც ხელშეკრულება, არც უცხოელის პასპორტი, არც ფული და არც კონტრამარკა. ერთი სიტყვით, დასაკეცი სანტიმეტრის გარდა პორტფელში არაფერი აღმოჩნდა.

– ამხანაგებო! – იყვირა გაცოფებულმა თავმჯდომარემ, – დააკავეთ! ჩვენს სახლში უწმინდურმა ძალამ დაისადგურა!

იმავე წამს, არავინ იცის, რა მოელანდა პელაგია ანტონოვნას, ხელები ერთმანეთს შემოჰკრა და იყვირა:

– აღიარე, ივანიჩი! შელავათს მოგცემენ!

ნიკანორ ივანოვიჩის სისხლი თვალებში მოაწვა, მუშტი შემართა ცოლის თავზე და დაიხრიალა:

– უ, შე წყეულო!

მერე ღონე წაერთვა და სკამზე გადაესვენა, ალბათ გადაწყვიტა, უცილობელს დამორჩილებოდა.

ამასობაში კი ტიმოფეი კონდრატიევიჩ კვასცოვი კიბის ბაქანზე, თავმჯდომარის კარის ჭუჭრუტანას ეკვროდა, ხან ყურს მიაღებდა, ხან თვალს და ცნობისმოყვარეობით იტანჯებოდა.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ეზოში გამოფენილმა სახლის მცხოვრებლებმა დაინახეს, ორმა კაცმა როგორ წაიყვანა ჭიშკრისკენ თავმჯდომარე. იმასაც ყვებოდნენ, რომ ნიკანორ ივანოვიჩის სახეზე ფერი არ ედო, მთვრალივით ირწეოდა და რაღაცას ბუტბუტებდა თავისთვის.

კიდევ ერთი საათის შემდეგ, ნომერ მეთერთმეტე ბინაში ერთი მოქალაქე გამოცხადდა, ზუსტად იმ დროს, როცა კმაყოფილებით აქლოშინებული ტიმოფეი კონდრატიევიჩი დანარჩენ მობინადრეებს უყვებოდა, როგორ აიყვანეს თავმჯდომარე, მოსულმა მოქალაქემ ტიმოფეი კონდრატიევიჩი წინკარში გაიხმო თითით, რაღაც უთხრა და მასთან ერთად გაქრა.

თავი მეათე

ცნობები იალტიდან

იმ დროს, როცა ნიკანორ ივანოვიჩს ეს უბედურება დაატყდა თავს, №302-ბის სახლის შორიანხლოს, იმავე სადოვანიაზე, ვარიეტეს ფინანსური დირექტორის კაბინეტში ორნი ისხდნენ: თვით რიმსკი და ვარიეტეს ადმინისტრატორი ვარენუხა.

თეატრის მეორე სართულზე მოთავსებული უზარმაზარი კაბინეტის ორი ფანჯარა სადოვანიას გადაჰყურებდა, ერთი კი, რომელიც სწორედ საწერ მაგიდასთან მჯდარი ფინანსური დირექტორის ზურგს უკან იყო, ვარიეტეს საზაფხულო ბაღში გადიოდა, სადაც გამაგრილებელი ბუფეტები, ტირი და ღია ესტრადა მოეწყობოთ. ამ საწერი მაგიდის გარდა კაბინეტში, კედელზე ძველი აფიშების დასტაც ეკიდა, პატარა მაგიდაზე წყლით სავსე გრაფინი იდგა, ოთხი სავარძელი და კუთხეში მიდგმულ თახჩაზე დიდი ხნის წინანდელი, დამტვერილი, რომელიღაც წარმოდგენიდან შემორჩენილი მაკეტი იდო. თავისთავად ცხადია, კაბინეტში მომცრო ზომის, ძველისძველი, ლაქდამსკდარი ცეცხლგამძლე სალაროც იდგა, სწორედ რიმსკის ხელმარცხნივ, საწერი მაგიდის გვერდით.

მაგიდასთან მჯდარი რიმსკი დილიდან ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა, ვარენუხა კი, პირიქით, ძალზე ცოცხლად გამოიყურებოდა და რატომღაც ძალზე მოქმედი და აღზნებული ჩანდა, მაგრამ ვერც ამ ენერჯის დასახარჯავ ადგილს პოულობდა.

როგორც კი ტელეფონი აწკრიალდებოდა, ვარენუხა ყურმილს იღებდა და ტყუილების ბუქს აყენებდა:

- ვინ? ვარენუხა? არ გახლავთ. გასულია.
- ერთხელაც დაურეკე ლიხოდევს, – უთხრა გაღიზიანებულმა რიმსკიმ.
- ხომ გითხარი, შინ არ არის-მეთქი. უკვე კარპოვიც გავგზავნე. კარი არავინ გაუღო.
- ეშმაკმა უწყის, რა ხდება! – წამოიძახა რიმსკიმ და ისევ სათვლელი მანქანა ააჩხაკუნა.

კარი გაიღო და კაპელდინერმა ახლახან დაბეჭდილი დამატებითი აფიშის სქელი შეკვრა შემოიტანა. მწვანე ფონზე მსხვილი წითელი ასოებით ეწერა:

დღეს და ყოველდღე, ვარიეტეს თეატრში პროგრამის გარეშე

პროფესორი ვოლანდი

შავი მაგიის სეანსი და მისი სრული გამოაშკარავება

ვარენუხამ აფიშა გადაშალა, უკან დაიხია, შეათვალიერა, მოეწონა და მაშინვე კაპელდინერს უბრძანა, ყველა ეგზემპლარი სასწრაფოდ გაეგზავნათ გასაკრავად.

- კარგია, თვალში საცემია, – კაპელდინერის წასვლის შემდეგ აღნიშნა ვარენუხამ.

– მე კი ეს ამბავი საერთოდ არ მომწონს, – აბუზღუნდა რიმსკი და რქისჩარჩოიანი სათვალისგან ბოროტად გახედა აფიშას, – ისიც მიკვირს, ამ წარმოდგენის გამართვის უფლება როგორ დართეს.

– ცდებით, გრიგორი დანილოვიჩი, ეგრე არ უნდა იყოს, ძალზე ჭკვიანური ნაბიჯია. აქ ხომ მთავარი გამოაშკარავება.

– არ ვიცი, არ ვიცი, ჭკვიანურს აქ ვერაფერს ვხედავ. ამ კაცმა ყოველთვის რაღაც უნდა მოიგონოს! ერთხელ მაინც მომეკრა თვალი იმ მაგისათვის. შენ მაინც ნახე? ეშმაკმა იცის, საიდან გამოთხარა.

გაირკვა, რომ არც ვარენუხას ენახა. გუშინ, სტიოპამ „გიჟივით“ (რიმსკის სიტყვებით რომ ვთქვათ) მიირბინა ფინანსურ დირექტორთან, შავად დაწერილი ხელშეკრულება მიუტანა და უბრძანა, მაშინვე გადაეთეთრებინა და ფული გაეცა. მერე ის მაგიც სადღაც აორთქლდა და სტიოპას გარდა თვალი ვერავინ მოჰკრა.

რიმსკიმ საათი ამოიღო, დარწმუნდა, რომ სამის ხუთი წუთი იყო და საბოლოოდ გაცოფდა. ვერც გაამტყუნებდით! ლიხოდევმა დაახლოებით თერთმეტ საათზე დაურეკა, უთხრა, ნახევარ საათში მოვალე და არამცთუ არ მოსულა, ბინიდანაც გაქრა!

– ამ საქმეებს ვინ მიხედავს? – ღრიალებდა რიმსკი და ხელმოუწერელი ქაღალდების გროვაზე მიუთითებდა.

– იქნებ ისიც ბერლიოზივით ტრამვაიმ გაიტანა? – ეუბნებოდა ვარენუხა და ყურმილიდან მონადენ მჭახე, ხანგრძლივ და სრულიად უიმედო ზუმერს აყურადებდა.

– კარგი იქნებოდა... – ძლივს გასაგონად გამოსცრა კბილებში რიმსკიმ.

სწორედ ამ დროს კაბინეტში ქალი შემოვიდა, ფორმის ქურთუკი, შავი ქვედაკაბა და ჩუსტები ეცვა, თავზე ქუდი ეხურა. ქალმა ქამარზე ჩამოკიდებული პატარა ჩანთიდან კვადრატულად გაკეცილი თეთრი ქაღალდი და რვეული ამოიღო და იკითხა:

– ეს არის ვარიეტე? სასწრაფოა. ხელი მომიწერეთ.

ვარენუხამ რაღაც დაღვლარჭნა რვეულში და როგორც კი ქალმა კარი გაიხურა, კვადრატულად გაკეცილი ფურცელი გახსნა.

დეჰეშა რომ წაიკითხა, თვალები აახამხამა და ფურცელი რიმსკის მიაწოდა.

დეჰეშაში შემდეგი ეწერა: „იალტიდან მოსკოვი ვარიეტე დღეს თორმეტის ნახევარზე სისხლის სამართლის სამძებროში გამოცხადდა წაბლისფერთმიანი კაცი ლამის საცვლებით უჩექმოდ ფსიქოპათი ვარიეტეს დირექტორს ლიხოდევს უწოდებს თავს სასწრაფოდ შეატყობინეთ იალტის სამძებროს სად იმყოფება დირექტორი ლიხოდევვი“.

– ესეც ასე, მოვედით! – წამოიძახა რიმსკიმ და დასძინა, – ახალი ამბავი თუ გინდა, ეს არის!

– ცრუ დიმიტრი, – თქვა ვარენუხამ და ტელეფონის ყურმილს ჩასძახა, – ტელეგრაფია? ვარიეტეს ანგარიშზე. ელვა მიიღეთ... მისმენთ?... „იალტა სამძებრო დირექტორი ლიხოდევვი მოსკოვშია ფინანსური დირექტორი რიმსკი“.

იალტელი თვითმარქვიას გამოჩენის მიუხედავად, ვარენუხამ ისევ ალაღბედზე დაიწყო ტელეფონით სტიოპას ძებნა, და ცხადია, ვერსად მიაგნო. სწორედ მაშინ, როცა ვარენუხას ჯერ ისევ ხელში ეჭირა ყურმილი და ფიქრობდა, კიდევ სად შეიძლებოდა დაერეკა, კაბინეტში ისევ დეპუტების დამტარებელი ქალი შემოვიდა და ვარენუხას კიდევ ერთი ფურცელი ჩააბარა, ვარენუხამ სწრაფად გახსნა, წაიკითხა და დაუსტვინა:

– რაო? – ნერვიულად შეხტა რიმსკი.

ვარენუხამ უსიტყვოდ მიაწოდა დეპუტა და ფინანსურმა დირექტორმა წაიკითხა: „გეხვეწებით დამიჯერეთ იალტაში ვოლანდის ჰიპნოზით მოვხვდი სამძებროს უდეპუტეთ ლიხოდევის პიროვნების ამოცნობა“.

რიმსკი და ვარენუხა თავმიდებულები კითხულობდნენ დეპუტას და როცა ჩამთავრეს, უსიტყვოდ შეაჩერდნენ ერთმანეთს.

– მოქალაქენო! – უეცრად გაბრაზდა ქალი, – ჯერ ხელი მომიწერეთ და მერე რამდენიც გენებოთ, ჩუმად ისხედით. მე ხომ „ელვას“ დავატარებ.

ვარენუხამ დეპუტიდან თვალმოუშორებლად ირიბად რაღაც ჩაჯღაბნა რვეულში და ქალი გაქრა.

– შენ ხომ თერთმეტ საათზე ელაპარაკე ტელეფონით? – ჰკითხა გაოგნებულმა ადმინისტრატორმა.

– რა სისულელეა, – დაიღრიალა რიმსკიმ, – ველაპარაკე თუ არა, ახლა იალტაში ვერ იქნება! სასაცილოა!

– ალბათ მთვრალია... – თქვა ვარენუხამ.

– ვინ არის მთვრალი? – ჰკითხა რიმსკიმ და ისევ ერთმანეთს მიაჩერდნენ.

იალტიდან ვიღაც თვითმარქვია ან გიჟი რომ რეკავდა, ამაში ეჭვი არავის შეპარვია, მაგრამ უცნაური ის იყო, საიდან უნდა სცოდნოდა იალტელ მისტიფიკატორს ვოლანდის არსებობის შესახებ, რომელიც მხოლოდ გუშინ ჩამოვიდა მოსკოვში ან ლიხოდევისა და ვოლანდის ურთიერთობის ამბავი როგორღა უნდა შეეტყო?

– „ჰიპნოზით... „ – დეპუტის სიტყვას იმეორებდა ვარენუხა, – მოიცა, ვოლანდის ასავალ-დასავალი საიდანღა უნდა იცოდეს? – მან თვალელები აახამხამა და უეცრად იყვირა, – არა, სისულელეა! სისულელეა! სისულელე!

– ეშმაკმა დალაზვროს, ის მაინც ვიცოდე, სად დაბინავდა ეს ვოლანდი? – იკითხა რიმსკიმ.

ვარენუხა სასწრაფოდ დაუკავშირდა ინტურისტთა ბიუროს და რიმსკის გასაოცრად, შეიტყო, რომ ვოლანდი ლიხოდევის სახლში დაბინავებულიყო. შემდეგ ლიხოდევის ბინის ნომერი აკრიფა და დიდხანს უსმენდა წაგრძელებულ, უპასუხო ზუმერს. ანაზღად ყურმილში მძიმე, თითქოს სამარიდან მონადენმა ხმამ წაიმღერა: „კლდეა ჩემი თავშესაფარი... „ და ვარენუხამ გადაწყვიტა, რომ სატელეფონო ქსელში შემთხვევით რომელიღაც რადიოგადაცემა ჩაერთო.

– ბინა არ ჰასუხობს, – თქვა ვარენუხამ და ყურმილი დადო, – იქნებ ერთხელ კიდეც მეცადა დარეკვა...

მაგრამ სიტყვა ვერ დაასრულა, კარში ისევ ის ქალი გამოჩნდა და ორივენი, რიმსკიც და ვარენუხაც, მის შესახვედრად წამოდგნენ, მან კი ამჯერად ჩანთიდან თეთრი კი არა, რაღაც მუქი ფურცელი ამოაძვრინა.

– ძალიან საინტერესოა, – კბილებში გამოსცრა რიმსკიმ და სწრაფად მიმავალ ქალს გააყოლა მზერა. პირველად რიმსკი დაეპატრონა ფურცელს.

ფოტოგრაფიული ქალაღლის მუქ ფონზე გარკვევით მოჩანდა ხელით ნაწერი სტრიქონები:

„დამამტკიცებელია ჩემი ხელმოწერა დადასტურება უდეპეშეთ ვოლანდზე საიდუმლო თვალთვალი დააწესეთ ლიხოდევინი“.

თეატრში ოცი წლის მუშაობის განმავლობაში ვარენუხას რა არ ენახა, მაგრამ ახლა იგრძნო, რომ გონება ებინდებოდა, ველარაფერი თქვა, გარდა ყოველდღიური და საკმაოდ უაზრო სიტყვისა:

– შეუძლებელია!

რიმსკი კი სხვაგვარად მოიქცა. წამოდგა, კარი გამოაღო და ტაბურეტზე წამოსკუპებულ ქალს შეუღრინა:

– ფოსტალიონის გარდა არავინ შემოუშვათ! – და კაბინეტის კარი გასაღებით ჩაკეტა.

შემდეგ საწერი მაგიდიდან ქალაღლის გროვა ამოიღო და ფოტოდეპეშაზე აღბეჭდილი, გადღაბნილი, მარცხნივ გადახრილი ასოები გულდაგულ შეადარა სტიოპას რეზოლუციებს და მისსავე ხელმოწერებს, ხვეული ღვარჭნილით რომ მთავრდებოდა. მაგიდაზე გადაყრდნობილი ვარენუხა პირდაპირ ლოყაზე ასუნთქებდა რიმსკის.

– მისი ხელმოწერაა, – მტკიცედ თქვა ბოლოს ფინანსურმა დირექტორმა, ვარენუხამ კი ექოსავით უპასუხა:

– მისია.

ადმინისტრატორმა რიმსკის შეხედა და მის სახეში მომხდარმა ცვლილებამ გაოცა. ისედაც გამხდარი ფინანსური დირექტორი თითქოს უფრო ჩამომხმარიყო და დაბერებულიყო, რქისჩარჩოიანი სათვალის მიღმა თვალელებში ჩვეული მრისხანება აღარ ეტყობოდა და შეშფოთებული, თითქმის ნაღვლიანი გამომეტყველებაც კი ჰქონდა.

ვარენუხა ისე მოიქცა, როგორც დიდად გაოცებულ ადამიანს შეეფერება. კაბინეტში სცემდა ბოლთას, ჯვარცმულივით გაშალა ორჯერ ხელები, გრაფინიდან ერთი ჭიქა მოყვითალო წყალი შესვა და წამოიძახა:

– არაფერი მესმის! არ მე-ს-მის!

რიმსკი კი ფანჯარაში იცქირებოდა და დაძაბული ფიქრობდა. ძალზე მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. საჭირო იყო აქვე, ადგილიდან ფეხის მოუცვლელად, ჩვეულებრივი ახსნა მოეძებნა უჩვეულო მოვლენისათვის.

თვალები მოჭუტა და წარმოიდგინა, დილის თერთმეტის ნახევარზე საცვლების ამარა, ფენშიშველა სტიოპა რომელიღაც ჯერ გაუგონარ, ზესწრაფ თვითმფრინავში რომ ჯდებოდა, შემდეგ კი იგივე სტიოპა, უკვე თორმეტის ნახევარზე, როგორ იდგა აეროდრომზე წინდის ამარა... ეშმაკმა უწყის, რა ხდება!

ეგებ დღეს საკუთარი ბინიდან არ ელაპარაკა სტიოპა? არა, სტიოპა იყო! მასსავით სხვა ვინ იცნობდა სტიოპას ხმას? თუნდაც სტიოპა არ ყოფილიყო, განა გუშინ საღამოს თავისი კაბინეტიდან არ შემოვიდა ამ კაბინეტში, ეს სულელური ხელშეკრულება არ შემოუტანა და თავისი წინდაუხედაობით ნერვები არ მოუშალა? როგორ უნდა გამგზავრებულიყო ან გაფრენილიყო ისე, რომ სიტყვაც არავისთვის ეთქვა ვარიეტეში? ვთქვათ და, გუშინ საღამოს გაფრინდა, დღეს შუადღემდე მაინც ვერ ჩაფრინდებოდა იალტაში, თუ – ჩაფრინდებოდა?

– რამდენი კილომეტრია იალტამდე? – იკითხა რიმსკიმ.

ვარენუხამ ბოლთის ცემა შეწყვიტა და იყვირა:

– ვიფიქრე! უკვე ვიფიქრე! სევასტოპოლამდე რკინიგზით ათას ხუთასი კილომეტრია, იალტამდე კიდეც ორმოცი კილომეტრი დაუმატე. ჰაერით, რა თქმა უნდა, ნაკლებია.

ჰმ... ჰმ... მატარებელზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, აბა, რითი უნდა გამგზავრებულიყო? გამანადგურებელი? სტიოპას გამანადგურებელში ვინ შეუშვებდა, თანაც ფენშიშველს? ან რატომ? ეგებ იალტაში ჩაფრენის შემდეგ გაიხადა ჩექმა? ისევ: რატომ? არც ჩექმით შეუშვებდნენ გამანადგურებელში და არც უჩქემოდ. ან გამანადგურებელიც არაფერ შუაშია, დეპეშაში ხომ ეწერა, სამძებროში გამოცხადდა თორმეტის ნახევარზეო, რიმსკი კი ტელეფონით... მოიცა... ცხადად დაუდგა თვალწინ საათის ციფერბლატი... სასწაული! როცა ელაპარაკებოდა, თორმეტის ოცი წუთი იყო. ჰოდა, რა უბედურებაა! ვთქვათ, ტელეფონით საუბრის შემდეგ, სტიოპა თავქუდმოგლეჯილი გაიქცა აეროპორტში, დავუშვათ, ხუთ წუთში მიირბინა, რაც ასევე წარმოუდგენელია, გამოდის, რომ თვითმფრინავმა, რომელიც იმავ წამს აფრენილა, ხუთ წუთში დაფარა თორმეტი ათას კილომეტრზე მეტი? ეს შეუძლებელია, მაშასადამე, სტიოპა იალტაში ვერ იქნებოდა!

რალა რჩება? ჰიპნოზი? ამქვეყნად ისეთი ჰიპნოზი არ არსებობს, ათასი კილომეტრის იქით მოისროლოს კაცი! მაშასადამე, ეჩვენება, რომ იალტაშია! ვთქვათ, სტიოპას მართლაც ეჩვენება, მაგრამ იალტის სამძებროსაც ხომ არ შეიძლებოდა მოსჩვენებოდა? არა, არა, უკაცრავად, მაგრამ ასეთი რამ არ ხდება... მაგრამ დეპეშებს ხომ იალტიდან გზავნიან?

ფინანსური დირექტორი საშინელი სანახავი იყო. ამასობაში კარის სახელურს გარედან ეჯაჯგურებოდნენ, ატრიალებდნენ, ისმოდა, რა განწირული ყვიროდა შიკრიკი:

– არ შეიძლება! არ შეიძლება! ვერ შეგიშვებთ! თუ გინდათ, დამახრჩვეთ! თათბირია!

რიმსკი, რამდენადაც შეეძლო, თავს მოერია, ტელეფონის ყურმილს დასწვდა და ჩასძახა:

– სასწრაფოდ მალაპარაკეთ იალტასთან!

„ჭკვიანურია!“ – ფიქრში შეაქო ვარენუხამ.

მაგრამ იალტასთან საუბარი არ შემდგარა. რიმსკიმ ყურმილი დადო და თქვა:

– თითქოს ჯიბრზე, ხაზი დაზიანებულია.

ეტყობოდა, ხაზის დაზიანებამ რაღაც განსაკუთრებით შეაშფოთა და დააფიქრა კიდევ. ერთხანს დუმდა, შემდეგ ცალი ხელით ისევ ყურმილს მისწვდა, მეორით კი ის ჩაიწერა, რასაც ყურმილში კარნახობდა:

– მიიღეთ. ელვა. ვარიეტე. დიახ. დღეს დაახლოებით თორმეტის ნახევარზე ლიხოდეევი მოსკოვში იყო და ტელეფონით მელაპარაკა წერტილი მას შემდეგ სამსახურში არ გამოცხადებულა და ტელეფონითაც ვერ ვუკავშირდებით წერტილი ხელმოწერას ვადასტურებ წერტილი აღნიშნულ მსახიობზე თვალთვალის ზომებს ვიღებთ ფინანსური ღირეჭტორი რიმსკი.

„ძალიან ჭკვიანურია!“ – გაიფიქრა ვარენუხამ, მაგრამ ნაფიქრს ბოლომდე ვეღარ მიჰყვა, თავში ისევ გაუელვა: „რა სისულელეა! შეუძლებელია იალტაში იყოს!“

რიმსკიმ კი ამასობაში შემდეგი რამ გააკეთა: კონვერტში გულდაგულ ჩაალაგა მიღებული დეპეშები და თავისი პასუხის ასლები, კონვერტი დააწება, ზედ რამდენიმე სიტყვა დააწერა და ვარენუხას გადასცა.

– ივან საველიევიჩ, ახლავე პირადად მიიტანთ. იქ გაარკვევენ.

„ეს კი მართლაც ძალიან ჭკვიანურია!“ – გაიფიქრა ვარენუხამ და კონვერტი პორტფელში შეინახა. შემდეგ კიდევ ერთხელ, ყოველი შემთხვევისათვის, აკრიფა სტიოპას ბინის ტელეფონის ნომერი, ყური მიუგდო, შემდეგ იდუმალი სიხარულით აახამხამა თვალეები და ფინანსურ ღირეჭტორს რაღაც ანიშნა. რიმსკის კისერი დაუგრძელდა.

– შეიძლება მსახიობ ვოლანდს სთხოვოთ? – დამტკბარი ხმით იკითხა ვარენუხამ.

– დაკავებული ბრძანდება, – უპასუხა ჭახჭახა ხმამ, – ვინ კითხულობს?

– ვარიეტეს ადმინისტრატორი ვარენუხა.

– ივან საველიევიჩ! – ვილაცამ სიხარულით იყვირა ყურმილში, – ძალიან მიხარია თქვენი ხმის გაგონება! როგორ გიკითხოთ?

– მერსი, – უპასუხა გაოგნებულმა ვარენუხამ, – თქვენ ვინ ბრძანდებით?

– მის მოადგილეს ელაპარაკებით, მოადგილე და თარჯიმანი კაროვიევი გახლავართ, – ჭახჭახებდა ყურმილი, – მიმსახურეთ, ძვირფასო ნიკოლაი ივანოვიჩ! თქვენს მონა-მორჩილად მიგულებთ. რისთვის შეწუხებულხართ?

– მაპატიეთ, ხომ ვერ მეტყვით. სტეპან ბოგდანოვიჩ ლიხოდეევი შინ არ ბრძანდება?

– სამწუხაროდ, არა, არ გახლავთ! – ყვიროდა ყურმილი, – გაემგზავრა.

– სად?

– ქალაქგარეთ, მანქანით წავიდა სასეირნოდ.

– რო... როგორ? სა... სასეირნოდ? ააა... როდის დაბრუნდება?

– თქვა, სუფთა ჰაერს ჩავყლაპავ და დავბრუნდებიო!

– ასე... – დაიბნა ვარენუხა, – მერსი. დამდეთ პატივი და მესიე ვოლანდს გადაეცით, რომ დღეს გამოდის, მესამე განყოფილებაში.

– გასაგებია. როგორ არა. უსიკვდილოდ. ახლავე. აუცილებლად გადავცემ, – ნაწყვეტ-ნაწყვეტ არაკუნდა ყურმილი.

– კარგად ბრძანდებოდეთ, – უთხრა გაოცებულმა ვარენუხამ.

– გთხოვთ მიიღოთ, – ამბობდა ყურმილი, – ჩემი საუკეთესო სურვილები და მხურვალე სალამი! წარმატებებს გისურვებთ! მიღწევებს! სრულ ბედნიერებას, აბა, სულ კარგად იყავით!

– რა თქმა უნდა! აკი ვამბობდი! აკი ვამბობდი! – ყვიროდა აღგზნებული ადმინისტრატორი, – რა იალტა, რის იალტა, ქალაქგარეთ წასულა!

– ეს თუ მართლა ასეა, – თქვა ბრაზისაგან ერთიანად გადამტკნარებულმა ფინანსურმა დირექტორმა, – ისეთი ღორობა იქნება, რომელსაც სახელი არ მოეძებნება!

ადმინისტრატორი ანაზღად ადგილზე შეხტა და ისე დაიღრიალა, რომ რიმსკი შეაშინა:

– გამახსენდა! გამახსენდა! პუშკინოში გახსნეს საჩებურეკე „იალტა“! ყველაფერი გასაგებია! იქ არის, გამოტყვრებოდა და ახლა იქიდან გზავნის დეპეშებს!

– ეს კი მეტისმეტია, – ყბა აუკანკალდა რიმსკის, თვალებში კი ნამდვილი გაბოროტება ეწერა, – ეს გასეირნება ძალიან ძვირად დაუჯდება, – მაგრამ უეცრად ენა დაება და ჭოჭმანით დასძინა, – ჰო, მაგრამ, სამძებრო ხომ...

– სისულელეა! ეგევ მაგისი ოინები იქნება! – სიტყვა გააწყვეტინა ექსპანსიურმა ადმინისტრატორმა და ჰკითხა, – კონვერტი მაინც წავიღო?

– აუცილებლად, – უპასუხა რიმსკიმ.

და ისევ გაიღო კარი და ისევ იგივე ქალი შემოვიდა... „ისაა!“ – რატომღაც ნაღვლიანად გაიფიქრა რიმსკიმ და ორივე წამოდგა ფოსტალიონის შესახვედრად.

ამჯერად დეპეშაში ეწერა:

„დადასტურებისთვის გმადლობთ სასწრაფოდ ხუთასი სამძებროში ჩემთვის მოსკოვში ხვალ მოვფრინავ ლიხოდევში“.

– ჭკუიდან ხომ არ შეიშალა? – ძლივს ამოილულულა ვარენუხამ.

რიმსკიმ კი გასაღები აარაწყუნა, ცეცხლგამძლე სალაროს უჯრიდან ფული გამოიღო, ხუთასი მანეთი გადათვალა, დარეკა, შიკრიკს ფული ჩააბარა და ტელეგრაფში გაგზავნა.

– რას შვრები, გრიგორი დანილოვიჩი, – საკუთარ თვალებს არ დაუჯერა ვარენუხამ, – მე მგონი, ტყუილად გზავნით ფულს.

– ეს ფული უკან დაბრუნდება, – ხმადაბლა უპასუხა რიმსკიმ, – ლიხოდევს კი პიკნიკი ძვირად დაუჯდება, – შემდეგ ვარენუხას პორტფელზე მიუთითა და დასძინა, – წადი, ივან საველიევიჩი, ნულარ აყოვნებ.

და ვარენუხა პორტფელიანად გაიჭრა კაბინეტიდან.

ქვედა სართულზე ჩასულმა ადმინისტრატორმა გრძელ რიგს მოჰკრა თვალი, მოლარისგან შეიტყო, რომ ერთი საათის შემდეგ ანშლავს ელოდნენ, რადგან დამატებითი აფიშების გამოსვლისთანავე ხალხი ტალღასავით მოსწყდომოდა ვარიეტეს, მანაც მაშინვე უბრძანა მოლარე ქალს, როგორმე ლოჟისა და პარტერის ოცდაათი ბილეთი მაინც გადაენახა და არ გაეყიდა, მერე სალაროდან გამოსხლტა, სირბილით დააღწია თავი უკან დადევნებულ მთხოვნელებს და ქუდის ასაღებად კაბინეტში შეიბრძინა. ამ დროს ტელეფონიც აწკრიალდა.

– დიახ! – იყვირა ვარენუხამ.

– ივან საველიევიჩი ბრძანდებით? – ყურმილიდან დაეკითხა ვილაცის უსაზიზღრესი, ნიღნილა ხმა.

– ვარენუხა თეატრში არ გახლავთ! – საპასუხოდ ჩასძახა ვარენუხამ, მაგრამ ყურმილმა მაშინვე შეაწყვეტინა:

– თავს ნუ იგდებთ, ივან საველიევიჩი, გირჩევნიათ, მომისმინოთ. ეს დეპეშები არსად წაიღოთ და არც არავის აჩვენოთ.

– ვინ ლაპარაკობს? – იღრიალა ვარენუხამ, – მოქალაქევ, შეწყვიტეთ მაიმუნობა! ახლავე აღმოგაჩენენ! თქვენი ნომერი მითხარით?

– ვარენუხა, – უპასუხა იმავე საზიზღარმა ხმამ, – რუსული ხომ გესმის? გეუბნები, დეპეშები არსად წაიღო!

– ა, არ ჩერდებით, არა? – იყვირა გაცოფებულმა ადმინისტრატორმა, – დამაცადეთ! მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა თავხედობა! – კიდეც რაღაც მუქარის თქმას აპირებდა, მაგრამ გაჩერდა, მიხვდა, ყურს აღარავინ უგდებდა.

იმწუთას კაბინეტში რაღაც ძალიან სწრაფად ჩამოხვეწა. ვარენუხა ოთახიდან გაიჭრა, კარი მიიჯახუნა და გვერდითი კიბით საზაფხულო ბადისკენ დაემშვა.

ადმინისტრატორი აღგზნებული იყო და ენერჯის მოზღვავებას გრძნობდა. ამ თავხედური ზარის შემდეგ ეჭვიც აღარ ეპარებოდა, რომ ვილაც ხულიგნები სჩადიოდნენ ამ საზიზღარ ოინებს და ეს ყველაფერი ლიხოდევსის გაქრობასთან იყო დაკავშირებული. ერთი სული ჰქონდა, როდის ამხელდა ბოროტმოქმედთ და, რაოდენ საოცარიც უნდა იყოს, რაღაც სასიამოვნოს მოლოდინში შეუთრთოლდა კიდეც გული. ასე ხდება ხოლმე, როცა ადამიანი იმისკენ ილტვის, ყურადღების ცენტრში აღმოჩნდეს და სენსაციური ცნობა მიაწოდოს, ვისაც ჯერ არს.

ბაღში გასულ ადმინისტრატორს სახეში ქარი ეძგერა, თვალები ქვიშით ამოუვსო, თითქოს გზას უღობავდა და აფრთხილებდა. მეორე სართულზე იმგვარი რახუნით მიიხურა ფანჯარა, რომ ლამის მინები ჩამოიმსხვრა, ვერხვებისა და ცაცხვების წვერები შეშფოთებით აშრიალდა, ჩამობნელდა და აგრილდა. ადმინისტრატორმა თვალები მოიფშვნიტა და დაინახა, რომ მოსკოვს თავზე ჩამომხობოდა ჭექა-ქუნილის მაუწყებელი ყვითელფაშვიანი ღრუბელი. სადღაც შორს უკვე დაიქუხა კიდეც.

როგორ არ ჩქარობდა ვარენუხა, მაგრამ დაუოკებელმა სურვილმა მაინც აიძულა, საზაფხულო საპირფარეოში შეერბინა, უნდოდა შეემოწმებინა, ნათურაზე ბადე დაამაგრა თუ არა ელექტრიკოსმა.

ვარენუხამ ტირის ჩაურბინა და იასამნის გაბარჯლულ ბუჩქში შექვრა, სადაც საპირფარეოს ცისფერი შენობა იდგა. ელექტრიკოსი სიტყვის კაცი აღმოჩნდა, მამაკაცთა განყოფილებაში, ჭერქვეშ უკვე დაემაგრებინა ლითონის ბადე, მაგრამ ადმინისტრატორს იმან მოუშხამა გუნება, რომ საპირფარეოს ბინდბუნდში მაინც მშვენივრად იკითხებოდა ნახშირითა და ფანქრით შესრულებული კედლის წარწერები.

– ეს რაღა... – დაიწყო ადმინისტრატორმა და უეცრად, ზურგს უკნიდან ხმა შემოესმა, კრუტუნა:

– თქვენ ხართ, ივან საველიევიჩ?

ვარენუხა შეკრთა, შებრუნდა და დაბალ, ზონზროხა, როგორც მოეჩვენა, კატის მსგავს კაცს მოჰკრა თვალი.

– მე ვარ, – აგდებულად უპასუხა ვარენუხამ.

– ძალიან სასიამოვნოა, ძალიან, – წიკვინა ხმით შეკნავლა იმ კაცმა, ასე რომ ჰგავდა მსუქან კატას, უეცრად შეირხა და ყურის ძირში ისე გაულაწუნა, ადმინისტრატორს ქუდი გადასძვრა თავიდან და უკვალოდ შთაინთქა საპირფარეოს ორმოში.

დარტყმისთანავე მთელი საპირფარეო წამიერად განათდა მოცახცახე შუქით და ცაში ქუნილიც გამოეხმაურა. შემდეგ კიდეც ერთხელ გაიელვა და ადმინისტრატორის პირისპირ კიდეც ერთი ტიპი გაჩნდა, დაბალი, მაგრამ ათლეთური აღნაგობის, კაცს ცეცხლივით წითური თმა ჰქონდა, ცალ თვალზე ლიბრი ჰქონდა გადაკრული და პირიდან ღოჯი ამოჩროდა. ამ მეორემ, ალბათ ცაცია რომ იყო, ახლა მეორე ყბაში გაულაწუნა. პასუხად ისევ დაიქუხა ცამ და საპირფარეოს ხის სახურავს მერეხი დაასკდა.

– რას შვრებით, ამხანა... – ჩაიხურჩულა გაოგნებულმა ვარენუხამ, თუმცა იმავ წამს მიხვდა, რომ სიტყვა „ამხანაგი“ არაფრით ესადაგებოდა ბანდიტებს, რომლებიც ადამიანს საზოგადოებრივ საპირფარეოში თავს ესხმოდნენ, და ამოიხავლა, – მოქა... – თუმცა ალბათ არც ამ წოდებას იმსახურებდნენ და როგორც კი ეს გაიფიქრა, მესამე, საშინელი დარტყმაც მისწვდა, ორიდან რომელმა გაარტყა, ვერ გაარკვია, რადგან ცხვირიდან სისხლი წასკდა და „ტოლსტოვკაზე“ ჩამოეწუნა.

– მაგ პორტფელში რა გიდევს, წურბელავ? – გამყინავად იღრიალა კატისმაგვარმა კაცმა, – დეპეშები, არა? ტელეფონით ხომ გაგაფრთხილეს, დეპეშები არსად წაგელო? გაგაფრთხილეს თუ არა?

– გამაფრთხი... ლეს... ლეს... – სულის ხუთვით უპასუხა ადმინისტრატორმა.

– შენ კი მაინც გააქცუნე, არა? ახლავე პორტფელი მომეცი, დამპალო! – უყვირა მეორემ იმ ნიღნილა ხმით, ტელეფონში რომ ისმოდა და ვარენუხას აცახცახებული ხელიდან პორტფელი გამოსტაცა.

იმ ორივემ ადმინისტრატორს აქეთ-იქიდან სტაცა ხელი, ბაღიდან გამოათრიეს და სადოვარიაზე წააჩაქჩაქეს. ჭექა-ქუხილი მთელი ძალით ბობოქრობდა, წყალი ღრიალითა და ღმუილით ინთქმებოდა საკანალიზაციო ღრმულებში, ირგვლივ წყლის ბუშტუკები სკდებოდა, ტალღები იყალყებოდა, სახურავებიდან მილების მიღმა იღვრებოდა და ეზოებში აქაფებული ღვარები მოედინებოდა. ყოველი ცოცხალი წალეკილიყო სადოვარიადან და ივან საველიევიჩს ვერავინ იხსნიდა. ელვის კლაკნილით განათებულმა ბანდიტებმა, ამღვრეულ მდინარეებზე ხტუნვა-ხტუნვით, თვალის დახამხამებაში მიაღწიეს № 302-ბის სახლს, ჭიშკარში შეფრინდნენ, სადაც ორი ფეხშიშველა ქალი აჰკვროდა კედელს და საკუთარი ფეხსაცმელები და წინდები ხელში ჩაებლუჯათ, შემდეგ მეორე სადარბაზოს მიაწყდნენ, შემლილობის ზღვარს მიღწეული ვარენუხა მეხუთე სართულზე აამაღლეს და სტეპან ლიხოდევის ბინის კარგად ნაცნობი, ნახევრად ჩაბნელებული წინკარის იატაკზე მოისროლეს.

აქ ორივე ყაჩაღი გაქრა და მათ ნაცვლად წინკარში დედიშობილა წითური, ფოსფორისთვალეებიანი ქალი გამოჩნდა.

ვარენუხა მიხვდა, რომ ახლა იმაზე უარესი საშინელება ელოდა, რაც აქამდე გადაიტანა, დაიკვნესა და კედელს მიაწყდა. ქალი კი მთელი ტანით მიეკრა ადმინისტრატორს და ხელისგულები მხრებზე დაუწყო. ვარენუხას თმა აეყალყა, რადგან ცივ, წვიმიტო გაჟივებულ პერანგშიც კი შეიგრძნო ამ ხელისგულების გათოშილი, ყინულოვანი სიცივე.

– მოდი, ერთი, გაკოცო, – ნაზად უთხრა ქალმა და პირდაპირ თვალწინ გაუკრთა მისი მოელვარე თვალეები. ვარენუხა იმავ წამს უკუნმა შთანთქა და კოცნა ველარ იგრძნო.

თავი მეთერთმეტე

ივანის გაორება

ჯერ კიდევ ერთი საათის წინ მზით გაჩახჩახებული ფიჭვნარი ჩამოიბურა, გაიქნა და ბურუსს შეერწყა.

ფანჯრების იქით ერთიან ნაკადად დიოდა წყალი. ცაში წვრილ ძაფებად წამდაუწუმ იკლაკნებოდა ელვა, ცა სკდებოდა და ავადმყოფის ოთახს ათრთოლებული, შიშნარევი შუქით ავსებდა.

ივანი უხმოდ ქვითინებდა, საწოლზე იჯდა და ამღვრეულ, ქაფმოდებულ მდინარეს გასცქეროდა. ყოველ დაქუხებაზე საბრალოდ წამოიკვივლებდა ხოლმე და სახეს ხელებში მალავდა, ნაწერით აჭრელებული ფურცლები იატაკზე ეყარა, ჯერ კიდევ ჭეჭა-ქუხილის დაწყებამდე ქარი შემოიჭრა ოთახში და ფურცლები ააფრიალა.

პოეტის ცდა, საშინელ კონსულტანტზე დაეწერა განცხადება, უშედეგოდ დასრულდა. როგორც კი ზონზრობა ექთანმა, პრასკოვია ფიოდოროვნა რომ ერქვა, ნახევარი ფანქარი და ფურცლები შემოუტანა, ივანმა საქმიანად მოიფშვნიტა ხელები და საჩქაროდ მოეწყო მაგიდასთან. დასაწყისი საკმაოდ მარჯვედ გამოუვიდა:

„მილიციას. „მასსოლიტის“ წევრის, ივან ნიკოლაევიჩ უსახლკაროს განცხადება. გუშინ საღამოს განსვენებულ მ. ა. ბერლიოზთან ერთად პატრიარქთა ტბორებზე მივედი... „

უცებ პოეტს თავგზა აებნა, უმეტესად სიტყვა „განსვენებულის“ გამო. რაღაც უაზრობა გამოდიოდა. როგორ უნდა მისულიყო განსვენებულთან ერთად? შეასწორა და ასე დაწერა: „... შემდგომში განსვენებულ მ. ა. ბერლიოზთან... „ არც ამან დააკმაყოფილა ავტორი. მესამე რედაქცია დასჭირდა, ის კი პირველ ორზე უარესი აღმოჩნდა: „... ბერლიოზთან, რომელიც ტრამვაიმ გაიტანა... „ მერე ის ყველასთვის უცნობი სენხია-კომპოზიტორი აეკვიატა და იძულებული გახდა, ჩაეწერა: „... არა კომპოზიტორი... „

ამ ორი ბერლიოზის ვინაობით გაწამებულმა ივანმა ბოლოს ყველაფერი გადაშალა და გადაწყვიტა, თავიდანვე რაღაც შთამბეჭდავით დაეწყო, მაშინვე მიეპყრო მკითხველის ყურადღება, ამიტომ დაწვრილებით აღწერა, როგორ ჯდებოდა კატა ტრამვაიში, შემდეგ კი თავის მოკვეთის სცენას მიუბრუნდა. მოკვეთილმა თავმა და კონსულტანტის წინასწარმეტყველებამ პონტოელი პილატეს ამბის აღწერაც მოითხოვა და ივანმა, სრული დამაჯერებლობისთვის, გადაწყვიტა, თავიდან ბოლომდე მოეთხრო პროკურატორის ამბავი, იმ წუთიდან, როცა პილატე სისხლისფერქობიან თეთრ მოსასხამით გამოვიდა ჰეროდეს სვეტოვანში.

ივანი გულმოდგინედ შრომობდა, ნაწერს შლიდა, სიტყვებს ცვლიდა. ისიც კი სცადა, პონტოელი პილატე დაეხატა, შემდეგ კი უკანა ფეხებზე ატოტებული კატა. მაგრამ ვერც ნახატმა უშველა, და რაც უფრო მეტს წერდა, მით მეტად ბუნდოვანი ხდებოდა პოეტის განცხადება.

იმ დროისათვის, როცა შორიდან აბოლქვებული, საშინელი ღრუბელი გამოჩნდა, ფიჭვნარი გადაფარა და ქარი აშალა, ივანი მიხვდა, რომ ძალა გამოელია, განცხადებას ვერა და ვერ

მოაბამდა თავს, ამიტომ იატაკზე მიმოფანტული ფურცლებისთვის ხელი აღარ უხლია და ჩუმად, მწარედ აქვითინდა.

გულკეთილმა ექთანმა პრასკოვია ფიოდოროვნამ სწორედ ჭექა-ქუხილის დროს მოინახულა პოეტი, აზლუქუნებული ივანის დანახვამ შეაშფოთა, ფარდები ჩამოაფარა, ელვას რომ არ შეეკრთო ავადმყოფი, ფურცლები იატაკიდან წამოკრიბა და ექიმის დასაძახებლად გაიქცა.

ისიც მალე მოვიდა, ივანს მკლავში ნემსი გაუკეთა, დაარწმუნა, მეტად აღარ იტირებდა, მალე ყველაფერი გაივლიდა, შეიცვლებოდა და დავიწყებას მიეცემოდა.

ექიმმა სიმართლე უთხრა. გაღმა ნაპირზე მალე ისევ გამოჩნდა ფიჭვნარი, ყოველი ხე თვალნათლივ გამოიკვეთა ცისფრად მოკრიალებული გუმბათის ქვეშ და მდინარეც დაცხრა. ივანს ნემსის გაკეთებისთანავე გაუქრა შავნაღვლიანობა, ახლა მშვიდად იწვა და ცაზე გადაჭიმულ ცისარტყელას გასცქეროდა.

ასე გასტანა საღამომდე. ვერც კი შენიშნა, როგორ გაღვდა ცისარტყელა, როგორ გამოხუნდა და მოიწყინა ცამ, როგორ ჩამუქდა ფიჭვნარი.

მოგვიანებით ცხელი რძე დალია, ისევ ბალიშზე მიწვა და თავადვე გაოცდა, ისევ გაუნალვათდა ფიქრი. როგორღაც შერბილდა ხსოვნაში წყეული სატანური კატა, აღარც მოკვეთილი თავი აშინებდა და ივანი ახლა იმაზელა ფიქრობდა, რომ სულაც არ იყო ურიგო საავადმყოფოში ყოფნა, ამ ჭკვიან, სახელგანთქმულ სტრავინსკისთან ურთიერთობაც ძალზე სიამოვნებდა. თან საღამოსეული ჰაერიც ტკბილი და ცინცხალი იყო ჭექა-ქუხილის შემდეგ.

თვლელმა ეპარებოდა საღმობიერ სახლს. მყუდრო დერეფანში დათრიმლოული, თეთრი ნათურები ჩააქრეს და რეჟიმის თანახმად, მის ნაცვლად ღამის სუსტი, ცისფერი ნათურები აანთეს, დერეფნის რეზინის საფენებზე სულ უფრო იშვიათად გაისმოდა ექთანთა ფრთხილი ნაბიჯების ხმა.

ახლა ივანი ნეტარ ბურანში იმყოფებოდა, ხან აბაჟურის ქვეშ შეუყუჟულ ნათურას გახედავდა, ჭერიდან რბილ შუქს რომ აფრქვევდა, ხან კი ჩამუქებული ფიჭვნარის გაღმა ამოწვერილ მთვარეს უცქეროდა და თავის თავს ესაუბრებოდა:

– გასაოცარია, მაინც ასე ძალიან რატომ ამაღელვავა იმ ამბავმა, რომ ბერლიოში ტრამვამ გაიტანა? – ფიქრობდა პოეტი, – ბოლოს და ბოლოს, ჯანდაბამდე გზა ჰქონია! რა თავი მოვიკალი, ნათლიმამა ვარ მისი თუ მაჭანკალი? ამ საკითხს თუ ჯეროვნად შევაფასებ, მივხვდები, რომ არსებითად, რიგიანად არც კი ვიცნობდი მიცვალებულს. აბა, რა ვიცოდი მის შესახებ? თითქმის არაფერი, მხოლოდ ის, რომ მელოტი იყო და საშინლად ენამჭევრი. ამას გარდა, მოქალაქენო, – ვიღაც უხილავს მიმართავდა ივანი, – მთავარ საკითხში უნდა გავერკვეთ. ერთი გამაგებინეთ, მაინც რას გადავეკიდე იმ ცალთვალა, გუგებჩამავებულ კონსულტანტს, მოგვსა თუ პროფესორს? რა მრჯიდა, საცვლების ამარა, სანთლით ხელში რომ დავედევნე და მერე მთელი აურზაური ავტენე რესტორანში?

– აბა, აბა, აბა, – საიდანღაც მკაცრად უპასუხა, გულში თუ ყურში ჩაჰყვირა ძველმა ივანმა ახალ ივანს, – იმან ხომ იცოდა, ბერლიოზს რომ თავს მოჰკვეთდნენ, აბა, როგორ არ ავღელვებულებიყავი?

– ამხანაგებო, რაზე ვლაპარაკობთ! – ეწინააღმდეგებოდა ახალი ივანი ძველს, – ბავშვიც კი მიხვდება, რომ ამ საქმეს ცუდი სუნი უდის, მთელი ასი პროცენტით ვიცი, რომ

არაჩვეულებრივი და იდუმალი პიროვნებაა. ჰოდა, სწორედ ეს არის საინტერესო! კაცი პირადად იცნობდა პონტოელ პილატეს და უფრო საინტერესო რაღა გინდათ? და იმის ნაცვლად, რომ ეს აურზაური ამეტება პატრიარქთა ტბორებთან, განა არ აჯობებდა, თავაზიანად გამომეკითხა, შემდეგ რა შეემთხვათ პილატესა და იმ დაპატიმრებულ ჰა-ნოცრის?

– მე კი, ეშმაკმა უწყის, რა აღარ ჩავიდინე! დიდი ამბავი, თუ ჟურნალის რედაქტორი ტრამვაიმ გაიტანა! მერე რა მოხდა, ამის გამო ჟურნალს ხომ არ გააუქმებდნენ? რას იზამ? ადამიანი მოკვდავია და, როგორც სამართლიანად აღნიშნა პროფესორმა, მოულოდნელად მოკვდავიც გახლავთ. ჰოდა, უფალმა დაუმკვიდროს სასუფეველი, ახლა სხვა რედაქტორს დანიშნავენ და ეს ახალი ეგებ წინანდელზე ენამჭევრიც აღმოჩნდეს.

ცოტა ხნის თვლემის შემდეგ ახალმა ივანმა ქირქილით ჰკითხა ძველ ივანს:

– ჰოდა, თუ ასეა, მე ვილა გამოვდივარ?

– სულელი! – გარკვევით უთხრა ვილაცის ბოხმა ხმამ, არც ერთ ივანს რომ არ ეკუთვნოდა და ასე ძალიან ჩამოჰგავდა კონსულტანტისას.

ივანს რატომღაც არ სწყენია, სულელად რომ მონათლეს, პირიქით, სასიამოვნოდ გაცდა კიდეც, ჩაიცინა და ძილ-ბურანს გაუყუჩდა. თვლემა ეპარებოდა, უკვე ეზმანა კიდეც სპილოს ძვლის ფეხებიანი პალმები, კატამაც ჩაუარა გვერდით – საშინელმა კი არა, მხიარულმა კატამ, ერთი სიტყვით, ის-ის იყო, ძილი უნდა გადაფარებოდა, რომ უეცრად თეჯირი უხმაუროდ გასრიალდა, აივანზე მთვარის შუქს მორიდებული იდუმალი სილუეტი გამოჩნდა და ივანს თითი დაუქნია.

ივანს არ შეშინებია, ლოგინზე წამოჯდა და დაინახა, რომ აივანზე კაცი იდგა და ამ ტუჩებზე თითმიდებულმა კაცმა უთხრა:

– ჩუუუუუ!

თავი მეთორმეტე

შავი მაგია და მისი გამოაშკარავება

ვარიეტეს სცენაზე ჩვეულებრივი, ორთვლიანი ველოსიპედით შემოგორდა პატარა კაცი, გაბუშტული ლილისფერი ცხვირი ჰქონდა, დაჩვრეტილი, ყვითელი ქუდი ეხურა და კუბოკრული შარვალი და გალაქული ბათინკები ეცვა. კაცმა ფოქსტროტის ჰანგის თანხლებით შემოუარა წრეს, შემდეგ გამარჯვების ნიშნად დაიხავლა და ველოსიპედიც ყალყზე შეაყენა. კაცუნამ ერთხანს უკანა ბორბლით ატარა ველოსიპედი, მერე თვითონაც თავდაყირა ამოტრიალდა, ველოსიპედის შეუჩერებლად მოხსნა წინა ბორბალი, კულისებისკენ გააგორა და დარჩენილი ერთადერთი ბორბლით განაგრძო სვლა – პედალს ხელებით ატრიალებდა.

მერე ცალბორბლიან ალუმინის მაღალ ჭოკზე ამხედრებული ქერა, მსუქანი ქალი გამოსრიალდა სცენაზე, მას ვარსკვლავებით მოჩითული ვარდისფერი სასცენო ტრიკო და ქვედაკაბა ეცვა და მანაც სცენაზე დაიწყო ტრიალი. კაცუნა შეხვედრისას მისალმების ღრიალს გამოსცემდა და ფეხით იხდიდა ქუდს.

ბოლოს სახედაბერებული რვა წლის ბავშვი შემოგორდა და უფროსებს შორის ერთი ციცქნა ორთვლიანი ველოსიპედით დაიწყო ბზრიალი, რომელზეც ავტომობილის უზარმაზარი საყვირი ჰქონდა მიმაგრებული.

მსახიობებმა რამდენჯერმე შემოუარეს წრეს, შემდეგ დოლის შემაშფოთებელი ბრახუნის თანხლებით გაქანდნენ ორკესტრის ორმოსაკენ და პირველი რიგის მაყურებლებს ოხვრა აღმოხდათ, ყველამ უკან გაიწია – ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მსახიობები თავიანთ ველოსიპედებიანად აპირებდნენ ორკესტრის ორმოში ჩახტომას.

მაგრამ მსახიობები სწორედ იმ დროს გაიყინნენ ჰაერში, როცა წინა ბორბლები საცაა უნდა მოსწყვეტოდა იატაკს და უფსკრულში შთანთქმულიყო. მსახიობებმა ერთხმად შესძახეს: „ოჰა!“, ველოსიპედებიდან გადმოხტნენ და მაყურებელს მადლობის ნიშნად თავი დაუხარეს, ქერათმიანი ქალი ჰაეროვან კოცნას უგზავნიდა დარბაზს, ბავშვმა კი სასაცილოდ ააჭყვიტინა საყვირი.

დარბაზი ტაშით აზანზარდა, ცისფერი ფარდა ორივე მხრიდან გამოსრიალდა, მსახიობები გადაფარა, შემდეგ კარის თავზე მოციმციმე წარწერა – „გასასვლელი“ ჩაქრა და გუმბათქვეშ ტრაპეციის ხლართებში მზესავით აინთო თეთრი ბურთები. უკანასკნელი მოქმედების წინა ანტრაქტი დაიწყო.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც არანაირად არ აინტერესებდა ჯულეტის ოჯახის საველოსიპედო ტექნიკის სასწაულები, გრიგორი დანილოვიჩ რიმსკი იყო. ის მარტო იჯდა თავის კაბინეტში, თხელ ტუჩებს იკვნიტდა და დროდადრო სახეც ემანჭებოდა. ლიხოდევის უცნაურ გაქრობას ახლა ადმინისტრატორ ვარენუხას სრულიად გაგებარი გაუჩინარებაც დაემატა.

ფინანსურმა დირექტორმა კარგად იცოდა, სადაც წავიდა ვარენუხა, მაგრამ წავიდა და... აღარ დაბრუნებულა! რიმსკი მხრებს იჩეჩდა და თავისთვის ჩურჩულებდა:

– მაინც რატომ?

მართლაც საოცარია: ისეთ საქმიან კაცს, როგორც ფინანსური დირექტორი გახლდათ, ცხადია შეეძლო, დაუნახებლად დაერეკა იქ, საითაც ვარენუხა გაეშურა და გაერკვია, რა შეემთხვა ადმინისტრატორს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ღამის ათ საათამდე ვერა და ვერ გაბედა დარეკვა.

ათ საათზე დიდი ძალდატანების ფასად აიღო ყურმილი და მაშინვე დარწმუნდა, რომ ტელეფონი არ მუშაობდა. შიკრიკმა მოახსენა, არც დანარჩენი აპარატები მუშაობსო. ამ უცნაურმა, მაგრამ არა ზებუნებრივმა მოვლენამ რატომღაც საბოლოოდ მოუთავა ხელი ფინანსურ დირექტორს, თუმცა მეორე მხრივ, გაახარა კიდეც: ველარ დარეკავდა.

იმ დროს, როცა ფინანსური დირექტორის თავს ზემოთ შესვენების დაწყების მაუწყებელი წითელი ნათურა აინთო და აციმციმდა, კაბინეტში შიკრიკი შემოვიდა და უცხოელი მსახიობის მოსვლა აუწყა. რიმსკის რატომღაც შეაძაგდა და გულდამძიმებული გაეშურა კულისებისკენ, რათა გასტროლიორს შეჰგებებოდა, მის გარდა სხვა არავინ იყო ვარიეტში. დერეფნიდან, სადაც უკვე სასიგნალო ზარები ჟღერაღებდა, დიდ საპირფარეშოში ცნობისმოყვარენი იჭყიტებოდნენ. იქ იყვნენ ჭრელხალათიანი და ჩალმიანი ჯამბაზები, თეთრჯუბიანი მოციგურავე, ფერ-უმარილით სახეგადამტკნარებული მთხრობელი და გრიმიორიც კი.

მოსულმა ყველა გააოცა თავისი უჩვეულოდ შეკერილი, აქამდე უნახავი ფრაკითა და იმითაც, რომ შავი ნიღაბი ეკეთა. მაგრამ უფრო გასაოცარი მისი ორი თანამგზავრი იყო: კუბოკრულკოსტიუმისანი, პენსნეგაბზარული, აწოწილი კაცი და შავი, მსუქანი კატა, რომელიც საპირფარეშოში უკანა თათებზე ატოტებული შევიდა, სრულიად ბუნებრივად ჩაჯდა სავარძელში და საგრიმიოროს მოშიშვლებულ ლამპიონებს თვალმოწყურული მიაჩერდა.

რიმსკიმ სცადა სახეზე ღიმილი გამოეხატა, ამის გამო უფრო დამჟავებული და გაბოროტებული გაუხდა გამომეტყველება და კატის გვერდით, სავარძელში უტყვად მჯდარ მაგს თავი დაუკრა. ხელი არ ჩამოურთმევია. სამაგიეროდ, მოურიდებელი კუბოკრული ტიპი თავად გაეცნო და „მის მოადგილედ“ წარუდგინა თავი. ამ ამბავმა გააოცა რიმსკი და ისევ უსიამოდ: ხელშეკრულებაში მოადგილის ხსენებაც არ იყო.

გრიგორი დანილოვიჩი ერთობ დაძაბულად და ცივად დაეკითხა ამ ცით მოვლენილ კუბოკრულ ტიპს, სად იყო მსახიობის აპარატურა.

– ჩემო თვალის სინათლევ, უძვირფასესო ბატონო ფინანსური დირექტორო, – ჭახჭახა ხმით უპასუხა მსახიობის მოადგილემ, – ჩვენი აპარატურა მუდამ თან დაგვაქვს! აი, ისიც! აინ, ცვაი, დრაი! – რიმსკის თვალწინ დაუტრიალა დაღვლარჭნილოთითებიანი ხელი და კატას ყურს უკნიდან ამოაცალა რიმსკის კუთვნილი, ძეწკვიანი ოქროს საათი, რომელიც აქამდე შეკრული პიჯაკის შიგნით, ჟილეტის ჯიბეში ედო და ძეწკვიც საღილეში ჰქონდა გაყრილი.

მოულოდნელობისაგან რიმსკიმ მუცელზე იტაცა ხელი, დამსწრეებმა ამოიოხრეს, ხოლო კარში თავშემოყოფილმა გრიმიორმა მოწიწებით დაიკრუტუნა.

– ხომ თქვენი საათია? ინებეთ, გთხოვთ! – თავხედური ღიმილით უთხრა კუბოკრულმა ტიპმა და დაბნეულ რიმსკის ჭუჭყიანი ხელით გაუწოდა თავისივე საკუთრება.

– ამას ტრამვაიში უნდა ერიდო, – მხიარულად წასჩურჩულა მთხრობელმა გრიმიორს.

თუმცა კატამ საათის ნომერზე უკეთესი რამ ჩაიდინა: მოულოდნელად სავარძლიდან წამოდგა, უკანა თათებზე ატოტებული მიუახლოვდა სარკიან მაგიდას, წინა თათებით გრაფინს სახურავი მოხადა, წყალი დაისხა, დალია, სახურავი ისევ დაახურა და საგრძობად ნაჭრით ტუჩები შეიწმინდა.

ამჯერად არც ამოუოხრიათ, მხოლოდ პირები დარჩათ ღია, გრიმიორმა კი აღფრთოვანებით წაიჩურჩულა:

– აი, კლასი!

ზარი მესამედ, განგაშიანად აჟღერიალდა და საინტერესო ნომრის მოლოდინით აღგზნებული მსახიობები საპირფარეშოდან კულისებისკენ გაცვივდნენ.

წუთის შემდეგ მაყურებელთა დარბაზის ნათურები ჩაქრა, რამპები აინთო, ფარდას ქვემოდან მოწითალო ნათება მოეფინა და მის განათებულ ჭრილში მაყურებლის წინაშე წარდგა მსუქანი, უმანკო ბავშვივით მხიარული, სახეგაპარსული, დაჭმუჭნილფრაკიანი და არცთუ სუფთაპერანგიანი კაცი – მთელი მოსკოვისათვის კარგად ცნობილი კონფერანსიე – ჟორჟ ბენგალსკი.

– ახლა კი, მოქალაქენო, – ბავშვივურად გაიღიმა ბენგალსკიმ, – თქვენ წინაშე წარდგება... – ბენგალსკიმ სიტყვა შუაზე გაწყვიტა და სრულიად სხვა ინტონაციით ალაპარაკდა, – როგორც ვხედავ, მესამე განყოფილებაში მაყურებლები მოგვმატებია? დღეს ნახევარი ქალაქი მაინც ზის დარბაზში. ამ ცოტა ხნის წინ ერთ ჩემს მეგობარს შევხვდი და ვკითხე: „რატომ არ დადინარ ვარიეტეში, გუშინ ნახევარი ქალაქი იყო ჩვენთან!“ მან კი მიპასუხა: „მე მეორე ნახევარში ვცხოვრობ“; – ბენგალსკი გაჩუმდა, ალბათ ხარხარის გაგონებას ელოდა, მაგრამ რადგან არავის გაუცინია, განაგრძო, – ... ახლა კი თქვენ წინაშე წარდგება სახელმომხვეჭილი უცხოელი მსახიობი მესიე ვოლანდი, თავისი გასაოცარი შავი მაგიის სეანსით! ცხადია, ყველას კარგად გვესმის, – ბენგალსკიმ ბრძნულად გაიღიმა, – რომ შავი მაგია საერთოდ არ არსებობს ამქვეყნად და სხვა არაფერია, თუ არა ცრურწმენა, უბრალოდ, მაესტრო ვოლანდი მშვენივრად ფლობს მუშაითობის ტექნიკას, რაც ყველაზე საინტერესო ნაწილში გამოჩნდება, კერძოდ, ამ ტექნიკის გამოამკარავების დროს, და რადგან ჩვენ ყველა ერთად ვუჭერთ მხარს ტექნიკასა და მის გამოამკარავებას, ვთხოვთ ბატონ ვოლანდს!

მთელი ამ აბდაუბდის წარმოთქმის შემდეგ, ბენგალსკიმ ხელები ერთმანეთს მიატყუპა და მისალმების ნიშნად ფარდის ჭრილისკენ აიქნია, ფარდაც ჩუმი შრიალით გასრიალდა.

მაგის გამოსვლა, მისი აწოწილი თანაშემწისა და უკანა თათებზე ატოტებული კატის თანხლებით, ძალიან მოეწონა საზოგადოებას.

– სავარძელი, – ხმამაღლა ბრძანა ვოლანდმა და იმავე წამს, ვერავინ მიხვდა, როგორ და საიდან, სცენაზე სავარძელი გაჩნდა და ჯადოქარი დაჯდა, – მითხარი ერთი, კეთილო ფაგოტ, – დაეკითხა ვოლანდი კუბოკრულ მასხარას, – რომელიც, როგორც გაირკვა, კაროვიევის გარდა სხვა გვარსაც ატარებდა, – როგორ გგონია, მოსკოველები ხომ საგრძობლად შეცვლილან?

ჯადოქარმა გასუსულ, სავარძლის ჰაერიდან გაჩენით გაოცებულ საზოგადოებას მოავლო თვალი.

– სწორედ ასეა, მესირ, – ხმადაბლა უპასუხა ფაგოტ-კაროვიევმა.

– მეც ასე მგონია, მოქალაქეები გარეგნულად შეცვლილან, თუმცა ქალაქიც შეცვლილია. ტანსაცმელზე ხომ ლაპარაკიც აღარ ღირს. გაჩენილა ეს... რა ჰქვია... ტრამვაი, ავტომობილები...

– ავტობუსები... – მოწიწებით შეაშველა სიტყვა ფაგოტმა.

საზოგადოება ყურადღებით უსმენდა ამ საუბარს, ეგონათ, ეს იყო ჯადოსნური ფოკუსების შესავალი. კულისები მსახიობებითა და სცენის მუშაკებით იყო სავსე და მათ შორის რიმსკის დაძაბული, გადაფითრებული სახეც მოჩანდა.

სცენის კუთხეში მიყუჟულ ბენგალსკის სახეზე თანდათან გაცემა გამოეხატა. მან ოდნავ აძგობა წარბები, შემდეგ ჰაუზით ისარგებლა და თქვა:

– უცხოელი მსახიობი თავის აღფრთოვანებას გამოხატავს ტექნიკური თვალსაზრისით ესოდენ გაზრდილი მოსკოვითა და მოსკოველებით, – თქვა და ორჯერ გაიღიმა, ჯერ პარტერისთვის, შემდეგ – იარუსებისთვის.

ვოლანდმა, ფაგოტმა და კატამ ერთდროულად მოაბრუნეს თავი კონფერანსიესკენ.

– განა მე აღფრთოვანება გამოვხატე? – ფაგოტს დაეკითხა ჯადოქარი.

– რას ბრძანებთ, მესირ, თქვენ არავითარი აღფრთოვანება არ გამოგიტყვამთ, – უპასუხა მან.

– აბა, ეს კაცი რას ამბობს?

– არაფერს, უბრალოდ, იტყუება! – მჭექარედ, მთელი თეატრის გასაგონად აუწყა კუბოკრულმა თანაშემწემ, შემდეგ ბენგალსკისკენ შებრუნდა და დასძინა, – გილოცავთ, მოქალაქე ცრუპენტელავ!

იარუსიდან სიცილი გადმოიღვარა, შემცბარმა ბენგალსკიმ კი თვალები დააჭყიტა.

– მე, ცხადია, ნაკლებად მაინტერესებს ავტობუსები, ტელეფონები და სხვა...

– აპარატურა, – უკარნახა კუბოკრულმა.

– სრული სიმართლეა, გმადლობ! – ბუბუნა ხმით განაგრძო ჯადოქარმა, – ... ვიდრე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი: შინაგანად თუ შეიცვალნენ ეს მოქალაქეები?

– დიახ, სწორედ ეს გახლავთ უმთავრესი, მესირ.

კულისებში უკვე გაცემათა დასახელებები გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს და მხრებს იჩეჩდნენ, ბენგალსკის სახე აჭარხლებოდა, რიმსკის კი – გადამტკნარებოდა. მაგრამ უცებ თითქოს მზარდი შეშფოთება იგრძნო, ჯადოქარმა თქვა:

– მგონი, ლაპარაკით გავერთეთ, ძვირფასო ფაგოტ, მაყურებელმა კი მოიწყინა, დასაწყისისათვის რამე იოლი ილეთი გვიჩვენეთ.

დარბაზმა შვებით ამოისუნთქა. ფაგოტი და კატა რამპის მოპირდაპირე მხარეს დადგნენ, ფაგოტმა თითები გაატკაცუნა და დარდიმანდულად იყვირა:

– სამი, ოთხი! – ჰაერში ბანქოს შეკვრა დაიჭირა, აჭრა და ლენტვიტით გადაუგდო კატას. კატა ლენტს მისწვდა, უკან გაუგზავნა, ატლასის გველმა ჰაერში გაისრიალა, ფაგოტმა ბარტყვიტით დაალო პირი და კარტი ერთმანეთის მიყოლებით გადაყლაპა.

კატამ მარჯვენა უკანა თათი მეორე თათს შემოჰკრა, მაყურებელს თავი დაუკრა და წარმოუდგენელი ტაში დაიმსახურა.

– სასწაულია, სასწაული! – აღგზნებულები ყვიროდნენ კულისებიდან.

ფაგოტმა კი პარტერისაკენ გაიშვირა თითი და გამოაცხადა:

– ახლა ეს შეკვრა, პატივცემულო მოქალაქენო, მეშვიდე რიგში შეგიძლიათ მოიძიოთ, მოქალაქე პარჩევსკისთან, სწორედ სამმანეთიანსა და სასამართლოს უწყებას შორის, მოქალაქე ზელკოვასთვის ალიმენტის გადაუხდელობის გამო რომ მიიღო.

პარტერში ამოძრავდნენ, ადგილებიდან წამოხტნენ და ბოლოს, ვიღაც გაოცებისაგან აჭარხლებულმა მოქალაქემ, რომელიც მართლა პარჩევსკი აღმოჩნდა გვარად, საფულიდან ბანქოს შეკვრა ამოიღო და ჰაერში აიქნია, აღარ იცოდა, სად წაეღო.

– სამანსოვროდ დაიტოვეთ! – დაუყვირა ფაგოტმა, – ტყუილად ხომ არ ამბობდით გუშინ, ვახშამზე, რომ თუ არა პოკერი, მოსკოვში თქვენი ცხოვრება აუტანლად მოგეჩვენებოდათ.

– ძველი ოინებია, – გაისმა იარუსიდან, – პარტერში მჯდომი მაგათი კაცია.

– დარწმუნებული ბრძანდებით? – იყვირა ფაგოტმა და თვალმოჭუტულმა გახედა იარუსს, – თუ ასეა, მაშინ თქვენც ჩვენი კაცი ყოფილხართ, რადგან ბანქოს შეკვრა ახლა თქვენ გიღვეთ ჯიბეში.

იარუსზე აწრიალდნენ და მალე მხიარული ხმებიც გაისმა:

– სწორია, ამას აქვს! აქ არის, აქ... მოიცა! ეს ხომ თუმნიანებია!

პარტერში მსხდომებმა თავები მიაბრუნეს, იარუსზე ვიღაც შემცბარმა მოქალაქემ ჯიბეში ფულის შეკვრა აღმოაჩინა, რომელიც საბანკო წესით იყო გადაკრული და ზედ ეწერა: „ერთი ათასი მანეთი“.

მეზობლად მსხდომნი გარს შემოეხვივნენ, ის კი გაოცებული ცდილობდა ქალაქის გახედავას, უნდოდა გაერკვია, ნამდვილი თუმნიანები იყო თუ ჯადოსნური.

– ღმერთმანი, ნამდვილია! თუმნიანები! – გახარებული ყვიროდა იარუსიდან.

– ეგეთი ბანქო მეც მეთამაშეთ! – პარტერის შუაგულიდან მხიარულად ითხოვა ვიღაც სქელმა კაცმა.

– ავეკ პლეზირ! – უპასუხა ფაგოტმა, – მაგრამ, რატომ მართო თქვენ? ყველა მიიღებს მონაწილეობას! – და ბრძანა, – გთხოვთ, ზემოთ აიხედოთ! ერთი! – საიდანღაც ხელში რევოლვერი გაუჩნდა, – ორი! – რევოლვერს მალლა ააწევინა ტუჩი და იყვირა, – სამი! – განათდა, დაიქუხა და იმავე წამს გუმბათიდან, ტრაპეციებს შორის, დარბაზისაკენ ყვინთვით ჩამოშვავდა თეთრი ქალაქები.

ქალღმერთი ბზრიალებდა, აქეთ-იქით დაფარფატებდა, იარუსებზე ეცემოდა, ორკესტრსა და სცენაზე იბნეოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ფულის წვიმამ იმძლავრა, სავარძლებს უწია და მაყურებლები სკამებიდან წამოხტნენ.

ჰაერში ათასობით ხელი აღმართულიყო, ხალხი ქალღმერთს შუქზე ამოწმებდა და ძალზე სარწმუნო და ჭეშმარიტ ნიშნებს არჩევდა. არც სუნი აეჭვებდა: ეს იყო ყველა დანარჩენთან შეუდარებელი, ახლახან მოჭრილი ფულის სუნი. დარბაზი ჯერ მხიარულებამ, შემდეგ კი გაოცებამ მოიცვა. ყოველი მხრიდან ისმოდა სიტყვა: „თუმნიანები, თუმნიანები!“ ვიღაც ქოთქოთებდა: „აჰ, აჰ!“ მხიარულად იცინოდა... ზოგ-ზოგები უკვე გასასვლელელებში დახოხავდნენ და სავარძლებს ქვევით დაეძებდნენ ფულს. ზოგი სავარძლებზე შემდგარიყო და მობზრიალე, ჭირვეულ ქალღმერთს იჭერდა.

მილიციელებს თანდათან გაოცება გამოეხატათ სახეზე, მსახიობები კი უკვე მოურიდებულად იჭყიტებოდნენ კულისებიდან.

ბელეტაჟიდან ხმა გაისმა: „რას ეცი? ჩემია! ჩემკენ მოფრინავდა!“ მერე მეორემ უპასუხა: „ხელს ნუ იკვრევინები, თორემ ისეთს გაგკრავ!“ იმავე წამს სილის გაწვნის ხმაც გაისმა, ბელეტაჟში მაშინვე მილიციელის შლემი გაკრთა და ვიღაც გაიყვანეს.

საერთო აღგზნება მატულობდა და გაურკვეველია, რით დასრულდებოდა ეს ყველაფერი, ფაგოტს სულის ერთი შებერვით რომ არ შეეწყვიტა ფულის წვიმა.

ორმა ახალგაზრდა კაცმა მრავალმნიშვნელოვნად და მხიარულად გადახედა ერთმანეთს, დარბაზიდან გავიდნენ და პირდაპირ ბუფეტისკენ გაემართნენ. თეატრი ბუბუნებდა, მაყურებლებს თვალები უელავდათ. დიან, დიან, არავინ უწყის, რა მოხდებოდა, ბენგალსკის რომ არ ემარჯვა და არ შერხეულიყო. სიმხნევის მოკრება სცადა, ჩვეულებისამებრ, ხელები მოიფშვნიტა და მთელი ხმით დასჭექა:

– როგორც ხედავთ, მოქალაქენო, ახლა ყველამ ერთად ვნახეთ, ეგრეთ წოდებული, მასობრივი ჰიპნოზი. ეს წმინდა მეცნიერული ცდა განლავთ, რომელიც დიდებულად ამტკიცებს, რომ არავითარი სასწაული და ჯადოქრობა არ არსებობს. მოდი, ვთხოვოთ მაესტრო ვოლანდს, ცდა გამოაშკარავოს. თქვენ ახლა ნახავთ, მოქალაქენო, რომ ეს, ეგრეთ წოდებული ფული, ისევე თვალის დახამხამებაში გაქრება, როგორც გაჩნდა.

მან ტაში დასცხო, მაგრამ მხარი არავის აუბამს, ბენგალსკის სახეზე დაჯერებული ღიმილი დასთამაშებდა, თუმცა თვალებში სულაც არ ეტყობოდა ეს დაჯერებულობა, უფრო მუდარა ჩანდა.

საზოგადოებას ბენგალსკის ნათქვამი არ ეჭაშნიკა, სრული სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც კუბოკრულმა ფაგოტმა დაარღვია.

– ეს ისევ, ეგრეთ წოდებული ტყუილის ცდაა, – გამოაცხადა მაღალი, კიკინა ხმით, – ფული, მოქალაქენო, ნამდვილია!

– ბრავო! – სადღაც მაღლიდან იღრიალა ბასმა.

– სხვათა შორის, ამან, – ბენგალსკიზე მიუთითა ფაგოტმა, – კარგა გვარიანად მომაბეზრა თავი. არამკითხე მოამბესავით ყველგან ეჩრება და ყალბი შენიშვნებით ხელს გვიშლის სენსის ჩატარებაში. რა შეიძლება მოვუხერხოთ?

– თავი წავაცალოთ! – იარუსიდან მკაცრად იყვირა ვილაცამ.

– რა ბრძანეთ? რაო? – მაშინვე გამოეხმაურა ამ უგვან წინადადებას ფაგოტი, – თავი წავაცალოთ? კარგი აზრია! ბეჭემოთ! – უყვირა კატას, – შეასრულე! აინ, ცვაი, დრაი!

და თვალთ უნახავი რამ მოხდა. შავ კატას ბეწვი აეყალყა, გულისგამგმირავად დაიჩხავლა, შემდეგ აიბუზა, ბენგალსკის ფოცხვერივით შეახტა მკერდზე და იქიდან თავზე აინაცვლა. აკრუტუნებული კატა ფუმფულა თათებით სწვდა კონფერანსიეს გამეჩხერებულ ქოჩორს, ველურად დაიჩხავლა და ორი ბრუნით მოაწყვიტა თავი მსხვილი კისრიდან.

თეატრში ორი ათასმა კაცმა ერთად იყვირა. კისრის მოწყვეტილი არტერიებიდან სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა და პერანგის გულისპირსა და ფრაკზე ჩამოიღვარა. უთავო სხეულს როგორღაც უაზროდ გაებლანდა ფეხები და იატაკზე ჩაიჩოქა. დარბაზში ქალების ისტერიული კივილი გაისმა, კატამ ფაგოტს გადასცა თავი, მან თმით აქაჩა და დარბაზს დაანახვა, და ამ თავმა მთელი დარბაზის გასაგონად, განწირული ხმით იყვირა:

– ექიმი!

– კიდეც იტყვი სისულელეებს? – ატირებულ თავს მრისხანედ ჰკითხა ფაგოტმა.

– მეტს აღარ ვიზამ! – ახრიალდა თავი.

– ღვთის გულისათვის, ნუ აწამებთ! – უეცრად დარბაზში გამეფებული გუგუნი გადაფარა ლოჟიდან მონადენმა ქალის ხმამ და ჯადოქარმა ამ ხმისკენ იბრუნა პირი.

– რა ვქნათ, მოქალაქენო, ვაპატიოთ თუ არა? – დარბაზს დაეკითხა ფაგოტი.

– ვაპატიოთ! ვაპატიოთ! – ჯერ კანტიკუნტად გაისმა ქალების ხმა, შემდეგ კი ერთხმად მამაკაცებიც შეუერთდნენ.

– რას მიბრძანებთ, მესირ? – ნიღაბაფარებულს ჰკითხა ფაგოტმა.

– რას იზამ, – უპასუხა დაფიქრებულმა ვოლანდმა, – ჩვეულებრივი ადამიანები არიან, უყვართ ფული, მაგრამ ეს ხომ ყოველთვის ასე იყო... კაცობრიობას უყვარს ფული, რისგანაც უნდა იყოს ის გაკეთებული, ტყავისგან, ქაღალდისგან, ბრინჯისა თუ ოქროსაგან. კიდეც, თავქარიანებიც არიან... მერე რა მოხდა? მოწყალეობაც ხანდახან გაუფაჩუნდებათ ხოლმე გულში... ჩვეულებრივი ხალხია... არსებითად იმ ძველებს მაგონებენ... ოღონდ ცოტათი საბინაო საკითხმა გააფუჭა... – და ხმამაღლა დასძინა, – თავი მოარგეთ!

კატამ გულდაგულ დაუმიზნა, თავი მოარგო, ისიც წამის უსწრაფესად შეეზარდა კისერს, თითქოს არც არასოდეს მოუშორებიათო. უფრო მეტიც, ნაჭრილობევიც კი არ დააჩნდა. კატამ თათებით ჩამოუბერტყა ბენგალსკის ფრაკი და გულისპირი. სისხლის კვალი გაქრა. ფაგოტმა იატაკზე მჯდარი ბენგალსკი ფეხზე წამოაყენა, ფრაკის ჯიბეში თუმნიანების შეკვრა ჩაუჩურთა და სცენიდან გააბრძანა.

– თავიდან მომწყდით! უთქვენოდ უფრო საინტერესოა!

კონფერანსიე უაზროდ აცეცებდა თვალებს, ძლივძლივობით, ლასლასით მიაღწია სახანძრო საგუშაგოს და იქ გახდა ცუდად, საცოდავად იყვირა:

– თავი, ჩემი თავი დამიბრუნეთ!

სხვებთან ერთად მასთან რიმსკიც მიიჭრა, კონფერანსიე ქვითინებდა, ჰაერში რაღაცას ებლაუჭებოდა ხელით და ლულულულებდა:

– ჩემი თავი დამიბრუნეთ! თავი დამიბრუნეთ! ბინა წაიღეთ, სურათებიც, ოღონდ თავი დამიბრუნეთ!

შიკრიკი მაშინვე ექიმის მოსაყვანად გაიქცა. მსახიობებმა სცადეს ბენგალსკი საპირფარეშოში ტანტზე დაეწვინათ, ის კი გადარეულივით იქნევდა ხელ-ფეხს, ვერა და ვერ დააწყნარეს. სასწრაფოს გამოძახება დასჭირდათ. როცა უბედური კონფერანსიე წაიყვანეს, რიმსკი ისევ სცენაზე დაბრუნდა და დაინახა, რომ იქ ახალი სასწაული ხდებოდა. დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ იმ დროისთვის, ან იქნებ უფრო ადრეც, ჯადოქარი თავისი გაქუცული სავარძლიანად გაქრა სცენიდან, თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, ფაგოტის წყალობით სცენაზე დატრიალებული უჩვეულო ამბებით გატაცებულმა მაყურებელმა მისი გაქრობა ვერც კი შენიშნა.

მას შემდეგ, რაც დაზარალებული კონფერანსიე სცენიდან გაისტუმრა, ფაგოტმა საზოგადოებას აუწყა:

– ახლა კი, რაკი ეს აბეზარი მოვიშორეთ, მოდი, ქალთა მაღაზია გავხსნათ.

მაყურებელმა თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, რომ სცენის იატაკი სპარსული ნოხებით დაიფარა. კულისებიდან მომწვანო მილებით განათებული უშველებელი სარკეები და ამ სარკეებს შუა დახლები გაჩნდა, ამ დახლებზე კი სასიამოვნოდ გაოგნებულმა მაყურებელმა სხვადასხვა ფერისა და შეკერილობის ფრანგული ტანსაცმელი დაინახა. ეს მხოლოდ ერთ დახლზე, მეორეზე – სხვადასხვა ფერის ქუდები დახვავდა – ბუმბულიანი, უბუმბულო, ბალთებით და უბალთოდ, მესამეზე – ფეხსაცმელები ეწყო – შავი, თეთრი, ყვითელი, ტყავის, ატლასის, ნატის, გადასაჭერებიანი, ძვირფასთვლიანები. ფეხსაცმელებს შორის ყუთებიც ეწყო და შიგ მოციმციმე წახნაგთა შუქით ბრწყინავდა ბროლის ბოთლები, იქვე იდგა ანტილოპის ტყავის, ნატის და აბრეშუმის ჩანთების, ჰომადის მოგრძო, ოქროთი მოჭიქული ბუდეების მთა.

ემშაკმა უწყის, საიდან გაჩნდა შავკაბიანი, წითური ქალი, ყველაფრით მიმზიდველი რომ იყო, ოღონდ ყელზე შერჩენილი ნაიარევი ამახინჯებდა, ქალი დახლებს შორის დადიოდა და დიასახლისივით იღიმებოდა.

ფაგოტმა დათაფლული ღიმილით გამოაცხადა, რომ ფირმა სრულიად უსასყიდლოდ ცვლიდა ძველ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს ფრანგული კაბებითა და ფრანგული ფეხსაცმლით. იგივე ეხებოდა ჩანთებს, სუნამოებს და ათას წვრილმანს.

კატა უკანა ფეხებს ერთმანეთს ურტყამდა, წინა თათებს კი რაღაცნაირად იქნევდა, როგორც შვეიცარებს სჩვევიათ კარის გაღებისას.

ქალი ოდნავ ჩახლეჩილი, მაგრამ სასიამოვნო ხმით ლულუნებდა, რაღაც ნაკლებგასაგებ სიტყვებს წარმოთქვამდა, მაგრამ როგორც იქ დამსწრე ქალებს შეეტყოთ სახეზე, ამ სიტყვების მნიშვნელობა ყველამ იცოდა.

– გარლენი, შანელი, ნომერი ხუთი, მიცუკო, ნარსის ნუარი, სალამოს კაბები, კაბა-კოქტილი...

ფაგოტი კანიდან ძვრებოდა, კატა მაყურებლებს თავს უკრავდა, ქალი შემინულ ვიტრინებს ხსნიდა.

– გთხოვთ! – ღრიალებდა ფაგოტი, – ნუ შეგრცხვებათ და ნუ მოგერიდებათ!

საზოგადოება ღელავდა, მაგრამ სცენაზე ასვლა ჯერ ვერავის გაებდა. ბოლოს ვიღაც ხორბლისფერთმიანი ქალი პარტერის მეათე რიგიდან წამოდგა. ისე გაიღიმა, თითქოს მისთვის სულერთი იყო ყველაფერი, საერთოდ, კარგა ხანია ყველაფერზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, წამოვიდა და გვერდითი ტრაპით ავიდა სცენაზე.

– ბრავო! – იყვირა ფაგოტმა, – მივესალმებით პირველ მყიდველს! ბეჭემოთ, სავარძელი! ფეხსაცმლით დავიწყოთ, ქალბატონო!

ხორბლისფერთმიანი სავარძელში ჩაჯდა და ფაგოტმა იმავ წამს ფეხსაცმლის გროვა დაახვავა ნოხზე.

ქალმა მარჯვენა ფეხსაცმელი გაიხადა, იასამნისფერი ჩაიცვა, ნოხზე რამდენჯერმე დაჰკრა ფეხი და ქუსლი შეათვალღიერა.

– ხომ არ მომიჭერს? – იჭვნეულად იკითხა ქალმა.

ნაწყენმა ფაგოტმა წამოიძახა:

– რას ბრძანებთ! რას ბრძანებთ! – განაწყენებული კატაც აკნავლდა.

– ამ ფეხსაცმელს ავიღებ, მერსი, – თქვა ქალმა და მეორეც ღირსების გრძნობით მოირგო.

ქალის ძველი ფეხსაცმელი ფარდის უკან მოისროლეს, იქითვე წავიდა ხორბლისფერთმიანიც – დიასახლისისა და ფაგოტის თანხლებით, რომელსაც სამხრეებზე ჩამოკიდებული რამდენიმე სამოდელო კაბა მიჰქონდა გასასინჯისკენ. კატა სცენაზე მირბი-მორბოდა, ყველას ეხმარებოდა და მეტი სოლიდურობისათვის, კისერზე სანტიმეტრიც კი ჩამოიკონწიალა.

წუთის შემდეგ ფარდის უკნიდან ხორბლისფერთმიანი ქალი გამოვიდა, ისეთი კაბა ეცვა, რომ პარტერს ოხვრამ გადაუარა, საოცრად დამშვენებული ქალი სარკესთან შედგა, გაშიშვლებული მხრები შეატოკა, კეფაზე თმა შეისწორა და უკან გადაიხარა – ზურგის დასანახად.

– ფირმა გთხოვთ, ესეც საჩუქრად მიიღოთ ჩვენგან! – უთხრა ფაგოტმა და ხორბლისფერთმიანს სუნამოს გადახსნილი ყუთი მიაწოდა.

– მერსი, – ამყად უპასუხა ხორბლისფერთმიანმა და ტრაპით პარტერში დაეშვა. ვიდრე მიდიოდა, მაყურებლები ადგილებიდან დგებოდნენ და სუნამოს ყუთს აკვირდებიდნენ.

მაშინ კი საბოლოოდ გადმოსკდა მოთმინების ფიალა და სცენისკენ ყოველი მხრიდან დაიძრნენ ქალები. საერთო გნიასში, სიცილსა და კვნესაში, მამაკაცის ხმაც გაისმა: „ასვლა არ გაბედო!“ შემდეგ ქალის: „დესპოტო, უმეცარო, ხელს მომტეხ!“ ქალები ფარდის უკან ქრებოდნენ, საკუთარ ტანსაცმელს ტოვებდნენ და მორთულ-მოკაზმულები ბრუნდებოდნენ. ოქროსფერებიან ტაბურეტებზე ქალები ისხდნენ, ახალ ფეხსაცმელს

ირგებდნენ და ნოხს ენერგიულად უტყაპუნებდნენ ფეხებს. მუხლმოდრეკილი ფაგოტი რქის მაშველს აბზრიალებდა ხელში და ქალებს ფენსაცმლის ჩაცმამი ეხმარებოდა; ჩანთებისა და ფენსაცმელების ყუთების სიმძიმით წელში გაზნეპილი კატა ვიტრინებისკენ მირბოდა, მერე ისევ ტაბურეტებთან ბრუნდებოდა, ყელნაიარევი ქალი ხან გამოჩნდებოდა, ხან ისევ თვალს მიეფარებოდა, ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, მხოლოდ ფრანგულადლა ჟღერტულეებდა და გასაოცარი იყო, რომ ქალებს მაინც ესმოდათ ყველაფერი, იმათაც, ერთი ღერი ფრანგული რომ არ იცოდნენ.

საერთო გაოცება ვიღაც კაცმა გამოიწვია, რომელიც სცენისკენ მიიწევდა. მან განაცხადა, რომ მისი მეუღლე გაციებულიყო და ამიტომაც ითხოვდა, რაიმე გაეგზავნათ მისთვის. ხოლო იმის დასამტკიცებლად, მართლა ცოლიანი რომ იყო, მოქალაქე პასპორტის წარმოდგენას აპირებდა. მზრუნველი ქმრის განცხადებას დარბაზი ხარხარით შეეგება. ფაგოტი აღრიალდა, რომ უპასპორტოდაც, საკუთარი თავივით ენდობოდა ამ მოქალაქეს და ორი წყვილი აბრეშუმის წინდა გადასცა, კატამ კი, თავის მხრივ, პომადა აჩუქა.

დაგვიანებული ქალები სცენისკენ მიიწევდნენ, სცენიდან კი საღამურ კაბებში, დრაკონებით მოჩითულ პიჟამებში, მკაცრ კოსტიუმებში გამოწყობილი, შლაპიანი ბედნიერი ქალები ჩამოდიოდნენ.

უცებ ფაგოტმა განაცხადა, რომ დროის სიმცირის გამო, ერთ წუთში მაღაზია ხვალამდე იკეტებოდა და სცენაზე წარმოუდგენელი აურზაური დაიწყო. ქალები სწრაფად, მოუზომებლად იტაცებდნენ ფენსაცმელებს, ერთი ქარიშხალივით გაიჭრა ფარდის უკან, ტანსაცმელი გაიძრო და იმას სწვდა, რაც ხელში მოხვდა – უზარმაზარი თაიგულებით მოჩითული აბრეშუმის ხალათი შემოიცვა და სუნამოს ორი ყუთის აღებაც მოასწრო.

ზუსტად ერთი წუთის შემდეგ რევოლვერის ზათქი გაისმა, სარკეები გაქრა, სადღაც შთაინთქა ვიტრინები და სავარძლები, ნოხი და ფარდები ჰაერში გალღვა. უკანასკნელად ნახმარი კაბებისა და ფენსაცმელების მაღალი გორა გაქრა და სცენა ისევ მკაცრი, ცარიელი და შიშველი დარჩა.

და სწორედ ამ დროს ახალი მოქმედი პირი გამოჩნდა.

სასიამოვნო, მჭექარე და ძალზე დაჟინებული ბარიტონი გაისმა №2 ლოჟიდან.

– მოქალაქე მსახიობო, მაინც სასურველი იქნებოდა, სასწრაფოდ გამოგეამკარავებინათ თქვენი ფოკუსების ტექნიკა, განსაკუთრებით ის ნაწილი, ფულს რომ შეეხება. სასურველი იქნებოდა, კონფერანსიეც დაგებრუნებინათ სცენაზე. მისი ბედი ყველას ადარდებს.

ბარიტონი სხვას კი არა, დღევანდელი საღამოს საპატიო სტუმარს, არკადი აპოლონოვიჩ სემპლიაროვს ეკუთვნოდა, მოსკოვის თეატრალური აკუსტიკური კომისიის თავმჯდომარეს.

არკადი აპოლონოვიჩი ლოჟაში ორ ქალთან ერთად იჯდა: ერთ მათგანს – ასაკოვან ქალს, ძალზე ძვირფასი და მოდაზე შეკერილი ტანსაცმელი ეცვა, მეორეს – ახალგაზრდას და თვალწარმტაცს – შედარებით სადად. პირველი, როგორც მალევე, ოქმის შედგენისას გაირკვა, არკადი აპოლონოვიჩის მეუღლე იყო, მეორე კი – მისი შორეული ნათესავი, დამწყები და იმედის მომცემი მსახიობი, რომელიც სარატოვიდან ჩამოსულიყო და არკადი ივანოვიჩისა და მისი მეუღლის სახლში ცხოვრობდა.

– პარდონ! – გაეხმიანა ფაგოტი, – მაპატიეთ, აქ არაფერია გამოსაშკარავებელი, ისედაც ყველაფერი ნათელია.

– არა, ცდებით! სწორედაც გამოაშკარავებაა საჭირო! უამისოდ თქვენი ბრწყინვალე ნომრები უმძიმეს შთაბეჭდილებას ახდენს: მაყურებელთა მასა განმარტებას მოითხოვს.

– მაყურებელთა მასას, – სიტყვა შეაწყვეტინა თავხედმა მასხარამ, – ვგონებ, არაფერი განუცხადებია. მაგრამ ყურად ვიღებთ თქვენს დიდად პატივსაცემ სურვილს, არკადი აპოლონოვიჩი, და, თუ გნებავთ, ყველაფერს გამოვამშკარავებთ. ამისათვის, ნება მომეცით, კიდევ ერთი პატარა ნომერი შემოგთავაზოთ.

– რატომაც არა, – ქედმაღლურად უპასუხა არკადი აპოლონოვიჩმა, – მაგრამ აუცილებლად გამოაშკარავებით!

– მესმის, მესმის. თუ ასეა, ნება მიბოძეთ, გკითხოთ, გუშინ საღამოს სად ბრძანდებოდით, არკადი აპოლონოვიჩი?

ამ უადგილო, უფრო მეტიც, თავხედური კითხვის საპასუხოდ, არკადი აპოლონოვიჩის სახე ეცვალა და გვარიანადაც ეცვალა.

– არკადი აპოლონოვიჩი გუშინ საღამოს აკუსტიკური კომისიის თათბირზე ბრძანდებოდა, – მედიდურად განაცხადა არკადი აპოლონოვიჩის მეუღლემ, – მაგრამ ვერ გამიგია, რა კავშირი აქვს ამას ჯადოქრობასთან?

– დიახ, მაღამ, – დაუმოწმა ფაგოტმა, – ბუნებრივია, თქვენ ვერ გაიგებთ, მაგრამ თათბირის თაობაზე კი ნამდვილად ცდებით. აღნიშნულ თათბირზე გამგზავრებულმა არკადი აპოლონოვიჩმა, სიტყვამ მოიტანა და გეტყვით, რომ ეს თათბირი საერთოდ არ იყო გუშინ დანიშნული, ჩისტი პრუდებზე, აკუსტიკური კომისიის შენობასთან დაითხოვა თავისი მძლოლი (დარბაზი გაისუსა), ავტობუსით გაემგზავრა ელონოვის ქუჩაზე, რაიონული თეატრის მსახიობ ქალს, მილიცა ანდრეევნა პოკობატკოს ესტუმრა და მასთან თითქმის ოთხი საათი დაჰყო.

– ოჰ! – ტანჯვით ამოიკვნესა ვილაცამ გამეფებულ სიჩუმეში.

არკადი აპოლონოვიჩის ახალგაზრდა ნათესავმა ქალმა კი უეცრად დაგუდული და საშინელი ხმით გადაიხარხარა.

– გასაგებია! – იყვირა მან, – ამას დიდი ხანია ვეჭვობდი. ახლა კი ნათელია, რატომ მიიღო იმ უნიჭომ ლუიზას როლი!

მოულოდნელად მოკლე, მაგრამ სქელი ლილისფერი ქოლგა მოიქნია და არკადი ივანოვიჩს თავში ჩასცხო.

იმ უნამუსო ფაგოტმა, იმავე კაროვიევმა, კი იყვირა:

– აი, პატივცემულო მოქალაქენო, გამოაშკარავების ერთ-ერთი შემთხვევა, რასაც ასეთი დაჟინებით მოითხოვდა არკადი აპოლონოვიჩი!

– არკადი აპოლონოვიჩისთვის ხელის შეხება როგორ გაბედე, შე უნამუსოვ! – მრისხანედ იკითხა არკადი აპოლონოვიჩის მეუღლემ და ლოჟაში გოლიათური სხეულით წამოიმართა.

ახალგაზრდა ნათესავი ქალის ხანმოკლე სატანურმა სიცილმა შეაზანზარა დარბაზი.

– ვინ-ვინ და, – ხარხარით უპასუხა მან, – მე ნამდვილად მაქვს უფლება, ხელი შევახო! – და მეორედაც გაისმა არკადი აპოლონოვიჩის თავზე ასხლეტილი ქოლგის მშრალი ტკაცანი.

– მილიცია, დააკავეთ! – ისეთი საზარელი ხმით იკვილა არკადი აპოლონოვიჩის მეუღლემ, რომ მაყურებლებს სული ფეხებში გაეპარათ.

ამასობაში კატაც მიიჭრა რამპასთან და უცებ მთელი თეატრის გასაგონად, ადამიანის ხმით დაიჩხავლა:

– სეანსი დამთავრებულია! მაესტრო, მოსხიპეთ მარში!

დაბნეულმა დირიჟორმა ჯოხნი აიქნია და ორკესტრმა კი არ დაუკრა და არც დასჭეკა, სწორედ, კატის უგვანო გამოთქმისა არ იყოს, მართლაც რომ მოსხიპა რაღაც წარმოუდგენელი, აღვირახსნილობით სრულიად განუმეორებელი მარში.

თითქოს წამით გახმიანდა კიდეც ოდესღაც, სამხრეთის ვარსკვლავებს ქვეშ, კაფემანტანებში დაქუხებული რაღაც ნაკლებგასაგები და თავაწყვეტილი ამ მარშის სიტყვები:

Его превосходительство
Лю б ил домашних птиц:
И б рал под покровительство
Хорошеньких девиц!!! [5]

ანდა ეგებ არც ეს სიტყვები იყო. იყო სულ სხვა, ოღონდ ამავე მუსიკის თანხლებით, რაღაც უკიდურესად უწმაწური. მაგრამ მთავარი ის გახლდათ, რომ იმ წუთიდან ვარიეტე ბაბილონის გოდოლს დაემსგავსა. სემპლიაროვის ლოჟისკენ მილიცია მირბოდა, მოაჯირებზე ცნობისმოყვარენი ძვრებოდნენ, ყოველმხრივ ჯოჯოხეთური სიცილი და შეშლილი ყვირილი ისმოდა და ამ ყველაფერს ორკესტრის თეფშების ოქროსფერი ჟღერალი ფარავდა.

სცენა თვალსა და ხელს შუა დაცარიელდა. ის ფოლორცი ფაგოტი და თავხედი კატაც ჰაერში გალღვნენ და ისევე გაქრნენ, როგორც მანამდე გაქრა ჯადოქარი, თავისი გაქუცული სავარძლიანად.

თავი მეცამეტე

გმირის გამოცხადება

როგორც მოგახსენეთ, უცნობმა თითი დაუქნია ივანს და ჩაიჩურჩულა: „ჩუუუ!“

ივანმა საწოლიდან გადმოყო ფეხები და დააკვირდა. აივნიდან ოთახში გაპარსული, მუქთმიანი, ცხვირპაჭუა, თვალეზაცეცეხული და შუბლზე ქოჩორჩამოყრილი, დაახლოებით ოცდათვრამეტი წლის მამაკაცი იცქირებოდა.

იდუმალი სტუმარი დარწმუნდა, ივანი მართო რომ იყო, ხმებს მიაყურადა, გათამამდა და ოთახში შემოაბიჯა. და მხოლოდ მაშინლა შენიშნა ივანმა, რომ მოსულს საავადმყოფოს ტანსაცმელი ეცვა. შიშველ ფეხზე ამოეცვა ფეხსაცმელი, საცვლების ამარა იყო და ზედ საავადმყოფოს წაბლისფერი ხალათი შემოესხა. მოსულმა თვალი ჩაუკრა ივანს, გასალების ასხმა ჯიბეში დამალა, ჩურჩულით დაეკითხა: „შეიძლება დავჯდე?“ და თანხმობის ნიშნად თავის კანტური რომ შენიშნა, სავარძელში მოკალათდა.

– აქ როგორ გაჩნდით? – ჩურჩულით ჰკითხა მბრძანებლურ, მკაცრ თითს დამორჩილებულმა ივანმა, – აივნის თეჯირი ხომ დაკეტილია?

– თეჯირი დაკეტილია, – დაუმოწმა სტუმარმა, – პრასკოვია ფიოდროვნა კი, უსაყვარლესი, მაგრამ ვაი, რომ დაბნეული ქალია. ერთი თვის წინ გასალების ასხმა მოვპარე და მას შემდეგ საშუალება მომეცა, საერთო აივანზე გამოვსულიყავი. ეს აივანი მთელ სართულს გასდევს და ხანდახან მეზობლების მონახულებაც შემიძლია.

– რადგანაც აივანზე შეგიძლიათ გასვლა, გაქცევისაც მოახერხებთ, თუ მაღალია? – დაეკითხა ივანი.

– არა, – მკაცრად უპასუხა სტუმარმა, – აქედან იმიტომ კი არ გავრბივარ, რომ მაღალია, უბრალოდ, გასაქცევი არსად მაქვს, – და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ დასძინა, – ვსხედვართ?

– ვსხედვართ, – უპასუხა ივანმა და მოსულის მუქთაფლისფერ, შფოთიან თვალებს დააკვირდა.

– ჰო, მართლა... – უეცრად აღელდა სტუმარი, – თქვენ, იმედი მაქვს, შლეგი არ ბრძანდებით. იცით, მე ხმაურს, ალიაქოთს, ძალადობას და ამის მსგავს ამბებს ვერ ვიტან. განსაკუთრებით, ადამიანის ყვირილის ატანა მიჭირს, სულერთია, ტანჯვით ყვირის, გააფთრებით თუ სხვა მიზეზით. დამამშვიდეთ, მითხარით, რომ შლეგი არ ხართ.

– გუშინ რესტორანში ერთ ტიპს მოვდე სიფათში, – ვაჟკაცურად აღიარა გადასხვაფერებულმა ივანმა.

– მიზეზი? – მკაცრად ჰკითხა სტუმარმა.

– გულახდილად უნდა გითხრათ, უმიზეზოდ, – დაირცხვინა ივანმა.

– რა უმსგავსობაა, – განაჩენი გამოუტანა სტუმარმა და დასძინა, – ამას გარდა, ასე რატომ ამბობთ: სიფათში მოვდე? ეგ ჯერ კიდევ გასარკვევია, რა აქვს ადამიანს, სიფათი თუ სახე? ვგონებ, უფრო სახე. ასე რომ, მუშტებით... მოდი, ასეთ ქცევას მოეშვით და, აღარასოდეს...

კარგად რომ გამოთათხა, სტუმარმა ისევ ჩაძიებით ჰკითხა:

– რა პროფესიის ხართ?

– პოეტი გახლავართ, – რატომღაც უწადილოდ აღიარა ივანმა.

მოსული დანაღვლიანდა.

– ოჰ, როგორ არ მიმართლებს! – წამოიძახა მან, მაგრამ მაშინვე მოეგო გონს, ბოდიში მოიხადა და იკითხა, – რა გვარი ბრძანდებით?

– უსახლკარო.

– ეჰ, ეჰ... – შუბლი შეიკრა სტუმარმა.

– თქვენ რა, ჩემი ლექსები არ მოგწონთ? – ჰკითხა ივანმა.

– ძალიან არ მომწონს.

– რომელი წაგიკითხავთ?

– საერთოდ არ წამიკითხავს! – უთხრა სტუმარმა და განერვიულდა.

– აბა, ასე რატომ ამბობთ?

– მერე რა მოხდა? – უპასუხა სტუმარმა, – სხვების ლექსები ხომ წამიკითხავს? თუმცა... სასწაულს თუ დავიჯერებთ... კარგი, თანახმა ვარ, სიტყვაზე გენდოთ, მითხარით, კარგ ლექსებს წერთ?

– საშინელს! – უცრად თამამად და გულლიად აღიარა ივანმა.

– ნულა დაწერთ! – შეევედრა მოსული.

– პირობას გაძლევთ და ვფიცავ! – საზეიმოდ შეჰფიცა ივანმა.

ფიცი ხელის ჩამორთმევით განამტკიცეს და სწორედ იმწამს, დერეფნიდან მსუბუქი ნაბიჯის ხმა და რაღაც ხმაური გაისმა.

– ჩუ, – ჩაიჩურჩულა სტუმარმა, აივანზე გახტა და თეჯირი მიხურა.

პრასკოვია ფიოდოროვნამ შემოიხედა, ივანს ჰკითხა, თავს როგორ გრძნობდა და როგორ ეწადა დაძინება – შუქით თუ უშუქოდ. ივანმა სთხოვა, შუქი დაეტოვებინა, პრასკოვია ფიოდოროვნამ ავადმყოფს ღამე მშვიდობისა უსურვა და კარი გაიხურა. და როცა ყველაფერი მიყუჩდა, ისევ დაბრუნდა სტუმარი.

მან ჩურჩულთ აცნობა ივანს, რომ 119-ე ოთახში ახალი ავადმყოფი მოეყვანათ, ერთი ზონზრობა, სახეაჭარხლებული ტიპი, რომელიც თურმე, რაღაცას უსასრულოდ ბურღუნებდა ვალუტასა და ვენტილაციაზე და იფიცებდა, ჩვენთან, სადოვანიაზე, უწმინდურმა ძალამ დაისადგურაო.

– პუშკინს ლანძღავს უსაშველოდ და ყვირის: „კუროლესოვ, ბის, ბის!“ – უყვებოდა შეწუხებული სტუმარი, შემდეგ დამშვიდდა, დაჯდა და თქვა, – თუმცა, ღმერთი იყოს მისი შემწე, – და ივანთან საუბარი განაგრძო, – ახლა ისიც მითხარით, აქ რამ მოგიყვანათ?

– პონტოელმა პილატემ, – უპასუხა ივანმა და მოღუშული დააჩერდა იატაკს.

– როგორ?! – იყვირა სტუმარმა, მაგრამ ანაზღად მიხვდა, რომ ძალიან ხმამაღლა მოუვიდა და თვითონვე აიფარა პირზე ხელი, – რა თავზარდამცემი დამთხვევაა! გემუდარებით, გემუდარებით, მიაბზეთ!

ივანი რატომღაც ნდობით განიმსჭვალა უცნობისადმი და ჯერ ბორძიკ-ბორძიკით და მორცხვად, შემდეგ კი უფრო თამამად დაიწყო მოყოლა, რა მოხდა გუშინ პატრიარქთა ტბორებზე. დიახ, მაღლიერი მსმენელი შეიძინა ივან ნიკოლაევიჩმა გასაღების იდუმალი მფლობელის სახით! სტუმარი გიჟად არ თვლიდა ივანს, უდიდესი გულისყურით უსმენდა და ამ მოთხრობის განვითარების კვალად, თანდათან აღტაცებამაც შეიპყრო, ხან თხრობასაც აწყვეტინებდა ხოლმე:

– მერე, მერე! რა მოხდა, განაგრძეთ, გემუდარებით! ოღონდ, ღვთის გულისათვის, არაფერი გამოგრჩეთ!

ივანი დაწვრილებით ყვებოდა, ასე უფრო უადვილდებოდა თხრობა და თანდათან იმ ადგილსაც მიაღწია, როცა პილატე პონტოელმა სისხლისფერქობიან თეთრ მოსასხამით სვეტოვანში შემოაბიჯა.

სტუმარმა მლოცველივით აღაპყრო ხელი და ჩაიჩურჩულა:

– ო, როგორ გამოვიცანი! ო, როგორ მივხვდი ყველაფერს!

ბერლიოზის სიკვდილის აღწერას მსმენელმა იდუმალი შენიშვნა დაურთო, თან ბოროტად აუციმციმდა თვალები.

– მხოლოდ იმას ვნანობ, ბერლიოზის ნაცვლად კრიტიკოსი ლატუნსკი ან ლიტერატორი მსტილავ ლავროვიჩი რომ არ იყვნენ, – და გააფთრებით, მაგრამ მაინც ხმადაბლა სთხოვა, – განაგრძეთ!

იმ ამბავმა, კატა კონდუქტორს ფულს რომ უხდიდა, ერთობ გაამხიარულა სტუმარი, ლამის სულიც კი შეეხუთა სიცილისაგან, როცა დაინახა, მონათხრობით აღელვებული, ჩაკუნცხული ივანი, კატასავით როგორ დახტოდა და შაურიანს ისვამდა ულვაშზე.

– აი, ასე აღმოვჩნდი აქ, – თქვა ბოლოს გრიბოედოვში მომხდარი ამბის აღწერით დანადვლიანებულმა და მოქუფრულმა ივანმა.

სტუმარმა თანაგრძნობით დაადო მხარზე ხელი საბრალო პოეტს და ასე უთხრა:

– უბედურო პოეტო! თუმცა, ისიც უნდა გითხრათ, რომ თავად ხართ დამნაშავე. ასე თავისუფლად და, უფრო მეტიც, თავხედურად არ უნდა მოქცეოდით, აკი გადაგიხადათ კიდეც სამაგიერო? მადლობა ღმერთს, შედარებით იოლად გადარჩენილხართ.

– ბოლოს და ბოლოს, ასეთი ვინ არის? – მუშტები აიქნია გაბრაზებულმა ივანმა.

სტუმარმა ივანს შეხედა და კითხვითვე უპასუხა:

– არ განერვიულდებით? აქ ცოტა საშიში ხალხი ვართ... ექიმის გამოძახება, ნემსები და ათასი სისულელე არ დაგჭირდებათ?

– არა, არა! – იყვირა ივანმა, – მითხარით, ვინ არის?

– კეთილი, – უპასუხა სტუმარმა და დამაჯერებლად, დამარცვლით უთხრა, – გუშინ, პატრიარქთა ტბორებზე, თქვენ სატანას შეხვდით.

ივანი შეპირებისამებრ, არ განერვიულებულა, მაგრამ უკიდურესად კი გაოცდა.

– ეგ შეუძლებელია! ეშმაკი არ არსებობს!

– თქვენი გამკვირვებია! ვინ-ვინ და თქვენ მაინც არ უნდა ამბობდეთ ამას. ვგონებ, თქვენ იყავით ერთი პირველთაგანი, ვინც მისი ძალა იწვინა. ახლა ზიხართ აქ, ბოდიში მომითხოვია და, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და მიმტკიცებთ, რომ ეშმაკი არ არსებობს. დამეთანხმეთ, ცოტა უცნაურია!

დაბნეული ივანი დადუმდა.

– როგორც კი მისი აღწერა დაიწყეთ, – განაგრძო სტუმარმა, – მაშინვე მივხვდი, ვისთან გქონდათ საუბრის ბედნიერება. მართალი გითხრათ, ბერლიოზი მაოცებს! თქვენ, ცხადია, უბირი და უმეცარი ბრძანდებით, – უთხრა და ისევ მოუბოდიშა სტუმარმა, – მაგრამ მასზე ამბობდნენ, ნაკითხი კაცი იყო. ამ პროფესორის პირველივე სიტყვებმა ეჭვი გამიფანტა. შეუძლებელია არ იცნო, ჩემო მეგობარო! თუმცა თქვენ... ისევ მაპატიეთ, ხომ არ შევმცდარვარ, უცოდინარი კაცი ხართ, არა?

– ცხადია, – დაეთანხმა ივანი.

– აკი გითხარით... თქვენ მიერ აღწერილი გარეგნობაც... სხვადასხვა ფერის თვალები, წარბები! მაპატიეთ, თქვენ როგორც ჩანს, ოპერა „ფაუსტიც“ არ გაქვთ მოსმენილი?

ივანი რატომღაც საშინლად შეცბა და აჭარხლებულმა რაღაც უაზროდ ჩაიბუტბუტა იალტის სანატორიუმში გამგზავრების შესახებ.

– ჰოდა, გასაგებია... არც არის გასაკვირი! ბერლიოზი კი, გიმეორებთ, მართლა მაოცებს. მარტო ნაკითხი კი არა, ძალიან ეშმაკი კაციც იყო. მაგრამ, მის დასაცავად უნდა მოგახსენოთ, ვოლანდს ბევრი მასზე ჭკვიანი ადამიანისთვისაც შეუყრია თვალში ნაცარი.

– რა ბრძანეთ? – იყვირა ივანმა.

– ჩუმად!

ივანმა შუბლზე მიირტყა ხელი და ასისინდა:

– მესმის, მესმის. მას ასო „ჭ“ ეწერა სავიზიტო ბარათზე. ოჰ, ოჰ, ოჰ, აი, ოინი! – ერთხანს დაბნეული დუმდა ივანი, თეჯირს მიღმა მოლივლივე მთვარეს გასცქეროდა, შემდეგ თქვა, – მაშასადამე, მართლაც შეეძლო პილატე პონტოელთან ყოფნა? ის ხომ მაშინაც არსებობდა? მე კი გიჟს მეძახიან! – დასძინა ივანმა და აღშფოთებულმა კარზე მიუთითა.

სტუმარს მწარე ნაოჭი ჩაეკუჭა ტუჩებთან.

– მოდი, სიმართლეს გავუსწოროთ თვალი, – უთხრა მან და ღრუბლებში მიმჭროლავი ღამის მნათობისკენ იქცია პირი, – თქვენც და მეც შეშლილები ვართ, ამას ვერ უარვყოფთ. ხომ ხედავთ, იმდენად შეგაშფოთათ, რომ ჭკუიდან შეიშალეთ, ეტყობა, ამის შესაფერისი საფუძველიც გქონდათ... მაგრამ ის, რასაც ჰყვებით, მართლაც მოხდა. თუმცა ეს ყველაფერი იმდენად უჩვეულოა, რომ ამ გენიალურმა ფსიქიატრმა – სტრავინსკიმაც კი არ დაგიჯერათ. სტრავინსკიმ გაგსინჯათ? (ივანმა თავი დაუქნია). დამერწმუნეთ, თქვენი თანამოსაუბრე პილატესთანაც იყო, კანტთანაც საუზმობდა, ახლა კი მოსკოვს ესტუმრა.

– აქ ხომ ეშმაკმა უწყის, რას დაატრიალებს! როგორმე უნდა შევაჩეროთ! – არც მთლად დაჯერებულად, მაგრამ მაინც წამოყო თავი ახალ ივანში იმ ძველმა, ჯერ საბოლოოდ ჩაუკლავმა ივანმა.

– თქვენ ეს ერთხელ უკვე სცადეთ და კმარა, – დამცინავად უპასუხა სტუმარმა, – არც სხვებს ვურჩევდი! იმაში კი, ამბებს რომ დაატრიალებს, ეჭვი ნუ შეგეპარებათ. აჰ, აჰ! როგორ მწყდება გული, რომ ვოლანდს თქვენ შეხვდით და არა მე! ყველაფერი კი დაიბუგა და ნაწიბურები ფერფლით შეიკრა, მაგრამ ვფიცავ, ამ შეხვედრის სანაცვლოდ, პრასკოვია ფიოდოროვნას გასაღებსაც კი გავიღებდი, რამეთუ მეტი არაფერი მაქვს გასაღები. მე ლატაკი ვარ!

– თქვენ რაღად გჭირდებათ?

დანაღვლიანებული სტუმარი დიდხანს იჯდა ჩუმად, იშმუშნებოდა, ბოლოს ხმა ამოიღო:

– ხედავთ, რა უჩვეულო ამბავია, მე აქ იმისთვისვე ვზივარ, რისთვისაც თქვენ, კერძოდ, პონტოელი პილატეს გამო, – სტუმარმა შიშით მიმოიხედა და განაგრძო, – საქმე ის გახლავთ, რომ ერთი წლის წინ რომანი დავწერე პილატეზე.

– მწერალი ხართ? – გაოცდა პოეტი.

სტუმარს სახე ჩაუშავდა, ივანს მუშტი მოუღერა და უთხრა:

– მე ოსტატი ვარ, – სახე გაუმკაცრდა, ხალათის ჯიბიდან ერთიანად გაზინთული, შავი ქუდი ამოიღო, რომელზეც ყვითელი აბრეშუმით იყო ამოქარგული ასო „M“. მან ქუდი დაიხურა, წინიდანაც დაენახა ივანს, გვერდიდანაც, რათა დაემტკიცებინა, რომ ოსტატი იყო, – იმან შემიკერა თავისი ხელით, – საიდუმლოდ დასძინა მერე.

– რა გვარი ბრძანდებით?

– მე გვარი აღარა მაქვს, – ნაღვლიანი ზიზღით უთხრა სტუმარმა, – უარი ვთქვი, როგორც ბევრ სხვა რამეზე ამქვეყნად.

– იქნებ რომანზე მაინც მითხრათ რამე, – მორიდებით სთხოვა ივანმა.

– კი ბატონო, ჩემი ამბავი მართლაც არ არის ჩვეულებრივი, – დაიწყო სტუმარმა.

... განათლებით ისტორიკოსი, ჯერ კიდევ ორი წლის წინ, მოსკოვის ერთ-ერთ მუზეუმში მუშაობდა და წიგნებს თარგმნიდა.

– რომელი ენიდან? – ცნობისმოყვარეობამ სძლია ივანს.

– მშობლიური ენის გარდა კიდევ ხუთი ენა ვიცი, – უპასუხა სტუმარმა, – ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ლათინური და ბერძნული. ცოტა იტალიურადაც ვლაპარაკობ.

– ოჰო! – შურით ჩაიჩურჩულა ივანმა.

ისტორიკოსი სრულიად მართო ცხოვრობდა, მოსკოვში არც ნათესავი ჰყავდა და არც ნაცნობი. და ერთხელაც, წარმოიდგინეთ, ასი ათასი მანეთი მოიგო.

– ხომ ხვდებით, როგორ გავოცდებოდი, – ჩურჩულით განაგრძობდა თხრობას შავქუდიანი სტუმარი, – როცა ჭუჭყიანი თეთრეულის კალათაში ჩავყავი ხელი და დავინახე: ზედ იგივე ნომერი ეწერა, რაც გაზეთში იყო დაბეჭდილი! ობლიგაცია, – განმარტა მან, – მუზეუმში მომცეს!

ასი ათასის მოგების შემდეგ ივანის იდუმალი სტუმარი შემდეგნაირად მოიქცა: წიგნები იყიდა, მიასწიკვიაზე თავისი ოთახი მიატოვა...

– უუ, წყეული სორო! – დაიღმუვლა სტუმარმა.

... და არბატის სიახლოვეს, ერთ პატარა ჩიხში, მენაშენებთან დაიჭირავა...

– იცით, რას ნიშნავს მენაშენე? – ჰკითხა სტუმარმა ივანს და იქვე განუმარტა, – ავაზაკების მცირერიცხოვანი ჯგუფია, რაღაც ხრიკებით რომ შემორჩნენ მოსკოვს...

მენაშენებთან დაიჭირავა ბაღში მდგარი პატარა სახლის სარდაფის ორი ოთახი. მუზეუმში მუშაობას თავი ანება და პილატე პონტოელზე დაიწყო რომანის წერა.

– ო, ეს ოქროს ხანა იყო, – ეჩურჩულებოდა თვალაციმციმებული სტუმარი, – ცალკე ბინა, წინკარი და იქვე წყლის ბაკი, – რატომღაც განსაკუთრებული სიამაყით აღნიშნა მან, – ფილაქნის სიმაღლეზე პატარა ფანჯრები, პირდაპირ, ოთხიოდე ნაბიჯის მოშორებით, იასამანი, ცაცხვი და ნეკერჩხალი იდგა. აჰ, აჰ, აჰ! ზამთრობით იშვიათად ვხედავდი ხოლმე გამვლელთა ფეხებს და არც თოვლის ხრამუნნი მესმოდა. ღუმელში მუდამ გიზგიზებდა ცეცხლი! მაგრამ მოულოდნელად, დადგა გაზაფხული და დაბურული ფანჯრების მიღმა ჯერ გაშიშვლებული, შემდეგ კი მწვანედ გაფოთილი იასამნის ბუჩქი დავინახე. და აი, მაშინ, მარშან გაზაფხულს, მოხდა უფრო შესანიშნავი რამ, ვიდრე ასი ათასის მოგებაა. ეს კი, დამეთანხმებით, უზარმაზარი თანხაა!

– მართალი ბრძანდებით! – აღიარა გულისუურად ქცეულმა ივანმა.

– ფანჯარა გავალე, მე კი მეორე, მომცრო ოთახში ვიჯექი, – სტუმარმა ხელებით დაიწყო ზომვა, – ასე... აქ ტახტი იდგა, პირდაპირ – მეორე ტახტი, შუაში კი მაგიდა, ზედ შესანიშნავი

ღამის ნათურა, ფანჯრის ახლოს – წიგნები, აქ პატარა საწერი მაგიდა, პირველ ოთახში კი – უზარმაზარი ოთახი იყო, თოთხმეტი მეტრი – წიგნები, წიგნები და ლუმელი. ოჰ, რა კარგად მქონდა იქაურობა მოწყობილი! ახსამანი საოცარ ნელსურნელებას აფრქვევდა! დაქანცულობას მავიწყებდა და პილატეც დასასრულისკენ მიექანებოდა.

– სისხლისფერქობიანი თეთრი მოსასხამი! მესმის! – წამოიძახა ივანმა.

– მართალს ბრძანებთ! პილატე დასასრულისკენ მიექანებოდა, დასასრულისკენ. და მე უკვე ვიცოდი, რომ რომანს შემდეგი სიტყვებით დავამთავრებდი: „იუდეველთა მეზუთე პროკურატორი, მხედარი პონტოელი პილატე“. ცხადია, ხანდახან სასეირნოდაც დავდიოდი. ასე ათასი უზარმაზარი თანხაა და შესანიშნავი ნაცრისფერი კოსტიუმი მქონდა. ხან რომელიმე იაფფასიან რესტორანში შევდიოდი სასადილოდ. არბატზე ერთი არაჩვეულებრივი რესტორანი იყო, აღარ ვიცი, კიდეც არსებობს თუ არა.

სტუმარს თვალეხი გაუფართოვდა და მთვარეს მიაჩერდა, მერე ჩურჩულით განაგრძო:

– მას საზიზღარი, შფოთიანი ყვითელი ყვავილები მოჰქონდა, ეშმაკმა უწყის, რა ჰქვია იმ ყვავილებს, მაგრამ რატომღაც ყველაზე უწინ ყვავის მოსკოვში. და ეს ყვავილები გარკვევით იკვეთებოდა მის შავ, საგაზაფხულო პალტოზე. მას ყვითელი ყვავილები მოჰქონდა! ცუდი ფერია! ტვერიდან ჩიხში შეუხვია და მოიხედა. ტვერი ხომ იცით? იმ დღეს ათასი კაცი მაინც მიაბიჯებდა ქუჩაში, მაგრამ გეფიცებით, მხოლოდ მე დამინახა და შემომხედა, შემშფოთებით კი არა, როგორღაც ავადმყოფურად. და მე მხოლოდ მისმა სილამაზემ კი არ გამაოცა, არამედ თვალეხში ჩაღვრილმა უჩვეულო, აქამდე უნახავმა მარტოობამ!

ამ ყვითელ ნიშანს დამონებულმა მეც შევუხვით ჩიხში და ფეხდაფეხ გავყევი. უსიტყვოდ მივაბიჯებდით დაკლაკნილ, მოწყენილ ჩიხში. მე ერთ მხარეს, ის კი – მეორე მხარეს. და, დამერწმუნეთ, სულიერი არ ჰაჰანებდა ქუჩაში. ვიტანჯებოდი, მომეჩვენა, რომ აუცილებლად უნდა გამოვლაპარაკებოდი, მივხვდი, თუ ვერაფერს ვეტყვოდი, წავიდოდა და მეტად ველარასოდეს ვნახავდი...

წარმოიდგინეთ, უცებ თვითონ შემომეხმინა:

– მოგწონთ ჩემი ყვავილები?

ცხადია მახსოვს, როგორ ჟღერდა მისი ხმა, შედარებით დაბალი, მაგრამ მთრთოლარე, და რაოდენ სულელურიც უნდა იყოს, მომეჩვენა, ექომ იქუხა ჩიხში და ყვითელ, ჭუჭყიან კედლებს შეასკდა. მე სწრაფად გადავჭერი ქუჩა, მივუახლოვდი და ვუთხარი:

– არა.

გაოცებულმა შემომხედა, მე კი უეცრად, სრულიად მოულოდნელად, ვიგრძენი, რომ მთელი სიცოცხლე მხოლოდ ეს ქალი მიყვარდა! რა საოცარია, არა? თქვენ, რაღა თქმა უნდა, მეტყვით, ხომ არ გაგიჟებულხართო?

– არაფერსაც არ გეუბნებით, – წამოიძახა ივანმა და დასძინა, – გემუდარებით, განაგრძეთ!

სტუმარმაც განაგრძო:

– დიახ, მან გაოცებულმა შემომხედა, მერე კი მკითხა:

– საერთოდ არ გიყვართ ყვავილები?

მომეჩვენა, რომ მტრულად მკითხა. მე გვერდით მივყვებოდი, ვცდილობდი, არ ჩამოვრჩენოდი და, ჩემდა გასაოცრად, სრულიად არ ვგრძნობდი უხერხულობას.

– არა, ყვავილები მიყვარს, მაგრამ არა ასეთი, – ვუთხარი.

– აბა, როგორი?

– ვარდები მიყვარს.

უეცრად ვინანე, ეს რომ ვთქვი, მან დამნაშავესავით გაიღიმა და ყვავილები არხში მოისროლა. ოდნავ დავიბენი, მაინც ავიღე თაიგული და მივაწოდე, მან ჩაიცინა, ხელი ამიკრა და ყვავილები ხელში შემატოვა.

ასე მდუმარედ მივდიოდით ერთხანს, ვიდრე მან ყვავილები არ გამომართვა, ქვაფენილზე არ დაყარა, შემდეგ შავთათმანიანი ხელი მკლავში გამიყარა და გვერდით გამომყვა.

– შემდეგ? – ჰკითხა ივანმა, – ძალიან გთხოვთ, არაფერი გამოგრჩეთ.

– თვითონაც შეგეძლოთ მიმხვდარიყავით, – მან ეული კურცხალი შეიწმინდა მარჯვენა სახელოთი და განაგრძო, – წინ სიყვარული გადაგვეღობა, როგორც მოულოდნელად მოსახვევში გადაგეღობება ხოლმე მკვლელი, და ორივე განგვგმირა!

ასე ელვა გამირავს ან ფინური დანა!

ის მოგვიანებით მიმტკიცებდა, რომ ვცდებოდი, რომ ჩვენ ერთმანეთი, ცხადია, ოდითგან გვიყვარდა, თუმცა არ ვიცნობდით ერთმანეთს, თვალის არ მოგვეკრა ერთმანეთისთვის და ის სხვა კაცის ცოლი იყო, მე კი, იქ, მაშინ... იმასთან, რა ჰქვია...

– ვისთან? – ჰკითხა უსახლკარომ.

– იმასთან... აი, იმასთან... აი... – უპასუხა სტუმარმა და თითები აატკაცუნა.

– მეუღლე გყავდათ?

– დიახ, ხედავთ, თითებს ვატკაცუნებ... ისა... ვარენკა... მანეჩკა... არა, ვარენკა ერქვა... ზოლიანი კაბაც ეცვა... მუზეუმში... თუმცა, აღარ მახსოვს...

მარწმუნებდა, იმ დღეს ყვითელი ყვავილები იმიტომ ეჭირა, რომ ბოლოს და ბოლოს, მიმეგნო მისთვის და თუ ვერ ვიპოვიდი, თავს მოიწამლავდა, იმდენად უაზრო იყო მისთვის სიცოცხლე.

დიახ, სიყვარული მოულოდნელად ჩამოგვემხო თავზე. ეს იმავე დღეს ვიცოდი, ერთი საათის შემდეგ, როცა ვერც კი შევნიშნეთ, ისე აღმოვჩნდით კრემლის კედელთან, სანაპიროზე.

ჩვენ ისე ვსაუბრობდით, თითქოს გუშინ დავშორდით ერთმანეთს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები ვიყავით. შევთანხმდით, მეორე დღეს ისევ შევხვედროდით, იქვე, მდინარე მოსკოვთან, და შევხვდით კიდევ. მაისის მზე დაგვნათოდა. და მალე, სულ მალე ეს ქალი ჩემი იდუმალი მეუღლე გახდა.

ყოველდღე მოდიოდა ჩემთან, მე კი ლოდინს დილიდან ვიწყებდი. მოლოდინი იმაში გამოიხატებოდა, რომ მაგიდაზე საგნებს ვუცვლიდი ადგილს. ათი წუთით ადრე ფანჯარას მივუჯდებოდი და ვაყურადებდი, როდის გაიჭრიალებდა ძველი ჭიშკარი. უცნაურია: მასთან შეხვედრამდე ჩვენს ეზოში იშვიათად თუ შემოვიდოდა ვინმე, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ახლა კი მეჩვენებოდა, რომ მთელი ქალაქი ამ ეზოსკენ დაძრულიყო. კარიბჭე გაირახუნებდა, გული ჩამწყდებოდა და, წარმოიდგინეთ, ჩემი თავის სიმაღლეზე, ფანჯარაში, ვიღაცის ჭუჭყიანი ჩექმები გამოჩნდებოდა. მლესავის. აბა, ვის რაში სჭირდებოდა მლესავი ჩვენს სახლში? რა უნდა ჰქონოდა გასალესი? რომელი დანები?

ის მხოლოდ ერთხელ შემოდიოდა ჭიშკარში, მანამდე კი ათჯერ მაინც ამიფართხალდებოდა გული. არ გატყუებთ. მერე კი, როცა მისი მოსვლის საათი დაჰკრავდა და ისრები შუადღეს მიუახლოვდებოდა, გული აღარ წყვეტდა ფრიალს, ვიდრე ფანჯარაში სრულიად უნმაუროდ არ გაკრთებოდა ლითონის ბალთებით ბაფთებგადაჭერილი მისი შავი ნატის ფეხსაცმელი.

ხანდახან ცელქობდა, მეორე ფანჯარასთან შეყოვნდებოდა და ფეხსაცმლის ჭვინტით მომიკაკუნებდა მინაზე. მეც იმავე წამს იმ ფანჯარასთან გაგჩნდებოდი, მაგრამ ფეხსაცმელი ქრებოდა, ქრებოდა შუქს აფარებული შავი აბრეშუმი – და მეც კარის გასაღებად გავრბოდი.

არავინ არაფერი იცოდა, ეს შემოძლია დარწმუნებით გითხრათ, თუმცა ასე იშვიათად ხდება ხოლმე. არ იცოდა არც ქმარმა, არც ნაცნობებმა. იმ ძველ სახლში კი, სადაც ეს სარდაფი მქონდა დაქირავებული, ალბათ ხვდებოდნენ, ხედავდნენ, ვიღაც ქალი რომ მოდიოდა ჩემთან, მაგრამ არც გვარი იცოდნენ მისი და არც სახელი.

– მაინც ვინ არის? – ჰკითხა ივანმა, რომელიც ძალზე გაიტაცა ამ უჩვეულო ამბავმა.

სტუმარმა ხელები გაასავსავა, ამით აგრძნობინა, რომ არასოდეს, არავის გაუმხელდა ამ საიდუმლოს და თხრობა განაგრძო.

ივანმა შეიტყო, რომ ოსტატსა და უცნობ ქალს ისე შეჰყვარებოდათ ერთმანეთი, რომ განუყრელნი შექმნილიყვნენ. ის უკვე ლამის ცხადად ხედავდა, ძველი სახლის სარდაფში შეყუჟულ, იასამნის ბუჩქითა და ღობით მუდმივად ჩაბნელებულ ორ ოთახს, წითელი ხის გაქუცულ ავეჯს, ბიუროს და ზედ საათს, ყოველ ნახევარ საათში რომ რეკავდა, შეღებილი იატაკიდან ჭერამდე ასვეტილ წიგნის თაროებს, წიგნებს და ღუმელს.

ივანმა ისიც შეიტყო, რომ სტუმარმა და მისმა იდუმალმა მეუღლემ დაახლოებით პირველსავე დღეებში დაასკვნეს, რომ ისინი ბედმა შეახვედრა ტვერისა და იმ ჩიხის კუთხეში, რადგან ერთმანეთისთვის იყვნენ გაჩენილები.

სტუმრის ნაამბობიდან ისიც შეიტყო, როგორ ატარებდნენ დღეს შეყვარებულები. ქალი მოსვლისთანავე წინსაფარს აიფარებდა და იმ ვიწრო წინკარში, სადაც ის ხსენებული ბაკი იდგა და რომლითაც ესოდენ ამყობდა საბრალო ავადმყოფი, ხის მაგიდაზე ნათურას ანთებდა, საუზმეს ამზადებდა და პირველ ოთახში, ოვალურ მაგიდაზე შლიდა სუფრას. როცა მაისის ჭექა-ქუხილი ბობოქრობდა, დაცვარული ფანჯრების მიღმა ხმაურით მოშხუოდა წყალი და მათ უკანასკნელ თავშესაფარს დატბორვით ემუქრებოდა, შეყვარებულები ღუმელს ანთებდნენ და კარტოფილს წვავდნენ. კარტოფილს ორთქლი ასდიოდა, შავი კანი თითებს უსვრიდათ, სარდაფში სიცილი ისმოდა, ბაღში წვიმაგადავლილი ხეები ჩამომტვრეულ რტოებს – თეთრ ფუნჯებს – იცილებდნენ. მერე კი ჭექა-ქუხილის დრომ რომ გადაიარა და სულის შემხუთველი ზაფხული დადგა, ლარნაკში დიდხანს ნანატრი და ორივესთვის ძვირფასი ვარდები გაჩნდა.

ის, ვინც თავს ოსტატს უწოდებდა, მუშაობდა, ქალს კი თხელი, წამახულფრჩხილებიანი თითები თმაში შეეყარა და კითხულობდა, კითხვას რომ დაამთავრებდა, აი, ამ ქუდს უკერავდა. ხანდახან ქვედა თაროებთან ჩაცუცქდებოდა ან სკამზე შედგებოდა და ნაჭრით წმენდდა წიგნის დამტვერილ ყუებს. ის უწინასწარმეტყველებდა დიდებას, აჩქარებდა და სწორედ მაშინ დაუძახა პირველად „ოსტატი“. ის სულმოუთქმელად ელოდა ამ შეპირებულ, უკანასკნელ სიტყვებს იუდეველთა მეხუთე პროკურატორზე, წამღერებით, ხმამაღლა იმეორებდა ხოლმე ცალკეულ ფრაზებს, ყველაზე მეტად რომ მოსწონდა და ამბობდა, რომ ამ რომანში იყო დაფარული მისი სიცოცხლის არსი.

რომანი აგვისტოში დასრულდა, ვიღაც უსახელო მემანქანეს გადაეცა და მანაც ხუთ ცალად გადაბეჭდა. და ბოლოს, დადგა ის ჟამიც, როცა ოსტატს საიღუმლო საფარი უნდა დაეტოვებინა და ხალხში გამოსულიყო.

– და მეც გავედი ხალხში, ხელში ატატებული მიმქონდა წიგნი და... იმ დღეს დასრულდა ჩემი სიცოცხლე, – ჩაიჩურჩულა ოსტატმა, თავი ჩაქინდრა და დიდხანს, ნაღვლიანად ირწეოდა შავ ქუდზე ამოქარგული ასო „M“. შემდეგ თხრობა განაგრძო, მაგრამ უკვე აბნეულად. მხოლოდ იმის გარკვევა შეიძლებოდა, რომ ამ დღიდან ივანის სტუმარს რაღაც უბედურება შემთხვეოდა.

– მაშინ პირველად მოვხვდი ლიტერატურულ სამყაროში, თუმცა ახლაც კი, როცა ყველაფერი დასრულდა და ჩემი ბედიც გარკვეულია, ჟრუანტელი მივლის გახსენებისას! – საზეიმოდ განაცხადა ოსტატმა და ხელი ზეაღმართა, – დიახ, მან უკიდურესად გამაოცა, ო, რომ იცოდეთ, როგორ გამაოცა!

– ვინ? – ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა ივანმა, არ უნდოდა, სიტყვა გაეწყვეტილებინა აღელვებული მთხრობელისათვის.

– რედაქტორმა, აკი გითხარით, რედაქტორმა. მოკლედ, ჩემი რომანი წაიკითხა. ისე მიცქეროდა, თითქოს ლოყა მქონდა დასივებული, როგორღაც კედლისკენ აცეცებდა თვალებს და დაბნეულმა, ყოვლად უადგილოდ ჩაიციხა კიდეც. ფურცლებს ჭმუჭნიდა და კრუსუნებდა. მისი შეკითხვები სულელური მეჩვენა. არსებითად, რომანზე არაფერი უთქვამს. მეკითხებოდა, ვინ ვიყავი, საიდან მოვედი, რა ხანია, რაც ვწერ და რატომ აქამდე არაფერი გაეგო ჩემ შესახებ, დაბოლოს, მთლად იდიოტური კითხვა დამისვა: ვინ შთამაგონა ვესოდენ უცნაურ თემაზე დამეწერა რომანი?

ბოლოს მომბეზრდა ეს ყველაფერი და პირდაპირ ვკითხე, დაბეჭდავდა თუ არა რომანს.

მას ნირი წაუხდა, რაღაცის ბურღლუნს მოჰყვა და განმიცხადა, რომ თვითონ პირადად ვერ გადაწყვეტდა ამ საკითხს, ჩემს ნაწარმოებს სარედაქციო კოლეგიის დანარჩენი წევრებიც უნდა გასცნობოდნენ, კერძოდ კი, კრიტიკოსები ლატუნსკი და არიმანი და ლიტერატორი მსტისლავ ლავროვიჩი. მან მთხოვა, ორ კვირაში შემევლო.

ორი კვირის შემდეგ მივედი და ერთმა ქალიშვილმა მიმიღო, მუდმივი ტყუილებით თვალები რომ ჰქონდა დაელმებული.

– ეგ ლაჰშენიკოვაა, რედაქციის მდივანი, – ჩაიციხა ივანმა, რომელიც კარგად იცნობდა იმ სამყაროს, ასეთი გაბოროტებით რომ აღწერდა სტუმარი.

– ალბათ, – დაეთანხმა ისიც, – ჰოდა, მან გადმომცა უკვე საკმაოდ შელახული და გაქუცული ჩემი რომანი. ლაპშენიკოვა ყოველ ღონეს ხმარობდა, თვალი არ გაესწორებინა ჩემთვის და ასე თვალდახრილმა მომახსენა, რომ რედაქცია ორი წლის მასალებით იყო უზრუნველყოფილი და ამიტომაც ჩემი რომანის დაბეჭდვის საკითხი, როგორც თქვა, გამოირიცხა.

– კიდევ რა მახსოვს ამის შესახებ? – ბუტბუტებდა ოსტატი და საფეთქლებს იზელდა, – სატიტულო ფურცელზე ჩამოცვენილი წითელი ფოთლები და კიდევ ჩემი მეგობრის თვალეხი. ჰო, აი, ის თვალეხი მახსოვს.

ივანის სტუმრის მონათხრობი სულ უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდებოდა, თანდათან უფრო მოჭარბდა უთქმელი. სტუმარი რაღაცას ყვებოდა ირიბად მოწუნწუნზე წვიმასა და სასოწარკვეთილებაზე სარდაფში, იმაზე, როგორ მივიდა კიდევ სადღაც. ჩურჩულით ყვებოდა, რომ სწორედ მისი მეგობარი მოუწოდებდა ბრძოლისაკენ, მაგრამ ახლა სულაც არ ადანაშაულებს, ო, არა, არ ადანაშაულებს!

– მახსოვს, მახსოვს, გაზეთის ის ჩანართი, წყეული გვერდი, – ბუტბუტებდა სტუმარი, ჰაერში ორი თითით ხაზავდა გაზეთის გვერდს და შემდგომი არეული მონათხრობიდან ივანი მიხვდა, რომ სხვა რედაქტორს იმ კაცის რომანის დიდი ნაწილი გამოეჭყეყნებინა, ვინც თავს ოსტატს უწოდებდა.

შემდეგ შეიტყო, რომ ორი დღეც არ იყო გასული, სულ სხვა გაზეთში კრიტიკოს არიმანის სტატია დაბეჭდილიყო, რომელსაც „რედაქტორის ფრთას ამოფარებული მტერი“ ერქვა. ამ სტატიაში ნათქვამი იყო, რომ ივანის სტუმარს რედაქტორის წინდაუხედაობითა და უცოდინარობით ესარგებლა და პრესაში იესო ქრისტეს აპოლოგიის შემოტანა უცდია.

– ა, მახსოვს, მახსოვს! – წამოიძახა ივანმა, – თქვენს გვარს კი ვერ ვიხსენებ!

– გიმეორებთ, თავი დაანებეთ ჩემს გვარს, ის აღარ არსებობს! – უპასუხა სტუმარმა, – ეგ არ არის მთავარი. მეორე დღეს, ახლა სხვა გაზეთში, მსტისლავ ლავროვიჩის სტატია გაჩნდა, სადაც ავტორი მკითხველს სთავაზობდა, დაეცხოთ და მაგრადაც დაეცხოთ პილატშიჩინისათვის და იმ ღმერთიჯღაბნიასათვის, რომელიც პრესაში ცდილობდა გამოეჩინა (ისევ ეს წყეული სიტყვა) პილატეს აპოლოგია.

ამ სიტყვამ, „პილატშიჩინამ“ გამოაგნა და მომდევნო გაზეთი გადავშალე. იქ ორი სტატია აღმოჩნდა: ერთი ლატუნსკის, მეორეს კი ვილაც „ნ. ე. „ აწერდა ხელს. დამერწმუნეთ, არიმანისა და ლავროვიჩის წერილები ხუმრობად შეიძლებოდა მოგჩვენებოდათ ლატუნსკის ნაჯღაბნთან შედარებით. საკმარისია გითხრათ, რომ ლატუნსკის სტატიას „მებრძოლი სტაროვერი“ ეწოდებოდა. ისე გავერთე საკუთარ თავზე წერილების კითხვით, რომ ვერც კი შევნიშნე (კარის დაკეტვა დამვიწყებოდა), როგორ გამომეცხადა ჩემი იდუმალი მეუღლე სველი ქოლგითა და სველივე გაზეთებით. თვალეხიდან ცეცხლს აფრქვევდა, თითები უკანკალებდა და გაჰყინვოდა. თავდაპირველად სახე დამიკოცნა, შემდეგ მაგიდაზე ხელის ბრაზუნს მოჰყვა და ჩახლეჩილი ხმით გაჰყვიროდა, ლატუნსკის მოვკლავო.

ივანმა რატომღაც მორცხვად დაიკრუტუნა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– და უსიცოცხლო დღეები დაიწყო. რომანი დასრულდა, დასაწერი აღარაფერი მქონდა და ჩვენ, ორივე იმითლა ვცოცხლობდით, რომ ღუმელთან, იატაკზე გაფენილ ნოხზე ვსხდებოდით და ცეცხლის ალს შევცქეროდით. თუმცა ახლა უფრო ხშირად ვმორდებოდით

ერთმანეთს, ის სასეირნოდ მიდიოდა ხოლმე. მე კი უცნაური რაღაც დამემართა, ასეთი რამ ხშირად ხდება ხოლმე ჩემს ცხოვრებაში... მეგობარი გამიჩნდა. დიახ, დიახ, წარმოიდგინეთ, ერთი საზიზღარი თვისება მჭირს, ძნელად ვუახლოვდები ადამიანებს, ეჭვიანი ვარ, მიუნდობელი. და მიუხედავად ამისა, სულში მაინც ჩამიძვრება ხოლმე ვიღაც მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი, გარეგნობით, ეშმაკმა უწყის, რას ჰგავს, მაგრამ სწორედ იმაზე შემვივარდება ხოლმე გული.

ასე მოხდა იმ დაწყევლილ დროსაც. მოულოდნელად ნელა გაიღო ჩვენი ეზოს კარი, ისიც მახსოვს, შემოდგომის მშვენიერი დღე იდგა. ჩემი მეუღლე შინ არ იყო. ჭიშკარში ვიღაც კაცი შემოვიდა, ჩემს მენაშენესთან ჰქონდა საქმე. შემდეგ ბაღში ჩამოვიდა და როგორღაც ძალიან ადვილად დამიახლოვდა. თავი ჟურნალისტად გამაცნო. წარმოიდგინეთ, ეს კაცი იმდენად მომეწონა, რომ დღემდე მახსოვს და მენატრება კიდევ. შემდეგ ხშირად მოდიოდა ხოლმე ჩემთან. შევიტყვე, რომ უცოლო იყო, ჩემ გვერდით ცხოვრობდა, თითქმის ასეთსავე სარდაფში, მაგრამ ევიწროებოდა. რატომღაც თავისთან არ მპატიჟებდა. ჩემს მეუღლეს საოცრად არ მოეწონა ჩემი ახალი მეგობარი, მაგრამ მე თავგადაკლული ვიცავდი. ბოლოს მითხრა:

– შენი ნებაა, მაგრამ გეუბნები, რომ ეს ადამიანი ჩემზე ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მე გამეცინა. ჰო, მაინც რითი მიმიზიდა ამ კაცმა? იცით, ვერ ვეგუები, როცა ადამიანს საკუთარ ნაჭუჭში, შიგნით, რაღაც მოულოდნელი არა აქვს, ეს მოულოდნელი კი თავის ნაჭუჭში ალოიზს (დამავიწყდა მეთქვა, ჩემს ახალ მეგობარს ალოიზ მაღარიჩი ერქვა), ბლომად ჰქონდა. კერძოდ, მანამდე არ შევხვედრივარ და, დარწმუნებული ვარ, ვეღარც შევხვდები ისეთ ჭკვიან კაცს, როგორც ალოიზი იყო. მე თუ ვერ ვხვდებოდი გაზეთში გამოქვეყნებული რომელიმე შენიშვნის აზრს, ალოიზი წუთში ამიხსნიდა, თანაც ეტყობოდა, ახსნა სულაც არ უჭირდა. იგივე შეიძლება ითქვას ცხოვრებისეულ მოვლენებზეც. თუმცა მთავარი ის იყო, რომ ალოიზმა ლიტერატურის დიდი სიყვარულით მომაჯადოვა. მანამ არ მომასვენა, ვიდრე თავიდან ბოლომდე არ წამაკითხა რომანი, ამასთან, ერთობ შემაქო, მაგრამ გასაოცარი სიზუსტით გაიმეორა რედაქტორის ყველა შენიშვნა, თითქოს ჩვენს საუბარს ესწრებოდაო. ასიდან ასში ახვედრებდა. ამას გარდა, სრულიად ზუსტად განმიმარტა, რატომ ვერ დაიბეჭდებოდა ჩემი რომანი და მეც მივხვდი, სიმართლეს მეუბნებოდა. პირდაპირ მითხრა: ესა და ეს თავი არ დაიბეჭდებაო.

სტატიები არ წყდებოდა. თავდაპირველად ვიცინოდი, მაგრამ, რაც მეტი სტატია იბეჭდებოდა, მით მეტად მეცვლებოდა გუნება. მეორე ეტაპი გაოცება იყო. ამ სტატიების მრისხანე და დამაჯერებელი ტონის მიუხედავად, რაღაც უკიდურესად ყალბი და თვითდაეჭვებული იგრძნობოდა ყოველ სტრიქონში. ერთთავად მეჩვენებოდა, და ამ შეგრძნებას ვერაფრით ვიშორებდი, რომ ამ სტატიების ავტორები იმას არ ამბობდნენ, რასაც ფიქრობდნენ და მათი აღშფოთების მიზეზიც ეს იყო. შემდეგ კი მესამე ეტაპი დადგა – შიში. არა, ამ სტატიების შიში კი არ დამჩემდა, არამედ რაღაც განყენებულის, სრულიად რომ არ ენებოდა არც სტატიებსა და არც რომანს. სიბნელის მეშინოდა. ერთი სიტყვით, ფსიქიურად ვსწრაფობოდი. ძილის წინ თუ პატარა ოთახში ლამპას ჩავაქრობდი, მეჩვენებოდა, რომ ფანჯრიდან რაღაც რვაფეხა მოცოცავდა გრძელი და ცივი საცეცებით. იმ დროიდან ღამლამობით შუქს აღარ ვაქრობ ხოლმე.

ჩემი სატრფოც ძალიან შეიცვალა (რვაფეხაზე, ცხადია, მისთვის არაფერი მითქვამს, მაგრამ მატყობდა, რომ რაღაც უბედურება მჭირდა), გახდა და ფერი დაკარგა, აღარ კისკისებდა და ერთთავად იმას მემუდარებოდა, მეპატიებინა, ნაწყვეტების დაბეჭდვა რომ მირჩია.

მთხოვდა, ყველაფერი მიმეტოვებინა და იმ ასი ათასიდან დარჩენილი ფულით, სამხრეთში, შავ ზღვაზე გავმგზავრებულიყავით.

დაჟინებით მთხოვდა გამგზავრებას, მე კი, რომ აღარ მეკამათა (თითქოს ვგრძნობდი, რომ შავ ზღვაზე ვერ წავიდოდი), შევპირდი, დღე-დღეზე გავმგზავრებით-მეთქი. მაგრამ მან აიჩემა, მე თვითონ ავიღებ ბილეთებსო. მაშინ მთელი ფული ამოვიღე, ესე იგი, დაახლოებით ათი ათასი მანეთი და მას მივეცი.

– ამდენი რად მინდა? – გაოცდა ის.

რადაც მივუკიბ-მოვუკიბე, თითქოს ქურდების მეშინოდა და ვთხოვე, გამგზავრებამდე შეენახა. მან ფული გამომართვა, ჩანთაში ჩადო, შემდეგ კი დიდხანს მკოცნიდა და მეუბნებოდა, რომ მისთვის სიკვდილზე ძნელი იყო ამ მდგომარეობაში ჩემი დატოვება, მაგრამ აუცილებლად უნდა წასულიყო, მას ელოდნენ და ისიც ძალაუნებურად უნდა დამორჩილებოდა აუცილებლობას. მაგრამ ხვალ მოვიდოდა, თან მთხოვდა, არაფრის შემშინებოდა.

ეს სალამოსპირზე მოხდა, ოქტომბრის შუა რიცხვებში. ჩემი სატრფო წავიდა. მე ტახტზე წამოვწეკი და ჩამეძინა. შუქი არ ამინთია და იმ შეგრძნებით გავიღვიძე, რომ რვაფეხა უკვე ოთახში იყო. სიბნელეში ხელის ფათურით, რის ვაივავგლახით ავანთე ნათურა. ჯიბის საათი ღამის ორს უჩვენებდა. უგუნებოდ დავწეკი დასაძინებლად და მძიმე ავადმყოფმა გავიღვიძე. უეცრად მომეჩვენა, რომ შემოდგომის უკუნი მინებს შემოღეწავდა, ოთახში ჩამოიღვრებოდა და ამ უკუნში, როგორც მელანში, ისე დავიხრჩობოდი. თავს ველარ ვერეოდი. წამოვიყვირე და სადღაც გაქცევა მომინდა, თუნდაც ზედა სართულზე, ჩემს მენაშენესთან. შეშლილივით ვებრძოდი თავს. მაინც მეყო ძალა, ღუმელთან მივსულიყავი და ცეცხლი ამენტო. თითქოს გულზე მომეშვა, როცა შეშა ატკაცუნდა და ღუმელის კარი ახტუნავდა. წინკარში გავვარდი, იქაც ავანთე შუქი, ღვინის ბოთლი მოვძებნე, გავხსენი და პირდაპირ ბოთლიდან დავლიე. ღვინომ ოდნავ დამიცხრო შიში – იმდენად მაინც, რომ მენაშენესთან არ გავქცეულვარ, ისევ ღუმელთან მივბრუნდი. კარი გამოვალე, სიმზურვალემ სახე და ხელები დამიწვა და ავჩურჩულდი:

– მიხვდი, რომ უბედურება შემემთხვა, მოდი, მოდი, მოდი!

მაგრამ არავინ მოდიოდა. ღუმელში ცეცხლი ბუბუნებდა, ფანჯრებს წვიმა ეხეთქებოდა. და მაშინ უკანასკნელიც აღსრულდა. მაგიდის უჯრიდან გადაბეჭდილი რომანი და ხელით ნაწერი რვეულები ამოვიღე და ერთიმეორის მიყოლებით შევყარე ღუმელში, დავწვი. ეს საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა, რადგან ნაწერი ფურცლები ძალზე უწადილოდ იწვოდა. რვეულებს ფრჩხილების მტვრევით, შუაზე ვხევდი, ერთიმეორეზე ვაწყობდი შეშებს შორის და ასტამით ვფურცლავდი. ფერფლი დროდადრო სახეში მეყრებოდა, ალი სულს მიხუთავდა. მე კი ცეცხლს ვებრძოდი და რომანიც, დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც იღუპებოდა. ნაცნობი სიტყვები კრთებოდა ჩემ თვალწინ, სიყვითლე დაუოკებლად ნთქავდა ფურცლებს ქვევიდან ზევით, მაგრამ სიტყვები ამ სიყვითლიდანაც დაჟინებით მოიწევდნენ ზედაპირისკენ, და მხოლოდ მაშინლა ქრებოდა, როცა ქაღალდი ერთიანად ჩაინავლებოდა და ასტამით დავაქუცმაცებდი.

უცებ ვილაცამ გააფხაჭუნა მინაზე. გული გამეპარა. უკანასკნელი რვეული ცეცხლში მოვისროლე და კარის გასაღებად გავიქეცი. სადარბაზოდან ეზოში გამავალი კარისკენ აგურის კიბე ადიოდა. ბორძიკ-ბორძიკით მივირბინე კართან და ვიკითხე:

– ვინ არის?

და ხმამ, ჩემი სატრფოს ხმამ, მიპასუხა.

– მე ვარ.

აღარ მახსოვს, რა მოვუხერხე ჯაჭვსა და გასაღებს. როგორც კი შემოაბიჯა, თავით ფეხამდე გალუმპული, ლოყებდაცვარული და თმაგაწეწილი მომეკრო. მე მხოლოდ ერთ სიტყვას ვიმეორებდი:

– შენ... შენ? – მერე ხმა ჩამიწყდა და ქვევით ჩავირბინე. მან წინკარში მოისროლა პალტო და ჩვენ სწრაფად შევედით პირველ ოთახში. უცებ კივილით ეცა ღუმელს და უკანასკნელი, გვერდებშემომწვარი რვეული შიშველი ხელით გამოიღო. იმავ წამს ბოლმა აავსო ოთახი, მე ფეხით ჩავაქრე ცეცხლი, ის კი ტახტზე დაეცა და თავშეუკავებლად, მწარედ აქვითინდა.

მერე, როცა დამშვიდდა, ვუთხარი:

– მე შემძაგდა ეს რომანი და მეშინია. ძალიან ავად ვარ.

– ღმერთო, რა ცუდად ხარ, – მითხრა მან, – რისთვის, რისთვის? მე შენ გადაგარჩენ, გადაგარჩენ. ღმერთო, რა საშინელებაა!

ვხედავდი ბოლითა და ტირილით შემუშებულ მის თვალებს და მისი თითების ალერსიან შეხებას ვგრძნობდი შუბლზე.

– მე შენ გაგკურნავ, გაგკურნავ, – მეჩურჩულებოდა და მთელი ტანით მეკვროდა, – და შენ აღადგენ რომანს. ერთი პირი მაინც რატომ არ დამიტოვე, რატომ? – გამწარებული ბუტბუტებდა რაღაცას, შემდეგ ტუჩები მოკუმა და გვერდებშემომწვარი ფურცლების დალაგებას და გასწორებას შეუდგა. ერთ-ერთი თავი იყო შუა რომანიდან, აღარც კი მახსოვს, რომელი. მან გულმოდგინედ დააღაგა შემომწვარი ფურცლები, ქალაქში გაახვია და ზონარი გადაუჭირა. მისი მოქმედება მიდასტურებდა, რომ თავს მოერია და წინ ველარაფერი დაუდგებოდა. შემდეგ ღვინო მომთხოვა, დალია და უფრო მშვიდად მითხრა:

– აი, ასე ვზღავთ ხოლმე ტყუილს. მე აღარ მინდა სიცრუეში ცხოვრება. ახლაც შენთან დავრჩებოდი, მაგრამ არ მინდა ასე წამოვიდე. არ მინდა, სამუდამოდ დაამახსოვრდეს, რომ ღამით გამოვექეცი. ჩემს ქმარს ჩემთვის არაფერი დაუშავებია. ახლაც მოულოდნელად გამოიძახეს, ქარხანაში ცეცხლი გაჩნდა. მაგრამ მალე დაბრუნდება. ხვალ დილას ყველაფერს ავუხსნი, ვეტყვი, რომ სხვა მიყვარს და შენთან გადმოვალ საცხოვრებლად. ოღონდ ჯერ ის მითხარი, იქნებ არც გინდა, შენ გვერდით რომ ვიყო?

– საბრალოვ, ჩემო საბრალოვ, – ვუთხარი მე, – ამის უფლებას არასოდეს მოგცემ. ვინ იცის, რა მელის და არ მინდა, ჩემთან ერთად დაიღუპო.

– მიზეზი მხოლოდ ეგ არის? – მკითხა მან და თვალებში ჩამხედა.

– მხოლოდ.

ღამის გადაირია სიხარულით, მომეკრა, კისერზე ხელები შემომხვია და მითხრა:

– მეც შენთან ერთად დავიღუპები. დილას მოვალ.

და უკანასკნელი, რაც ჩემი ცხოვრებიდან მახსოვს – წინკარში გაღვრილი სინათლის სვეტი და ამ სვეტში გაშლილი თმა, მისი ბერეტი და მტკიცე გადაწყვეტილებით სავსე თვალები იყო. კიდეც მახსოვს, ჰარმალზე, კართან, შავი სილუეტი და თეთრი შეკვრა.

– გაგაცილებდი, მაგრამ უკვე ღამით სიარულის მეშინია.

– ნუ შიშობ. სულ რამდენიმე საათს გაუძელი. ხვალ დილით შენთან ვიქნები, – უკანასკნელად მითხრა მან.

– ჩუ! – უცებ თხრობა შეწყვიტა ავადმყოფმა და თითი ასწია, – შფოთიანი მთვარიანი ღამეა დღეს.

სტუმარი აივანზე გაუჩინარდა. ივანმა გაიგონა, დერეფანში როგორ მიგორავდა ბორბლები, მერე ვიღაცამ ამოისლოკუნა თუ სუსტად წამოიყვინა.

როცა ყველაფერი მიწყნარდა, სტუმარი ისევ დაბრუნდა და აცნობა, რომ 120-ე ოთახში ახალი ბინადარი შეესახლებინათ. ვიღაც კაცი მოეყვანათ, რომელიც თავის დაბრუნებას ითხოვდა. ორივე შემოფოთებული იჯდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, ოდნავ რომ დამშვიდდნენ, შეწყვეტილი საუბარი განაგრძეს. სტუმარმა ის იყო პირი დაალო და რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ღამე მართლაც შფოთიანი აღმოჩნდა. დერეფნიდან ისევ მისწვდათ ხმები და სტუმარმა ჩურჩულით განაგრძო თხრობა, იმდენად ჩუმად, რომ საუბრის დასაწყისის გარდა არავის არაფერი გაუგონია:

– მისი წასვლიდან თხუთმეტიოდე წუთში, სარკმელზე მომიკაკუნეს...

ის, რასაც ყურში ეჩურჩულებოდა, ალბათ ძალიან აწუნებდა ავადმყოფს, სახე ემანჭებოდა, თვალებში შიში და მრისხანება ედგა. მთხრობელი სადღაც იქით, მთვარისკენ იშვერდა ხელს, რომელიც დიდი ხნის წინ გასცლოდა აივანს. და როცა გარედან შემოჭრილი ბგერები მიიღია, სტუმარი ივანს მოშორდა და ისევ ჩურჩულით განაგრძო:

– ჰოდა, შუა იანვარს, ღამით, იმავე პალატოთი, ოღონდ დაწყვეტილი ღილებით, ჩემს ეზოში ვიდექი და ყინვისგან ვიბუზებოდი. ზურგს უკან თოვლის ზვინს დაეფარა იასამნის ბუჩქი, წინ კი, ქვევით – სუსტად განათებული, ფარდებჩამოფარებული ჩემი ფანჯრები მოჩანდა. პირველ ფანჯარასთან დავიხარე და მივაყურადე – ჩემს ოთახში პატეფონი უკრავდა. მხოლოდ ამას მოვკარი ყური, მაგრამ ვერაფერი დავინახე. ერთხანს გაუნძრევლად ვიდექი, მერე ჭიშკრიდან ჩიხში გავედი. ჩიხში ქარბუქი დათარეშობდა. ფენებში ძალღი მეცა და იმდენად შემაშინა, მოპირდაპირე მხარეს გადავირბინე. ჩემი მუდმივი თანამგზავრები – სიცივე და შიში – თავზარს მცემდა. წასასვლელი არსად მქონდა და, რა თქმა უნდა, უფრო იოლი იქნებოდა, იმ ქუჩაზევე შევვარდნოდი ტრამვაის, სადაც ჩემი ჩიხი გადიოდა. შორიდან ვხედავდი იმ გაჩირაღდებულ, გაყინულ ყუთებს და მათი შემზარავი ღრჭიალი ჩამესმოდა. მაგრამ, ჩემო ძვირფასო მეზობელო, მთელი უბედურებაც ის გახლდათ, რომ შიში ყველა უჯრედში გამჯდომოდა. და ისევე, როგორც ძაღლისა, ტრამვაისაც მეშინოდა. დიან, ჩემს ავადმყოფობაზე უფრო საშინელი ავადმყოფობა ამ შენობაში არ მოიძებნება, დამერწმუნეთ.

– ხომ შეგეძლოთ, იმ ქალისთვის შეგეტყობინებინათ, – თანაგრძნობით უთხრა ივანმა საბრალო ავადმყოფს, – ამას გარდა, თქვენი ფულიც ხომ მას ჰქონდა? ალბათ აუცილებლად შეგინახავდათ.

– ეჭვიც არ შეგეპაროთ, ცხადია, შემინახავდა, მაგრამ ალბათ ვერ გამიგეთ. ან, უფრო სწორად, მე დავკარგე გადმოცემის უნარი. თუმცა, არ ვნანობ, მაინც აღარაფერში გამომადგება. იმას, – სტუმარმა კრძალვით გახედა ღამის წყვდიადს, – ფსიქიატრიულიდან უნდა მისვლოდა წერილი. განა შეიძლება წერილის გაგზავნა, როცა ასეთი მისამართი გაქვს? სულით ავადმყოფი. ხომ არ ხუმრობთ, მეგობარო? რა უფლება მაქვს გავაუბედურო? არა, არა, ამას ვერ ვიზამ!

ივანმა ვერაფრით უარყო ნათქვამი, მაგრამ მღუმარედ თანაუგრძნობდა სტუმარს და გული შესტკიოდა. ის კი, მოგონებებით განაწამები, შავქუდიან თავს აკანტურებდა და ასე ამბობდა:

– საბრალო ქალი, თუმცა, იმედი მაქვს, ალბათ უკვე დამივიწყებდა.

– ხომ შეიძლება გამოჯანმრთელდეთ... – გაუბედავად უთხრა ივანმა.

– მე ვერ განვიკურნები, – მშვიდად უპასუხა სტუმარმა, – იცით, სტრავინსკი მიმტკიცებს, რომ ცხოვრების ხალისს დამიბრუნებს, მაგრამ არ მჯერა. კეთილი კაცია და მამშვიდებს. თუმცა, არ უარვყოფ, რომ ახლა შედარებით უკეთ ვგრძნობ თავს. ჰო, რაზე შეეჭრდით? ყინვა, ის მიმიქროლავი ტრამვაი... ვიცოდი, რომ ეს კლინიკა უკვე გახსნილი იყო, მთელი ქალაქი გამოვიარე და ფეხით მოვედი აქ. უგუნურებაა? ქალაქგარეთ ალბათ გავიყინებოდი, მაგრამ უბრალო შემთხვევითობამ მიხსნა. სატვირთო მანქანას რაღაც გაფუჭებოდა, მძღოლს მივუახლოვდი, აქამდე ალბათ ოთხიოდე კილომეტრი მრჩებოდა, ჩემდა გასაოცრად, მძღოლმა შემიბრალა. მანქანა აქეთ მოდიოდა. იმან წამომიყვანა. მხოლოდ მარცხენა ფეხის თითები მომყინოდა. აქ მიმკურნალეს. და აი, უკვე მეოთხე თვეა, აქ ვარ. და იცით, მჯერა, რომ აქ არც ისე ცუდია ყოფნა. დამერწმუნეთ, ჩემო ძვირფასო მეზობელო, დიდი გეგმები არ უნდა დაისახო კაცმა! მე, მაგალითად, მეწადა, მსოფლიო მომეველო. მერე კი გაირკვა, რომ სულაც არ მეწერა ამის გაკეთება. ახლა მხოლოდ დედამიწის ამ უმნიშვნელო ნაწილს ვხედავ. ვგონებ, არც უკეთესი ნაწილია მისი, მაგრამ გიმეორებთ, არც ესაა მთლად ურიგო. მალე ზაფხული დადგება და, როგორც პრასკოვია ფიოდოროვნა გვპირდება, აივანზე სურო აცოცდება. გასაღები ძალიან გამომადგა. ღამღამობით მთვარე ამოდის. აჰ, უკვე ჩასულა! თენდება. შუაღამე გადავიდა. ჩემი წასვლის დროა.

– მითხარით, შემდეგ რა შეემთხვათ იეშუასა და პილატეს? – სთხოვა ივანმა, – გემუდარებით, ძალიან მაინტერესებს.

– ოჰ, არა, არა, – ავადმყოფურად გაღიზიანდა სტუმარი, – რომანს რომ ვიხსენებ, ტანში ჟრუანტელი მივლის. დარწმუნებული ვარ, თქვენი ნაცნობი პატრიარქებიდან ჩემზე უკეთ მოგიყვებოდათ. საუბრისათვის გმადლობთ. ნახვამდის.

და ვიდრე ივანი გონს მოეგებოდა, ჩუმი რაწკუნით მიიკეტა თეჯირი და სტუმარი თვალს მიეფარა.

თავი მეთოთხმეტე

დიდება მამალს!

როგორც იტყვიან, ნერვებმა უმტყუნა რიმსკის, ოქმის ბოლომდე შედგენას აღარ დალოდებია და თავის კაბინეტში შეიმალა. ის მაგიდასთან იჯდა და თვალანთებული დასცქეროდა მაგიდაზე დაყრილ ჯადოსნურ თუმნიანებს. ფინანსურ დირექტორს გონი ებნეოდა. გარედან თანაბარი ბუბუნი აღწევდა. საზოგადოება მდინარესავით გაედინებოდა ვარიეტეს შენობიდან. რიმსკის საოცრად გამახვილებულ სმენას უეცრად მილიციელთა სასტვენის მჭახე ხმა მისწვდა. თავისთავად ეს სტვენა კარგს არასოდეს მოასწავებდა. სტვენა გამეორდა, მერე მეორეც წამოეხმარა – უფრო მბრძანებლური და ხანგრძლივი, შემდეგ კი ცხადლივი ხარხარი და რაღაც ყიჟინაც შეერწყა და ფინანსური დირექტორი მაშინვე მიხვდა, რომ ქუჩაში რაღაც სკანდალური და ამაზრზენი ხდებოდა. არც იმაში შეპარვია ეჭვი, რომ ეს აურზაური, რაგინდ არ ეწადა ამის დავიწყება, მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული იმ საზიზღარ სენსთან, ჯადოქარმა და მისმა თანაშემწეებმა რომ ჩაატარეს. ფინანსური დირექტორი არ შემცდარა.

როგორც კი სადოვანიაზე გამავალ ფანჯარაში გაიხედა, სახე მოექცა და კი არ ჩაიჩურჩულა, წაისისინა:

– ასეც ვიცოდი!

ქუჩის ფარნების ძლიერ შუქში, ქვევით, ქვაფენილზე, მან იისფერსაცვლებიანი და პერანგის ამარა ქალი დაინახა, თუმცა ქალს თავზე ქუდი ეხურა და ხელში ქოლგა ეჭირა.

ამ სრულიად თავზარდაცემული ქალის ირგვლივ, ხან რომ ჩაიცუცქებდა, ხან კი თითქოს სადღაც გაქცევას აპირებდა, ბრბოს მოეყარა თავი და ისე ხორხოცებდა, რიმსკის ტანში გაბურძგლა კიდეც. ქალის შორიახლო ვიღაც მოქალაქე დაფაცურობდა, საგაზაფხულო პალტოს იხდიდა და აღელვებისაგან ვერაფრით მოეხერხებინა სახელოში გაჩხერილი ხელის გამოღება.

ყვირილი და ხორხოცი სხვა მხრიდანაც მოისმა, კერძოდ, მარცხენა სადარბაზოს მხრიდან. გრიგორი დანილოვიჩმა თავი იქით მიაბრუნა და ახლა სხვა, ვარდისფერსაცვლებიანი ქალი დაინახა. ქალი ქვაფენილიდან ტროტუარზე ახტა, სადარბაზოში სცადა დამალვა, მაგრამ თეატრიდან გამოსულმა ხალხმა გზა გადაუღობა და იმ ბილწი ფაგოტის ფირმის მიერ მოტყუებულ, საკუთარი თავქარიანობის და ლაზათიანი ჩაცმის მსხვერპლს ისლა დარჩენოდა, იმაზე ეოცნება – მიწა გასკდომოდა და თან ჩაეტანა. მილიციელები დაზარალებულისკენ მივრბოდნენ, სტვენით ბურღავდნენ ჰაერს, უკან კი ვიღაც მზიარული, კეპიანი ახალგაზრდები მისდევდნენ. სწორედ ისინი როხროხებდნენ და ყიჟინებდნენ ასე საზარლად.

ვიღაც უღვაშა, აწოწილმა ავყიამ პირველსავე გაშიშვლებულ ქალთან მიივრბინა და ის გაჩხიკული, დაოსებული ფაშატი ჩაბლუჯა. თვალეები სინარულით უელავდა.

რიმსკიმ შუბლზე მიირტყა მუშტი, გადააფურთხა და ფანჯარას მოსცილდა.

ერთხანს მაგიდასთან იჯდა და ქუჩის ალიაქოთს აყურადებდა. სხვადასხვა მხრიდან მონადენმა სტვენამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, შემდეგ აურზაური თანდათან ჩაცხრა,

მისდა გასაოცრად, ერთობ სწრაფადაც კი მიწვდებოდა. დრო იყო, ემოქმედა. პასუხისმგებლობის მწარე ფიალა უნდა შეესვა. ტელეფონის აპარატი მესამე მოქმედების დროს შეაკეთეს, ახლა იქ უნდა დაერეკა, სადაც ჯერ არს, და მომხდარი შეეტყობინებინა (დახმარება ეთხოვა, ეცრუა, ყველაფერი ლიხოდევისთვის გადაებრალებინა, ეთვალთმაქცა). ფუი, ეშმაკს! შეწუხებულმა რიმსკიმ ორჯერ წაიღო ხელი ყურმილისაკენ და ორჯერვე ვერ გაბედა აღება. და უეცრად, კაბინეტის სამარისებურ სიჩუმეში ტელეფონი თვითონ აჟღერებდა შემზარავად. ჟღერიალი ფინანსურ დირექტორს შეასკდა სახეში, ისიც შეკრთა და გაიყინა. „ნერვები აღარ მივარგა“, – გაიფიქრა და ყურმილი აიღო. იმავე წამს მოიცილა ყურიდან და ქალღმერთად გადამტკნარდა. ქალის ჩუმმა, შემზარავმა და გარყვნილმა ხმამ ყურმილიდან ჩასჩურჩულა:

– არსად დარეკო, რიმსკი, ინანებ.

ყურმილი იმავე წამს დაცარიელდა. ფინანსურ დირექტორს ჭიანჭველებმა დაუარა ზურგზე, ყურმილი დადო და რატომღაც ზურგს უკან, ფანჯრისკენ გაიხედა. მეჩხერი და ახლახან გაფოთლილი ნეკერჩხლის ტოტებს მიღმა გამჭვირვალე ღრუბლებში მოსრიალე მთვარე დაინახა. რიმსკიმ, რატომღაც, ტოტებზე შეაჩერა მზერა და რაც უფრო მეტს უცქეროდა, მით მეტად ივსებოდა შიშით.

ბოლოს რიმსკიმ თავს სძლია, მთვარით განათებულ ფანჯარას მოაშორა მზერა და წამოდგა. დარეკვაზე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა და ახლა იმაზედა ფიქრობდა – როგორმე სასწრაფოდ გასცლოდა აქაურობას.

მიაყურადა: თეატრის შენობა დუმდა. რიმსკი ანაზღად მიხვდა, რომ კარგა ხანია მარტო იყო მთელ მეორე სართულზე და ამის გაფიქრებისთანავე ბავშვურმა, დაუოკებელმა შიშმა მოიცვა. თავზარდაცემული ფიქრობდა, რომ მარტო უნდა გაევილო დაცარიელებული დერეფანი და კიბეზე ჩასულიყო. ცხროიანივით ეცა ჰიპნოტიზიორის თუმნიანებს, პორტფელში ჩაჩურთა და თავის გასამხნეველად ჩაახველა. ხრინწიანი, სუსტი ხველა გამოუვიდა.

ანაზღად მოეჩვენა, რომ კაბინეტის კარის ქვედა ღრიჭოდან დამყაყებული სინესტის სუნი შემოიჭრა. ტანში თრთოლამ დაუარა, იმავე წამს საათმაც დაიგრგვინა თორმეტჯერ. რეკვამაც შიშის ზარი დასცა. მაგრამ გული საბოლოოდ მაშინ გაეპარა, როცა იგრძნო, რომ კარის საკეტში თითქმის უხმაუროდ გადატრიალდა ინგლისური გასაღები. გაოფლილი, გაყინული ხელებით პორტფელს ჩაფრენილი რიმსკი მიხვდა, თუკი ეს შრიალი კიდეც გაგრძელდებოდა, ველარ გაუძლებდა და შეშლილივით მოჰყვებოდა ყვირილს.

ბოლოს კარი დანებდა ვიღაცის ცდას, გაიღო და კაბინეტში უხმაუროდ შემოვიდა ვარენუხა. რიმსკი უსიტყვოდ ჩაიკეცა სავარძელში – მუხლი მოეკვეთა. მერე ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა, ლამის ლაქუცა ღიმილით გაიღიმა და თქვა:

– ღმერთო ჩემო, როგორ შემაშინე!

ღიან, ეს მოულოდნელი მოჩვენება ვის არ დააფეთებდა, მაგრამ, ამასთან ერთად, დიდი სიხარულიც იყო. ძლივს ერთი ძაფის ბოლო გამოჩნდა ამ აბურდულ საქმეში.

– დროზე, მომიყევი, რა მოხდა! – დაიხრიალა ამ ძაფის ბოლოს ჩაჭიდებულმა რიმსკიმ, – იქნებ მითხრა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?

– თუ შეგიძლია, მაპატიე, – დაგუდული ხმით უპასუხა მოსულმა და კარი მიხურა, – მეგონა, წასული იქნებოდი.

ვარენუხამ ქუდი მოიხადა, სავარძლისაკენ გაეშურა და მაგიდის მოპირდაპირე მხარეს დაჯდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ ვარენუხას ხმაში ოდნავ შესამჩნევი უჩვეულო ბგერები გახმიანდა და ფინანსურ დირექტორსაც, მსოფლიოს არც ერთ სეისმოლოგიურ სადგურს რომ არ ჩამოუვარდებოდა, უსიამოვნოდ გაკენწლა გულში. უცნაურია! რატომღა უნდა შემოსულიყო რიმსკის კაბინეტში, თუ ეგონა, რომ წასული იყო? თავისი კაბინეტი ხომ ჰქონდა? ეს ერთი. მეორეც: რომელი კარიდანაც უნდა შემოსულიყო, აუცილებლად შეხვდებოდა ღამის დარაჯს, ისინი კი გაფრთხილებულები იყვნენ, რომ გრიგორი დანილოვიჩი თავის კაბინეტში მუშაობდა.

მაგრამ ამ უცნაურობებზე დიდხანს აღარ უფიქრია, ამისთვის აღარ ეცალა.

– აქამდე რატომ არ დარეკე? რას ნიშნავს ეს იალტის სისულელები?

– როგორც ვამბობდი, – თითქოს კბილი აწუხებდესო, პირის წკლაპუნით უთხრა ადმინისტრატორმა, – პუშკინოში ნახეს, რესტორანში.

– როგორ თუ პუშკინოში? მოსკოვის გარეუბანში? მაგრამ დეპეშები ხომ იალტიდან მოდიოდა?

– იალტა კი არა, ეშმაკი არ გინდა?! პუშკინოს ტელეგრაფისტი დაუთვრია და ორივე ერთად მაიმუნობდა, დეპეშებს გზავნიდნენ „იალტის“ გრიფით.

– ჰო... ჰო... კეთილი, კეთილი... – კი არ თქვა, თითქოს წაიმღერა რიმსკიმ. თვალეებში მოყვითალო შუქი აუციმციმდა. გონებაში უცებ განათდა სტიოპას სამარცხვინო მოხსნის სცენა. გათავისუფლება! დიდი ხნის ნანატრი და ნალოლიავეები გათავისუფლება იმ ჭირისაგან, რასაც ლიხოდეევი ერქვა! იქნებ სტეპან ბოგდანოვიჩმა მოხსნაზე უარესსაც გამოჰკრას ხელი.

– დაწვრილებით მომიყევი! – უთხრა რიმსკიმ და საქალღდე მაგიდას დაჰკრა.

და ვარენუხამ დაწვრილებით დაიწყო მოყოლა. როგორც კი იქ მივიდა, სადაც ფინანსურმა დირექტორმა გაგზავნა, მაშინვე მიიღეს და დიდი ყურადღებით მოუსმინეს. რა თქმა უნდა, ერთი წუთითაც არ დაუშვიათ, რომ სტიოპა შეიძლებოდა იალტაში ყოფილიყო. მაშინვე ვარენუხას ეჭვს დაეთანხმნენ, რომ ლიხოდეევი აუცილებლად პუშკინოს „იალტაში“ იქნებოდა.

– ახლა სად არის? – სიტყვა შეაწყვეტინა ადმინისტრატორს ფინანსურმა დირექტორმა.

– აბა, სად უნდა იყოს? – ჩაიჭირჭილა ადმინისტრატორმა, – ბუნებრივია, გამოსაფხიზლებელში.

– ჰო! დიდი მადლობა!

ვარენუხა კი თხრობას განაგრძობდა. რაც მეტს ყვებოდა, რიმსკი მით ცხადლივ ხედავდა ლიხოდევის თავხედობისა და უმსგავსობების გრძელ ჯაჭვს, რომელშიც მომდევნო რგოლი წინაზე თავზარდამცემი ჩანდა. თუნდაც პუშკინოს ტელეგრაფის წინ, პატარა მოედანზე, ტელეგრაფისტთან ჩახუტებული ცეკვა რად ღირდა ვიღაც მოხეტიალე მეგარმონის აკომპანემენტის თანხლებით! ან ვიღაც ქალების დევნა, შიშით რომ ჰყიოდნენ? „იალტაში“ მეზუფეტესთან აყალმაყალის დაწყების ცდა? იმავე „იალტაში“ იატაკზე მწვანე ხახვის მოყრა? რვა ბოთლი თეთრი, მშრალი „აი-დანილის“ დამტვრევა! ტაქსის მრიცხველის გატეხვა, რადგან მძღოლმა დროზე არ მიაჩნა მანქანა სტიოპას. მუქარა, დაეპატიმრებინა მოქალაქეები, რომლებიც ცდილობდნენ, სტიოპას აღვირახსნილობა შეეწყვიტათ? ერთი სიტყვით, სრული საშინელება.

სტიოპას კარგად იცნობდნენ მოსკოვის თეატრალურ სამყაროში და ყველამ იცოდა, რა ჩიტიც იყო, მაგრამ რასაც ადმინისტრატორი ყვებოდა, სტიოპასთვისაც მეტისმეტი ჩანდა. დიახ, მეტისმეტი, ზედმეტად მეტისმეტიც...

რიმსკის მსუსხავი მზერა მაგიდის გადაღმა მჯდარი ადმინისტრატორის სახეს შეეყინა და რაც უფრო მეტს ყვებოდა ვარენუხა, მით მეტად იღუშებოდა ეს თვალები, რაც უფრო ცხოვრებისეული და ხატოვანი ხდებოდა ის ბილწი წვრილმანები, ადმინისტრატორი თავის მონათხრობს რომ ალამაზებდა... მით ნაკლებად სჯეროდა ფინანსურ დირექტორს. და როცა ვარენუხამ აუწყა, სტიოპა იმდენად გათავხედებულიყო, რომ მოსკოვში მის დასაბრუნებლად ჩასული იმ ხალხისთვისაც ეცადა წინააღმდეგობის გაწევა, რიმსკიმ უკვე მტკიცედ იცოდა, რომ ყველაფერი, რასაც ამ შუაღამეზე მობრუნებული ადმინისტრატორი უყვებოდა, ცოცხალი ტყუილი იყო! ტყუილი თავიდან ბოლო სიტყვამდე.

ვარენუხა პუშკინოში არ გამგზავრებულა, არც თვით სტიოპა იყო პუშკინოში. არც ტელეგრაფისტი გაღეშილა, არც რესტორანში ჩაუმსხვრევიათ ფანჯარა, არც სტიოპა გაუკოჭავთ თოკით... ამგვარი არაფერი მომხდარა.

როგორც კი ფინანსური დირექტორი მიხვდა, რომ ადმინისტრატორი ატყუებდა, ფენის თითებიდან მთელ ტანში დაუარა შიშმა და კვლავ, უკვე ხელმეორედ შეიგრძნო, რომ იატაკს დამყაყებული ნესტის სუნი გამოჰყვა. თვალმოუშორებლად უცქეროდა ადმინისტრატორს, როგორღაც უჩვეულოდ რომ წრიალებდა სავარძელში, ჯიუტად ცდილობდა მაგიდის ნათურის ცისფერ ჩრდილს არ გასცილებოდა და თითქოს შუქი თვალს სჭრისო, გაზეთით იფარავდა სახეს. ფინანსური დირექტორი ახლა მხოლოდ იმაზედა ფიქრობდა, რას მოასწავებდა ეს ყოველივე, რატომ ატყუებდა ასე ურცხვად ამ დაცარიელებულ და ჩაჩუმებულ შენობაში ესოდენ გვიან მობრუნებული ადმინისტრატორი? და მოსალოდნელი ხიფათის შეგრძნებამ, იდუმალი, მაგრამ საშინელი ხიფათის შეგრძნებამ მოუწურა გული. რიმსკიმ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერც ამჩნევდა ადმინისტრატორის წრიალსა და სახეზე აფარებულ გაზეთს და დაჟინებით დააკვირდა სახეზე. რაღაც უფრო გაურკვეველი თანგავდა ფინანსურ დირექტორს, ვიდრე ეს, ეშმაკმა უწყის, რისთვის გამოგონილი ცილისწამება პუშკინოს თავგადასავლებზე და სწორედ ის რაღაც ვლინდებოდა ადმინისტრატორის გარეგნობასა და ქცევაში.

ძალიან კი იფხატავდა თვალებზე ბატისტუჩა კეპს, ძალიან კი იფარავდა გაზეთს, მაგრამ რიმსკიმ ვარენუხას მარჯვენა ლოყაზე, ცხვირთან უზარმაზარი სილურჯე შენიშნა. თანაც მუდამ ღაჟღაჟა ადმინისტრატორს ახლა ცარცისფერი დასდებოდა, ავადმყოფურად გაფერმკრთალებულიყო, კისერზე კი ამ სულის შემხუთველ ღამეს რატომღაც ძველისძველი, ზოლიანი კაშნი მოეფუთნა. თუკი იმასაც დავუმატებთ, რომ ადმინისტრატორი ამ რამდენიმე საათში პირის წკლაპუნსა და ქშუტუნს დასჩვეოდა, ხმაც საგრძნობლად

გაუხეშებოდა და ჩახლეჩოდა, გამოხედვაც ქურდული და მფრთხალი გახდომოდა, თამამად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ივან საველიევიჩ ვარენუხას ვეღარ იცნობდით.

კიდევ რაღაც უღრღნიდა გულს ფინანსურ დირექტორს, მაგრამ, კერძოდ რა, ვერ მიმხვდარიყო. ერთი კი უყოყმანოდ შეეძლო ეთქვა, რომ იყო რაღაც თვალით შეუმჩნეველი, არაბუნებრივი ვარენუხასა და ამ კარგად ნაცნობი სავარძლის შერწყმაში.

– ჰოდა, ბოლოს დაიმორჩილეს და მანქანაში ჩააგდეს, – ბუბუნებდა ვარენუხა, გაზეთაფარებული თვალებს ბრეცდა და სილურჯის დაფარვას ცდილობდა.

უეცრად რიმსკიმ ხელი გაიშვირა, თითები აათამაშა, თითქოს შემთხვევით შეეხო ელექტროდილაკს და გაშრა, ცარიელ შენობაში აუცილებლად უნდა განმეანებულიყო მჭახე ჟღრიალი. მაგრამ ზარის ხმა არ გაუგია და დილი უსიცოცხლოდ ჩაეშვა მაგიდის ფიცარში. დილი მკვდარი იყო, ზარი – გაფუჭებული.

ვარენუხა მაშინვე მიუხვდა ეშმაკობას, შეკრთა, თვალებში ცხადლივ გაუელვა ბოროტმა ცეცხლმა და ჰკითხა:

– რას რეკავ?

– მექანიკურად დამეჭირა თითი, – დაგუდული ხმით უჰასუნა რიმსკიმ, ხელი უკან გამოსწია და ახლა თავად დაეკითხა აცანცანებული ხმით, – სახეზე რა დაგემართა?

– მანქანა მოსრიალდა და კარის სახელურს მივეჯახე, – თვალი აარიდა ვარენუხამ.

„ცრუობს!“ – გონებაში იყვირა ფინანსურმა დირექტორმა. უეცრად თვალები დაუმრგვალდა, შეეშალა და ვარენუხას სავარძლის საზურგეს მზერა ვეღარ მოსწყვიტა.

სავარძლის უკან, იატაკზე, ორი გადაჯვარედინებული ჩრდილი მოჩანდა, ერთი ფართო და შავი, მეორე – სუსტი და ნაცრისფერი. იატაკზე გარკვევით იკვეთებოდა სავარძლის ზურგისა და მისი წაწვეტებული ფეხების ანარეკლი, მაგრამ ზურგის გაყოლებაზე ვარენუხას თავის ჩრდილი არ ჩანდა, არც ფეხების ჩრდილი მოჩანდა სავარძლის ქვედა ნაწილში.

„ჩრდილი არა აქვს!“ – გონებაში განწირულად იკვილა რიმსკიმ დ გააჟრჟოლა.

ვარენუხამ რიმსკის შეშლილ მზერას გააყოლა მზერა, ქურდულად გახედა სავარძლის საზურგეს და მიხვდა, რომ გამოაშკარავდა.

უცებ წამოდგა სავარძლიდან (ფინდირექტორმაც იგივე გააკეთა), მაგიდას ერთი ნაბიჯით გამოსცილდა და ჰორტფელი ჩაბლუჯა.

– მაინც მიმიხვდი, არა, შე წყეულო! ყოველთვის საზრიანი იყავი, – ბოროტად შესცინა სახეში ფინანსურ დირექტორს, მოულოდნელად კარისკენ ისკუჰა და ინგლისური საკეტი ჩარაზა. დაზაფრულმა რიმსკიმ ოთახს მოავლო თვალი, ბაღში გამავალი ფანჯრისკენ უკან-უკან დაიხია და მთვარით განათებულ ამ ფანჯარაში მინას აკრული შიშველი ქალის სახე და მისი შიშველი ხელი დაინახა, სარკმელში რომ შემოეყო და ფანჯრის ანჯამის განსნას ცდილობდა. ზედა საკეტი უკვე ღია იყო.

რიმსკის მოეჩვენა, რომ მაგიდის ნათურის შუქი მიიღია და თვით მაგიდაც გადაფერდდა. სხეული გაეყინა, მაგრამ მაინც სძლია თავს და დარჩენილი ძალა მხოლოდ იმისთვისღა ეყო, რომ ყვირილით კი არა, ჩურჩულით ეთქვა:

– მიშველეთ...

ვარენუხა კართან დარაჯობდა, ხტუნავდა, კარგა ხნით ყოვნდებოდა ჰაერში და დაკიდებული, აქეთ-იქით ირწეოდა. თან დაკრუნჩხულ თითებს იშვერდა რიმსკისაკენ, სისინებდა, პირს აწკლაპუნებდა და ფანჯარაზე აკრულ ქალს თვალს უკრავდა.

ქალი აჩქარდა, წითური თავი სარკმელში შემოყო, რაც შეეძლო გაჭიმა ხელი, ფრჩხილებით კაწრავდა ქვედა საკეტს და ჩარჩოს აზანზარებდა. მერე ხელი თანდათან დაუგრძელდა და ლპობაშეპარული სიმწვანით დაეფარა. ბოლოს და ბოლოს, მიცვალებულის მწვანე თითები ქვედა საკეტის თავს მისწვდა, შეაბრუნა და ფანჯარა გააღო. რიმსკიმ საცოდავად შეჰყვირა, კედელს აეკრა და პორტფელი სახეზე აიფარა. უკვე ხვდებოდა, რომ სიკვდილი უანლოვდებოდა.

ფანჯარა ყურთამდე გაიღო, მაგრამ ღამის სიგრილისა და ნეკერჩხლის სურნელის ნაცვლად, ოთახში სარდაფის სუნი შემოიჭრა. მიცვალებული რაფაზე შედგა. რიმსკი ცხადლივ ხედავდა მკერდზე დაჩნეულ ხრწნის ლაქებს.

ანაზღად ბალიდან, იმ დაბალი შენობიდან, ტირის უკან რომ იდგა და პროგრამაში მონაწილე ფრინველებს აბინავებდნენ, მამლის მხიარული ყვილი მოისმა. გაწვრთნილი მამალი ყიოდა ომანიანად და აღმოსავლეთიდან განთიადის მოახლოებას აუწყებდა მოსკოვს.

ქალს ველური გაბოროტებით მოექცა სახე, ხრინწიანი ხმით შეიგინა, კართან კი ვარენუხამ დაიჭყვივლა და ჰაერიდან იატაკს დაასკდა.

მამლის ყვილი განმეორდა, ქალმა კბილები დააკრაჭუნა და წითური თმა ყალყზე დაუდგა. მესამე დაყვილებაზე შებრუნდა და ოთახიდან გაფრინდა. მის კვალად უცებ ვარენუხაც შეხტა ჰაერში, მფრინავი კუპიდონივით ჰორიზონტალურად გაცურდა, საწერ მაგიდას გადაუფრინა და ისიც ფანჯარაში გაუჩინარდა.

ერთიანად გაჭაღარავებულმა მოხუცმა, სულ ცოტა ხნის წინ რიმსკის გვართ რომ იცნობდნენ, კართან მიიღბინა, საკეტი გააღო, კარი გამოგლიჯა და ჩაბნელებულ დერეფანში გაიჭრა. კიბის მოსახვევთან, შიშით ათრთოლებულმა, ხელის ფათურით მოიძია ჩამრთველი და კიბე გაანათა. აცანცანებული, აკანკალებული ბერიკაცი კიბეზე დაეცა, მოეჩვენა, რომ ზურგიდან მხრებზე მსუბუქად დააფრინდა ვარენუხა.

ქვევით, ვესტიბიულში რომ ჩაირბინა, სალაროსთან ჩაძინებულ მორიგეს მოჰკრა თვალი. მან ფრთხილად, ფეხის წვერებზე აუარა გვერდი და სადარბაზოდან გაიჭრა. ქუჩაში ოდნავ მოეგო გონს. იმდენად გამოფხიზლდა, რომ თავზე იტაცა ხელი და მიხვდა, ქუდი კაბინეტში დარჩენოდა.

ცხადზე ცხადია, ქუდის ასაღებად უკან აღარ მიბრუნებულა, აქლოშინებულმა გადაჭრა ფართო ქუჩა და კინოთეატრის მოპირდაპირე კუთხეში, მოციმციმე მოწითალო მკრთალი შუქისკენ გაიქცა. წუთის შემდეგ იქ იყო და პირველსავე მანქანაში ჩახტა.

– ლენინგრადის სადგურზე, ზედმეტს გადაგიხდი, – ქლოშინ-ქლოშინით უთხრა მძღოლს ბერიკაცმა და გულზე იტაცა ხელი.

– გარაჟში მივდივარ, – ზიზლით უპასუხა მძღოლმა და სახე შეაბრუნა.

მაშინ რიმსკიმ პორტფელი გახსნა, ორმოცდაათი მანეთი ამოიღო და წინა, ღია ფანჯრიდან გაუწოდა მძღოლს.

წუთის შემდეგ მანქანა ქარივით მიქროდა სადოვავიაზე. მგზავრი სკამზე ვერ იკავებდა თავს და მძღოლის წინ დაკიდებული სარკის ნაგლეჯში ხან მძღოლის ბედნიერ თვალებს ხედავდა, ხანაც თავის შეშლილ მზერას.

სადგურთან რიმსკი მანქანიდან გადმოხტა და პირველსავე შემხვედრ თეთრწინსაფრიან და ბალთიან კაცს დაუძახა:

– პირველი კატეგორია. ერთი, ოცდაათს მოგცემ, – თან თუმნიანებს იღებდა პორტფელიდან, – თუ პირველი არ იყოს, მეორე ამიღე, არა და – მაგარი.

ბალთიანი კაცი განათებულ საათს უცქეროდა და რიმსკის ხელიდან სტაცებდა თუმნიანებს.

ხუთი წუთის შემდეგ სადგურის შემინული თალიდან ლენინგრადის მატარებელი გაქრა და სიბნელეში შთაინთქა. მასთან ერთად უკვალოდ გაქრა რიმსკიც.

თავი მეთხუთმეტე

ნიკანორ ივანოვიჩის სიზმარი

ალბათ ძნელი მისახვედრი არ იქნება, რომ ის სახეაღაჟღაჟებული სქელუა, რომელიც კლინიკის 119-ე ოთახში მოათავსეს, ნიკანორ ივანოვიჩ ბოსოი გახლდათ.

თუმცა კი ბოსოი პირდაპირ პროფესორ სტრავინსკისთან არ მოხვედრილა, მანამდე სულ სხვა ადგილას მიაბრძანეს.

იმ სულ სხვა ადგილიდან ნიკანორ ივანოვიჩის მეხსიერებას ცოტა რამ შემორჩა. მხოლოდ საწერი მაგიდა, კარადა და ტახტი ახსოვდა.

იქ ნიკანორ ივანოვიჩს, რომელსაც სისხლის მოწოლისა და ზედმეტი აღგზნებისაგან თვალთ უბნელდებოდა, საუბარი გაუბეს, მაგრამ საუბარი საკმაოდ უცნაურად წარიმართა, რაღაც აბდაუბდა გამოვიდა, უფრო სწორად, საერთოდ არ აეწყო.

ნიკანორ ივანოვიჩს პირველად ის ჰკითხეს:

– თქვენ ხართ ნიკანორ ივანოვიჩ ბოსოი, სადგვარიაზე ნომერ 302-ბის საბინაო კომიტეტის თავმჯდომარე?

პასუხად ნიკანორ ივანოვიჩმა ერთი შემზარავად გადაიხარხარა და სიტყვასიტყვით ასე უპასუხა:

– ნიკანორი ვარ, ცხადია, ნიკანორი! მაგრამ რა ეშმაკის თავმჯდომარე მე მნახეთ?

– როგორ? – თვალის მოჭუტვით ჰკითხეს ნიკანორ ივანოვიჩს.

– აი, ეგრე, – უპასუხა მან, – თავმჯდომარე თუ ვიყავი, თავიდანვე უნდა მეაზრა, რომ უწმინდურ ძალას ველაპარაკებოდი! აბა, ეს რას ჰგავს?! გაბზარული პენსნე... დახეული ტანსაცმელი... სადაური უცხოელი მსახიობის თარჯიმანი ეგ იყო!

– ვისზე ამბობთ? – ჰკითხეს ნიკანორ ივანოვიჩს.

– კაროვიევზე! – იყვირა მან, – ჩვენთან, ორმოცდამეათე ბინაში დასახლდა. ჩაიწერეთ: კაროვიევი! დაუყოვნებლივ უნდა დააკავოთ! ჩაიწერეთ: მეექვსე სადარბაზოში. იქ არის.

– ვალუტა სად იშოვებ? – გულთბილად ჰკითხეს ნიკანორ ივანოვიჩს.

– ღმერთს ვფიცავ, ყოვლისშემძლე ღმერთს, – ალაპარაკდა ნიკანორ ივანოვიჩი, – ის ყველაფერს ხედავს, ჩემზე კი ახია! ვალუტა ხელში არასდროს მჭერია და ისიც არ ვიცი, რა ფერისაა! ღმერთმა დამსაჯა ცოდვებისათვის, – გრძნობით განაგრძო ნიკანორ ივანოვიჩმა, პერანგის ღილებს ხან იხსნიდა, ხან იკრავდა და პირჯვარს ისახავდა, – ვიღებდი! როგორ არ ვიღებდი, მაგრამ ჩვენებურს ვიღებდი, საბჭოურს! უფულოდ არ ვწერდი, ასეც მომხდარა! ჩვენი მდივანი პროლეტნიევიც კარგი ვინმეა! პირდაპირ გეტყვით, სახლმმართველობაში ყველა ქურდობს, მაგრამ ვალუტა არ ამიღია.

თხოვნაზე, სისულელეებისთვის თავი დაენებებინა და მოეთხორო, როგორ აღმოჩნდა დოლარები მის საჭაერო მილში, ნიკანორ ივანოვიჩი მუხლებზე დაემხო, შექანდა, თან პირს ისე აბჩენდა, გეგონებოდათ, პარკეტის კოჭების გადაყლაპვას აპირებსო.

– თუ გინდათ, მიწას შევჭამ, ოღონდ დამიჯერეთ, – დაიღმუვლა მან, – მართლა არ ამიღია. კაროვიევი კი ეშმაკის მოციქულია.

ყოველგვარ მოთმინებას თავისი საზღვარი აქვს, მაგიდის მიღმიდან ხმას აუწიეს და ნიკანორ ივანოვიჩს მიუთითეს, რომ დრო იყო, ადამიანურ ენაზე ელაპარაკა.

უეცრად ეს ტახტიანი ოთახი ფეხზე წამომხტარი ნიკანორ ივანოვიჩის ღრიალმა შეაზანზარა:

– აგერ, აგერ, კარადის უკან დგას! ქირქილებს! პენსენეც... დაიჭირეთ! ნაკურთხი წყალი აპკურეთ შენობას!

ნიკანორ ივანოვიჩს სახე გადაუმტკნარდა, აცანცახებული ხელით პირჯვარს სახავდა ჰაერში, ოთახში ტარაბუასავით დაბზრიალდა, ხან კართან მიიჭრებოდა, ხან ისევ უკან ბრუნდებოდა, რაღაც ლოცვაც კი წაიმღერა და ბოლოს სრულიად აბდაუბდის ჩმახვას მოჰყვა.

ყველა მიხვდა, რომ ნიკანორ ივანოვიჩთან საუბარს აზრი არ ჰქონდა. ამიტომ იმ ოთახიდან გამოიყვანეს, სხვა ოთახში მოათავსეს, სადაც ოდნავ დაწყნარდა, მხოლოდ ლოცულობდა და სლუკუნებდა.

ცხადია, სადოვაიაზეც მივიდნენ და 50-ე ბინაც მოინახულეს. მაგრამ არავითარი კაროვიევი იქ არ დახვედრიათ, ამ კაროვიევის ასავალ-დასავალი არც მობინადრებმა იცოდნენ, თვალის არ მოეკრათ და გვარიც არ გაეგონათ. ბინა, რომელშიც გარდაცვლილი ბერლიოზი და იალტაში გამგზავრებული ლიხოდეევი ცხოვრობდნენ, სრულიად ცარიელი აღმოჩნდა და კაბინეტში კარადა ისევ დალუქული იყო, ხელი არავის ეხლო. ასე, პირში ჩალაგამოვლებულები გამობრუნდნენ სადოვაიდან, თუმცა გამობრუნებულებმა, დაბნეული და ერთიანად მობუზული პროლეტნიევი, სახლმმართველობის მდივანიც თან გამოიყოლეს. სადამო ხანს ნიკანორ ივანოვიჩი სტრავინსკის კლინიკაში მიაბრძანეს. იქ იმდენად შფოთავდა, რომ იძულებულები გახდნენ სტრავინსკის რეცეპტით დამზადებული წამალი შეემხაპუნებინათ და შუალამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა, როცა ნიკანორ ივანოვიჩს 119-ე ოთახში ძილმა წაართვა თავი, მხოლოდ ხანდახან თუ ამოიზმუვლებდა მძიმედ და წამებით.

ძილმა თანდათან დაამშვიდა. წარამარა გვერდს აღარ იცვლიდა, აღარც კვნესოდა, მსუბუქად და თანაბრად დაიწყო სუნთქვა და ექიმებმაც მარტო დატოვეს.

აი, სწორედ მაშინ ნახა სიზმარი, რომელსაც, რა თქმა უნდა, საფუძვლად მისი თავგადასავალი ედო. სიზმარი იმით დაიწყო, რომ ნიკანორ ივანოვიჩს ეჩვენა, თითქოს ვიღაც ოქროსსაყვირიანი ხალხი უზარმაზარი გალაქული კარისკენ მიაცილებდა, თანაც ძალზე საზეიმოდ. ამ კართან თანამგზავრებმა თითქოს ნიკანორ ივანოვიჩის პატივსაცემად ტუში დასცხეს, შემდეგ კი ბუბუნა ხმამ მხიარულად ჩამოსძახა ციდან:

– კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ნიკანორ ივანოვიჩი! ვალუტა ჩაგვაბარეთ!

უკიდურესად გაოცებულმა ნიკანორ ივანოვიჩმა მალლა აიხედა და თავს ზემოთ შავი რადიო დაინახა.

შემდეგ, რატომღაც თეატრალურ დარბაზში აღმოჩნდა, სადაც მოოქრულ ჭერქვეშ ბროლის ჭალები ბღღვრიალებდა, კედლებზე კი კენკეტები. ყველაფერი ისე იყო მოწყობილი, როგორც პატარა, მაგრამ მდიდრულ თეატრს შეეფერებოდა. იყო სცენა ხავერდის ფარდით, რომლის მუქალობისფერ ფონზე ვარსკვლავებივით ჭიატებდა გადიდებული ოქროს თუმნიანები, იყო მოკარნახის ჯიხური და მაყურებელიც კი.

ნიკანორ ივანოვიჩი კიდევ იმან გააოცა, რომ დარბაზში მხოლოდ ერთი სქესის მაყურებელი იჯდა – მამაკაცები, და რატომღაც, ყველა წვეროსანი. ამას გარდა, ისიც იყო საკვირველი, რომ დარბაზში სკამები არ იდგა და მაყურებელი პირდაპირ გაწკრიალებულ, დიდებულად მოპრიალებულ იატაკზე იჯდა.

ამდენ უცხო ხალხში მოხვედრილი ნიკანორ ივანოვიჩი ერთხანს დარცხვენილი იშმუშნებოდა, შემდეგ თვითონაც სხვებს მიბაძა და იატაკზე თურქულად მოირთხა ფეხი, ვიღაც წითური ახმახი წვეროსნისა და ფერმკრთალი, წვერგაუპარსავი მოქალაქის შუა. თუმცა, იატაკზე მსხდომთაგან ახალი მაყურებლისთვის ყურადღება არავის მიუქცევია.

მალე ზანზალაკის სასიამოვნო წკრიალი გაისმა, შუქი ჩაქრა, ფარდა გაიხსნა და განათებული სცენა გამოჩნდა, რომელზეც სავარძელი და მაგიდა იდგა, მაგიდაზე – ოქროს ზარი იყო დამხობილი, სცენის უკანა კედლად კი შავი ხავერდის ფარდა იყო ჩამოფარებული.

ფარდის გახსნისთანავე კულისებიდან სმოკინგიანი, სუფთად გაპარსული და შუაზე თმაგაყოფილი, დახვეწილნაკვთებიანი ახალგაზრდა მსახიობი გამოვიდა, დარბაზში მყოფი ხალხი გამოცოცხლდა, ყველა სცენისკენ შებრუნდა. მსახიობი მოკარნახის ორმოსთან მივიდა და ხელები მოიფშვნიტა.

– სხედხართ? – იკითხა რბილი ბარიტონით და დარბაზს გაუღიმა.

– ვსხედვართ, ვსხედვართ, – ერთხმად უპასუხეს დარბაზიდან ტენორებმა და ბასებმა.

– ჰმ... – დაფიქრდა მსახიობი, – ვერ გამიგია, როგორ არ გბეზრდებათ აქ ჯდომა? ყველა ადამიანურად ცხოვრობს, ქუჩაში დადიან, გაზაფხულის მზითა და სითბოთი ტკბებიან, თქვენ კი აქ ყრიხართ, ამ იატაკზე, ჩახუთულ დარბაზში. იმასაც ხომ ვერ იტყვით, რომ აქაური პროგრამა მოგწონთ? თუმცა, რას გაიგებ, ვის რა მოსწონს, – ფილოსოფიურად დაასკვნა მსახიობმა.

შემდეგ ხმის ტემბრიც შეიცვალა, ინტონაციაც და მხიარულად განაცხადა:

– ამრიგად, ჩვენი პროგრამის შემდეგი ნომერია ნიკანორ ივანოვიჩ ბოსოი, სახლმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე და ერთი პატარა დიეტური სასადილოს გამგე. გთხოვთ, ნიკანორ ივანოვიჩ!

დარბაზმა პასუხად ერთხმად დასცხო ტაში. გაოცებული ნიკანორ ივანოვიჩი გაოცებისგან გაბეცდა, კონფერანსიემ კი თვალები ხელით მოიჩრდილა, დარბაზში მსხდომთა შორის მოიძია და თითოთ ალერსიანად იხმო. ნიკანორ ივანოვიჩი თვითონაც ვერ მიხვდა, ისე აღმოჩნდა სცენაზე.

რამპის ფერად-ფერადი ნათურების შუქმა ყოველი მხრიდან მოსჭრა თვალი და დარბაზი მაშინვე სიბნელემ შთანთქა.

– ნიკანორ ივანოვიჩი, აბა, გვიჩვენეთ მაგალითი, – გულთბილად მიმართა ახალგაზრდა მსახიობმა, – და ვალუტა ჩაგვაბარეთ!

სიჩუმე ჩამოწვა. ნიკანორ ივანოვიჩმა სული მოითქვა და ალაპარაკდა:

– ღმერთს ვფიცავ...

მაგრამ სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო და დარბაზი აღშფოთებულმა ყვირილმა აავსო. ნიკანორ ივანოვიჩი დაიბნა და დადუმდა.

– როგორც ვხვდები, – ისევ დაიწყო ლაპარაკი პროგრამის წამყვანმა, – გსურთ, ღმერთი დაიფიცოთ, რომ ვალუტა არა გაქვთ, არა? – უთხრა და თანაგრძნობით შეხედა ნიკანორ ივანოვიჩს.

– მართალს ბრძანებთ, არა მაქვს, – უპასუხა ნიკანორ ივანოვიჩმა.

– ასე, – უპასუხა მსახიობმა, – მაპატიეთ, მაგრამ აბა, ის ოთხასი დოლარი საიდან გაჩნდა თქვენი ბინის საპირფარეოში, რომლის ერთადერთი მფლობელიც თქვენ და თქვენი მეუღლე ბრძანდებით?

– ჯადოქრობით! – დაუფარავი ქირქილით წამოიძახა ვილაცამ ჩაბნელებული დარბაზიდან.

– დიახ, დიახ, ჯადოქრობით, – მორცხვად დაუმოწმა ნიკანორ ივანოვიჩმა მსახიობს თუ ჩაბნელებულ დარბაზს და განმარტა, – უწმინდურმა ძალამ მომიგდო, კუბოკრულკოსტიუმინმა თარჯიმანმა.

და კვლაც გულისწყრომით აღრიალდა დარბაზი. როცა სიჩუმემ დაისადგურა, მსახიობმა თქვა:

– ხედავთ, ლამის ლაფონტენის არაკების მოსმენა მიწევს! წარმოგიდგენიათ, ოთხასი დოლარი მიუგდეს! აი, თქვენ ყველა ვალუტის მფლობელები ხართ და ისე მოგმართავთ, როგორც სპეციალისტებს – როგორ გგონიათ, ასეთი რამე თუ ხდება ხოლმე?

– ჩვენ ვალუტის მფლობელები არა ვართ, – დარბაზიდან გაისმა ეული, ნაწყენი ხმები, – მაგრამ ასეთი რამე მაინც შეუძლებელია.

– მეც გეთანხმებით, – მტკიცედ თქვა მსახიობმა, – და ამიტომ გეკითხებით: აბა, მითხარით, რა შეიძლება მიუგდონ კაცს?

– ბავშვი! – იყვირა ვილაცამ დარბაზიდან.

– სრული ჭეშმარიტებაა, – დაუდასტურა პროგრამის წამყვანმა, – შეიძლება ბავშვი მოგიგდონ ან ანონიმური წერილი, პროკლამაცია, ჯოჯოხეთის მანქანა და ვინ იცის, კიდევ რა, მაგრამ ოთხას დოლარს არავინ მოგიგდებს, რადგან ასეთი იდიოტი ბუნებაში არ არსებობს, – მსახიობი ნიკანორ ივანოვიჩს მიუბრუნდა და ნალვლიანად უსაყვედურა, – გული მატკინეთ, ნიკანორ ივანოვიჩ! მე კი თქვენი იმედი მქონდა. ამგვარად, ეს ნომერი ჩაიშალა.

ნიკანორ ივანოვიჩი დარბაზიდან სტვენით დააჯილდოეს.

– აქვს ვალუტა, აქვს! – ყვიროდნენ დარბაზიდან, – სწორედ მაგისტანების გამო ვიტანჯებით უდანაშაულოდ.

– ასე ნუ ლანძღავთ, – რბილად თქვა კონფერანსიემ, – აუცილებლად მოინანიებს, – შემდეგ ლამის აცრემლებული ცისფერი თვალები მიაპყრო ნიკანორ ივანოვიჩს და დასძინა, – ადგილზე დაბრუნდით, ნიკანორ ივანოვიჩ.

ამის შემდეგ მსახიობმა ზარი ააწკარუნა და გამოაცხადა:

– შევისვენოთ, არამზადებო!

შეცბუნებული ნიკანორ ივანოვიჩი, ასე მოულოდნელად რაღაც თეატრალური პროგრამის მონაწილე რომ გახდა, ისევ იატაკზე, თავის ძველ ადგილზე აღმოჩნდა. მერე დაესიზმრა, თითქოს დარბაზი უკუნმა მოიცვა და კედელზე წითლად აინთო წარწერა: „ჩააბარეთ ვალუტა!“ შემდეგ ისევ გაიხსნა ფარდა და კონფერანსიემ ხელახლა იხმო ვილაც.

– სცენაზე ვიწვევთ სერგეი ჰერალდოვიჩ დუნჩილს.

დუნჩილი წარმოსადეგი, მაგრამ ერთობ მოუვლელი ორმოცდაათი წლის კაცი აღმოჩნდა.

– სერგეი ჰერალდოვიჩ, – მიმართა კონფერანსიემ, – აი, უკვე თვე-ნახევარია აქ ზიხართ და ჯიუტად არ გასურთ, დარჩენილი ვალუტის ჩაბარება. ალბათ იცით, როგორ სჭირდება ვალუტა ჩვენს ქვეყანას, თქვენ კი არაფერში გარგიათ და მიუხედავად ამისა, მაინც ჯიუტობთ. თქვენ ხომ ინტელიგენტი ბრძანდებით, მშვენივრად გესმით ყველაფერი, მითხარით, რატომ არ გინდათ დაგვეხმაროთ.

– სამწუხაროდ, ვერაფერს გავაწყობ, მეტი ვალუტა აღარ მაქვს, – მშვიდად უპასუხა დუნჩილმა.

– ეგრე იყოს, მაგრამ უკიდურეს შემთხვევაში, იქნებ ბრილიანტები მაინც შემოგრჩათ? – დაეკითხა მსახიობი.

– არც ბრილიანტები მაქვს.

მსახიობმა თავი ჩაჰკიდა და დაფიქრდა, შემდეგ ტაში შემოჰკრა. კულისებიდან შუახნის ქალი გამოვიდა, მოდურად იყო ჩაცმული, ესე იგი, უსაყულო პალტო ეცვა და ქუდი ეხურა. ქალი შეშფოთებული ჩანდა. დუნჩილმა შემოსულს შეხედა და წარბიც არ შეუხრია.

– ხომ ვერ მეტყვით, ვინ არის ეს ქალი? – დუნჩილს დაეკითხა პროგრამის წამყვანი.

– ჩემი ცოლია, – ღირსეულად უპასუხა დუნჩილმა და ოდნავი ზიზღით შეავლო თვალი ქალის მაღალ კისერს.

– ჩვენ მხოლოდ იმიტომ შეგაწუხებთ, ქალბატონო დუნჩილ, – ქალს მიმართა კონფერანსიემ, – რომ გვინდა გკითხოთ, კიდევ აქვს თუ არა თქვენს მეუღლეს ვალუტა?

– მაშინ ყველაფერი ჩაგაბარათ, – უპასუხა აღელვებულმა ქალმა.

– გასაგებია, – თქვა მსახიობმა, – კარგი, ასე იყოს. რაკი ყველაფერი ჩაგვაბარა, ვალდებულები ვართ, სასწრაფოდ დავემშვიდობოთ სერგეი ჰერალდოვიჩს. მეტი აღარაფერი დაგვრჩენია! სერგეი ჰერალდოვიჩი, თუ გნებავთ, შეგიძლიათ თეატრი დატოვოთ! – თქვა მსახიობმა და დიდებულად აიქნია ხელი.

დუნჩილი მშვიდად და ღირსეულად შებრუნდა და კულისებისკენ გაემართა.

– ერთი წუთით! – შეაჩერა კონფერანსიემ, – ნება მომეცით, ვიდრე ერთმანეთს დავემშვიდობებოდეთ, ჩვენი პროგრამის კიდევ ერთო ნომერი შემოგთავაზოთ, – და ისევ ტაში შემოჰკრა.

უკანა შავი ფარდა გაიხსნა და სცენაზე ახალგაზრდა, ლამაზი ქალი გამოჩნდა, სალამოს კაბა ეცვა, ხელში ოქროს სინი ეჭირა, რომელზეც კანფეტების ბაფთით შეკრული სქელი დასტა და ბრილიანტების ყელსაბამი იდო, ცისფრად, ყვითლად და წითლად რომ ბზინავდა.

დუნჩილმა ნაბიჯი უკან გადადგა და სახეზე ფერი დაეკარგა. დარბაზი ჩაკვდა.

– თვრამეტი ათას დოლარსა და ორმოცდაათ ოქროდ შეფასებულ ყელსაბამს, – საზეიმოდ განაცხადა მსახიობმა, – სერგეი ჰერალდოვიჩი ხარკოვში ინახავდა, თავისი საყვარლის, იდა ჰერკულანოვნა ვორსის ბინაში, რომლის ხილვის ბედნიერებაც ახლა თქვენც გაქვთ და რომელიც თავაზიანად დაგვეჩმარა, აღმოგვეჩინა ეს უძვირფასესი, მაგრამ პირადი საკუთრებისათვის სრულიად გამოუსადეგარი განძი. დიდი მადლობა, იდა ჰერკულანოვნა.

ლამაზმანმა გაიღიმა, თეთრი კბილები დააელვა და ღუნღულა წამწამები ააფახულა.

– ხოლო თქვენი, თითქოსდა ღირსეული გარეგნობის მიღმა, – დუნჩილს მიმართა მსახიობმა, – ხარბი ობობა, გასაოცარი თითლიბაზი და ცრუპენტელა იმალება. ამ თვე-ნახევარში თქვენი სიჯიუტით ხელში შეგვიკალით. ახლა შეგიძლიათ შინ წაბრძანდეთ, სასჯელად კი ის ჯოჯოხეთიც გეყოფათ, თქვენი მეუღლე რომ მოგიწყობთ.

დუნჩილი შექანდა, თითქოს წაქცევას აპირებდა, მაგრამ ვიღაცის თანამგრძნობმა ხელებმა შეაკავა. ამასობაში ფარდაც დაიხურა და სცენაზე მყოფნი თვალს მოარიდა.

ტაშის გრიალმა შეაზანზარა დარბაზი და ნიკანორ ივანოვიჩს მოეჩვენა, თითქოს ჭაღებში ალი ახტუნავდა. და როცა შავი ფარდა ისევ მაღლა ასრიალდა, სცენაზე მხოლოდ მსახიობი იდგა. მას ისევ ტაშით მიესალმნენ, მან კი მაყურებელს თავი დაუკრა და დაიწყო:

– ჩვენს პროგრამაში თქვენ ახლა, დუნჩილის სახით, სახედრის ტიპური განსახიერება იხილეთ. გუშინ მქონდა ბედნიერება, თქვენთვის განმემარტა, რომ ვალუტის დამალვა უაზრობაა. დამერწმუნეთ, მის გამოყენებას ვერანაირად ვერ შეძლებთ. აი, თუნდაც ეს დუნჩილი ავიღოთ. დიდი ხელფასი აქვს და არ უჭირს. აქვს შესანიშნავი ბინა, მშვენიერი ცოლი ჰყავს და მზეთუნახავი საყვარელი, მაგრამ მაინც უფრო მეტი უნდა. იმის ნაცვლად, რომ ვალუტა და ძვირფასი ქვები ჩაებარებინა და წყნარად, მშვიდად და უსიამოვნებების გარეშე ეცხოვრა, ეს ანგარებიანი ბრიყვი მანამ არ გამოტყდა, სანამ საჯაროდ არ გამოააშკარავეს და თან ოჯახური უსიამოვნებებიც დაიტეხა თავზე. აბა, კიდევ ვის გსურთ ვალუტის ჩაბარება? მსურველი არავინ ხართ? თუ ასეა, ჩვენი პროგრამის შემდეგ ნომრად იხილავთ თქვენთვის საგანგებოდ მოწვეულ მსახიობს სავა პოტაპოვიჩი კუროლესოვს, რომელიც ნაწყვეტებს წაგიკითხავთ პოეტ პუშკინის პოემიდან „ხარბი რაინდი“.

შეპირებულ კუროლესოვსაც აღარ დაუგვიანია, სცენაზე გამოვიდა. ერთი ჯანიანი, ფერხორციანი, კარგად გაპარსული კაცი აღმოჩნდა, ფრაკი ეცვა და თეთრი ჰალსტუხი ეკეთა.

ზედმეტი შესავლების გარეშე უცებ მოქუფრა სახე, წარბი შეიკრა და ოქროს ზანზალაკებისკენ თვალდაცეცებულმა არაბუნებრივი ხმით დაიწყო:

– Как молодой повеса ждет свиданья с какой-нибудь развратницей лукавой???

და კუროლესოვი ათას სისაძაგლეს მოჰყვა თავის თავზე. ნიკანორ ივანოვიჩს ესმოდა, როგორ აღიარა კუროლესოვმა, რომ ერთხელ, წვიმაში, ვიღაც უბედური ქვრივი მუხლმოყრილი იდგა მის წინაშე და მოთქვამდა, მაგრამ ღრჯო გული ვერა და ვერ მოუღბო. ნიკანორ ივანოვიჩმა ამ თავის საზმრამდე თითქმის არაფერი იცოდა პუშკინის შემოქმედების შესახებ, თავად პუშკინს კი მშვენივრად იცნობდა და დღეში ასჯერ მაინც ახსენებდა: „ბინის ფულს პუშკინი გადაიხდის?“ ან „მაშასადამე, კიბეზე ნათურა პუშკინმა ამოხრახნა?“ „ეტყობა, ნავთს პუშკინი იყიდის“. და ახლა, როცა მის ერთ-ერთ ნაწარმოებსაც გაეცნო, ნიკანორ ივანოვიჩმა მოიწყინა, ცხადლივ დაუდგა თვალწინ დაობლებულ შვილებიანად თავსხმაში მუხლებზე დამხობილი ქალი და უნებლიეთ გაიფიქრა: „ეს კუროლესოვიც საზიზღარი ტიპი ჩანს!“

ის კი თანდათან უწევდა ხმას, ყველაფერს აღიარებდა და ბოლოს მთლად დააბნია ნიკანორ ივანოვიჩი, რადგან უეცრად ვიღაც ისეთს მიმართა, სცენაზე რომ არ იმყოფებოდა, შემდეგ იმ ვიღაცის ნაცვლად გასცა საკუთარ თავს პასუხი, თან ხან „ხელმწიფეს“ უწოდებდა თავს, ხან – „ბარონს“, ხან – „მამას“, ხან – „შვილს“, ხან „თქვენობით“ მიმართავდა, ხანაც – „შენობით“.

ნიკანორ ივანოვიჩი მხოლოდ ერთს მიხვდა, რომ მსახიობი საშინელი სიკვდილით მიიცვალა და სიკვდილის წინ მაინც გაჰყვიროდა: „გასაღები! ჩემი გასაღები!“ – შემდეგ ხროტინით დაეცა იატაკზე და კისრიდან ჰალსტუხი ჩამოიგლიჯა.

მოკვდა თუ არა, მაშინვე წამოხტა, ფრაკის შარვლიდან მტვერი ჩამოიბერტყა, ხალხს თავი დაუკრა, ყალბად გაიღიმა და კანტიკუნტად გახმაურებული ტაშის თანხლებით, სცენიდან გავიდა. კონფერანსიემ კი განაგრძო:

– ახლა ჩვენ, ყველამ ერთად მოვისმინეთ სავა პოტაპოვიჩის მიერ დიდებულად განსახიერებული „ხარბი რაინდი“. ამ რაინდს დიდად ეიმედებოდა, რომ ფეხმარდი ფერიები მიეახლებოდნენ და ამგვარი ბევრი სასიამოვნო რამ მოხდებოდა მის ცხოვრებაში. მაგრამ, ხომ ხედავთ, როგორ შეცდა, არც ფერიები მიახლებიან, არც მუზებს მიურთმევიათ ძღვენი და არც ხომალდები აუგიათ, პირიქით, ცუდად დაასრულა სიცოცხლე, ძალივით დააკვდა ვალუტით და ძვირფასი ქვებით გაჭედო ზანდუკს. გაფრთხილებთ, თქვენც იგივე დაგემართებათ, იქნებ უარესიც, თუ ვალუტას არ ჩაგვაბარებთ!

არავინ იცის, პუშკინის პოეზიამ მოახდინა ასეთი დიდი შთაბეჭდილება, თუ კონფერანსიეს პროზაულმა დასკვნამ, მაგრამ უეცრად დარბაზიდან დარცხვენილი ხმა გაისმა:

– მე ჩაგაბარებთ ვალუტას.

– სცენაზე ამობრძანდით! – თავაზიანად მიიწვია კონფერანსიემ და ჩაბნელებულ დარბაზს გახედა დაჟინებით.

სცენაზე დაბალი ტანის ქერა მოქალაქე გამოჩნდა, სახეზე ეტყობოდა, სამი კვირის გაუპარსავი მაინც უნდა ყოფილიყო.

- მაპატიეთ, თქვენი გვარი? – დაეკითხა კონფერანსიე.
- ნიკოლოზ კანავკინი, – მორცხვად უპასუხა ახალმოვლენილმა.
- აჰა! ძალიან სასიამოვნოა, მოქალაქე კანავკინ. გისმენთ.
- გაბარებთ, – ჩურჩულით თქვა კანავკინმა.
- რამდენს?
- ათას დოლარსა და ოც ოქროს თუმნიანს.
- ბრავო! სულ ეგ გაქვთ?

პროგრამის წამყვანმა თვალი თვალში გაუყარა კანავკინს და ნიკანორ ივანოვიჩს მოეჩვენა, თითქოს ამ თვალეების გამჭოლმა მზერამ კანავკინი რენტგენის სხივებივით გააშუქა. დარბაზმა სუნთქვა შეიკრა.

– მჯერა! – იყვირა ბოლოს მსახიობმა და მზერა ჩააქრო, – მჯერა! ასეთი თვალეები არ ცრუობენ. მე ხომ რამდენჯერმე აგინხენით თქვენი შეცდომა, თქვენ ღირსეულად არ აფასებთ ადამიანის თვალეებს. დამერწმუნეთ, ენას შეუძლია სიმართლე დამალოს, თვალეებს კი – არასოდეს! აი, მაგალითად, უეცრად რაღაცას გეკითხებიან, თქვენ არც კი კრთებით, წამის უსწრაფესად იაზრებთ ყველაფერს, თავს ერევით, იცით, რა უნდა თქვათ სიმართლის დასაფარად, დამაჯერებლადაც ცრუობთ, სახეზე ძარღვიც არ გიტოვდებათ, მაგრამ ვაი, რომ ამ კითხვით შეშფოთებული სიმართლე სულის სიღრმიდან წამიერად თვალეებს აასკდება და თქვენი თვალთმაქცობაც მთავრდება. თვალეებში გამკრთალ შიშს ამჩნევენ და გიჭერენ!

მსახიობმა დიდი გრძნობით წარმოთქვა ეს ერთობ დამაჯერებელი მონოლოგი, შემდეგ კი ალერსიანად დაეკითხა კანავკინს:

- სად გაქვთ დამალული?
- დეიდაჩემთან, პოროხოვნიკოვასთან, პრეჩისტენკაზე...
- ა! ეს... მოიცადეთ... კლავდია ივანოვნასთან? ხომ არ ვცდებით?
- არა!
- დიახ, დიახ! პატარა სახლი აქვს. მოპირდაპირე მხარეს ბაღია? როგორ არა, ვიცით, ვიცით! სად გაქვთ დამალული?
- სარდაფში, სინემის ყუთში აწყვია...

მსახიობმა გაოცებისაგან ხელი ხელს შემოჰკრა.

– გაგაგიჟებს ეს ხალხი! – გულისტკივილით წამოიყვირა მან, – სარდაფში ფული ხომ დაობდება და დაინესტება? განა შეიძლება ასეთ ხალხს ვალუტა ანდო? ღმერთმანი, ბავშვებივით არიან!

კანავკინი თვითონაც მიხვდა, ცუდად რომ მოიქცა, საყვედურიც დამსახურებულად მიიღო და ქოჩორა თავი ჩაქინდრა.

– ფული, – განაგრძო მსახიობმა, – სახელმწიფო ბანკში უნდა ინახებოდეს, საგანგებოდ მშრალ და გულდაგულ დაცულ შენობაში და არა დეიდის სარდაფში, სადაც, სხვა თუ არაფერი, ვირთხებმა შეიძლება შეჭამონ! მართლაც სამარცხვინოა, კანავკინ! ბავშვი ხომ არა ხართ?

კანავკინმა აღარ იცოდა, სად წაეღო თვალები, იდგა დარცხვენილი და თითით პიჯაკის ბორტს აწვალებდა.

– კეთილი, – მოლბა მსახიობი, – კაცს ძველი ცოდვა არ უნდა გაუხსენო... – და მოულოდნელად ჰკითხა, – ჰო, მართლა, მანქანა ტყუილად რომ არ გავსარჯოთ, იქნებ დეიდათქვენსაც აქვს რამე?

კანავკინი არაფრით ელოდა საქმის ამგვარ შემობრუნებას, შეკრთა და თეატრში დუმილი ჩამოწვა.

– ოჰ, კანავკინ, – ალერსიანად უსაყვედურა კონფერანსიემ, – მე კი რამდენი გაქეთ? აჰა, ადგა და ისევ გაჯიქდა არაფრის გამო. სისულელეა ეგ ყველაფერი, კანავკინ! სულ ახლახან არ გელაპარაკეთ თვალებზე? სწორედ თვალებში გეტყობა, რომ დეიდაშენსაც უნდა ჰქონდეს ვალუტა. ტყუილად რას გვაწვალებ?

– აქვს! – გული მიეცა კანავკინს.

– ბრავო! – იყვირა კონფერანსიემ.

– ბრავო! – საზარლად იხუვლა დარბაზმა.

როცა მიჩუმდნენ, კონფერანსიემ კანავკინს გამარჯვება მიულოცა, ხელი ჩამოართვა, სახლში მანქანით წაყვანა შესთავაზა, შემდეგ ვილაცას კულისებში გასძახა, იმავე მანქანით დეიდისათვისაც შეეველოთ და ეთხოვათ, პროგრამაზე დასასწრებად ქალთა თეატრში წაბრძანებულიყო.

– ჰო, მართლა, ისიც მინდოდა მეკითხა, დეიდას ხომ არ უთქვამს, თავის ფულს სად ინახავდა? – კანავკინს დაეკითხა კონფერანსიე, თავაზიანად მიაწოდა პაპიროსი და მოუკიდა. მან გააბოლა და როგორღაც ნაღვლიანად ჩაიცინა.

– მჯერა, მჯერა! – ამოიოხრა მსახიობმა, – ეგ ბებერი ქვაწვია დისშვილს კი არა, ეშმაკსაც არაფერს გაუმხელს. რას ვიზამთ, ვეცადოთ მასაც გავუღვიძოთ ადამიანური გრძნობები. იქნებ ჯერ კიდევ შერჩა სინდისი იმ წუწურაქ სულში. კარგად იყავით, კანავკინ!

და ბედნიერი კანავკინი შინ გაემგზავრა. მსახიობმა იკითხა, კიდევ ხომ არავინ იყო ვალუტის ჩაბარების მსურველი, მაგრამ პასუხად დარბაზმა დუმილი შეაგება.

– ღმერთმანი, უცნაური ხალხი ხართ! – მხრების ჩეჩვით ჩაილაპარაკა მსახიობმა და ფარდა დაეშვა.

ნათურები ჩაქრა, ერთხანს უკუნმა დაისადგურა და შორიდან ისმოდა, როგორ მღეროდა ვილაცის ნერვიული ტენორი:

Там груды золота лежат и мне они принадлежать!^[7]

შემდეგ, სადღაც შორიდან ორჯერ გაისმა ტაშისცემა.

– ქალთა თეატრში ვილაც ქალი აბარებს, – მოულოდნელად უთხრა ნიკანორ ივანოვიჩს წითურწვერიანმა მეზობელმა, ამოიოხრა და დასძინა, – ეჰ, ჩემი ბატები რომ არა! მე, ჩემო კარგო, მებრძოლი ბატები მყავს ლიანოზოვოში. მეშინია, უჩემოდ სული არ გააფრთხონ. მებრძოლი ფრინველია, ნაზი, მოვლა-პატრონობა სჭირდება... ეჰ, ბატები რომ არა! მე პუშკინით ვერ გამაკვირვებ, – და ისევ ოხვრას მოჰყვა.

დარბაზი ისევ გაჩირაღდნდა და ნიკანორ ივანოვიჩს დაესიზმრა, თითქოს ყოველი კარიდან დარბაზში თეთრჩაჩიანი მზარეულები შემოცვივდნენ, რომელთაც ხელში სხვადასხვა ზომის ჩამჩები ეჭირათ. პატარა მზარეულებმა დარბაზში წვნიანის ქვაბი შემოათრიეს და სინებზე დაწყობილი დაჭრილი შავი პური შემოიტანეს. მაყურებლები გამოცოცხლდნენ. მზიარული მზარეულები თეატრალებს შორის დაძვრებოდნენ, თასებში წვნიანს უსხამდნენ და პურს ურიგებდნენ.

– ისადილეთ, ბიჭებო! – ყვიროდნენ მზარეულები, – და ვალუტა ჩააბარეთ! ტყუილად აქ რას უსხედხართ? ძალიან მოგწონთ ამ სალაფავის ხვრეპა? შინ წახვალთ, კარგს შეჭამთ, კარგს დალევთ, რა სჯობია!

– აბა, შენ რაღას ჩამომჯდარხარ აქ, მამი? – პირდაპირ ნიკანორ ივანოვიჩს მიმართა მსუქანმა, ღაყღაყაკისრიანმა მზარეულმა და თასი გაუწოდა, რომელშიც ეულად დაცურავდა კომბოსტოს ფურცელი.

– არა მაქვს! არა მაქვს! არა მაქვს-მეთქი! – საზარი ხმით იყვირა ნიკანორ ივანოვიჩმა, – გესმით, თუ არა?

– არა გაქვს?! – მრისხანე ხმით დაიღრიალა მზარეულმა, – არა? – უცებ წვრილი და ალერსიანი ხმით დაეკითხა, – არა აქვს, არა, – მშვიდად ჩაიბუტბუტა და ექთან პრასკოვია ფიოდოროვნად იქცა.

ექთანი ალერსიანად ანჯღრევდა ძილში აკვნესებულ ნიკანორ ივანოვიჩს. მაშინვე ბინდი გადაეფარათ მზარეულებს, ფარდებიანი თეატრიც უკუნში შთაინთქა. ნიკანორ ივანოვიჩმა აცრემლებული თვალებით დაინახა თავისი ოთახი და ორი თეთრხალათიანი ადამიანი, ოღონდ ის თავხედი მზარეულები კი არა, ხალხს რომ თავიანთი რჩევებით თავს აბეზრებდნენ, არამედ მის ოთახში ექიმი იდგა, მის გვერდით კი პრასკოვია ფიოდოროვნა, რომელსაც ხელში თასის ნაცვლად, მარლაგადაფარებული ნემსიანი თეფში ეჭირა.

– ეს რა უბედურებაა, – მწარედ ამოიგმინა ნიკანორ ივანოვიჩმა, ვიდრე ნემსს უკეთებდნენ, – არა მაქვს, არა! პუშკინმა ჩააბაროს ვალუტა. მე არა მაქვს.

– მართალია, არა გაქვთ, – ამშვიდებდა გულკეთილი პრასკოვია ფიოდოროვნა, – თუ არა გაქვთ, ვერც ვერავინ განგსჯით!

წამლის შეშხაპუნების შემდეგ ნიკანორ ივანოვიჩი დამშვიდდა და ისე ჩაეძინა, აღარაფერი დასიზმრებია.

მაგრამ მისი შფოთიანი ყვირილი 120-ე ოთახსაც მისწვდა, იქაც გაიღვიძა ავადმყოფმა და საკუთარი თავი მოიძია, 118-ეშიც აღელდა უცნობი ოსტატი, ნაღვლიანად იმტვრევდა თითებს, მთვარეს გასცქეროდა და მის ცხოვრებაში უკანასკნელი შემოდგომის იმ მწარე ღამეს, კარის ღრიჭოდან სარდაფში შემოჭრილ სინათლის ზოლს და გაშლილ თმას იხსენებდა.

მღელვარებამ 119-ე ოთახიდან აივნიტ ივანის პალატამდეც მიაღწია, მანაც გაიღვიძა და ატირდა.

მაგრამ ექიმმა მალე დააწყნარა აღელვებულები და უბედურები და მათაც, ერთმანეთის მიყოლებით დაიძინეს. ყველაზე გვიან ივანი მიყუჩდა, როცა მდინარესთან უკვე რიჟრაჟი იპარებოდა. წამალმა მთელი სხეული მოუღობო, ტალღასავით გადააფარა სიმშვიდე, სხეული შეუმსუბუქდა, გონებას კი თვლემის თბილი ნიავი მიელამუნა. მან დაიძინა და უკანასკნელი, რაც სიფხიზლიდან შემორჩა სმენას, რიჟრაჟს აყოლილი ჩიტების ჟღურტული იყო. მაგრამ ეს ხმაც მალე მიიღია და დაესიზმრა, რომ მზე უკვე დაშვებულიყო ტაბაკელას მთაზე და იყო ეს მთა ორმაგი ქამრით შემოსაღტული...

თავი მეთექვსმეტი

მსჯავრი

მზე უკვე დაშვებულიყო ტაბაკელას მთაზე და იყო ეს მთა ორმაგი ქამრით შემოსალტული.

ის ცხენოსანთა ალა, ნაშუადღევს პროკურატორს რომ გადაეღობა, ახლა ჭენებით მიუახლოვდა ქალაქის ჰებრონის კარიბჭეს. გზა გაეწმინდათ, კაპადოკიელთა კოჰორტის ქვეით ჯარს გზის კიდეებზე მიეტმასნა თავმოყრილი ხალხი, სახედრები და აქლემები. ალამ ჭენებით განვლო გზა, მტვრის თეთრი ბოლქვები ცამდე ააბუქა და იმ გზაჯვარედინთან მივიდა, სადაც ორად იტოტებოდა შარა: ერთი სამხრეთით, ბეთლემისაკენ მიდიოდა, მეორე ჩრდილო-დასავლეთით – იაფისაკენ. ალა ჩრდილო-დასავლეთის გზას დაადგა. კაპადოკიელები გზის გაყოლებაზე იყვნენ ჩამწკრივებულები და დროულად გაეფანტათ იერუშალაიმში სადღესასწაულოდ მომავალი ქარავნები. მლოცველებს დროებით მიეტოვებინათ ზედ ბალახზე გაშლილი ჭრელი კარვები და კაპადოკიელთა ზურგს უკნიდან იცქირებოდნენ. ალამ ერთი ფარსანგი^[8] განვლო, ელვისებურ ლეგიონს გაუსწრო და კიდეც ერთი ფარსანგის გავლის შემდეგ, პირველი მიადგა ტაბაკელას მთის ძირს. იქ ჩამოქვეითდნენ. მეთაურმა რაზმებად დაჰყო ალა, რაზმებმა არცთუ მაღალ მთას ალყა შემოარტყეს, მხოლოდ ერთი გასასვლელია დატოვეს – იაფის გზიდან მომავალთათვის.

ცოტა ხანში მეორე კოჰორტაც მოახლოვდა, მთაზე ავიდა და გვირგვინივით შემოერთყა კალთებს.

ბოლოს მარკუს ვირთხათმძლის კენტურიამაც მოაღწია. გზის ორივე მხარეს ჩამწკრივებულები მოდიოდნენ, შუაში კი, საიდუმლო მცველთა თანხლებით, სამი სიკვდილმისჯილი მოჰყავდათ. ურემზე მსხდომთ კისრებზე დაფები ეკიდათ, რომელზეც არამეულად და ბერძნულად ეწერა: „ყაჩაღი და მოჯანყე“. ბრალდებულთა ურმებს ახალგამოთლილი ხარინიანი ბოძებით, თოკებით, ნიჩბებით, წირთხლებითა და ბარებით დატვირთული სხვა ურმებიც მოსდევდა. ამ ურმებზე ექვსი ჯალათი იჯდა. მათ უკან ცხენებზე ამხედრებულნი მოდიოდნენ კენტურიონი მარკუსი, იერუშალაიმის ტაძრების დაცვის უფროსი და ის კაპიუშონიანი კაცი, სასახლის ჩაბნელებულ დარბაზში წამისად რომ ესაუბრა პილატეს. სულ ბოლოს ჯარისკაცები მიაბიჯებდნენ, მათ კი კვალდაკვალ ორი ათასამდე ცნობისმოყვარე მოჰყვებოდა, ამ ხორშაკიან ხვატს რომ არ ეპუებოდნენ და სეირის საცქერლად მოიჩქაროდნენ.

ქალაქიდან მომავალ უსაქმურებს ახლა ცნობისმოყვარე მლოცველებიც შეერთებოდნენ და მსვლელობას ადევნებულნი, ისინიც შეუფერხებლად ავიდნენ მთაზე. ასე, მოლაღადეთა ხრინწიანი ამოძახილის თანხლებით, რომლებიც იმავეს გაჰყვიროდნენ, რაც შუადღისას პილატემ აუწყა ხალხს, მიადგა მსვლელობა ტაბაკელას მთას.

ალამ ხალხი ზედა საალყე ქამრამდე გაატარა, მეორე კენტურიამ კი მთის წვერზე ისინი აუშვა, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა დასჯაში, ბრბო მთის ირგვლივ, კალთებზე მიმოიფანტა და ზევით განლაგებულ ქვეითებსა და ქვევით შემოწყობილ ცხენოსანთა შორის მოექცა. ამგვარად, ბრბოს შეეძლო არცთუ მჭიდროდ მდგარი ჯარისკაცების ზურგს უკნიდან ეცქირა მსჯავრის აღსრულებისათვის.

სამ საათზე მეტი ხანი იყო გასული, რაც პროცესია მთაზე ავიდა. მზე უკვე გადაწვერილიყო ტაბაკელას მთიდან, მაინც გაუსაძლისი ხვატი იდგა, ზედა და ქვედა ალყის ჯარისკაცები

სიცხით იტანჯებოდნენ, უსაქმობა თანგავდათ, გულში სწყევლიდნენ ამ სამ ყაჩაღს და გულწრფელად უსურვებდნენ სწრაფ აღსასრულს.

მთის ფერხთით, ღია გასასვლელთან მდგარი ალას ყმაწვილი მეთაური, ოფლით რომ ჩაშავებოდა თეთრი პერანგის ზურგი და შუბლიც დასველებოდა, წარამარა მიდიოდა პირველი ოცეულის ტყავის ტიკჭორასთან, მუჭით იღებდა წყალს, სვამდა და დოლბანდსაც ისველებდა. მერე, გაგრილებული, ცოტა ხნით შვებამოგვრილი შორდებოდა იქაურობას და ისევ მთისკენ მიმავალ მტვრიან გზაზე იწყებდა ბოლთის ცემას. გრძელი ხმალი ტყავის შეშარტულ ჩექმაზე ეხლებოდა. მეთაურს ეწადა თავისი მხედრებისათვის ამტანობის მაგალითი ეჩვენებინა, მაგრამ ბოლოს მაინც შეიბრალა ჯარისკაცები და უფლება მისცა, მიწაში ჩასობილი შუბები პირამიდებივით აეკოკოლავებინათ და ზედ თეთრი მოსასხამები გადაეფინათ. სირიელები ამ კარვებშიღა ეფარებოდნენ უმოწყალოდ მსუსხავ მზეს. ტიკჭორები სწრაფად ცარიელდებოდა და სხვადასხვა ოცეულის ცხენოსნები რიგრიგობით მიდიოდნენ ხევთან, სადაც კანტიკუნტად მდგარი თუთის ხეების მეჩხერ ჩრდილში უკანასკნელ დღეებს ითვლიდა ამ ეშმაკისეული ხვატით დამშრალი, მღვრიე ნაკადული. აქვე, ამ უიმედო ჩრდილს შეფარებული ცხენების მეთვალყურენი იდგნენ მოწყენილები და გათანგული ცხენები ეჭირათ სადავეებით.

ჯარისკაცთა უილაჯობა და ყაჩაღების მისამართით წარმოთქმული წყევლა-კრულვა გასაგები იყო. პროკურატორის შიში, რომ ამ, მისთვის საძულველ იერუშალაიმში მსჯავრის აღსრულებას შეიძლებოდა არეულობა მოჰყოლოდა, საბედნიეროდ, არ გამართლდა. და როცა მეოთხე საათი დაიწყო, მთაზე შემოწყობილ ორ მოალყე ქამარს შუა, ზემოთ მდგარ ქვეითებსა და ქვემოთ მდგარ ცხენოსნებს შორის უკვე აღარავინ ჩანდა. მზემ ბრბოც დაფუფქა და უკან, იერუშალაიმში გააძევა. ორი რომაული კენტურიის ჯაჭვის მიღმა მხოლოდ უპატრონოდ დარჩენილი და მთაზე საიდანღაც მოხეტებული ორი ძაღლიღა დაწანწალებდა. თუმცა ისინიც ხვატმა გათანგა და ენაგადმოგდებულები და აქლოშინებულები აქეთ-იქით მიწვნენ, აღარც მწვანე ხვლიკებს აყოლებდნენ თვალს, ამ ერთადერთ არსებებს, სიცხისა რომ არ ეშინოდათ და გავარვარებულ ქვებსა და მიწაზე დახვეულ რომელიღაც ეკლიან მცენარეებში დასხმარტალებდნენ.

არავის უცდია მსჯავრდებულთა დახსნა, არც ჯარით დატბორილ იერუშალაიმში და არც აქ, გარშემორტყმულ მთაზე, ბრბო ქალაქში დაბრუნდა, რადგან საგულისხმო მართლაც არაფერი ხდებოდა. იქ კი, ქალაქში უკვე შასეჟის დიდებული დღესასწაულისთვის იწყებოდა მზადება.

მთის კალთებზე ზედა ალყად მდგარი რომაელთა ქვეითები ცხენოსნებზე მეტად იტანჯებოდნენ. კენტურიონმა მარკუსმა მხოლოდ ერთადერთი შეღავათი დაუშვა ჯარისკაცებისთვის – ზუჩები მოახდევინა და მათ ნაცვლად წყალში დასველებული, თეთრი თავსაფრების წაკვრის უფლება მისცა, ეს იყო და ეს, მუხლი არ ჩაახრევინა ჯარისკაცებს, შუბშემართულები, უძრავად იდგნენ სადარაჯოზე. თვითონაც ასეთივე თავსაფარი ჰქონდა წაკრული, ოღონდ წყალში არ დაუსველებია, არც ვერცხლით ნაჭედი ლომის თავები შეუხსნია პერანგიდან, არც საბარკლული, ხმალი და დაშნა, ერთიანად აღჭურვილი მიმოდიოდა ჯალათთა ჯგუფის სიახლოვეს. მზე თავზე დანათოდა კენტურიონს, ვერაფერს ვნებდა და ლომთა ხახების შეხედვა შეუძლებელი ხდებოდა, იმდენად სჭრიდა თვალს მზეზე თითქოს ადუღებული ვერცხლის დამაბრმავებელი ბზინვა.

ვირთხათმძლეს დამახინჯებულ სახეზე არც დაქანცულობა ეტყობოდა, არც უკმაყოფილება. გეგონებოდათ, ამ ახმახ კენტურიონს იმის უნარი შესწევდა, მთელ დღეს, ღამეს და კიდევ ერთ დღეს ევლო მუხლჩაუხრელად, იმდენი ევლო, რამდენიც საჭირო იქნებოდა. ასევე ევლო, სპილენძისბალთებიან ამურმაზე ხელშემოწყობილს, ასევე მკაცრად ეცქირა ხან ჯვარზე

გაკრულთა ბოძებისათვის, ხანაც დაწალიკებული ჯარისკაცებისთვის და ასევე გულგრილად გაეკრა ბეწვიანი ჩექმის ჭვინტი დროის დინებით გათეთრებულ ადამიანთა ძვლებისა და მიმოზნეული წვრილ-წვრილი ფიქალისათვის.

ის კაპიუშონიანი კაცი ბოძების შორიახლოს, სამფეხაზე ჩამომჯდარიყო, კეთილად უძრავი ელოდა დასასრულს, მხოლოდ ჟამი-ჟამს, მოწყენილობისაგან წკეპლით თუ გაჩიჩქნიდა ხოლმე ქვიშას.

ლეგიონერთა ალყის მიღმა კაცი არ ჭაჭანებდაო, რომ აღვნიშნეთ, არც მთლად შეესაბამებოდა სიმართლეს. ერთი ადამიანი მაინც იმყოფებოდა იქ, უბრალოდ, მას ყველა როდი ხედავდა. ის იმ ფერდობზე კი არ იდგა, სადაც გასასვლელი დაეტოვებინათ და საცქერლადაც მოსახერხებელი იყო, არამედ ჩრდილოეთით, ორმოებით და ღრანტეებით დასერილ ოღროჩოღრო ფერდზე, სადაც ამ ღვთით წყეულ, დაშაშრულ მიწას ჩაბლაუჭებოდა გამხმარი ლეღვის ხე.

სწორედ მისი უჩრდილო ტოტების ქვეშ განმარტოებული ეს ერთადერთი მაყურებელი და არა ჯვარცმის მონაწილე, დასაწყისიდანვე ლოდზე იჯდა, ესე იგი, მისი აქ ყოფნიდან უკვე მეოთხე საათი ილეოდა. დიახ, ჯვარცმის საცქერლად უკეთესი კი არა, უარესი ადგილი აირჩია მაცქერალმა. მაგრამ აქედან ბოძები მოჩანდა, ლეგიონერთა ალყის მიღმა კენტურიონის მკერდზე აბზინებული ორი ლაქაც, ეს კი ადამიანისთვის, ვისაც ცხადლივ ეტყობოდა, რომ შეუმჩნევლად დარჩენა ეწადა, და სურდა არავინ შეეწუნებინა, სრულიად საკმარისი უნდა ყოფილიყო.

თუმცა, ჯვარცმის დაწყებამდე, ოთხიოდე საათის წინ ეს ადამიანი სრულიად სხვაგვარად იქცეოდა და ძალზე შესამჩნევად იყო. ალბათ სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა, ყურადღება ზედმეტად აღარ მიექცია და განმარტოვდა.

პირველად მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა პროცესია მთის წვერზე ავიდა და ზედა ალყას გასცდა, ეტყობოდა, იგვიანებდა. კი არ მიდიოდა, აქელებული მირბოდა ბორცვისკენ, წინმავალთ ხელს ჰკრავდა და როცა შეამჩნია, რომ მისი და სხვების მიახლოებისთანავე ალყა შეიკრა, ისე დაიჭირა თავი, თითქოს არ ესმოდა გაღიზიანებული შეძახილები და ჯარისკაცთა შორის სამსჯავროსკენ გაძრომა სცადა, იქ კი უკვე ურმებიდან ჩამოჰყავდათ ბრალდებულნი. ამიტომ სცეს მკერდში შუბის ბლაგვი პირი და ისიც უკან გადახტა ყვირილით, არა სტკენია, უსასოობის ყვირილი იყო. იმ ლეგიონერს, ვინც შუბი ჰკრა მკერდში, ამღვრეული და სრულიად გულგრილი მზერა შეავლო, როგორც ადამიანმა, ფიზიკური ტკივილი რომ არად უჩანს.

მკერდზე ხელმიდებულმა ხველებითა და ქოშინით შემოურბინა ბორცვს. ეწადა ჩრდილოეთის ფერდობზე მაინც მოენახა პატარა ხვრელი ალყაში გასასხლტომად, მაგრამ გვიანდა იყო. ალყა შეიკრა და უბედურებით სახემოქცეული კაცი იძულებული შეიქნა, ურმებთან გაჭრის სურვილი უკუეგდო, საიდანაც უკვე ბოძებიც გადმოელაგებინათ. ახლა ველარაფერს გააწყობდა, გაღიზიანებულ ჯარისკაცებს შეიძლებოდა, დაეპატიმრებინათ კიდევ, დღეს კი სულაც არ უნდოდა, ხელგაკოჭილი ყოფილიყო.

ამიტომ ნაპრალის სიახლოვეს განმარტოვდა, იქ სიმშვიდე სუფევდა და ხელსაც არავინ შეუშლიდა.

ახლა მზის სხივებითა და უძილობით თვალეზაჩირქებული ეს შავწვერა კაცი ქვაზე იჯდა და ნაღვლიანობდა. ხან ამოიხრებდა, ხეტიალში დაძენძილ, ჭუჭყისფერ რუხად ქცეულ,

ოდესღაც ცისფერ ტალიფს გადაიღელავდა, დაჟეჟილ მკერდს იშიშვლებდა, რომელზეც შავად მოწვეთავდა ოფლი, ხან აუტანელი ტანჯვით აღაპყრობდა ზეცისკენ ხელებს და სამ ორბს გახედავდა, მალი აღაპის მოლოდინში კამარას რომ ჰკრავდნენ, ხანაც უიმედოდ დააცქერდებოდნენ ხოლმე ყვითელ მიწას და ძაღლის ნახევრად ჩაშლილ თავის ქალას და მის გარშემო მოსხმარტალე ხვლიკებს უმზერდნენ.

კაცი იმდენად იტანჯებოდა, რომ დროდადრო საკუთარ თავთან იწყებდა ლაპარაკს.

– ო, რა რეგვენი ვარ! – ბუტბუტებდა, გამწარებული ირწეოდა ქვაზე და ფრჩხილებით იხოკავდა ხორბლისფერ მკერდს, – ბრეყვი, უჭკუო, დიაცი, ლაჩარი! კაცი კი არა, ქვეწარმავალი ვარ!

მერე დუნდებოდა, თავს ჩაქინდრავდა, ხის მათარიდან აშმორებულ წყალს მოსვამდა და თითქოს ძალმიცემული, ხან ტალიფის უბეში დამალულ დანას სტაცებდა ხელს, ხანაც პერგამენტის ნაჭერს, მის წინ, ქვაზე რომ იდო პატარა წკირთან და ტუმის ქილასთან ერთად.

ამ პერგამენტზე უკვე ეწერა:

„წუთები დიან და მე, ლევი მათე, ტაბაკელას მთაზე ვზი, სიკვდილი არ ჩანს!“

შემდეგ:

„მზე გადაიწვერა, სიკვდილი კი არა და არ მოდის!“

ახლა ლევი მათემ უიმედოდ დაწერა წამახული წკირით:

„უფალო! რად განურისხდი? მოუვლინე სიკვდილი!“

ეს რომ დაწერა, უცრემლოდ ამოისლუკუნა და ისევ ფრჩხილებით ჩამოიხოკა მკერდი.

ლევის სასოწარკვეთილება იმ ავბედობის შედეგი იყო, რაც იეშუასა და მას თავს დაატყდათ და იმ მძიმე შეცდომისაც, რომელიც თავად ლევიმ დაუშვა. გუშინწინ, დღისით იეშუა და ლევი იერუშალაიმის სიახლოვეს, ბეთანიაში იყვნენ ერთ მებაღესთან სტუმრად, რომელსაც საოცრად მოეწონა იეშუას ქადაგება. სტუმრებმა შუადღემდე ბოსტანში იმუშავეს, მებაღეს წაახმარეს ხელი, საღამოს კი, აგრილებულზე, იერუშალაიმში აპირებდნენ დაბრუნებას, მაგრამ იეშუა რატომღაც აჩქარდა, გადაუდებელი საქმე მოიმიზეზა და ნაშუადღევს მარტო დაადგა ქალაქის გზას. აი, ეს იყო ლევი მათეს პირველი შეცდომა. რად, რად გაუშვა მარტო?

მათემ საღამოს ველარ შეძლო იერუშალაიმში წასვლა, რაღაც უეცარმა და საშინელმა სენმა გაუთანგა სხეული. ტანთ აჟრჟოლებდა, ცეცხლი ეკიდა, კბილს კბილზე აცემინებდა და განუწყვეტლივ ითხოვდა წყალს. ველარსად წავიდა. მებაღის ფარდულში მიეგდო ჩულზე და პარასკევ დილამდე არ წამომდგარა, ვიდრე სენი ისევე უეცრად არ დაეხსნა, როგორც დაატყდა. და თუმცა თავს ერთობ სუსტად გრძნობდა, მუხლიც ეკვეთებოდა, მაინც რაღაც ბედითის მოლოდინით დევნილი დაემშვიდობა მებაღეს და იერუშალაიმისკენ გაუდგა გზას. ჩასვლისთანავე შეიტყო, რომ წინათგრძნობას არ ეღალატა. უბედურება მომხდარიყო. ლევი ბრბოში იდგა და ესმოდა, პროკურატორი როგორ აცხადებდა განაჩენს.

როცა მსჯავრდებულნი მთისკენ წაიყვანეს, ლევი მათე მწკრივად მავალ ჯარისკაცთა გვერდით მირბოდა ცნობისმოყვარეებთან ერთად, ცდილობდა, როგორმე მაინც ენიშნებინა

იეშუასთვის, რომ ის, ლევი აქ იყო. მის სიახლოვეს, უკანასკნელ გზაზე არ მიატოვა და ლოცულობდა, სწრაფი სიკვდილი მოვლენოდა ტანჯულს. მაგრამ იეშუა იმ შორეთს გასცქეროდა, საითაც მიჰყავდათ, და მათე, ცხადია, არ დაუნახავს.

და როცა პროცესიამ ერთი უტევანი განვლო, ჯარისკაცთა სიახლოვეს, ხალხის ბრბოში ნაჯგლერო-ხელნაკრავ მათეს სულ უბრალო და დიდებულმა აზრმა გაუნათა გონება. იმავ წამს გულფიცხად დაიწყევლა თავი, რომ აქამდე არ ეფიქრა ამაზე. ჯარისკაცები მიჯრით არ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს, მათ შორის მაინც რჩებოდა მანძილი. მოხერხებულ და თვალმანვილ კაცს შეეძლო წელში მოკუზული გამსხლტარიყო ლეგიონერთა შორის, ურემთან მიერბინა და ზედ შემხტარიყო. მაშინ იეშუა გადარჩებოდა ტანჯვას.

თვალის დახამხამება იქნებოდა საჭირო, რომ იეშუასთვის ზურგში ჩაეცა მახვილი და დაეყვირა: „იეშუა, გიხსენი და უკან მოგყვები! მათე ვარ, შენი ერთგული და ერთადერთი მოწაფე“.

და თუკი ღმერთი კიდევ ერთ წამსაც უბოძებდა, თავსაც მოიკლავდა, რომ ბოძზე გაკვრა აეცდინა. თუმცა თავი ნაკლებად ადარდებდა ლევის, ყოფილ მეზვერეს. სულერთი იყო, როგორ მოკვდებოდა. მას მხოლოდ ის ეწადა, რომ იეშუა, რომელსაც ამქვეყნად მისხალი ბოროტებაც არ ჩაედინა, სატანჯველისგან ეხსნა.

კარგად მოიფიქრა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ ლევის დანა არ ჰქონდა თან. არც ფული ედო ჯიბეში.

საკუთარ თავზე გაცოფებულმა ლევიმ ბრბო გაარღვია და ისევ უკან, ქალაქისკენ გაიქცა. მის აღგზნებულ გონებაში ერთადერთი აზრი გიზგიზებდა, ახლავე, უცილობლად ემოვა დანა და მსჯავრდებულთ დასწოდა.

მან ქალაქის ბჭესთან მიიბრინა, იერუშალაიმისკენ დაძრული ქარავნების დინება გაკვეთა და ანაზდად მხარმარცხნივ, პურის ფარდულის კარს ჰკიდა თვალი. გავარვარებულ შარაზე სირბილით აქელებულმა ლევიმ სუნთქვა დაიოკა, ერთობ ღირსეულად შეაბიჯა ფურნეში, დახლთან მდგარ დიასახლისს მიესალმა, თაროდან ზედა ლავაშის ჩამოღება სთხოვა, რომელიც რატომღაც სხვებზე მეტად მოეწონა, და როცა ქალი შებრუნდა, ჩუმად და სწრაფად აიღო დახლიდან ის, რის უკეთესსაც ვერ ინატრებდა – სამართებელივით მჭრელი, პურის გრძელი დანა, და იმავ წამს ფურნიდან გამოიჭრა. წუთის შემდეგ ისევ იაფის გზაზე იყო, მაგრამ პროცესიას თვალი ველარ მიაწვდინა. გამწარებული მიბოდა. დროდადრო, სულის მოსათქმელად, პირდაპირ ქვიშაში უწევდა პირქვე ჩამხობა და უძრავად წოლა. ასე იწვა და სახედრებზე ამხედრებულ თუ იერუშალაიმში ფეხით მიმავალ ხალხს აოცებდა. იწვა და აყურადებდა, მკერდში კი არა, თავსა და ყურებში როგორ უფეთქავდა გული. მერე, ოდნავ სულმოთქმული, ისევ ფეხზე დგებოდა და ისევ მიბოდა, ოღონდ სულ უფრო ნელა. და როცა ბოლოს, შორს მოზიმზიმე ხალხს მოჰკრა თვალი, ისინი უკვე მთის ფერხით იყვნენ.

– ო, ღმერთო... – ამოიკვნესა ლევიმ, რამეთუ მიხვდა, იგვიანებდა, და დაიგვიანა კიდევ.

ჯვარცმის მეოთხე საათი რომ მიილია, ლევიმ ტანჯვას ველარ გაუძლო და მთლად გადაირია. ლოდინიდან წამოხტა, მიწას დაანარცხა, როგორც ხვდებოდა, ეს ყოვლად უაზროდ მოპარული დანა, მათარა გასრისა ფეხით, წყალი დაღვარა, კეფა მოიშვლია, გამეჩხერებულ თმაში იტაცა ხელი და წყევლას მოჰყვა.

თავს იწყევლიდა, უაზროდ გაჰყვიროდა სიტყვებს, ყმუოდა და იფურთხებოდა, საკუთარ დედ-მამას იხსენებდა აუგად, ასეთი ბრიყვი რომ მოავლინეს ამქვეყნად.

მერე მიხვდა, რომ ფიცი და წყევლა არ მოქმედებდა, არაფერი იცვლებოდა მზისგულზე, ამიტომ ხმელ-ხმელი ხელები დამუშტა, თვალდახუჭულმა აღაპყრო ცისა და მზისკენ, სულ უფრო ქვევით და ქვევით რომ იწევდა, ჩრდილებს აგრძელებდა და ხმელთაშუა ზღვაში აპირებდა შთანთქმას. ლევიმ ღმერთს შეევედრა სასწაული, სთხოვა, ბოლოს და ბოლოს, აღსასრული მოევლინებინა იეშუასთვის.

თვალი რომ განახვანა, მიხვდა, ბორცვზე არაფერი შეცვლილიყო, მხოლოდ კენტურიონის მკერდზე აღარ ელავდა მბზინავი ლაქები. მზე ახლა იერუშალაიმისკენ პირშექცეულ ჯვარცმულთა ზურგებს მისდგომოდა და ლევიმ იყვირა:

– წყეულიმც იყავ, ღმერთო!

ჩახლეჩილი ხმით გაჰყვიროდა, რომ ირწმუნა ღვთის უსამართლობა და მეტად აღარ სჯეროდა მისი.

– შენ ყრუ ხარ! – ყმუოდა ლევი, – ყრუ რომ არ იყო, შეისმენდი ჩემს ვედრებას და ახლავე დაასრულებდი მის ტანჯვას.

ლევიმ თვალები დახუჭა და ცეცხლის ენებს დაელოდა, ციდან რომ უნდა დაცემულიყო და ბოლო მოეღო მისთვის, მაგრამ არაფერი მომხდარა. და ლევი თვალდახუჭული შენაოდა ცას. ღმერთს გამობდა, ასძახოდა, რომ სხვა ღმერთები და რელიგიებიც არსებობდა ამქვეყნად. დიახ, სხვა ღმერთი ამას არ დაუშვებდა, რომ იეშუას დარი ადამიანი ბოძზე დაეწვა მზეს.

– ო, როგორ ვცდებოდი! – ყვიროდა ხმაჩახლეჩილი ლევი, – შენ ბოროტების ღმერთი ყოფილხარ! ნუთუ ტაძართა საკმევლებიდან ანადენმა ბოლმა დაგაბრმავა და შენს ყურებს მხოლოდ ქურუმთა საყვირების ხმა ესმის? შენ არ ხარ ყოვლადმძლე! შენ შავი ღმერთი ხარ! წყეულიმც იყავ, ავაზაკთა ღმერთო, მათო მფარველო და სულდგმავ!

მოულოდნელად რაღაც შეეფრქვა სახეში მეზვერედყოფილს და რაღაც გაუფაჩუნდა ფერხთით. კიდეც ერთხელ წამოუბერა, ლევიმ თვალი გაახილა და დაინახა, რომ მისი წყევლა-კრულვისა თუ სხვა მიზეზთა გამო, ირგვლივ ყველაფერი შეცვლილიყო. მზე თავის ყოველდღიურ საყუდელთან, ზღვასთან მისვლამდე გამქრალიყო, დასავლეთიდან ცაზე მრისხანედ და შეუბრკოლებლად მოიწევდა ჯანღი. მის კიდეებს უკვე თეთრი დუჟი მოსდებოდა, შავი, ორთქლიანი ფაშვი კი სიყვითლეს ირეკლავდა. ღრუბელი ბლოდა და ჟამი-ჟამს ცეცხლის ენებს აფურთხებდა. იაფის გზაზე, გიონის ხრიოკ ველზე მლოცველთა კარვებს თავზე ევლებოდა მოულოდნელად ამოვარდნილი ქარით აბორიალებული მტვრის ბუქი. ლევი დადუმდა, ცდილობდა გაერკვია, იერუშალაიმზე თავს დატეხილი ჭეჭა-ქუხილი რაიმეს თუ უშველიდა უბედურ იეშუას. იმავ წამს ღრუბლებში დაკვესებული ცეცხლის ძაფებს შეავლო თვალი და ცას შეევედრა, იეშუას ბოძისთვის დაემხო მეხი. მან ისევ მონანიედ ახედა ცას, ჯერ რომ მთლად არ შთაენთქა ღრუბელს, ცას, საიდანაც ქარიშხლისაგან თავის დასალწევად, ფრთების ფათქუნით ეშვებოდნენ ორბები და გაიფიქრა, რომ ალბათ ძალზე იჩქარა წყევლა. ამიერიდან, ღმერთი აღარ შეისმენდა მის ვედრებას.

მან ბორცვის ძირს გახედა, სადაც ცხენოსანთა ალა იყო მიმოფანტული და იქაც შეცვლილი დაუხვდა ყველაფერი. მაღლობიდან ლევის კარგად შეეძლო დაენახა, როგორ მიმორბოდნენ ჯარისკაცები, შუბებს მიწიდან აძრობდნენ, მოსასხამებს იგდებდნენ მხრებზე, ცხენმატარები

გზისკენ მიიჩქაროდნენ და შავრა ცხენებს მიაგელვებდნენ. ცხენოსანთა ალა მიდიოდა, ეს გასაგები იყო, სახეში შეხლილი ქვიშისაგან თავის დასაცავად ხელაფარებული ლევი იფურთხებოდა და ცდილობდა გაერკვია, რას მოასწავებდა ცხენოსნების წასვლა? შემდეგ მზერა მთაზე გადაიტანა და აღისფერ სამხედრო ქლამიდში გახვეული კაცი დაინახა, სამსჯავროსკენ რომ მიემართებოდა და უცებ ბედნიერი აღსასრულის წინათგრძნობამ გული გაუყინა მეზვერედყოფილს.

ყაჩაღთა წამების მეხუთე საათს ბორცვზე ამავალი კაცი კოჭორტის მეთაური იყო, რომელმაც, შიკრიკის თანხლებით, იერუშალაიმიდან მოაჭენა ცხენი. ჯარისკაცთა ალყა ვირთხათმძლის ნიშანზე გაიხსნა და კენტურიონმა პატივი მიაგო ტრიბუნს. მან ვირთხათმძლე გვერდზე გაიხმო და რაღაც უჩურობდა ყურში. კენტურიონმა კიდევ ერთხელ მიაგო პატივი და ჯალათთა ჯგუფისკენ გაეშურა, ბოძებთან, ქვებზე რომ ისხდნენ. ტრიბუნი კი იმასთან მივიდა, ვინც სამფენაზე იჯდა და მჯდომარე კაციც, ტრიბუნის შესახვედრად, თავაზიანად წამოდგა ფეხზე. მასაც ხმადაბლა რაღაც უთხრა ტრიბუნმა და ორივე ბოძებისკენ გაეშურა. მათვე შეუერთდა სატაძრო დაცვის უფროსი.

ვირთხათმძლემ ზიზღით დახედა ბოძებთან დახორავებულ, ტურტლიან ჭინჭებს, ცოტა ხნის წინ ჯვარცმულთ რომ ეცვათ და რომლის ალებაც ჯალათებმა არ იკადრეს, ორი ჯალათი გამოიხმო და უბრძანა:

– მომყევით!

კიდურა ბოძიდან ხმაჩახლეჩილი სიმღერა ისმოდა. მასზე გაკრულმა გესმასმა მესამე საათს ბუზებსა და მზეს ველარ გაუძლო, ჭკუიდან შეიშალა და ახლა ხმადაბლა მღეროდა ყურძენზე, მაგრამ ჩალმიან თავს ხანდახან მაინც გაიქნევდა ხოლმე, მაშინ ბუზები ზანტად სცილდებოდნენ სახიდან, მაგრამ მალევე ისევ ესეოდნენ.

მეორე ბოძზე გაკრული დისმასი ორივეზე მეტად იტანჯებოდა, გონი არ ებინდებოდა და ხან მარჯვნივ გადააგდებდა თავს, ხან მარცხნივ, ცდილობდა, როგორმე სახიდან გაედევნა მოძალებული ბუზები.

ამ ორზე ბედნიერი იეშუა იყო. პირველსავე საათს დაეწყო გულყრა, შემდეგ გონიც დაებინდა, უჩაღმო თავი მკერდზე ჩამოუვარდა. ამიტომაც ბუზებსა და ბუზანკალებს თავით ფეხამდე დაეფარათ, სახის ნაცვლად, შავი, ზიმზიმა მასა მოუჩანდა. ფერდებზე, მუცელზე, იღლიებქვეშ გატიკნული ბუზანკალები ესხდნენ და ტიტველ, გაყვითლებულ სხეულს უწუწუნდნენ.

კაპიუშონიანი კაცის ნიშანს დამორჩილებულმა ერთ-ერთმა ჯალათმა შუბი აიღო, მეორემ კი ბოძთან წირთხლი და ღრუბელი მიათრია. პირველმა ჯალათმა შუბი ასწია, ბოძის ხარიხაზე გაჭიმულ და თოკით გადაჭერილ ჯერ ერთ ხელზე შემოჰკრა იეშუას, მერე – მეორეზე. ნეკნებგამოჩრილი სხეული შეკრთა. ჯალათმა მუცელზე დაუსვა შუბისპირი. მაშინ იეშუამ თავი აიღო, ბუზები ზუზუნით დაეხსნენ, ჯვარცმულს სახე გამოუჩინდა – ნაკბენებით დასივებული, თვალეზრასისხლიანებული და სრულიად ვერსაცნობი სახე.

ჰა-ნოცრიმ ქუთუთოები განაპო და ქვევით ჩაიხედა. ნათელი თვალები ამღვრეოდა.

– ჰა-ნოცრი! – უთხრა ჯალათმა.

ჰა-ნოცრიმ შემუშებული ტუჩები შეარხია და ყაჩაღის ხრინწიანი ხმით უპასუხა:

– რა გინდა? რატომ მოხვედი ჩემთან?

– დალიე! – უთხრა ჯალათმა და შუბის პირზე წამოცმული, წყლით გაჟივებული ღრუბელი ტუჩებთან მიუტანა იეშუას. მას სიხარული გაუკრთა თვალებში, ღრუბელს დაეწაფა და ხარბად შეიწოვა სითხე. მეზობელი ბოძიდან დისმასის ხმა გაისმა:

– უსამართლობაა! მეც ისეთივე ყაჩაღი ვარ, როგორც ეგ!

დისმასი დაიძაბა, მაგრამ განძრევა ვერ შეძლო – ხარიხაზე სამგან ჰქონდა მკლავები გადაჭერილი. ღრმად შეისუნთქა, ფრჩხილები ხარიხის ბოლოებს ჩაასო და თავი იეშუას ბოძისკენ შეაბრუნა, გაბოროტება ეწერა თვალებში.

მტვრის ღრუბელმა მოედანი გადაფარა და ჩამობნელდა. როცა მტვერი ოდნავ გაიფანტა, კენტურიონმა იყვირა:

– სიჩუმე მეორე ბოძზე!

დისმასი დადუმდა. იეშუა ღრუბელს მოსწყდა, სცადა ალერსიანი და დამაჯერებელი გამოსვლოდა ნათქვამი, მაგრამ ველარ შეძლო და ხრინწიანად შეევედრა ჯალათს:

– დააღვინე.

ბნელდებოდა. ღრუბელმა ნახევარი ცა გადაფარა, შავი სითხითა და ცეცხლის ენებით სავსე თეთრი, მოთუხთუხე ღრუბლები წინ, იერუშალაიმისკენ მიისწრაფოდნენ. გაიელვა და ზედ მთის თავზე მეხმა იქუნა. ჯალათმა შუბს ღრუბელი მოხსნა.

– კეთილ იგემონს უმადლოდე! – საზეიმოდ, ხმადაბლა უთხრა და იეშუას ნელა დაჰკრა გულში. ის შეკრთა, ჩაიჩურჩულა:

– იგემონ...

სისხლი მუცელზე ჩამოწანწკარდა, ქვედა ყბა დაეკრუნჩხა და თავი ჩამოუვარდა.

მეორედ რომ დაიქუნა, ჯალათი უკვე დისმასს არწყულებდა და იმავე სიტყვებით, – ადიდე იგემონი! – ისიც გამოასალმა სიცოცხლეს.

გონწართმეულმა გესმასმა ჯალათის მიახლოებისთანავე შიშით შეჰკივლა, მაგრამ როცა ღრუბელი ტუჩებზე შეეხო, რაღაც დაიღმუვლა და კბილებით სწვდა. წამის შემდეგ მისი სხეულიც ბოძზე ეკიდა, ცხადია, რამდენადაც თოკები უშვებდა.

კაპიუშონიანი კაცი ჯალათს დაჰყვებოდა, მის უკან კი სატაძრო დაცვის უფროსი მიაბიჯებდა. კაპიუშონიანი პირველ ბოძთან შედგა, ყურადღებით შეათვალიერა გასისხლიანებული იეშუა, თეთრი ხელით ფეხის ძირებზე შეეხო და თანამგზავრებს უთხრა:

– მკვდარია.

იგივე გაიმეორა ორ დანარჩენ ბოძთანაც.

შემდეგ ტრიბუნმა კენტურიონს ნიშანი მისცა, შებრუნდა და სატაძრო დაცვის უფროსსა და კაპიუშონიან კაცთან ერთად მთის თხემი დატოვა. ბინდი ჩამოწვა და ელვის ენები კვალავდა

ცას. უეცრად ზეციდან ცეცხლი წამოსკდა და კენტურიონის ყვირილი: „მოხსენი ალყა!“ ჭეჭა-ჭუხილმა შთანთქა. გახარებულმა ჯარისკაცებმა სირბილით დატოვეს მთა, სირბილ-სირბილში იხურავდნენ ჩაფხუტებს. უკუნმა გადაფარა იერუშალაიმი.

დელგმა მოულოდნელად დაიწყო და კენტურიებს მთის დაღმართზე მოუსწრო. წყალი ისეთი ზათქით მოწყდა, რომ თავდაღმა დაშვებულ კარისკაცებს აღრიალებული ღვარები მისდევდათ უკან. ჯარისკაცებს ფეხი უსხლტებოდათ, დამბალ თივაში ეცემოდნენ, მაინც მირბოდნენ, სწორ გზაზე ჩქარობდნენ გასვლას, რომელსაც უკვე იერუშალაიმისაკენ მიუყვებოდნენ წვიმის ფარდის მიღმა ძლივსლა გასარჩევი, თავით ფეხამდე სველი ცხენოსნები. რამდენიმე წუთის შემდეგ ჭეჭა-ჭუხილის, წყლის და ცეცხლის აბოლილ ლაფში, ბორცვზე მხოლოდ ერთი კაცილა დარჩა. აწ გამოსადეგად მოპარული დანის ქნევით, სველ ფერდობზე სრიალ-სრიალით, ხელების ცეცებითა და ბლაჭაბლუჭით, ხანაც კი დაოთხილი მიიწევდა თხემისაკენ. ხან უკუნი შთანთქავდა, ხან კი ანაზდად გამკრთალი, მოცანცანე შუქი ანათებდა.

ბოძებთან მისულმა, კოჭებამდე წყალში მდგარმა, ტანიდან დამძიმებული, წყლით გაჟივებული ტალიფი შემოიგლიჯა და პერანგის ამარამ იეშუას ფეხები გულში ჩაიხუტა. წვივებზე გადაუჭრა თოკი, შემდეგ ქვედა ხარხამდე აცოცდა, იეშუას ხელი შემოხვია, ზედა სამაგრები გადასხიპა და ხელები გაუთავისუფლა. იეშუას სველი სხეული ლევის დააწყდა და მიწას დაანარცხა. ლევის მაშინვე ეწადა მისი წაღება, მაგრამ ერთმა ფიქრმა შეაჩერა. იეშუას თავგადაგდებული და ხელებგაშლილი სხეული მიწაზე დატოვა და აზელილ ლაფში სრიალ-სრიალით გაიქცა დანარჩენი ბოძებისაკენ. იქაც გადაჭრა თოკები და შიშველი სხეულები მიწაზე ჩამოყარა.

რამდენიმე წუთიც გავიდა და მთის თხემზე, დაცარიელებული სამი ბოძის სიახლოვეს ეს ორი სხეულილა დარჩა. ცხედრებს წყალი ეხეთქებოდა და თავუკულმა ატრიალებდა.

იმ დროს უკვე არც ლევი და აღარც იეშუას ცხედარი აღარ ჩანდნენ ტაბაკელას მთაზე.

თავი მეჩვიდმეტე

შფოთიანი დღე

პარასკევ დილას, ესე იგი, იმ წყეული სეანსის მეორე დღეს, ვარიეტეს თანამშრომელთა სრული შემადგენლობა – ბუღალტერი ვასილი სტეპანოვიჩი ლასტოჩკინი, სამი მემანქანე ქალი, ორი მოლარე, შიკრიკები, კაპელდინერები და დამლაგებლები – ერთი სიტყვით, ყველა, ვინც კი სახეზე იყო, თავ-თავიანთ ადგილებზე კი არ ისხდნენ და საქმეს არ აკეთებდნენ, არამედ სადოვანაზე გამავალი ფანჯრის ლავგარდანზე ჩამწკრივებულიყვნენ და თვალს ადევნებდნენ, რა ხდებოდა ვარიეტეს კედლებს მიღმა. ამ კედლებს ორ მწკრივად აჰკვროდა მრავალათასიანი რიგი, რომლის ბოლოც კუდრინის მოედანზე მთავრდებოდა. რიგის თავში თეატრალური მოსკოვისათვის კარგად ცნობილი ორი ათეული გადაწყიდველიც მოჩანდა.

რიგი ძალზე აღელვებული ჩანდა, ქუჩაში მოსიარულეთა ყურადღებას იქცევდა და გუშინდელი შავი მაგიის სეანსის სულის შემხუთველ ამბებზე მსჯელობით ირთობდა თავს. იგივე ამბები დიდად აღელვებდა ბუღალტერ ვასილი სტეპანოვიჩსაც, რომელიც წინა საღამოს ვერ დასწრებოდა სპექტაკლს. კაპელდინერები, ეშმაკმა უწყის, რას არ ყვებოდნენ, სხვათა შორის, იმასაც ამბობდნენ, რომ სეანსის დამთავრების შემდეგ ქალები ლამის შიშველ-ტიტველნი დარბოდნენ ქუჩაში. მორცხვი და სიტყვაძუნწი ვასილი სტეპანოვიჩი მხოლოდ თვალს ახამხამებდა ამ საოცრებების მოსმენისას და აღარ იცოდა, რა ეღონა. იძულებული კი იყო, რამე ეღონა და აუცილებლად თვითონ, რადგან ახლა მასზე უფროსი არავინ ჩანდა ვარიეტეში.

დილის ათი საათისათვის ბილეთების მსურველთა რიგი იმდენად გაიბერა, რომ ხმა მილიციასაც მისწვდა და იქიდან გასაოცარი სისწრაფით გამოგზავნეს ქვეითი და ცხენოსანი რაზმები, რომელთაც ასე თუ ისე მოაწესრიგეს არეულობა, თუმცა მოწესრიგებული კილომეტრნახევრიანი რიგიც თავისთავად უდიდესი საცდური გახლდათ და სადოვანაზე გამვლელი მოქალაქეების გაოცებას იწვევდა.

ეს ყველაფერი გარეთ ხდებოდა, თუმცა, არც ვარიეტეს შიგნით სუფევდა სიმშვიდე. დილიდან მოყოლებული შეშლილივით რეკდა ტელეფონები ლიხოდევის, რიმსკის და ვარენუხას კაბინეტებში, შემდეგ ბუღალტერიასა და სალაროებში. ვასილი სტეპანოვიჩი და მოლარე თავდაპირველად პასუხობდნენ, კაპელდინერებიც რაღაცას ლულლულულებდნენ პასუხად, შემდეგ და შემდეგ კი საერთოდ აღარ იღებდნენ ყურმილს, რადგან კითხვაზე, სად იმყოფებოდა ლიხოდევის, ვარენუხა ან რიმსკი, პასუხი არავინ იცოდა. ისიც სცადეს, თავიდან მოეშორებინათ აბეზარი მრეკველები, ეთქვათ, – ლიხოდევის შინ არისო, მაგრამ ყურმილიდან დაჟინებით უმტკიცებდნენ, რომ ბინაში უკვე დაერეკათ და იქ ეთქვათ, რომ ლიხოდევის ვარიეტეში იმყოფებოდა.

მერე ვიღაც აღელვებულმა ქალმა დარეკა, რიმსკი იკითხა. ურჩიეს, რიმსკის მეუღლისთვის დაერეკა, პასუხად ქალის აქვითინებულმა ხმამ აუწყათ, რომ თავად იყო რიმსკის მეუღლე და ქმარს ეძებდა. რაღაც აბდაუბდა იწყებოდა. დამლაგებელი ქალი უკვე ყველას უამბობდა, რა არეულობა დახვდა ფინანსური დირექტორის კაბინეტში, როცა დასალაგებლად შევიდა, კარი ყურთამდე ღია იყო, ნათურები ენთო, ბაღში გამავალი ფანჯარა ვიღაცას ჩაემტვრია, სავარძელი იატაკზე იყო ამოპირქვავებული და ოთახი – ცარიელი.

თერთმეტი საათისათვის ვარიეტეში ქალბატონი რიმსკაია შემოიჭრა. მოთქვამდა და ხელებს იმტვრევდა. დაბნეულმა ვასილი სტეპანოვიჩმა აღარ იცოდა, რით დახმარებოდა ქალს. თერთმეტ საათზე კი მილიცია მოვიდა. პირველი კითხვა ძალზე ლოგიკური იყო:

– რა ხდება აქ, მოქალაქეო, რაშია საქმე?

თანამშრომლებმა უკან დაიხიეს და მილიციას გადაფითრებული და აღელვებული ვასილი სტეპანოვიჩი შეატოვეს პირისპირ. იძულებულნი გახდნენ ყველაფრისათვის სახელი დაერქმიათ და ეთქვათ, რომ ვარიეტეს ადმინისტრაცია, კერძოდ კი – დირექტორი, ფინანსური დირექტორი და ადმინისტრატორი უგზო-უკვლოდ გამქრალიყვნენ, მათი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, კონფერანსიე კი, გუშინდელი სეანსის შემდეგ, ფსიქიატრიულში წაეყვანათ. მოკლედ, იმის აღიარებაც მოუხდათ, რომ გუშინდელი სეანსი ერთობ სკანდალური იყო.

მილიციელებმა აქვითინებული ქალბატონი რიმსკაია შეძლებისდაგვარად დაამშვიდეს, შინ გაისტუმრეს და ყველაზე მეტად დამლაგებელი ქალის მონათხრობით დაინტერესდნენ, იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაში დახვდა ფინანსური დირექტორის კაბინეტი. თანამშრომლებს სთხოვეს ყველა თავის სამუშაო ადგილს დაბრუნებოდა, საქმეს შესდგომოდნენ, შემდეგ ვარიეტეს შენობაში გამომძიებლები გამოჩნდნენ, ყურდაცქვეტილი, დაკუნთული, თამბაქოს ფერფლისფერი, ძალზე ჭკვიანთვალეებიანი ძაღლის თანხლებით. ვარიეტეს თანამშრომელთა შორის მაშინვე გავრცელდა ჭორი, რომ ეს ძაღლი სახელგანთქმული „ტუზბუბენი“ იყო და არც შემცდარან, მაგრამ მისმა ქცევამ ყველა გააოცა. როგორც კი ტუზბუბენი ფინანსური დირექტორის კაბინეტში შეიჭრა, დაიღრინა, საშინელი, მოყვითალო ღოჯები გამოაჩინა, შემდეგ მუცელზე დაწვა, თვალეებში საოცარი ნალველი და გამძვინვარება აღებეჭდა და დაწოლილი გაფორთხდა ფანჯრისაკენ. შემდეგ, თითქოს შიშს სძლიაო, უეცრად რაფაზე შეხტა, წაწვეტებული დრუნჩი მალლა აიშვირა და ველურად, ბოროტად დაიყმუვლა. ძაღლს ფანჯრიდან ჩამოსვლა არ უნდოდა, ყმუოდა, თრთოდა და ქვევით იწევდა ჩასახტომად.

ტუზბუბენი კაბინეტიდან გაიყვანეს და ვესტიბიულში გაატარეს, საიდანაც სადარბაზო კარისკენ აიღო გეში, მერე ქუჩაში გავიდა და ტაქსის გაჩერებაზე მიიყვანა უკან ადევნებული გამომძიებლები. აქ დაკარგა ის კვალი, რომელსაც მისდევდა. ამის შემდეგ ტუზბუბენი წაიყვანეს.

გამომძიებლები ვარენუხას კაბინეტში შეიკრიბნენ და რიგრიგობით დაიწყეს იმ თანამშრომლების გამოძახება, ვინც გუშინდელ სეანსზე მომხდარ აურზაურს ესწრებოდნენ. უნდა ითქვას, რომ გამომძიებლები ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდნენ გაუთვალისწინებელ სირთულეებს და ძიების ძაფი წამდაუწუმ უწყდებოდათ.

აფიშები იყო? იყო. მაგრამ ღამით ზედ ახალი აფიშები გადააკრეს და აღარც ერთი არ ჩანდა, ეს მაგი საიდან გაჩნდა? ეშმაკმა იცის. ხელშეკრულება ხომ უნდა გაეფორმებინათ?

– უნდა გაეფორმებინათ, – პასუხობდა აღელვებული ვასილი სტეპანოვიჩი.

– თუ ხელშეკრულება გაუფორმეს, ბუღალტერიაში ხომ უნდა შემოეტანათ?

– აუცილებლად, – პასუხობდა ვასილი სტეპანოვიჩი.

– მერე სად არის ხელშეკრულება?

– ვერსად ვნახეთ, – პასუხობდა ერთიანად გადაფითრებული ბუღალტერი და ხელებს შლიდა. მართლაც, არც ბუღალტერიის საქალაქო დეპარტამენტი, არც ფინანსურ დირექტორთან, არც ლიხოდევთან, არც ვარენუხასთან, ხელშეკრულება არ აღმოჩნდა.

– ის მაგი რა გვარის იყო? – ვასილი სტეპანოვიჩმა არ იცოდა, რადგან გუშინდელ სპექტაკლზე არ ყოფილა. არც კაპელდინერებმა იცოდნენ არაფერი, მოლარემ კი ერთხანს იჭმუხნა შუბლი, იჭმუხნა, იფიქრა და ბოლოს თქვა:

– ჰო... მგონი, ვოლანდი.

ან იქნებ არც იყო ვოლანდი? არა, არა, მგონი, ვოლანდი კი არა, ფალანდი იყო.

გაირკვა, რომ უცხოელთა ბიუროში არც ვოლანდზე იცოდნენ რამე, არც ფალანდზე, მით უმეტეს მაგზე არაფერი გაეგოთ.

კურიერმა კარპოვმა აცნობა, რომ ეს მაგი ლიხოდევის ბინაში გაჩერებულიყო. ცხადია, ბინას მაშინვე ეწვივნენ, მაგრამ არავითარი მაგი იქ არ დახვედრიათ, არც ლიხოდევები იყო შინ, არც მოსამსახურე გრუნია, ვერც ვერავისგან შეიტყვეს, როდის მოვიდოდნენ – ადგილზე არც სახლმმართველობის უფროსი ნიკანორ ივანოვიჩი დახვედრიათ, არც პროლექნევი!

რადაც სრულიად გაუგებარი ხდებოდა: ერთად გამქრალიყო მთელი ადმინისტრაციული აპარატი. გუშინ უცნაური, სკანდალური სენსი ჩაეტარებინათ და ვინ დართო ნება ან ვისი წაქეზებით მოხდა ეს ყველაფერი – ვერაფრით გაეგოთ.

ამასობაში შუადღე მოახლოვდა, სალაროს გაღების დრო დადგა. მაგრამ, ცხადია, სალაროს გაღებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. ვარიეტეს კარზე სასწრაფოდ გამოკიდეს მუყაოს დიდი ნაჭერი, რომელზეც ეწერა: „დღევანდელი სპექტაკლი გაუქმებულია“, რიგში ჩოჩქოლი ატყდა, მაგრამ აღელვებული ხალხი მაინც დაიშალა და დაახლოებით ერთი საათის შემდეგ სადოვანაზე კაცი აღარ ჭაჭანებდა. გამომძიებლებიც წავიდ-წამოვიდნენ, რომ ახლა სხვაგან გაეგრძელებინათ მუშაობა, თანამშრომლები დაითხოვეს, ადგილზე მხოლოდ მორიგეები დატოვეს და ვარიეტეს კარი დაკეტეს.

ბუღალტერ ვასილი სტეპანოვიჩს ორი საქმე ჰქონდა სასწრაფოდ გასაკეთებელი. უპირველესად სასცენო და მსუბუქი გასართობი პროგრამების კომისიაში უნდა მისულიყო და გუშინდელი ამბები მოეხსენებინა, მეორეც – სასცენო კომისიის საფინანსო სექტორში შეეველო, რათა გუშინდელი შემოსავალი – 21. 711 მანეთი ჩაებარებინა.

გულმოდგინე და მუყაითმა ვასილი სტეპანოვიჩმა ფული გაზეთში გააჩვია, თოკი გადაუჭირა, პორტფელში ჩადო და, რადგან კარგად იცოდა ინსტრუქცია, ტაქსის სადგომისკენ გაემართა.

მძღოლებმა, როგორც კი მათკენ მიმავალი სქელპორტფელიანი კაცი დაინახეს, მაშინვე დაძრეს მანქანები და სამი ცარიელი ტაქსი გაჩერებას გასცილდა. თან, რატომღაც ბოროტად გამოხედეს მომავალს.

ამ უცნაურობით გაოცებული ბუღალტერი ერთხანს გახევებული იდგა და ვერ მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი.

სამიოდე წუთის შემდეგ გაჩერებას ცარიელი მანქანა მოუახლოვდა, მაგრამ მძღოლს მგზავრის დანახვისთანავე მოექცა სახე.

– თავისუფალია? – ხველა-ხლუჩუნით იკითხა გაოცებულმა ვასილი სტეჰანოვიჩმა.

– ფული მაჩვენეთ, – ბოროტად უთხრა შოფერმა, მგზავრისათვის ზედაც არ შეუხედავს.

მთლად გაოგნებულმა ბუღალტერმა ძვირფასი პორტფელი ილლიაში ამოიჩარა, საფულიდან თუმნიანი ამოიღო და შოფერს უჩვენა.

– არ წაგიყვან! – მოკლედ მოუჭრა მან.

– მაპატიეთ... – დაიწყო ბუღალტერმა, მაგრამ მძღოლმა შეაწყვეტინა:

– სამმანეთიანები გაქვთ?

თავზარდაცემულმა ბუღალტერმა საფულიდან ორი სამმანეთიანი ამოიღო და შოფერს დაანახვა.

– დაბრძანდით, – უყვირა მძღოლმა და მრიცხველის ალამს ისე დასცხო, ლამის ჩატეხა, – წავედით.

– ხურდა არა გქონდათ? – დაეკითხა შეშინებული ბუღალტერი.

– ხურდა იმდენი მაქვს, ჯიბეში აღარ მეტევა, – დაუღრიალა მძღოლმა და სარკეში მისი სისხლმოწოლილი თვალები აირეკლა, – დღეს მესამე შემთხვევაა, სხვებსაც დაემართათ. თუმნიანს გადამიხდიან, მე ხურდას ვუბრუნებ – ორ მანეთსა და ორმოცდაათ კაპიკს... ჩავა ის დამპალი! ხუთი წუთის შემდეგ კი თუმნიანის ნაცვლად „ნარზანის“ ეტიკეტი შემრჩება ხელში, – მძღოლმა რამდენიმე უცენზურო სიტყვა წარმოთქვა, – ერთი ზუბროვკასთან ჩამოვსვი. თუმნიანი მომცა და სამი მანეთი უკან დავუბრუნე. წავიდა და საფულეში რომ ჩავიხედე, იქიდან ბზიკი ამოფრინდა. თითზე მიკბინა, მე მაგის... – მძღოლმა ისევ უცენზურო სიტყვა იხმარა, – თან, ის ათმანეთიანიც გაქრა. გუშინ ამ ვარიეტეში (უცენზურო სიტყვა) ვილაც დამპალ ტაკიმასხარას თუმნიანების სეანსი ჩაუტარებია (უცენზურო სიტყვა).

ბუღალტერი გაოგნდა, მოიბუზა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს სიტყვა „ვარიეტე“ პირველად ესმოდა და გაიფიქრა: „ოჰო-ო!“

ადგილზე მისულმა, საბედნიეროდ, ყოველგვარი გართულების გარეშე გადაიხადა ფული, შემდეგ შენობაში შევიდა და დერეფნის გავლით იქით გაეშურა, სადაც მმართველის კაბინეტი ეგულეობდა, მაგრამ გზაშივე მიხვდა, რომ უდროოდ დროს მოუწია მოსვლამ. დიდი აურზაური იდგა სასცენო კომისიის კანცელარიაში. დერეფანში თვალებდაჭყეტილი, თავსაფარმოქცეული ქალი მირბოდა და გაჰკიოდა:

– არ არის, არა, არა, არ არის, ჩემო კარგებო! – გაუგებარი იყო ვის მიმართავდა, – პიჯაკი და შარვალი არის, თვითონ კი არ ჩანს!

კურიერი რომელიღაც კარში მიიმალა და მაშინვე იმ კარიდან ჭურჭლის მსხვრევის ხმა გაისმა. მდივნის ოთახიდან კომისიის პირველი სექციის ხელმძღვანელი გამოიჭრა, რომელსაც

კარგად იცნობდა ბუღალტერი, მაგრამ იმ ოთახიდან გამოსული ისე იყო რეტდასხმული, რომ ბუღალტერს არც მისაღებია, სადღაც თავჯექვდმოგლეჯილი გაიქცა.

ნანახით გაბეცებული ბუღალტერი მდივნის ოთახს მიუახლოვდა, საიდანაც კომისიის თავმჯდომარის კაბინეტში აპირებდა შესვლას, აქ კი საბოლოოდ დაიბნა.

კაბინეტის მოხურული კარიდან მრისხანე ხმა ისმოდა, კომისიის თავმჯდომარის, პროხორ პეტროვიჩის ხმა იყო. „ალბათ ვიღაცას უბრაზდება“, – გაიფიქრა შეწუხებულმა ბუღალტერმა, ოთახში მიმოიხედა და უცნაურზე უცნაური რამ დაინახა. ტყავის სავარძელში საზურგეს მისვენებული ანა რიჩარდოვნა იწვა, პროხორ პეტროვიჩის მზეთუნახავი პირადი მდივანი, ფეხები ლამის შუა ოთახამდე გაეშოტა და აქვითინებული სრესდა სველ ცხვირსახოცს.

ანა რიჩარდოვნას ნიკაპი პომადით მოთხვროდა, ატმისფერ ლოყებზე კი ტუშის საღებავის შავი ლაქები შერჩენოდა.

შემოსული რომ დაინახა, ანა რიჩარდოვნა სავარძლიდან წამოხტა, ბუღალტერთან მიიჭრა, პიჯაკის ლაცკანში სწვდა და დაიყვირა:

– მადლობა ღმერთს! ძლივს ერთი ვაჟკაცი გამოჩნდა! ყველა გაიქცა, ყველამ მიმატოვა! წამომყევით, წამომყევით, იქნებ მირჩიოთ, რა ვქნა? – და აქვითინებულმა კაბინეტისკენ წაიყვანა ბუღალტერი.

კაბინეტში შესვლისთანავე ბუღალტერს პორტფელი ხელიდან გაუვარდა და თვალები დაუელმდა. გულახდილად უნდა მოგახსენოთ, არც გაემტყუნებოდა.

უზარმაზარ საწერ მაგიდასთან ცარიელი კოსტიუმი იჯდა და სამელნეში კალმის ჩაუწებლად რაღაცას წერდა ქაღალდზე. კოსტიუმს ჰალსტუხი ეკეთა, ჯიბეში ავტოკალამიც ედო, მაგრამ საყელოდან არც კისერი მოუჩანდა, არც თავი, ისევე, როგორც მანუეტების გაყოლებაში არ ჩანდა ხელის მტევნები. კოსტიუმი მუშაობაში იყო გართული და სრულიად ვერ ამჩნევდა იმ არეულობას, მის ირგვლივ რომ სუფევდა. ნაბიჯის ხმა რომ გაიგო, კოსტიუმი სავარძლის ზურგს გადაეყრდნო და საყელოს ზემოდან ბუღალტერს პროხორ პეტროვიჩის კარგად ნაცნობი ხმა შემოესმა:

– რაშია საქმე? კარზე ხომ წერია, რომ არავის ვიღებ?

– ხედავთ? ხედავთ? აქ არ არის, არა, დააბრუნეთ, გემუდარებით, დააბრუნეთ!

უეცრად კაბინეტის კარში ვიღაცამ შემოყო თავი, ამოიგმინა და უკან გავარდა. ბუღალტერმა იგრძნო, როგორ აუკანკალდა მუხლები და სკამის კიდეზე ჩამოჯდა, თუმცა არც დავარდნილი პორტფელის აღება დავიწყებია. ანა რიჩარდოვნა ბუღალტერს ვერ სცილდებოდა, პიჯაკზე ექაჩებოდა და გაჰყვიროდა:

– პროშა! სადა ხართ?

– ვინ არის თქვენი „პროშა“, – მაშინვე ზვიადად უპასუხა კოსტიუმმა და უფრო მოხერხებულად მოეწყო სავარძელში.

– ვერ მცნობს! მე ვერ მცნობს, გესმით? – ისევ აქვითინდა მდივანი ქალი.

– ძალიან გთხოვთ, კაბინეტში ნუ ტირით! – უკვე მრისხანედ უთხრა ზოლიანმა კოსტიუმმა და სახელოთი ახალი დასტა მიიწია თავისკენ, ცხადად ეტყობოდა, რეზოლუციის დადებას აპირებდა.

– არა, ამის ცქერა აღარ შემიძლია! – დაიკვილა ანა რიჩარდოვნამ და ისევ თავისი ოთახისკენ გაქანდა, უკან კი ტყვიასავით მიჰყვა ბუღალტერი.

– წარმოგიდგენიათ, ვზივარ, – ყვებოდა ბუღალტრის სახელოს ჩაფრენილი, აცხცახებული ანა რიჩარდოვნა, – და უცებ კატა შემოვიდა. შავი, უზარმაზარი, ბეჭემოთივით კატა. მე, რა თქმა უნდა, აცხა-მეთქი, ვუყვირე. კატა გავიდა, მაგრამ კარში მაშინვე ვიღაც სქელი კაცი გამოჩნდა, ისიც ძალიან ჰგავდა კატას და მეუბნება: „როგორ შეიძლება, მოქალაქევ, მომსვლელებს „აცხას“ რომ ეუბნებით?“ და პირდაპირ პროხორ პეტროვიჩის კაბინეტისკენ წავიდა, მე, ცხადია, უკან გავყევი და დავუყვირე: „ხომ არ გაგიჟდით?“ ის თავხედი კი პირდაპირ პროხორ პეტროვიჩის მაგიდასთან მივიდა და მის სავარძელში ჩაჯდა! იმან, იმან... პროხორ პეტროვიჩი კეთილზე კეთილი კაცია, მაგრამ ნერვიული. წამოენთო. არ უარვყოფ. ბევრს მუშაობს და თავი ველარ შეიკავა. „როგორ ბედავთ დაუკითხავად ჩემს კაბინეტში შემოსვლასო?“ ის თავხედი კი, წარმოიდგინეთ, სავარძელში გადაიშხლართა და ღიმილით ეუბნება: „მე თქვენთან საქმეზე მოსალაპარაკებლად მოვედიო“. პროხორ პეტროვიჩმა ისევ გაბრაზებულმა უთხრა: „დაკავებული ვარო“. მან კი, თქვენ წარმოიდგინეთ, უპასუხა: „არაფერიც არა ხართ დაკავებული... „ გესმით? აქ უკვე მოთმინების ფიალა აევსო პროხორ პეტროვიჩს, წამოხტა და იყვირა: „ეს რას ჰგავს? ახლავე გაიყვანეთ გარეთ, ეშმაკმა წამიღოს!“ იმან კი გაიღიმა და უთხრა: „ეშმაკმა წაგიღოთ? ეგ ადვილი მოსახერხებელია, კი, ბატონო!“ და ბაც, დაყვირებაც ვერ მოვასწარი, ვხედავ: ის კატისსახიანი ტიპი სადღაც გაქრა და პროხორ პეტროვიჩი ზი... ზის... კოსტიუმი... ოოო, – ანა რიჩარდოვნამ ისევ დაალო პირი და აქვითინდა.

თუმცა ცოტა ხანში სული მოითქვა და გაუგებრად ალულლულდა:

– და წერს, წერს, წერს! გაგაგიჟებთ პირდაპირ! ტელეფონითაც ლაპარაკობს! კოსტიუმი! ყველა გაიქცა, კურდღლებივით!

ბუღალტერი იდგა და ცახცახებდა, მაგრამ ანაზდად ბედმა გაუღიმა. სამდივნოში მშვიდად და საქმიანად შემოვიდა ორი მილიციელი. მათ დანახვაზე მზეთუნახავი უფრო ხმამაღლა აქვითინდა და ხელით კაბინეტისკენ მიუთითა.

– მოდი, ნუ იტირებთ, მოქალაქევ, – მშვიდად უთხრა ერთმა. ბუღალტერმა კი იგრძნო, რომ აქ სრულიად ზედმეტი იყო, სამდივნოდან გამოსხლტა და წუთის შემდეგ უკვე სუფთა ჰაერს ისუნთქავდა. თავში ყველაფერი ერეოდა, ხმაურობდა და ამ ხმაურში გარკვევით ხმიანდებოდა კაპელდინერის სიტყვები იმ კატაზე, თითქოს გუშინდელ სეანსში რომ მონაწილეობდა. „ოჰო-ო! თუ აქაც ჩვენმა კატამ შემოიარა“.

კომისიაში ასე უსარგებლოდ ხეტიალის შემდეგ, კეთილსინდისიერმა ვასილი სტეპანოვიჩმა გადაწყვიტა, ვაგანკოვის შესახვევში მდებარე ფილიალში მაინც შეეგლო და დასამშვიდებლად, ფეხით გაუყვა გზას.

სასცენო საქალაქო ფილიალი დრო-ჟამით ბათქაშჩამოყრილ შენობაში იყო მოთავსებული, ეზოს სიღრმეში იდგა და იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ ვესტიბიულში პორფირიანი სვეტები იყო დატანებული.

მაგრამ იმ დღეს პორფირიანი სვეტები კი არ აოცებდა მიმსვლელთ, არამედ ის, რაც შენობაში ხდებოდა.

რამდენიმე მიმსვლელი გახევებული იდგა და აქვითინებულ ქალიშვილს შესცქეროდა, რომელიც გასაყიდად გამოტანილი სპეციალური სასცენო ლიტერატურით სავსე მაგიდას უჯდა. ამჟამად ქალიშვილი არაფერს ყიდდა, არც არავის სთავაზობდა ამ ლიტერატურას, თანაგრძნობის კითხვებზე მხოლოდ ხელებს ასავსავებდა, ამასობაში კი, ყოველი მხრიდან – მალლიდან, ქვევიდან, გვერდებიდან, ფილიალის ყოველი განყოფილებიდან, ტელეფონების ზარის წკრიალი ისმოდა – ოცი ტელეფონი მაინც რეკავდა ერთდროულად.

ატირებული ქალიშვილი უცებ შეკრთა და ისტერიულად დაიკვილა:

– ისევ დაიწყო! – თქვა და მოულოდნელად ათრთოლებული სოპრანოთი ამღერდა:

Славное море: священный Байкал???^[9]

კურიერმა კიბე ჩამოირბინა, ვიღაცას მუშტით დაემუქრა და დაგუდული, უსიამო ბარიტონით აჰყვა ქალიშვილს:

Славен кораб ль: омулевая б очка!^[10]

კურიერის ბარიტონს საიდანღაც გამოეხმაურნენ, გუნდმა იმძლავრა და ბოლოს ფილიალის ყოველი კუთხიდან დასჭექა. უახლოეს ოთახ № 6-ში, სადაც სათვლელ-მაკონტროლებელი განყოფილება იყო მოთავსებული, განსაკუთრებით გამოირჩეოდა ვიღაცის მჟღერი, ოდნავ ჩახლეჩილი ხმა. გუნდს აკომპანემენტს უწევდა ტელეფონის ზართა მომძლავრებული წკრიალი.

Гей Баргузин??? пошевеливай вал!^[11]

ღრიალებდა კიბეზე მდგარი კურიერი.

ქალიშვილს ცრემლები სცვიოდა, მთელი ძალით ცდილობდა პირი მოეკუმა, მაგრამ ტუჩები თავისით ეხსნებოდა და კურიერზე ერთი ოქტავით მაღლა მღეროდა:

Молодцу быть недалечко!^[12]

ენაჩავარდნილ მომსვლელთ ისიც აოცებდათ, რომ სხვადასხვა ოთახში გაფანტული ხალხი ისე შეხმატკბილებულად მღეროდა, თითქოს მთელი გუნდი ერთად იდგა და თვალს არ აშორებდა ღირიჟორს.

გამვლელები შემოდობილ ეზოსთან ჩერდებოდნენ, ქუჩიდან უთვალთვალდნენ შენობას და ფილიალში დასადგურებული მხიარულება აოცებდათ.

როგორც კი სიმღერის პირველი კუპლეტი ჩაამთავრეს, სიმღერა უცებ ჩაცხრა, თითქოს ღირიჟორმა აიქნია ხელიო. კურიერმა ხმადაბლა შეიგინა და თვალს მიეფარა. იმავე წამს სადარბაზოს კარი გაიღო და თხელპალტოიანი მოქალაქე შემოვიდა, რომელსაც პალტოს ქვემოდან თეთრი ხალათის კალთები მოუჩანდა, გვერდით კი მილიციელი მოჰყვებოდა.

– გვიშველეთ, ექიმო, გვედრებით! – ისტერიულად იყვირა ქალიშვილმა.

კიბეზე ფილიალის მდივანმა ჩამოირბინა და ალბათ სირცხვილისა და დაბნეულობისაგან, ენის ბორძიკით თქვა:

– იცით, რაშია საქმე, ექიმო, ჩვენთან მასობრივი ჰიპნოზის შემთხვევაა... ასე რომ, აუცილებელია... – მაგრამ სიტყვა ვეღარ დაამთავრა, რაღაც წაიბლუკუნა და უცებ ტენორით ამღერდა:

Шилка и Нерчинск???^[13]

– სულელი! – ძლივს მოასწრო ქალიშვილმა წამოყვირება, ოღონდ არავისთვის განუმარტავს, ვის ლანძღავდა, თვითონაც თითქოს ამოისლუკუნა და ისევ ამღერდა.

– თავს მოერიეთ! შეწყვიტეთ სიმღერა! – ურჩია ექიმმა მდივანს.

ეტყობოდა, მდივანი ყველაფერს გაიღებდა, ოღონდ კი სიმღერა შეეწყვიტა, მაგრამ ვერ ახერხებდა და ჩიხში გამვლელთ გუნდთან ერთად, ხმაშეწყობილად აუწყა იმის შესახებ, რომ უსიერ ტყეში ვერც მსუნაგმა მგელმა გაჰკრა კბილი და ვერც მსროლელთა ტყვია მისწვდა.

როგორც კი კუპლეტი დასრულდა, ქალიშვილმა პირველმა გადაკრა ვალერიანი, შემდეგ კი ექიმს წინ გაუძღვა – სხვების დასამშვიდებლად.

– მაპატიეთ, მოქალაქევ, – ანაზღად მიმართა ქალიშვილს ვასილი სტეპანოვიჩმა, – თქვენთან შავ კატას ხომ არ შემოუვლია?

– რომელ კატას? – იყვირა გაბრაზებულმა ქალიშვილმა, – ვირი გვიზის ფილიალში, ვირი! – შემდეგ დასძინა, – გაიგოს, რა მენაღვლება! ყველაფერს ვიტყვი, – და მართლაც მოჰყვა, რაც მომხდარიყო.

აღმოჩნდა, რომ საქალაქო ფილიალის მმართველი, რომელმაც (ქალიშვილის ნათქვამს თუ დავუჯერებთ) „საბოლოოდ ძირი გამოუთხარა მსუბუქ გასართობ პროგრამებს“, ათასგვარი წრეების ჩამოყალიბების მანიით იყო შეპყრობილი.

– თვალში ნაცარს აყრიდა უფროსობას, – ყვიროდა ქალიშვილი.

ამ ერთ წელიწადში თავმჯდომარეს მოესწრო ლერმონტოვის შემსწავლელთა წრის, ჭადრაკისა და შაშის, ჩოგბურთისა და ალპინიზმის წრეების ჩამოყალიბება.

და აი, დღეს, შესვენებისას...

– ხელჩაკიდებული შემოიყვანა ვიღაც არამზადა, – თხრობას განაგრძობდა მდივანი გოგონა, – ეშმაკმა უწყის, საიდან მოათრია. მოსულს კუბოკრული შარვალი ეცვა. გაბზარული პენსნე ეკეთა... და... აუტანელი სიფათი ჰქონდა!

და მაშინვე, როგორც ქალიშვილმა თქვა, ფილიალის სასადილოში თავშეყრილ თანამშრომლებს საგუნდო წრეების ცნობილ სპეციალისტად გააცნო.

მომავალ ალპინისტებს სახე დაუგრძელდათ, მაგრამ თავმჯდომარემ ყველას სიმხნევისაკენ მოუწოდა, იმ სპეციალისტმა კი იმდენი იოხუნჯა და იანგლა, ბოლოს დაიფიცა კიდეც, რომ სიმღერის შესწავლას ძალიან ცოტა დრო სჭირდებოდა, სარგებელი კი იმდენი მოჰქონდა, ერთი ურემი ხარ-კამეჩი ვერ მოერევას.

როგორც მდივანმა აცნობათ, პირველები ფანოვი და კოსარჩუკი, ფილიალის ცნობილი მლიქვნელები გამომხტარიყვნენ და უთქვამთ, წრეში ვეწერებითო. მერე დანარჩენი თანამშრომლებიც მიხვდნენ, რომ სიმღერას თავს ვერ დააღწევდნენ, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და ისინიც წრეში ჩაეწერნენ. გადაწყვიტეს, შესვენების დროს ემეცადინათ, რადგან დანარჩენ დროს ლერმონტოვისა და შაშის წრეების მეცადინეობა ტარდებოდა. თავმჯდომარემ, სხვებისთვის რომ მაგალითი მიეცა, განაცხადა, ტენორი მაქვსო, შემდეგ კი ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც კომმარულ სიზმარში ხდება ხოლმე. კუბოკრულკოსტიუმთანმა სპეციალისტ-ქორმაისტერმა დაიღრიალა:

– დო-მი-სოლ-დო! – სიმღერისგან თავის დასაღწევად კარადებს ამოფარებული ზოგიერთი მორცხვი თანამშრომელი იმ კარადების უკნიდან გამოათრია, კოსარჩუკს უთხრა, აბსოლუტური სმენა გაქვსო, დიდხანს იწუწუნა, ივიშვიშა, ყველას ევედრებოდა, შეებრალებინათ ყოფილი რეგენტი-მომღერალი, თან თითებზე კამერტონს იკაკუნებდა და იხვეწებოდა „Славное море“^[14] დაეჭეკათ.

დასჭექეს, მაგრამ რა დასჭექეს. აღმოჩნდა, რომ იმ კუბოკრულკოსტიუმთანმა ტიპმა მართლაც კარგად იცოდა თავისი საქმე. პირველი კუპლეტი დაასრულეს თუ არა, უცებ რეგენტმა ბოდიში მოიხადა, თქვა, ერთი წუთითო და... გაქრა. ეგონათ, მართლა ერთ წუთში დაბრუნდებოდა. მაგრამ ათი წუთიც გავიდა, ის კი არ ჩანდა. ფილიალში ლამის გადაირივნენ სიხარულით – ყველას ეგონა, რომ სიმღერის სპეციალისტი გაიქცა!

და უეცრად, როგორღაც თავისთავად წამოიწყეს მეორე კუპლეტი. გუნდი კოსარჩუკმა აიყოლია, რომელსაც ეგებ არც ჰქონდა აბსოლუტური სმენა, მაგრამ საკმაოდ სასიამოვნო, მაღალი ტენორი აღმოაჩნდა. იმღერეს, რეგენტი მაინც არ ჩანდა! მერე თავ-თავიანთ ადგილებზე დაბრუნდნენ, მაგრამ სკამებზე დასხდომაც ვერ მოასწრეს, თავისდა უნებურად ისევ დაიწყეს სიმღერა. ცხადია, სიმღერის დრო აღარ იყო, მაგრამ მთელი უბედურებაც ის გახლდათ, რომ სამიოდე წუთით წყვეტდნენ სიმღერას და ისევ თავიდან იწყებდნენ. დარცხვენილი თავმჯდომარე თავის კაბინეტში შეიკეტა.

უცებ ქალიშვილს სიტყვა გაუწყდა და მიხვდა, რომ ვალერიანის წვეთებმა ვერ უშველა.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ვაგანკოვის თეჯირთან სამი სატვირთო მანქანა მოაყენეს. შიგ ფილიალის თანამშრომლები ჩასვეს, თავმჯდომარის მეთაურობით.

როგორც კი პირველი სატვირთო მანქანა ჰიმკარს გასცდა და ჩიხში შეუხვია, ბაქანზე მდგარმა ხელიხელჩაკიდებულმა თანამშრომლებმა პირი დააღეს და ახლა ჩიხში დასცხეს ეს პოპულარული სიმღერა. მათ მეორე სატვირთოც აჰყვა, შემდეგ – მესამე. ასე მიდიოდნენ. ქუჩაში საქმეებზე მიმავალი გამვლელები, სატვირთო მანქანებს სწრაფად შეავლებდნენ ხოლმე თვალს და სულაც არ აოცებდათ ეს მხიარულება. ფიქრობდნენ, რომ მგზავრები ქალაქგარეთ მიემგზავრებოდნენ ექსკურსიაზე. ისინი მართლაც ქალაქგარეთ მიემგზავრებოდნენ, მაგრამ არა ექსკურსიაზე, არამედ პროფესორ სტრავინსკის კლინიკაში.

ნახევარი საათის შემდეგ საბოლოოდ თავზარდაცემული ბუღალტერი საფინანსო ინსპექციაში მივიდა იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო ფული ჩაებარებინა.

სიფრთხილეს თავი არ სტკივავო და უპირველესად მალულად შეიხედა გრძელ დარბაზში, სადაც ოქროსფერი წარწერებით აჭრელებული მქრქალი მინების მიღმა მოსამსახურეები ისხდნენ. არეულობა ან აურზაური ვერ შენიშნა. სიმშვიდე სუფევდა, როგორც ნებისმიერ წესიერ დაწესებულებას შეეფერებოდა.

ვასილი სტეპანოვიჩმა იმ ფანჯარაში შეყო თავი, სადაც „თანხის მიღება“ ეწერა, ვილაც სრულიად უცხო მოსამსახურეს მიესალმა და ზრდილობიანად სთხოვა საშემოსავლო ორდერი.

– რისთვის გჭირდებათ? – სარკმლიდან ჰკითხა მოსამსახურემ.

ბუღალტერი გაოცდა.

– თანხა უნდა ჩაგაბაროთ, ვარიეტედან გახლავართ.

– ერთი წუთით, – უპასუხა მოლარემ და სარკმელს ცხაური ჩამოაფარა.

„საოცარია“, – გაიფიქრა ბუღალტერმა და სრულიად სამართლიანადაც. თავის სიცოცხლეში ასეთი რამ არ ენახა. ყველამ კარგად იცის, როგორ ჰქრის ფულის მიღება. შეიძლება ყველაფერი მოხდეს, მაგრამ ოცდაათწლიანი პრაქტიკის განმავლობაში, ბუღალტერს ჯერ არასდროს ენახა, რომ ვინმეს, გინდ იურიდიულ პირს და გინდ არაიურიდიულს, ფულის აღება გასჭირვებოდეს.

როგორც იქნა, ცხაური აიწია და ბუღალტერი ისევ სარკმელს მიაწყდა.

– ბევრი გაქვთ? – ჰკითხა მოლარემ.

– ოცდაერთი ათას შვიდას თერთმეტი.

– ოჰო! – რატომღაც ირონიულად უთხრა მოლარემ და ბუღალტერს მწვანე ფურცელი გაუწოდა.

ბუღალტერმა კარგად იცოდა თავისი საქმე, თვალის დახამხამებაში შეავსო ბლანკი და გაზეთში გახვეულ ფულზე გადაკრული კანაფის გახსნას შეუდგა. როცა გახსნა, თვალი აუჭრელდა და რაღაც გაურკვეველად ამოილულლულა.

გაზეთში უცხოური ფული ეწყო. აქ იყო კანადური დოლარის შეკვრა, ინგლისური გირვანქა სტერლინგი, ჰოლანდიური გულდენი, ლატვიური ლატი, ესტონური კრონი...

– ვარიეტელი ოინბაზი გვწვევია, – ჩაესმა მრისხანე ხმა ენაჩავარდნილ ბუღალტერს. ვასილი სტეპანოვიჩი იქვე დააპატიმრეს.

თავი მეთვრამეტე

უიღბლო სტუმრები

სწორედ იმ დროს, როცა ვარიეტეს ბუღალტერი გაბეჯითებული დაქროდა ტაქსით, რომ საკუთარი თვალთ ეხილა გაცოცხლებული კოსტიუმი, მოსკოვში ჩამომდგარი კიევის მატარებლის მე-9 რბილი ვაგონიდან სხვა მგზავრებთან ერთად კარგად ჩაცმული მოქალაქეც გადმოვიდა, რომელსაც ხელში პატარა ჩემოდანი ეჭირა. ეს მგზავრი აწ განსვენებული ბერლიოზის ბიძა გახლდათ, მაქსიმილიან ანდრეევიჩი პოპლავსკი, მგეგმაგ-ეკონომისტი, რომელიც კიევში ცხოვრობდა ყოფილი ინსტიტუტის ქუჩაზე და მოსკოვში იმიტომ ჩამოსულიყო, რომ გუშინწინ, გვიან ღამით დეპეშა მიეღო, რომელშიც ეწერა: „მე ახლახან ტრამვაიმ გამიტანა პატრიარქებზე. დასაფლავება პარასკევს, 3 საათზე. ჩამოდი. ბერლიოზი“.

მაქსიმილიან ანდრეევიჩი კიევში ერთ-ერთ უჭკვიანეს კაცად ითვლებოდა და სამართლიანადაც. მაგრამ, დამეთანხმებით, თვით უჭკვიანეს კაცსაც კი თავგზას აუბნევდა ამგვარი დეპეშა. თუ ადამიანი დეპეშით იტყობინება, ტრამვაიმ გამიტანაო, მაშასადამე, სიკვდილსაც გადაურჩა, თუ ასეა, დასაფლავება რაღა შუაში უნდა ყოფილიყო? იქნებ ძალიან ცუდად გრძნობს თავს და გული ცუდს უგრძნობდა? ესეც დასაშვებია, მაგრამ საიდანღა უნდა სცოდნოდა, რომ პარასკევს, ზუსტად სამ საათზე დაკრძალავდნენ? მართლაც გასაოცარი დეპეშა იყო!

მაგრამ ჭკვიანი ადამიანები იმიტომ არიან ჭკვიანები, რომ საჭოჭმანო საკითხებში გაერკვნენ. რა იყო გასაკვირი. დეპეშა ალბათ შეცდომით გადმოსცეს, სიტყვა „მე“ ეჭვგარეშეა, სხვა დეპეშიდან ჩაბეჭდეს „ბერლიოზის“ ნაცვლად, რომელიც დეპეშის ბოლოში აღმოჩნდა. ამგვარი შესწორების შემდეგ დეპეშის აზრი გასაგები ხდებოდა, თუმცა, ცხადია, ტრაგიკული.

როცა მაქსიმილიან ანდრეევიჩის მეუღლის მოთქმა-გოდება შეწყდა, მან მოსკოვში გასამგზავრებლად დაიწყო მზადება.

სხვა გზა არა გვაქვს, მაქსიმილიან ანდრეევიჩის ერთი საიდუმლო უნდა გაგიმხილოთ. რაღა თქმა უნდა, ებრალებოდა ცოლის ასე უდროოდ დაღუპული დისშვილი, მაგრამ, როგორც საქმიან კაცს, ისიც ესმოდა, რომ გასვენებაზე დასწრება სულაც არ იყო აუცილებელი. და მაინც, მაქსიმილიან ანდრეევიჩი გასაოცრად ჩქარობდა მოსკოვში ჩასვლას. რატომ? ბინა! ბინა მოსკოვში! აი, ეს გახლდათ მთავარი. ვერ გეტყვით, რატომ, მაგრამ კიევი გულზე არ ეხატებოდა მაქსიმილიან ანდრეევიჩს და მოსკოვში გადასახლების სურვილი ამ ბოლო ხანს იმდენად უღრღნიდა ტვინს, რომ უკვე ძილიც კი გაკრთობოდა. მას არც დნეპრის წყალუხვობა ახარებდა გაზაფხულზე, როცა წყალი კუნძულთა დაბალ ნაპირებს ტბორავდა და ღამის ჰორიზონტს ერწყმოდა; არც ის თვალისმომჭრელი ხედი, თავადი ვლადიმირის ძეგლის გადასახედიდან რომ იშლებოდა; არც ვლადიმირის მთის აგურით მოკირწყლულ ბილიკებზე გაზაფხულზე ათამაშებული ათინათების ციმციმი ხიბლავდა. არაფერი უნდოდა, ერთი რამის გარდა – მოსკოვში სურდა ცხოვრება.

გაზეთში გამოქვეყნებულ განცხადებას კიევში, ინსტიტუტის ქუჩაზე მდებარე ბინის მოსკოვში უფრო პატარა ფართობზე გაცვლის შესახებ, შედეგი არ მოჰყოლია. მსურველები არ ჩანდნენ. მაგრამ თუკი ვინმე გამოჩნდებოდა, მათი წინადადება უფრო ძარცვას ჰგავდა.

დეპეშამ თავგზა აუბნია მაქსიმლიან ანდრეევიჩს. ეს ისეთი შემთხვევა იყო, რომლის ხელიდან გაშვებაც ცოდვა იქნებოდა. საქმიან ხალხს კარგად მოეხსენება, რომ ასეთი შემთხვევები არ მეორდება.

ერთი სიტყვით, ყველაფერი უნდა ეღონა და სადოვიაზე მდებარე ცოლის დისშვილის ბინა თავის სახელზე გადაეფორმებინა. ცხადია, ამის გაკეთება იოლი არ იქნებოდა, მაგრამ, რადაც უნდა დასჯდომოდა, ეს საქმე უნდა გაეჩარხა – დროებით მაინც უნდა ჩაწერილიყო გარდაცვლილის სამოთახიან ბინაში.

და აი, პარასკევ დილით, მაქსიმლიან ანდრეევიჩი იმ ოთახში შევიდა, სადაც სადოვიას ქუჩაზე მდებარე 302-ბის სახლის სახლმმართველობა ეგულებოდა.

ვიწრო ოთახის კედელზე პლაკატი ეკიდა, რამდენიმე სურათით მდინარეში დახრჩობისგან გადარჩენას რომ ასწავლიდა მნახველთ, ხის მაგიდასთან კი სრულიად მარტო იჯდა შუახნის გაუპარსავი, თვალდაცეცებული კაცი.

– თავმჯდომარის ნახვა მინდა, – თავაზიანად უთხრა მგეგმავ-ეკონომისტმა, ქუდი მოიხადა და ჩემოდანი ცარიელ სკამზე დადგა.

ამ თითქოსდა უბრალო თხოვნამ რატომღაც ცუდ გუნებაზე დააყენა მაგიდასთან მჯდარი, სახეც კი მოექცა, მერე შეშფოთებულმა დააცეცა თვალეები და ლუღლუღით უპასუხა, თავმჯდომარე არ არისო.

– შინ არის? – ჰკითხა პოპლავსკიმ, – სასწრაფო საქმე მაქვს.

მაგიდასთან მჯდარმა ისევ რაღაც მიუკიბ-მოუკიბა, მაგრამ მაინც შეიძლებოდა მიხვედრა, რომ თავმჯდომარე არც შინ უნდა ყოფილიყო.

– ხომ ვერ მეტყვით, როდის მოვა?

მაგიდასთან მჯდარმა არაფერი უპასუხა და ერთობ ნაღვლიანად გაიხედა ფანჯარაში.

„აჰა“, – გაიფიქრა ჰკვიანმა პოპლავსკიმ და ახლა მდივანი იკითხა.

მაგიდასთან მჯდარი უცნაური კაცი გაწითლდა კიდევ ზედმეტი დაძაბულობისგან და ისევ მიკიბ-მოკიბულად აუხსნა, რომ არც მდივანი იყო... და როდის მოვიდოდა, არავინ იცოდა... და საერთოდ, მდივანი შეუძლოდ შექნილიყო...

„აჰა“, – ისევ გაიფიქრა პოპლავსკიმ, – მაგრამ ვიღაც ხომ უნდა იყოს?

– მე გახლავართ, – ხმა გაეპარა კაცს.

– იცით, რაშია საქმე, – დამაჯერებლად დაიწყო პოპლავსკიმ, – მე ჩემი განსვენებული დისშვილის, ბერლიოზის ერთადერთი მემკვიდრე გახლავართ, რომელიც, როგორც მოგეხსენებათ, პატრიარქებზე დაიღუპა და, კანონის თანახმად, ვალდებული ვარ ჩვენს ბინაში არსებული მემკვიდრეობა მივიღო...

– მე ვერაფერს გეტყვით, ამხანაგო, არაფერი ვიცი, – ნაღვლიანად შეაწყვეტინა მაგიდასთან მჯდომმა.

– როგორ? – ხმას აუწია პოპლავსკიმ, – მმართველობის წევრი ბრძანდებით და ვალდებული ხართ...

უცებ ოთახში ვიღაც მოქალაქე შემოვიდა. შემოსული რომ დაინახა, მაგიდასთან მჯდომი გადაფითრდა.

– მმართველობის წევრი პიატნაჟკო ხართ? – ჰკითხა მოსულმა.

– დიახ, – ძლივს ამოთქვა კაცმა.

შემოსულმა რაღაც წასჩურჩულა მაგიდასთან მჯდომს, ისიც საოცრად შეწუხებული წამოდგა სკამიდან და რამდენიმე წამში სამმართველოს ოთახში მხოლოდ პოპლავსკილა დარჩა.

„რაღა ახლა! რაღა დღეს და რაღა ყველა ერთად... „ – სინანულით ფიქრობდა პოპლავსკი, როცა 50-ე ბინისკენ მიაბიჯებდა.

როგორც კი მგეგმავ-ეკონომისტმა დარეკა, კარი მაშინვე გაუღეს და მაქსიმილიან ანდრეევიჩმა ნახევრად ჩაბნელებულ წინკარში შეაბიჯა. ოდნავ იმ გარემოებამ გააოცა, რომ ვერ გაერკვა, კარი ვინ გაუღო, წინკარში არავინ ჩანდა, მხოლოდ უზარმაზარი შავი კატა წამოსკუპებულიყო სკამზე.

მაქსიმილიან ანდრეევიჩმა ჩაახველა, ფეხები ააბრაგუნა, მაშინღა გაიღო კაბინეტის კარი და წინკარში კაროვიევი გამოვიდა. მაქსიმილიან ანდრეევიჩმა თავაზიანად, მაგრამ ღირსეულად დაუკრა თავი და უთხრა:

– ჩემი გვარია პოპლავსკი. მე...

სიტყვის დამთავრებაც ვერ მოასწრო, რომ კაროვიევმა ჯიბიდან ტურტლიანი ცხვირსახოცი ამოიღო, სახეზე აიფარა და აქვითინდა.

– განსვენებული ბერლიოზის ბიძა გახლავართ...

– როგორ არა, როგორ არა, – ისევ გააწყვეტინა კაროვიევმა და სახიდან ცხვირსახოცი მოიშორა, – როგორც კი შემოხვედით, მაშინვე მივხვდი, ვინც იყავით! – უცებ ისევ აქვითინდა და სლუკუნ-სლუკუნით მოჰყვა მოთქმას, – რა უბედურება დაგვატყდა თავს! რა არ ხდება ამქვეყნად?!..

– ტრამვაიმ გაიტანა? – ჩურჩულით ჰკითხა პოპლავსკიმ.

– ჰო, – ისევ ამოისლუკუნა კაროვიევმა და პენსნეს ქვემოდან ღვარად წამოსკდა ცრემლი, – გაიტანა! ჩემი თვალით ვნახე. დამიჯერეთ – ჯერ თავი მოძვრა! მერე მარჯვენა ფეხმა გაიტკაცუნა – შუაზე გადატყდა! მარცხენაც – თხლამ, და ისიც გადაიფშვინა! აი, სადამდე მივყავართ ამ ტრამვაის! – როგორც ჩანდა, კაროვიევმა თავი ველარ შეიკავა, სარკის გვერდით კედელს აეკრა და მთელი სხეულით აცახცახდა.

ბერლიოზის ბიძა გულწრფელად გააოცა უცნობის საქციელმა. „ჯერ არ გადაშენებულა გულიანი ხალხი!“ – გაიფიქრა და იგრძნო, რომ თვითონაც აეწვა თვალები, მაგრამ იმავ წამს უსიამოდ გაჰკენწლა გულში, გონებაში გველივით გაიკლაცნა ფიქრი, ნეტა ამ გულიან კაცს

უკვე ხომ არ მოესწრო განსვენებულის ბინაში ჩაწერა, ასეთი შემთხვევა ხომ ხშირია ცხოვრებაში?

– მაპატიეთ, თქვენ მიშა ბერლიოზის მეგობარი იყავით? – ჰკითხა მან, თან სახელოთი იწმენდდა მარცხენა მშრალ თვალს, მარჯვენით კი უბედურებით გათანგულ კაროვიევს აკვირდებოდა. მაგრამ კაროვიევი ისე ქვითინებდა, ვერაფერს გაარკვევდი, მხოლოდ რამდენიმე სიტყვა ისმოდა: „თხლამ, და გადაიფშვინა“, ბოლოს, როცა ტირილით გული მოიონხა, კედელს გამოსცილდა და სლუკუნით უთხრა:

– არა, მეტი აღარ შემიძლია! წავალ და ეთერული ვალერიანის სამას წვეთს მივიღებ! – შემდეგ ტირილით დასივებული სახე ჰოპლავსკისკენ მიაბრუნა და უთხრა, – ესეც თქვენი ტრამვაი!

– მაპატიეთ, თქვენ გამომიგზავნეთ დეპეშა? – ჰკითხა მაქსიმელიან ანდრეევიჩმა, თან გამწარებული ფიქრობდა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს უცნაური მოტირალი.

– ამან! – უთხრა კაროვიევმა და კატაზე მიუთითა.

ჰოპლავსკიმ გაოცებისაგან თვალები დააჭყიტა, მაგრამ იფიქრა, მომესმავო.

– არა, მეტი აღარ შემიძლია, დავილიე კაცი, – ქშუტუნ-ქშუტუნით ამბობდა კაროვიევი, – როგორც კი გამახსენდება, როგორ გადაუარა ბორბალმა ფეხზე... ერთი ბორბალი ათ ფუტს იწონის... თხლამ! წავალ, ლოგინში ჩავწვები და დავიძინებ, – თქვა და წინკარიდან გაქრა.

კატა კი შექანდა, სკამიდან ჩამოხტა, უკანა თათებზე შედგა, დოინჯი შემოიყარა, პირი დააღო და თქვა:

– ჰო, მე გამოგიგზავნე დეპეშა, მერე, რა გინდა?

მაქსიმელიან ანდრეევიჩს იმავ წამს თავბრუ დაესხა, ერთიანად გაშეშდა, ჩემოდანი ხელიდან გაუვარდა და კატის წინ მდგარ სკამს დაასკდა.

– მე მგონი, რუსულად გეკითხები, – მკაცრად უთხრა კატამ, – მერე რა გინდა?

მაგრამ ჰოპლავსკი ხმას ვერ იღებდა.

– პასპორტი! – შეკნავლა კატამ და ფუმფულა თათი გაუწოდა.

გონდაბინდული, ერთიანად დაბეცებული ჰოპლავსკი კატის თვალებში აელვარებულ ორ ნაკვერჩხალსლა ხედავდა და ამ ნაკვერჩხლებს დამორჩილებულმა, ჯიბიდან ხანჯალივით იშვლიპა პასპორტი. კატამ მაგიდიდან სქელი, შავჩარჩოიანი სათვალე აიღო, დრუნჩზე წამოიკოსა, რის გამოც უფრო მკაცრი შესახედაობა გაუხდა და ჰოპლავსკის აცახცახებული ხელიდან პასპორტი გამოსტაცა.

„ნეტა გრძნობას დავკარგავ თუ არა?“ – გაიფიქრა ჰოპლავსკიმ. შორიდან კაროვიევის ქშუტუნ-სლუკუნის აღწევდა, წინკარი ერთბაშად აივსო ეთერის, ვალერიანის და კიდევ რაღაც გულის ამრევი საძაგლობის სუნით.

– რომელ განყოფილებაშია გაცემული? – იკითხა კატამ და აფურცელს დააკვირდა. პასუხი არ მიუღია.

– ოთხასმეთორმეტეში, – თვითონვე უპასუხა თავს და ფურცელს თათი გააყოლა, – პასპორტი თავდაყირა ეჭირა, – ცხადია, ეგრე იქნებოდა! მაგ განყოფილებას კარგად ვიცნობ! ყველა ვიგინდარას პასპორტს აძლევენ! მე კი, მაგალითად, თქვენისთანა ტიპს პასპორტს არ მივცემდი! არასგზით არ მივცემდი! სახეში ერთხელ შემოგხედავდით და მაშინვე უარს გეტყობდით! – კატა ისე განრისხდა, რომ პასპორტი იატაკზე მოისროლა, – დაკრძალვაზე თქვენი დასწრება გაუქმებულია, – ოფიციალური ტონით განაგრძო კატამ, – კეთილი ინებეთ და საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნდით, – და კარს გასჭყვივლა, – აზაზელო!

მის ძახილზე წინკარში დაბალი, კოჭლი, შავ ტრიკოში გამოკონჭილი, ტყავის ქამარში დანაგაჩრილი, ყვითელლოჯიანი, მარცხენა თვალზე ლიბრგადაკრული წითური კაცი შემოვიდა.

პოპლავსკიმ იგრძნო, რომ ჰაერი აღარ ჰყოფნიდა, სკამიდან წამოდგა, გულზე ხელი იტაცა და უკან-უკან დაიხია.

– აზაზელო, გააცილე! – ბრძანა კატამ და წინკარიდან გავიდა.

– პოპლავსკი, – ჩურჩულით ჩაინიღნილა აზაზელომ, – მგონი, უკვე ყველაფერს მიხვდი, არა?

პოპლავსკიმ თავი დაუქნია.

– ჰოდა, ახლავე კიევში დაბრუნდი, – განაგრძო აზაზელომ, – გასუსული იჯექი და მოსკოვის ბინაზე ოცნებაც აღარ გაბედო.

ეს დაბალი კაცი, თავისი ღოჯით, დანითა და ელამი თვალთ თავზარს რომ სცემდა პოპლავსკის, ეკონომისტს მხრებამდე სწვდებოდა, მაგრამ ენერგიულად, გააზრებულად და საქმიანად მოქმედებდა.

უპირველესად პასპორტი აიღო იატაკიდან და მაქსიმელიან ანდრევიჩის გაუწოდა. მანაც გახვეებული ხელით გამოართვა. შემდეგ აზაზელოდ წოდებული ცალი ხელით ჩემოდანს დასწვდა, მეორით კარი გამოაღო, ბერლიოზის ბიძას ხელი გაუყარა და კიბის ბაქანზე მიაბრძანა. პოპლავსკი კედელს აეყუდა. აზაზელომ უგასაღებოდ განსნა ჩემოდანი, იქიდან გაქონილ გაზეთში გახვეული უზარმაზარი ქათამი ამოიღო, რომელსაც ერთი ბარკალი აკლდა და კართან დადო. შემდეგ ორი ხელი თეთრეული, საპარსი ქამარი, რაღაც წიგნი და სათვალის ბუდე ამოიღო და ეს ყველაფერი, ქათმის გარდა, ფეხის კვრით გადაუძახა კიბის ხვეულში, იქითვე მოისროლა უკვე დაცარიელებული ჩემოდანიც. ისმოდა ჩემოდნის რახარუხი და ხმაურით იმის მიხვედრაც შეიძლებოდა, რომ ჩემოდანს სახურავი მოძვრა.

შემდეგ წითურმა ყაჩაღმა ქათამს ბარკალში სტაცა ხელი და მთელი ძალით, ღონივრად ისე ჩასცხო კისერში პოპლავსკის, რომ ქათამი ჰაერში გაფრინდა და აზაზელოს ბარკალითა შერჩა ხელში. ყველაფერი აირია ობლონსკების სახლში, როგორც სამართლიანად აღნიშნა სახელგანთქმულმა მწერალმა, ლევ ტოლსტოიმ. ახლაც, ეს ყველაფერი რომ ენახა, ალბათ ზუსტად იმავეს იტყობდა! დიახ! ყველაფერი აირია პოპლავსკის თავში. თვალებიდან ფერადი ნაკვერჩხლები სცვიოდა, შემდეგ თვალთ დაუბნელდა, წამით თითქოს ჩაქრა კიდეც მაისის ეს დღე – დიახ, პოპლავსკი თავქვე გაფრინდა კიბეზე, ხელში პასპორტი ეჭირა. მოსახვევთან რომ ჩაიხრიგინა, მომდევნო ბაქანზე ფეხი ფანჯარაზე მოუხვდა, მინა ჩატეხა და საფეხურს დაასკდა. გვერდით უფეხო ქათამმა ჩაუქროლა და ისიც კიბის ხვეულში გაუჩინარდა. ზევით დარჩენილმა აზაზელომ თვალის დახამხამებაში პირში იტაცა ბარკალი, მერე ძვალი ტრიკოს

უკანა ჯიბეში ჩაიჩურთა, ბინაში შებრუნდა და კარი მოაჯახუნა. ამასობაში ქვევიდან ზევით მომავალი ადამიანის ფრთხილი ნაბიჯის ხმაც გაისმა.

პოპლავსკიმ კიდეც ერთი ბაქანი ჩაირბინა, იქვე მდგარ ხის მერხზე ჩამოჯდა და სული მოითქვა.

ვიღაც ჩია ტანის, ხანში შესული, საოცრად სახედანადვლიანებული კაცი, ჩესუჩის გაქუცული კოსტიუმი რომ ეცვა და მწვანე ლენტემოვლებული ჩალის შლაპა ეხურა, კიბეზე ამოდიოდა და პოპლავსკი რომ დაინახა, შედგა.

– ნება მომეცით, გკითხოთ, მოქალაქევ, – ნაღვლიანად უთხრა ჩესუჩისკოსტიუმიანმა, – 50-ე ბინა სად უნდა იყოს?

– მაღლა! – სწრაფად უპასუხა პოპლავსკიმ.

– მაღლობას მოგახსენებთ, მოქალაქევ, – ისევ ნაღვლიანად უთხრა კაცმა და ისევ კიბეს შეუყვა, პოპლავსკი კი თავქვე დაეშვა კიბეზე.

თქვენ ალბათ გაინტერესებთ, მილიციაში ხომ არ მირბოდა მაქსიმელიან ანდრევიჩი იმ ავაზაკების დასასმენად, დღისით-მზისით ასე უმოწყალოდ რომ დაესხნენ თავს. არა და არა, ეს კი შეგვიძლია დარწმუნებით გითხრათ. მილიციაში მისულიყო და ეთქვა, რომ ახლახან სათვალისანი კატა მის პასპორტს ამოწმებდა... შემდეგ კი ტრიკოში გამოწყობილი, ქამარში დანაგაჩრილი კაცი... არა, მოქალაქენო, აკი გითხარით, მაქსიმელიან ანდრევიჩი ჭკვიანი კაცი იყო!

ქვევით ჩასულმა სადარბაზოს კართან მეორე პატარა კარს მოჰკრა თვალი. ფანჯარა იქაც ჩამტვრეული იყო. პოპლავსკიმ პასპორტი ჯიბეში შეინახა და მიმოიხედა, გადმოყრილი ნივთები მოიძია. მათი კვალიც აღარსად ჩანდა. პოპლავსკი თვითონვე გაოცდა, იმდენად არ შეუწუხებია ამ ამბავს. მას ახლა სხვა, უფრო საგულისხმო და მაცდუნებელი აზრი აეკვიატა – ამ კაცის მეშვეობით კიდეც ერთხელ შეემოწმებინა ეს დაწყევლილი ბინა. მართლაცდა: თუკი ამ კაცმა 50-ე ბინის ადგილმდებარეობა იკითხა, ესე იგი, პირველად იყო აქ. მაშასადამე, ახლა პირდაპირ ბინაში დაბუდებულ ავაზაკებს უნდა ჩავარდნოდა ხახაში. რაღაც კარნახობდა პოპლავსკის, რომ ეს კაცუნა მალე დაბრუნდებოდა უკან. ცხადია, მაქსიმელიან ანდრევიჩი აღარ აპირებდა ცოლის დისშვილის გასვენებაზე დასწრებას, ხოლო კიევისკენ მიმავალი მატარებლის გასვლამდე თავზე საყრელი დრო რჩებოდა. ეკონომისტმა მიმოიხედა და საკუჭნაოში შეძვრა. ამ დროს სადღაც მაღლა კარმა გაიბრაზუნა. „შევიდა!“ – გულის ფანცქალით გაიფიქრა პოპლავსკიმ. საკუჭნაოში გრილოდა, თავგვისა და ჩექმის სუნი იდგა. მაქსიმელიან ანდრევიჩი რაღაც კუნძზე ჩამოჯდა და გადაწყვიტა, დალოდებოდა. ხელსაყრელი პოზიცია იყო, საკუჭნაოდან პირდაპირ მოჩანდა მეექვსე სადარბაზოს კარი.

მაგრამ უფრო მეტხანს მოუწია ლოდინმა, ვიდრე ვარაუდობდა. კიბე რატომღაც ერთთავად ცარიელი იყო, ყველაფერი კარგად ისმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მეხუთე სართულზე კარი გარახუნდა. პოპლავსკი ადგილზე გაქვავდა და ნაბიჯის ხმას მიაყურადა. „ქვევით მოდის“, ქვედა სართულის კარიც გაიღო, ნაბიჯის ხმა შეწყდა. ქალის ხმა გაისმა. მერე იმ ნაღვლიანი კაცის ხმაც... ჰო, მისი ხმა იყო... რაღაც თქვა, მგონი „თავი გამანებეთ, ღვთის გულისათვის“. პოპლავსკი ყურით ეკვროდა გატეხილ მინას. ჯერ ქალის სიცილი მისწვდა, შემდეგ სწრაფი, დაჯერებული ნაბიჯის ხმა. და აი, გასასვლელში ქალის ზურგი გაკრთა. მუშამბის მწვანეჩანთიანი ქალი სადარბაზოდან ეზოში გავიდა. შემდეგ ისევ გაისმა იმ კაცის ნაბიჯის

ხმა. „უცნაურია, ნუთუ უკან ბრუნდება! იქნებ თვითონაც იმ ბანდის წევრია? ჰო, ბრუნდება. ისევ გაიღო კარი. კი, ბატონო, ცოტაც დაველოდოთ!“

ამჯერად მართლა ცოტა ხანს მოუწია ლოდინმა. კარი გაჯახუნდა, ნაბიჯის ხმა. სიჩუმე. გამწარებული შეკვივლება. კატის ჩხავილი. სწრაფი, თავქვედაშვებული ბრაგაბრუგი, ქვევით, ქვევით, ქვევით!

პოპლავსკი ელოდა. ნაღვლიანმა კაცმა პირჯვრის წერთა და ბურღლუნ-ბურღლუნით გვერდზე ჩაურბინა, ქუდი აღარ ეხურა, მელოტი თავი დაჩხაპნილი ჰქონდა, მარვალი კი – სველი. კაცი სადარბაზოს კარის სახელურს დაეჯაჯგურა, თავზარდაცემულმა ველარ გაარკვია, საით უნდა გაეღო – გარეთ თუ შიგნით, ბოლოს, როგორც იქნა, გააღო და ეზოში, მზეზე გაიჭრა.

ბინის შემოწმება დასრულდა. მაქსიმელიან ანდრეევიჩი უკვე აღარც ცოლის განსვენებულ დისშვილზე ფიქრობდა, აღარც მის ბინაზე, მხოლოდ ტანში ზარავდა მოსალოდნელი საფრთხის განსენება. „ყველაფერი ცხადია! ყველაფერი!“ – ბუტბუტებდა და ეზოში გარბოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე ტროლეიბუსში იჯდა და კიევის სადგურისაკენ მიქროდა.

იმ ჩია კაცს კი, ვიდრე ეკონომისტი საკუჭნაოში ელოდა, საშინელი ამბავი გადახდა თავს. ეს კაცი ვარიეტეს მებუფეტე იყო და სახელად ანდრეი ფოკიჩ სოკოვი გახლდათ. ვიდრე ვარიეტეში გამოძიება მიმდინარეობდა, ანდრეი ფოკიჩს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ რატომღაც უფრო დაუნაღვლიანდა ისედაც ნაღვლიანი სახე, შემდეგ კურიერ კარპოვს გამოჰკითხა, სად იყო დაბინავებული ჩამოსული მაგი.

ასე და ამრიგად, კიბეზე ეკონომისტს რომ დასცილდა, მებუფეტე მეხუთე სართულზე ავიდა და 50-ე ბინის კარზე დარეკა.

იმავე წამს გაუღეს. მებუფეტე შეკრთა, უკან დაიხია და კარში მაშინვე არ შესულა. ეს გასაგებიც იყო. კართან ერთიანად შიშველი ასული იდგა, რომელსაც მაქმანიანი წინსაფარი აეფარებინა და თავზე თეთრი მაქმანისვე თავსაბურავი დაემაგრებინა, ფეხზე ოქროსფერი ფეხსაცმელი ეცვა, სულ ეს იყო. ქალიშვილს უნაკლო ტანი ჰქონდა, ერთადერთ ნაკლად ყელზე დარჩენილი იისფერი ნაიარევი შეიძლებოდა ჩაგეთვალათ.

– რაკი დარეკეთ, შემოდით კიდეც! – უთხრა ასულმა და მებუფეტეს მწვანე, ურცხვი თვალები შეანათა.

ანდრეი ფოკიჩმა ამოიოხრა, თვალები აახამხამა, შლაპა მოიხადა და წინკარში შეაბიჯა. სწორედ ამ დროს დაიწკრიალა ტელეფონმა. ამ ურცხვმა მოსამსახურემ ცალი ფეხი სკამზე შედგა, ყურმილი აიღო და თქვა:

– ალო!

მებუფეტემ აღარ იცოდა, თვალები სად წაეღო, წარამარა ფეხს ინაცვლებდა და რამდენჯერმე ისიც გაიფიქრა: „ხედავ, რა მოსამსახურე ჰყოლია ამ უცხოელს? ფუ, რა სამარცხვინოა!“ და მერე, ამ სიბინძურისაგან თავის დასაცავად, წინკარს მოავლო თვალი.

ეს უზარმაზარი, ნახევრად ჩაბნელებული წინკარი უჩვეულო საგნებითა და ტანსაცმლით იყო სავსე. ასე, მაგალითად, სკამის საზურგეზე სისხლისფერქობიანი შავი სამგლოვიარო

მოსახსნამი იყო მიგდებული. სარკესთან, მაგიდაზე, გრძელი დაშნის ოქროსფერი კოტა ბზინავდა. ვერცხლისფერკოტიანი სამი დაშნა კუთხეში იყო მიყუდებული, ისევე, როგორც ჯოხებს ან ქოლგებს აყუდებენ ხოლმე. ირმის რქებზე კი არწივისნაკრტენიანი ბერეტი ეკიდა.

– დიახ, – ტელეფონში საუბარს განაგრძობდა მოსამსახურე, – როგორ? ბარონი მეიგელი ბრძანდებით? გისმენთ, დიახ! ბატონი არტისტი დღეს შინ გახლავთ. დიახ, დიახ, ალბათ გაუხარდება თქვენი ნახვა. დიახ, სტუმრები ეყოლება... ფრაკი ან შავი კოსტიუმი. რა ბრძანეთ? ღამის თორმეტი საათისათვის... – მოსამსახურემ საუბარი დაასრულა, ყურმილი დადო და მეზუფეტეს მიუბრუნდა, – რა გნებავთ?

– მოქალაქე არტისტის ნახვა მინდოდა.

– როგორ? პირადად მისი?

– დიახ, – ნაღვლიანად უპასუხა მეზუფეტემ.

– ვკითხავ, – ჭოჭმანით უთხრა მოსამსახურემ, განსვენებული ბერლიოზის კაბინეტის კარი შეაღო და მოახსენა, – მესირ, ერთი ჩია რაინდი გახლავთ, დაუჟინია, მესირის ნახვა მსურსო.

– მერე შემოვიდეს, – გაისმა კაბინეტიდან კაროვიევის ჟღრიალა ხმა.

– სასტუმროში მობრძანდით, – ისე უბრალოდ უთხრა ასულმა, თითქოს ადამიანურად ეცვა. სასტუმრო ოთახის კარი გაუღო და თვითონ წინკარში გაქრა.

როცა მეზუფეტე იქ შევიდა, სადაც მიიწვიეს, იმდენად გაოცდა, ისიც კი გადაავიწყდა, რისთვის იყო მისული. უზარმაზარი ფანჯრის ფერად მინებში (ოქრომჭედლის უკვალოდ გამქრალი მეუღლის ფანტაზიით რომ იყო ნაკეთები), უჩვეულო, ეკლესიური შუქი იფრქვეოდა. ძველებურ, დიდ ბუხარში, გაზაფხულის ამ ცხელი დღის მიუხედავად, ცეცხლი გიზგიზებდა. და მაინც, ოთახში არ ცხელოდა. პირიქით, შემოსულმა სარდაფის სინესტე იგრძნო. ბუხრის წინ, ვეფხვის ტყავზე, უზარმაზარი შავი კატა ნებივრობდა და ცეცხლის ენებს კეთილად უჭუტავდა თვალს. იდგა მაგიდაც, რომლის დანახვაზე ღვთისმოსავი მეზუფეტე შეცბა: სუფრად საეკლესიო სტავრა იყო გადაფარებული. ამ სტავრაზე უამრავი ბოთლი ეწყო – მუცელგაბერილი, ობმოდებული და მტვრიანი. ბოთლებს შორის ლანგარი ბზინავდა და მაშინვე მიხვდებოდით, რომ იგი ბაჯალლო ოქროსი იყო. ბუხართან ვიღაც ქამარში დანაგაჩრილი, დაბალი და წითური კაცი გრძელ დაშნაზე წამოგებულ ხორცის ნაჭრებს წვავდა, ქონი ცეცხლში წვეთავდა და ადენილი ბოლი საკვამურს აწყდებოდა. შემწვარი ხორცის სუნთან ერთად ოთახში რაღაც მკვეთრი სუნამოსა და საკმევლის სუნიც ტრიალებდა, რის გამოც მეზუფეტემ, უკვე გაზეთებიდან რომ შეეტყო ბერლიოზის მისამართი და მისი დაღუპვის ამბავი, გაიფიქრა კიდევ, ბერლიოზის სულის მოსახსენებლად ხომ არ გადაიხადეს საეკლესიო პანაშვიდიო, თუმცა, მაშინვე უაზროდ ეჩვენა ნაფიქრი. გაოცებულ მეზუფეტეს ანაზდად მძიმე ბანი შემოესმა:

– აბა, რით შემიძლია გემსახუროთ?

და მეზუფეტემ ოთახის ჩაბნელებულ კუთხეში ის დაინახა, ვისაც ეძებდა.

შავი მაგიის მსახური გასაოცრად დიდ და დაბალ ტახტზე მიწოლილიყო, სადაც უწესრიგოდ იყო მიყრილ-მოყრილი ბალიშები. როგორც მეზუფეტეს მოეჩვენა, მსახიობს მხოლოდ შავი საცვლები და შავი ფერისვე ჭვინტწამახული ფეხსაცმელი ეცვა.

– მე, – მწარედ დაიწყო მებუფეტემ, – ვარიეტეს ბუფეტის გამგე გახლავართ...

უცებ არტისტმა წინ გაიშვირა ძვირფასთვლიანი ბეჭდებით დამძიმებული ხელი, თითქოს ამით შეაწყვეტინა მოსულს სიტყვა და უთხრა:

– არა, არა და არა! მეტი აღარაფერი მითხრათ! არასოდეს და არასგზის! თქვენს ბუფეტში აღარაფერს შევჭამ! პატივცემულო, გუშინ თქვენი დახლის წინ ჩავიარე და აქამდე ვერ დამივიწყებია ბრინჯა და თართი! უძვირფასესო, მწვანე ფერის ბრინჯა არ არსებობს, თქვენ, ალბათ, ვიღაცამ მოგატყუათ. ყველა წესით და კანონით, ბრინჯა თეთრი უნდა იყოს. ან ჩაი რას ჰგავდა? ნარეცხი! საკუთარი თვალით დავინახე, ვიღაც გაჩეჩილმა გოგომ როგორ ჩაასხა ვედროდან სამოვარში აუღლადარი წყალი, თან არც ჩაის დასხმა შეუწყვეტია. არა, ძვირფასო, ასე არ შეიძლება!

– ბოდიშს კი გიხდით, – დაიწყო ამ მოულოდნელი თავდასხმით გოცებულმა ანდრეი ფოკიჩმა, – მაგრამ მე სულ სხვა რამეზე გეწვიეთ და თართი აქ არაფერ შუაშია!

– როგორ თუ არაფერ შუაშია, თუ თართი გაფუჭებული იყო?

– მეორე ხარისხის თართი გამოგვიგზავნეს, – აცნობა მებუფეტემ.

– ძვირფასო, ეგ სისულელეა!

– რა არის სისულელე?

– მეორე ხარისხია სისულელე! ხარისხი მხოლოდ ერთი არსებობს – პირველი, და მაშასადამე, უკანასკნელიც! თუ თართი მეორე ხარისხისაა, ესე იგი, აყროლებულია.

– მაპატიეთ... – ისევ დაიწყო მებუფეტემ, როგორმე თავი რომ დაეღწია ამ აბეზარი მსახიობისგან.

– ვერ გაპატიებთ! – მტკიცედ უთხრა მსახიობმა.

– მე ამ საქმეზე არ მოვსულვარ! – უთხრა საბოლოოდ გუნებაწამნდარმა მებუფეტემ.

– როგორ? – გაოცდა უცხოელი მაგი, – აბა, სხვა რა საქმეს უნდა მოეყვანეთ ჩემთან? თუ მეხსიერება არ მღალატობს, თქვენი პროფესიის მონათესავე პირთაგან მხოლოდ ერთ მარკიტანკას ვიცნობდი, ისიც ძალიან დიდი ხნის წინ, როცა თქვენ ჯერ დაბადებულიც არ იქნებოდით ამქვეყნად. თუმცა, მაინც მიხარია თქვენი ნახვა. აზაზელო! ტაბურეტი მოართვი ბატონ მებუფეტეს!

ის, ვინც ხორცს წვავდა, შემობრუნდა, თავისი ღოჯით დასცა თავზარი მებუფეტეს და მოხერხებულად მიაწოდა ერთ-ერთი შავი, მუხის დაბალი ტაბურეტი. სხვა სკამი ოთახში არ იყო.

მებუფეტემ ამოილულლულა:

– დიდად გმადლობთ, – და სამფენაზე დაეშვა. სამფენას უკანა ფეხი იმავ წამს ტკაცანით ჩატყდა და მებუფეტე მძიმედ დაებერტყა იატაკს. დაცემისას მის წინ მდგარ მეორე სამფენასაც წამოჰკრა ფეხი და შარვალზე ღვინით სავსე თასი გადაიღვარა.

მსახიობმა შესძახა:

– ოჰ! ხომ არ დაშავდით?

აზაზელო წამოდგომაში მიეხმარა მებუფეტეს და მეორე სამფეხა მიართვა. გაწბილებულმა მებუფეტემ უარი მოახსენა მასპინძელს, ბუხართან გასაშრობად გაეკიდა შარვალი და სველ თეთრეულსა და შარვალში აწურული, ამჟამად უკვე ფრთხილად ჩამოჯდა შეთავაზებულ სკამზე.

– მე დაბალი სკამები მიყვარს, – უთხრა მსახიობმა, – დაბლიდან ისე საშიში არ არის გადმოვარდნა. ჰო, ჩვენ, მგონი, თართზე შევჩერდით. ჩემო კარგო! დამიჯერეთ, თევზი ახალი უნდა იყოს, მხოლოდ ახალი. აი, ეს გახლავთ ყოველი მებუფეტეს დევიზი. ამის გასინჯვას ხომ არ ინებებთ...

ბუხრიდან დაფრქვეულ მეწამულ ალზე მებუფეტეს თვალწინ დაშნა გაკრთა, აზაზელომ ოქროს თეფშზე დააწყო ამიშხინებული ხორცის ნაჭრები, ზედ ლიმონის წვენი მოასხა და მებუფეტეს ოქროს ორთითა ჩანგალი მიაწოდა.

– გმადლობთ... მე...

– უარს ნუ მეტყვით, მიირთვით!

მებუფეტემ ზრდილობისათვის ჩაკბიჩა ხორცი და მაშინვე მიხვდა, მართლაც ძალზე ქორფა და, რაც მთავარია, ძალზე გემრიელ ხორცს რომ ჭამდა. მაგრამ ამ სურნელოვანი, წვენდადენილი ხორცის ღეჭვისას მებუფეტე ლამის დაიხრჩო და ლამის ხელმეორედ გადმოვარდა სკამიდან. მეზობელი ოთახიდან უზარმაზარი შავი ჩიტი შემოფრინდა და მელოტ თავზე ფრთხილად გაჰკრა ფრთა. შემდეგ ბუხრის შორენკეცზე, საათის გვერდით ჩამოჯდა და მებუფეტე მიხვდა, რომ ეს ჩიტი ბუ იყო. „ღმერთო ჩემო! – გაიფიქრა სხვა მებუფეტეებივით ნერვიულმა ანდრეი ფოკიჩმა, – რა ხდება ამ სახლში?“

– ღვინო ინებეთ, რომელი გნებავთ, თეთრი თუ შავი? იქნებ, დღის ამ დროს სხვა ქვეყნის ღვინო გირჩევნიათ?

– გმადლობთ... არ ვსვამ...

– სულ ტყუილად! მაშინ კამათელი გავაგოროთ, ან იქნებ სხვა თამაში გიყვართ? დომინო? ბანქო?

– არც ვთამაშობ, – უთხრა უკვე სიქაგაცლილმა მებუფეტემ.

– ეგ მთლად უარესი, – დაასკვნა მასპინძელმა, – თქვენი ნებაა, მაგრამ მე მაინც მგონია, რაღაც უსიამოვნო იმალება იმ კაცებში, ვინც ღვინოს, ქალაღს და მომხიბლავ ქალებს, ან მაგიდასთან საუბარს ერიდებიან. ასეთი ადამიანები ან მძიმედ არიან ავად, ან ირგვლივმყოფთ ვერ იტანენ და ამის დაფარვას ცდილობენ. თუმცა გამონაკლისიც შესაძლებელია. იმ ხალხს შორის, ვინც ჩემთან ერთად შემოსხდომია საქეიფოდ სუფრას, ხანდახან ენით აუწერელი გაიძვერებიც შემხვედრია! ასე რომ, გისმენთ, რა გნებავთ?

– გუშინ თქვენ ფოკუსების ჩატარება ინებეთ...

– მე? – წამოიძახა გაოცებულმა მსახიობმა, – რას ბრძანებთ? ეგ როგორღაც არც კი შემიფერის!

– მომიტევეთ, – უთხრა გაოგნებულმა მებუფეტემ, – შავი მაგიის სეანსი ხომ...

– ა, ჰო, ჰო, ცხადია! ჩემო ძვირფასო! ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ. მე მსახიობი არ გახლავართ. უბრალოდ, ერთად მინდოდა მოსკოველების ნახვა. ეს კი ყველაზე მოსახერხებელი თეატრში იყო. ჩემმა მსახურებმა, – მან თავი კატისკენ გაიქნია, – ეს სეანსი მოაწყვეს. მე კი მხოლოდ ვიჯექი და მოსკოველებს ვაკვირდებოდი. გთხოვთ, ფერს ნუ კარგავთ, ისე მიჰსახეთ, ამ სეანსის გამო რატომ მეწვიეთ?

– როგორც იცით, სხვა დანარჩენ ფოკუსებთან ერთად, ჭერიდან ფულიც ჩამოყარეთ, – მებუფეტემ ხმას დაუწია და დამფრთხალმა მიმოიხედა, – ჰოდა, ყველამ ახვეტა ის თუმნიანები. შემოდის ჩემთან ბუფეტში ახალგაზრდა კაცი, ათმანეთიანს მაწვდის, მე ხურდას ვუბრუნებ, რვა მანეთსა და ორმოცდაათ კაპიკს, შემდეგ მეორე...

– ისიც ახალგაზრდა იყო?

– არა, ხნიერი. მესამე, მეოთხე... ყველას ხურდა დავუბრუნე. დღეს კი სალარო შევამოწმე და წარმოიდგინეთ, ფულის ნაცვლად დაჭრილი ქაღალდი დამხვდა. ას ცხრა მანეთით აზარალეთ ბუფეტი.

– ოჰ-ოჰ-ოჰ! – წამოიძახა მსახიობმა, – ნუთუ ნამდვილი ფული ეგონათ? ვერ დავიჯერებ, რომ შეგნებულად ჩაიდინეს ეს საშინელება.

მებუფეტემ როგორღაც ცერად და ნაღვლიანად მიმოიხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

– ნუთუ ასეთი გარეწრები არიან? – ერთხელ კიდევ დაეკითხა სტუმარს შეშფოთებული მსახიობი, – ნუთუ შესაძლებელია, რომ მოსკოველები გარეწრები იყვნენ?

პასუხად მებუფეტემ ისე მწარედ ჩაიციხა, რომ ეჭვი აღარ რჩებოდა: დიახ, მოსკოველებს შორის ბევრი გარეწარი იყო!

– რა საშინელებაა! – აღშფოთდა ვოლანდი, – ღარიბი კაცი ბრძანდებით... გიჭირთ, არა?

მებუფეტემ კისერი მხრებში ჩამალა, ცხადი იყო, მართლაც ძალიან უჭირდა ცხოვრება.

– დანაზოგი რამდენი გაქვთ?

კითხვა თანაგრძნობით იყო დასმული, თუმცა, შეუძლებელია, ასეთი კითხვა არადელიკატურად არ ჩაგეთვალათ. მებუფეტეს ენა დაება.

– ორას ორმოცდაათი ათასი მანეთი აქვს ხუთ შემნახველ სალაროში, – მეორე ოთახიდან გამოეპასუხა ჟღრიალა ხმა, – შინ კი, იატაკის ქვეშ ორასი ოქროს თუმნიანი უდევს.

მებუფეტე თითქოს მიეწება თავის სამფეხას.

– გასაგებია, ეგ რა ფულია, – თანაგრძნობით უთხრა ვოლანდმა თავის სტუმარს, – თუმცა, გულახდილად გეტყვით, არც ეგ ფული გჭირდებათ. როდის აპირებთ სიკვდილს?

ახლა კი აღშფოთდა მებუფეტე.

– ეგ არც არავინ იცის და არც არავის ეხება, – უპასუხა მან.

– როგორ თუ არ იცის? – იგივე უსიამოვნო ხმა გაისმა კაბინეტიდან, – დიდი ცოდნა მაგას უნდა! ეგ ცხრა თვის შემდეგ მოკვდება, მომავალი წლის თებერვალში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კლინიკის მეოთხე პალატაში, ღვიძლის კიბოთი.

მებუფეტეს მწვანე ფერი დაედო.

– ცხრა თვე, – დაფიქრებული ანგარიშობდა ვოლანდი, – ორას ორმოცდაცხრა ათასი... თუ დავამრგვალებთ, თვეში ოცდაშვიდი ათასი გამოდის? ცოტაა, მაგრამ ხელმომჭირნე ცხოვრებისთვის კმარა. თან ის თუმნიანებიც გაქვთ.

– თუმნიანების გამოყენებას ვეღარ მოასწრებს, – უპასუხა იმავე ხმამ და მებუფეტეს გული გაეყინა, – ანდრეი ფოკიჩის სიკვდილისთანავე იმ სახლს დაანგრევენ და ოქროს თუმნიანებს სახელმწიფო ბანკში გადაგზავნიან.

– კლინიკაში დაწოლას არ გირჩევდით, – უთხრა მსახიობმა, – რა აზრი აქვს პალატაში სიკვდილს, უიმედოდ დაავადებული ავადმყოფების კვინესასა და ხრიალში. აჯობებს ამ ოცდაშვიდი ათასით გვარიანი სუფრა გაშალოთ, შემდეგ კი საწამლავი შესვათ და მუსიკის თანხლებით, თრობაშეპარული ლამაზმანებისა და შექეიფიანებული მეგობრების სიახლოვეს განუტევოთ სული.

უძრავად მჯდარი მებუფეტე ანაზდად დაბერდა, თვალები ჩაუღამდა, ლოყები მოემჩვარა და ქვედა ყბა ჩამოუვარდა.

– თუმცა, ოცნებამ გაგვიტაცა, – წამოიყვირა მასპინძელმა, – საქმეს მივხედოთ, ერთი ის თქვენი ქალღმერთი მაჩვენეთ.

მებუფეტემ ჯიბიდან ხელის ცახცახით ამოაძვრინა შეკვრა, გახსნა და ადგილზე გახევდა. გაზეთში თუმნიანები ეწყო.

– ჩემო კარგო, მგონი, მართლა ცუდად გრძნობთ თავს, – მხრები აიჩეჩა ვოლანდმა.

შეშლილივით გაღიმებული მებუფეტე სკამიდან წამოხტა.

– მე... – ენის ბორძიკით დაიწყო მან, – თუ მერე ისევ...

– მმ! – ჩაფიქრდა მსახიობი, – მაშინ ისევ გვესტუმრეთ. თქვენი ნახვა გაგვიხარდება! კარგია, რომ გაგიცანით.

იმავე წამს კაბინეტიდან კაროვიევი გამოხტა, მებუფეტეს სახელოში ჩააფრინდა, დიდხანს აჯანჯლარებდა და ემუდარებოდა, ყველასთვის, ყველასთვის გადაეცა მოკითხვა და კაროვიევისაგან თავდახსნილი მებუფეტე კარისკენ წალასლასდა.

– გელლა, გააცილე! – ყვიროდა კაროვიევი.

წინკარში ისევ ის წითური, შიშველი პირისფარეში დახვდა. მებუფეტე კარისკენ გაიძურწა, „კარგად ბრძანდებოდეთო“, ამოიკნავლა, და მთვრალივით ფეხათრეული გავიდა გარეთ.

რამდენიმე საფეხური რომ ჩაიარა, შედგა, კიბეზე ჩამოჯდა, ქალღმრთლის დასტა ისევ ამოიღო ჯიბიდან და შეამოწმა – გაზეთში ათმანეთიანები ეწყო.

უეცრად ამ ბაქანზე გამომავალი ერთ-ერთი კარი გაიღო და მწვანეჩანთიანი ქალი გამოვიდა. გაელიმა, საფეხურზე უაზროდ ჩამომჯდარი და ფულს დაჩერებული კაცი რომ დაინახა და შეწუხებულმა ჩაილაპარაკა:

– რა არ ხდება ამ სახლში. ესეც დილიდანვე გამომთვრალა. კიბეზე ისევ მინა ჩაამსხვრიეს, – შემდეგ გულმოდგინედ დააკვირდა მებუფეტეს და უთხრა, – როგორც ვხედავ, მოქალაქევ, ფული ჩეჩქვით გაქვთ. ცოტას ხომ ვერ მიწილადებდით?

– თუ ღმერთი გწამთ, თავი გამანებეთ, – დაფრთხა მებუფეტე და სასწრაფოდ დამალა ფული. ქალს გაეცინა:

– ჭირსაც წაუღიხარ, ქვაწვია! გაგეხუმრე, – უთხრა და თავქვე დაეშვა.

მებუფეტე ნელა წამოდგა, ხელი ასწია შლაპის გასასწორებლად და მიხვდა, რომ ქუდი არ ეხურა. ძალიან კი ესიკვდილებოდა უკან დაბრუნება, მაგრამ შლაპაც დაენანა. ერთხანს ყოყმანობდა, შემდეგ მაინც აბრუნდა უკან და კარზე დარეკა.

– კიდეც რა გნებავთ? – ჰკითხა იმ წყეულმა გელლამ.

– შლაპა დამრჩა, – ჩურჩულით უთხრა მებუფეტემ და მელოტ თავზე მიუთითა. გელლა შებრუნდა, მებუფეტემ გადააფურთხა და თვალი აარიდა. როცა ისევ გაახილა თვალი, გელლა უკვე შლაპასა და შავკოტიან დაშნას აწვდიდა.

– ეს ჩემი არ გახლავთ, – ჩაიჩურჩულა მებუფეტემ, დაშნას ხელი გაჰკრა და სასწრაფოდ დაიხურა ქუდი.

– თქვენ განა უდაშნოდ მობრძანდით?

მებუფეტემ რაღაც ჩაიბურღლუნა და სწრაფად დაეშვა კიბეზე. რატომღაც ქუდი უხერხულად ეხურა თავზე და ძალიან სცხელოდა კიდეც. მან შლაპა მოიხადა და შიშით თავზარდაცემულმა შეჰყვირა. ხელში მამლის გაქუცულფრთიანი ხავერდის ბერეტი შერჩა. მებუფეტემ პირჯვარი გადაისახა. იმავ წამს ბერეტმა დაიკნავლა, შავ კნუტად იქცა, ისევ თავზე შეახტა ანდრეი ფოკიჩის და მოტვლეპილ თავში კლანჭები ჩაასო. მებუფეტეს სიმწრის კვილი აღმოხდა, შემოლილივით დაეშვა თავქვე, კატა კი კიბეზე ჩახტა და ფხაჭაფხუჭით აიჭრა ზევით.

მებუფეტე სირბილით გაიჭრა ეზოში და სამუდამოდ მიატოვა ეს ეშმაკისეული 302-ბის სახლი.

შესანიშნავად ვიცი, რა შეემთხვა შემდეგ. ჭიშკრიდან გაჭრილმა ველური მზერა მოავლო იქაურობას, თითქოს რაღაცას ეძებსო. წუთის შემდეგ უკვე ქუჩის მეორე მხარეს მდებარე აფთიაქში შედიოდა. და როგორც კი თქვა, „მითხარით, გეთაყვა...“, – დახლთან მდგარმა ქალმა იკვილა:

– მოქალაქევ, თავი დაჩხაპნილი გაქვთ!

ხუთიოდე წუთის შემდეგ, მეზუფეტეს თავი ბანდით ჰქონდა გადახვეული. ისიც იცოდა, რომ ღვიძლის დაავადებათა საუკეთესო სპეციალისტებად პროფესორები ბერნადსკი და კუზმინი ითვლებოდნენ, ისიც იკითხა, რომელი უფრო ახლოს ცხოვრობდა. სინარულით ლამის გადაირია, როცა შეიტყო, რომ კუზმინი აქვე, ეზოს გადაღმა ცხოვრობდა თეთრ, ლამაზ სახლში და ორიოდე წუთის შემდეგ უკვე იმ სახლის კართან იდგა. ბინა ძველებური იყო, მაგრამ ძალიან მყუდრო. მეზუფეტეს კარგად დაამახსოვრდა, რომ კარი მოხუცმა ქალმა გაუღო. უნდოდა შლაპა გამოერთმია, მაგრამ რადგანაც მისული უქუდოდ იყო, უკბილო პირი ააცმაცუნა და გაეცალა.

მის ნაცვლად, სარკესთან, პატარა თაღში შუახნის ქალი გამოჩნდა, რომელმაც აცნობა, რომ ექიმთან ჩაწერა მხოლოდ ცხრამეტი რიცხვისთვის შეიძლებოდა. მეზუფეტე მაშინვე მიხვდა, რა უშველიდა, მიმქრალი თვალები მოავლო თაღის უკან მდებარე ოთახს, სადაც სამი კაცი ელოდა თავის რიგს და ქალს უთხრა:

– მძიმე ავადმყოფი ვარ...

ქალმა გაოცებული მზერა შეავლო გადაბინტულ თავზე, ერთხანს იყოყმანა, მერე თქვა:

– თუ ასეა... – და მეზუფეტე თაღში გაატარა.

იმავე წამს გაიღო მოპირდაპირე კარიც, იქიდან ოქროსფერი პენსნე გაკრთა და თეთრხალათიანმა ქალმა თქვა:

– მოქალაქეებო, ეს ავადმყოფი ურიგოდ შევა.

და მეზუფეტემ თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, ისე აღმოჩნდა პროფესორ კუზმინის კაბინეტში. არაფერი საშიში, საზეიმო ან სამედიცინო არ იყო ამ მოგრძო ოთახში.

– რა დაგემართათ? – სასიამოვნო ხმით ჰკითხა პროფესორმა კუზმინმა და ოდნავი შეშფოთებით შეხედა შეხვეულ თავზე.

– ახლახან სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, – დაიწყო მეზუფეტემ და გაბოროტებული მიაჩერდა მინის ქვეშ თავმოყრილ სურათებს, – რომ მომავალი წლის თებერვალში ღვიძლის კიბოთი მოვკვდები. გეხვეწებით, როგორმე შემიჩერეთ დაავადება.

პროფესორი კუზმინი გაოცებული მიეყუდა მაღალი, გოთური სკამის ტყავის საზურგეს.

– მაპატიეთ, ვერაფერი გავიგე... ექიმთან იყავით? თავი რატომ გაქვთ შეხვეული?

– ექიმი კი არა... ნეტა განახვათ ის ექიმი... – კბილები აუკაწკაწდა, – თავს კი ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ეს არაფერ შუაშია, – უპასუხა მეზუფეტემ, – თავისთვის მიმიფურთხებია, ამას რა მნიშვნელობა აქვს. გემუდარებით, ღვიძლის კიბო შემიჩერეთ.

– მაპატიეთ, მაგრამ ვინ გითხრათ ეს ყველაფერი?

– დაუჯერეთ, გთხოვთ, – უცებ შეევედრა მეზუფეტე, – დანამდვილებით იცის.

– ძალიან დამაბნიეთ, – მხრები აიჩეჩა პროფესორმა და სკამიანად გასცილდა მაგიდას, – შეუძლებელია ვინმემ ის იცოდეს, როდის მოვკვდებით? მით უმეტეს, თუ არც ექიმი.

– მეოთხე პალატაში, – უპასუხა მებუფეტემ.

პროფესორმა პაციენტს შეხედა, მერე თავზე დააკვირდა, სველ შარვალზე გაეყინა მზერა და გაიფიქრა: „ესლა მაკლდა! გიჟია!“ მერე ჰკითხა:

– არაყი გიყვართ?

– გემოც არ გამისინჯავს, – უპასუხა მებუფეტემ.

წუთის შემდეგ უკვე გახდილი იყო, მუშამბის ცივ ტახტზე იწვა და პროფესორი მუცელს უსინჯავდა. უნდა მოგახსენოთ, ახლა კი საგრძნობლად გამხიარულდა მებუფეტე. პროფესორი კატეგორიულად უმტკიცებდა, ამჟამად, ყოველ შემთხვევაში, დღეისთვის მაინც, კიბოს არანაირი ნიშანი არა გაქვთო. მაგრამ რაკილა ასე გეშინიათ და ვილაც გაიძვერამ დაგარწმუნათ, მოკვდებითო, ურიგო არ იქნებოდა, ანალიზები აგელოთო. პროფესორი ქალაქში რაღაცას წერდა და უხსნიდა, სად უნდა მისულიყო და რა უნდა გაეკეთებინა. ამას გარდა, პროფესორ-ნევროლოგ ბურესთანაც გაატანა ბარათი და აუხსნა, რომ ნერვები ჰქონდა სამკურნალო.

– რამდენი უნდა მოგართვათ, პროფესორო? – ნაზი, მთრთოლარე ხმით ჰკითხა მებუფეტემ და ჯიბიდან სქელი საფულე ამოიღო.

– რამდენიც გნებავთ, – მოკლედ და ცივად მოუჭრა პროფესორმა.

მებუფეტემ ოცდაათი მანეთი ამოიღო, მაგიდაზე დადო, შემდეგ კი, მოულოდნელი სიმსუბუქით, თითქოს კატის თათი მოძრაობსო, ათმანეთიანებს გაზეთში გახვეული წკრიალა რგოლი დაადო.

– ეგ რაღაა? – ჰკითხა კუზმინმა და უღვაში მოიწიწკნა.

– არ მიწყინოთ, ბატონო პროფესორო, – ჩაიჩურჩულა მებუფეტემ, – გემუდარებით, შემიჩერეთ კიბო.

– ახლავე მომაშორეთ ეგ ოქროს ფული, – უთხრა პროფესორმა და გულში სიამაყე იგრძნო, – გირჩევნიათ, ნერვებს მიხედოთ. შარდი ხვალვე ჩააბარეთ ანალიზისთვის. ბევრი ჩაი არ დალიოთ და უმარილო დიეტა დაიცავით.

– არც წვნიანში ჩავყარო მარილი? – ჰკითხა მებუფეტემ.

– სრულიად უმარილო მიირთვით! – უბრძანა კუზმინმა.

– უუუჰ! – ნაღვლიანად ამოიოხრა მებუფეტემ, ოქროს ფული მოხვეტა და ისე, რომ პროფესორისათვის თვალი არ მოუშორებია, უკან-უკან წავიდა.

იმ საღამოს პროფესორს ცოტა ავადმყოფი ელოდა და შებინდებულზე უკანასკნელიც გაუშვა. ხალათს რომ იხდიდა, პროფესორმა იმ ადგილს დახედა, სადაც მებუფეტემ ათმანეთიანები დააწყო და იქ ფულის ნაცვლად „აბრაუ-დიურსოს“ რამდენიმე ეტიკეტი დაინახა.

– ეშმაკმა უწყის, რა ხდება! – ჩაიბურღლუნა კუზმინმა, იატაკზე ხალათის თრევით მიუახლოვდა მაგიდას და ეტიკეტებს დასწვდა, – ეს კაცი მარტო გიჟი კი არა, არამზადაც

ყოფილა! თუ ასეა, მაინც ვერ გამიგია, რა უნდოდა ჩემგან? შარდის ანალიზის მიმართვისათვის ხომ არ მოვიდოდა? აჰ, პალტოს მოიპარავდა! – პროფესორი წინკარში გაიჭრა, ცალ ხელზე წამოცმულ ხალათს ისევ იატაკზე მიათრევდა, – ქსენია ნიკიტიშნა! – ხმამაღლა დაუძახა მან, – ნახეთ, პალტოები ადგილზეა?

გაირკვა, რომ ყველა პალტო თავის ადგილზე ეკიდა. მაგრამ, სამაგიეროდ, როცა პროფესორი კაბინეტში დაბრუნდა და ბოლოს და ბოლოს, ხალათი გაიხადა, გაოგნებისგან ლამის პარკეტს შეეხარდა და მაგიდაზე გაუშტერდა თვალი. იმ ადგილას, სადაც ადრე ეტიკეტები ეწყო, ახლა გაქუცული, სახედანაღვლიანებული კნუტი იჯდა და რძიან თეფშს დაკნაოდა.

– რა ღვთის წყრომაა, რა ხდება? ეს უკვე... – თქვა პროფესორმა და იგრძნო, როგორ გაეყინა კეფა.

პროფესორის უსასოო, საბრალო კვნესის გაგონებისთანავე ქსენია ნიკიტიშნამ მოირბინა, პროფესორი დაამშვიდა და დაარწმუნა, ალბათ რომელიმე პაციენტი მოიყვანდაო.

– ვინ იცის, იქნებ ღარიბები არიან, – ამშვიდებდა ქსენია ნიკიტიშნა, – ჩვენ კი, ცხადია...

ახლა იმაზე დაიწყეს ფიქრი, ვის უნდა მოეყვანა კნუტი. ეჭვი კუჭისწყლულიან დედაბერზე მიიტანეს.

– ის იქნება, – უმტკიცებდა ქსენია ნიკიტიშნა, – ალბათ ფიქრობს, დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია და კნუტს მაინც დავაბინავებო.

– დავუშვათ ასეა, – დაიყვირა კუზმინმა, – მაგრამ რძეს რაღა ვუყუოთ? რძეც იმ ქალმა მოიტანა? ფინჯანიც?

– ალბათ რძე ბოთლით მოიტანა და ფინჯანზე აქ დაასხა, – აუხსნა ქსენია ნიკიტიშნამ.

– ყოველ შემთხვევაში, კნუტი და თეფში აქედან მომაცილეთ, – უთხრა კუზმინმა და კარამდე მიჰყვა ქსენია ნიკიტიშნას. უკან რომ მობრუნდა, მდგომარეობა შეცვლილიყო.

ხალათს ლურსმანზე რომ ჰკიდებდა, ეზოდან ხარხარი შემოესმა, ფანჯარაში გაიხედა და ცხადია, გახევდა. ეზოში, მოპირდაპირე ფლიგელისკენ ქალი მორბოდა, პერანგის ამარა იყო. პროფესორმა ისიც იცოდა, რომ იმ ქალს მარია ალექსანდროვნა ერქვა. ეზოში მდგარი ვიღაც ბიჭი კი თავაწყვეტილი ხარხარებდა.

– რა ხდება? – ზიზღით იკითხა კუზმინმა.

უცებ კედელს მიღმა, პროფესორის ქალიშვილის ოთახიდან, ფოქსტროტი „ალილია“ დასჭექა პატეფონმა და იმავე წამს პროფესორს ზურგს უკნიდან ბელურის ქლურტული შემოესმა. პროფესორი შებრუნდა და დაინახა – მის მაგიდაზე კარგა მოზრდილი ბელურა ხტუნაობდა.

„ჰმ... მშვიდად... – თავს შეუძახა პროფესორმა, – მაშინ შემოფრინდებოდა, ფანჯარას რომ მოვცილდი. უჩვეულო არაფერია“, – თავს იმშვიდებდა, თუმცა კი გრძნობდა, ყველაფერი უჩვეულო ხდებოდა. ცხადია, უმთავრესად, ამ ბელურის გამო. პროფესორი ბელურას დააკვირდა და მაშინვე მიხვდა, რომ უბრალო ბელურა არ უნდა ყოფილიყო. საზიზღარი ჩიტი მარცხენა ფეხით კოჭლობდა, ფეხათრეული, თვალნათლივ იპრანჭებოდა, ილეთები

გამოჰყავდა, ერთი სიტყვით, პატეფონის ხმაზე ფეხაწყობილი დახლთან მდგარი ლოთივით ფოქსტროტს ცეკვავდა, კუზმინმა ხელი ტელეფონისკენ წაიღო, თავის თანაკურსელ ბურესთან აპირებდა დარეკვას, უნდოდა ეკითხა, რას მოასწავებდა, ასეთი ბელურები რომ გეჩვენება კაცს, სამოცი წლის ასაკში, თან, როცა თავბრუც გესხმის?

ამასობაში ბელურა ნაჩუქარ სამელნეზე ჩამოჯდა, შიგ ჩაასკინტლა (არ გეხუმრებით), შემდეგ აფრინდა. ჰაერში დაეკიდა, თითქოს რკინის ნისკარტი ჰქონდა, მთელი ძალით დაეძგერა მინას, რომლის მიღმაც უნივერსიტეტის 1894 წლის კურსდამთავრებულთა სურათი იყო გამოფენილი, ჩაღეწა და ფანჯარაში გაიჭრა. პროფესორმა ახლა სხვა ნომერი აკრიფა, ბურესთან დარეკვის ნაცვლად წურბლების განყოფილებაში დარეკა, უთხრა, ვინც იყო და სთხოვა, წურბლები შინ გამოეგზავნათ მისთვის.

ყურმილი რომ დადო, პროფესორი ისევ მაგიდისკენ შებრუნდა და ყვირილი აღმოხდა. მაგიდასთან მოწყალების და იჯდა, ხელში ჩანთა ეჭირა, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: „წურბლები“. ქალს კაცის ტუჩები ჰქონდა, მობრეცილი, ყურებამდე ახეული და ლოჯიანი. თვალები უაზროდ მისჩერებოდნენ პროფესორს.

– ფულს მე წავიღებ, – კაცის ხმით უთხრა მოწყალების დამ, – აქ რომ ტყუილად არ ეყაროს, – ჩიტის ფეხით მოხვეტა ეტიკეტები და ნელ-ნელა გალღვა ჰაერში.

ამ ამბებიდან ორი საათის შემდეგ პროფესორი კუზმინი საძინებელ ოთახში, საწოლზე იჯდა, საფეთქლებზე, ყურებს უკან და კისერზე წურბლები ეკიდა. მის ფერხით შალის დალიანდაგებულ საბანზე თეთრულვაშა პროფესორი ბურე მოკალათებულიყო, თანაგრძნობით უცქეროდა კუზმინს და ამშვიდებდა, ყველაფერი სისულელეაო. ფანჯრების მიღმა ღამე ჩამოწოლილიყო.

კიდევ რა საოცრებები მოხდა იმ ღამეს მოსკოვში, არ ვიცი და, ცხადია, არც მინდა ვიცოდე, მით უმეტეს, დრომაც მოაწია ამ ჭეშმარიტი ამბის მეორე ნაწილი დავიწყოთ. მომყევი, მკითხველო!

ნაწილი მეორე

თავი მეცხრამეტე

მარგარიტა

მომყევი, მკითხველო! ვინ მოგატყუათ, თითქოს ამქვეყნად ჭეშმარიტი, ერთგული და მარადიული სიყვარული არ არსებობდეს? ენა უნდა ამოაძრო ასეთ ფლიდს!

ფუნდაფუნ მომყევი, ჩემო მკითხველო, მე მომყევი მხოლოდ და მე გიჩვენებ ამგვარ სიყვარულს!

არა! ოსტატი ცდებოდა, როცა იმ ღამეს საავადმყოფოში ივანს უმტკიცებდა, ჩემმა სატრფომ დამივიწყაო. შეუძლებელი იყო დავიწყებოდა და, ცხადია, არც დავიწყნია.

მაგრამ, მოდი, უპირველესად ის საიდუმლო გავამხილოთ, რომლის გამჟღავნებაც ოსტატმა არ ისურვა. მის სატრფოს მარგარიტა ნიკოლაევნა ერქვა. ყველაფერი, რასაც ოსტატი საბრალო პოეტს უამბობდა, სრული ჭეშმარიტება გახლდათ. მან ზედმიწევნით აუწერა სატრფო. მარგარიტა ნიკოლაევნა მართლაც ლამაზი და ჭკვიანი ქალი იყო, ერთიც უნდა დავძინოთ – დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მრავალი ქალი ყველაფერს გაიღებდა იმისათვის, რომ მარგარიტა ნიკოლაევნას მდგომარეობისთვის მიეღწია. ოცდაათი წლის უშვილო მარგარიტა ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტის მეუღლე გახლდათ, რომელსაც, ამასთან ერთად, ძალზე ღირებული, სახელმწიფო მნიშვნელობის აღმოჩენებიც ჰქონდა. მისი ქმარი ლამაზი, ახალგაზრდა, კეთილი, პატიოსანი კაცი იყო და ცოლს აღმერთებდა. მარგარიტა ნიკოლაევნა არბატის ახლოს, ერთ-ერთი ჩიხის ეზოში მდგარი წარმტაცი სახლის მეორე სართულზე ცხოვრობდა ქმართან ერთად. შესანიშნავი ადგილია! ყველას შეუძლია დარწმუნდეს, თუკი ამ ბაღის დათვალიერებას მოიწადინებს, მე მომმართოს, მისამართს მივაწვდი და გზასაც მივასწავლი – სახლი დღემდე ხელუხლებლად დგას.

მარგარიტა ნიკოლაევნას არც ფული აკლდა. ყველაფრის ყიდვა შეეძლო, რასაც მოისურვებდა. მისი ქმრის ნაცნობებს შორის საინტერესო ხალხიც ერია. მარგარიტა არასდროს მიჰკარებოდა პრიმუსს, არც საერთო სამზარეულოს საშინელებების წარმოდგენა შეეძლო. ერთი სიტყვით... ბედნიერი იყო? არა და არა! ბედნიერებაზე მას შემდეგ ოცნებობდა, რაც ცხრამეტი წლისა გათხოვდა და ამ სახლში დაიდო ბინა. ჰოი, ღმერთებო! მაინც რა უნდოდა, რა ეწადა ამ ქალს!? რას დაეძებდა, ერთთავად ამოუცნობი ალით თვალანთებული ეს ოღნავ ელამი ალქაჯი, იმ გაზაფხულს, მიმოზებით რომ დაიმშვენა ხელი? არ ვიცი. ვერაფერს გეტყვით. იქნებ არ ცრუობდა და მართლა ის სჭირდებოდა, ოსტატი და არა გოთური სახლი, საკუთარი ეზო ან ბევრი ფული. მას ოსტატი უყვარდა და მეც, ამ ამბის ჭეშმარიტ მთხრობელს, მაგრამ მაინც უცხო კაცს, გული მეკუმშება, როცა ვინსენებ, რა საშინელება გადაიტანა მეორე დღეს ოსტატთან მისულმა მარგარიტამ, მისი დაკარგვა რომ შეიტყო. საბედნიეროდ, ქმარი დროულად ვერ მობრუნებულიყო შინ და ჯერ ვერ მოესწრო მასთან ლაპარაკი.

მარგარიტა ყოველნაირად ეცადა, ოსტატის შესახებ შეეტყო რამე, მაგრამ, ცხადია, ვერაფერს გახდა. მაშინ ისევ შინ დაბრუნდა და ძველებურად განაგრძო ცხოვრება.

„დიახ, დიახ, დიახ, იგივე შეცდომა დავუშვი! – იმეორებდა იმ ზამთარს ბუხრის წინ მჯდარი, ცეცხლს მიშტერებული მარგარიტა, – რატომ დავტოვე მართო იმ ღამეს? რატომ? რა უაზრობა იყო! შეპირებისამებრ მეორე დილასვე დავბრუნდი, სიტყვა არ გამიტეხია, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ჰო, მე დავბრუნდი, როგორც უბედური ლევი მათე, მაგრამ ძალიან გვიან“.

უგუნური იყო ეს სიტყვები, რადგან, აბა, დაფიქრდით, განა რამე შეიცვლებოდა, იმ ღამეს ოსტატთან რომ დარჩენილიყო? განა მარგარიტა შეძლებდა მის ხსნას? სასაცილოა! – ვუპასუხებდით. მაგრამ ხმასაც ვერ ამოვიღებთ ამ სასოწარკვეთილებამდე მისული ქალის სიახლოვეს.

ამგვარ ტანჯვაში გაატარა მარგარიტა ნიკოლაევნამ მთელი ზამთარი და გაზაფხულიც დადგა. იმ დღეს, როცა მოსკოვში შავი მაგიის მეუფე გამოჩნდა და ათასგვარი არეულობა დაატრიალა, იმ პარასკევს, როცა უკან, კიევში გააძევეს ბერლიოზის ბიძა, როცა ბუღალტერი დააპატიმრეს და სხვა მრავალი ყოვლად უაზრო და გაუგებარი ამბავი მოხდა, მარგარიტას შუადღისას გაეღვიძა თავის საძინებელ ოთახში, ამ დიდებული სახლის კოშკში რომ გადიოდა.

ახალგამოდვიძებულ მარგარიტას ტირილი არ დაუწყია, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე. დღეს რატომღაც გული უგრძნობდა, რომ ბოლოს და ბოლოს, რაღაც უნდა მომხდარიყო. ამ წინათგრძნობით გამხნეებულმა, სცადა უფრო გაეღვივებინა და გაეცოცხლებინა გუმანი. ეშინოდა, წინათგრძნობას არ მიეტოვებინა.

– მწამს! – საზეიმოდ ჩურჩულებდა მარგარიტა, – მწამს! რაღაც მოხდება! შეუძლებელია, არ მოხდეს, აბა, რატომ უნდა მომესაჯოს საუკუნო წამება? ვალიარებ, ვცრუობდი და ვიტყუებოდი. ხალხისგან დაფარული, იდუმალი ცხოვრებით ვცხოვრობდი, მაგრამ განა ამისთვის შეიძლება ასე მკაცრად დასჯა? აუცილებლად რაღაც მოხდება, რადგან შეუძლებელია მარად ერთი და იგივე გრძელდებოდეს. ამას გარდა, სიზმარი არ მომატყუებს. მე ამის მჯერა.

ასე ჩურჩულებდა მარგარიტა ნიკოლაევნა, მზით გავსებულ მეწამულ ფარდებს გასცქეროდა, აღელვებული იცვამდა და მოკლე, დახვეულ თმას ივარცხნიდა სამკარედიანი სარკის წინ.

იმ ღამეს მართლაც უჩვეულო სიზმარი იხილა მარგარიტამ. მთელი ზამთარი ისე გავიდა, ამდენი ტანჯვის მიუხედავად, ერთხელაც არ დასიზმრებია ოსტატი. ღამლამობით მართო ტოვებდა სატრფო და მარგარიტა მხოლოდ დღისით იტანჯებოდა, ახლა კი უცებ დაესიზმრა.

რაღაც სრულიად უცხო ადგილი ეზმანა – უიმედო, ნაღვლიანი და ადრეული გაზაფხულის მოქუფრული ცით ჩამობურული. ესიზმრა ჰორიზონტისკენ დაძრული ნაფლეთ-ნაფლეთი რუხი ცა, უხმოდ მიმფრინავი ჭილყვავთა გუნდი, გადაფერდებული ხიდი. ნიდქვეშ მღვრიე, გაზაფხულისეული მდინარე, უსიხარულო, დაგლახაკებული, ნანევრად ტიტველი ხეები, ეული ვერხვი, უფრო იქით კი, ხეებს შორის, რაღაც ჯებირის მიღმა – ფიცრის შენობა, გამოცალკეებული სამზარეულო, აბანო თუ, ეშმაკმა უწყის, რა? ყველაფერი უსიცოცხლო იყო და ისეთი გულის გამაწვრილებელი, რომ იქვე, ხიდთან მდგარ იმ ვერხვზე მოგინდებოდა თავის ჩამოხრჩობა. ნიავი არ ქროდა, ღრუბელი არ იძვროდა. მოკლედ, ჯოჯოხეთი იყო ცოცხალი ადამიანისთვის.

ანაზღად, წარმოიდგინეთ, ამ ფიცრული შენობის კარი გაიღო და ოსტატი გამოვიდა. საკმაოდ შორს იყო, მაგრამ მაინც გარკვევით ჩანდა. დაკონკილი სამოსი ეცვა, ვერც გაარჩევდით ტანსაცმელს, თმა აწეწილი ჰქონდა, სახე – გაუპარსავი, თვალები ანთებული და შეშინებული. ხელი დაუქნია მარგარიტას, იხმო. ამ მკვდარი ჰაერით სულშეხუთული მარგარიტაც კოლბოხებზე მირბოდა ოსტატისაკენ და სწორედ მაშინ გაეღვიძა.

„ეს სიზმარი ორიდან ერთს უნდა ნიშნავდეს, – თავის თავს უხსნიდა მარგარიტა ნიკოლაევნა, – თუ მკვდარია და თავისთან მიხმობს, მაშასადამე, ჩემს წასაყვანად მოვიდა და

მალე მოვკვდები. ასე აჯობებს, ტანჯვას მაინც მოელება ბოლო. ხოლო თუ ცოცხალია, მაშინ სიზმრით შემახსენა თავი, მანიშნა, რომ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს. ჰო, მალე შევხვდებით ერთმანეთს“.

აფორიაქებულმა მარგარიტამ ჩაცმა დაასრულა და თავს შთააგონა, რომ არსებითად ყველაფერი კეთილად წარიმართა და ამგვარი ხელსაყრელი გარემოების შეკავება და გამოყენება უნდა შესძლებოდა. ქმარი სამი დღით იყო მივლინებაში, მაშასადამე, სამი დღე-ღამის განმავლობაში მარგარიტა ნიკოლაევნა სრულიად მარტო რჩებოდა საკუთარ თავთან, ხელს ვერავინ შეუშლიდა, რაზეც უნდოდა ეფიქრა და ეოცნება. სახლის მეორე სართულის ხუთივე ოთახი, მთელი ეს ბინა, რომელიც ათიათასობით მოსკოველს შეშურდებოდა, ახლა მის განკარგულებაში იყო.

თუმცა სამი დღით თავისუფლებამოპოვებულმა მარგარიტამ ამ უზარმაზარი ბრწყინვალე ბინის ყველაზე მივარდნილი ადგილი ამოირჩია. ჩაი რომ დალია, ერთ უფანჯრო, ჩაბნელებულ ოთახში შევიდა, სადაც ჩემოდნები და ორ უზარმაზარ კარადაში შელაგებული ათასგვარი წვრილმანი ინახებოდა. მარგარიტა ჩაიკუზა, პირველი კარადის ქვედა უჯრა გამოსწია და აბრეშუმის ნაკუწებს ქვემოდან ის ერთადერთი ძვირფასი ნივთი ამოაძვრინა, რაც კი გააჩნდა ამქვეყნად. მარგარიტას ხელთ ტყავის ყავისფერი, ძველი ალბომი ეჭირა, რომელშიც ოსტატის სურათი იდო, სალაროს წიგნაკი, მისივე სახელზე შეტანილი ათი ათასი მანეთი, ჰაპიროსის ქაღალდებში ჩაწყობილი ვარდის ფურცლები და კიდებშემომწვარი რვეული. მარგარიტა ნიკოლაევნა ამ სიმდიდრით დაბრუნდა თავის საძინებელ ოთახში, ფოტოსურათი სამკარედიან სარკეზე მიამაგრა, ცეცხლის ალით კიდებშემომწვარი რვეული გადაშალა და მუხლებზე ფრთხილად დაიდო, ფურცლავდა და საათზე მეტნანს კითხულობდა იმას, რასაც ცეცხლის ალში გამოვლილს, აღარც დასაწყისი ჰქონდა და აღარც დასასრული. „ხმელთაშუა ზღვიდან დაძრულმა წყვილიადმა ერთიანად გადაფარა პროკურატორის საძულველი ქალაქი. გაქრა თავკიდული ბაღები, ანტონიუსის საზარელ კომკთან რომ აერთებდა ტაძარს. ციდან დელგმა მოსკდა და წამის უსწრაფესად შთანთქა იპოდრომის თავზე დავანებული ფრთოსანი ღმერთები, სათოფურებიანი ჰასმონეების სასახლე, ბაზრები, ქარვასლები, ჩიხები, ტბები... გაქრა იერუშალაიმი, თითქოს არც არსებულა ამქვეყნად“.

მარგარიტას კითხვის გაგრძელება სურდა, მაგრამ მეტი აღარაფერი იყო, უსწორმასწოროდ შემომწვარი ქობის გარდა.

მარგარიტა ნიკოლაევნამ ცრემლი შეიწმინდა. რვეული გადადო, იდაყვებით დაეყრდნო სარკის მაგიდას და დიდხანს იჯდა ასე, სარკეში არეკლილი. ფოტოსურათს ვერ აშორებდა თავალს. მერე ცრემლიც გაუშრა. მარგარიტამ გულდაგულ ჩაალაგა თავისი ქონება, ისევ აბრეშუმის ჭინჭებქვეშ ამოდო და ჩაბნელებული ოთახის კარი რაწკუნით გამოკეტა.

მერე წინკარში გავიდა, პალტო ჩაიცვა და სასეირნოდ აპირებდა წასვლას, რომ შინამოსამსახურემ, პირმშვენიერმა ნატაშამ ჰკითხა, სადილად რა მოგიმზადდოთო, და როცა პასუხად შეიტყო, სულერთიაო, ალბათ უფრო საკუთარი თავის გასართობად, საუბარი გაუბა დიასახლისს. ღმერთმა უწყის, რას აღარ უყვებოდა, ისიც კი უამბო, რომ გუშინ თეატრში ვიღაც მსახიობს ისეთი ამბები დაეტრიალებინა, ყველას გაცეცხისაგან პირი დაელო, თურმე მაყურებელს უფასოდ ურიგებდა საზღვარგარეთულ სუნამოებსა და წინდებს, შემდეგ კი, სენსის დამთავრებისთანავე, როცა მაყურებლები ქუჩაში გავიდნენ, უეცრად ყველა შიშველი აღმოჩნდა. მარგარიტა ნიკოლაევნა წინკარში, სარკესთან მიდგმულ სკამზე დაეცა და ახარხარდა.

– ნატაშა! როგორ არ გრცხვენია! – ეუბნებოდა შინამოსამსახურეს, – ნაკითხი, ჭკვიანი გოგო ხარ და იმდენი არ იცი, რომ ხალხი ეშმაკმა უწყის, რას არ იგონებს!

ნატაშას ლოყები აეფაკლა და ცხარედ მოჰყვა იმის მტკიცებას, რომ სიმართლეს ეუბნებოდა. დღეს თვითონ, საკუთარი თვალით ნახა არბატზე, ერთი ქალი შემოვიდა გასტრონომში, ცხადია, ფენსაცმელი ეცვა. მაგრამ, როგორც კი ფულის გადასახდელად მივიდა სალაროსთან, ფენსაცმელი ფეხზე შემოადნა და წინდის ამარა დარჩა. ლამის თვალები გადმოსცვივდა იმ ქალს, წინდაზე ქუსლიც გამოხეული ჰქონდა. ჯადოსნური ფენსაცმელი ეცვა, იმ სეანსზე ნაჩუქარი.

– ისევე წავიდა?

– დიახ, დიახ! – წამოიძახა ნატაშამ და უფრო აელანდა სახე, ეწყინა, რომ არ უჯერებდნენ, – გუშინ, მარგარიტა ნიკოლაევნა, მილიციამ ასი კაცი მაინც დააკავა. ამ სეანსიდან გამოსული ქალები, თურმე, ქვედა საცვლების ამარა დარბოდნენ ტვერის ხეივანში.

– ეჭვი არ მეპარება, მაგ ყველაფერს დარია გაიმბობდა, – უთხრა მარგარიტა ნიკოლაევნამ, – კარგა ხანია შევატყვე, დიდი მატყუარა ქალი უნდა იყოს.

ეს სასაცილო საუბარი ნატაშასათვის ერთობ სასიამოვნოდ დასრულდა. მარგარიტა ნიკოლაევნა ისევ საძინებელში შებრუნდა და იქიდან წინდა და ოდეკოლონის ბოთლი გამოიტანა. ნატაშას უთხრა, მეც მიწა ერთი ფოკუსი ჩავატარო, წინდა და ოდეკოლონი აჩუქა, ოღონდ პირობა ჩამოართვა, მასაც სხვებივით წინდის ამარა არ ერბინა ტვერის ხეივანში და დარიასათვის ყური აღარ დაეგდო.

ტროლეიბუსის სკამის რბილ, მოხერხებულ საზურგეს მიყრდნობილი მარგარიტა ნიკოლაევნა არბატზე მისრიალებდა და თავის სადარდელზე ფიქრობდა, ხანაც წინ მჯდომი ორი მოქალაქის ჩურჩულს მიუგდებდა ხოლმე ყურს.

მოქალაქეები აქეთ-იქით აცეცებდნენ თვალებს, ყურს ხომ არავინ გვიგდებდნენ და რაღაც სისულელეზე განაგრძობდნენ ჩურჩულს. ფანჯარასთან მჯდარი ჯანიანი, მსუქანი, ქორივით წვრილთვალება კაცი თავის ჩია მეზობელს უმტკიცებდა, იძულებულები გახდნენ, კუბო შავი ზეწრით დაეფარათ.

– შეუძლებელია, – გაოცებას ვერ მალავდა ის ჩია, – გაუგონარი ამბავია... ჟელდიბინმა რამე იღონა?

ტროლეიბუსის ზომიერ გუგუნში ფანჯრის მხრიდან სიტყვები ისმოდა:

– სისხლის სამართლის სამძებრო... აურზაური... პირდაპირ მისტიკაა!

ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი საუბრიდან მარგარიტამ ძლივს მოახერხა აზრის გამოტანა. ის ორი მოქალაქე იმაზე ჩურჩულებდა, რომ რომელიღაც მიცვალებულს, ვის, სახელი არ უხსენებიათ, დღეს დილით კუბოდან თავი მოჰპარეს! აი, ამის გამო ღელავდა ის ჟელდიბინი, და ალბათ, ესენიც, ტროლეიბუსში რომ ჩურჩულებდნენ, რაღაცით დაკავშირებულნი უნდა ყოფილიყვნენ მიცვალებულთან.

– როგორ გგონია, ყვავილების ყიდვას მოვასწრებთ? – წუხდა ის ჩია კაცი, – ამბობენ, კრემაცია ორ საათზე იწყება.

ბოლოს, მარგარიტა ნიკოლაევნას მობეზრდა კუბოდან მოპარული თავზე ჩურჩულის მოსმენა და გაუხარდა კიდეც, ტროლეიბუსიდან ჩასვლის დრო რომ დადგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მარგარიტა ნიკოლაევნა უკვე კრემლის კედელთან, მერხზე იჯდა და მანქანს გასცქეროდა.

მზე თვალს სჭრიდა. სიზმარი გაახსენდა. გაახსენდა, ზუსტად ერთი წლის წინ, ზუსტად ამ დღეს, ამავე მერხზე რომ იჯდა ოსტატის გვერდით. ახლაც, იმდღევანდელივით, შავი ჩანთა იდო მერხზე. მაგრამ დღეს ოსტატი აღარ იყო მასთან ერთად, თუმცა ფიქრით მაინც მას ესაუბრებოდა. „თუ გადაგასახლეს, რატომ არაფერს მატყობინებ? სხვები ხომ ახერხებენ? იქნებ აღარ გიყვარვარ? არა, რატომღაც ვერ ვიჯერებ. მაშასადამე, გადაგასახლეს და დაიღუპე... თუ ასეა, გემუდარები, გამათავისუფლე, მომეცი უნარი, თავისუფლად ვისუნთქო და ვიარსებო“. და მარგარიტა ნიკოლაევნა თვითონვე პასუხობდა: „შენ თავისუფალი ხარ... მე არ გიჭერ!“ და თვითონვე ეწინააღმდეგებოდა: „არა, ეგ რა პასუხია! ჩემი ხსოვნიდან უნდა წახვიდე, მხოლოდ მაშინ გავთავისუფლდები!“

მარგარიტა ნიკოლაევნას სიახლოვეს ხალხი მიმოდიოდა. ვიღაც კაცმა ცერად გამოხედა კიდეც ამ კარგად ჩაცმულ, ლამაზ და განმარტოებით მჯდარ ქალს. სკამის კიდეზე ჩამოუჯდა, მერე მხნეობა მოიკრიბა და უთხრა:

– მართლაც, რა კარგი ამინდია...

მარგარიტამ ისე მკაცრად გახედა, კაცი მაშინვე წამოდგა და გაეცალა.

„აი, მაგალითი, – ფიქრში ეუბნებოდა მარგარიტა იმას, ვინც მის გულს დაპატრონებოდა, – რატომ გავაგდე? ვზივარ მოწყენილი, ამ კაცს კი დასაწუნი არაფერი სჭირდა. იქნებ მხოლოდ ის ერთი სიტყვა: „მართლაც“... რატომ ვზივარ ბუსავით ამ კედელთან? რატომ ვერ მომიხერხებია სიცოცხლე?“

მარგარიტა ნიკოლაევნამ საბოლოოდ მოიწყინა და დანაღვლიანდა. მაგრამ ანაზღად ის დილანდელი მოლოდინის და აღტყინების ტალღა მოასკდა გულზე. „ჰო, მოხდება!“ ტალღა ხელმეორედ შემოეფრქვა და უცებ მიხვდა, რომ ეს ტალღა ხმიანი იყო. ქალაქის ხმაურში სულ უფრო გარკვევით ისმოდა მოახლოებული დოღებისა და საყვირების ოდნავ ყალბი ხმა.

პირველად ბადის თეჯირს მიღმა ჩორთით მომავალი ცხენოსანი მილიციელი გამოჩნდა. მის უკან კი სამი ქვეითი მოაბიჯებდა. მერე ნელი სვლით გამოლოლდა მუსიკოსებით სავსე მანქანა, შემდეგ ახალთახალი, თავღია სატვირთო, რომელზეც გვირგვინშემოწყობილი კუბო იდგა, მის ოთხივ კუთხივ კი ოთხი გაჭიმული ადამიანი: სამი კაცი და ერთი ქალი. მარგარიტამ შორიდანვე შენიშნა, რომ მანქანის ძარაზე მდგარ ადამიანებს, უკანასკნელ გზაზე რომ მიაცილებდნენ განსვენებულს, საოცრად დაბნეული სახეები ჰქონდათ. დაბნეულობა, განსაკუთრებით, ქალს ეტყობოდა, რომელიც ავტოდროგის მარცხენა, უკანა კუთხეში იდგა. იმ ქალის დაბუშტულ ლოყებს თითქოს უფრო ბერავდა რაღაც პიკანტური საიდუმლო. მსუქან ლოყებში ჩაძირულ წვრილ თვალებში კი ორაზროვანი ცეცხლი უკრთოდა. გეგონებოდათ, საცაა ველარ მოითმენდა, თვალს ჩააპაჭუნებდა, მიცვალეზულისკენ გადააქნევდა თავს და იტყოდა: „გინახავთ ასეთი რამე? პირდაპირ მისტიკაა!“ ასეთივე გაოცებული სახეები ჰქონდათ ფეხით მომავალთაც, დაახლოებით, სამასიოდე კაცი იქნებოდა. რომლებიც ნელა მიჰყვებოდნენ კუბოს.

მარგარიტამ თვალი გააყოლა მსვლელობას და ყური მიუგდო, როგორ თანდათან შორდებოდა თურქული დოლის ნაღვლიანი ხმა: „ბუმ, ბუმ, ბუმ“ და გაიფიქრა: „რა უცნაური გასვენებაა... და რა სევდისმომგვრელია დოლის ბუბუნი! ოჰ, ეშმაკს მივყიდდი სულს, ოღონდ გამაგებინა, ცოცხალია თუ მკვდარი! ნეტა ვის ასაფლავებენ, ასეთი გაოცებულები რომ მიჰყვებიან?“

– მიხაილ ალექსანდროვიჩ ბერლიოზს, – გვერდიდან შემოესმა ნიღნილა ხმა, – „მასსოლიტის“ თავმჯდომარეს.

გაოცებული მარგარიტა ნიკოლაევნა შებრუნდა და სკამზე ვიღაც მოქალაქე დაინახა, რომელიც ალბათ, უხმაუროდ ჩამომჯდარიყო, ვიდრე თვითონ პროცესიას აკვირდებოდა და ეგებ თვითონაც დაბნეულობისაგან, ხმამაღლა წამოსცდა კითხვა.

ამასობაში პროცესიამ თანდათან შეანელა სვლა, ეტყობოდა, წინ შუქნიშანი აინთო.

– დიახ, – განაგრძო უცნობმა მოქალაქემ, – უცნაური განწყობაა, მიცვალებულს მiasვენებენ და იმაზე ფიქრობენ, სად უნდა გამქრალიყო მისი თავი!

– რომელი თავი? – ჰკითხა მარგარიტამ და ამ მოულოდნელ თანამოსაუბრეს დააკვირდა. დაბალი ტანის იყო, ალისფერი, წითური თმა და ღოჯი ჰქონდა, განამებული პერანგი, ზოლიანი, საკმაოდ ხეირიანი კოსტიუმი და ლაკის ფენსაცმელი ეცვა, თავზე ქვაბურა ქუდი ეხურა, ღია ფერის ჰალსტუხი ეკეთა. გასაოცარი ის განლდათ, რომ იმ ჯიბიდან, სადაც მამაკაცები ცხვირსახოცს ან მუდმივ კალამს ინახავენ ხოლმე, ამ მოქალაქეს ქათმის ბარკლის გამონრული ძვალი მოუჩანდა.

– იცით, რაშია საქმე, – აუხსნა წითურმა, – დღეს დილას გრიბოედოვის დარბაზში მიცვალებულის კუბოდან თავი მოიპარეს.

– ეგ როგორ უნდა მომხდარიყო? – დაუფიქრებლად ჰკითხა მარგარიტამ და მაშინვე ტროლეიბუსში მოსმენილი ჩურჩული გაახსენდა.

– ეშმაკმა უწყის, როგორ! – აგდებულად უპასუხა წითურმა, – თუმცა, მგონი, ურიგო არ იქნებოდა, ბეჭემოთისთვის მეკითხა ამის შესახებ. ძალიან მოხერხებულად აწაპნეს. დიდი აურზაური ატყდა. რაც მთავარია, გაუგებარია, ვის რაში უნდა დასჭირვებოდა თავი?

მარგარიტა ნიკოლაევნა თავისი სადარდელით კი იყო დაკავებული, მაგრამ მაინც გააოცა ამ უცნაური მოქალაქის სიცრუემ.

– მაპატიეთ, – უცებ მოეგო გონს, – ეს რომელი ბერლიოზია? დღეს რომ გაზეთში...

– დიახ, დიახ...

– მაშასადამე, ამ კუბოს ლიტერატორები მიჰყვებოდნენ? – იკითხა მარგარიტამ და უცებ გაიღიმა.

– ცხადია, ისინი ბრძანდებოდნენ!

– ამ ხალხს იცნობთ?

– ყველას, – უპასუხა წითურმა.

– მითხარით, – დაიწყო მარგარიტამ და ხმა ჩაეხლიჩა, – მათ შორის კრიტიკოსი ლატუნსკიც იყო?

– ცხადია, – უპასუხა წითურმა, – აგე, იქ დგას, მეოთხე რიგში, კიდეზე.

– ეს ქერათმიანი? – თვალის მოჭუტვით ჰკითხა მარგარიტამ.

– ფერფლისფერთმიანი... ხედავთ, თვალები ცისკენ აქვს აპყრობილი.

– მღვდელს რომ ჩამოჰგავს?

– დიახ, დიახ!

მარგარიტას მეტი აღარაფერი უკითხავს, ლატუნსკის აკვირდებოდა.

– როგორც ვხედავ, – ღიმილით უთხრა წითურმა, – ამ ლატუნსკის ვერ უნდა იტანდეთ.

– ზოგ სხვასაც ვერ ვიტან, – კბილებში გამოსცრა მარგარიტამ, – მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ ღირს.

ამასობაში პროცესიამ გზა განაგრძო, ფეხით მიმავალთ უკან ცარიელი მანქანები მიჰყვებოდა.

– მართალს ბრძანებთ, არ ღირს, მარგარიტა ნიკოლაევნა.

მარგარიტა გაოცდა.

– მიცნობთ?

პასუხის ნაცვლად წითურმა ქუდი მოიხადა და ორი თითით წკიპზე დაიჭირა.

„ნამდვილი ავაზაკის სახე აქვს!“ – გაიფიქრა მარგარიტამ და ქუჩაში გაცნობილ კაცს დააკვირდა.

– მე კი თქვენ არ გიცნობთ! – ცივად უთხრა მარგარიტამ.

– ცხადია, საიდან უნდა მიცნობდეთ! მიუხედავად ამისა, თქვენთან საქმეზე გამომგზავნეს.

მარგარიტა გაფითრდა და უკან დაიხია.

– პირდაპირ ამით უნდა დაგეწყოთ, – უთხრა მან, – და რაღაც სისულელეები არ უნდა გელაპარაკათ მოპარულ თავზე. დაპატიმრებას მიპირებთ?

– სრულიადაც არა, – წამოიძახა წითურმა, – ეს რა უბედურებაა. თუ ადამიანს გამოელაპარაკები, აუცილებლად ჰგონიათ, რომ დაპატიმრებას უპირებ. უბრალოდ, თქვენთან მაქვს საქმე.

– ვერ გამიგია, რა საქმეზე მელაპარაკებით.

წითურმა მიმოიხედა და საიდუმლოდ უთხრა:

– გამომგზავნეს, რომ დღეს საღამოს, წვეულებაზე მიგიწვიოთ.

– რას ბოდავთ, სად უნდა მიმიწვიოთ?

– ერთ ძალიან დიდგვაროვან უცხოელთან, – გაიბღინდა წითური და თვალები მოჭუტა.

მარგარიტა განრისხდა.

– როგორც ვხედავ, ახალი პროფესია გაჩენილა – ქუჩის მაჭანკლები, – უთხრა და წასასვლელად წამოდგა.

– ძალიან კი დამავალეთ! – ნაწყენი ხმით იყვირა წითურმა და მიმავალ მარგარიტას ზურგში დააწია, – სულელო!

– არამზადავ! – მაშინვე თავი მიაბრუნა მარგარიტამ და იმავ წამს წითურის ხმა შემოესმა:

– „ხმელთაშუა ზღვიდან დაძრულმა უკუნმა ერთიანად გადაფარა პროკურატორის საძულველი ქალაქი იერუსალიმი. გაქრა თავკიდული ბალები, რომელიც ქალაქს ანტონიუსის ტაძართან აერთებდა... გაქრა იერუსალიმი, დიდებული ქალაქი, თითქოს არც არსებულა ამქვეყნად... „ თქვენც მიწამ გიყოთ პირი თქვენი კიდებშემომწვარი რვეულითა და გამხმარი ვარდით! ზიხართ ამ სკამზე მარტო, ემუდარებით, გაგათავისუფლოთ, სუნთქვის საშუალება მოგცეთ და ხსოვნიდან გაგცილდეთ!

ერთიანად გადამტკნარებული მარგარიტა სკამთან მიბრუნდა. წითური თვალმოჭუტული უცქეროდა.

– ვერაფერი გამიგია, – ჩუმად დაიწყო მარგარიტა ნიკოლაევნამ, – დავუშვათ, რვეულის შესახებ შეიტყვეთ... შემოძვერით, მითვალთვალეთ... ნატაშა მოისყიდეთ? მითხარით... მაგრამ ის როგორღა გაიგეთ, რას ვფიქრობდი? – მას ტანჯვით მოეჭვა სახე და დასძინა, – მითხარით, ვინ ხართ? რომელი დაწესებულებიდან?

– რა მოსაწყენები ხართ! – ჩაიბუზღუნა წითურმა და ხმამაღლა უპასუხა, – მაპატიეთ, აკი გითხარით, რომ არანაირი დაწესებულებიდან არ გახლავართ! დაბრძანდით, თუ შეიძლება!

მარგარიტა უსიტყვოდ დაემორჩილა და მაინც, დაჯდომისას, კიდევ ერთხელ ჰკითხა:

– მითხარით, ვინ ხართ?

– თქვენი ნებაა. მე აზაზელო მქვია, მაგრამ ჩემი სახელი მაინც ვერაფერს გეტყვით.

– ისიც მითხარით, საიდან შეიტყვეთ იმ ფურცლების შესახებ? ან როგორ მიხვდით, რას ვფიქრობდი?

– ვერ გეტყვით, – ცივად უპასუხა აზაზელომ.

– მის შესახებ თუ იცით რამე? – მუდარით ჰკითხა მარგარიტამ.

– დავუშვათ, ვიცი.

– გემუდარებით, მხოლოდ ის მითხარით, ცოცხალია? ნუ მაწამებთ.

– დიახ, ცოცხალია, ცოცხალი! – უწადილოდ უპასუხა აზაზელომ.

– ღმერთო!

– თუ შეიძლება ნერვიულობას და ასეთ წამოძახილებს შეეშვიტ, – წარბი შეიკრა აზაზელომ.

– მაპატიეთ, მაპატიეთ, – ბუტბუტებდა უკვე დანებებული მარგარიტა, – მე, ცხადია, გაგიბრაზდით. მაგრამ, დამეთანხმეთ, რომ ქუჩაში ქალს სადღაც იწვევთ სტუმრად... გარწმუნებთ, ფარისევლობა არ მჩვევია... – სევდიანად გაიღიმა მარგარიტამ, – მაგრამ არც უცხოელებს ვხვდები და არც მათი გაცნობის სურვილი მაქვს... ამას გარდა, ჩემი მეუღლე... ჩემი უბედურება ის გახლავთ, რომ იმ ადამიანთან ვცხოვრობ, ვინც არ მიყვარს, მაგრამ ვერც ცხოვრებას დავუნგრევ, მისგან სიკეთის მეტი არაფერი მახსოვს...

აზაზელომ დაუფარავი მოწყენილობით მოუსმინა მთელ ამ აბდაუბდას და მკაცრად უთხრა:

– გთხოვთ, ერთი წუთით გაჩუმდეთ.

მარგარიტა მორჩილად დადუმდა.

– მე ისეთ უცხოელთან გიწვევთ, ვისთანაც არანაირი საფრთხე არ გელით და არც ერთ სულიერს არ ეცოდინება ამ შეხვედრის შესახებ. ამის პირობას გაძლევთ.

– მე რაში დავჭირდი? – კითხვა შეაპარა მარგარიტამ.

– ამის შესახებ მოგვიანებით შეიტყობთ.

– მესმის... უნდა დავნებდე, არა? – ფიქრის შემდეგ იკითხა მარგარიტამ.

პასუხად აზაზელომ როგორღაც ქედმაღლურად ჩაიქირქილა და უთხრა:

– შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მსოფლიოს ნებისმიერი ქალი იოცნებებდა ამაზე, – და სახე სიცილით მოექცა, – მაგრამ გული უნდა დაგწყვიტოთ – ეგ არ მოხდება.

– ასეთი ვინ არის? – ისე ხმამაღლა წამოიძახა დაბნეულმა მარგარიტამ, რომ გამვლელებმა მოხედეს, – ან რატომ უნდა გამოგყვეთ მასთან სტუმრად?

აზაზელომ მისკენ გადაიხარა და მრავალმნიშვნელოვნად უპასუხა:

– თქვენთვის ძალიან საინტერესო იქნება... შემთხვევით ისარგებლებთ...

– რა? – ისე იყვირა მარგარიტამ, თვალებიც კი დაუმრგვალდა, – თუ სწორად გაგიგეთ, იქ მის შესახებ შევიტყობ რამეს?

აზაზელომ უსიტყვოდ დაუქნია თავი.

– მოვდივარ! – მთელი ხმით იყვირა მარგარიტამ და აზაზელოს სახელოზე სწვდა, – მოვდივარ! სადაც გნებავთ, იქ წამოგყვებით!

აზაზელომ თავისუფლად ამოისუნთქა, სკამს მიეყრდნო, ზურგით დაფარა ძელზე ამოჭრილი „ნიურა“ და დამცინავად დაიწყო:

– ძნელი ასატანი ხალხი ხართ ეს ქალები! – მან ჯიბეში ჩაიწყო ხელები და ფეხები გაჩაჩხა, – რალა მე გამომგზავნეს? ბეჭემოთი უნდა წამოსულიყო, სიმპათიური მაინც არის...

მარგარიტამ ცერად და საბრალოდ გაუღიმა:

– თუ ღმერთი გწამთ, მისტიფიკატორობას თავი დაანებეთ და გამოცანებით ნუ მტანჯავთ... მე ერთი უბედური ქალი ვარ და ამით ნუ ისარგებლებთ. ვიცი, რაღაც უცნაურ ამბავში ვყოფ თავს, მაგრამ, გეფიცებით, მხოლოდ იმიტომ, მისი სიტყვებით რომ მიხმეთ! ამდენი გაუგებრობით თავბრუ მესხმის...

– ნუ ნერვიულობთ, ნუ ნერვიულობთ, – მანჭვა-გრეხით უთხრა აზაზელომ, – მეც ხომ ცოდო ვარ. ჩემი პირდაპირი სპეციალობა ის გახლავთ, ადმინისტრატორს სიფათში ვთხლიშო, ბიძას ჭიტლაყი ამოვკრა, ვინმეს ტყვია ვესროლო ან ამგვარი უმნიშვნელო ამბები მოვაგვარო, მაგრამ შეყვარებულ ქალებთან ლაპარაკისგან ღმერთმა დამიფაროს. აი, უკვე ნახევარი საათია თქვენს დაყოლიებას ვცდილობ. მაშასადამე, მოდიხართ?

– მოვდივარ, – უბრალოდ უპასუხა მარგარიტამ.

– მაშინ ეს გამომართვით, – უთხრა აზაზელომ, ჯიბიდან ოქროს მრგვალი ფლაკონი ამოიღო და მარგარიტას გაუწოდა, – ახლავე დამალეთ, თორემ გამვლელები გვიყურებენ. ეს ფლაკონი გამოგადგებათ, მარგარიტა ნიკოლაევნა. ამ უკანასკნელ ნახევარ წელიწადში საგრძნობლად დაბერებულხართ (მარგარიტა წამოენტო, მაგრამ არაფერი უპასუხია, აზაზელომ კი განაგრძო), დღეს საღამოს, ზუსტად ათ საათზე, კეთილი ინებეთ, ტანთ გაიხადეთ და მთელი ტანი და სახე ამ ნელსაცხებლით დაიზილეთ. შემდეგ, რაც გენებოთ, ის გააკეთეთ, მაგრამ ტელეფონს არ მოშორდეთ. ათ საათზე დაგირეკავთ და რაც საჭიროა, ყველაფერს გეტყვით. თქვენ არაფერზე მოგიწევთ შეწუხება, იქ მიგიყვანენ, სადაც საჭიროა და თმის ერთი ღერიც არ შეგერხვავთ, გასაგებია?

მარგარიტა დუმდა, შემდეგ უთხრა:

– გასაგებია. ეს საგანი ბაჯალლო ოქროსია, სიმძიმეზე ეტყობა. რას ვიზამ, მშვენივრად მესმის, რომ ქრთამს მაძლევთ და რაღაც ჭუჭყიან ამბავში მხვევთ, რასაც მოგვიანებით ძალიან ვინანებ.

– რა დაგემართათ? – თითქმის წაისისინა აზაზელომ, – ისევ დაიწყეთ?

– არა, მოიცადეთ!

– ახლავე დამიბრუნეთ ნელსაცხებელი.

– მისმინეთ... ვიცი, რატომაც დაგთანხმდით, ყოველივე ამას მხოლოდ მისი გულისთვის ვაკეთებ, რადგან ამქვეყნად მეტი აღარაფერი დამრჩენია. ოღონდ, ერთი რამ მინდა გითხრათ, თუ დამლუპავთ, აუცილებლად შეგრცხვებათ! დიახ, შეგრცხვებათ მაინც! მე სიყვარულისთვის ვიღუპები! – მკერდზე ხელი მიიღო მარგარიტამ და მზეს ახედა.

– ახლავე დამიბრუნეთ, – კვლავ წაისისინა აზაზელომ, – ახლავე დამიბრუნეთ და ეშმაკსაც წაუღია ყველაფერი. ამიერიდან ბეჭემოთი გამოგზავნონ.

– არა! – წამოიძახა მარგარიტამ და ისევ დააფეთა გამვლელები, – ყველაფერზე თანახმა ვარ, თანახმა ვარ, ეს კომედია გავითამაშო, ნელსაცხებელი წავისვა, ეშმაკს მივყიდო სული, არ დაგიბრუნებთ!

– ოჰო! – უცებ დაიღრიალა აზაზელომ და თვალეზგადმოკარკლოულმა თითი ბალის ჯებირისკენ გაიშვირა.

მარგარიტა იქით შებრუნდა, საითაც აზაზელომ ანიშნებდა, მაგრამ ვერაფერი შენიშნა და როცა ხელახლა მოაბრუნა თავი, რათა ეკითხა, ასე რამ გაგაოცათო, პასუხის გამცემი აღარავინ დახვედრია: იდუმალი თანამოსაუბრე გამჭრალიყო. მარგარიტამ სწრაფად ჩაიყო ჩანთაში ხელი, სადაც ამ წამოყვირებამდე ჩამალა ფლაკონი, დარწმუნდა, რომ ჩანთაში იდო და აჩქარებული ნაბიჯით გაეცალა ალექსანდრეს პარკს.

თავი მეოცე

აზაზელოს ნელსაცხებელი

ნეკერჩხლის ტოტებს იქით, სადამოსეულ სუფთა ცაზე ბდღვრიალა, სავსე მთვარე ეკიდა. არყის ხეებისა და იასამნების ჩრდილს ბაღში, მიწაზე რთული ჩუქურთმა მოეხატა. კომპში გამავალი ოთახის სამკარედიანი ფანჯარა ღია იყო, მაგრამ ფარდაჩამოფარებული და ელექტრონის შუქით გაჩახჩახებული. მარგარიტა ნიკოლაევნას საძინებელ ოთახში ყველა ნათურა ენთო და აწეწილ-დაწეწილ ოთახს ანათებდა. საწოლზე პერანგები, წინდა და თეთრეული ეყარა, დაჭმუჭნილი ზეწრები კი პირდაპირ იატაკზე მიეყარა, შემთხვევით გასრესილი პაპიროსის კოლოფის გვერდით. ფენსაცმელი ღამის მაგიდაზე ეწყო, ჯერ შეუსმელი ყავის ფინჯნის და საფერფლის გვერდით, რომელშიც პაპიროსი ბოლავდა. სკამის საზურგეზე სადამოს შავი კაბა იყო გადაფენილი... ოთახში სუნამოს სურნელი ტრიალებდა. ამას გარდა, სადღაც შორიდან იპარებოდა გახურებული უთოს სუნი.

მარგარიტა ნიკოლაევნა ტრიუმოსთან იჯდა, შიშველ ტანზე საბანაო ხალათი ჰქონდა შემოცმული, ფეხზე ნატის შავი ფენსაცმელი ეცვა. ოქროსსამაჯურიანი საათი წინ ედო, აზაზელოს ყუთის გვერდით და თვალმოუშორებლად დასცქეროდა ციფერბლატს. დროდადრო ეჩვენებოდა, რომ საათი გაფუჭებულიყო და ისრები აღარ მოძრაობდა. ისრები, ცხადია, მოძრაობდა, ოღონდ ძალიან ნელა, თითქოს მიწებებოდა ერთმანეთს და ბოლოს, გრძელმა ისარმა ათის ოცდაცხრა წუთს მიაღწია. მარგარიტას გული ამოვარდნაზე ჰქონდა. უცებ ვერც კი შეძლო ყუთის აღება. შემდეგ თავს მოერია, ფლაკონი გახსნა და შიგ მოყვითალო ფერის ცხიმისანი საცხი დაინახა. მოეჩვენა, თითქოს საცხს ჭაობის სუნი უდიოდდა. თითოთ სულ ცოტა ამოიღო, ხელისგულზე დაიდო, ოთახში უფრო მძაფრად დატრიალდა ტყისა და ჭაობის ბალახთა სუნი, და ხელისგულებით ლოყებსა და შუბლზე შეიზილა. საცხი რბილად ედებოდა და, როგორც მარგარიტას მოეჩვენა, იმავ წამს ორთქლდებოდა. ცოტა ხნის ზელის შემდეგ, მარგარიტამ სარკეში შეხედა თავს, ყუთი ხელიდან გაუვარდა, საათის მინას დაეცა და გაბზარა. მარგარიტამ თვალი დახუჭა, შემდეგ ისევ სარკეს შეხედა და ახარხარდა.

ამოქნილი, ძაფივით დაწვრილებული წარბები გაუსქელდა და შავ, მომშვილდულ რკალად გადაეკლაკნა მწვანედ აბღვრიალებულ თვალეზე. წვრილი, ვერტიკალური ნაოჭი, შუბლზე მაშინ, იმ ოქტომბერს, ოსტატის გაქრობის შემდეგ რომ გაუჩნდა, ახლა უკვალოდ გაქრობოდა. აღარც საფეთქლებზე აჩნდა მოყვითალო ლაქები და თვალის კიდებიდან გაქსელილი წვრილ-წვრილი ნაოჭებიც გადასწორებოდა. ლოყებზე კანი ზომიერი ვარდისფრით დაეფარა, შუბლი გაუთეთრდა და დაეწმინდა. საპარიკმახეროში დახვეული თმაც დაეშალა.

ოცდაათი წლის მარგარიტას სარკიდან ოცი წლის შავგვრემანი, ხუჭუჭთმიანი, ახარხარებული და კბილებელვებული ქალი უმზერდა.

სიცილით გული რომ იჯერა, მარგარიტამ ერთი ხელის გაქნევით გაიძრო ხალათი, ცხიმისანი, სასიამოვნო საცხი ბლომად ამოიღო ფლაკონიდან და ტანზე ღონივრად დაიწყო შეზელა. კანი მაშინვე გაუვარდისფრდა და მზით გაერუჯა. იმავ წამს, თითქოს ტვინიდან ნემსები ამოაძვრესო, საფეთქლების ტკივილი დაუცხრა, ალექსანდრეს პარკში გასეირნების შემდეგ რომ აწუხებდა. ხელ-ფეხზე კუნთები დაეჭიმა და ანაზდად იგრძნო, რომ სხეულმა წონა დაკარგა.

ის შეხტა და იქვე, ნოხთან, ჰაერში დაეკიდა. მერე ნელ-ნელა დაიწია ქვევით და ისევ იატაკზე დაეშვა.

– აი, საცხიც ამას ჰქვია! საცხიც ამას ჰქვია! – იყვირა მარგარიტამ და სავარძელში ჩაჯდა.

საცხმა მართო გარეგნულად როდი შეცვალა. ახლა მთელ სხეულში, მის ყოველ კუნჭულში, სიხარული იწყებდა ფეთქვას, რომელსაც გაბნეული, მჩხვლეტავი ბურთულებივით შეიგრძნობდა. მარგარიტამ იგრძნო, რომ სრულიად თავისუფალი იყო. ამას გარდა, საოცარი სიცხადით ხვდებოდა, რომ სწორედ ის აღსრულდა, რასაც ამ დილას კარნახობდა გუმანი, რომ სამუდამოდ ტოვებდა ამ ბინას და ყოფილ ცხოვრებას. მაგრამ ამ ყოფილი ცხოვრებიდან მაინც მოიმსხვრა ფიქრი იმის შესახებ, რომ ერთი უკანასკნელი ვალიც უნდა აღესრულებინა, ვიდრე ამ ახალ, უჩვეულო, მაღლა, ჰაერში ამტაცებელ ცხოვრებას დაიწყებდა. და როგორც იყო, შიშველი გაიჭრა საძინებლიდან, ფრენა-ფრენით შევარდა ქმრის კაბინეტში, შუქი აანთო და საწერ მაგიდას ეცა. უბის წიგნაკიდან ამოხეულ ფურცელზე დიდი ასოებით, ფანქრით ლამაზად დაწერა:

„მაპატიე და, რაც შეიძლება, სწრაფად დამივიწყე. სამუდამოდ გტოვებ. ნუ მომძებნი, მაინც ვერ მიპოვი. თავს დატეხილი უბედურებისა და ტანჯვისაგან აღქაჯად ვიქეცი. ჩემი წასვლის დროა. მშვიდობით, მარგარიტა“.

და უკვე ყველაფრისაგან თავდახსნილი მარგარიტა არხეინად შეფრინდა საძინებელ ოთახში, უკან კი საუთოებლებით დატვირთული ნატაშა მიჰყვა. იმავე წამს ყველა ის ნივთი – ხის საკიდებზე ჩამოცმული კაბები, მაქმანიათი ცხვირსახოცები, ცისფერი აბრეშუმის გადაჯვარედინებული ფეხსაცმელი და ქამარი – ყველაფერი იატაკზე დაცვივდა და ნატაშამ გათავისუფლებული ხელებით ტაში შემოჰკრა:

– რაო, მოგწონვარ? – ხმამაღლა, ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა მარგარიტამ.

– ეს როგორ მოხდა? – ჩურჩულებდა გაოცებული ნატაშა და უკან-უკან იხევდა, – ამას როგორ ახერხებთ, მარგარიტა ნიკოლაევნა?

– საცხის ბრალია, საცხის! საცხის! – უპასუხა მარგარიტამ, ოქროს ფლაკონზე მიუთითა და ისევ დაბზრიალდა.

ნატაშას იატაკზე მიყრილ-მოყრილი, დაჭმუჭნილი კაბები გადაავიწყდა, ტრიუმოსთან მიირბინა და ხარბი, ანთებული თვალებით დააჩერდა დარჩენილ საცხს. ტუჩები რაღაცას ჩურჩულებდნენ. მერე ისევ მარგარიტასკენ შებრუნდა და აღტაცებულმა ჩაიბუტბუტა:

– რა კანი გაქვთ! კანი! მარგარიტა ნიკოლაევნა, თქვენი კანი ანათებს! – უცებ გონს მოეგო, კაბასთან მიირბინა, იატაკიდან აიღო და დაფერთხა.

– თავი გაანებეთ! მოეშვიტო! – უყვიროდა მარგარიტა, – ეშმაკსაც წაუღია! გადაყარეთ ყველაფერი! თუმცა არა, თქვენთვის მიჩუქნია. გესმით, ჩემგან გქონდეთ სახსოვრად. ყველაფერი წაიღეთ, რაც კი ამ ოთახშია.

ნატაშა გაოგნებული იდგა, ერთხანს მარგარიტას უცქეროდა, შემდეგ კისერზე ხელი მოხვია, კოცნიდა და გაჰყვიროდა:

– ხავერდოვანი, ანათებს! ხავერდოვანი! წარბები, ღმერთო, რა წარბები გაქვთ?!

– წაიღეთ ჩემი ტანსაცმელი, სუნამოები და თქვენს ზანდუკში ჩააწყვეთ, დამალეთ, – ყვიროდა მარგარიტა, – ძვირფასეულობას კი ხელი არ ახლოთ, თორემ ქურდობას დაგწამებენ.

ნატაშამ ერთად მოხვეტა ყველაფერი – კაბები, ფეხსაცმელები, წინდა, თეთრეული – და საძინებლიდან გაიჭრა.

ანაზღად, საიდანღაც, ჩიხის მოპირდაპირე მხარის ღია ფანჯრიდან დიდებულმა ვალსმა დაიქუხა და კარიბჭესთან მოსრიალებული მანქანის თუხთუხიც გაისმა.

– საცაა აზაზელო დარეკავს! – წამოიძახა მარგარიტამ და ჩიხში დაღვრილ ვალსს მიუგდო ყური, – დარეკავს! ის უცხოელი კი არაფერს მავნებს! ჰო, ახლა კი ვხვდები, რომ ხიფათს არ გადამყრის.

მანქანა ისევ ახმაურდა, კარიბჭეს მოსცილდა, ჭიშკარმაც გაიბრახუნა და მოკირწყლოულ ბილიკზე ნაბიჯის ხმა გაისმა.

„ნიკოლაი ივანოვიჩია, ნაბიჯით ვცნობ, – გაიფიქრა მარგარიტამ, – გამოსათხოვრად რაღაც ძალზე სასაცილო და მნიშვნელოვანი უნდა ჩავიძინო“.

მარგარიტამ ფარდა გადასწია, რაფაზე გვერდულად ჩამოჯდა და მუხლებზე შემოისალტა ხელები. მთვარის შუქმა აულოკა მარჯვენა მხარი. მარგარიტამ მთვარისკენ იბრუნა პირი და დაფიქრებული, პოეტური სახე მიიღო. ნაბიჯის ხმა ერთი-ორჯერ კიდევ გახმიანდა და უცებ შეწყდა. მარგარიტა ერთხანს კიდევ ტკბებოდა მთვარის ცქერით, მერე წესისამებრ ამოიოხრა, ბალისკენ შეაბრუნა სახე და მართლაც ნიკოლაი ივანოვიჩი დაინახა, იმავე სახლის პირველ სართულზე რომ ცხოვრობდა. მთვარე დანათოდა ნიკოლაი ივანოვიჩს, ძელსკამზე იჯდა და ეტყობოდა, მოწყვეტით იყო ზედ დაცემული. ცხვირზე წამოცმული პენსნე გვერდზე მოქცეოდა, პორტფელს მაგრად უჭერდა ხელს.

– ოჰ, გამარჯობა, ნიკოლაი ივანოვიჩ, – ნაღვლიანი ხმით უთხრა მარგარიტამ, – სალამო მშვიდობისა! თათბირიდან მობრძანდებით?

ნიკოლაი ივანოვიჩმა არაფერი უპასუხა.

– მე კი, – განაგრძო მარგარიტამ და მთელი ტანით ფანჯრიდან გადაიხარა, – როგორც ხედავთ, მართო ვზივარ, მოწყენილი, მთვარეს გავცქერი და ვალსს ვუსმენ.

მარგარიტამ მარცხენა ხელი საფეთქელზე გადაისვა, კულულები შეისწორა და უცებ გაბრაზებულმა უთხრა:

– ეს უკვე უზრდელობაა, ნიკოლაი ივანოვიჩ! ბოლოს და ბოლოს, ქალი ვარ! რა თავხედობაა, კითხვაზე რატომ პასუხს არ მცემთ?

ნიკოლაი ივანოვიჩმა, ერთიანად რომ დანათოდა მთვარე, ნაცრისფერ ყილეტზე ყველა ღილს რომ გამოურჩევდით და ღერა-ღერა დაუთვლიდით ქერა წვერს, უცებ ჩაიცინა, სკამიდან წამოდგა და ალბათ, დაბნეულობისგან თავგზააბნეულმა, ნაცვლად იმისა, რომ შლაპა მოეხადა, პორტფელი გაიქნია და მუხლი მოიდრიკა, თითქოს ცეკვას აპირებდნო.

– ოჰ, რა მოსაწყენი ადამიანი ხართ, ნიკოლაი ივანოვიჩი, – განაგრძო მარგარიტამ, – საერთოდ, ყველამ ისე მომაბეზრეთ თავი, ვერც კი აგიწერთ და რა ბედნიერი ვარ, ველარასოდეს რომ ველარ გნახავთ! ეშმაკსაც წაუღიხართ ყველა!

იმწუთას, მარგარიტას ზურგს უკნიდან, საძინებელ ოთახში ტელეფონი აწკრიალდა. მარგარიტას მაშინვე გადაავიწყდა ნიკოლაი ივანოვიჩი, რაფიდან ჩამოხტა და ყურმილს ეცა.

– აზაზელო ვარ, – უთხრა ყურმილმა.

– ჩემო ძვირფასო, ჩემო კეთილო აზაზელო! – წამოიძახა მარგარიტამ.

– დროა! გამოფრინდით, – უთხრა აზაზელომ და ხმაზე ეტყობოდა, რომ სიამოვნებდა მარგარიტას ეს გულწრფელი, მხიარული შეძახილი, – ჭიშკარს რომ გადაუფრენთ, დაიყვირეთ: „უჩინარი ვარ“. ერთხანს ქალაქის თავზე იფრინეთ, ვიდრე მიეჩვეოდეთ, მერე აღმოსავლეთისკენ აიღეთ გეზი, მდინარისაკენ. იქ გელოდებიან.

მარგარიტამ ყურმილი დაკიდა, იმავ წამს მეზობელი ოთახიდან რაღაც რაკუნის გაისმა და კარზეც მოაკაკუნეს. მარგარიტამ კარი ყურთამდე გამოაღო და ჯაგარაყალყული იატაკის ჯოხი ცეკვა-ცეკვით შემოფრინდა საძინებელში. ზედა ბოლოთი იატაკს ეხლებოდა, იკლაკნებოდა და ფანჯრისკენ იწევდა გასაფრენად. მარგარიტას აღფრთოვანებული კვილი აღმოხდა და ცოცხზე ამხედრდა. მაშინღა გაუელვა თავში, რომ ამ არეულობაში ჩაცმა დავიწყებოდა. ხტუნვა-კუნტრუშით მიირბინა საწოლთან, ხელთ მოხვედრილი ვარდისფერი პერანგი აიტაცა, დროშასავით აიქნია და ფანჯარაში გაიჭრა. და უფრო ძალუმაღ დასჭექა ვალსმა.

ფანჯრიდან მარგარიტა ძირს ჩასრიალდა და სკამზე ჩამომჯდარი ნიკოლაი ივანოვიჩი დაინახა, ის თითქოს მიჰყინვოდა სკამს და სრულიად გაოგნებული აყურადებდა ზედა სართულზე მცხოვრებთა განათებული საძინებელი ოთახიდან მონადენ ყვირილსა და ხმაურს.

– მშვიდობით, ნიკოლაი ივანოვიჩი! – დაუკვილა მარგარიტამ და ცეკვა-ცეკვით წინ ჩაუფრინა.

ნიკოლაი ივანოვიჩმა ერთი ამოიკვნესა, სკამზე ხელების ცეცებით გაჩოჩდა და მიწაზე გადმოანარცხა პორტფელი.

– სამუდამოდ გემშვიდობებით, მივფრინავ! – ყვიროდა მარგარიტა და ცდილობდა, ვალსის ხმა გადაეფარა. უცებ მიხვდა, რომ პერანგი საერთოდ არ სჭირდებოდა, ბოროტად გადაინახარა და ნიკოლაი ივანოვიჩს ჩამოაცვა თავზე. დაბრმავებული ნიკოლაი ივანოვიჩი სკამიდან აგურიით მოკირწყლულ ბილიკზე გადმოვარდა.

მარგარიტა შებრუნდა, უნდოდა უკანასკნელად შეეველო თვალი იმ სახლისათვის, სადაც ამდენ ხანს ეწამებოდა და გაჩახჩახებულ ფანჯარაში ნატაშას გაოცებისგან მოქცეულ სახეს მოჰკრა თვალი.

– მშვიდობით, ნატაშა! – გასძახა მარგარიტამ და ცოცხი მოქაჩა, – უჩინარი ვარ, უჩინარი! – უფრო ხმამაღლა იკვილა მან. სახეში შეხლილ ნეკერჩხლის ტოტებში გააღწია, ჭიშკარი გადაიფრინა, ჩიხში გაიჭრა და კვალად აედევნა ერთიანად გადარეული ვალსი.

თავი ოცდამეერთე

გაფრენა

უჩინარი და თავისუფალი! უჩინარი და თავისუფალი! მარგარიტამ ჩინს ჩაუფრინა და ამ პირველის გადამკვეთ მეორე ჩინში გაუხვია. ეს საკერებლიანი, დაკემსილი, მიღრეცილ-მოღრეცილი გრძელი ჩინი, კუთხეში გადაფერდებული ნავთის ფარდული რომ აგვირგვინებდა, სადაც კათხებით ყიდდნენ ნავთს და ბოთლებით – მავნე მწერების საწინააღმდეგო სითხეს, მან თვალის დახამხამებაში გადაჭრა და უცებ მიხვდა, სრულიად უჩინარსა და თავისუფალს ტკბობაშიც უნდა სცოდნოდა ზღვარი. ლამის გადაბრეცილ ფარანს არ შეასკდა, რაღაც სასწაულით მოასწრო დამუხრუჭება. ფარანს თავდაღწეულმა მარგარიტამ ცოცხის ტარს მაგრად მოუჭირა ფეხები, უფრო ნელა გაფრინდა, თან ელექტრომაკრებებს და ტროტუარის გასწვრივ გამოკიდებულ ნიშნებს აკვირდებოდა.

მესამე ჩინი პირდაპირ არბატისკენ მიემართებოდა. ამ დროისათვის მარგარიტა უკვე გაიწაფა ცოცხის მართვაში, მიხვდა, ხელის ან ფეხის მცირე გარხევასაც რომ ემორჩილებოდა, და რომ ქალაქის თავზე ფრენისას, დიდი ყურადღება და თავის მოთოკვა იყო საჭირო. ამას გარდა, უკვე ჩინშივე მიხვდა, რომ ფეხით მოსიარულენი ვერ ხედავდნენ. არავის აუწყვია თავი, არ წამოუძახია: „შეხედე! შეხედე!“ არც გვერდზე გამბტარან, არც უკივლიათ და გული არ წასვლიათ, არც შეშლილებივით დაუწყიათ ხარხარი. მარგარიტა უხმოდ მიფრინავდა, ძალიან ნელა და დაბლა, დაახლოებით მეორე სართულის სიმაღლეზე. მაგრამ ამ ნელი ფრენის დროსაც, თვალისმომჭრელად განათებული არბატის ჩინში გზა აებნა და რომელიღაც განათებულ, ისარმიხატულ ფირნიშს გაჰკრა მხარი. ამან გააბრაზა. მის ნებას დამორჩილებული ცოცხი შეაყენა, ოდნავ გვერდით გადაინაცვლა, გამოქანდა, ცოცხის ბოლო აჰკრა რგოლს და ჩამოამხვრია. ნამსხვრევები რაჩხარუჩხით ჩაშვავდა ქვაფენილზე, გამვლელები მიმოიფანტნენ, ვიღაცამ დაუსტვინა კიდეც, მარგარიტა კი აღტაცებული ხარხარებდა. „არბატზე ალბათ მეტი სიფრთხილე მმართვეს, – გაიფიქრა მან, – აქ ყველაფერი ერთმანეთშია არეული, წესიერად გზასაც ვერ გაიკვლევ“. მარგარიტამ ფრთხილად დაიწყო მავთულებს შორის ყვინთვა. ქვევით ტროლეიბუსის, ავტობუსის და მსუბუქი მანქანების სახურავები მიცურავდა, ტროტუარებზე, ზემოდან მაინც ასე ჩანდა, კეპიანი ქუდების მდინარე მოედინებოდა. ალაგ-ალაგ ამ მდინარეებიდან ნაკადულები გამოედინებოდა და ღამეული მაღაზიების განათებულ ხახებში ინთქმებოდა. „ო, რამდენი არიან, – ბრაზიანად ფიქრობდა მარგარიტა, – აქ ნემსის ჩასაგდებ ადგილსაც ვერ მოძებნი“. მან არბატი გადაჭრა, ოდნავ მაღლა აინაცვლა – მეოთხე სართულის სიმაღლეზე, თეატრის კუთხური შენობის თვალისმომჭრელად გაბრწყინებულ მილებს ჩაუარა და მრავალსართულიანი ბინებით სავსე ვიწრო ჩინში შეუხვია. ფანჯრები ღია იყო და ყოველი ფანჯრიდან მუსიკა იფრქვეოდა. მარგარიტას სულმა წასძლია და ერთ-ერთ მათგანში შეიხვდა. სამზარეულო დაინახა. ორი პრიმუსი შიშინებდა ქურაზე. იქვე ორი ქალი იდგა, ხელში კოვზები ეჭირათ და კინკლაობდნენ:

– იცი, რას გეტყვით, პელაგეა პეტროვნა, საპირფარეოდან გამოსვლისას შუქი უნდა ჩააქროთ ხოლმე, – ამბობდა ის ქალი, ვისაც ორთქლიანი ქვაბი ედგა ქურაზე, – თუ არა და, თქვენს გასახლებას მოვითხოვ!

– გირჩევნიათ, თქვენს თავს მიხედოთ, – პასუხობდა მეორე.

– აჯობებს ორივემ საკუთარ თავს მიხედოთ, – ხმამაღლა თქვა ფანჯრიდან სამზარეულოში თავშეყოფილმა მარგარიტამ. მოჩხუბრებმა იქით გაიხედეს, საიდანაც ხმა ისმოდა და

ჭუჭყიანი კოვზები ხელში შეაცივდათ. მარგარიტამ ფრთხილად გაიწვდინა ხელი, ორივე პრიმუსის გამომრთველი გადაატრიალა და ჩააქრო. პირდაღებულმა ქალებმა ამოიგმინეს, მაგრამ მარგარიტას უკვე მოსწყინდა ამ სამზარეულოში და ისევ ქუჩაში გაფრინდა.

ჩინის ბოლოს მისი ყურადღება ერთი რვასართულიანი, ალბათ ახლახან აშენებული სახლის ბრწყინვალეობამ მიიპყრო. მარგარიტა ქვევით დაეშვა, მიწაზე დადგა და შავი მარმარილოთი მოპირკეთებული, ფართოკარიანი სახლი შეათვალიერა. კარს მიღმა, მინებში შვეიცარიის ოქროსფრად მოელვარე ქუდსა და ღილებს ჰკიდა თვალი, კარზე კი იმავე ოქროსფრით ეწერა: „დრამლიტის სახლი“.

თვალმოჭუტული მარგარიტა დიდხანს უცქეროდა წარწერას და ცდილობდა მიმხვდარიყო, რას ნიშნავდა „დრამლიტი“. მან ცოცხი ილღიაში ამოიჩარა, სადარბაზოში შევიდა, კარი გაოცებულ შვეიცარს მიართყა და ლიფტის გვერდით, კედელზე გაკრული შავი, უზარმაზარი დაფა დაინახა, რომელზეც თეთრი ასოებით ბინის ნომრები და მობინადრეთა გვარები იყო ამოკვეთილი. შემდეგ სიის ბოლოში მიწერილ „დრამატურგთა და ლიტერატორთა სახლსაც“ მოჰკრა თვალი და ველური, მხიარული ხავილი აღმოხდა. მარგარიტამ სიას ააყოლა თვალი და ხარბად დაეწაფა გვარებს: ხუსტოვი, დვუბრატსკი, კვანტი, ბესკუდნიკოვი, ლატუნსკი...

– ლატუნსკი!- დაიჭყვივლა გახარებულმა, – ლატუნსკი! ის არის! ამან დალუპა ოსტატი.

კართან მდგარი თვალეზაყვიტილი შვეიცარი ლამის ადგილზე ხტუნავდა და გაოცებული შესცქეროდა შავ დაფას. ვერა და ვერ გაერკვია ეს სასწაული, ვერ მიმხვდარიყო, მოულოდნელად რატომ აჭყვივლდა მობინადრეთა სია. ამასობაში კი მარგარიტა უკვე თავაწყვეტილი მიუყვებოდა კიბეს და ნეტარებით იმეორებდა:

– ლატუნსკი – ოთხმოცდაოთხი! ლატუნსკი – ოთხმოცდაოთხი...

აჰა, მარცხენა კარი – 82, მარჯვნივ – 83, უფრო ზევით, მარცხნივ – 84. აქ არის. აი, წარწერაც „ო. ლატუნსკი“.

მარგარიტა ცოცხიდან გადმოხტა და გავარვარებული ფეხისგულებით სასიამოვნოდ შეიგრძნო იატაკის სიგრძელე. მარგარიტამ ერთხელ დარეკა, მეორედ, მაგრამ კარი არავის გაუღია. უფრო ღონივრად დააწვა ღილაკს, თვითონაც ესმოდა ლატუნსკის ბინაში ატეხილი ზრიალი. დიან, მერვე სართულზე, № 84 ბინის მფლობელი, სიცოცხლის ბოლომდე მადლიერი უნდა დარჩენილიყო აწ განსვენებული ბერლიოზისა, ტრამვამ რომ გაიტანა და „მასსოლიტის“ თავმჯდომარისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო თათბირი სწორედ ამ საღამოს დაინიშნა. მართლაც ბედნიერ ვარსკვლავზე იყო დაბადებული კრიტიკოსი ლატუნსკი. სწორედ ამ თათბირმა იხსნა იმ ჰარასკევს ალქაჯად ქცეულ მარგარიტასთან შეხვედრისაგან!

კარს არავინ აღებდა. მაშინ მარგარიტა კისრისტეხით დაეშვა თავქვე, თან სართულებს ითვლიდა. სადარბაზოდან ქუჩაში გაიჭრა, მაღლა აიხედა, უკვე გარედან გადათვალა და თვალთ მოზომა სართულები, იმის გასარკვევად, რომელი უნდა ყოფილიყო ლატუნსკის ბინის ფანჯრები. ალბათ მაინც ის ჩაბნელებული ხუთი ფანჯარა იყო, შენობის კუთხეში, მერვე სართულზე. მარგარიტა ჰაერში აიჭრა და რამდენიმე წამის შემდეგ უკვე ღია ფანჯრიდან შედიოდა ჩაბნელებულ ბინაში, რომელშიც მხოლოდ მთვარის ვიწრო ბილიკი გაწოლილიყო ვერცხლისფრად. ამ ბილიკს გაჰყვა მარგარიტა და ხელით ჩამრთველი მოიძია. წუთის შემდეგ მთელი ბინა ჩახჩახებდა. ცოცხი კუთხეში იყო აყუდებული. რაკი

დარწმუნდა, შინ არავინ იყო, მარგარიტამ შემოსასვლელი კარი გამოაღო და წარწერა შეამოწმა. არ შემცდარა. სწორედ იმ ბინაში აღმოჩნდა, რომელსაც ეძებდა.

დიახ, ამბობენ, კრიტიკოსი ლატუნსკი დღემდე ფითრდება იმ საზარელი საღამოს განხილვისას და ბერლიოზის სახელსაც დღემდე მოწიწებით იხსენებსო. ვინ იცის, რა შავბნელად დასრულდებოდა ის საღამო – სამზარეულოდან გამოსულ მარგარიტას ხომ ხელში ჩაქუჩი ეჭირა.

შიშველი და უჩინარი მარგარიტა ძლივს იკავებდა თავს, ხელები მოუთმენლად უცანცაზებდა. მერე გულმოდგინედ დაუმიზნა, ჩაქუჩი როიალის კლავიშებს დასცხო და მთელი ბინა პირველმა მკვნესავმა ჟღერიალმა აავსო. გამწარებული ყოიდა „ბეკერის“ ყოვლად უდანაშაულო ინსტრუმენტი. კლავიშები ბუდეებში იჭედებოდა, იატაკზე ძვლის ფირფიტები ცვიოდა. ინსტრუმენტი ბუბუნებდა, ყმუოდა, ხროტინებდა, ჟღერიალებდა. შემდეგ რევოლვერის გასროლასავით განმიანდა ჩაქუჩის დარტყმით გამსკდარი ზედა, გაპრიალებული სახურავის ჭახანი. აქლოშინებული მარგარიტა ჩაქუჩით წყვეტდა და სრესდა სიმებს. ბოლოს ქანცგამოლეული, სავარძელში ჩაეშვა სულის მოსათქმელად.

სააბაზანოში საშინლად ჩხრიალებდა წყალი, არც სამზარეულოს ადგა კარგი დღე. „ალბათ უკვე იატაკზე იღვრება“, – გაიფიქრა მარგარიტამ და ხმამაღლა დასძინა: – თუმცა ჯერ ადრეა დასვენება!

სამზარეულოდან შემოსასვლელისკენ უკვე წყალი მოთქრიალებდა. მარგარიტა შიშველ ფეხებს ატყაპუნებდა იატაკზე, სამზარეულოდან ვედროთი გამოჰქონდა წყალი, კრიტიკოსის კაბინეტისაკენ მიათრევდა და საწერი მაგიდის უჯრებში ასხამდა. შემდეგ იმავე კაბინეტის კარადის კარი შეღეწა ჩაქუჩით და საძინებელში გადაინაცვლა. იქაც ჩამტვრია სარკიანი კარადა, კრიტიკოსის კოსტიუმი გამოიღო და აბაზანაში ჩაახრჩო. კაბინეტიდან წამოღებული სამელნე ჩაცალა აფუებულ, ორსაწოლიან ლოგინში. ეს მსხვრევა-ნგრევა მტანჯველ ტკობას ანიჭებდა, თუმცა ერთთავად ეჩვენებოდა, რომ სულ უმნიშვნელო შედეგს აღწევდა. ამიტომ დაუფიქრებლად მიდგა ყველაფერს. როიალიან ოთახში ფიკუსის ქოთნებს ამტვრევდა, ქოთნები ჯერ ბოლომდე არ ჰქონდა დამსხვრეული, რომ ისევ საძინებელში მიბრუნდა, სამზარეულოს დანით დაკუწა ზეწრები, შემინული ფოტოსურათები ჩამოლეწა. დაღლილობას მაინც არ გრძნობდა, მხოლოდ ღვარად სდიოდა ოფლი.

ამ დროს № 82 ბინაში, ლატუნსკების ქვედა სართულზე, დრამატურგ კვანტის შინამოსამსახურე სამზარეულოში ჩაის მიირთმევდა და გაოცებული აყურადებდა ზედა სართულზე ატეხილ რახარუნს, ბაგაბუგსა და ჟღერიალს. მან ზევით აღაპყრო მზერა და უეცრად დაინახა, რომ მის თვალწინ თეთრ ჭერს რატომღაც მკვდრისფერი სილურჯე მოედო. ლაქა თვალდათვალ იზრდებოდა, შემდეგ წვეთებად დაიბუტკა. შინამოსამსახურე ორიოდ წუთს გაოგნებული იჯდა, ვიდრე ბოლოს და ბოლოს, ჭერიდან წვიმა არ ჩამოიღვარა და იატაკზე არ ატკაპუნდა. მაშინ კი იკადრა წამოხტომა, თავს დატეხილ დინებას თასი შეუდგა, მაგრამ ამანაც არ უშველა, წვიმა იმატებდა და უკვე გაზის ქურასა და თეფშებანოხოლავებულ მაგიდას ეღვრებოდა. კვანტის შინამოსამსახურემ ერთი კი შეჰყვირა, გარეთ გაიჭრა, კიბე აირბინა და იმავ წამს ლატუნსკების ბინაში ზარი აჟღერიალდა.

– რეკავენ, წასვლის დროა, – თქვა მარგარიტამ, ცოცხზე ამხედრდა და კარის ღრიჭოდან მონადენ კივილს მიუგდო ყური:

– გააღეთ, გააღეთ, ლუსია, გააღეთ! თქვენგან წყალი ჩამოდის! საცაა ჭერი ჩამოინგრევა!

მარგარიტა ოდნავ ასცდა იატაკს და ჩაქუჩი ჭაღს მოუქნია. ორი ნათურა მაშინვე გასკდა და ბროლის მძივები აქეთ-იქით მიმოფანტა. ღრიჭოდან კვილი შეწყდა, ახლა კიბიდან გაისმა ბაგაბუგი. მარგარიტა ფანჯრიდან გარეთ გასრიალდა, ჩაქუჩი დაუდევრად მოიქნია და მინას შემოჰკრა. ფანჯარამ თითქოს ერთი ამოიგმინა და მარმარილოთი მოპირკეთებულ კედელზე ზრიალით ჩაშვავდა ნამსხვრევები. შემდეგ მომდევნო ფანჯრისკენ გაფრინდა, შორს, ქვემოთ, ტროტუარზე ხალხი აწრიალდა, სადარბაზოსთან მდგარი ორი მანქანიდან ერთ-ერთი ათუხთუხდა და ადგილს მოსწყდა. ლატუნსკის ფანჯრები რომ მოილია, მარგარიტამ მეზობელი ფანჯრებისაკენ გადაინაცვლა. სულ უფრო გახშირდა დარტყმის ხმა, ჩიხი ზრიალითა და რაჩხარუჩხით აივსო. პირველი სადარბაზოდან შვეიცარი გამოიჭრა, ზევით აიხედა, ერთხანს ყოყმანობდა, ალბათ ვერ გადაეწყვიტა, რა ელონა, მერე სასტვენის პირში ჩაიდო და შეშლილივით ჩასტვინა. ამ სტვენის თანხლებით მარგარიტამ განსაკუთრებული ნეტარებით ჩაღეწა მერვე სართულის ჯერ ისევ მთელი მინები. შემდეგ კი მეშვიდეზე ჩაინაცვლა და ახლა იქ დაიწყო მსხვრევა.

სადარბაზოს მოსარკულ კართან დიდი ხნის უმოქმედობით გაბეზრებული შვეიცარი მთელი სულითა და გულით უსტვენდა. თან თითქოს აკომპანემენტს აყოლებსო, ზუსტად იმეორებდა ზრიალის რიტმს. ვიდრე მარგარიტა ფანჯრიდან ფანჯარასთან მიფრინავდა, შვეიცარი სულს ითქვამდა, ახალი დარტყმის დროს კი ლოყებს ბერავდა და წამოჭარხლებული, ცამდე ბურღავდა ჰაერს.

გავეშებული მარგარიტას მსხვრევა-მტვრევისა და შვეიცარის სასტვენის შერწყმამ გასაოცარი ნაყოფი გამოიღო. დაფეთებული სახლი აწრიალდა – ჯერ ისევ მთელ ფანჯრებს აღებდნენ, იქიდან ადამიანთა თავები ჩნდებოდა და მაშინვე ქრებოდა, ღია ფანჯრებიც იკეტებოდა. მოპირდაპირე სახლის განათებულ ფანჯრებს მობინადრეთა შავი სილუეტები აწყდებოდა, რომლებიც ამაოდ ცდილობდნენ მიმხვდარიყვნენ, ყოვლად უმიზეზოდ რატომ იმსხვრეოდა „დრამლიტის“ ახალი შენობის მინები.

ჩიხში მოსეირნენი „დრამლიტის“ შენობისკენ მორბოდნენ, შენობაში კი, კიბეზე, ყოვლად უმიზნოდ და უაზროდ არბოდ-ჩარბოდა ხალხი. კვანტის მოსამსახურე კიბეზე მორბენალთ კვილით აუწყებდა, რომ ჭერიდან წყალი თქრიალით ჩამოდიოდა. მალე მას კვანტის ქვემოთ, № 80 ბინაში მცხოვრები ხუსტოვის შინამოსამსახურეც შეუერთდა. ხუსტოვთან არა მარტო სამზარეულოდან, საპირფარეშოდანაც ჩადიოდა წყალი. ბოლოს, კვანტის სამზარეულოში ჭერიდან ბათქაშის უზარმაზარი ნაწილი ჩამოიქცა, ჭუჭყიანი ჭურჭელი ლაწანით თან ჩაიტანა და ნიაღვარი წამოვიდა. ჩამოკონწიალებული, სველი ყავრის უჯრედებიდან თხლიშინით მოდიოდა წყალი. პირველი სადარბაზოს კიბეზე ვიღაც კიოდა შეუჩერებლად. მარგარიტამ კი მეოთხე სართულის უკანასკნელ ფანჯარას რომ ჩაუფრინა, ვიღაც კაცს მოჰკრა თვალი, გაფითრებული რომ ირგებდა გაზსაწინააღმდეგო ნიღაბს, მისი ფანჯრებიც ჩაღეწა და კაციც თვალის დახამხამებაში გაქრა ოთახიდან.

ანაზღად ველური მსხვრევა დასრულდა. მარგარიტამ მესამე სართულზე, თხელი ფარდით დაფარულ ფანჯარაში შეიხედა. ოთახში ღამის ნათურა ენთო. ბადურიან, პატარა საწოლში ოთხიოდე წლის პატარა ბიჭუნა იჯდა და დამფრთხალი აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს. ოთახში მის გარდა არავინ იყო. უფროსები ალბათ გარეთ იყვნენ გასულელები.

– ფანჯრები ტყდება! – ჩაილაპარაკა ბიჭმა და დაიძახა, – დედა!

არავინ გამოჰასუხებია, მაშინ ბიჭმა თქვა:

– დედა, მეშინია!

მარგარიტამ ფარდა გადასწია და ოთახში შეიხედა.

– მეშინია, – გაიმეორა ბიჭმა და აცანცანდა.

– ნუ გეშინია, ნუ გეშინია, პატარავ, – დაუყვავა მარგარიტამ და ქარში ჩახლეჩილი, გაველურებული ხმის დაოკება სცადა, – ფანჯრები ბიჭებმა ჩაამსხვრიეს.

– შურდულით? – იკითხა ბიჭმა, უკვე ისე აღარ კანკალებდა.

– ჰო, შურდულით! – დაუმოწმა მარგარიტამ, – დაიძინე.

– ეგ სიტნიკი იქნებოდა, – უთხრა ბიჭმა, – შურდული იმას აქვს.

– ჰო, ის იქნებოდა!

ბიჭმა სადღაც გვერდით, ეშმაკურად გააპარა თვალი და იკითხა:

– შენ სადა ხარ, დეიდა?

– მე არა ვარ, – უთხრა მარგარიტამ, – უბრალოდ, გესიზმრები.

– ასეც ვიცოდი, – უთხრა ბიჭმა.

– დაწევი, – უბრძანა მარგარიტამ, – ლოყის ქვეშ ხელი ამოიდე და დაგესიზმრები.

– კარგი, დამესიზმრე, – დაეთანხმა ბიჭი, მაშინვე დაწვა და ლოყის ქვეშ ამოიღო ხელი.

– თუ გინდა ზღაპარს მოგიყვები, – უთხრა მარგარიტამ და გახურებული ხელისგული დაადო გაკრეჭილ თავზე, – ამქვეყნად ერთი დეიდა ცხოვრობდა, შვილები არ ჰყავდა და, ცხადია, არც ბედნიერი იყო. ის დეიდა ჯერ დიდხანს ტიროდა, მერე კი გაბოროტდა... – მარგარიტა დადუმდა, შუბლიდან ხელი ააცალა – ბიჭს ეძინა. დამსხვრეული მინით მოფენილ ასფალტიან ტროტუარზე ხალხი დარბოდა და რაღაცას გაჰყვიროდა. უკვე მილიციელებიც გამოჩნდნენ. ანაზღად ზარის ხმა გაისმა და არბატიდან ჩიხში წითელმა, კიბიანმა სახანძრო მანქანამ შემოუხვია.

მარგარიტას სხვა არაფერი აინტერესებდა. შემთხვევით რამეს რომ არ გამოსდებოდა, კარგად მოათვალიერა იქაურობა, ცოცხს მაგრად შემოაჭდო ფეხები და თვალის დახამხამებაში თავქვე ჩაუყვა ამ დაწყევლილ სახლს. ქვევით ჩიხი გვერდზე გადაფერდდა და სადღაც ღრმად ჩაინაცვლა. ამ ჩიხის ნაცვლად ახლა მარგარიტას ფერხთით სახურავების წყება მიქროდა, კუთხეებში მანათობელი ბილიკებით გადაკვეთილი. ესეც სრულიად მოულოდნელად, ძალიან სწრაფად მოიტოვა უკან, მანათობელი ბილიკები გაიცრიცა და ერთმანეთს შეერწყა.

მარგარიტამ კიდევ ერთხელ გაიწია, სახურავები ერთიანად შთანთქა მიწამ და მათ ნაცვლად, ქვევით მოცანცანხე ელექტრონათურების ტბა გამოჩნდა. ეს ტბა მოულოდნელად ვერტიკალურად წამოიმართა, თავზე მოექცა და ფერხთითაც მთვარე გაუკრთა. მარგარიტა მიხვდა, რომ ამოტრიალებულიყო. ხელახლა გასწორდა, უკან მიიხედა და დაინახა – გზაც გამქრალიყო უკვე და იქ, მის უკან, მხოლოდ ჰორიზონტზე აკიაფებული დაისიდა მოჩანდა. წამის შემდეგ ისიც გაიქნა და მარგარიტა სულ მარტო დარჩა მის ზემოთ, მარცხნივ

მიმქროლავ მთვარესთან. ქარი თმას უწეწავდა, მთვარის სხივები შხუილით ბანდნენ ტანს. ქვევით, ორ მწკრივად გაწოლილი იშვიათი ნათურების ზოლი წამის უსწრაფესად, ცეცხლის ნაწყვეტ ნაკადებად იქცა და იმის მიხედვით, რა სწრაფად გაილია ის ნაკადიც, მარგარიტა მიხვდა, რაოდენ გასაოცარი სისწრაფით მიფრინავდა, თუმცა იმანაც გააოცა, სუნთქვა რომ არ ეკვროდა.

რამდენიმე წამის შემდეგ შორს, ქვევით, მიწის სიშავეში, შუქის ახალი ტბა გამოჩნდა, ფეხებქვეშ გაუგორდა, მაგრამ მალევე დატრიალდა მორევივით და მიწაში შთაინთქა. მომდევნო წამსაც იგივე განმეორდა.

– ქალაქები! ქალაქები! – ყვიროდა მარგარიტა.

შემდეგ გადახსნილ, შავ ბექთარებში ჩაწყობილი მქრქალად განათებული ხმლები დაინახა და მიხვდა – მდინარეები იყო.

მარგარიტა ხან ზევით, ხან მარჯვნივ აბრუნებდა თავს, ხედავდა, მთვარე შეშლილივით გვერდიდან რომ არ სცილდებოდა და უკან, მოსკოვისკენ მიაცილებდა, თან გასაოცრად უძრავიც იყო. ზედაპირზე გარკვევით მოჩანდა რაღაც იდუმალი, ჩამუქებული გველეშაპი თუ კუზიანი კვიცი, წაწვეტილებული ღრუნჩი მიტოვებული ქალაქისაკენ რომ მიეშვირა.

მარგარიტა ანაზღად მიხვდა, რომ არსებითად სრულიად არ სჭირდებოდა ასე თავდავიწყებით ეჭენებინა ცოცხი. ამ სიჩქარის გამო ვერც ვერაფერს ხედავდა და ვერც ფრენის ნეტარებით ტკბებოდა. თითქოს რაღაცამ უკარნახა, რომ იქ, სადაც მიფრინავდა, აუცილებლად დაელოდებოდნენ და შეეძლო ესოდენ შეშლილი სიმაღლითა და სისწრაფით არ მოეწყინა.

მარგარიტამ ცოცხს თავი დააქინდვრინა, იმდენად, რომ ცოცხის ტარის ბოლო მალლა აიპრინა, ძალზე შეანელა სვლა და მიწისკენ დაიწყო დაშვება. თითქოს საჭაერო ციგით მისრიალებდა და ამ სრიალმა გასაოცარი ნეტარება მოჰგვარა. მიწა ისწრაფოდა მისკენ და აქამდე უფორმო, შავ სიბლანტეში უკვე იკვეთებოდა მთვარიანი ღამის იდუმალი მშვენიერება. მიწა უახლოვდებოდა და მარგარიტა უკვე შეიგრძნობდა მწვანე ტოტების სურნელს. მიახლოებულმა, დაცვარული ველის ოხშივარი გაკვეთა და ტბორს თავზე გადაეველო. მის ფერხთით ხმაშეწყობილად ყიყინებდნენ ბაყაყები, სადღაც შორს კი რატომღაც ძალზე გულის ამაჩუყებლად დუგდუგებდა მატარებელი. მალე დაინახა კიდეც. ჭიაყელასავით ნელა მილოღავდა და ნაპერწკლებს აფრქვევდა. მან მატარებელს გაუსწრო და კიდეც ერთ გადასარკულ ზედაპირს მოექცა თავზე, ფეხქვეშ გაუკრთა წყალში არეკლილი მთვარე, მერე კვლავ ქვევით დაეშვა და ტყეს გადაუფრინა, ლამის ტერფებით სწვდებოდა გიგანტური ნაძვების კენწეროებს.

ჰაერის გამკვეთი მძიმე ხმაური მისწვდა მარგარიტას სმენას და ის ხმაური თანდათან წამოეწია. მალე ხმაურს, მრავალი ვერსის სიშორიდან უკუნს რომ ჭურვივით მოაპობდა, ქალის ხარხარიც შეერწყა. მარგარიტამ უკან გაიხედა და დაინახა, რომ რაღაც გაურკვეველი, მუქი საგანი მოსდევდა. მოახლოებული საგანი თანდათან გამკვეთრდა და ნათელი გახდა, რომ ვიღაც მოფრინავდა ამხედრებული. ბოლოს თვალნათლივ გამოჩნდა კიდეც – ნატაშა იყო.

ერთიანად გამიშვლებულ ნატაშას ქარი გაწეწილ თმას უფრიალებდა და სქელ, კარგა გვარიანად ჩასუქებულ კურატს გადასჯდომოდა ზურგზე, რომელსაც წინა ჩლიქებით პორტფელი ჩაებლუჯა, უკანა ჩლიქებს კი ტლინკებივით იქნევდა. იქვე, მის გვერდით,

მთვარის შუქზე ხანდახან აბღღვრიალებული და მერე ისევ ჩაღველფილი, ძაფზე ჩამოკონწიალებული პენსნე მოფრინავდა, შლაპა კი წამდაუწუმ თვალეზე ეფხატებოდა. მარგარიტა გულდაგულ დააკვირდა, ამ კურატში ნიკოლაი ივანოვიჩი ამოიციწო და ნატაშას ხარხარს შეერწყა ტყის თავზე გახმინებული მისი კისკისი.

– ნატაშკა! – გამყინავი ხმით იკივლა მარგარიტამ, – შენც წაისვი საცხი?

– ძვირფასო! – ჩაძინებული ნაპირები კივილით გააღვიდა ნატაშამ, – საფრანგეთის დედოფალო, ამასაც წავცხე მელოტ თავზე, ამასაც!

– ხელმწიფის ასულო! – სლუკუნ-სლუკუნით ამოიღნავლა კურატმა, ჩორთით რომ მოაქანებდა მხედარს.

– ძვირფასო! ძვირფასო მარგარიტა ნიკოლაევნა! – ყვიროდა ნატაშა და მარგარიტას გვერდით მიაჭენებდა კურატს, – ვაღიარებ, თქვენი საცხი ავიღე. ჩვენც ხომ გვინდა ცხოვრება და ფრენა! მომიტევეთ, მბრძანებელო, მაგრამ უკან აღარ დავბრუნდები, არასგზით არ დავბრუნდები. ო, რა კარგია, მარგარიტა ნიკოლაევნა! იცით, ხელი შემომთავაზა, – თითი კისერზე დააჭირა დარცხვენილ, აქლოშინებულ კურატს, – ხელი შემომთავაზა! აბა, ერთი გაიმეორე, რას მეძახდი! – კურატისაკენ გადაიხარა და ყურში ჩასძახა ნატაშამ.

– ჩემო ქალღმერთო! – აყმუვლდა კაცი, – ასე სწრაფად ფრენა აღარ შემიძლია, საჭირო ქალღმერთები გამეფანტა. ნატალია პროკოფიევნა, პროტესტს ვაცხადებ!

– ეშმაკსაც წაუღიხარ შენი ქალღმერთიანად! – თავხედური ხარხარით უპასუხა ნატაშამ.

– რას ბრძანებთ, ნატალია პროკოფიევნა! ვინმემ არ გაიგოს, – ბლავილით ევედრებოდა კურატი.

ნატაშა მარგარიტას გვერდით მიფრინავდა და ხარხარით უყვებოდა, მისი წამოსვლის შემდეგ რა მოხდა ბინაში.

გამოუტყდა, რომ ნაჩუქარი ტანსაცმლისთვის ზედაც არ შეუხედავს, მაშინვე ტანთ გაიხადა, საცხი აიღო და წაისვა. და მასაც იგივე დაემართა, რაც მის დიასახლისს. ამასობაში კი, ვიდრე ახარხარებული ნატაშა სარკის წინ ბზრიალებდა და საკუთარი სილამაზით ტკბებოდა, კარი გაიღო და ნიკოლაი ივანოვიჩი გამოეცხადა. ძალზე აღელვებული ჩანდა. ხელთ მარგარიტა ნიკოლაევნას პერანგი ეპყრა, თავისი პორტფელი და შლაპა. ნატაშა რომ დაინახა, ნიკოლაი ივანოვიჩი ადგილზე გახევდა, მერე, ოდნავ გონს მოსულმა და ერთიანად აღაჟღაჟებულმა, აუხსნა, რომ თავს ვალდებულად თვლიდა, პერანგი ამოეტანა, თვითონ, საკუთარი ხელით მიერთმია.

– რას არ ამბობდა ეს არამზადა! – ჭყიოდა და ხარხარებდა ნატაშა, – რას არ მპირდებოდა, რითი არ მხიბლავდა! რა ფულს მთავაზობდა! მეუბნებოდა, კლავდია პეტროვნა ვერაფერს გაიგებსო. რაო, ხომ არ ვტყუი? – კურატს უყვიროდა ნატაშა, ის კი დინგს არიდებდა დარცხვენილი.

აცუნდრუკებულ ნატაშას ნიკოლაი ივანოვიჩისთვისაც წაეცხო საცხი და გაცეებული, იქვე გახევებულიყო. ქვედა სართულზე მცხოვრები პატივცემული მეზობლის სახე დრუნჩად იქცა და ხელ-ფეხის ნაცვლად ჩლიქები ამოეზარდა. როცა ნიკოლაი ივანოვიჩმა სარკეში ჩაიხედა

და თავი დაინახა, აღრუტუნდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. რამდენიმე წუთის შემდეგ მოსკოვიდან სადღაც ეშმაკებში მიქროდა ლაგამამოდებული და სიმწრით ქვითინებდა.

– მოვითხოვ, ჩემი გარეგნობა დამიბრუნოთ! – უეცრად განწირული ხმით თუ ვედრებით აღრუტუნდა კურატი, – იმ უკანონო წვეულებაზე გაფრენა არ მინდა! მარგარიტა ნიკოლაევნა, თქვენი შინამოსამსახურე დააოკეთ!

– აა, ახლა შინამოსამსახურეც გავხდი, არა? შინამოსამსახურე? – დაიკვივლა ნატაშამ და კურატს ყურზე უბწკინა, – აკი აქამდე ქალღმერთი ვიყავი? ასე არ მეძახდი?

– ვენერა! – ისევ შესლოკუნა კურატმა, როცა ქვებზე მოჩხრიალე ნაკადულს გადაუფრინეს და ჩლიქებით თხილის ბუჩქები ააშრიალა.

– ვენერა ვარ, ვენერა! – გამარჯვებული ყვირილი აღმოხდა ნატაშას. ცალი ხელით დოინჯი შემოიყარა, მეორე კი მთვარისკენ გაიშვირა, – მარგარიტა! დედოფალო! სთხოვეთ, აღქაჯად დამტოვონ. თქვენ ყველაფერს შეგისრულებენ, თქვენ უფლებამოსილი ხართ.

– კარგი, გპირდები!

– გმადლობთ! – უთხრა ნატაშამ და უცებ როგორღაც ნაღვლიანად, მჭახედ იკვივლა, – აჩუ! აჩუ! ჩქარა! ჩქარა! წინ გასწიე! – ამდენი ჭენებით ჩაცვენილ ფერდებზე შემოჰკრა ქუსლი და კურატს ისე გაიჭრა წინ, რომ შხუილით გააპო ჰაერი და წუთის შემდეგ ნატაშა უკვე შავი წერტილივით მოჩანდა შორეთში, მერე ის წერტილიც გაქრა და ხმაურიც მიიღია.

მარგარიტა ისევ ნელა მიფრინავდა რომელიღაც უდაბურ, სრულიად უცხო შემოგარენში, სადაც ბორცვებზე კანტიკუნტად ამოჩრილ უზარმაზარ ნაძვებს შორის დარჩენილი სივრცე კაჭარით იყო მოფენილი. მიფრინავდა და ფიქრობდა, რომ ალბათ უკვე ძალიან გაშორდა მოსკოვს, ცოცხი უკვე ნაძვის კენწეროებზე კი არ მისრიალებდა, არამედ ნაძვთა ზროებს შორის მიიკვლევდა გზას, ცერად რომ იყო განათებული მთვარის ვერცხლისფერი შუქით. წინ, მიწაზე, მარგარიტას ეული ჩრდილი მიღოღავდა – მთვარე ახლა ზურგს უკან დარჩა.

უფრო და უფრო ცხადად შეიგრძნობდა წყლის სიახლოვეს და ხვდებოდა, რომ მიზანს მიაღწია. მალე ნაძვებიც უკან მოიტოვა და ნელა მიფრინდა ცარცის ფლატესთან. ამ ფლატეს იქით, ქვევით, სიბნელეში მდინარე იწვა. ბურუსი ჰაერში ეკიდა და ვერტიკალური ფლატეს ქვევით ამოჩრილ ბუჩქებს ეპოტინებოდა. მოპირდაპირე ნაპირი კი სწორი იყო, დავარდნილი. რომელიღაც ტოტებგაბარჯლული ხეების ეულ ჯგუფთან კოცონის შუქი ლიცლიცებდა და მოძრავი ფიგურებიც მოჩანდა. მარგარიტას მოეჩვენა, რომ იქიდან მოისმოდა რაღაც ზუილა, მზიარული მუსიკა. უფრო შორს, მოვერცხლილ ველზე კი ადამიანისა და საცხოვრებლის ნიშანიც არ ჩანდა.

მარგარიტა ფლატედან ქვევით ჩახტა და სწრაფად გასწია წყლისკენ. ჰაერში ჭენებამ წყალი მოანატრა. ცოცხი გვერდზე მოისროლა, გაიქცა და თავით გადაეშვა მდინარეში. მისი მსუბუქი სხეული ისარივით ჩაესო წყალს და შხეფები ლამის მთვარეს ასწვდა. წყალი თბილი იყო, როგორც აბანოში და სიღრმიდან ამოყვინთულმა მარგარიტამ, სრულიად მარტომ, ცურვით იჯერა გული.

მის სიახლოვეს არავინ ჩანდა, მაგრამ ოდნავ მოშორებით ბუჩქებში ვილაცის ფრუტუნი და წყლის ტყლაშუნი ისმოდა. იქაც ბანაობდა ვილაც.

მარგარიტამ ნაპირზე ამოირბინა. ნაბანავებს ტანი უხურდა. დაღლილობას ვერ გრძნობდა და ნაპირზე ამოსული, მხიარულად ცეკვავდა ნამიან ბალახზე. უცებ ცეკვა შეწყვიტა და დაიძაბა. ფრუტუნე მოახლოვდა, ტირიფის ბუჩქნარიდან ვიღაც შიშველი, მსუქანი კაცი გამოძვრა, რომელსაც კინკრიხოზე შავი აბრეშუმის ცილინდრი ჰქონდა მოგდებული. კაცს ტერფებზე შლამი მოსდებოდა და გეგონებოდა, შავი ფეხსაცმელი აცვიაო. ისე ფრუტუნებდა და სლოკინებდა, კარგა გვარიანად ნასვამი უნდა ყოფილიყო, რაც, სხვათა შორის, იმითაც მტკიცდებოდა, რომ მდინარის წყალს უცებ კონიაკის სუნი დაეცა.

მარგარიტა რომ დაინახა, ერთხანს გაოგნებული მისჩერებოდა, შემდეგ კი გახარებულმა იყვირა:

– ნუთუ ეს თქვენ ხართ? თვალი ხომ არ მატყუებს? კლოტილდა, შენ ხარ, დაუოკებელი ქვრივი! აქ რამ მოგიყვანა? – იღრიალა მსუქანმა კაცმა და მისასალმებლად მიეჭრა.

მარგარიტამ უკან დაიხია და ღირსეულად უთხრა:

– ეშმაკსაც წაუღიხარ! სადაური კლოტილდა მე მნახე. ერთი კარგად გაახილე თვალი და მიხვდები, ვისაც ელაპარაკები! – მერე კარგად დაფიქრდა და მთელ ამ ნათქვამს გრძელი, კალმით დაუწერელი გინება მიაყოლა. ამან ერთბაშად გამოაფხიზლა ეს ცუნდრუკა სქელუა.

– ვაიმე! – ჩუმად წამოიყვირა შემკრთალმა, – მოწყალედ მომიტევეთ, ნათელხსენებულო დედოფალო მარგო! თვალმა მიმტყუნა. სულ იმ კონიაკის ბრალია, წყეულიმც იყოს! – სქელუამ მუხლი მოიდრიკა, ცილინდრი გვერდზე გაიქნია, თავი დახარა და რუსულ-ფრანგულად რაღაც სისულელეს მოჰყვა, თავისი მეგობარი გესარის სისხლიან ქორწილზე ჰარიზში, კონიაკსა და იმაზე, რაოდენ თავზარდაცემული იყო, ასეთი საშინელი შეცდომა რომ დაუშვა.

– შარვალი მაინც ჩაგეცვა, ძაღლისშვილო! – გული მოუღბა მარგარიტას.

სქელუამ მხიარულად დაკრიჭა კბილები, მიხვდა, რომ მარგარიტა აღარ უჯავრდებოდა და აღფრთოვანებულმა აუწყა, შარვალი, დაბნეულობით, ენისეიზე დამრჩაო, სადაც აქ მოსვლამდე ებანავა – მაგრამ ახლავე უკან გავბრუნდები, ბედად, აქვეა, ყურისძირშიო. შემდეგ მოწყალეობა და მფარველობა შესთხოვა, უკან დაიხია და მანამ იარა ასე, ვიდრე ფეხი არ დაუცდა და გულადმა არ მოადინა წყალში ზღართანი. მაგრამ დაცემულსაც არ მოშორებია ბაკენბარდებიან სახეზე აღფრთოვანებისა და ერთგულების ღიმილი.

მარგარიტამ კი ერთი ხმამაღლა დაუსტვინა, მოფრენილ ცოცხს გადააჯდა და მდინარის მეორე ნაპირისაკენ გაფრინდა. ცარცის ბორცვის ჩრდილი აქ უკვე ვეღარ აღწევდა და ნაპირს მთვარის შუქი ანათებდა.

ის იყო, ნამიან ბალახს შეეხო ფეხით, ტირიფების ქვეშ უფრო ხმამაღლა აჟღერიალდა მუსიკა და კოცონიდანაც მხიარულად აგიზგიზდა ცეცხლი. მთვარის შუქზე აცრიატებული ნაზი, ღუნღულა საყურეებით მოფენილ ტოტებზე ორ რიგად ისხდნენ მსუქანდრუნჩიანი ბაყაყები, რეზინის სათამაშოებივით იბერებოდნენ და ხის სტვირებზე მხიარულ მარშს უკრავდნენ. მუსიკოსების წინ, ძეწნის რტოებზე მანათობელი ფუტუროები ეკიდა, ნოტებს ანათებდა და ბაყაყთა ღრუნჩებსაც კოცონიდან არეკლილი შუქი დასთამაშებდა.

მარში მარგარიტას პატივსაცემად ჟღერდა. საერთოდ, ძალზე საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს. გამჭვირვალე ალებმა მდინარეზე ცეკვა შეწყვიტეს, წყალმცენარეები დაუქნიეს მარგარიტას

და გადამწვანებულ, უდაბურ ნაპირს მათი შორს გამჭოლი მისალმება დაეფრქვა. შიშველი ალქაჯები ტირიფის ტოტებს გამოსცდნენ, ჩამწკრივდნენ და ისე სცეს თაყვანი, როგორც სასახლის კარზე ესალმებიან ხოლმე ქალბატონს. ვიღაც თხისჩლიქოსანმაც მოირბინა, ხელები დაუკოცნა, მერე აბრეშუმი გაუფინა ბალახზე, ჰკითხა, ეამა თუ არა ბანაობა და დასვენება შესთავაზა.

მარგარიტა ჩამოჯდა, თხისჩლიქოსანმა აზარფეშით მიართვა შამპანური, მანაც დალია და იმავ წამს გაუთბა გული. ნატაშა მოიკითხა, უპასუხეს, რომ ნატაშა უკვე განბანილიყო და კურატზე ამხედრებული მოსკოვისაკენ მიიჩქაროდა, რათა მარგარიტას სწრაფი მიბრძანება ეუწყებინა და მისთვის ტანსაცმელი მოემზადებინა.

ტირიფების ქვეშ მარგარიტას ხანმოკლე ყოფნა ერთი ამბითაც აღინიშნა. ანაზდად ჰაერში სტვენა გაისმა და ნაპირს აცდენილი შავი სხეული ზღართანით ჩაებერტყა წყალში. რამდენიმე წამის შემდეგ მარგარიტას წინ ის ბაკენბარდებიანი სქელუა წარდგა, ასე უგერგილოდ რომ გაეცნო მეორე ნაპირზე. ალბათ მოესწრო ენისეიზე გაჭრა, რადგან უკვე ფრაკი ეცვა, თუმცა კი ერთიანად ამოლუმპულიყო. კონიაკმა მეორედ მოუცარა ხელი: დაშვებისას მაინც წყალში მოადინა ზღართანი. მაგრამ სახეზე მაინც ღიმილი ეფინა და ახარხარებულმა მარგარიტამაც ხელზე კოცნის ნება დართო.

შემდეგ ყველამ თავი მოიყარა. ალებმა მთვარის შუქზე ცეკვა დაასრულეს და მაშინვე გალღვნენ. თხისჩლიქოსანი მოწიწებით დაეკითხა მარგარიტას, ნაპირთან რითი მობრძანდითო და როცა შეიტყო, რომ ცოცხით მოსულიყო, უთხრა:

– რას ბრძანებთ, დედოფალო, ცოცხზე ჯდომა ძალიან მოუხერხებელია, – თვალის დახამხამებაში ორი რტოდან რაღაც საეჭვო ტელეფონი შეაკოწიწა, ვიღაცას უბრძანა, წამის უსწრაფესად გამოეგზავნათ მანქანა, რაც მართლაც იმავ წამს აღსრულდა. კუნძულს ზერდაგი, თავღია მანქანა დაასკდა, ოღონდ მძღოლის ადგილას ჩვეულებრივი შოფერი კი არ იჯდა, არამედ შავი, ცხვირწაგრძელებული ჭილყვაკი, მუშამბის ქუდითა და საცვეთურებიანი ხელთათმანებით. კუნძული თანდათან დაცარიელდა. მთვარის არილში განიბნენ გაფრენილი ალქაჯები. კოცონი ჩაიღველფა და ნაკვერჩხალი ნაცრის მხცით დაიფარა.

ბაკენბარდებიანმა და თხისჩლიქოსანმა მარგარიტა მანქანაში ჩასვეს და თავადაც მანქანის უკანა, ფართო სავარძელზე მოკალათდნენ. მანქანამ დაიჭიხვინა, შეხტა და ლამის ზედ მთვარესთან აფრინდა, გაქრა კუნძული, მდინარეც და მანქანამ მოსკოვისაკენ აიღო გეზი.

თავი ოცდამეორე

სანთლების შუქზე

დედამიწიდან მაღლა მიმქროლავი მანქანის ზომიერი თუხთუხი თვლემას ჰგვრიდა მარგარიტას, მთვარის შუქი კი სასიამოვნოდ უთბობდა ძვალ-რბილს. თვალმილოულულს მთვარისთვის მიეშვირა სახე და გასაოცარი ნაღველით ფიქრობდა ახლახან მიტოვებულ, მისთვის სრულიად უცხო ნაპირზე, რომელსაც, ამას უკვე გრძნობდა, მეტად ველარასოდეს იხილავდა. ამ საღამოსეული ყველა საოცრებისა და სასწაულების შემდეგ უკვე ხვდებოდა, ვისთან მოუწევდა სტუმრობა, მაგრამ აღარ ეშინოდა. შიშის გრძნობა იმ იმედმა გაუქრო, რომ იქ შეძლებდა თავისი ბედნიერების დაბრუნებას. თუმცა დიდხანს არ მოუწია მანქანაში ამ ბედნიერებაზე ოცნებამ, ჭილყვავმა იცოდა კარგად თავისი საქმე თუ მანქანა იყო ასეთი სწრაფი, ოღონდ სულ მალე, თვალი რომ გაახილა, ქვევით ტყის სიშავის ნაცვლად, უკვე მოსკოვის ნათურების მთრთოლავი ზღვა დაინახა. შავმა ფრთოსანმა შოფერმა მანქანას შეუჩერებლად მოხსნა მარჯვენა წინა ბორბალი, შემდეგ კი სადღაც, დოროგომილოვოს რაიონში, სრულიად უკაცრიელ სასაფლაოზე დაფრინდა. მარგარიტასთვის არაფერი უკითხავს, ერთ-ერთი საფლავის ქვასთან დატოვა ცოცხით ხელში, მანქანა ისევ აათუხთუხნა, სასაფლაოს უკან ხრამისკენ მიმართა და გრიალ-ზრიალით გადაჩეხა. თვითონ კი მოწიწებით მოინახა ქუდი, ბორბალს გადააჯდა და თვალს მიეფარა.

იმავე წამს ერთ-ერთ ქანდაკებას შავი მოსასხამი გამოეყო, მთვარის შუქზე ღოჯი გაკრთა და მარგარიტამ აზაზელო იცნო. მან ხელით ანიშნა მარგარიტას, ცოცხზე დამჯდარიყო, თვითონ გრძელ დაშნაზე ამხედრდა, ორივე სხვებისაგან შეუმჩნევლად აიჭრნენ ჰაერში და რამდენიმე წამის შემდეგ სადოვაიას ქუჩაზე, № 302-ბის ეზოში ჩაფრინდნენ, როცა ილლიაში ცოცხ და დაშნამოჩრილმა მგზავრებმა ეზო გაიარეს, მარგარიტამ კეპიანი და მაღალჩექმიანი, მოწყენილი კაცი დაინახა, ალბათ ვიღაცას რომ ელოდა. რაოდენ უხმაუროდ მიაბიჯებდნენ მარგარიტა და აზაზელო, იმ მარტომდგარმა კაცმა მაინც მოჰკრა რალაცას ყური და შეშფოთებულმა მიმოიხედა, ვერ მიხვდა, ვინ მოდიოდა.

მეორე კაცი, გასაოცრად რომ ჰგავდა იმ პირველს, უკვე მეექვსე სადარბაზოსთან იდგა. აქაც იგივე ამბავი განმეორდა, ნაბიჯის ხმა... კაცმა მიმოიხედა, შუბლი შეიჭმუხნა, შემდეგ, როცა კარი გაიღო და დაიხურა, წამის უსწრაფესად მოსწყდა ადგილს და უხილავ სტუმრებს დაედევნა, სადარბაზოშიც შეიხედა, მაგრამ, ცხადია, ვერავინ დაინახა.

მესამე, იმ მეორისა და, ცხადია, პირველის ალი-კვალი, უკვე მესამე სართულის ბაქანთან მორიგეობდა, რომელიღაც ძალიან მყრალ ჰაპიროსს ეწეოდა და გვერდით ჩავლისას, მარგარიტას ხველა აუტყდა. მწვევლი, თითქოს უჩხვლიტესო, იმ სკამიდან წამოხტა, რომელზეც იჯდა, იმანაც მიმოიხედა, მერე კიბის სახელურს გადაეყუდა და ქვევით ჩაიხედა. ამასობაში კი მარგარიტა თავის მხლებელთან ერთად უკვე № 50 ბინის კართან იდგა. ზარი არ დაურეკავთ. აზაზელომ თავისი გასაღებით გააღო კარი.

პირველი, რამაც გააოცა მარგარიტა, ის უკუნი იყო, რომელშიც აღმოჩნდნენ. გეგონებოდათ, ქვესკნელში მოხვდაო, ირგვლივ არაფერი ჩანდა და თავისდა უნებურად, აზაზელოს მოსასხამს წაეტანა – შეეშინდა, არ წაქცეულიყო. მაგრამ იმავე წამს, სადღაც შორს, მაღლა ლამპის ალი გაკრთა და თანდათან მოახლოვდა. აზაზელომ ნაბიჯის შეუნელებლად გამოართვა მარგარიტას ილლიაში ამოჩრილი ცოცხი და ისიც უხმაუროდ გაქრა სიბნელეში. ამასობაში უკვე რომელიღაც ფართო კიბეს მიუყვებოდნენ. მარგარიტას მოეჩვენა, თითქოს დასასრული აღარ ექნებოდა საფეხურებს. გაოცებული ფიქრობდა, როგორ თავსდებოდა

მოსკოვის ჩვეულებრივი ბინის წინკარში ეს არაჩვეულებრივი, უხილავი, მაგრამ უსასრულოდ ზეაღმავალი კიბე. ბოლოს ეს აღმასვლა დასრულდა და მარგარიტა მიხვდა, რომ მოედანზე იდგა. ალი მოახლოვდა და მაღალი, შავი კაცის განათებული სახე დაინახა, რომელსაც ლამპარი ეპყრა ხელთ. ისინი, ვისაც წილად ხვდა უბედურება, ამ უკანასკნელ დღეებში გადაჰყროდნენ ამ კაცს, ამ ლამპიონის მქრქალ შუქზეც კი აუცილებლად ამოიცნობდნენ კაროვიევს, იმავე ფაგოტს.

თუმცა კი გარეგნულად ძალიან იყო შეცვლილი. მოციმციმე ალი გაბზარულ პენსნეში კი აღარ ირეკლებოდა, რომელიც რა ხანია სანაგვეში უნდა მოესროლათ, არამედ მონოკლზე, ოღონდ გაბზარულზე. უღვაში დაეხვია და გაეპოხა. კაროვიევის სიშავე კი სულ მარტივად აიხსნებოდა – ფრაკი ეცვა, მხოლოდ მკერდი მოუჩანდა თეთრად.

ამ მოგვმა, რეგენტმა, მისანმა, თარჯიმანმა თუ სინამდვილეში, ეშმაკმა უწყის, ვინ – ერთი სიტყვით, კაროვიევმა – მარგარიტას თავი დაუკრა, ლამპარი თავს ზევით შემოივლო და ამ მოძრაობით ქალი თან გაიყოლა. აზაზელო კი სადღაც გამქრალიყო.

„რა უცნაური და უჩვეულო საღამოა, – ფიქრობდა მარგარიტა, – ყველაფერს ველოდი, მაგრამ ამას აღარ. ნუთუ დენი გამოირთო? თუმცა ყველაზე გასაოცარი მაინც, ამ ბინის ფართობია. ნეტა როგორ ეტევა ეს ყველაფერი მოსკოვურ ბინაში? უბრალოდ, დაუჯერებელია“.

კაროვიევის ლამპარი ოდნავ ბჟუტავდა, მაგრამ მარგარიტა მაინც მიხვდა, რომ რომელიღაც თვალგაუწვდენ, სვეტებიან, ჩალუსკუმებულ და ერთი შეხედვით უსასრულო დარბაზში მოხვდა. კაროვიევი ერთ-ერთ ტახტთან შეჩერდა, ლამპარი იქვე მდგარ კვარცხლბეკზე დადგა, მარგარიტას ხელის მოძრაობით შესთავაზა დაჯდომა და თვითონაც იქვე მოთავსდა – იდაყვით კვარცხლბეკს ჩამოეყრდნო.

– ნება მომეცით, გაგეცნოთ, – აჟღერიალდა კაროვიევი, – კაროვიევი გახლავართ, ალბათ, უშუქობა გაოცებთ, არა? ცხადია, ფიქრობთ, რომ შუქს ვზოგავთ? არა, არა და არა. დე პირველივე გზად შეხვედრილმა ჯალათმა, თუნდაც ერთმა იმათგანმა, ვისაც დღეს, ცოტა მოგვიანებით პატივი ექნება თქვენს მუხლს ეამბოროს, ამავე კვარცხლბეკზე მომკვეთოს თავი, ეს თუ ასეა. უბრალოდ, მესირს ელექტრობა არ უყვარს და ჩვენც უკანასკნელ წუთს ჩავრთავთ. მაშინ კი, დამერწმუნეთ, სულ ვერ იგრძნობთ შუქის ნაკლებობას, პირიქით, ალბათ ისურვებდით კიდევ, ოდნავ ნაკლებად ყოფილიყო აქაურობა განათებული.

მარგარიტას მოეწონა კაროვიევი და მისმა ხმაგაბზარულმა ჟღერიალმაც დამამშვიდებლად იმოქმედა .

– არა, – უპასუხა მარგარიტამ, – უფრო ის მაოცებს, სად თავსდება ეს ყველაფერი, – მან ხელი გაიშვირა და დარბაზის უსასრულობაზე მიუთითა.

კაროვიევმა ტკბილად ჩაიკუჭკუჭა, რის გამოც ჩრდილები შეერხა ცხვირის ნაკეცებში.

– ეს იოლია! – უპასუხა მან, – იმას, ვინც კარგად ერკვევა მეხუთე განზომილებაში, არაფრად უღირს შენობა სასურველ ზომამდე გაზარდოს. უფრო მეტსაც გეტყვით, მოწყალეო ქალბატონო, მხოლოდ ეშმაკმა უწყის, კიდევ რა ზომებამდე შეიძლება გაზრდა! თუმცა კი, – ლაქლაქს განაგრძობდა კაროვიევი, – მე, მაგალითად, ისეთ ხალხსაც ვიცნობდი, ვისაც წარმოდგენაც კი არ ჰქონდა მეხუთე განზომილებაზე, საერთოდ, არც არაფერი იცოდა, უბრალოდ, უვიცი იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ათასგვარ სისულელეს სჩადიოდნენ საკუთარი ფართობის გასაზრდელად. ასე, მაგალითად, როგორც მომიყვნენ, ვიღაც

მოქალაქეს ზემლიანი ვალზე სამოთახიანი ბინა მიუღია. იმ მეხუთე განზომილებისა და ათასი სისულელის გარეშე, რომლითაც ტვინი გებნევა კაცს, ის სამოთახიანი ბინა სწრაფად უქცევია ოთხოთახიანად – ერთი ოთახი შუაზე გატინრა.

შემდეგ ეს ოთხოთახიანი ბინა მოსკოვის ორ სხვადასხვა რაიონში გადაცვალა ერთ ოროთახიან და ერთ სამოთახიან ბინაზე. დამეთანხმებით, რომ უკვე ხუთი ოთახი გაუხდა. ის სამოთახიანიც ორ ოროთახიან ბინაზე გადაცვალა და, როგორც ხვდებით, ექვსი ოთახის მფლობელი გახდა, თუმცა კი მისი ოთახები უწესრიგოდ იყო მიყრილ-მოყრილი მთელ მოსკოვში. და ის იყო, უკვე უკანასკნელი და ყველაზე ბრწყინვალე ფინტის ჩატარებას აპირებდა, გაზეთში განცხადებაც კი გამოაქვეყნა, რომ მოსკოვის სხვადასხვა რაიონში მდებარე ექვს ოთახს ხუთოთახიან ბინაზე ცვლიდა ზემლიანი ვალზე, რომ მისი მოღვაწეობა, მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, მოულოდნელად შეწყდა. ახლა, მგონი, ერთი პატარა ოთახი მისცეს, მაგრამ შემძლია დარწმუნებულმა გითხრათ, რომ ის ოთახიც მოსკოვში არ მდებარეობს. ხომ ხედავთ, რა თვალთმაქცია ხალხი, თქვენ კი რაღაც მეხუთე განზომილებაზე მელაპარაკებით.

მარგარიტამ, თუმცა მეხუთე განზომილებაზე საერთოდ არ დაუძრავს სიტყვა, მაინც მხიარულად გადაიკისკისა, იმ გაიძვერას ამბავი მოეწონა, კაროვიევი კი განაგრძობდა:

– მაგრამ, მოდი, საქმეს მივუბრუნდეთ, მარგარიტა ნიკოლაევნა. ჭკვიანი ქალი ბრძანდებით და ალბათ, მიხვდით, ვინ იქნება თქვენი მასპინძელი.

მარგარიტას გული შეუქანდა და თავი დაუქნია.

– კარგია, – განაგრძო კაროვიევმა, – ძალიან არ გვიყვარს გაურკვევლობა და იღუმალეობა. ყოველწლიურად მესირი ერთ წვეულებას მართავს, რომელსაც ბუნიობის ან ასი ხელმწიფის წვეულება ეწოდება. ხალხი მოდიიის! – თქვა კაროვიევმა და ლოყაზე იტაცა ხელი, თითქოს მოულოდნელად კბილი ასტკივდაო, – თუმცა, იმედი მაქვს, ამაში თვითონვე დარწმუნდებით. ჰოდა... როგორც ხვდებით, მესირი უცოლოა, მაგრამ წვეულებას აუცილებლად სჭირდება დიასახლისი, – კაროვიევმა ხელები გაშალა, – დამეთანხმებით, დიასახლისის გარეშე...

მარგარიტა დაძაბული უსმენდა კაროვიევს, ცდილობდა, სიტყვა არ დასცდენოდა, გულიც ეყინებოდა და თან ბედნიერებაც ახვევდა თავბრუს.

– ტრადიციად დამკვიდრდა, – განაგრძობდა კაროვიევი, – ჯერ ერთი, წვეულების დიასახლისს აუცილებლად მარგარიტა უნდა ერქვას და მეორეც – ადგილობრივი მკვიდრი უნდა იყოს. ჩვენ, როგორც ხედავთ, ვმოგზაურობთ და ამჟამად მოსკოვში ვიმყოფებით. მოსკოვში ას ოცდაერთი მარგარიტა აღმოვაჩინეთ და თუ დამიჯერებთ, – აქ კაროვიევმა სიმწრით დაირტყა ბარძაყზე ხელი, – არც ერთი არ გამოგვადგა. მაგრამ ბედმა მაინც გაგვიღიმა...

კაროვიევმა მრავლისმეტყველად ჩაიციხა, მოიკაკვა და მარგარიტას ისევ გაეყინა გული.

– მოკლედ! – იყვირა კაროვიევმა, – სრულიად მოკლედ: უარს ხომ არ გვეტყვით, ეს მოვალეობა დაგაკისროთ?

– არ გეტყვით, – მტკიცედ უპასუხა მარგარიტამ.

– არაჩვეულებრივია! – თქვა კაროვიევმა, ლამპარი აანთო და დასძინა, – გთხოვთ, გამომყვეთ.

მათ სვეტებს შორის გაიარეს და ბოლოს რომელიღაც დარბაზში შევიდნენ, სადაც რატომღაც ლიმონის მძაფრი სუნი ტრიალებდა, სადაც შორი შრიალი ისმოდა და სადაც მარგარიტას რაღაც წამოედო თავზე. ის შეკრთა.

– ნუ გეშინიათ, – ტკბილად დაამშვიდა კაროვიევმა და ხელი ჩაჰკიდა, – ბეჭემოთის ავადმყოფური ციგნობაა და მეტი არაფერი. საერთოდ კი, თავს ნებას მივცემ, გირჩიოთ, მარგარიტა ნიკოლაევნა, რომ არასოდეს არაფრის შეგეშინდეთ. შიში უაზრობაა. არ დაგიმალავთ, ძალზე დიდებული წვეულება გელით. თქვენ იმ ხალხს იხილავთ, ვისაც ერთ დროს უსაზღვრო ძალაუფლება ჰქონდა, მაგრამ თუ დავუფიქრდებით, რაოდენ მიკროსკოპულად მცირეა მათი შესაძლებლობები იმასთან შედარებით, ვის ამალაშიც პატივი მაქვს ვიმყოფებოდე, მეცინება და, უფრო მეტიც, სევდაც კი მიპყრობს. თან ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენს ძარღვებშიც მეფური სისხლი ჩქეფს.

– როგორ თუ მეფური? – ჰკითხა დამფრთხალმა მარგარიტამ და კაროვიევს მიეკრა.

– ოჰ, დედოფალო, – მხიარულად აჟღერიალდა კაროვიევი, – სისხლის საკითხი ყველაზე რთულია ამქვეყნად! თუ ზოგიერთ დიდ ბეზიას დაეკითხებოდით, და განსაკუთრებით იმათ, ვინც ერთ დროს გასაოცარი კდემამოსილებით გამოირჩეოდნენ, ენით აუწერელ საიდუმლოებებს მოეფინებოდა ნათელი, ჩემო საყვარელო მარგარიტა ნიკოლაევნა, ალბათ, არ შეეცოდავ თუ ამ საკითხზე საუბრისას, ბანქოს ქალაქის უცნაურ განლაგებას ვახსენებ. არის საკითხები, სადაც სრულიად არ მოქმედებს არც წოდებრივი სამანები და არც სახელმწიფოებრივი საზღვრები. მიგანიშნებთ: მეთექვსმეტე საუკუნეში მცხოვრები ერთი ფრანგი დედოფალი ალბათ ძალზე გაოცდებოდა, ვინმეს რომ ეთქვა, მის მომხიბლავ შვილისშვილის შვილისშვილს, მრავალი წლის შემდეგ ხელმკლავით მივაცილებდი მოსკოვური წვეულების დარბაზისაკენ. თუმცა, მოვედით უკვე!

აქ კაროვიევმა ლამპარს სული შეუბერა, ისიც იმავე წამს გაუქრა ხელიდან და მარგარიტამ ფერხით, იატაკზე, რომელიღაც ჩამუქებული კარიდან მონადენი სინათლის ზოლი შენიშნა. აი, ამ კარზე დააკაკუნა ფრთხილად კაროვიევმა. ანაზდად მარგარიტა ისე აღელდა, რომ კბილები აუკაწკაწდა და ხერხემალში სიცივე ჩაეღვარა. კარი გაიღო. მომცრო ოთახი აღმოჩნდა. მარგარიტამ მუხის ფართო საწოლს ჰკიდა თვალი, რომელზეც დაჭმუჭნილი და ჭუჭყიანი თეთრეული ეფარა. საწოლის წინ მოჩუქურთმებულფეხებიანი მუხისავე მაგიდა და ზედ ფრინველის კლანჭებისდარი სასანთლეებიანი შანდალი იდგა. ამ შვიდ ოქროს კლანჭში ცვილის სქელი სანთლები ენთო. ამას გარდა, მაგიდაზე ჭადრაკის უზარმაზარი, გასაოცარი ოსტატობით გამოთლილი დაფა იდო. შორიახლოს მეორე მაგიდაც მოჩანდა, ოქროს თასითა და შანდლით, ტოტები გველებივით რომ ჰქონდა გაკლავნილი. ოთახში გოგირდისა და ფისის სუნი ტრიალებდა, შანდლის ჩრდილები იატაკზე გადაჯვარედინებულიყო.

იქ მყოფთაგან მარგარიტამ მაშინვე შეიცნო აზაზელო, რომელსაც უკვე ფრაკი ემოსა და საწოლის თავით იდგა. გამოპრანჭული აზაზელო ახლა აღარც კი ჰგავდა იმ ყაჩაღს, ალექსანდრეს პარკში რომ გამოეცხადა მარგარიტას და ალბათ ამიტომაც იმ ფრაკის შესაფერი თავაზითაც მიესალმა.

შიშველი ალქაჯი გელლა, ასე რომ აშფოთებდა ვარიეტეს მორცხვ მებუფეტეს, ის გელლა, ცნობილი სეანსის ღამეს, საბედნიეროდ, მამალმა რომ დააფრთხო, ამჯერად საწოლთან, იატაკზე გაფენილ ნოხზე იჯდა და გოგირდის ორთქლდადენილ ქვაბში რაღაცას ხარშავდა.

მათ გარდა ოთახში კიდევ უზარმაზარი შავი კატაც ბრძანდებოდა, ჭადრაკის დაფასთან მიდგმულ, უზურგო სკამზე რომ დასკუპებულიყო და მარჯვენა თათში ჭადრაკის ცხენი ეჭირა.

გელლამ წამოიწია, მარგარიტას თავი დაუკრა, კატამაც იგივე გაიმეორა, სკამიდან ჩამოხტა, უკანა, მარჯვენა თათით რევერანსი გააკეთა, ანაზდად ხელიდან ცხენი გაუვარდა და მის მოსაძებნად საწოლის ქვეშ შეძვრა.

მარგარიტა ისე იყო დამფრთხალი, სანთლის მაცდურ შუქზე ძლივს ამჩნევდა, რა ხდებოდა ოთახში. მზერა ლოგინისაკენ გაურბოდა, სადაც ის ეგულებოდა, ვისაც ამ ცოტა ხნის წინ პატრიარქთა ტბორებთან ივან უსახლკარო უმტკიცებდა, ეშმაკი საერთოდ არ არსებობსო. სწორედ ეს არარსებული იჯდა ახლა ლოგინზე.

მარგარიტას სახეს ორი თვალი მიეყინა. მარჯვენა – ფსკერიდან ამონთხეული ოქროსფერი ციალით, სულის უშორეს კუნჭულებამდე რომ აღწევდა, და მარცხენა – ცარიელი და შავი, ნემსის ვიწრო ყუნწის თუ ყოველი წყვილიადისეულისა და აჩრდილეულის უსამანო ჭაში შორს გამკრთალი გასასვლელისდარი. ვოლანდს გვერდზე მოქცეოდა სახე. ტუჩები მარცხნივ და ქვევით დაღრეცვოდა. მაღალ, გამელოტებულ შუბლზე, მომშვილდული წარბების პარალელურად გასდევდა ნაოჭი. სახის კანი თითქოს სამუდამოდ გაერუჯა მზეს.

ვოლანდი დანდობილად იჯდა ლოგინზე, ტანთ მხოლოდ გრძელი ღამის პერანგი ემოსა, ისიც ჭუჭყიანი და მარცხენა მხარზე საკერებელდადებული. ცალი შიშველი ფეხი ამოეკეცა, მეორე კი სკამზე ჰქონდა გაშვერილი – გელლა სწორედ იმ ფეხის მუხლს უზელდა იმ რაღაც ორთქლდადენილი საცხით.

მარგარიტამ ვოლანდის მოღეღილ, უბეწვო მკერდზე ქვისგან ნაკვეთი ხოჭო დაინახა, ზურგზე რაღაც რომ ჰქონდა ამოკვეთილი და ოქროს ძეწკვით ეკიდა მკერდზე. ვოლანდის გვერდით, საწოლზე, მასიურ ფეხზე იდგა უცნაური, თითქოს ცოცხალი და ცალი მხრიდან მზით განათებული გლობუსი.

ღუმილი რამდენიმე წამს გაგრძელდა. „მაკვირდება“, – გაიფიქრა მარგარიტამ და მთელი ძალისხმევით სცადა, მუხლების ცახცახი დაეცხრო.

ბოლოს ვოლანდმა გაიღიმა და ალაპარაკდა, თითქოს ჩალუსკუმებული თვალიც აენტო:

– მოგესალმებით, დედოფალო, და გთხოვთ, მომიტევოთ, შილიფად რომ დაგხვდით.

ისეთი დაბალი ხმა ჰქონდა, ზოგიერთ მარცვალს ხრიალითაც კი წარმოთქვამდა.

ვოლანდმა ლოგინიდან გრძელი დაშნა აიღო, გადაიხარა, საწოლის ქვეშ მოატარა და თქვა:

– გამოდვერი! პარტია გადადებულია. სტუმარი გვეწვია.

– არაფრის გულისათვის, – სუფლიორივით ყურში ჩასჩურჩულა მარგარიტას შეშფოთებულმა კაროვიევმა.

– არაფრის გულისათვის... – დაიწყო მარგარიტამ.

– მესირ... – ისევ წაისისინა კაროვიევმა.

– არაფრის გულისათვის, მესირ, – თავს მოერია და ჩუმად, მაგრამ გარკვევით თქვა მარგარიტამ. შემდეგ გაიღიმა და დასძინა, – გემუდარებით, ნუ შეწყვეტთ პარტიას. დარწმუნებული ვარ, საჭადრაკო ჟურნალისტები დიდ თანხას გაიღებდნენ, ამ პარტიის დაბეჭდვის საშუალება რომ მისცემოდათ.

აზაზელომ მოწონების ნიშნად ჩუმად ჩაიკრუტუნა, ვოლანდმა კი ყურადღებით შეხედა მარგარიტას და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

– ჰო, კაროვიევი არ შემცდარა! რა უცნაურად ლაგდება ბანქო. სისხლი, ბატონებო, სისხლი!

მან ხელი გაიწვდინა და მარგარიტა თავისთან იხმო. ქალი მიუახლოვდა, შიშველი ფეხისგულებით ვერც კი შეიგრძნობდა იატაკს. ვოლანდმა თავისი ქვასავით მძიმე და მაინც გავარვარებული ხელი დაადო მხარზე, მიიზიდა და საწოლზე, გვერდით მოისვა.

– ო, თქვენ ისეთი მომხიბლავად თავაზიანი ბრძანდებით, – ჩაილაპარაკა მან, – თუმცა სხვას არც ველოდი, ამიტომ, მოდი, შინაურულად მოვიქცეთ, – ის ისევ საწოლის კიდისკენ გადაიხარა და იყვირა, – კიდეც დიდხანს იმამიუნებ საწოლქვეშ? გამოძვერი, შე ნაძირალავ!

– ცხენი ვერ მიპოვია, – საწოლის ქვემოდან დაგუდული და ყალბი ხმით უპასუხა კატამ, – ვინ იცის, იქნებ სადღაც გაჭენდა, მის ნაცვლად ერთთავად ბაყაყი მხვდება ხელში.

– ბაზრის მოედანზე ხომ არ გგონია თავი? – თითქოს გაბრაზდა ვოლანდი, – საწოლქვეშ ბაყაყს რა უნდა? ეგ იაფფასიანი ოინბაზობა, გირჩევნია, ვარიეტესთვის შემოინახო თუ ახლავე არ გამოხვალ, ჩავთვლი, რომ მნებდები, შე საზიზღარო დეზერტირო.

– არა, არა, მესირ! – დაიღრიალა კატამ და იმავ წამს საწოლის ქვეშიდან გამოძვრა, თათში ცხენი ეჭირა.

– ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ... – ის იყო დაიწყო ვოლანდმა და სიტყვა შუაზე გაუწყდა, – არა, ამ ტაკიმასხარას დანახვა აღარ შემიძლია. ერთი შეხედეთ, რას დამსგავსებია!

უკანა თათებზე მდგარი და მტვერში ამოგანგლული კატა კი ამასობაში მარგარიტას ესალმებოდა. ახლა კატას ფრაკის თეთრი ბაფთა ჩამოეკონწიალებინა კისერზე, მკერდზე კი თეთრი ბინოკლი ეკიდა. თან უღვაშიც ოქროსფრად შეეღება.

– ეს რაღა უბედურებაა? – წამოიძახა ვოლანდმა, – უღვაში ოქროსფრად რატომ შეიღებე?! რა ეშმაკად გინდა ეს ჰალსტუხი, თუკი შარვალი არ გაცვია?

– შარვლის ტარება კატას არ ევალება, მესირ, – ძალზე ღირსეულად უპასუხა კატამ, – იქნებ ჩექმის ჩაცმაც მიბრძანოთ? ჩექმებიანი კატა მხოლოდ ზღაპრებში არსებობს, მესირ, მაგრამ უჰალსტუხოდ ოდესმე ვინმე გინახავთ წვეულებაზე? მე სულაც არ ვაპირებ სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდე და ვინმეს გავაპანდურებინო თავი! ყველა ისე ირთვება, როგორც შეუძლია. ჩათვალეთ, რომ ნათქვამი ბინოკლსაც ეხება, მესირ!

– უღვაში?..

– ვერ გამიგია, – ცივად შეეპასუხა კატა, – ის რატომ არ გაკვირვებთ, რომ დღეს აზაზელომ და კაროვიევმა გაპარსვის შემდეგ თეთრი პუდრი შეიყარეს სახეზე, თეთრი პუდრი რითი სჯობია ოქროსფერს? მე უბრალოდ, უღვაში შევიფეთქე, ეგ არის და ეგ! ცხადია,

დაგთანხმდებოდით, პირი რომ გამეპარსა! გაპარსული კატა მართლაც საშინელი სანახავია... ათასგზის გეთანხმებით და საერთოდ... – ნაწყენ კატას ხმა აუკანკალდა, – ვხედავ, რომ უმიზეზოდ მედავებიან, იმასაც ვხედავ, რომ ერთი ამოცანის წინაშე ვდგავარ – საერთოდ დამიშვებენ კი წვეულებაზე? რას მეტყვი, ამის პასუხად, მესირ?

ნაწყენი კატა ისე გაიფუყა, გეგონებოდათ, ერთი წუთიც და გასკდებაო.

– ოჰ, რა არამზადა ხარ, ნამდვილი არამზადა, – თავის ქნევით თქვა ვოლანდმა, – ყოველთვის, როგორც კი წასაგებ პოზიციაში აღმოჩნდება, ხიდისთავში მჯდარი მათხოვარვით სიტყვას ბანზე მიგდებს. ახლავე დაჯექი და ეგ სიტყვიერი უმსგავსობა შეწყვიტე.

– დავჯდები, – უპასუხა კატამ და სკამზე მოკალათდა, – მაგრამ თქვენი უკანასკნელი ფრაზის შესახებ ჩემს აზრს მაინც მოგახსენებთ. ჩემი სიტყვები უმსგავსობა კი არ განლავთ, როგორც ქალბატონის თანდასწრებით ბრძანეთ, არამედ მჭიდროდ ასხმული სილოგიზმური ჯაჭვი, რომელსაც ჯეროვნად მხოლოდ ისეთი მცოდნეები შეაფასებდნენ, როგორებიც იყვნენ სიქსტ ემპირიკი, მარციან კაპელლა და თვით არისტოტელე.

– ქიში მეფეს, – უთხრა ვოლანდმა.

– თქვენი ნებაა, ბატონო ჩემო, – უპასუხა კატამ და ბინოკლით დაფას დახედა.

– ახლა კი, – მარგარიტას მიუბრუნდა ვოლანდი, – ნება მიბოძეთ, ქალბატონო, ჩემი ამაღა გაგაცნოთ. აი, ეს ტუტუცი – კატა ბეჭემოთია. აზაზელო და კაროვიევი უკვე გაიცანით. ეს ჩემი მოახლე განლავთ – გელლა. ხელმარჯვეა, გამგები და ისეთი დავალება არ არსებობს, ვერ შეასრულოს.

მზეთუნახავ გელლას მარგარიტასკენ მიეპყრო მწვანე თვალები, იღიმებოდა, თან ქვაბიდან იღებდა საცხს და მუხლს უზელდა.

– სულ ეს არის, – დაასრულა ვოლანდმა და წარბი შეიკრა, როცა გელლა ღონივრად დააწვა მუხლზე, – როგორც ხედავთ, ძალიან პატარა ჯგუფია, არეული და უბრალო, – ერთხანს დადუმდა, თავისი გლობუსი დაატრიალა, რომელიც ისე მოხერხებულად იყო გაკეთებული, რომ ცისფერი ოკეანეები ირხეოდა და მთებზე ნამდვილივით ბზინავდა თოვლიან-ყინულოვანი ჩაფხუტი.

ამასობაში კი დაფაზე დიდი აურზაური სუფევდა. გუნებაწამხდარი თეთრმოსასხამიანი მეფე უჯრედში ფენს ინაცვლებდა და განწირული იქნევდა ხელებს. ალებარდებიანი სამი თეთრი პაიკი-ლანდსკნეხტი დაბნეული შესცქეროდა ხმალამოწვდილ ოფიცერს, შეტევაზე გადასვლას რომ უბრძანებდა. იქ კი, წინ, თეთრსა და შავ უჯრედებში, ორ აჭინვინებულ ცხენზე ისხდნენ ვოლანდის მხედრები და ცხენები ფლოქვებით თქერავდნენ ნიადაგს.

გაოგნებული მარგარიტა საოცარი გულისყურით დასცქეროდა ჭადრაკის ცოცხალ ფიგურებს.

კატამ თვალიდან ბინოკლი მოიშორა და უჩუმრად ზურგში გაჰკრა ხელი თავის მეფეს. სასოწარკვეთილმა მეფემ სახეზე ხელები აიფარა.

– ცუდადაა საქმე, ძვირფასო ბეჭემოთო, – დაშხამული ხმით ჩუმად უთხრა კაროვიევმა.

– მდგომარეობა სერიოზულია, მაგრამ არა უიმედო, – უპასუხა ბეჭემოთმა, – უფრო მეტიც: სრულიად დარწმუნებული ვარ, ამ პარტიას მოვიგებ. ოღონდ საჭიროა, ჯეროვნად შევაფასო მდგომარეობა.

ეს ანალიზი საკმაოდ უცნაურად დაიწყო, კერძოდ, ბეჭემოთი რატომღაც ემანჭებოდა და თვალს უკრავდა თავის მეფეს.

– ვერაფერს უშველი, – ისევ უთხრა კაროვიევმა.

– უი! – უცებ იყვირა ბეჭემოთმა, – თუთიყუშები გაფრენილან! ასეც ვიცოდი!

მართლაც, სადღაც შორიდან მოისმა მრავალი ფრთის ფათქუნი. კაროვიევი და აზაზელო გარეთ გაცვივდნენ.

– ეშმაკმა წაგიღოთ თქვენი ავადმყოფური ფანტაზიებით, – გლობუსიდან თვალის მოუშორებლად ჩაიბურღლუნა ვოლანდმა.

როგორც კი კაროვიევი და აზაზელო გაუჩინარდნენ, ბეჭემოთმა უფრო გამალებით დაიწყო თვალის პაჭუნი. თეთრი მეფე ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რას ითხოვდნენ მისგან, წამისად შემოიგლიჯა მოსასხამი, უჯრედში ჩააგდო და დაფიდან მოუსვა. ოფიცერმა ძირს დაგდებული მოსასხამი მოიხურა და მეფის ადგილი დაიკავა. ამასობაში კაროვიევი და აზაზელოც დაბრუნდნენ.

– როგორც ყოველთვის, ახლაც მოგვატყუა, – ბუზღუნებდა აზაზელო და ცერად უცქეროდა ბეჭემოთს.

– ალბათ, მომეჩვენა, – უპასუხა კატამ.

– კიდევ დიდხანს გაგრძელდება ეს მაიმუნიობა? – იკითხა ვოლანდმა, – ქიში მეფეს.

– ალბათ, ყური მატყუებს, მესირ, – უპასუხა კატამ, – ქიში არ არის და არც შეიძლება იყოს.

– ვიმეორებ, ქიში მეფეს.

– მესირ, – შეშფოთებული, ყალბი ხმით უთხრა კატამ, – როგორც ჩანს, გადაიღალეთ: აქ მეფის ქიში არ არის.

– მეფე გ-ზე დგას, – დაფაზე დაუხედავად უთხრა ვოლანდმა.

– მესირ, თავზარდაცემული ვარ, – დაიკნავლა კატამ და სახეზე შეშფოთება დაეტყო, – ამ უჯრაში მეფე არ დგას.

– რა თქვი? – იკითხა გაოცებულმა ვოლანდმა და დაფას დახედა, სადაც მეფის ადგილას მდგარი ოფიცერი თვალს არიდებდა და სახეზე ხელს იფარებდა.

– ოჰ, შე არამზადავ! – დაუცაცხანა ვოლანდმა.

– მესირ, მე კვლავ ლოგიკას მოვიშველიებ, – დაიწყო კატამ და თათები მკერდზე მიიკრა, – თუ მოთამაშე ქიშს უცხადებს მეფეს, მეფე კი კარგა ხანია დაფაზე აღარ დგას, ქიში შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

– მნებდები თუ არა? – საშინელი ხმით იყვირა ვოლანდმა.

– ნება მიბოძეთ, დავფიქრდე, – მორჩილად უპასუხა კატამ, იდაყვები მაგიდას დააყრდნო, თავი თათებში ჩარგო და დაფიქრდა. დიდხანს ფიქრობდა, ბოლოს თქვა, – გნებდებით!

– სიკვდილი ჯიუტ ქვემძრომს! – ჩაიჩურჩულა აზაზელომ.

– დიახ, გნებდებით, – განაგრძო კატამ, – მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არ ძალმიძს მოშურნეთა ავსიტყვაობის თანხლებით თამაში! – ის წამოდგა და ჭადრაკის ფიგურები ყუთში ჩაფრინდნენ.

– გელლა, დროა, – უთხრა ვოლანდმა და გელლაც გაქრა ოთახიდან, – ფეხი ამტკივდა, თან წვეულებაც მაქვს, – განაგრძო ვოლანდმა.

– თუ ნებას დამრთავთ... – ხმადაბლა სთხოვა მარგარიტამ.

ვოლანდი დაჟინებით მიაჩერდა და მუხლი მიუშვირა.

გავარვარებული ფაფა ხელებს წვავდა, მაგრამ მარგარიტა წარბშეუხრელად, ტკივილის მიუყენებლად უზელდა მუხლს.

– ახლობლები მიმტკიცებენ, რევმატიზმი უნდა იყოსო, – ეუბნებოდა ვოლანდი და თვალს არ აშორებდა მარგარიტას, – მაგრამ მე მაინც მგონია, ეს მუხლის ტკივილი ერთი წარმტაცი ალქაჯის წყალობა უნდა იყოს, რომელიც ათას ხუთას სამოცდათერთმეტ წელს გავიცანი ბროკენის მთებში, ეშმაკის კათედრაზე.

– ო, ეს შესაძლებელია? – ჰკითხა მარგარიტამ.

– არა უშავს! სამასიოდე წლის შემდეგ გამივლის. რა წამალი არ მირჩიეს, მაგრამ მე მაინც ბებიაჩემის ნასწავლს ვამჯობინებ. იმ უწმინდურმა დედაბერმა, ბებიაჩემმა ანდერძად გასაოცარი ბალახები დამიტოვა! თქვენც ხომ არ გაწუხებთ რამე? ან რაიმე დარდი ანდა ნაღველი ხომ არ გიწამლავთ სულს?

– არა, მესირ, მსგავსი არაფერი მჭირს, – უპასუხა მარგარიტამ, – მით უმეტეს ახლა, როცა თქვენს სიახლოვეს ვიმყოფები, შესანიშნავად ვგრძნობ თავს.

– სისხლი მართლაც ძალიან ბევრს ნიშნავს, – რაღაცის პასუხად, მხიარულად წამოიძახა ვოლანდმა და დასძინა, – ვხედავ, ჩემმა გლობუსმა მიიპყრო თქვენი ყურადღება.

– დიახ, ასეთი რამ არასოდეს მინახავს.

– კარგი ნახელავია. მართალი გითხრათ, ძალიან არ მიყვარს უკანასკნელი ამბების რადიოთი მოსმენა. ამ უკანასკნელ ცნობებს, როგორც წესი, გოგონები გადმოსცემენ და ძალიან გაურკვეველად წარმოთქვამენ ადგილთა დასახელებებს. ამას გარდა, მათგან ყოველი მესამე ენაბლუა, თითქოს ასეთებს საგანგებოდ არჩევდნენ. მე ჩემი გლობუსი მირჩევნია, განსაკუთრებით თუ ზუსტი ცნობების შეტყობა მსურს. აი, ხედავთ დედამიწის ამ ნაწილს, რომლის ნაპირებსაც ოკეანე ელამუნება? ხედავთ, აქაურობას ცეცხლი ედება, მაშასადამე, ომი დაიწყო. ხოლო თუ უფრო გულდასმით დააკვირდებით, წვრილმანებსაც გაარჩევთ.

მარგარიტა გლობუსისკენ გადაიხარა. ანაზღად მიწის კვადრატი გაფართოვდა, მრავალფრად მოიჩინა და რელიეფურ რუკას დაემსგავსა. შემდეგ, მდინარის ზოლი და მის ნაპირზე – პატარა სოფელიც დაინახა. წიწიბურას მარცვლისოდენა სახლი ანაზღად გაიზარდა და ასანთის კოლოფის ზომის გახდა. უცებ სახურავი შავ ბოლთან ერთად უხმაუროდ აიჭრა ჰაერში, კედლები ჩამოინგრა და ორსართულიანი ყუთიდან მხოლოდ აბოლქვებული ნანგრევებიც დარჩა. მარგარიტა უფრო დაჟინებით დააკვირდა იქაურობას და მიწაზე გამხლართული ქალის ფიგურაც დაინახა, მის გვერდით კი, სისხლის გუბეში პატარა ბავშვს გაეჩაჩხა ხელები.

– მორჩა, – გაუღიმა ვოლანდმა, – ცოდვის ჩადენაც ვერ მოასწრო. აბადონა დიდებულად მუშაობს.

– აბადონას მოწინააღმდეგეთა რიგებში ყოფნას არ ვისურვებდი, – თქვა მარგარიტამ, – თვითონ მაინც ვის მხარესაა?

– რაც უფრო მეტხანს გესაუბრებით, – მოწყალედ უთხრა ვოლანდმა, – მით უფრო ვრწმუნდები, რომ ჭკვიანი ქალი ბრძანდებით. შემძლია დაგამშვიდოთ, აბადონა გასაოცრად მიუკერძოებელია და თანაბრად თანაუგრძნობს ორივე მხარეს. ამიტომ მოწინააღმდეგეები ერთსა და იმავე ნაყოფს იმკიან. აბადონა, – ხმადაბლა გასძახა ვოლანდმა და უცებ კედელს ვიღაც გამხდარი, შავსათვალის კაცი გამოეყო. ამ სათვალემ რატომღაც ისე შეზარა მარგარიტა, რომ ხმადაბლა შეჰკვივლა და სახე ვოლანდის მუხლში ჩარგო.

– მშვიდად, – უყვირა ვოლანდმა, – რა ნერვიულები არიან ეს თანამედროვე ადამიანები, – მან მარგარიტას ზურგს დასცხო ხელი და მარგარიტამაც მთელ სხეულში ზრიალი იგრძნო, – ხომ ხედავთ, სათვალე უკეთია. ამას გარდა, აბადონა დროზე ადრე არავის ეწვევა ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, მე თქვენ გვერდით ვარ, თქვენ კი ჩემი სტუმარი ბრძანდებით! უბრალოდ, თქვენთვის მინდოდა მეჩვენებინა.

აბადონა უძრავად იდგა.

– შეიძლება, ერთი წამით მაინც მოიხსნას სათვალე? – იკითხა ვოლანდს მიკრულმა, ათრთოლებულმა მარგარიტამ, თუმცა უკვე ზედმეტი ცნობისმოყვარეობა ათრთოლებდა.

– აი, ეს კი დაუშვებელია, – სერიოზულად უპასუხა ვოლანდმა, აბადონას ხელი აუქნია და ისიც გაიქნა, – რისი თქმა გინდა, აზაზელო?

– მესირ, – დაიწყო აზაზელომ, – ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, ორი უცხო სულიერი შემოგვემატა: ვიღაც ლამაზმანი, რომელიც ტირის და იხვეწება, ჩემს ქალბატონს არ დამაშოროთო, და მისი, უკაცრავად პასუხია, კურატი.

– ამ ბოლო ხანს ლამაზმანები ძალიან უცნაურად იქცევიან, – ჩაილაპარაკა ვოლანდმა.

– ეს ნატაშაა, ნატაშა! – წამოიძახა მარგარიტამ.

– თხოვნა შეუსრულეთ, დატოვეთ ქალბატონთან, კურატი კი მზარეულებს გადაეცით!

– ნუთუ დაკლავთ? – შიშით იყვირა მარგარიტამ, – შეიწყალეთ, მესირ, ეს ხომ ნიკოლაი ივანოვიჩია, ქვედა სართულის მეზობელი. ერთი გაუგებრობა მოხდა, ნატაშამ მასაც წაუსვა საცხი...

– რას ბრძანებთ! – გაიცინა ვოლანდმა, – ვის რა ჯანდაბად სჭირდება მისი დაკვლა? მზარეულებთან დაიცადოს, ეგ არის და ეგ! ალბათ, ხვდებით, რომ დიდ დარბაზში ვერ მივიწვევ.

– ცხადია... – დასძინა აზაზელომ და მოახსენა, – შუალამე ახლოვდება, მესირ.

– კარგია, – თქვა ვოლანდმა და მარგარიტას მიუბრუნდა, – ასე რომ, წინასწარ გიხდით მადლობას! არ დაიბნეთ და არაფრის შეგეშინდეთ. წყლის მეტი არაფერი დალიოთ, თორემ მოითენთებით და დაიღლებით. დროა!

მარგარიტა ნოხიდან წამოდგა და იმავ წამს კაროვიევი აისვეტა კარში.

თავი ოცდამესამე

სატანას დიდებული მეჯლისი

შუალამე ახლოვდებოდა, უნდა ეჩქარათ. მარგარიტა უკვე ყველაფერს ბუნდოვნად ხედავდა, დაამახსოვრდა სანთლები და ქვის აუზი. იმ აუზში ჩასულს, გელლამ და ნატამამ რაღაც წითელი, ბლანტი და ცხელი სითხე გადაავლეს. მან ტუჩზე სიმლაშე იგრძნო და მიხვდა – სისხლით განბანეს. ეს სისხლიანი მანტია სულ ცოტა ხანში რაღაც სხვა – ბლანტი, გამჭვირვალე და მოვარდისფრო სითხით შეიცვალა და მარგარიტას ვარდის ზეთის სურნელმა დაახვია თავბრუ. შემდეგ ტახტზე მიაწვინეს და რაღაც დიდ-დიდი მწვანე ფოთლებით შეუმშრალეს ტანი. ანაზდად კატა შემოიჭრა ოთახში, მარგარიტას ფერხითი ჩაიმუხლა და ისე დაუწყო ტერფების ხეხვა, თითქოს ჩექმას უპრიალებსო. მარგარიტას აღარც კი ახსოვდა, ვინ შეუმოსა ტერფები ღია ვარდისფერი ფეხსაცმლით და როგორ თავისთავად შეიკრა ეს ფეხსაცმელი ოქროს წვივსაკრავით. მერე რაღაც ძალამ წამოახტუნა, სარკის წინ დააყენა და თმაზე აღმასებით მოოჭვილი სადედოფლო გვირგინი დაუმაგრა. საიდანღაც კაროვიევიც გაჩნდა და მარგარიტას ოვალურ ჩარჩოში ჩასმული შავი პუდელის გამოსახულება დაჰკიდა მკერდზე. ამ სამკაულმა საოცრად დაამძიმა დედოფალი. ჯაჭვი კისერს უხეხავდა, სამკაულის სიმძიმისაგან ლამის წელში იხრებოდა. მაგრამ შავპუდელიანი გულქანდის ჯაჭვით მიყენებულ უხერხულობას ის უნაზღაურებდა, რომ კაროვიევი და აზაზელო აწ უკვე გასაოცარი მოწიწებით ეპყრობოდნენ.

– არა უშავს, არა უშავს, არა უშავს! – აუზიანი ოთახის კართან ებუტბუტებოდა კაროვიევი, – ვერაფერს გავაწყობთ, ეს აუცილებელია, აუცილებელი! ნება მიბოძეთ, დედოფალო, უკანასკნელი რჩევა მოგცეთ. სტუმრებს შორის სხვადასხვა ჯურის ხალხი იქნება, თანაც სრულიად სხვადასხვა ჯურის და არავინ, გესმით, დედოფალო მარგო, არავინ გამოარჩიოთ! არც მოგეწონოთ ვინმე... ცხადია, არც სახეზე უნდა დაგეტყვოდ ზიზღი... არა, არა, ეს დაუშვებელი იქნებოდა! მაშინვე მიხვდებიან. სტუმრები უნდა გიყვარდეთ, დედოფალო, აუცილებლად უნდა შეიყვაროთ ისინი. ამის სანაცვლოდ ათასგზის დაგაჯილდოებენ, და კიდევ: უყურადღებოდ არავინ დატოვოთ. თუ სიტყვის თქმას ვერ მოახერხებთ, გაუღიმეთ მაინც ან თავი დაუქნიეთ. რაც გნებავთ, გააკეთეთ, ოღონდ უყურადღებოდ არ დატოვოთ. ეს მათ დაღუპავს...

და მარგარიტამ ბეჭემოთისა და კაროვიევის თანხლებით აუზიანი ოთახიდან სრულ უკუნში შეაბიჯა.

– მე, მე, – ჩაიჩურჩულა კატამ, – მე მივცემ ნიშანს!

– კარგი! – სიბნელიდან უპასუხა კაროვიევმა.

– დავიწყეთ! – გამყინავად დასჭყვივლა კატამ. იმავ წამს მარგარიტამაც შეჰკვივლა და თავისდა უნებურად, თვალი დახუჭა. მეჯლისი ჩახჩახა შუქად ჩამოემხო თავზე. შუქს ხმები და სურნელიც მოჰყვა. კაროვიევის ხელს დანდობილი მარგარიტა ანაზდად ტროპიკულ ტყეში აღმოჩნდა. მკერდწითელა, მწვანეზოლიანი თუთიყუშები ლიანებს ეჭიდებოდნენ, ტოტიდან ტოტზე ხტებოდნენ და გამყინავად გაჰყვიროდნენ: „აღფრთოვანებული ვარ!“ მაგრამ ტყე მალე დასრულდა და მისი აბანოსეული უჰაერობა იმავ წამს რომელიღაც მოყვითალო, მბზინავი ქვისსვეტებიანი სამეჯლისო დარბაზის სიგრილით შეიცვალა. ეს დარბაზიც, ტყის დარად, სრულიად უკაცრიელი იყო, მხოლოდ სვეტებთან იდგნენ გაუნძრევლად შუბლზე ვერცხლისფერსახვევიანი, შიშველი ზანგები. მცველებს სახე ჩაუშავდათ მღელვარებისგან,

როცა დარბაზში თავისი ამალის თანხლებით შემოიჭრა მარგარიტა. უკვე აზაზელოც თან ახლდა. აქ კაროვიევმა მარგარიტას ხელი უშვა და ჩასჩურჩულა:

– პირდაპირ ტიტებისაკენ!

მარგარიტას წინ თეთრი ტიტების არცთუ მაღალი კედელი აღიმართა. მის უკან კი უთვალავი ცეცხლის ენა დალანდა, უფრო ახლოს, ფრაკებში გამოკვართული თეთრი მკერდები და შავი მხრები. მაშინდა მიხვდა მარგარიტა, საიდან დიოდა მეჯლისის ხმაური. საყვირთა გადაძახილი შეასკდა მის სმენას და საყვირთა კვალად გამოსხლეტილი ვიოლინოების კვნესა სისხლის მანტიასავით შემოეტმასნა სხეულზე. ოცდაათამდე კაცისგან შემდგარი ორკესტრი პოლონეზს უკრავდა.

ორკესტრის წინ, ამალლებულზე მდგარმა ფრაკიანმა კაცმა მარგარიტას რომ ჰკიდა თვალი, გადაფითრდა, ღიმილად დაიფრქვა და ანაზდად, ხელის ერთი აქნევით, ფეხზე წამოაყენა მთელი ორკესტრი. ორკესტრი ისევ, ზეზეულად განაგრძობდა დაკვრას და მუსიკის ჰანგებში ახვევდა მარგარიტას. ამალლებულზე მდგარმა კაცმა ორკესტრს ზურგი აქცია, ხელები გაშალა, მდაბლად დაუკრა თავი და გაღიმებულმა მარგარიტამაც ხელი დაუქნია.

– არა, ეგ ცოტაა, ცოტა... – ეჩურჩულებოდა კაროვიევი, – ამალამ ძილი გაუტყდება, შეეხმინეთ: „მოგესალმებით, ვალსების მეფევ!“

მარგარიტამ შეძახილი გაიმეორა და გაოცდა, რომ მისმა ხმამ ზარივით გაიწკრიალა და ორკესტრის ღრიალი გადაფარა. ბედნიერებისგან შემცბარმა დირიჟორმა მარცხენა ხელი მკერდზე მიიდო, მარჯვენით კი ისევ თეთრი ჯოხის ქნევა განაგრძო.

– ეგეც ცოტაა, ცოტა... – ისევ ეჩურჩულებოდა კაროვიევი, – მარცხნივ გაიხედეთ, პირველი ვიოლინოსკენ და ისე დაუქნიეთ თავი, ყოველ მათგანს ეგონოს, თითქოს ყველა იცანით. აქ მხოლოდ მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსები უკრავენ. აი, ის, პირველ რიგში ვიეტანია... კარგია, ახლა გზა განვაგრძოთ.

– დირიჟორი ვინდაა? – ჰკითხა მარგარიტამ.

– იოჰან შტრაუსი, – დაუყვირა კატამ, – აქვე, ამ ტროპიკულ ბაღში, ამ ლიანებზე ჩამოვიხრჩობ თავს, თუკი ვინმე მეტყვის, რომ ოდესმე, რომელიმე მეჯლისზე, ასეთი ორკესტრის შეკრებას შეძლებდნენ. მე მოვიწვიე! და წარმოიდგინეთ, არც ერთს ავადმყოფობა არ მოუმიზეზებია, არც ერთს არ უთქვამს უარი.

მომდევნო დარბაზში სვეტები არ ჩანდა, მათ ნაცვლად ერთ მხარეს ვერცხლისფერი, რძისფრად-თეთრი ვარდების კედელი იყო აღმართული, მეორე მხარეს კი – იაპონური ხავერდოვანი კამელიები.

ამ კედლებს შორის შიშინით იფრქვეოდა შადრევნები და შამპანური იბუშტებოდა სამ აუზში. ერთში – გამჭვირვალე იისფერი, მეორეში – ლალისფერი, მესამეში – ბროლისფერი. აუზებთან მეწამულმოსახვევიანი ზანგები მიმორბოდნენ, აუზებიდან ვერცხლის ხაპებით იღებდნენ შამპანურს და ბრტყელ თასებს ავსებდნენ. ვარდების კედელში ჭრილი აღმოჩნდა და იქ, ესტრადაზე, მერცხლისკუდა, წითელფრაკიანი კაცი ბზრიალებდა. მის წინ კი აუტანლად ღრიალებდა ჯაზი. როგორც კი დირიჟორმა მარგარიტას მოჰკრა თვალი. ისე ძალუმად დაუქნია თავი, ლამის ხელებით შეეხო იატაკს, შემდეგ წელში გაიმართა და გამყინავად იყვირა:

– ალილუია!

მან ჯერ ცალ მუხლზე დაიკრა ხელი, მერე – მეორეზე ჯვარედინად, კიდურა მუსიკოსს დასარტყმელი თეფში გამოსტაცა და სვეტს შემოჰკრა.

გაფრენილმა მარგარიტამ მხოლოდ იმასლა მოჰკრა თვალი, რომ ჯაზის ვირტუოზი დირიჟორი, გამწარებული რომ ცდილობდა, მარგარიტას ზურგს უკნიდან მონადენი პოლონეზის ხმა ჩაეხშო, დამკვრელებს თავში ურახუნებდა იმ თეფშს და ისინიც, კომიკური შიშით თავზარდაცემულნი, იკუზებოდნენ.

ბოლოს ერთ დიდ ბაქანზე მიფრინდნენ, ალბათ იმ ადგილას, სადაც მანამდე ლამპრით ხელში შეეგება კაროვიევი. ახლა იმ ბაქანზე თვალს სჭრიდა ბროლის ყურძნების მტევნებიდან დაფრქვეული შუქი. მარგარიტა თავის ადგილას მიაბრძანეს და მის მარცხენა ხელთან ამეთვისტოს დაბალი საკარცხული გაჩნდა.

– თუ გაგიჭირდებათ, შეგიძლიათ ხელით დაეყრდნოთ, – უჩურჩულა კაროვიევმა.

რომელიღაც შავკანიანმა მარგარიტას ფერხთით ოქრომკედით პუდელამოქარგული ყურთბალიში დააგდო და ამ ბალიშზე, ვიღაცის ხელებს დამორჩილებულმა მარგარიტამ, მუხლში მოხრილი მარჯვენა ფეხი შედგა. მარგარიტამ იქაურობას თვალი მოავლო. საზეიმოდ გაჯგიმული კაროვიევი და აზაზელო მის სიახლოვეს იდგნენ, აზაზელოს გვერდით კიდეც სამი ყმაწვილი ჩამწკრივებულიყო, რაღაცით ბუნდოვნად, აბადონა რომ გაახსენეს მარგარიტას. ზურგიდან სიგრილე ეფრქვეოდა, მარგარიტამ უკან მიიხედა და დაინახა, რომ მის უკან, მარმარილოს კედლიდან აშიშხინებული ღვინო იღვრებოდა და ყინულის აუზში ჩაედინებოდა. მარცხენა ფეხთან რაღაც თბილსა და ღუნღულას შეიგრძნობდა, იქ ბეჭემოთი იწვა.

მარგარიტა შემალღებულზე იდგა, მის ფერხთაგან დაღმა დაშვებული, ნოხით დაფარული უზარმაზარი კიბე მოჩანდა, სულ დაბლა, თითქოს ბინოკლის მეორე მხრიდან გასცქერიო, უზარმაზარ წინკარს სწვდებოდა თვალი, წარმოუდგენელი სიდიდის ბუხრით, რომლის ცივ და შავ ხახაში ალბათ თავისუფლად შეეტეოდა ხუთტონიანი სატვირთო მანქანა. თვალისმომჭრელად განათებული წინკარი და კიბე სრულიად უკაცრიელი ჩანდა. სადღაც შორიდან ისმოდა საყვირების გადაძახილი, ისინი კი იდგნენ გაუნძრევლად და ელოდნენ.

– სტუმრები სადღა არიან? – კაროვიევს ჰკითხა მარგარიტამ.

– ახლავე გამოჩნდებიან, დედოფალო, ახლავე. სტუმრები ნამდვილად არ მოგვაკლდება, გულახდილად გეტყვით, შეშის ჩეხა მერჩია აქ, ამ ბაქანზე დგომას და მათ მიღებას.

– შენც თქვი რა, – გაუპასუხა ლაქლაქა კატა, – მე ტრამვაის კონდუქტორობას დავთანხმდებოდი, ამაზე საშინელი სამუშაო არც მეგულება ამქვეყნად.

– ყველაფერი წინასწარ უნდა იყოს გამზადებული, დედოფალო, – უხსნიდა კაროვიევი და თვალს გაბზარული მონოკლიდან აკვესებდა, – იმაზე დიდი საზიზღრობა არ არსებობს, როცა ადრე მოსული სტუმარი წინკარში დაიწყებს წრიალს, აღარ იცის, როგორ მოიქცეს, მისი კანონიერი ალქაჯი კი წუწუნით სულს ხდის, ასე ადრე რატომ წამომიყვანეო. ასეთი წვეულებები სანაგვეშია გადასაყრელი, დედოფალო.

– აუცილებლად სანაგვეში, – დაეთანხმა კატა.

– შუალამემდე ათიოდე წამილა რჩება, – დაიძახა კაროვიევმა, – საცაა დაიწყება.

ეს ათი წამი გასაოცრად ეხანგრძლივა მარგარიტას. მერე ის ათი წამიც გაილია და მაინც არაფერი მომხდარა. და უცებ რაღაცამ გაირახუნა შავ ბუნხარში და იქიდან სახრჩობელა გადმოვარდა, ზედ ჩამოკონწიალებული ნახევრად დაშლილი გვამით, შემდეგ ეს გვამი ყუღფს მოსწყდა, იატაკს დაასკდა და იატაკიდან შავთმიანი, წარმტაცი ყმაწვილი წამოდგა, შავი ფრაკითა და ლაქის ფეხსაცმლით. იმავ წამს ბუნხრიდან ნახევრად დაშლილი, მომცრო კუბო გამოსრიალდა, სახურავი აეხადა და იქიდან მეორე გვამი გადმოვარდა. ყმაწვილი მოხდენილად მიიჭრა გვამთან, ხელი გაუწოდა, მეორე გვამი კი შიშველ, სხმარტალა ქალად იქცა, შავი ფეხსაცმლითა და თმაში ჩამაგრებული შავი ფრთით, და ორივემ, ქალმაც და კაცმაც, კიბეზე დაიწყო ასვლა.

– მოვიდნენ! – წამოიძახა კაროვიევმა, – ბატონი ჟაკი მეუღლითურთ. წარმოგიდგენთ, დედოფალო, ერთ-ერთ ყველაზე მომხიბლავ მამაკაცს! ყალბი ფულისმჭრელი, სამშობლოს მოღალატე, მაგრამ საკმაოდ კარგი ალქიმიკოსი. სახელი იმით გაითქვა, – ყურში ჩასჩურჩულებდა კაროვიევი, – რომ მეფის საყვარელი ქალი მოწამლა. ყველას ხომ არ შეუძლია ამის ჩადენა? ერთი შეხედეთ, რა მშვენიერი კაცია!

გაფითრებული მარგარიტა პირდაღებული იცქირებოდა ქვევით და ხედავდა, წინკარის რომელიღაც გვერდით გასასვლელში როგორ გაქრა სახრჩობელაცა და კუბოც.

– აღფრთოვანებული ვარ, – პირდაპირ სახეში შეჰკვივლა კატამ კიბეზე ამოსულ ბატონ ჟაკს.

ამასობაში ქვევით, ბუნხრიდან ვიღაც უთავო, ხელმოგლეჯილი ჩონჩხი გამოხტა, იატაკს დაასკდა და ფრაკიან კაცად იქცა.

ბატონი ჟაკის მეუღლე უკვე მარგარიტას წინაშე იჩოქებდა და მღელვარებით გაფითრებული კოცნიდა მუხლზე.

– დედოფალო! – ჩაილულლულა ბატონ ჟაკის მეუღლემ.

– დედოფალი აღფრთოვანებულია, – ყვიროდა კაროვიევი.

– დედოფალო... – თავი მოუდრიკა მომხიბლავმა ბატონმა ჟაკმა.

– ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ, – ჩხაოდა კატა.

აზაზელოს თანმხლები ყმაწვილი კაცები უსიცოცხლო, მაგრამ თავაზიანი ღიმილით მიაცილებდნენ ბატონ ჟაკსა და მის მეუღლეს გვერდით, შამპანურით სავსე თასებისაკენ, ზანგებს რომ ეპყრათ ხელში. კიბეზე კი უკვე მარტო მოსული ფრაკიანი კაცი ამორბოდა.

– გრაფი რობერტი, – მარგარიტას უჩურჩულა კაროვიევმა, – დღემდე არ დაუკარგავს მომხიბვლელობა. ყურადღება მიაქციეთ, რა სასაცილოა, დედოფალო. აქ პირიქით მოხდა ყველაფერი: ეს ვაჟბატონი დედოფლის საყვარელი ბრძანდებოდა და საკუთარი ცოლი მოწამლა.

– ძალიან გაგვახარეთ, გრაფო, – წამოიძახა ბეჭემოთმა.

ბუხრიდან ერთმანეთის მიყოლებით გამოცვივდა სამი კუბო, გასკდა და დაიშალა, შემდეგ ვილაც შავმოსასხამიანი კაცი გამოხტა, რომელსაც ამ შავი ხანიდან მის კვალდაკვალ გამომხტარმა კაცმა ზურგში დანა ჩასცა. ქვევიდან შეკავებული ყვირილი გაისმა. შემდეგ ბუხრიდან ერთიანად გახრწნილი გვამი გადმოვარდა, მარგარიტამ თვალი დახუჭა და ვილაცის ხელმა ცხვირთან სასუნთქებელი მარილი მიუტანა. მარგარიტას ნატაშას ხელი ეცნო. კიბე თანდათან ივსებოდა. ახლა უკვე ყოველ საფეხურზე იდგნენ შორიდან სრულიად ერთმანეთის მსგავსი, ფრაკში გამოწყობილი მამაკაცები და შიშველი ქალები, რომელთაც მხოლოდ ფეხსაცმლითა და თავზე დამაგრებული ბუმბულის ფერით თუ გამოარჩევდი ერთმანეთისგან.

მარგარიტას უკვე კოჭლობით უახლოვდებოდა მარცხენა ფეხზე რაღაც ხისჩექმიანი ქალი. მას მონაზონივით დაეხარა თვალები, გამხდარი იყო, კდემამოსილი და რატომღაც ფართო, მწვანე სახვევი ჰქონდა კისერზე შემოხვეული.

– რა მწვანეა? – დაუფიქრებლად იკითხა მარგარიტამ.

– ძალზე მომხიბლავი და თავშეკავებული ქალბატონია, – ეჩურჩულებოდა კაროვიევი, – გაიცანით: ქალბატონი ტოფანა, გასაოცრად უყვარდათ ახალგაზრდა, მომხიბლავ ნეაპოლიტანელ და პალერმოელ ქალბატონებს, განსაკუთრებით იმათ, ვისაც საკუთარი ქმრები მობეზრებოდათ. ასეც ხომ ხდება ხოლმე, დედოფალო, რომ საკუთარი ქმარი გბეზრდება ადამიანს?

– დიახ, – ყრუდ უპასუხა მარგარიტამ და თან ფრაკში გამოწყობილ ორ ყმაწვილს გაუღიმა, რომელნიც ერთმანეთის მიყოლებით დაეშვნენ მის წინაშე და მუხლი და ხელი დაუკოცნეს.

– ჰოდა, – კაროვიევი მარგარიტასთან ჩურჩულსაც ასწრებდა და ბრძანებების გაცემასაც, – შამპანური მიართვით ჰერცოგს! აღფრთოვანებული ვარ! ჰოდა, იმას მოგახსენებდით, დედოფალო, ეს ქალბატონი ტოფანა იმ უბედურ ქალებს ძალიან თანაუგრძნობდა და მიჰყიდდა ხოლმე პატარ-პატარა ბოთლებში ჩასხმულ რაღაც სითხეს. ქალი იმ სითხეს წვნიანში უსხამდა ქმარს, ქმარიც მიირთმევდა, მზრუნველობისთვის მადლობას უხდოდა და კმაყოფილი იღიმებოდა. მართალია, რამდენიმე საათის შემდეგ საოცრად მოსწყურდებოდა წყალი, შემდეგ ლოგინში ჩაწვებოდა და ერთი დღეში ის მომხიბლავი ქალი, ქმარს რომ წვნიანით გაუმასპინძლდა, გაზაფხულის ქარივით თავისუფალი ხდებოდა.

– ფეხზე რაღა აქვს? – ჰკითხა მარგარიტამ, თან იმ სტუმრებს ესალმებოდა, კელობით მომავალი ქალბატონი ტოფანასათვის რომ გამოესწროთ, – ან კისერზე რატომ უკეთია ის მწვანე სახვევი? ულამაზო ყელი აქვს?

– აღფრთოვანებული ვარ, თავადო! – ყვიროდა კაროვიევი და თან მარგარიტას ეჩურჩულებოდა, – მშვენიერი ყელი აქვს, მაგრამ ციხეში ერთი უსიამოვნება შეემთხვა. ფეხზე ესპანური ჩექმა აქვს წამოცმული, სახვევს კი იმიტომ ატარებს, რომ როცა ზედამხედველებმა შეიტყვეს, რომ მისი წყალობით, ხუთასამდე უგერგილო ქმარს სამუდამოდ მიეტოვებინა ნეაპოლი და პალერმო, ქალბატონი ტოფანა ციხეშივე მოახრჩვეს.

– ბედნიერი ვარ, შავო დედოფალო, ასეთ პატივს რომ ვეღირსე, – მონაზონივით ჩაიჩურჩულა ტოფანამ და მუხლის მოყრა სცადა. ესპანური ჩექმა უშლიდა ხელს. კაროვიევი და ბეჰემოთი წამოდგომაში მიეხმარნენ.

– ძალიან მიხარია, – უპასუხა მარგარიტამ და ახლა სხვებს გაუწოდა ხელი.

კიბეზე უკვე ნიაღვარი მოედინებოდა. მარგარიტა ველარც კი ხედავდა, რა ხდებოდა წინკარში. აზრმიუცემლად სწევდა და უშვებდა ხელს და სტუმრებს ერთფეროვანი ღიმილით ესალმებოდა. ბაქანზე ჰაერს ბუბუნნი აზანზარებდა, მარგარიტას ზურგს უკან, დარბაზიდან კი ზღვასავით მზუოდდა მუსიკა.

– ეს ქალი თავს შეგაწყენთ, – კი აღარ ჩურჩულებდა, მთელი ხმით გაჰყვიროდა კაროვიევი, მარგარიტასთვის ხმა რომ მიეწვდინა, – წვეულებებს აღმერთებს და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, ვინმეს შესჩივლოს თავისი ცხვირსახოცის შესახებ.

კიბეზე მომავალ ხალხში მარგარიტამ თვალთ ის მოიძია, ვისზეც კაროვიევი მიუთითებდა. ოციოდე წლის ახალგაზრდა ქალი იყო, გასაოცრად მომნიბვლელი აღნაგობა ჰქონდა, მაგრამ უჩვეულოდ შეშფოთებული აცეცებდა თვალებს.

– რას გულისხმობ? – ჩაეკითხა მარგარიტა.

– ამ ქალს კამერისტკა ემსახურება, – აუხსნა კაროვიევმა, – და ოცდაათი წელია ყოველდამე მაგიდაზე უდებს ცხვირსახოცს. თვალს გაახელს თუ არა, მაშინვე ცხვირსახოცს ხედავს. ცეცხლშიც დაწვა, მდინარეშიც გადააგდო, მაგრამ ყოველ დილას მაინც საწოლთან ხვდება.

– ასეთი რა ცხვირსახოცია? – ჩურჩულით ჰკითხა მარგარიტამ.

– ლურჯარშიიანი. საქმე ის გახლავთ, რომ ეს ქალი კაფეში მუშაობდა, პატრონმა ერთ დღეს სარდაფში იხმო და იმ დღიდან ცხრა თვის შემდეგ ქალს ბიჭი შეეძინა. მერე ბავშვი ტყეში წაიყვანა, პირში ცხვირსახოცი ჩასჩარა და მიწაში ჩაფლა. სასამართლოზე თავს იმით იმართლებდა, ბავშვის გამოსაკვები ფული არ მქონდაო.

– იმ კაფეს პატრონი სადღაა? – იკითხა მარგარიტამ.

– დედოფალო, – უცებ ქვევიდან აკნავლდა კატა, – ნება მიბოძეთ, დაგეკითხოთ, კაფეს პატრონი რაღა შუაშია? ტყეში იმას ხომ არ მოუხრჩვია ბავშვი?

მარგარიტა ღიმილით სწევდა და უშვებდა მარჯვენა ხელს, მარცხენა ხელის თითებით კი ბეჭემოთის ყურს მისწვდა, წვეტიანი ფრჩხილებით მოჩქმიტა და ჩურჩულით უთხრა:

– თუ კიდევ ერთხელ ჩაერევი საუბარში, შე ნაძირალავ...

ბეჭემოთმა, მეჯლისს რომ არ შეეფერებოდა, ისე ამოისლოკუნა და აღნავლდა:

– დედოფალო... ყური გამისივდება... ჩემი გასივებული ყურით რატომ უნდა ჩავშალო წვეულება? . მე იურიდიულად მოგახსენებთ... იურიდიული თვალსაზრისით... კარგი, ვდუმვარ... ჩათვალეთ, რომ თევზი ვარ და არა კატა, ოღონდ ჩემს ყურს გაუშვით ხელი.

მარგარიტამ კატის ყურს ხელი გაუშვა და სწორედ ამ დროს ნაღვლიანი თვალები შედგა მის წინ.

– ბედნიერი ვარ, დედოფალო, მთვარის ავსების დიდებულ მეჯლისზე რომ მომიწვიეთ.

– მე კი, – უპასუხა მარგარიტამ, – ძალიან მიხარია თქვენი ნახვა, ძალიან. გიყვართ შამპანური?

– რას სჩადით, დედოფალო?! – თითქმის ხრიალით ჩასძახა სასოწარკვეთილმა კაროვიევმა, – ხალხი მოგროვდა!

– მიყვარს! – მუდარით უთხრა ქალმა და უცებ აწრმიუცემლად უთხრა, – ფრიდა, ფრიდა, ფრიდა! მე ფრიდა მქვია, დედოფალო!

– გირჩევთ, დღეს ბევრი შამპანური დალიოთ და დათვრეთ ფრიდა და აღარაფერზე აღარ იფიქროთ, – უთხრა მარგარიტამ.

ფრიდამ ორივე ხელი მარგარიტასკენ გაიშვირა, მაგრამ კაროვიევმა და ბეჰემოთმა ძალზე მოხერხებულად გაარიდეს დედოფალს და ქალიც იმავე წამს სტუმრების ტალღამ გაიტაცა.

ახლა უკვე ქვემოდან ზემოთ კედლად მოიწევდა ხალხი, თითქოს შტურმით იღებდნენ იმ ბაქანს, სადაც მარგარიტა იდგა. ქალების შიშველი სხეულები მამაკაცთა ფრაკებს შორის მოაბიჯებდნენ. მარგარიტასკენ მიემართებოდნენ მათი მზედაკრული, თეთრი, ყავის მარცვლისფერი თუ ერთიანად შავი სხეულები. წითურ, შავ, წაბლისფერ თუ სელივით ღია ფერის თმებში, – შუქის ნაკადში კიაფობდა, ცეკვავდა და იფრქვეოდა ძვირფასი ქვების ათინათები. და თითქოს ვიღაცამ ქვევიდან დაძრულ მამაკაცთა ნაკადს ნაკვერჩხალი შეაფრქვიაო – ფრაკის თეთრი სამკერდეებიდან ათასფრად ლიცლოცებდა ბრილიანტის სარჭები. ახლა მარგარიტა ყოველწამიერად შეიგრძნობდა მუხლზე ტუჩების შეხებას, ყოველწამიერად იშვერდა ხელს საკოცნელად და სახეზე მოუშორებლად შეეყინა ღიმილის ნიღაბი.

– აღფრთოვანებული ვარ, – მონოტონურად მღეროდა კაროვიევი, – აღფრთოვანებული ვართ, დედოფალი აღფრთოვანებულია.

– დედოფალი აღფრთოვანებულია, – ნიღნიღებდა უკნიდან აზაზელო.

– აღფრთოვანებული ვარ, – ჩხაოდა კატა.

– ამ მარკიზამ, – ისევ ბურღუნებდა კაროვიევი, – მამა მოწამლა, ორი ძმა და ორი და, რათა ქონება დაესაკუთრებინა! დედოფალი აღფრთოვანებულია! ქალბატონი მინკინა, ო, რა ლამაზია! ცოტა ნერვიული კი ბრძანდება. აბა, მითხარით, რატომ უნდა დაეწვა თმის სახვევი მაშით მოახლისათვის სახე? ცხადია, ასეთ პირობებში ყელს გამოგჭრიან! დედოფალი აღფრთოვანებულია! დედოფალო, ერთი წუთით მიაპყარით ყურადღება – მისანი და ალქიმიკოსი, იმპერატორი რუდოლფი, კიდევ ერთი ალქიმიკოსი – ჩამოახრჩვეს, აჰ, აი, ისიც! ო, რომ იცოდეთ, რა საოცარი საროსკიპო ჰქონდა სტრასბურგში! ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ! აი, მოსკოველი თერძი ქალი, ყველას გვიყვარს თავისი საოცარი ფანტაზიის გამო. ატელიე ჰქონდა და თან ძალიან სასაცილო რამეც მოიფიქრა... კედელში ორი რგოლი ამოჭრა...

– ქალბატონებმა არ იცოდნენ? – ჰკითხა მარგარიტამ.

– ყველამ იცოდა, დედოფალო, – უპასუხა კაროვიევმა, – ჩვენ აღფრთოვანებულები ვართ. ეს ოცი წლის ყმაწვილი ბავშვობიდანვე უცნაური ფანტაზიით იყო დაჯილდოებული. დიდი მეოცნებე და ახირებული ბავშვი გახლდათ. ერთ ქალწულს შეუყვარდა, ის კი ადგა და ქალწული საროსკიპოს მიჰყიდა.

ქვევიდან სტუმრების მდინარე მოედინებოდა და ამ მდინარეს ბოლო არ უჩანდა. მისი სათავე – უზარმაზარი ბუხარი, თავისი ხახიდან კვლავ და კვლავ აფრქვევდა სტუმრებს. ასე

გავიდა ერთი საათი და მეორე დაიწყო. მარგარიტა უკვე შეიგრძნობდა ჯაჭვის სიმძიმეს, ხელსაც რაღაც საშინელება დაემართა. ახლა, ვიდრე ხელს ასწევდა, შუბლს იჭმუხნიდა, აღარც კაროვიევის საგულისხურო შენიშვნები ართობდა. თვალწვირლ, მონღოლურ, თეთრ თუ შავ სახეებს უკვე ერთმანეთისგან ვეღარ ასხვავებდა, ჟამი-ჟამს ეს სახეები ერთმანეთს ერწყმოდა კიდეც და მათ შორის ჰაერი რატომღაც თრთოლას და შხუილს იწყებდა. მწვავე, ჩხვლეტია ტკვილმა დაუარა მარჯვენა მკლავში, მარგარიტამ კბილი კბილს დააჭირა და მარცხენა ხელით საკარცხულს ჩამოეყრდნო. დარბაზიდან კედელს შეხლილი ფრთების ფათქუნით ისმოდა რაღაც შხუილი და ადვილი მისახვედრი იყო, რომ უთვალავი სტუმარი უკვე ცეკვავდა. მარგარიტას ეჩვენებოდა, თითქოს ამ დარბაზთა სასწაულებრივად მასიური მარმარილოსა და ბროლის იატაკებიც რიტმულად ფეთქავდა.

ვერც კეისარმა კალიგულამ და ვერც მესალინამ ვეღარ მიიქციეს მარგარიტას ყურადღება, როგორც ვერ მიიქცია უთვალავმა მეფემ, ჰერცოგმა, კავალერმა, თვითმკვლელმა, მომწამვლელმა, ჩამოხრჩობილმა და მაჭანკალმა, ციხის ზედამხედველმა და ბანქოს მოთამაშემ, ჯალათებმა, დამსმენებმა, გამყიდველებმა, შეშლილებმა, მაძებრებმა, მოძალადეებმა. ყველა ამათი სახე ერთად აითქვიფა გონებაში, სახეები ერთ უზარმაზარ ლავაშად იქცა და მხოლოდ ერთი სახე ჩაებეჭდა მენსიერებაში – ის სახე მალიუტა სკურატოვს ეკუთვნოდა და მართლაც ცეცხლოვანი წვერით იყო შემოფარგლული. მარგარიტას მუხლი ეკვეთებოდა, ეშინოდა, არ ატირებულყო, ყველაზე დიდ ტანჯვას მარჯვენა მუხლი აყენებდა, რომელზეც სტუმრები კოცნიდნენ. მუხლი გაუსივდა, კანი გაულოურჯდა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენჯერმე საიდანღაც გამოჩნდა ნატაშას ხელი და მუხლზე რაღაც ნელსურნელოვანი გადაუსვა. მესამე საათი რომ მიილია, მარგარიტამ უიმედოდ ჩახედა კიბეს და გახარებული, შეკრთა კიდეც. სტუმართა რიგი შეთხელებულიყო.

– წვეულების კანონი უცვლელია, დედოფალო, – უჩუროხულა კაროვიევმა, – ახლა ტალღა ნელ-ნელა დაცხრება. გეფიცებით, სულ რამდენიმე წუთიღა დაგვრჩა მოსათმენად. აი, ბროკენელი ლოთბაზარების ჯგუფი, ისინი ყოველთვის იგვიანებენ ხოლმე. ჰო, ესენიც მოვიდნენ... ორი მთვრალი ვამპირი... მორჩა? არა, აჰა, ერთიც გამოჩნდა. არა, ორი.

კიბეზე უკვე უკანასკნელი სტუმარი ამოდიოდა.

– ო, ეს ვიღაც ახალი უნდა იყოს, – უთხრა კაროვიევმა და გაბზარული მინიდან თვალმოჭუტულმა გახედა კიბეს, – ჰო, გამახსენდა. ამ კაცს ერთხელ აზაზელო ესტუმრა და კონიაკის სმის დროს ურჩია, თავიდან მოეშორებინა ის ადამიანი, ვისგანაც გამოაშკარავებას ელოდა. და აი, ერთ თავის ხელქვეითს სთხოვა, კაბინეტის კედლებზე შხამი შეესხა.

– რა ჰქვია? – ჰკითხა მარგარიტამ.

– სიმართლე გითხრათ, ჯერ არც მე ვიცი, – უპასუხა კაროვიევმა, – აზაზელოს უნდა ვკითხო.

– გვერდით ვინ მოჰყვება?

– მისი თხოვნის შემსრულებელი. აღფრთოვანებული ვარ! – ამ უკანასკნელ სტუმარს მიესალმა კაროვიევი.

კიბე დაცარიელდა. ზრდილობისამებრ, ერთხანს კიდეც იდგნენ ბაქანზე, მაგრამ ბუხრიდან აღარავინ გამოჩენილა.

წამის შემდეგ მარგარიტა ისევ იმ აუზიან ოთახში აღმოჩნდა. აქ კი ატირდა ტკივილისაგან და პირდაპირ იატაკზე დაწვა. მაგრამ გელლამ და ნატაშამ ფერებ-ფერებით ისევ იმ აუზში ჩააწვინეს, ტანზე სისხლიანი შხაპი გადაავლეს, ისევ დაუზილეს სხეული და მარგარიტაც გამოცოცხლდა.

– კიდევ ერთხელ, ერთხელაც უნდა შემოვუფრინოთ დარბაზს, დედოფალო, – ეჩურჩულებოდა კაროვიევი, – რომ პატივცემულმა სტუმრებმა უპატრონოდ არ იგრძნონ თავი.

მარგარიტა კვლავ გამოფრინდა აუზიანი ოთახიდან. ესტრადაზე, ტიტების მიღმა, სადაც ადრე ვალსების მეფის ორკესტრი უკრავდა, ახლა მაიმუნების ჯაზი ბობოქრობდა. უზარმაზარი, ბაკენბარდებიანი გორილა საყვირით ხელში დახტუნავდა და თან ჯაზს დირიჟორობდა. ერთრიგად ორანგუტანგები ისხდნენ და მბზინავ საყვირებს აჭყვიტინებდნენ. მათ მხრებზე მხიარული შიმშანზეები ჩამოსკუპებულებიყვნენ და პირის გარმონებზე უკრავდნენ. ორი ჰამადრილი, ფაფრები ლომისას რომ მიუგავდათ, როიალზე უკრავდა და როიალის ხმა არც კი ისმოდა, საქსოფონების, ვიოლინოებისა და დოლების ბრაზუნსა და ჭყვიტინ-წრიპინში, რომლებიც გიბონებს, ჰამადრილებს, მანდრილებსა და ანთარებს ეპყრათ ხელთ. მოსარკულ იატაკზე ერთმანეთს შერწყმული უამრავი წყვილი გასაოცარი მოხერხებულობით ბზრიალებდა ერთი მიმართულებით და ყოველივე გზად შემხვედრს წალეკვით ემუქრებოდა. მოცეკვავეთა თავს ზევით ატლასის ცოცხალი პეპლები დაფრინავდნენ, ჭერიდან ყვავილები ცვიოდა. შუქის ჩაქრობისთანავე სვეტთა კაპიტოლიებში მირიადი ციცინათელა ინთებოდა, ჰაერში კი ჭაობის ფუტუროები დაცურავდა.

მარგარიტა ისევ თვალგაუწვდენ, სვეტებით შემოსალტულ აუზთან აღმოჩნდა. უზარმაზარი შავი ნეპტუნი პირიდან აფრქვევდა ვარდისფერ ჩანჩქერს. შამშანურის თავბრუდამხვევი სუნი დაფრფვინავდა აუზის სიანლოვეს. აქ თავაწყვეტილი მხიარულება სუფევდა. აკისკისებული ქალბატონები ფეხსაცმელს იძრობდნენ, ჩანთებს კავალრებს ან ზანგებს აწვდიდნენ, ზეწრებით ხელში მიმოდითდნენ და აკივლებულები, თავით ეშვებოდნენ აუზში. აქაფებული სვეტები ჭერს ასკდებოდა. აუზის ბროლის იატაკიდან ამოფრქვეული შუქი ღვინის სიბლანტეს ალიცლიცებდა და მასში გარკვევით მოჩანდა მოცურავეთა ვერცხლისფერი სხეულები. მობანავენი გალემილები ამოდითდნენ აუზიდან. სიცილ-ხორხოცი სვეტებს ასკდებოდა და აბანოსდარი ბუბუნით ორმაგდებოდა.

ამ აურზაურში მარგარიტას ერთი გამომთვრალი ქალის უაზრო სახე დაამახსოვრდა, ამ უაზრობაშიც თვალებით რომ ევედრებოდა რაღაცას და მარგარიტას ერთადერთი სიტყვა გაახსენდა – ფრიდა. ღვინის ოხშივარი უკვე მასაც ახვევდა თავბრუს, უკვე წასვლასაც აპირებდა, მაგრამ კატამ ახალი ნომერი ჩაატარა აუზში და მარგარიტაც შეყოვნდა. ბეჭემოთმა რაღაც ჩაიპუტუნა ნეპტუნის დაღებულ ხახასთან, იმავ წამს შამშანური შიშინითა და მხუილით გაქრა აუზიდან და ნეპტუნის ხანიდან მუქყვითელი, აუშიშხინებელი, უბუშტუკო სითხე გადმოიფრქვა. ქალბატონებმა ჭყვივლ-კივილით იხუვლეს:

– კონიაკი! – აუზს გაერიდნენ და სვეტებს მიაწყდნენ. რამდენიმე წამში აუზი უკვე სავსე იყო და ჰაერში სამჯერ ამოტრიალებული კატა მოზიმზიმე კონიაკში ჩაენარცხა. შემდეგ ფრუტუნ-ფრუტუნით ამოვიდა, ჰალსტუნი დასველებოდა, ულვაშიდან ოქროსფერი ჩამოსცლოდა და მონოკლიც დაჰკარგოდა. ბეჭემოთის მაგალითს მხოლოდ ერთმა ქალბატონმა – იმ გონებამახვილმა თერძმა და მისმა კავალერმა – უცნობმა ყმაწვილმა მულატმა მიბაძეს. ორივე კონიაკით სავსე აუზში ჩახტა, კაროვიევმაც სწორედ ამ დროს სტაცა ხელი მარგარიტას და მობანავებებს გააშორა.

მარგარიტას მოეჩვენა, რომ ისეთ ადგილას მიფრინავდა, სადაც ქვის უზარმაზარ ტბორებში ლოკოკინების მთები იდგა. შემდეგ მინის იატაკს გადაუფრინა, რომლის ქვეშაც ჯოჯოხეთის ალი ენთო და კოცონთან ეშმაკის თეთრხალათიანი მზარეულები დაფუსფუსებდნენ. მერე თანდათან დაებინდა გონი, აღარც კი ახსოვდა სად, მაგრამ სადღაც თვალი მიაწვდინა ჩაბნელებულ, ჩირაღდნებიან დარბაზს, ვიღაც ასულები ცეცხლზე აშიშხინებულ ხორცს რომ სთავაზობდნენ სტუმრებს და კათხებით მარგარიტას სადღეგრძელოს სვამდნენ. შემდეგ თეთრი დათვები დაინახა, პირის გარმონზე რომ უკრავდნენ და ესტრადაზე „კამარინკას“ ცეკვავდნენ, იქვე იყო მუშაითი სალამანდრაც, ბუნარში რომ არ იწვოდა... და უკვე ხელმეორედ წაერთვა ღონე.

– უკანასკნელი გამოსვლა, – თანაგრძნობით წასჩურჩულა კაროვიევმა, – და ამით დასრულდება ყველაფერი.

მარგარიტა კაროვიევის თანხლებით ისევ წვეულების დარბაზში აღმოჩნდა, იქ უკვე აღარავინ ცეკვავდა. უამრავი სტუმარი სვეტებთან შეჯგუფებულიყო, მხოლოდ დარბაზის შუაგულში დაეტოვებინათ თავისუფალი ადგილი. მარგარიტას აღარც ახსოვდა, ვინ დაეხმარა კვარცხლბეკზე ასვლისას, დარბაზის ამ თავისუფალ შუაგულში რომ გაჩნდა ანაზდად. კვარცხლბეკზე რომ აღიოდა, თავისდა გასაოცრად, საიდანღაც საათის ხმა შემოესმა, თორმეტჯერ რომ შემოჰკრა ზარი. თუმცა მისი ღრმა რწმენით, შუალამე კარგა ხნის გადასული უნდა ყოფილიყო. საიდანღაც მონადენი საათის ზარის უკანასკნელი შემოკვრისთანავე საოცარმა სიჩუმემ დაისადგურა და მარგარიტამ კვლავ დაინახა ვოლანდი. მას აბადონა და აზაზელო მოჰყვებოდნენ. მათ უკან აბადონას მსგავსი რამდენიმე შავი ყმაწვილი მოაბიჯებდა. მხოლოდ ახლალა შენიშნა მარგარიტამ, რომ იქვე, მისი კვარცხლბეკის სიახლოვეს, მეორე ასეთივე კვარცხლბეკი იდგა ვოლანდისათვის. მაგრამ ვოლანდი კვარცხლბეკს არ მიჰკარებია. მარგარიტა იმან გააოცა, რომ ვოლანდს წვეულებაზე ამ უკანასკნელი დიადი გამოსვლის დროსაც იგივე ემოსა, რაც საძინებელ ოთახში ეცვა. იგივე ჭუჭყიანი, საკერებლებიანი პერანგი და ფერხთ ქუსლებჩაღრეცილი, საღამური ფეხსაცმელი. ხელში დაშნა ეპყრა, მაგრამ ამ გაშიშვლებულ დაშნას ჯოხივით ეყრდნობოდა. ის კოჭლობით მიუახლოვდა მისთვის გამზადებულ კვარცხლბეკს, იმავ წამს აზაზელო მიეახლა და სინი მიართვა, რომელზეც მარგარიტამ კაცის მოკვეთილი, კბილებჩამტვრეული თავი დაინახა. ისევ სამარისებური სიჩუმე იდგა და ეს სიჩუმე მხოლოდ ერთხელ დაირღვა, როცა სადღაც შორიდან მოისმა, ამ ვითარებაში ყოვლად გაურკვეველი ზარის წკრიალი, თითქოს სადარბაზოდან კარზე რეკავდნენ.

– მიხაილ ალექსანდროვიჩ, – ხმადაბლა მიმართა ვოლანდმა თავს. ანაზდად თავმა თვალი გაახილა და ამ მკვდარ სახეზე ზაფრადავლილმა მარგარიტამ ჯერ ისევ ცოცხალი, აზრითა და ტანჯვით აღსავსე თვალები დაინახა, – ყველაფერი აღსრულდა, ხომ მეთანხმებით, – უთხრა ვოლანდმა და თვალებში ჩახედა თავს, – თავი ქალმა მოგკვეთათ, არც თათბირი შედგა და მეც თქვენს ბინაში ვცხოვრობ. ეს ფაქტია. ფაქტი კი ყველაზე ჯიუტი რამაა ამქვეყნად. მაგრამ ახლა ჩვენ შემდგომი ამბები გვაინტერესებს და არა ეს უკვე აღსრულებული ფაქტი. თქვენ მუდამ გულწრფელი მიმდევარი ბრძანდებოდით იმ თეორიისა, რომ თავის მოკვეთის შემდეგ სიცოცხლე მთავრდება, ადამიანი მტვრად იქცევა და დავიწყებას ეძლევა. ძალიან მიხარია ჩემი სტუმრების თანდასწრებით გაუწყობა, რომ სწორედ ეს სტუმრები გამოგვადგებიან იმის დასტურად, რომ თქვენი თეორია ერთობ ღირებულია, შეიძლება ითქვას, გონებამახვილოურიც, თუმცა ამქვეყნად ყველა თეორიას ერთი ფასი აქვს. მათ შორის ისეთიც არსებობს, რომლის თანახმადაც, ყველას საკუთარი რწმენის მიხედვით მიეგება. დაე, აღსრულდეს! თქვენ არყოფნაში გადადიხართ, მე კი ამ აზარაფეშით, რადაც ახლა თქვენი თავი იქცევა, სიამოვნებით შევსვამ ყოფიერების სადღეგრძელოს! – ვოლანდმა დაშნა ზეაღმართა, იმავ წამს თავზე კანი ჩამოუქდა, მოიჭმუნა, შემდეგ ნაწილ-ნაწილ ჩამოიფშვნა. თვალები

გაქრა და მარგარიტამ სინზე მოყვითალო-ფირუზისთვლებიანი და მარგალიტისკბილებიანი, ოქროს ფეხზე დამაგრებული თავის ქალა დაინახა. ამ ქალას თავისით გადაეხსნა სახურავი.

– ამწუთას, მესირ, – უპასუხა ვოლანდის გაცეხულ მზერას წამწყდარმა კაროვიევმა, – ახლავე წარდგება თქვენ წინაშე. ამ სამარისებურ სიჩუმეში კარგად მესმის, როგორ ჭრაჭუნობს მისი ლაქის ფეხსაცმელი, როგორ გაიწკრიალა ჭიქამ, მაგიდაზე რომ დადგა, თავის სიცოცხლეში უკანასკნელი ჭიქა შამპანურის დაღვევის შემდეგ... და აი, ისიც!

დარბაზში ვიღაც ახალგაზრდა, ეულმა სტუმარმა შემოაბიჯა და ვოლანდისაკენ გასწია. გარეგნულად თითქმის არაფრით განსხვავდებოდა აქ მყოფი მრავალი სტუმარი მამაკაცისგან. ერთი იყო მხოლოდ: სტუმარი ლამის ბარბაცებდა მღელვარებისგან და ეს შორიდანაც ეტყობოდა. ლოყები აფორეჯებოდა და დაფეთებული აცეცებდა თვალებს. ის გაოგნებული ჩანდა და ეს ბუნებრივიც იყო: ყველაფერი აოცებდა, განსაკუთრებით, ვოლანდის ჩაცმულობა.

თუმცა სტუმარს დიდი პატივით შეხვდნენ.

– აჰ, ძვირფასო ბარონო მეიგელ, – თავაზიანი ღიმილით მიეგება ვოლანდი სტუმარს, რომელსაც თვალები ლამის შუბლზე ასვლოდა, – ბედნიერი ვარ, გაგაცნოთ... – დანარჩენ სტუმრებს მოუბრუნდა ვოლანდი, – დიდად პატივცემული ბარონი მეიგელი, რომელიც სასცენო კომისიაში მუშაობს, უცხოელ მსახიობთათვის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობის ბიუროში.

მარგარიტა ადგილზე გახევდა, ანაზდად იცნო ეს მეიგელი, რამდენჯერმე ენახა მოსკოვის თეატრებსა და რესტორნებში. „როგორ? – გაიფიქრა მარგარიტამ, – მაშასადამე, ესეც მოკვდა?“ მაგრამ ყველაფერი მაშინვე გაირკვა.

– ძვირფასი ბარონი, – მხიარული ღიმილით განაგრძო ვოლანდმა, – იმდენად კეთილი აღმოჩნდა, რომ როგორც კი მოსკოვში ჩვენი ჩამოსვლის შესახებ შეიტყო, მაშინვე დამირეკა და დახმარება შემომთავაზა, ესე იგი, ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად მიმიწვია. ცხადზე ცხადია, მეც საპასუხოდ, დიდი სიხარულით მოვიწვიე ჩემთან.

ამასობაში მარგარიტამ თვალი ჰკიდა, როგორ გადასცა აზაზელომ კაროვიევს თავისქალიანი სინი.

– ისიც სიმართლეა, ბატონო ჩემო, – ლამის ჩურჩულით განაგრძო ვოლანდმა, – რომ ხმა გავრცელდა, თითქოს ძალზე ცნობისმოყვარე ბრძანდებით. იმასაც ამბობენ, რომ ეს ცნობისმოყვარეობა თქვენთვის ესოდენ დამახასიათებელ ენაჭარტალობასთან არის შერწყმული, რაც უკვე ყველას ყურადღებას იპყრობს. მეტსაც გეტყვით, ბოროტმა ენებმა დამსმენისა და ჩამშვების სახელიც დაგიგდეს. და კიდევ მეტიც, არის ვარაუდი, რომ ეს ყველაფერი ერთ თვეში საშინელ აღსასრულამდე მიგიყვანთ. აი, ამიტომაც, ამ საშინელი მოლოდინისგან რომ გიხსნათ, გადავწყვიტეთ, დაგხმარებოდით და თქვენი დაჟინებული თხოვნით გვესარგებლა. ჩვენთან სტუმრობა ხომ მხოლოდ იმიტომ ისურვეთ, რომ გეთვალთვალათ და შეგემოწმებინათ, რაც კი საეჭვოდ მოგეჩვენებოდათ.

ბარონი აბადონაზე მეტად გაფითრდა, შემდეგ კი რაღაც უცნაური მოხდა. აბადონა ბარონს წინ აესვეტა და წამით მოიხსნა სათვალე. იმავე წამს რაღაცამ იელვა აზაზელოს ხელში, რაღაცამ ხმადაბლა გაიტკაცუნა, თითქოს ტაში შემოჰკრესო, ბარონი გულადმა ჩაიკეცა იატაკზე, წითელი სისხლი ამოჩაფუნდა მისი მკერდიდან და განამებული პერანგი და

ჟილეტი შეუღება. კაროვიევმა აზარფემა შეუდგა მჩქეფარე სისხლს და სავსე თავის ქალა ვოლანდს მიართვა. ბარონის უსულო სხეული იატაკზე ეგდო.

– თქვენი სადღეგრძელო იყოს, ბატონებო, – ხმადაბლა თქვა ვოლანდმა, აზარფემა ასწია და ტუჩებით შეეხო.

იმავე წამს სასწაული მოხდა. გაქრა საკერებლიანი პერანგი და ქუსლჩაგრეხილი ღამის ფეხსაცმელი. ვოლანდს შავი მოსასხამი ჰქონდა მხრებზე მოგდებული და რკინის დაშნა ეკეთა წელზე. ის სწრაფად მიუახლოვდა მარგარიტას, აზარფემა მიაწოდა და უბრძანა:

– დალიე!

მარგარიტას თავბრუ დაესხა, შექანდა, მაგრამ აზარფემა უკვე მის ტუჩებთან მიეტანათ და ვიღაცის ხმა, ვისი – ვერ გაარჩია, ყურში ჩასჩურჩულებდა:

– ნუ გეშინიათ, დედოფალო... ნუ გეშინიათ. სისხლი რა ხანია მიწაში ჩაიქცა. და იქ, სადაც სისხლი ეპკურა, უკვე ხარობს ყურძნის მტევნები.

მარგარიტამ თვალის გაუხელებლად მოსვა ერთი ყლოუპი და ნეტარმა თრთოლამ დაუარა ძარღვებში, სმენას ზარის ბუბუნი მისწვდა, თითქოს მამლებიც ყიოდნენ სადღაც და სადღაც მარშს უკრავდნენ. დარბაზს თვალდათვალ მოედო ხრწნა და ირგვლივ სამარის სუნი დატრიალდა. სვეტები ჩამოიქცა, ცეცხლი ჩაქრა, ყოველივე დაიკრუნჩხა და აღარ იყო აღარც ჩანჩქერი, ტიტები თუ კამელიები. იყო მხოლოდ ის, რაც იყო – ოქრომჭედლის ცოლის უბრალო სასტუმრო ოთახი და ღრიჭოდ დარჩენილი კარიდან გამომკრთალი სინათლის ზოლი. და მარგარიტამაც ამ ღრიჭოდ დარჩენილ კარში შეაბიჯა.

თავი ოცდამეოთხე

ოსტატის ხმოვა

ვოლანდის საძინებელში არაფერი შეცვლილიყო, ყველაფერი ისევე დახვდათ, როგორც წვეულებამდე იყო. პერანგის ამარა ვოლანდი ისევ საწოლზე იჯდა, მსოლოდ გელლა აღარ უზელდა მუხლს, იმ მაგიდაზე შლიდა ვახშამს, სადაც ადრე ჭადრაკს თამაშობდნენ. კაროვიევიცა და აზაზელოც მოშლილიფებულიყვნენ, ფრაკები გაეხადათ, მაგიდასთან ისხდნენ, გვერდით კატაც მისკუპებოდათ, ჯერ კიდევ რომ არ მოეშორებინა კისრიდან უკვე ჭუჭყიან ჩვრად ქცეული ჰალსტუხი. მარგარიტა ბარბაციით მიუახლოვდა მაგიდას და ზედ დაეცა. ვოლანდმა მაშინვე თავისთან იხმო, როგორც უწინ და ანიშნა, მის გვერდით დამჯდარიყო.

– ძალიან ხომ არ დაგლალეთ? – ჰკითხა ვოლანდმა.

– არა, მესირ, – ძლივს ამოილულლულა მარგარიტამ.

– ნობლეს ობლიჟ, – თქვა კატამ და ლაფიტის ჭიქაში მარგარიტას რაღაც გამჭვირვალე სითხე დაუსხა.

– არაყია? – სუსტი ხმით იკითხა მარგარიტამ.

განაწყენებული კატა ლამის სკამიდან გადმოვარდა.

– რას ბრძანებთ, დედოფალო, – დაიხრიალა მან, – ქალს არაყს როგორ ვაკადრებდი? სუფთა სპირტია.

მარგარიტამ გაიღიმა და ჭიქის გაწევა სცადა.

– თამამად დალიეთ, – უთხრა ვოლანდმა და მარგარიტამაც იმავე წამს გამოართვა ჭიქა, – გელლა, დაჯექი, – უბრძანა ვოლანდმა და მარგარიტას აუხსნა, – მთვარის ავსების ღამე – დღესასწაულის ღამეა და მეც, ჩემს ამაღლასა და მსახურებთან ერთად გეახლებით ხოლმე ვახშამს. მაშ ასე, თავს როგორ გრძნობთ? როგორ ჩაიარა ამ დამქანცველმა წვეულებამ?

– გასაგიჟებლად, – აჟღერიალდა კაროვიევი, – ყველა აღტაცებული იყო, შეყვარებული და დათრგუნვილი, იმდენი ტაქტი, ცოდნა და მომხიბლაობა გამოამჟღავნა დედოფალმა.

ვოლანდმა უხმოდ ასწია ჭიქა და მარგარიტას მიუჭახუნა. მარგარიტამ მორჩილად შესვა, ეგონა იქვე, დაღვეისთანავე გააფრთხობდა სულს, მაგრამ ცუდი არაფერი მომხდარა. ცოცხალი სითხო ჩაელვარა გულ-მუცელში, რაღაცამ ნაზად უბიძგა კეფაში, ძალის მოზღვავება იგრძნო, თითქოს დიდი ხნის ძილისა და დასვენების შემდეგ გამოფხიზლდაო. ამასთან საშინლად აეწვა კუჭი, მოშივდა და გაახსენდა, გუშინ დილის აქეთ არაფერი ეჭამა. მარგარიტა ხარბად ეცა ხიზილალას.

ბეჭემოთმა ანანასი მოიჭრა, ზედ მარილი და პილპილი მოაყარა, შეჭამა და ისე ყინჩად გადაკრა მეორე სირჩა სპირტი, რომ ყველამ ტაში დასცხო.

მარგარიტამაც გადაკრა მეორე ჭიქა. კანდელაბრებში ჩადგმული სანთლები თვალწინ აუციმციმდა და ბუნარშიც ცეცხლმა იმატა. თრობას ვერ გრძნობდა, თეთრი კბილებით ძიძგნიდა ხორცს, მისი უგემრიელესი წვენი თუ ტკბებოდა და თან ბეჭემოთს აკვირებოდა, როგორ უსვამდა ხამანწკაზე მდოგვს.

– ზემოდან ყურძენსაც ხომ არ დაადებდი? – ჰკითხა გელლამ და მუჯლოგუნი გაჰკრა.

– გთხოვთ, ნუ მასწავლით, – აღშფოთდა ბეჭემოთი, – ნუ ლელავთ, სუფრასთან მეც ვმჯდარვარ!

– ოჰ, რა სასიამოვნოა, აი, ასე, ბუნრის წინ ვახშობა, – ჟღრიალებდა კაროვიევი, – ვიწრო წრეში...

– არა, ფაგოტ, – შეედავა კატა, – მეჯლისიც თავისებურად დიდებული და მომხიბლავია!

– არც მომხიბლავად მიმაჩნია და, მით უმეტეს, არც დიდებულიად. იმ სულელმა დათვებმა და ბარში მომსახურე ვეფხვებმა ხომ ღრიალით ლამის შაკიკი დამმართეს, – თქვა ვოლანდმა.

– მესირ, მესირ, – უთხრა კატამ, – თუ თქვენ თვლით, რომ მეჯლისი დიდებული რამ არ არის, მეც ახლავე შევიცვლი აზრს.

– ნუ გათავზედდი! – უპასუხა ვოლანდმა.

– გავიხუმრე, – თავმოდრეკით უთხრა კატამ, – ხოლო რაც შეეხება ვეფხვებს, ვუბრძანებ, შეწვან.

– ვეფხვის ხორცი არ იჭმება, – თქვა გელლამ.

– დარწმუნებული ხარ? აბა, ერთი მომისმინე, – უთხრა კატამ და კმაყოფილმა და თვალმოწკურულმა მოუთხრო, ერთხელ ცამეტი დღე როგორ დაძრწოდა უდაბნოში და მხოლოდ თავის მიერვე მოკლული ვეფხვის ხორცით იკვებებოდა. ყველამ ყურადღებით მოისმინა ეს საინტერესო ამბავი და როცა ბეჭემოთმა დაასრულა, ერთხმად იყვირეს:

– ტყუის!

– ამ ტყუილში კი ყველაზე საინტერესო ის გახლავთ, – თქვა ვოლანდმა, – რომ თავიდან ბოლომდე, ერთი სიტყვაც არ არის მართალი.

– აჰა, მაშასადამე, გგონიათ, რომ ტყუილია, არა? – წამოიძახა კატამ, ყველას ეგონა, მტკიცებას მოჰყვებოდა, მაგრამ მხოლოდ მორჩილად თქვა, – ისტორია განგვსჯის!

– მითხარით, – აზაზელოს მიმართა არყით გამოცოცხლებულმა მარგარიტამ, – ის ბარონი მართლა მოკალით?

– მოვკალი, – დაუდასტურა აზაზელომ, – რატომ არ უნდა მომეკლა? აუცილებელიც კი იყო.

– ამან ძალიან ამაღელვა! – წამოიძახა მარგარიტამ, – ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა.

– არაფერიც არ მომხდარა მოულოდნელად, – არ დაეთანხმა აზაზელო, კაროვიევი კი აკვნესდა და აკრუსუნდა:

– როგორ არ აღელდებოდით! მეც კი ამიკანკალდა მუხლები! ბუჰ! და ბარონი თვალის დახამხამებაში იატაკზე დაეცა!

– მე ლამის ისტერიკა დამემართა, – დასძინა კატამ და ხიზილალისანი კოვზი გატლიკა.

– იცით, რა ვერ გამიგია, – ამბობდა მარგარიტა და ბროლის ჭიქიდან ასხლეტილი ოქროსფერი ათინათი თვალეხს უციმციმებდა, – ნუთუ გარეთ ამ წვეულების ღრიანცელი და მუსიკის ხმა არ ისმოდა?

– ცხადია, არ ისმოდა, დედოფალო, – აუხსნა კაროვიევმა, – ყველაფერი ისე უნდა გააკეთო, ვერავინ გაიგოს. აუცილებლად აკურატულად უნდა გააკეთო ყველაფერი.

– ჰო, ჰო... თორემ, იცით, ის კაცი, კიბეზე... აი, მე და აზაზელომ რომ ჩავუარეთ... ის მეორეც, სადარბაზოსთან... მგონი, ისინი თქვენს ბინას უთვალთვალევენ...

– მართალს ბრძანებთ, მართალს! – ყვიროდა კაროვიევი, – მართალს ბრძანებთ, ძვირფასო მარგარიტა ნიკოლაევნა! თქვენ მე ეჭვი დამიდასტურეთ! დიახ, ჩვენს ბინას უთვალთვალევენ. მე ლამის დაბნეულ პრივატ-დოცენტად ანდა კიბეზე მოყურყუტე შეყვარებულად მივიჩნიე, მაგრამ, ეტყობა, შევცდი! რაღაც ეჭვი მაინც მიღრღნიდა გულს! აჰა! ბინას უთვალთვალევენ. ის მეორეც, სადარბაზოსთან რომ დგას! ისიც, ეზოში რომ შემოგვხვდა, ისიც იმ დაწესებულებიდან იქნება!

– რა საინტერესოა, წარმოგიდგენიათ, თქვენს დასაპატიმრებლად რომ მოვიდნენ? – ჩაეძია მარგარიტა.

– აუცილებლად მოვლენ, დედოფალო, აუცილებლად! – უპასუხა კაროვიევმა, – გული მიგრძნობს, რომ მოვლენ. თუმცა, რატომღაც მგონია, საინტერესოს ვერაფერს იპოვიან.

– იცით, მართლა შემეშინდა, ბარონი რომ დაეცა, – ისევ თქვა მარგარიტამ, რომელიც აქამდე ვერ შეგუებოდა მის თვალწინ მომხდარ მკვლელობას, – თქვენ, ალბათ, კარგად ისვრით, არა?

– საკმაოდ, – უპასუხა აზაზელომ.

– რამდენ ნაბიჯზე? – ცოტა უცნაური კითხვა დაუსვა მარგარიტამ.

– გააჩნია, რას ვესვრი, – მშვიდად უპასუხა აზაზელომ, – ერთია, კრიტიკოს ლატუნსკის ფანჯრებს ჩაქუჩი დაუმიზნო, და სრულიად სხვაა, მისი გული ამოიღო მიზანში...

– გული ამოიღო მიზანში! – წამოიძახა მარგარიტამ და რატომღაც გულზე იტაცა ხელი, – გული! – გაიმეორა ჩურჩულით.

– ეგ კრიტიკოსი ლატუნსკი ვილაა? – იკითხა ვოლანდმა და თვალმოჭუტულმა გახედა მარგარიტას.

აზაზელომ, კაროვიევმა და ბეჰემოთმა დაირცხვინეს და თავი ჩაქინდრეს, მარგარიტა კი გაწითლდა და უპასუხა:

– ერთი კრიტიკოსია. დღეს საღამოს ბინა დავურბიე.

- რატომ? რა დაგიშავათ?
- ამ კრიტიკოსმა, მესირ, – აუხსნა მარგარიტამ, – ერთი ოსტატი დალუპა.
- მერე, თქვენ რატომ შეიწუხეთ თავი? – ჰკითხა ვოლანდმა.
- თუ ნებას მომცემთ, მესირ... – წამოიძახა გახარებულმა კატამ და წამოხტა.
- იჯექი, იჯექი, – ჩაიბუზღუნა აზაზელომ და წამოდგა, – მე თვითონ წავალ...
- არა! – იყვირა მარგარიტამ, – არა, გემუდარებით, მესირ, არ არის საჭირო.
- როგორც გენებოთ, – უთხრა ვოლანდმა და აზაზელო ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა.
- რაზე შევჩერდით, უძვირფასესო დედოფალო მარგო? – ჰკითხა კაროვიევმა, – აჰ, ჰო, გულზე ვლაპარაკობდით, – კაროვიევმა გრძელი თითი აზაზელოსკენ გაიშვირა, – სადაც გნებავთ, ნებისმიერ გულისგულში ანდა ნებისმიერ შიგნეულში მოარტყამს.

მარგარიტა უცებ ვერ მიუხვდა ნათქვამს და როცა მიხვდა, გაცეცხულმა წამოიძახა:

- შიგნეული ხომ არ ჩანს?
- ძვირფასო, – აჟღერიალდა კაროვიევი, – საქმეც მაგაშია, რომ არ ჩანს. ეგ არის მთავარი! თორემ დაუფარავ საგანს ყველა მოარტყამს!

კაროვიევმა მაგიდის უჯრიდან აგურის შვიდიანი ამოიღო, მარგარიტას მიაწოდა და სთხოვა, ფრჩხილით რომელიმე აგური დაენიშნა. მარგარიტამ კიდურა ზედა ნახატი აირჩია, გელლამ ბანქოს ქალაქი ბალიშის ქვეშ ამოსდო და დაიძახა:

– მზად არის!

აზაზელომ, რომელიც ბალიშისკენ ზურგშექცევით იჯდა, ფრაკის ჯიბიდან შავი, ავტომატური პისტოლეტი ამოიღო, მხარზე გაიღო, საწოლისკენ შეუბრუნებლად გაისროლა და თავისდა უნებურად, მარგარიტაც კი დააფრთხო. ტყვიით გაგლეჯილი ბალიშის ქვემოდან ბანქოს ქალაქი გამოიღეს. დანიშნული აგური გახვრეტილი იყო.

– თქვენთან შეხვედრას ნამდვილად არ ვისურვებდი, როცა ხელში რევოლვერი გიჭირავთ, – აზაზელოს მიეკეკლუცა მარგარიტა. საოცრად უყვარდა ის ადამიანები, ვინც ბრწყინვალედ იცოდა თავისი საქმე.

– ჩემო ძვირფასო დედოფალო, – დაიკრუტუნა კაროვიევმა, – მასთან შეხვედრას არავის ვუსურვებდი, მაშინაც კი, როცა ხელში რევოლვერი არ უჭირავს! ყოფილი რეგენტისა და მომღერლის პატიოსან სიტყვას გაძლევთ, იმ ადამიანის ბედი არვის შეშურდებოდა.

ვიდრე ბანქოს ქალაქზე ცდა მიმდინარეობდა, კატა გაბუსული იჯდა, მერე კი უცბად განაცხადა:

– შემოიძლია აგურის შვიდიანის რეკორდი მოვხსნა!

პასუხად აზაზელომ რაღაც ჩაიდუდღუნა. მაგრამ კატა უკან დახევას არ აპირებდა, თან ერთის ნაცვლად, ორი რევოლვერი მოითხოვა. აზაზელომ მეორე რევოლვერიც ამოიღო შარვლის ჯიბიდან და ზიზღით ტუჩმოქცეულმა, ორივე ერთად გაუწოდა ბაქიას. კატამ ორი აგური მონიშნა შვიდიანზე და ბალიშიდან ზურგშექცეული დიდხანს ემზადებოდა სასროლად. მარგარიტას ყურებზე ხელები ჰქონდა აფარებული და ბუხრის შორენკეცზე ჩათვლემილ ბუს შესცქეროდა. კატამ ორივე რევოლვერი ერთდროულად გაისროლა, იმავ წამს გელლამ შეჰკვილა, მოკლული ბუ ბუხრიდან ჩამოვარდა და დამსხვრეული საათიც გაჩერდა. ხელგასისხლიანებული გელლა წიოკით ეცა კატას, იმანაც არ დაახანა, თმით დაითრია და ასე გადაჭდობილნი, იატაკზე დაგორდნენ. მაგიდიდან ზრიალით გადმოსკდა ორთომელი და დაიმსხვრა.

– მომაშორეთ ეს გადარეული ეშმა! – ჩხაოდა კატა და ზურგზე შემხტარი გელლასაგან თავის დახსნას ცდილობდა. მოჩხუბრები გააშველეს, კაროვიევმა გელლას ტყვიით გახვრეტილ თითს სული შეუბერა და თითიც მაშინვე შეხორცდა.

– შეუძლებელია სროლა, როცა ყურში ვიღაც ჩაგზოუნებს, – ყვიროდა ბეჰემოთი და ზურგიდან ამობდღვნილი კარგა მოზრდილი ბლუჯის უკან მიმაგრებას ცდილობდა.

– სანაძლეოს ვდებ, – ღიმილით თქვა ვოლანდმა და მარგარიტას შეხედა, – ეს ორომტრიალი ძალით მოაწყო. საკმაოდ კარგად ისვრის.

გელლა და კატა შერიგდნენ და ამ შერიგების ნიშნად გადაკოცნეს კიდეც ერთმანეთი. ბალიშის ქვემოდან ოქროს ქაღალდი გამოიღეს და შეამოწმეს. მხოლოდ აზაზელოს ტყვიის ნაკვალევი აჩნდა.

– ეგ შეუძლებელია, – ამტკიცებდა კატა და ბანქოს ქაღალდს კანდელაბრის შუქზე გასცქეროდა.

მზიარული ღრეობა კი გრძელდებოდა. სანთლები იღვენთებოდა, ოთახში ტალღებად იღვრებოდა ბუხრიდან მონადენი მშრალი, სურნელოვანი სითბო და დანაყრებულმა მარგარიტამაც ნეტარი სიზანტე იგრძნო სხეულში. თვალმიზნედილი შესცქეროდა, აზაზელოს სიგარეტიდან ანადენი მტრედისფერი რგოლები როგორ მიცურავდა ბუხრისკენ და როგორ იჭერდა კატა დაშნის წვერით. წასვლა უკვე აღარ უნდოდა, თუმცა კი ხვდებოდა, რომ კარგა გვიანი იყო. ალბათ, საცაა გათენდებოდა. მარგარიტამ სიჩუმით ისარგებლა და მორიდებით მიმართა ვოლანდს:

– ალბათ, ჩემი წასვლის დროც დადგა... უკვე გვიანია.

– სად გეჩქარებათ? – თავაზიანად, მაგრამ ცივად ჰკითხა ვოლანდმა. არც დანარჩენებს დაუწყიათ თავპატიჟი, ისე იქცეოდნენ, თითქოს ბოლის რგოლების დაჭერით იყვნენ გართულები.

– დიახ, წასვლის დროა, – გაიმეორა უკვე წამოჭარხლებულმა მარგარიტამ და ოთახს თვალი მოავლო, მოსასხამი მოიძია – უეცრად ეუხერხულა სიშიშვლე. მერე წამოდგა და მაგიდას გასცილდა. ვოლანდმა ხმის ამოუღებლად აიღო საწოლიდან თავისი გაქუცული და დალაქავებული ხალათი და კაროვიევმა ეს ხალათი მარგარიტას მოასხა მხრებზე.

– მადლობას მოგახსენებთ, მესირ, – ძლივს გასაგონად ჩაიჩურჩულა მარგარიტამ და ყოყმანით შეხედა ვოლანდს. მან პასუხად თავაზიანად, მაგრამ გულგრილად გაუღიმა.

ანაზღად მარგარიტას შავი ნაღველი შემოაწვა გულზე, თავი მოტყუებულად იგრძნო. ისე ჩანდა, არავინ აპირებდა მადლობის გადახდას ამ წვეულებაზე თავდაუზოგავი გარჯისათვის, არც მის შეკავებას აპირებდა ვინმე, იმასაც ცხადად გრძნობდა, რომ აღარსად წაესვლებოდა. სახლი გაახსენდა და შინ დაბრუნების ფიქრმაც კი შეზარა. ან იქნებ თვითონ სთხოვოს მოწყალება, როგორც ანაზღელომ ურჩია ალექსანდრეს პარკში? „არა, არაფრის გულისათვის, „ – გაიფიქრა მარგარიტამ.

– კარგად ბრძანდებოდეთ, მესირ, – თქვა ხმამაღლა, გულში კი გაივლო: „აქედან თუ გავაღწიე, მდინარეში დავინხრჩობ თავს!“

– დაბრძანდით! – უცებ უბრძანა ვოლანდმა. მარგარიტას სახე ეცვალა და დაჯდა, – ნუთუ გამომშვიდობებამდე არაფრის თქმა არ გსურთ?

– სათქმელი არაფერი მაქვს, მესირ, – ამაყად უპასუხა მარგარიტამ, – ცხადია, თუ ისევ გჭირდებით, სიამოვნებით შეგისრულებთ ნებისმიერ სურვილს. სრულიადაც არ დავღლილვარ და ძალიან ვიმზიარულე წვეულებაზე. ამდენად, აქამდეც რომ გაგრძელებულიყო, სიამოვნებით მივუშვერდი მუხლს ათასობით ჩამონხრჩობილსა და მკვლელს, – მარგარიტა თითქოს ფარდის მიღმა ხედავდა ვოლანდს – თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

– სწორია! სრულიად მართალი ბრძანდებით! – ბუბუნით, შემზარავად იყვირა ვოლანდმა, – ასეა საჭირო!

– ასეა საჭირო! – ექოსავით გაიმეორა ვოლანდის ამაღამ.

– გამოგცადეთ, – განაგრძო ვოლანდმა, – არასოდეს არაფერი არ ითხოვოთ! არაფერი! მით უმეტეს იმათგან, ვინც თქვენზე ძლიერია. თვითონ შემოგთავაზებენ და თვითონ მოგცემენ ყველაფერს! დაბრძანდით, ამაყო ქალბატონო, – ვოლანდმა მძიმე ხალათი შემოაგლიჯა მარგარიტას და მარგარიტაც ისევ მის საწოლზე აღმოჩნდა, – მაშ ასე, მარგო, – უთხრა ვოლანდმა და ხმა დაურბილდა, – რას ისურვებდი იმის სანაცვლოდ, რომ დღეს დიასახლისობა გასწიეთ ჩემს წვეულებაზე? რა გნებავთ მიიღოთ თქვენი დღევანდელი სიშიშვლის საზღაურად? რამდენად აფასებთ თქვენს მუხლს? რა ზარალი მოგაყენეს ჩემმა სტუმრებმა, რომელთაც ახლა თქვენ ჩამონხრჩობილები უწოდებთ? მითხარით! და ახლა უკვე დაუმორცხვებლად მითხარით, რადგან მე თავად შემოგთავაზეთ.

მარგარიტას გული აუფართხალდა, მძიმედ ამოიოხრა და დაფიქრდა.

– რაღას უცდით, თამამად! – წააქეზა ვოლანდმა, – გამოაფხიზლეთ ფანტაზია, დეზი ამოჰკარით! თუნდაც იმ გათახსირებული ავაზაკი ბარონის მკვლელობის ცქერა ღირს იმად, რომ ადამიანი დააჯილდოო, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი ქალია. აბა, გისმენთ.

მარგარიტას სუნთქვა შეეკრა და უკვე აპირებდა კიდევ კარგა ხანს გულში ნალოლიავეები და წინასწარ გამზადებული სიტყვების ამოთქმას, მაგრამ ანაზღად გადაფითრდა, პირი დაალო და თვალები დააჭყიტა. „ფრიდა! ფრიდა! ფრიდა! – ყურში ჩაესმა ვილაცის დაჟინებული, მავედრებელი ხმა, – მე ფრიდა მქვია!“ და მარგარიტამ ენის ბორძიკით თქვა:

– მაშასადამე, მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გთხოვოთ?

– შეგიძლიათ მოითხოვოთ, მოითხოვოთ, ჩემო ქალბატონო, – უპასუხა ვოლანდმა და მრავლისმეტყველად გაუღიმა, – მოითხოვეთ ერთი რამ!

ო, რა მოხერხებულად და გარკვევით დაუზუსტა ვოლანდმა მარგარიტას: „ერთი რამ!“

მარგარიტამ ამოიოხრა და თქვა:

– მე მსურს, რომ ფრიდას აღარ მიუტანონ ის ცხვირსახოცი, რომლითაც საკუთარი შვილი გაგუდა.

კატამ ზეცისკენ აღაპყრო თვალები და ხმაურით ამოიქშუტუნა, მაგრამ სიტყვა არ დაუძრავს, ალბათ, წვეულებაზე აწეული ყური გაახსენდა.

– იმის გამო, – დაიწყო ვოლანდმა, – რომ იმ ტუტრუცანა ფრიდასგან ქრთამის მოცემა ყოვლად გამორიცხულია – ეს ხომ შეუფერებელი იქნებოდა თქვენი დედოფლური ღირსებისათვის – აღარც კი ვიცი, რა ვიღონო. ვგონებ, ერთიღა მრჩება – ჭინჭები ვიშოვო და ყველა ხვრელი ამოვქოლო ჩემს საძინებელში!

– რაზე ბრძანებთ, მესირ? – გაოცდა მარგარიტა, ეს მართლაც გაურკვეველი პასუხი რომ მოისმინა.

– გულმოწყალებაზე მოგახსენებთ, – ნათქვამი განმარტა ვოლანდმა და ანთებული თვალით შეაცქერდა მარგარიტას, – ხანდახან სრულიად მოულოდნელად და მაცდურად მოძვრება ხოლმე ყველა ხვრელში. ჰოდა, მეც ამიტომ ვახსენე ჭინჭები.

– მეც იმავეს ვამბობ! – წამოიძახა კატამ და ყოველი შემთხვევისათვის, მაინც გაერიდა მარგარიტას, თან ვარდისფერ კრემში ამოგანგლული თათებით დაიფარა წვეტიანი ყურები.

– მომწყდი თავიდან! – უბრძანა ვოლანდმა.

– ჯერ რომ ყავა არ დამილევია, – წამოიკნავლა კატამ, – ასე წასვლა როგორ შეიძლება? ნუთუ, მესირ, საზეიმო სუფრასთან სტუმრებს ორ ხარისხად ყოფენ? ერთნი – პირველი, მეორე კი, როგორც ის ქვაწვია მებუფეტე ბრძანებდა – მეორე ხარისხის არიან?

– ჩუმად, – გაიმეორა ვოლანდმა და ისევ მარგარიტას ჰკითხა, – თქვენ, როგორც ვატყობ, ძალზე კეთილი ადამიანი ბრძანდებით. მაღალმორალური ადამიანი, არა?

– არა, – უპასუხა მარგარიტამ, – მე ვიცი, რომ თქვენთან მხოლოდ გულახდილად შეიძლება ლაპარაკი და გულახდილად გეტყვი: თავქარიანი ვარ. ახლა მხოლოდ იმიტომ ვუშუამდგომლე ფრიდას, რომ დაუფიქრებლად შევპირდი დახმარებას. ის მელის, მესირ, და მას სჯერა ჩემი ძლიერების. იმედი რომ გავუცრუო, ცუდ დღეში აღმოვჩნდები: მთელი სიცოცხლე ვეღარ ველირსები სიმშვიდეს. ვერაფერს ვიღონებ, ასე გამოვიდა.

– ა, – თქვა ვოლანდმა, – გასაგებია.

– მაშასადამე, თხოვნას შემისრულებთ? – ჩუმად ჰკითხა მარგარიტამ.

– არაფრისდიდებით, – უპასუხა ვოლანდმა, – მინდა გითხრათ, ჩემო დედოფალო, რომ აქ პატარა გაუგებრობა მოხდა. ყოველი უწყება თავის საქმეს უნდა აკეთებდეს. არ დავფარავ, მე

საკმაოდ დიდი შესაძლებლობები მაქვს, უფრო დიდი, ვიდრე ზოგ-ზოგ არცთუ მთლად თვალმახვილ ხალხს ჰგონია...

– დიახ, უფრო მეტი, – ველარ მოითმინა და სიტყვა ჩააკერა ამ შესაძლებლობებით გაამაყებულმა კატამ.

– გაჩუმდი, ეშმაკმა წაგიღოს! – უთხრა ვოლანდმა და ისევ მარგარიტას მიმართა, – უბრალოდ, რატომ უნდა ვაკეთო ის, რისი გაკეთებაც, როგორც მოგახსენეთ, მეორე უწყებას ევალება? მე ამას არ გავაკეთებ, თავად აღასრულეთ.

– მე გავაკეთო?

აზაზელომ ელამი თვალი მარგარიტასკენ გააპარა, ძლივს შესამჩნევად დაუქნია წითური თავი და ჩაიფხუკუნა.

– რაღას უცდით, ბრძანეთ, რა უბედურებაა, ბოლოს და ბოლოს? – აბუზღუნდა ვოლანდი, გლობუსი შემოატრიალა და რაღაცას დააკვირდა, ეტყობოდა, სხვა საქმეც აინტერესებდა მარგარიტასთან საუბრისას.

– აბა ჰე, ფრიდა იხმეთ! – უკარნახა კაროვიევმა.

– ფრიდა! – გამყინავად იკვილა მარგარიტამ.

კარი ყურთამდე გაიღო და თმაგაწეწილი, შიშველი, თუმცა უკვე სრულიად გამოფხიზლებული, თვლებში განწირულებაჩამდგარი ქალი ოთახში შემოიჭრა და მარგარიტასკენ გაიშვირა ხელები. მან კი ამაყად უბრძანა.

– შეწყნარებული ხარ, აღარ მოგიტანენ ცხვირსახოცს.

ფრიდას კივილი აღმოხდა, პირქვე დაასკდა იატაკს და ჯვარივით განირთხა მარგარიტას ფერხთით. შემდეგ ვოლანდმა ხელი აიქნია და ფრიდა გაქრა.

– მადლობას მოგახსენებთ, მშვიდობით, – თქვა მარგარიტამ და წამოდგა.

– ბეჭემოთო, მოდი, ამ საზეიმო ღამეს არაპრაქტიკული ადამიანის გამოუცდელობით ნუ ვისარგებლებთ, – თქვა ვოლანდმა და მარგარიტასკენ იქცა პირი, – მაშასადამე, ეს მე არ მეთვლება, მე არაფერი გამიკეთებია თქვენთვის. რას ისურვებდით?

სიჩუმე ჩამოწვა და ეს სიჩუმე კაროვიევმა დაარღვია, რომელმაც მარგარიტას ყურში ჩასჩურჩულა:

– ჩვენო თვალისჩინო ქალბატონო, ამჯერად მაინც უხმეთ გონიერებას, თორემ ეგებ ბედმა აღარც გაგიღიმოთ!

– მსურს, რომ ახლავე, ამწუთას დამიბრუნონ ჩემი საყვარელი ოსტატი, – თქვა მარგარიტამ და კრუნჩხვით მოექცა სახე.

ანაზდად ქარი შემოიჭრა ოთახში, კანდელაბრებში დანთებული სანთლების ალი გადააფერდა, მძიმე ფარდა გადასწია, ფანჯარა გააღო და შორეულ სიმაღლეში დილისპირის

კი არა, შუალამისეული სავსე მთვარე გამოჩნდა. ფანჯრის რაფიდან იატაკზე ღამისეული ნათლის მომწვანო შლეიფი გაიფინა და ამ შუქში გამოჩნდა ივანუშკას ღამეული სტუმარი, ოსტატს რომ უწოდებდა თავს. მას საავადმყოფოს ტანსაცმელი ეცვა – ხალათი, ჩუსტები და თავზე ის შავი ქუდი ეხურა, რომელსაც არასოდეს იშორებდა ხოლმე. გაუპარსავი სახე მოქცეოდა, შეშლილ-აბნეული უცქეროდა სანთლის ალს, მთვარის შუქი კი დუღდა მის ირგვლივ.

მარგარიტამ მაშინვე იცნო, ამოიგმინა, ხელი ხელს შემოჰკრა და მასთან მიიჭრა. შუბლზე კოცნიდა, ტუჩებში, ჩხვლეტია ლოყაზე ლოყით ეკვროდა და დიდი ხნის შეკავებული ცრემლები ნაკადულებად ჩამოსჩქეფდა ღაწვებზე. ის მხოლოდ ერთ სიტყვას იმეორებდა, განწირული იმეორებდა ერთსა და იმავე სიტყვას:

– შენ... შენ... შენ ხარ...

ოსტატი გაერიდა და დაგუდული ხმით უთხრა:

– ნუ ტირი, მარგო, ნუ მაწვალე. მე მძიმედ ვარ ავად, – ის რაფას ჩაეჭიდა, თითქოს ზედ შეხტომას და გაქცევას აპირებდა. კბილები დაკრიჭა, იქ მსხდომთ მოავლო თვალი და იყვირა, – მეშინია, მარგო, მგონი ისევ დამეწყო ჰალუცინაციები.

მარგარიტას ქვითინი ახრჩობდა და სულშეხუთული, ჩურჩულით იმეორებდა:

– არა, არა, ნუ გეშინია! მე შენთან ვარ! შენთან!

კაროვიევმა მოხერხებულად და შეუმჩნევლად მიუწია ოსტატს სკამი, ისიც დაჯდა, მარგარიტა კი მის ფერხთით დაეცა მუხლებზე, სნეულს მიეხუტა და გაირინდა. აღელვებულმა ვერც კი შენიშნა, უკვე შიშველი რომ აღარ იყო. აწ უკვე აბრეშუმის შავი მოსასხამი ემოსა. სნეულმა თავი დახარა და ნაღვლიანი, სნებიანი თვალებით დააჩერდა იატაკს.

– ჰო, – დიდი ხნის დუმლის შემდეგ თქვა ვოლანდმა, – კარგად დაუმუშავებიათ, – შემდეგ კაროვიევს უბრძანა, – ამ კაცს რამე დააღვეინე, რაინდო!

მარგარიტა ათრთოლებული ხმით ეკედრებოდა ოსტატს:

– დალიე, დალიე, ნუ გეშინია. არა, არა, დამიჯერე, გიშველიან.

ავადმყოფმა ჭიქა გამოართვა და შესვა, მაგრამ ხელი შეუტოკდა და ცარიელი ჭიქა მის ფერხთით დაიმსხვრა.

– ბედნიერების ნიშანია, ბედნიერების! – მარგარიტას წასჩურჩულა კაროვიევმა, – ხედავთ, უკვე გონს მოდის.

მართლაც, სნეულს მზერა დაუწყნარდა, აღარც ისე ველურად იმზირებოდა.

– ნუთუ მართლა შენა ხარ, მარგო? – იკითხა მთვარის სტუმარმა.

– ჰო, მე ვარ, მე, – უპასუხა მარგარიტამ.

– კიდევ! – ბრძანა ვოლანდმა.

მეორე ჭიქის შემდეგ ოსტატს თვალები გამოუცოცხლდა და აზრიანი გაუხდა.

– აი, ეს უკვე სხვა საქმეა, – თქვა ვოლანდმა და თვალები მოჭკუტა, – ახლა ვილაპარაკოთ. მითხარით, ვინ ხართ?

– ახლა არავინ, – უპასუხა ოსტატმა და ღიმილმა დაუმანჭა ტუჩები.

– საიდან მოხვედით?

– სალმობიერი სახლიდან, სულით ავადმყოფი გახლავართ, – უპასუხა მოსულმა.

ეს სიტყვები მარგარიტამ ველარ აიტანა და ისევ აქვითინდა, შემდეგ თვალები ამოიწმინდა და წამოიძახა:

– რა საშინელი სიტყვებია! ის ოსტატია, მესირ, ეს აუცილებლად უნდა იცოდეთ! გემუდარებით, მოარჩინეთ, დამერწმუნეთ, ამას იმსახურებს.

– იცით, ვის ელაპარაკებით? – მოსულს დაეკითხა ვოლანდი, – და ვისთან იმყოფებით?

– ვიცი, – უპასუხა ოსტატმა, – საგიჟეთში ჩემს მეზობლად ის ბიჭი იწვა, ივან უსახლკარო. მან მიაბზო თქვენ შესახებ.

– მახსოვს, მახსოვს, – უპასუხა ვოლანდმა, – ბედნიერება მქონდა იმ ყმაწვილს პატრიარქთა ტბორებთან შევხვედროდი. ლამის მე თვითონ შემშალა ჭკუიდან, დაბეჯითებით მიმტკიცებდა, ეშმაკი არ არსებობსო! თქვენ კი გჯერათ, რომ არსებობს?

– სხვა გზა არა მაქვს, უნდა დავიჯერო, – უთხრა მოსულმა, – მაგრამ, ცხადია, აჯობებდა, ჰალუცინაციად ჩამეთვალეთ. მაპატიეთ, – უხერხულად დასძინა ბოლოს.

– თუ ეს დაგამშვიდებთ, ჩამთვალეთ, – თავაზიანად უპასუხა ვოლანდმა.

– არა, არა! – შეშინებული იმეორებდა მარგარიტა და ოსტატს ანჯღრევდა, – გონს მოდი! შენ წინაშე მართლაც ის დგას!

კატა აქაც ჩაეკვება:

– მე კი მართლა ვგავარ ჰალუცინაციას. აბა, მთვარის შუქზე დააკვირდით ჩემს პროფილს, – კატა მთვარის სვეტში შეძვრა და კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ გაჩუმება ურჩიეს და მანაც ესლა მოასწრო, – კი, ბატონო, კი ბატონო, შემიძლია, სულაც დავდუმდე და მდუმარე ჰალუცინაცია გავხდები, – და გაჩუმდა.

– მითხარით, მარგარიტა რატომ გიწოდებთ ოსტატს? – ჰკითხა ვოლანდმა.

მან ჩაიცინა და უპასუხა:

– ეს მისი სისუსტეა. მარგარიტას ძალიან მოსწონს ის რომანი, მე რომ დავწერე.

– რომანი რაზეა?

– პილატე პონტოელზე.

უცებ ისევ აქანავდა და აცეკვდა სანთლის ალი, მაგიდაზე ჭურჭელი არაწკუნდა, ვოლანდის ხარხარი მეხვიით გაისმა, მაგრამ არც არავინ შეუშინებია და არც გაუოცებია.

– რაზე, რაზე? რა ბრძანეთ? – დიდი ხნის ხარხარის შემდეგ ჰკითხა ვოლანდმა, – აი, ამ დროს? გასაოცარია! სხვა თემა ვერ მონახეთ? მომეცით, თვალი მინდა გადავავლო, – ხელი გაუწოდა ვოლანდმა.

– სამწუხაროდ, ვერ გიჩვენებთ, – უპასუხა ოსტატმა, – ღუმელში დავწვი.

– მაპატიეთ, მაგრამ ვერ დაგიჯერებთ, – უთხრა ვოლანდმა, – ეს შეუძლებელია. ხელნაწერები არ იწვიან, – შემდეგ ბეჭემოთს მიუბრუნდა და უთხრა, – რომანი მომეცი.

კატა მაშინვე სკამიდან ჩამოხტა და ყველამ დაინახა, რომ ხელნაწერით სავსე სქელ საქალაქო იჯდა. ზედა ეგზემპლარი კატამ თავმოდრეკით მიართვა ვოლანდს, მარგარიტა აკანკალდა და შეჰკვივლა, აღელვებულს ისევ გადმოსცვივდა ცრემლები:

– ხელნაწერი! ხელნაწერი!

შემდეგ ვოლანდთან მიიჭრა და აღტაცებულმა შეჰყვირა:

– ყოვლისშემძლე ხართ, ყოვლისშემძლე!

ვოლანდმა მიწოდებული ხელნაწერი აიღო, გადააბრუნ-გადმოაბრუნა, ხმის ამოუღებლად გვერდზე გადადო და ღიმილით მიაჩერდა ოსტატს. ის კი რატომღაც კვლავ დანაღვლიანდა და აღელდა, სკამიდან წამოხტა, ხელებს იმტვრევდა და თითქოს შორეულ მთვარეს მიმართავსო, კვნესოდა:

– ღამით, მთვარის შუქზე არ მაქვს მოსვენება, რატომ შემაწუხებთ? ჰოი, ღმერთებო...

მარგარიტა მის ხელს მისწვდა, ლოყაზე მიიკრა და თვითონაც ნაღვლიანად ამოისლოკუნა:

– ღმერთო, რატომ არ გშველის წამალი?

– არა უშავს, არა უშავს, – ეჩურჩულებოდა კაროვიევი და ოსტატს გარს უვლიდა, – არა უშავს... ერთი ჭიკაც და... მეც თქვენთან ერთად გადავკრავ...

ჭიკამ თვალი ჩააპაჭუნა, მთვარის შუქზე გაბრწყინდა და ნაყოფიც გამოიღო. ავადმყოფს სახე გაუნათდა და ისევ სკამზე დასვეს.

– ახლა ყველაფერი ნათელია, – თქვა ვოლანდმა და გრძელი თითი ხელნაწერზე დააკაკუნა.

– სრულიად ნათელი, – დაუმოწმა კატამ, დაავიწყდა, მდუმარ ჰალუცინაციად ყოფნა რომ დაიქადა, – ახლა ამ ოპუსის მთავარ ხაზს ცხადად ვხედავ. რა თქვი, აზაზელო? – სწრაფად მიმართა ჩუმად მდგარ აზაზელოს.

– მე ვთქვი, – ჩაინიღნინა მან, – რომ ურიგო არ იქნებოდა შენი დახრჩობა.

– შემეწყალე, აზაზელო, – უპასუხა კატამ, – და ჩვენს მბრძანებელს ამ აზრს ნუ ჩაუნერგავ. დამიჯერე, ყოველდღე მთვარეულის სამოსით გეწვევოდი, ისეთით, ამ საბრალო ოსტატს რომ აცვია, ხელს დაგიქნევდი და ჩემკენ გიხმობდი. მოგეწონებოდა?

– აბა, მარგარიტა, – ისევ ჩაილაპარაკა ვოლანდმა, – მითხარი, რას ისურვებდი?

მარგარიტას თვალები წამოენთო და ვედრებით შეხედა ოსტატს.

– ნება მომეცით, ჩუმად დაველაპარაკო.

ვოლანდმა თავი დაუქნია, მარგარიტამაც, ოსტატს ყურზე ტუჩმიდებულმა რაღაც უჩურჩულა, შემდეგ მისი პასუხი გაისმა:

– არა, უკვე გვიანია, ამ ცხოვრებისგან აღარაფერს ველი, მხოლოდ შენ მინდა გხედავდე. მიუხედავად ამისა, მაინც გირჩევ, დამტოვო. ჩემთან დაილუპები.

– არა, არ დაგტოვებ, – უპასუხა მარგარიტამ და ვოლანდს მიმართა, – გთხოვ, ისევ ჩვენს სარდაფში დაგვაბრუნო, არბატის ჩიხში, რომ ისევ ისე ენთოს ლამპა და ყველაფერი ისევე იყოს, როგორც ადრე.

ახლა ოსტატმა გაიცინა, კარგა ხნის წინ ჩამოსწორებულ ხუჭუჭა თმაზე მიეფერა მარგარიტას და უთხრა:

– ამ საბრალო ქალს ყურს ნუ უგდებთ, მესირ. იმ სარდაფში უკვე დიდი ხანია სხვა ადამიანი ცხოვრობს და საერთოდ, შეუძლებელია რამე ისევე იყოს, როგორც იყო, – ოსტატი ლოყით მიეკრო თავის მეგობარს და ჩასჩურჩულა, – საბრალო, ჩემო საბრალო...

– შეუძლებელიაო, ამბობთ? – ჩაეკითხა ვოლანდი, – ეგ მართალია. მაგრამ ჩვენ მაინც ვცდით, – და დასძინა, – აზაზელო!

იმავე წამს ჭერიდან იატაკს ჩამოენარცხა დაბნეული და ლამის გონწართმეული მოქალაქე, რომელიც თეთრეულის ამარა იყო, მაგრამ რატომღაც ჩემოდანი და ქუდი წამოეღო თან.

– მალარიჩი ხარ? – ციდან ჩამოვარდნილს ჰკითხა აზაზელომ.

– ალოიზი მალარიჩი, – უპასუხა მან თრთოლით.

– თქვენ არ იყავით, ამ კაცის რომანზე ლატუნსკის სტატია რომ წაიკითხეთ და იქ შეატყობინეთ, სადაც ჯერ არს, თითქოს ეს კაცი არაღეგალურ ლიტერატურას მალავდა სახლში? – ჰკითხა აზაზელომ.

ახალმოსული მოქალაქე გალურჯდა და მონანიების ცრემლები გადმოსცვივდა თვალთაგან.

– თქვენ მისი ბინის დასაკუთრება გინდოდათ? – რაც შეეძლო გულთბილად დაინიღნილა აზაზელომ.

გამძვინვარებული კატის სისინი გაისმა ოთახში, მარგარიტა კი კვილით ეცა და ფრჩხილებით ჩამოუხოკა სახე.

დიდი არეულობა დაიწყო.

– რას შვრები? – ტანჯული ხმით იყვირა ოსტატმა, – მარგო, სირცხვილია!

– არ გეთანხმებით, სულაც არ არის სირცხვილი! – ყვიროდა კატა.

მარგარიტა კაროვიევმა გამოათრია ჩხუბიდან.

– მე სააბაზანო მოვაშენე, – კბილების კაწკაწით ლულულეებდა სახედასისხლიანებული მალარიჩი, შემდეგ კი რალაც სისულელებს მოჰყვა, – მარტო შეთეთრება რად ღირდა... აჯასპი^[15].

– კარგია, სააბაზანო თუ მოაშენე, – შეაქო აზაზელომ, – ამ კაცს ხშირად დასჭირდება აბაზანის მიღება, – და იყვირა, – მომწყდი თავიდან!

მალარიჩი იმავ წამს თავდაყირა ამოტრიალდა და ვოლანდის საძინებელი ოთახის ფანჯრიდან გარეთ გავარდა.

თვალეზდაჭყეტილმა ოსტატმა ჩაიხურჩულა:

– მგონი, ეს იმაზე მაგარი ამბავია, ივანმა რომ მიაბზო! – სრულიად გაოგნებულმა ოთახს მოავლო თვალი და ბოლოს კატას მიმართა, – მაჰატიეთ... ეს შენ... ეს თქვენ... – მას ენა დაება, აღარ იცოდა, როგორ მიემართა კატისათვის. „შენობით“ თუ „თქვენობით“, – თქვენ ის კატა ბრძანდებით, ტრამვაიში რომ ჯდებოდით?

– დიახ, – დაუდასტურა ნასიამოვნებმა კატამ და დასძინა, – მიხარია, რომ ასე თავაზიანად მომმართავთ. ჩვეულებრივ, კატებს რატომღაც „შენობით“ მიმართავენ ხოლმე, თუმცა ჯერ არც ერთ კატას არავისთან ვახტანგური არ დაუღევია.

– მე, რატომღაც მგონია, რომ თქვენ მთლად კატაც არ უნდა იყოთ, – ჭოჭმანით უთხრა ოსტატმა, – საავადმყოფოში მაინც მომიკითხავენ, – მიმართა ისევ ვოლანდს.

– რატომ უნდა მოგიკითხოვნ? – დაამშვიდა კაროვიევმა და მის ხელში რალაც ქალღლები და წიგნები გაჩნდა, – მგონი ეს თქვენი ავადმყოფობის ისტორიაა.

– დიახ.

კაროვიევმა ოსტატის ავადმყოფობის ისტორია ბუნარში შეაგდო.

– საბუთების გარეშე არც ადამიანი არსებობს, – თქვა კმაყოფილმა კაროვიევმა, – ეს კი, მგონი, თქვენი სარდაფის საბინაო წიგნია.

– დი-ა-ა-ა-ბ...

– ამ ბინაში ვინ არის ჩაწერილი? ალოიზი მალარიჩი? – კაროვიევმა საბინაო წიგნის ფურცლებს სული შეუბერა, – გაქრა, აღარ არის, და ძალიან გთხოვთ, დაიმახსოვროთ, რომ არც არასოდეს ყოფილა. თუ ვინმე იკითხავს, უთხარით, რომ მალარიჩი დაესიზმრა. მალარიჩი? აქ მალარიჩს არასოდეს უცხოვრია... – და კაროვიევმა სადღაც მოისროლა წიგნი, – ახლა ისევ მენაშენის მაგიდის უჯრაში დევს.

– მართალს ბრძანებთ, – თქვა კაროვიევის ნაღვაწით გაოცებულმა ოსტატმა, – რომ ადამიანი უსაბუთოდ არ არსებობს. ამიტომ აღარც მე ვარსებობ, არავითარი საბუთი არ გამაჩნია.

– ბოდიშს გიხდით, – წამოიძახა კაროვიევმა, – მაგრამ მგონი, სწორედ ეგ არის ჰალუცინაცია, – აი, თქვენი საბუთები... – და კაროვიევმა რაღაც ქალაქები მიაწოდა ოსტატს, შემდეგ თვალები ზეაღაპურო და ტკბილად ჩასჩურჩულა მარგარიტას, – აი, თქვენი საგანძურიც, მარგარიტა ნიკოლაევნა, – და მან კიდებშემომწვარი რვეული, გამხმარი ვარდი, ფოტოსურათი და, განსაკუთრებული სიფრთხილით, შემნახველი სალაროს წიგნაკი მიაწოდა, – ათი ათასი, თქვენ რომ შეიტანეთ, მარგარიტა ნიკოლაევნა. ჩვენ სხვისი არაფერი გვინდა.

– უწინ თათებიც მომახმება, ვიდრე სხვისას მივითვისებდე, – წამოიყვირა კატამ, გაიფუყა და ჩემოდანზე განაგრძო ცეკვა, რათა ამ სვედამწვარი რომანის ყველა ეგზემპლარი შიგ ჩაეტენა, – სულ ეს არის, მესირ!

– არა, ჯერ არ დამთავრებულა, – უპასუხა ვოლანდმა და გლობუსს მოშორდა, – ჩემო ძვირფასო ქალბატონო, თქვენს ამაღას რა ვუყოთ? პირადად მე ისინი არ მჭირდებიან.

უცებ ღია კარში ნატაშა შემოიჭრა, ისევე შიშველი, როგორც ადრე, ხელი ხელს შემოჰკრა და იკვილა:

– ბედნიერი იყავით, მარგარიტა ნიკოლაევნა! – შემდეგ ოსტატს დაუკრა თავი და ისევ მარგარიტას მიმართა, – მე ისიც ვიცოდი, სადაც დადიოდით!

– შინამოსამსახურებმა ყველაფერი იციან, – თქვა კატამ და მრავლისმეტყველად ასწია თათი, – დიასახლისებს ჰგონიათ, რომ მოსამსახურეები ბრმები არიან და ვერაფერს ხედავენ.

– რას ისურვებდი, ნატაშა? – ჰკითხა მარგარიტამ, – შინ დაბრუნდები?

– ძვირფასო მარგარიტა ნიკოლაევნა, – შეემუდარა ნატაშა და მუხლი მოიყარა, – სთხოვეთ, – მან ვოლანდს გახედა, – რომ ალქაჯად დამტოვონ. ჩვენს ბინაში ცნოვრება აღარ მინდა. ვილაც ინჟინერს და ტექნიკოსს მაინც არ გავყვები ცოლად! გუშინ წვეულებაზე ბატონმა ჟაკმა მთხოვა ხელი, – ნატაშამ მუჭი გახსნა და რაღაც ოქროს მონეტები უჩვენა.

მარგარიტამ ვოლანდს შეხედა. მან თავი დაუქნია. ნატაშა კისერზე ჩამოეკიდა მარგარიტას, ხმაურიანად აკოცა და გამარჯვების ყიჟინით გაიჭრა ფანჯარაში.

ნატაშას ადგილას ახლა ნიკოლაი ივანოვიჩი გაჩნდა. მას ისევ დაბრუნებოდა ადამიანური სახე, მაგრამ გასაოცრად მოღუშული იყო და ზედმეტად გაღიზიანებული.

– აი, ვის გავუშვებთ დიდი სიამოვნებით, – თქვა ვოლანდმა და ზიზღით გახედა ნიკოლაი ივანოვიჩს, – დიდი სიამოვნებით, რადგან აქ სრულიად ზედმეტია.

– გთხოვთ, ცნობა მომცეთ, – თქვა ნიკოლაი ივანოვიჩმა, თვალებს ველურად აცეცებდა, მაგრამ მაინც დაჟინებით იმეორებდა სტუმარი, – მომეცით ცნობა იმის შესახებ, რომ ღამე აქ გავატარე.

– ცნობა ვის უნდა წარუდგინოთ? – მკაცრად ჰკითხა კატამ.

– მეუღლესა და მილიციას, – მტკიცედ თქვა ნიკოლაი ივანოვიჩმა.

– ჩვეულებრივ, ცნობებს არ გავცემთ ხოლმე, – უპასუხა გაბუსულმა კატამ, – მაგრამ თუ ძალიან გსურთ, თქვენთვის გამონაკლისს დავუშვებთ.

და ნიკოლაი ივანოვიჩმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, შიშველი გელლა უკვე საბეჭდ მანქანასთან იჯდა, კატა კი კარნახობდა:

– „ვადასტურებ, რომ ამ ცნობის წარმომდგენმა, ნიკოლაი ივანოვიჩმა, ზემოთ აღნიშნული ღამე სატანასთან წვეულებაზე გაატარა, გადამყვანი საშუალების სახით... ფრჩხილები გახსენი, გელლა! ფრჩხილებში ჩაწერე – „კურატი“, ხელმოწერა: ბეჭემოთი“.

– რიცხვი? – წამოიკნავლა ნიკოლაი ივანოვიჩმა.

– რიცხვებს არ ვაწერთ, რიცხვის აღნიშვნით ქალაქი გაყალბდება, – უპასუხა კატამ, ქალაქი აიქნია, საიდანაც ბეჭედი აიღო, ზედ დააორთქლა, ქალაქს სიტყვა „გადახდილია“ დასცხო და ნიკოლაი ივანოვიჩს გაუწოდა. ამის შემდეგ ნიკოლაი ივანოვიჩიც უკვალოდ გაქრა, მის ადგილას კი, სრულიად მოულოდნელად, ვიღაც კაცი გაჩნდა.

– ეს ვიღა? – ზიზღით იკითხა ვოლანდმა და სინათლის შუქზე თვალი მოიჩრდილა.

ვარენუხამ თავი ჩაჰკიდა, ამოიხრა და ჩუმად თქვა:

– უკან გამიშვით, ვამპირად ყოფნა არ შემიძლია. მაშინ გელლას დახმარებით ღამის სიკვდილის პირას მივიყვანე რიმსკი. მე კი სულაც არ მიყვარს სისხლი. გამიშვით, თუ შეიძლება.

– ეს რას ბოდავს? – იკითხა ვოლანდმა და სახე მოჭმუნა, – რიმსკი ვიღა? რა სისულელეა?

– თქვენ ამაზე ნუ შეწუხდებით, მესირ, – უპასუხა აზაზელომ და ვარენუხას მიუბრუნდა, – ტელეფონში არ უნდა იუხეშო, არც უნდა იცროო. გაიგე? მეტს აღარ იზამ?

სიხარულმა ვარენუხას თავგზა აუბნია, სახე გაუნათდა და რაღაც აბდაუბდას მოჰყვა:

– ჭეშმარიტი... უფრო სწორად, მინდოდა მეთქვა, თქვენო დი... იმთავითვე, სადილის შემდეგ... – ვარენუხა მკერდში მჯიღს იცემდა და მუდარით შესცქეროდა აზაზელოს.

– კარგი, სახლში მოუსვი, – უბრძანა აზაზელომ და ვარენუხაც ჰაერში გალღვა.

– ახლა ამათთან მარტო დამტოვეთ, – ბრძანა ვოლანდმა და ოსტატსა და მარგარიტაზე მიუთითა.

ბრძანება წამის უსწრაფესად აღსრულდა და ცოტა ხნის დუმილის შემდეგ ვოლანდმა ოსტატს მიმართა:

– მაშასადამე, არბატის სარდაფში ბრუნდებით? თუ ასე გსურთ, ვიღამ უნდა წეროს? რა ეშველება თქვენს ოცნებებს და აღმაფრენას?

– მე უკვე აღარ გამაჩნია ოცნებები და აღარც აღმაფრენა მაქვს, – უპასუხა ოსტატმა, – აღარაფერი მაინტერესებს, მარგარიტას გარდა, – მან ისევ თავზე დაადო ხელი თავის მეგობარს, – მე უკვე გამტეხეს, ყველაფერი მომწყინდა, მხოლოდ იმ სარდაფში მინდა ყოფნა.

– თქვენს რომანს რა ბედი ელის? ან პილატეს?

– სულით ხორცამდე მეზიზღება ეს რომანი, – უპასუხა ოსტატმა, – ძალიან ბევრი უბედურება დამატება თავს.

– გემუდარები, – საბრალოდ შეევედრა მარგარიტა, – ასე ნუ ამბობ. რატომ მაწამებ? ხომ იცი, რომ მთელი სიცოცხლე შევწირე ამ რომანს, – მარგარიტა ისევ ვოლანდს მიუბრუნდა, – არ დაუჯეროთ, მესირ, უბრალოდ, ძალიან ბევრი იტანჯა.

– რაღაც ხომ უნდა წეროთ? – უთხრა ვოლანდმა, – თუ პროკურატორის თემა ამოწურეთ, იქნებ ამ ალოიზზე დაწეროთ რამე?

ოსტატმა გაიღიმა.

– მაგას ლაპშენიკოვა არ დაბეჭდავს და ამას გარდა, არც არავის დააინტერესებს.

– აბა, რითი იარსებებთ? მათხოვრობას აპირებთ?

– არც მაგაზე ვიტყვი უარს, – უთხრა ოსტატმა, მარგარიტა თავისკენ მიიზიდა, მხარზე მოხვია ხელი და დასძინა, – ესეც გონს მოვა და მიმატოვებს...

– არა მგონია, – კბილებში გამოსცრა ვოლანდმა, შემდეგ განაგრძო, – მაშასადამე, კაცი, ვინც პილატე პონტოელზე რომანი დაწერა, სარდაფში ბრუნდება, რათა იქ ლამპის შუქზე სიღარიბეში ამოხდეს სული?

მარგარიტა ოსტატს გაერიდა და აღელვებულმა დაიწყო ლაპარაკი:

– რაც კი შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე, ყველაზე სანუკვარი რამ ჩავჩურჩულე, მაგრამ ესეც უარყო.

– ვიცი, რაც ჩასჩურჩულეთ, – უთხრა ვოლანდმა, – მაგრამ ეგ არ არის ყველაზე სანუკვარი. თქვენ კი გეტყვით, – ოსტატს მოუბრუნდა ვოლანდი, – რომ ეს რომანი ჯერ კიდევ ბევრ სიახლეს მოგიტანთ.

– ძალიან საწყენია, – უპასუხა ოსტატმა.

– არა, სულაც არ არის საწყენი, – უთხრა ვოლანდმა, – საშინელი არაფერი მოხდება. ასე რომ, მარგარიტა ნიკოლაევნა, ყველაფერი აღსრულდა. გულს ხომ არ გეთანაღრებათ?

– რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, მესირ!

– აი, ეს ჩემგან მიიღეთ საჩუქრად, – უთხრა ვოლანდმა და ბალიშის ქვემოდან მომცრო, აღმასებით მოოჭვილი ოქროს ნალი გამოიღო.

– არა, რას ბრძანებთ!

– ჩემთან ჩხუბს აპირებთ? – ღიმილით დაეკითხა ვოლანდი.

და რადგან მარგარიტას მოსასხამზე ჯიბე არ ჰქონდა, ნალი ხელსაწმენდში გაახვია და ყურები გაუკრა. ანაზღად რაღაცამ გააოცა, ისევ ფანჯარაში აღადღაღებულ მთვარეს გახედა და თქვა:

– იცით, რა ვერ გამიგია... ერთთავად შუალამე როგორ არის, სულ შუალამეა... დროის მიხედვით კი უნდა თენდებოდეს.

– საზეიმო ღამის ცოტა ხნით შეყოვნებაც შეიძლება, – უპასუხა ვოლანდმა, – ბედნიერებას გისურვებთ.

მარგარიტამ ორივე ხელი მლოცველივით გაიწვდინა ვოლანდისაკენ, მაგრამ მიახლოება ვერ გაუბედა და ჩუმად უთხრა:

– მშვიდობით! მშვიდობით!

– ნახვამდის! – უპასუხა ვოლანდმა.

შავმოსასხამიანი მარგარიტა და საავადმყოფოს ხალათში გამოწყობილი ოსტატი იუველირის ცოლის სახლის წინკარში გავიდნენ, სადაც სანთლები ენთო და ვოლანდის ამაღა ელოდათ. კარისკენ წავიდნენ, გელლას უკან ჩემოდანი მიჰქონდა, რომელშიც რომანი და ვოლანდის ნაჩუქარი გულსაბნევიც იდო, ბეჭემოთი კი გელლას ეხმარებოდა. კართან კაროვიევი მარგარიტა ნიკოლაევნას და ოსტატს გამოემშვიდობა და გაქრა, დანარჩენები კი კიბეზე ჩაჰყვნენ გასაცილებლად. კიბე ცარიელი იყო, მესამე სართულის ბაქანს რომ გაუსწორდნენ, რაღაცამ რბილად გაიწკარუნა, მაგრამ ყურადღება არავის მიუქცევია. მეექვსე სადარბაზოს გასასვლელთან აზაზელომ ჰაერს შეუბერა და ეზოში გასულეებმა, სადაც ჯერ ისევ ზენიტში იდგა მთვარე, პარმალზე ჩამომჯდარი და ალბათ ღრმად ჩაძინებული ჩექმიანი და კეპიანი კაცი და სადარბაზოსთან მდგარი უზარმაზარი, ფარებჩამქრალი შავი მანქანა დაინახეს. წინა მინაში ბუნდოვნად მოჩანდა ყვავის სილუეტი.

ის იყო უკვე მანქანაში ჩასხდომას აპირებდნენ, რომ მარგარიტამ საშინელი ხმით შეჰკვივლა:

– ღმერთო ჩემო, ნალი დავკარგე.

– მანქანაში ჩასხედით! – უთხრა აზაზელომ, – და დამელოდეთ, ახლავე დავბრუნდები, მხოლოდ გავარკვევ, რაშია საქმე, – და ისევ სადარბაზოში შებრუნდა.

საქმე კი, აი, რაში იყო: ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ოსტატი, მარგარიტა და მათი გამცილებლები კიბეზე დაემშვიდობდნენ, იუველირის ბინის ქვედა სართულზე მდებარე № 48 ბინიდან ერთი გამხდარი ქალი გამოვიდა, ხელში ბიდონი და ჩანთა ეჭირა. ეს ის ანუშკა გახლდათ, ვისაც ორშაბათს, ბერლიოზისდა საუბედუროდ, ზეთი დაეჭვა ლიანდაგზე.

არავინ იცოდა, და ალბათ, ჩვენც ვერასოდეს გავიგებთ, რას საქმიანობდა მოსკოვში ეს ქალი ან რა წყაროთი არსებობდა. მის შესახებ მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ ყოველდღე შეიძლებოდა მისი ნახვა ბიდონით ან ჩანთით ხელში, ხან კი ჩანთითაც და ბიდონითაც ერთად – ნავთის წერტთან, ბაზარში, სახლის კარიბჭესთან, კიბეზე ან უფრო ხშირად, იმ № 48 ბინის სამზარეულოში, სადაც ცხოვრობდა. ამას გარდა და, უფრო მეტად, იმით იყო ცნობილი,

რომ სადაც უნდა მისულიყო ან გამოჩენილიყო ეს არსება, იმავე წამს ერთი ალიაქოთი ატყდებოდა ხოლმე და ისიც იცოდნენ, ამ ქალს ყველა „შავ ჭირს“ ეძახდა.

ჭირი-ანუშკა რატომღაც ადრე დგებოდა. დღეს კი რაღაცამ მთლად დილაბნელზე წამოაგდო, შუალამისას. კლიტეში გასაღებმა გაიჩხაკუნა, კარიდან ჯერ ანუშკას ცხვირი გამოჩნდა, შემდეგ თვითონაც გამოვიდა, მთლიანად, კარი მიხურა და უკვე სადღაც წასვლას აპირებდა, რომ ზედა ბაქანზე კარმა გაიბრახუნა, ვიღაც თავდაყირა დაგორდა კიბეზე, ანუშკას დაეჯახა, გვერდზე მიაგდო და კეფით კედელს შეანარცხა.

– სად ეშმაკებში მირბინარ ასე, საცვლების ამარა? – დაიჩხავლა ანუშკამ და კეფაზე ხელი იტაცა. საცვლებიან-ჩემოდნიან და კეპიან კაცს თვალი არ გაუხელია, ნამძინარევი ხმით უპასუხა:

– გამათბობელი! აჯასპი! მარტო შეღებვა რა დამიჯდა! – და ატირდა, – მომშორდი! – ფეხზე წამოდგა და ისევ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა, თუმცა კიბეზე კი არ დაეშვა, ზევით აირბინა, იქით, სადაც ეკონომისტის ფეხსაცმლით მინა იყო ჩამსხვრეული და ფანჯრიდან თავდაყირა გადაეშვა ეზოში. ანუშკას კეფის ტკივილიც კი გადაავიწყდა, ერთი ამოიგმინა, თვითონაც ფანჯარას მიაწყდა, მუცლით იატაკზე გაწვა და თავი ფანჯარაში გაყო, რათა ფარნით განათებულ ასფალტზე დანარცხებული ჩემოდნიანი კაცი დაენახა, მაგრამ კაცი არსად ჩანდა.

მხოლოდ ისღა რჩებოდა ეფიქრა, რომ ეს ნამძინარევი და საშინელი კაცი ჩიტივით გაფრენილიყო ფანჯრიდან და კვალიც არ დაეტოვებინა... ანუშკამ პირჯვარი გადაისახა და გაიფიქრა: „მანც რა უბედურება სჭირს ამ ორმოცდამეათე ბინას? ხალხი ტყუილად კი არ ლაპარაკობს? უცნაურია!“

ამის გაფიქრებაც ვერ მოასწრო და ზედა კარმა ისევ გაიჯახუნა, ვიღაც ისევ ჩამოასკდა ქვევით მომავალ კიბეს, ანუშკა კედელს აეკრა და დაინახა, რომ საკმაოდ სოლიდურმა, წვერიანმა მოქალაქემ, რაღაცით კურატს რომ მიუგავდა სახე, გვერდით ჩაუქროლა, მანაც, პირველის მსგავსად, ფანჯრიდან ამჯობინა სადარბაზოდან გასვლა და არც ის დანარცხებია ასფალტს. ანუშკას უკვე გადაავიწყდა კიდეც, საით აპირებდა წასვლას, კიბეზე დარჩა და პირჯვრის წერით, ოხვრა-ვაი-ვიშით განაგრძო ბუტბუტი.

მესამე, უკვე უწვერო, თავგადაპარსული, პერანგამოჩაჩული სულ ცოტა ხანში გამოიჭრა ზედა ბინიდან და ისიც ფანჯარაში გაფრინდა.

ანუშკას სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ საკმაოდ ცნობისმოყვარე იყო და გადაწყვიტა, ერთხანს კიდეც დაეცადა, ენახა, კიდეც რაიმე სასწაული ხომ არ მოხდებოდა. ზემოთა კარი ისევ გაიღო და ახლა კიბეზე მთელი ჯგუფი დაეშვა, მაგრამ სირბილით კი არა, ჩვეულებრივ, როგორც ადამიანები დადიან ხოლმე. ანუშკა ფანჯარას მოსცილდა, საკუთარი ბინის კართან მიიბრინა, სასწრაფოდ გააღო, შიგ შეიმალა და ღრიჭოში მისი ცნობისმოყვარე ანთებული თვალეზილა დარჩა.

ვიღაც ავადმყოფი თუ ავადმყოფის მსგავსი, ძალიან უცნაური, ფერმკრთალი, წვერმოშვებული, შავქუდიანი და უცნაურხალათიანი კაცი მუხლის კანკალით ჩამოდიოდა კიბეზე. ამ კაცის ხელი ფრთხილად ეჭირა მის გვერდით მომავალ შავანაფორიან, როგორც ამ ბინდში მოეჩვენა ანუშკას, ქალს. ქალი ფეხშიშველა იყო, ან რაღაც გამჭვირვალე, ერთიანად გაცვეთილი საზღვარგარეთული ფეხსაცმელი ეცვა, თფუი ეშმაკს! ფეხსაცმელი რა მოსატანია, თავით ფეხამდე შიშველი იყო! „ეს რაღა უბედურებაა!“ – ანუშკას სული უმღეროდა იმ სასიხარულო მოლოდინით, რასაც ხვალ მეზობლებს მოუყვებოდა.

უცნაურად ჩაცმულ ქალს უკან სრულიად შიშველი ქალი მოჰყვებოდა და ჩემოდანი მოჰჭონდა, ჩემოდნის გვერდით კი უზარმაზარი შავი კატა მოძუნძულებდა. ანუშკამ ლამის ხმამაღლა შეჰკვივლა და თვალები მოიფშვნიტა.

სულ ბოლოს, კიბეზე მომავალთა უკან, ტანდაბალი, კოჭლი, თვალმობრეცილი, უპიჯაკო უცხოელი მოდიოდა, რომელსაც თეთრი ფრაკის ჟილეტი ეცვა და ჰალსტუხი ეკეთა. ამ ხალხმა ანუშკას ჩაუარა და ქვევით განაგრძო სვლა. უცებ რაღაც დაეცა ბაქანზე. ანუშკამ მილეული ნაბიჯის ხმას ყური მიაღვენა, გველივით გამოსრიალდა კარიდან, ბიდონი კედელთან მიდგა, მუცლით იატაკზე გაწვა და ხელი მოაფათურა. რაღაც მძიმეს წააწყდა. სასწრაფოდ გახსნა ხელსაწმენდი და თვალედაჭყეტილი დააცქერდა ამ ძვირფას ნივთს. თვალები მგელივით უელავდა. ყველაფერი აერია თავში, თითქოს ქარბობოლა დაუტრიალდა: „არაფერიც არ ვიცი! არაფერიც არ მინახავს!.. ძმისშვილთან? თუ ნაწილ-ნაწილ დავხერხო... თვლები შეიძლება ამოვადრო... და სათითაოდ... ერთი პეტროვკაზე, მეორე – სმოლენსკაიაზე... არაფერი მინახავს, არც არაფერი გამიგონია!“

ანუშკამ უბეში ჩამალა ნაპოვნი, ბიდონი აიღო და ის იყო უკან, ბინაში აპირებდა შებრუნებას, რომ ანაზდად ეშმაკმა უწყის საიდან გამომტყვრალი ის თეთრმკერდიანი, ჰალსტუხიანი და უპიჯაკო კაცი წინ აესვეტა და ჩურჩულით უთხრა:

– ნალი და ხელსაწმენდი მომეცი!

– რომელ ხელსაწმენდსა და ნალზე მელაპარაკები? – ჰკითხა ანუშკამ ძალიან მოხერხებული თვალთმაქცობით, – არავითარი ხელსაწმენდი არ მინახავს, მოქალაქევ, თქვენ რა, ნასვამი ხომ არა ხართ?

თეთრმკერდიანმა ძლიერი, ავტობუსის სახელურივით უდრეკი და გაყინული თითები უსიტყვოდ მოუჭირა ყელში, ისე მოუჭირა, რომ სხეულს ჰაერის მიწოდების ყოველგვარი საშუალება მოუსპო. ანუშკას ბიდონი გაუვარდა ხელიდან და იატაკს დაენარცხა. უპიჯაკო უცხოელმა ანუშკა ერთხანს უჰაეროდ ამყოფა, შემდეგ ხელი გაუშვა. ქალმა ჰაერი ჩაისუნთქა და გაიღიმა:

– ააა, ნალი... – დაიწყო მან, – ამწუთას! ეს თქვენი ნალია? მე ხელსაწმენდში გახვეული ვნახე... ავიღე, რომ არავის მოეპარა, თორემ კვალსაც ვერ მიაგნებდით!

როგორც კი ხელსაწმენდში გახვეული ნალი მიიღო, უცხოელმა ანუშკას თავი დაუკრა, ხელი ჩამოართვა და ძლიერი უცხოური აქცენტით გადაუხანდა მადლობა:

– თქვენი უსაზღვროდ მადლიერი ვარ, მადამ, ეს ნალი სახსოვარია და ამდენად ძალიან ძვირფასია ჩემთვის. ნება მიბოძეთ, მისი შენახვისათვის ორასი მანეთი მოგართვათ, – მან ჟილეტის ჯიბიდან მაშინვე ამოიღო ფული და ანუშკას გაუწოდა.

ის კი განწირული იღიმებოდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა:

– აჰ, უღრმესი მადლობა! მერსი, მერსი!

გულუხვმა უცხოელმა ერთი ამოსუნთქვით ჩაათავა კიბე და ვიდრე საბოლოოდ თვალს მიეფარებოდა, ქვევიდან უკვე უაქცენტოდ დაუყვირა:

– შენ, ეი, ბებერო ალქაჯო, თუ ოდესმე კიდეც აიღებ სხვის ნივთს, მილიციას უნდა ჩააბარო და არა უბეში შეინახო!

ანუშკას კიბეზე მომხდარი სასწაულებით ჯერ კიდეც უბზუოდა ტვინი, თავბრუ ესხმოდა და თითქოს კიბეს მიყინული, ადგილიდან ფეხის მოუცვლელად განაგრძობდა ყვირილს:

– მერსი! მერსი! მერსი! – უცხოელი კი რა ხანია, გამქრალიყო.

აღარც მანქანა ჩანდა ეზოში. აზაზელო ვოლანდის საჩუქრის დაბრუნებისთანავე გამოემშვიდობა მარგარიტას, დაინტერესდა, მოხერხებულად თუ იჯდა სკამზე, შემდეგ გელლამ გადაკოცნა გულიანად, კატაც ხელზე ეამბორა, გამცილებლებმა მანქანის კუთხეში მიყუჟულ ოსტატს ხელი დაუქნიეს, ჭილყვავს ანიშნეს, მანქანა დაეძრა და მაშინვე გალღვნენ ჰაერში, კიბეზე ასვლით თავი აღარ შეუწუხებიათ. ჭილყვავმა ფარები ჩართო, იმ კაცს აუარა გვერდი, მკვდარივით რომ ეძინა, ეზოდან გავიდა და უზარმაზარი, შავი მანქანის შუქი ახმაურებული სადოვაიას შუქებს შეერწყა.

ერთი საათის შემდეგ არბატის ჩიხში, მომცრო შენობის სარდაფის წინა ოთახში, სადაც ყველაფერი ისევე დახვდათ, როგორც შარშანდელი შემოდგომის იმ შემზარავ ღამეს დატოვეს, ხვერდის სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან, ენძელებით სავსე ლარნაკის გვერდით მდგარი აბაჟურიანი ლამპის შუქით განათებული მარგარიტა იჯდა და გადატანილი საშინელებებისა და ბედნიერებისაგან ჩუმად ქვითინებდა, წინ ცეცხლის ენებით კიდეებშემომწვარი რვეული ედო, იქვე, გვერდით კი, ჯერ ხელმეუხები ფურცლების დასტა. სახლი დუმდა. მომიჯნავე პატარა ოთახში, ტანტზე იწვა და ღრმა ძილით ეძინა ოსტატს, საავადმყოფოს ხალათწაფარებული მშვიდად სუნთქავდა, უხმაუროდ.

ტირილით რომ გული იჯერა, მარგარიტამ ახალთახალი რვეული აიღო და ის ადგილი მოძებნა, რომელსაც აზაზელოსთან შეხვედრამდე კითხულობდა. არ ეძინებოდა, ალერსიანად ეფერებოდა ხელნაწერს, როგორც საყვარელ კატას ეფერებიან ხოლმე. ხელში ატრიალებდა, ათვალიერებდა, ხან სატიტულო ფურცელს დახედავდა და ხანაც დასასრულს. ანაზდად საშინელმა აზრმა გაუელვა, მოეჩვენა, რომ ეს ყველაფერი ჯადოქრობა იყო, რომ რვეულები უცებ გაქრებოდა, თვითონაც ისევ თავის საძინებელ ოთახში აღმოჩნდებოდა და გაღვიძებულს, ისლა დარჩებოდა, მდინარეში დაეხრჩო თავი. მაგრამ ეს უკანასკნელი საშინელი აზრი მისი ხანგრძლივი ტანჯვის გამოძახილი იყო მხოლოდ. არაფერი ქრებოდა, ყოვლისშემძლე ვოლანდი მართლაც ყოვლისშემძლე იყო და მარგარიტას რამდენიც ეწადა, თუნდაც დილამდე შეეძლო ეფურცლა ეს ახალთახალი რვეულები, დამტკბარიყო მათი ცქერით, ეკოცნა და ეჩურჩულა:

– ხმელთაშუა ზღვიდან დაძრულმა უკუნმა ერთიანად გადაფარა პროკურატორის საძულველი ქალაქი... ჰო, უკუნმა...

თავი ოცდამეხუთე

როგორ ცდილობდა პროკურატორი იუდა კირიათელის ხსნას

ხმელთაშუა ზღვიდან დაძრულმა უკუნმა ერთიანად გადაფარა პროკურატორის საძულველი ქალაქი. ანაზდად გაქრა თავკიდული ბალები, რომლებიც ტაძარს ანტონიუსის უძველეს კოშკთან აერთებდა, ციდან წკვარამი დაეშვა და მთლიანად შთანთქა იპოდრომზე დავანებული ფრთოსანი ღმერთები, ქარვასლა, ჩიხები, ტბორი... გაქრა იერუშალიმი – დიდებული ქალაქი, თითქოს არც არსებულა ამქვეყნად. შემოგარენი უკუნმა მოსრა, უკუნმა, იერუშალიმსა და მის გარეუბნებში რომ დააფრთხო ყოველი ცოცხალი. ზღვიდან უჩვეულო ღრუბელი წამოიზღაზნა, გაზაფხულის თვის ნისანის თოთხმეტს, სადამოსპირზე.

ეს ღრუბელი უკვე ღიპით დასწოლოდა ტაბაკელას მთას, სადაც ჯალათები ჯვარცმულთ ნაჩქარევად ურჭობდნენ ხიშტებს, უკვე იერუშალიმის ტაძარსაც ფარავდა, შემდეგ ბურუსიან ღვარად ჩამოდინდა მისი შემალღებიდან და ქვედა ქალაქიც დატბორა. ღრუბელი აბეზრად იჭრებოდა სარკმელში და დაღრეცილი ქუჩაბანდებიდან შინისკენ მირეკავდა ხალხს. თუმცა ჯერ არ ჩქარობდა ტენის გაღებას, მხოლოდ თვისეულ შუქს ჰფენდა გარემოს. როგორც კი ბურუსიან, შავ ლავას ცეცხლის ენები გასერავდა, ყიამეთიდან ცას ასკდებოდა მბზინავი ქერეჭით მოგუმბათებული, დიდებული, უზარმაზარი ლოდი ტაძრისა, თუმც მაშინვე ქრებოდა ხილვა და ტაძარიც კვლავ უკუნში ინთქმებოდა. ასე რამდენჯერმე ამოზინდა წყვდიადიდან, ისევ უკუნმა შთანთქა და ყოველ ამ შთანთქმას კატასტროფის ღრიალი ახლდა თან.

ასეთივე მოცახცახე ათინათით ბრწყინდებოდა ტაძრის პირისპირ, დასავლეთის ბორცვზე ზეაღმართული ჰეროდე დიდის სასახლე, და შემზარავი, თვალდავსებული ოქროს ქანდაკებანი შავი ცისკენ მალღდებოდნენ ხელაპყრობილნი. შემდეგ ისევ ქრებოდა ციური ცეცხლი და ქუხილის მძვინვარე ხმები უკუნში ნთქავდნენ ოქროს კერპებს.

დეღგმა მოულოდნელად წამოსკდა და მაშინ ჭეჭა-ქუხილი ქარიშხლად იქცა. სწორედ იმ ადგილას, ბაღში, სადაც შუადღისას მარმარილოს საკარცხულთან პროკურატორი და ქურუმთქურუმი საუბრობდნენ, ყუმბარისდარი ზათქით, წკნელივით გადატყდა კვიპაროსი. წყლის შხეფებსა და სეტყვასთან ერთად სვეტოვანში, აივანზე, მოწყვეტილი ვარდები, მაგნოლიის ფოთლები, პატარ-პატარა ტოტები და ქვიშა შემოჰქონდა ქარს. ქარიშხალი წეწავდა ბაღს.

ამ დროს სვეტებქვეშ ერთი კაციღა იმყოფებოდა და ეს კაცი პროკურატორი იყო.

აწ საკარცხულში აღარ იჯდა, ღვინით სავსე დოქებიტა და ნუგბართ დატვირთულ პატარა, დაბალ მაგიდასთან იწვა სარეცელზე. მეორე, ცარიელი სარეცელი მაგიდის გადაღმა იდგა. პროკურატორის ფერხთით ჯერ მოუწმენდი, სისხლივით წითელი ლაქა მოჩანდა, შიგ ჩარჩენილი დოქის ნამსხვრევებით. მსახური, რომელიც ჭეჭა-ქუხილის დაწყებამდე მაგიდას უშლიდა პროკურატორს, ანაზდად მის მზერას წააწყდა, რატომღაც დაიბნა, აღელდა კიდეც, რაღაცით რომ ვერ მოიგო მისი გული და, განრისხებულმა პროკურატორმა მოზაიკიან იატაკს დააღწია დოქი:

– სახეში რატომ არ მიცქერი, როცა საჭმელს მაწვდი? განა რაიმე გაქვს მოპარული?

აფრიკელს შავი სახე ჩაუნაცრისფრდა, თვალელებში სასიკვდილო შიში გაუკრთა, აცახცახდა და ლამის მეორე დოქიც არ მიაყოლა პირველს, მაგრამ პროკურატორს ისევე მალე გადაუარა რისხვამ, როგორც ეწვია. აფრიკელი მაშინვე დაიხარა, დაღვრილი ღვინის მოწმენდა და ნამსხვრევების აკრეფა სცადა, მაგრამ პროკურატორმა ხელი აუქნია და მონაც გაეცალა, გუბე კი დარჩა.

აწ, ჭექა-ჭუხილში, აფრიკელი ნიშის სიახლოვეს მიყუჟულიყო, იქ, სადაც თეთრი, თავდახრილი და შიშველი ქალის ქანდაკება იდგა, ეშინოდა, უდროოდ არ მოხვედროდა თვალში პატრონს და იმავდროულად, არც ის წუთი გამოჰპარვოდა, როცა პროკურატორი იხმობდა.

ჭექა-ჭუხილის უკუნში სარეცელზე მიწოლილი პროკურატორი თავად ისხამდა ღვინოს, ნება-ნება, აუჩქარებლად სვამდა, დროდადრო პურს მოიტეხდა, აქუცმაცებდა, ნაფხვენებს პირში იყრიდა, ხან ლოკოკინას გაწუწნიდა, ლიმონს მიაყოლებდა და ისევე ღვინოს ეძალეობდა.

ეს წყლის ღრიალი, ჭექა-ჭუხილი, რომელიც სასახლის სახურავს ახდით ემუქრებოდა და აივნის კიბეზე არაწკუნებული სეტყვა რომ არა, იმის გაგებაც შეიძლებოდა, როგორ ბუტბუტებდა პროკურატორი და თავს ესაუბრებოდა. ალბათ ამ ციური ცეცხლის ჟამ-ჟამითი გაელვება ერთ გაბმულ ნათებად რომ ქცეულიყო, მოთვალთვალე უთუოდ შენიშნავდა, რაოდენი მოუთმენლობა ეწერა უკანასკნელი დღეების უძილობითა და ღვინით აგზნებულ თვალელებში, დაინახავდა, რომ პროკურატორი არა მარტო ღვინის გუბეში ჩარჩენილ ორ ვარდს უმზერდა, არამედ ერთთავად ბალისკენ ჰქონდა გულისყური მიჰყრობილი, წვიმის მხეფებისა და აბუქებული ქვიშისკენ იმზირებოდა, თითქოს ვიღაცას ელოდა მოუთმენლად, ცოტა ხანიც გავიდა და პროკურატორის თვალწინ თანდათან გაიცრიცა წყლის ფარდა, ნიაღვარმაც იკლო. აღარც რტოები ცვიოდა ლაწუნით. ჭექა-ჭუხილი და ელვის ნათებაც გაიშვიათდა. იერუშალაიმს უკვე თეთრქობიანი იისფერი საფარი აღარ ეფარა, ცაზე ჩვეულებრივი, რუხი ღრუბლები მიცურავდა. ქარიშხალმა მკვდარი ზღვისკენ გადაინაცვლა.

ახლა უკვე შეიძლებოდა წვიმის მხაპუნისა და წყლის ტყლაშუნის გამოცალკეება, რომელიც სადინარებიდან პირდაპირ იმ კიბეზე იღვრებოდა, პროკურატორი რომ მიუყვებოდა დღისით, მოედანზე, მსჯავრის გამოსაცხადებლად. ბოლოს შადრევნის ჩხრიალიც გაისმა. შუქი მომძლავრდა. აღმოსავლეთისკენ აჩქარებულ რუხ საფარში ალაგ-ალაგ ცისფერი სარკმლები გაჩნდა.

უცებ შორიდან, უკვე მთლად მიღეულ წვიმის რაწკუნში, პროკურატორის სმენას მისწვდა საყვირების ხმა და ასობით ცხენის ფლოქვთა თქარათქური. პროკურატორი შეირხა და სახეზე სიცოცხლის ნიშანი დაეტყო. ალა ტაბაკელას მთიდან ბრუნდებოდა და ცხენთა ფეხის ხმაზე ეტყობოდა, ახლა სწორედ იმ მოედანზე უნდა ყოფილიყო, სადაც განაჩენი ეუწყა ხალხს.

ბოლოს და ბოლოს, პროკურატორის სმენას დიდხანს ნალოდინები ნაბიჯის ხმაც მისწვდა და ბალის ზედა ტაფობზე, აივანთან მიბჯენილ კიბის საფეხურზე დამდგარ გუბეებში ფენსაცმლის მხლაპაშნლუპი გაისმა. პროკურატორმა კისერი წაიგრძელა და თვალეები სიხარულით წამოენთო.

მარმარილოს ორ ლომს შორის ჯერ კაპიუშონი გამოჩნდა, შემდეგ კი ერთიანად გაწუწული, ტანზე მოსასხამშემოტმასნილი კაციც. ის იყო, მსჯავრის გამოტანამდე სასახლის

ჩაბნელებულ დარბაზში რომ ესაუბრებოდა პროკურატორს, განაჩენის აღსრულების ჟამს კი სამფეხაზე იჯდა და წკნელს ათამაშებდა ხელში.

კაცმა ბალის ტაფობზე, გუბებში გამოაბიჯა, აივნის მოზაიკურ იატაკზე შემოდგა ფეხი, ხელები ზეცისკენ აღაპყრო და მაღალი, სასიამოვნო ხმით თქვა:

– ჯანმრთელობა და სიხარული პროკურატორს! – ახალმოსული ლათინურად ლაპარაკობდა.

– ჰოი, ღმერთებო! – იყვირა პილატემ, – როგორ დასველებულხართ? რა თავსხმა იყო? გათხოვთ, დაუყოვნებლივ შებრძანდეთ ჩემთან. ძალიან დამავალეხთ, თუ ტანთ გამოიცვლით.

მოსულმა კაპიუშონი გადაიგდო, ერთიანად სველი, შუბლზე თმამიწებებული თავი გამოაჩინა, გაპარსულ სახეზე თავაზიანი ღიმილი გამოხატა და უარი მოახსენა ტანსაცმლის გამოცვლაზე, არწმუნებდა, წვიმა ვერაფერს დამაკლებსო.

– მოსმენაც არ მსურს, – მოუგო პილატემ და ხელი-ხელს შემოჰკრა. მის რისხვას გარიდებული მსახურები იხმო და უბრძანა, მოსულისათვის მიეხედათ, შემდეგ კი დაუხანებლად მიერთმიათ ცხელი საჭმელი. თმის გასაშრობად, ტანსაცმლის და სანდლების გამოსაცვლელად და საერთოდ, თავის წესრიგში მოსაყვანად, პროკურატორის სტუმარს ძალზე ცოტა დრო დასჭირდა და მოკლე ხანში უკვე პროკურატორის წინაშე იდგა თმადავარცხნილი, მშრალი სანდლებითა და მშრალი, მეწამული სამხედრო მოსასხამით.

ის წამი იყო, მზეც დაუბრუნდა იერუშალაიმს და ვიდრე საბოლოოდ ჩაიხრჩობოდა ხმელთაშუა ზღვაში, გამოსათხოვარ სხივებს სტყორცნიდა პროკურატორისათვის ესოდენ საძულველ ქალაქს და აივნის საფეხურებს ოქროთი ფერავდა. შადრევანიც საბოლოოდ მოგუნებდა, ხმიანად ამღერდა, მტრედებიც გამოგოგდნენ, ღულუნებდნენ, ჩამოლეწილ რტოებს ახტებოდნენ და რაღაცას კენკავდნენ სველ ქვიშაში. წითელი გუბეც უკვე მოეწმინდათ, აღარც დოქის ნამსხვრევები ჩანდა და მაგიდაზე ხორცს ასდიოდა ოხშივარი.

– თქვენს ბრძანებას ველი, პროკურატორო, – თქვა მოსულმა და მაგიდას მიუახლოვდა.

– არაფერს გეტყვით, ვიდრე არ დაბრძანდებით და ღვინოს არ შესვამთ, – თავაზიანად უთხრა პილატემ და მეორე სარეცელზე მიუთითა.

მოსული მიწვა, მსახურმა თასი ბლანტი წითელი სითხით აუვსო. მეორე მსახური ფრთხილად გადაიხარა პილატეს ზურგს უკნიდან და პროკურატორს შეუვსო თასი. შემდეგ პილატემ მსახურთ ხელით ანიშნა გაცლა. ვიდრე სტუმარი საჭმელს შეეჭვოდა, პილატე ღვინოს წრუპავდა და თვალმოწკურული აკვირდებოდა მოსულს. შუახნის კაცი იყო, ძალზე სასიამოვნო, დახვეწილი სახე და მსხვილი ცხვირი ჰქონდა. თმის ფერს ვერ გაარკვევდით. ახლა, გაშრობის შემდეგ, თითქოს ქერა ჩანდა. ვერც მის ეროვნებას იტყოდით დანამდვილებით. უმთავრესი, რაც მიმზიდველს ხდიდა მის სახეს, ალბათ, მაინც სიკეთე იყო, თუმც ამ გამომეტყველებას თვალეზი აქრობდნენ, უფრო სწორად, თვალეზი კი არა, მათი უჩვეულო გამოხედვა. მოსული უმეტესწილად ძალზე უცნაური, თითქოს შემუშვებული ქუთუთოების ქვეშ მალავდა თავის წვრილ თვალეზს. და მაშინ, ამ ქუთუთოთა შემაერთებელი ღრიჭოდან უბოროტო ეშმაკობა კრთებოდა. საფიქრალია, რომ პროკურატორის სტუმარი იუმორისკენ იყო მიდრეკილი. მაგრამ დროდადრო თვალთა ღრიჭოებიდან სრულიად დევნიდა ამ აციმციმებულ ეშმაკობას, პროკურატორის აწინდელი სტუმარი ფართოდ ახელდა ქუთუთოებს და თანამოსაუბრეს მოულოდნელი დაჟინებით

აკვირდებოდა, თითქოს რაღაც შეუმჩნეველი ლაქის დანახვა ეწადა მოსაუბრის ცხვირზე. ეს მზერა მხოლოდ ერთ წამს გრძელდებოდა, რის შემდეგაც ქუთუთოები ისევ ვიწროვდებოდა და ღრიჭოდ დარჩენილ ვიწრო ზოლში ისევ ნათდებოდა სიკეთე და ეშმაკური გონიერება.

მოსულს არც მეორე თასზე უთქვამს უარი, თვალნათლივი კმაყოფილებით გადაყლაპა რამდენიმე ლოკოკინა, მოხარშულ ბოსტნეულს გემო გაუსინჯა და ხორცის ნაჭერი შეჭამა.

დანაყრებულმა, ღვინო შეაქო:

– დიდებული ყურძენია, პროკურატორო, მაგრამ არა მგონია „ფალერნო“ იყოს.

– „ცეკუბაა“, ოცდაათი წლის, – თავაზიანად უპასუხა პროკურატორმა.

სტუმარმა მკერდზე მიიღო ხელი, ჭამაზე უარი თქვა და განაცხადა, რომ დანაყრდა უკვე. მაშინ პროკურატორმა თასი შეივსო და სტუმარმაც მას მიბაძა. ორივემ თასებიდან ხორციან თეფშზე გადაისხა ცოტაოდენი ღვინო, პროკურატორმა თასი ასწია და ხმამაღლა თქვა:

– ჩვენ გაგვიმარჯოს, შენ გაგვიმარჯოს, კეისარო, რომაელთა მამას და ადამიანთაგან ყველაზე ძვირფას და საუკეთესო ადამიანს!

ღვინო შესვეს, აფრიკელებმა სუფრა აალაგეს, მხოლოდ ღვინო და ხილი დატოვეს მაგიდაზე. პროკურატორმა მსახურებს ისევ ხელით ანიშნა გაცლა და სტუმართან მარტო დარჩა სვეტოვანში.

– ამ ქალაქის გუნება-განწყობაზე რა შეგიძლიათ მითხრათ? – ჰკითხა პროკურატორმა,

მას თავისდა უნებურად იქით გაექცა მზერა, სადაც ბადის ტერასებს გაღმა, ქვევით, უკანასკნელი სხივებით აოქროსფრებული სვეტები და სახლის ბანები იღველვებოდა.

– ვგონებ, პროკურატორო, – დაიწყო სტუმარმა, – რომ იერუშალაიმში ხალხის განწყობა უკვე დამაკმაყოფილებელია.

– იმდენად, რომ შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ, არეულობა აღარ განმეორდება?

– დარწმუნებულები, – თქვა სტუმარმა და ალერსიანი მზერა შეავლო პროკურატორს, – მხოლოდ ერთ რამეში შეგვიძლია ვიყოთ – დიდებული კეისრის ძლევამოსილებაში.

– ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს, – იმავ წამს სიტყვა შეაგება პილატემ, – და მშვიდობა მისცეს! – ერთხანს იყუჩა და შემდეგ განაგრძო, – მაშასადამე, თვლით, რომ ჯარის გაყვანა შეიძლება?

– ვგონებ, ელვისმტყორცნელი დივიზიის გაყვანა უკვე შეიძლება, – უპასუხა სტუმარმა და დასძინა, – ურიგო არ იქნებოდა, გამოსამშვიდობებლად, მარშით გავევლოთ ქალაქში.

– მშვენიერი აზრია, – მოუწონა პროკურატორმა, – ზეგ გავუშვებ და მეც გავემგზავრები. დამერწმუნეთ, თორმეტი ღმერთის სერობას ვფიცავ, ლარებსა ვფიცავ, ყველაფერს გავიღებდი, ოღონდ დღესვე შემეძლოს წასვლა.

– პროკურატორს არ უყვარს იერუშალაიმი? – უბოროტოდ დაეკითხა სტუმარი.

– ღმერთმა დამიფაროს, – ღიმილით წამოიძახა პროკურატორმა, – ამ მიწისპირზე უფრო უიმედო ადგილი არ მეგულება. ბუნებაზე აღარაფერს ვამბობ! ყოველთვის ავად ვხდები, როცა აქ ჩამოსვლა მიწევს. თუმცა, ამასაც ავიტანდი. ერთთავად ეს დღესასწაულები რომ არ იყოს – მოგვები, მუცლითმეზღაპრენი, ჯადოქრები, მლოცველთა ბრბო... ფანატიკოსები, ფანატიკოსები! თუნდაც ის მესია რად ღირს, წელს რომ ელოდნენ მის მოსვლას! აქ ხომ ყოველ წუთს შეიძლება შემზარავი სისხლის ღვრის მოწმე გახდეს. ერთთავად ჯარს უნდა უცვალო ადგილმდებარეობა, დასმენები და დაბეზღებები იკითხო, რომელთაგან ნახევარი შენზეა დაწერილი! დამეთანხმებით, ეს ყველაფერი მოსაწყენია! ო, იმპერატორის სამსახური რომ არა...

– დიახ, დღესასწაულების დროს აქ ძალზე ჭირს, – დაეთანხმა სტუმარი.

– წრფელი გულით მსურს, მალე დასრულდეს ეს ყოველივე, – ენერგიულად დასძინა პილატემ, – მაშინ საშუალება მომეცემოდა, კესარეაში დავბრუნებულიყავი. თუ დამიჯერებთ, ჰეროდეს ეს ბოდვიანი ნაგებობა, – პროკურატორმა სვეტოვანისკენ გაიშვირა ხელი და ცხადი გახდა, რომ სასახლეზე ლაპარაკობდა, – ნამდვილად ჭკუიდან მშლის. აქ ღამის გათევაც კი მიჭირს. მსოფლიოში ჯერ უფრო უცნაური არქიტექტურა არ მინახავს... დიახ, მაგრამ მოდი, ისევ საქმეს მივუბრუნდეთ. უპირველესად, ის წყეული ბარ-რა-ბა არ გაფიქრებთ?

აი, მაშინ სტყორცნა სტუმარმა ის თავისი უჩვეულო მზერა პროკურატორის ლოყას. თუმცა ის მოწყენილი გასცქეროდა შორეთს, ზიზღით მოეჭმუნა სახე და მის ფერხთით გართხმულ, უკვე ბინდში ჩაძირულ ქალაქს გასცქეროდა. ამასობაში სტუმარმაც ჩააქრო მზერა და ქუთუთოები ჩამოაფარა.

– რატომღაც მგონია, ბარი ახლა კრავივით მშვიდი გახდება, – დაიწყო სტუმარმა და ნაოჭები დაეტყო მრგვალ სახეზე, – ახლა უხერხულიც კი იქნებოდა ჯანყი.

– ძალიან ცნობილია, არა? – ჭირქილით ჰკითხა პილატემ.

– პროკურატორი, როგორც ყოველთვის, ახლაც ზუსტად მიმიხვდა სათქმელს.

– მაგრამ, ყოველი შემთხვევისათვის, – განაგრძო ჩაფიქრებულმა პროკურატორმა და შავბეჭდიანი, თხელი, გრძელი თითი მაღლა ასწია, – აუცილებელი იქნება...

– ო, პროკურატორს შეუძლია დარწმუნებული ბრძანებოდეს, ვიდრე მე ვარ იუდეაში, ბარი უმეტესალყურედ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს.

– ახლა მართლა მშვიდად ვარ, თუმცა მუდამ ასეთ სიმშვიდეს ვგრძნობ, ვიდრე თქვენ აქ მეგულებით.

– ეს დიდი წყალობაა, პროკურატორო!

– ახლა კი გთხოვთ, მსჯავრის შესახებ მაუწყოთ, – უთხრა პროკურატორმა.

– კერძოდ, რა აინტერესებს პროკურატორს?

– ბრბოს აღმფოთების გამოხატვა ხომ არ უცდია? ცხადია, ეს არის მთავარი.

- არა, – უპასუხა სტუმარმა.
- ძალიან კარგი. თქვენ თვით დარწმუნდით, რომ სიკვდილი დადგა?
- პროკურატორს შეუძლია, დარწმუნებული ბრძანდებოდეს.
- ერთი მითხარით... სასმელი თუ მისცეს ჯვარზე გაკვრის წინ?
- დიახ, მაგრამ მან... – აქ სტუმარმა თვალი მოხუჭა, – უარი თქვა სასმელზე.
- კერძოდ, ვინ? – ჰკითხა პილატემ.
- მომიტევეთ, იგემონ! – წამოიძახა სტუმარმა, – სახელი არ გითხარით! ჰა-ნოცრიმ.
- უგუნური! – თქვა პილატემ და რატომღაც სახე დაემანჭა, მარცხენა თვალქვეშ ძარღვი აუტოკდა, – მზის დამწვრობით მოკვდე! ან რატომ უნდა თქვა იმაზე უარი, რაც კანონით გეკუთვნის? მაინც რა თქვა?
- მან თქვა, – ისევ თვალეები მოჭუტა სტუმარმა, – რომ მადლობელია და არ ადანაშაულებს, სიცოცხლე რომ წაართვეს.
- ვის?
- ეგ კი არ უთქვამს, იგემონო.
- ხომ არ უცდია, ჯარისკაცებისთვის ექადაგა?
- არა, იგემონ. ამჯერად ცოტას ლაპარაკობდა. მხოლოდ ისა თქვა, რომ ადამიანთა ცოდვათაგან ერთ-ერთი უმძიმესი ცოდვაა შიშია.
- ეს რის გამო თქვა?- ჩაესმა სტუმარს წამისად გაბზარული ხმა.
- შეუძლებელი იყო გარკვევა. საერთოდ, ძალზე უცნაურად იქცეოდა, თუმცა, როგორც ყოველთვის.
- როგორ უცნაურად?
- ერთთავად იმას ცდილობდა, ირგვლივმყოფთათვის თვალეებში ჩაეხედა, ხან ერთისთვის, ხან მეორისთვის და რაღაც დაბნეულად იღიმებოდა.
- მეტი არაფერი? – იკითხა ხრინწიანმა ხმამ.
- არაფერი.

პროკურატორმა ღვინის დასხმისას თასი აარახუნა, სასმელი ბოლომდე გამოცალა და ისევ თქვა:

- აი, რა მინდა, გითხრათ: თუმცა ჩვენ არ ძალგვიძს აღმოვაჩინოთ, ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მაინც, მისი რომელიმე თაყვანისმცემელი ან მიმდევარი, მაინც იმის მტკიცება, თითქოს ისინი არ არსებობდნენ, შეცდომა იქნებოდა.

თავდახრილი სტუმარი გულისყურით უსმენდა.

– ამიტომ შესაძლებელი მოულოდნელობის თავიდან ასაცილებლად, – განაგრძო პროკურატორმა, – გთხოვთ, დაუყოვნებლივ და უხმაუროდ გააქროთ პირისაგან მიწისა სამივე სიკვდილმისჯილის გვამი და საიდუმლოდ, ჩუმად დამარხოთ ისინი, რათა მათ შესახებ ვერავინ ვერაფერი შეიტყოს.

– გისმენთ, იგემონო, – თქვა სტუმარმა და წამოდგა, – საქმის სირთულისა და ძალზე დიდი პასუხისმგებლობის გამო, ნება დამრთეთ, დაუყოვნებლივ გავემგზავრო.

– არა, ჯერ დაბრძანდით, – უპასუხა პილატემ და ხელის აქნევით შეაჩერა სტუმარი, – კიდევ ორ საკითხზე მსურს მოგელაპარაკოთ. მეორე – თქვენი უდიდესი დამსახურება ამ ურთულეს სამუშაოზე, იუდეველთა პროკურატორის საიდუმლო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე, სასიამოვნო საშუალებას მაძლევს, რომს მოვახსენო ამის შესახებ.

სტუმარს სახეზე ალმური მოედო, წამოდგა, თავი დაუკრა პროკურატორს და თქვა:

– მე მხოლოდ ჩემს ვალს აღვასრულებ იმპერატორის სამსახურში.

– თუმც ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, – განაგრძო იგემონმა, – თუკი დასაწინაურებლად აქედან გადაყვანას დაგიპირებენ, უარი უთხარით და აქ დარჩით... ძალიან არ მინდა თქვენთან განშორება. აჯობებს, რაიმე სხვა გზით დაგაჯილდოონ.

– მე ბედნიერი ვარ თქვენს ხელქვეით სამსახურით, იგემონ.

– სასიამოვნოა. და მესამე – ეს საკითხი იმ კაცს ენება, რა ჰქვია... იუდა კირიათელს.

სტუმარმა ისევ იმ თვისეული მზერით შეხედა პროკურატორს და მაშინვე დამალა თვალები.

– ამბობენ, თითქოს, – ხმას დაუწია პროკურატორმა, – ფული აიღო იმ უგუნური ფილოსოფოსის მასპინძლობაში.

– აიღებს, – ჩუმად შეუსწორა საიდუმლო სამსახურის უფროსმა.

– დიდი თანხა?

– ეგ შეუძლებელია ვინმემ იცოდეს, იგემონო.

– თქვენც კი? – თავისი გაოცებით შეაქო იგემონმა.

– სამწუხაროდ, არც მე ვიცი, – მშვიდად უპასუხა სტუმარმა, – მაგრამ ის კი ვიცი, რომ დღეს საღამოს მიიღებს ფულს. დღეს საღამოს იხმობენ კაიაფას სასახლეში.

– ო, ეს ხარბი კირიათელი ბერიკაცი, – ღიმილით თქვა პროკურატორმა, – ხომ მოხუცია?

– პროკურატორი არასდროს ცდება, მაგრამ ამჯერად ალღომ უმტყუნა, – თავაზიანად უპასუხა სტუმარმა, – კირიათელი ახალგაზრდა კაცია.

– მართლა? შეგიძლიათ დამიხასიათოთ? ფანატიკოსია?

- ო, არა, პროკურატორო.
- გასაგებია... კიდეც რას მეტყვიტ?
- ძალიან ლამაზია.
- კიდეც? შეუძლებელია მისი სისუსტეები არ იცოდეთ.
- ძნელია ამ უზარმაზარ ქალაქში ასე დაწვრილებით იცნობდე ყველას, პროკურატორო...
- ო, არა, აფრანიუს! თავს ნუ ისაწყლებტ!
- ერთი კი დანამდვილებით ვიცი, პროკურატორო, – სულ ერთი წამით დადუმდა სტუმარი, – ხარბია.
- რა ხელობის კაცია?

აფრანიუსმა თვალეტი ზეაღაპყრო, დაფიქრდა და უპასუხა:

- სამღებრო ფარდულში მუშაობს, ერთ-ერთ თავის ნათესავთან.

– ა, ასე, ასე, ასე, – პროკურატორი დადუმდა, მიმოიხედა, შეამოწმა, ვინმე ხომ არ იყო აივანზე, შემდეგ ჩუმად თქვა, – აი, რაშია საქმე. დღეს მე მაცნობეს, რომ ყმაწვილს ამაღამ ყელს გამოსჭრიან.

აქ კი სტუმარმა არამცთუ მზერა სტყორცნა პროკურატორს, ერთხანს აკვირდებოდა კიდეც და მხოლოდ შემდეგომ უპასუხა:

- მგონი, ნაადრევად შემაქეთ, პროკურატორო. ვგონებ, ამ წარდგინებას არ უნდა ვიმსახურებდე. ამის შესახებ მე არაფერი მსმენია.
- თქვენ უმაღლეს ჯილდოს იმსახურებტ, – უპასუხა პროკურატორმა, – მაგრამ ასეთი ცნობა არსებობს.
- თავს ნებას მივცემ, გკითხოტ, ვისგან შეიტყვეტ ეს ამბავი?

– ნება მომეცით, ჯერ არაფერი გითხრატ ამის შესახებ, მით უმეტეს, რომ ძალიან შემთხვევითი, ბუნდოვანი და არც მთლად საიმედო ცნობაა. მაგრამ ვალდებუღი ვარ, ყველაფერი გავითვალისწინო. ჩემი თანამდებობა მავალდებულებს. უფრო მეტად კი, ვალდებუღი ვარ, ჩემს წინათგრძნობას დავუჯერო, რადგან არასდროს მოვუტყუებღივარ. ცნობა კი ამგვარი შინარსისაა, რომ ჰა-ნოცრის ვინმე საიდუმლო მეგობართაგანი, ამ მღებავის შემზარავი ღალატით აღშფოთებუღი, თავის თანამზრახველებთან ერთად ამაღამ აპირებს მის მოკვლას. იმასაც აპირებენ, ღალატში მიღებუღი ფუღი ქურუმთქურუმს მიუყარონ უკან, თან ბართიც გააყოლონ: „გებრუნებტ წყეულ ფულს!“

საიდუმლო სამსახურის მეთაური მეტად აღარ სტყორცნიდა თავის უჩვეულო მზერას პროკურატორს, მხოლოდ თვალდახუჭუღი უსმენდა, პიღატე კი განაგრძობდა:

- აბა, დაფიქრდით, როგორ ეამება ქურუმთქურუმს დღევანდელ ღამეს ამგვარი საჩუქრის მიღება?

– არამცთუ არ ეამება, – ღიმილით უპასუხა სტუმარმა, – ვფიქრობ, ეს ყოველივე დიდ აურზაურს გამოიწვევს, პროკურატორო.

– მეც ასე ვფიქრობ, ამიტომაც გთხოვთ, აუცილებლად მიხედოთ ამ საქმეს, ესე იგი, ყოველი ღონე იხმართ, იუდა კირიათელის დასაცავად.

– თქვენი ბრძანება ასრულდება, იგემონო, – თქვა აფრანიუსმა, – მაგრამ, მსურს დაგამშვიდოთ: არც ისე იოლი იქნება ბოროტგანმზრახველთა ჩანაფიქრის აღსრულება. აბა, წარმოიდგინეთ, – სტუმარი შემობრუნდა და განაგრძო, – ჯერ კვალი უნდა აიღონ, მერე ყელი გამოჭრან, ისიც უნდა შეიტყონ, რა თანხა გადაუხადეს, თან კაიაფასთანაც უნდა მოასწრონ ფულის დაბრუნება, ეს ყველაფერი ერთ ღამეში უნდა მოხდეს? დღეს?

– ეჭვიც არ მეპარება, რომ დღეს აუცილებლად გამოსჭრიან ყელს, – ჯიუტად გაიმეორა პილატემ, – გული მიგრძნობს, დამერწმუნეთ! ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, გუმანი გამცრუებოდეს, – ანაზღად კრუნჩხვით მოექცა სახე და ხელები მოიფშვნიტა.

– მესმის, – მორჩილად უპასუხა სტუმარმა, წამოდგა, წელში გაიმართა და უცებ მკაცრად იკითხა, – მაშასადამე, ყელს გამოსჭრიან, იგემონო?

– დიახ, – უპასუხა პილატემ, – და მე მხოლოდ თქვენი ყოვლად გასაოცარი გულმოდგინების იმედილა მაქვს.

სტუმარმა მოსასხამის ქვეშ მძიმე სარტყელი შემოირტყა და თქვა:

– მაქვს პატივი, ჯანმრთელობა და სიხარული გისურვოთ!

– ჰო, – ხმადაბლა წარმოთქვა პილატემ, – ლამის დამავიწყდა! მე ხომ თქვენი ვალი მმართვებს!..

სტუმარი გაოცდა.

– რას ბრძანებთ, პროკურატორო, ჩემი არაფერი გმართებთ.

– როგორ არა! გახსოვთ, იერუშალაიმში შემოსვლისას, მათხოვართა ბრბო... მათთვის ფულის მიცემას რომ ვაპირებდი და ჯიბეზე ფული არ აღმომაჩნდა... მაშინ ფული თქვენ გამოგართვით.

– ამის გახსენებაც არ ღირს, პროკურატორო!

– არც დავიწყება შეიძლება.

პილატე შებრუნდა, მის ზურგს უკან, სავარძელზე გადაკიდებული მოსასხამი აიღო, იქიდან ტყავის ქისა ამოიღო და სტუმარს მიაწოდა. მან, ქისის გამორთმევისას, თავი მოუდრიკა პროკურატორს და ქისა მოსასხამში ჩამალა.

– გელით, – უთხრა პროკურატორმა, – ამაღამვე უნდა მომახსენოთ მსჯავრდებულთა დასაფლავების და იმ იუდა კირიათელის საქმის შესახებ, გესმით, აფრანიუს, ამაღამვე. ბადრაგს ვუბრძანებ, თქვენი დაბრუნებისთანავე გამალვიძონ. გელით!

– მაქვს პატივი, – პროკურატორს დაემშვიდობა საიდუმლო სამსახურის უფროსი, შებრუნდა და აივნიდან გავიდა. ისმოდა, მის ფეხქვეშ როგორ ხრაშუნობდა სველი ქვიშა, შემდეგ ჩექმების ბრაგუნიც გაისმა მარმარილოზე, ლომებს შუა ჯერ ფეხები გაქრა, შემდეგ – ტანი, ბოლოს – კაპიუშონიც. და მხოლოდ ახლავდა შენიშნა პროკურატორმა, მზე ჩასულიყო და ბინდი იდგა.

თავი ოცდამეექვსე

დასაფლავება

ეგებ ეს ბინდი იყო იმის მიზეზი, პროკურატორს რომ ასე მკვეთრად ეცვალა სახე. თითქოს თვალდათვალ ჩამოებრდა, მოიხარა და ანერვიულდა. ერთხელ უკანაც მიიხედა და რატომღაც შეკრთა, ცარიელ სავარძელს რომ ჰკიდა თვალი, რომლის საზურგეზეც მოსასხამი იყო გადაფენილი. დღესასწაულის ღამე ახლოვდებოდა, ბინდისეული ჩრდილები ათამაშდა და პროკურატორს მოეჩვენა, რომ ვიღაც იჯდა სავარძელში. წამიერ სისუსტეს მინებებულმა პროკურატორმა მოსასხამი ხელით მოსინჯა კიდეც, შემდეგ შებრუნდა და აივანზე მოჰყვა ბოლთის ცემას, ხან ხელებს იფშვნიტდა, ხან ისევ მაგიდასთან ბრუნდებოდა თასის ასაღებად, ხან კი, ერთ ადგილზე გახევებული, ისე აჩერდებოდა მოზაიკიან იატაკს, თითქოს იქ რაღაცის ამოკითხვა ეწადა.

დღეს უკვე მეორედ გათანგა ნაღველმა. მან საფეთქლები შეიზილა, ჯერ კიდეც დილანდელი, ჯოჯოხეთური ტკივილის უაზრო, ოდნავდა მკვნესავი მოგონებით რომ უფეთქავდა, და იმის მიხვედრა სცადა, რა უტანჯავდა ასე ძლიერად სულს. იმავე წამს მიხვდა კიდეც, მაგრამ თავის მოტყუება არჩია. ცხადად იცოდა, რომ ამ დილით უკანმოუბრუნებლად დაკარგა რაღაც და ახლა ამ დანაკარგის გამოსწორება ეწადა წვრილმანი, უმნიშვნელო და, რაც მთავარია, დაგვიანებული მოქმედებებით. საკუთარ თავს კი იმით იტყუებდა პროკურატორი, რომ ცდილობდა ერწმუნა, თითქოს საღამოსეული ეს ქმედებანი არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე დილანდელი განაჩენი. მაგრამ მაინც ვერ დააჯერა თავი.

ბოლთის ცემისას ანაზღად მოწყვეტით შედგა და დაუსტვინა. ამ სტვენის პასუხად ბინდში ბონი ყეფა გახმიანდა, ბალიდან აივანზე უზარმაზარი, ყურწამახული რუხი ნაგაზი შემოიჭრა, მოოქრული საყელური რომ ეკეთა.

– ბანგა, ბანგა, – სუსტი ხმით იხმო პროკურატორმა.

ძალი უკანა თათებზე აიტოტა. წინა თათებით მხრებზე დაეყრდნო პატრონს, ლამის წააქცია და ლოყა აულოკა. პროკურატორი სავარძელში ჩაჯდა. აქლოშინებული, ენაგადმოგდებული ბანგა ფერხთით მიუჯდა და მისი თვალებიდან გამომკრთალი სიხარულით ცხადლივდებოდა, რაოდენ კმაყოფილი იყო, რომ ბოლოს და ბოლოს, დასრულდა ქარიშხალი, ერთადერთი, რისიც ეშინოდა ამ უშიშარ ძალს. და რომ ისევ აქ იყო, იმ ადამიანის გვერდით, ვინც უყვარდა, პატივს სცემდა, უძლეველად და მსოფლიოს მბრძანებლად მიაჩნდა და ვისი წყალობითაც საკუთარ თავსაც ერთობ პრივილეგირებულ, მაღალ და განსაკუთრებულ არსებად მიიჩნევდა. მაგრამ პროკურატორის ფერხთით გაწოლილ ძალს, თავის პატრონს რომ არც კი უცქეროდა და საღამოს ბინდისკენ ჰქონდა მზერა მიპყრობილი, იმავე წამს რაღაცამ მიახვედრა პატრონის უგუნებობა. მაშინვე წამოხტა, გვერდიდან მოუარა, წინა თათები და თავი კალთაში ჩაუდო და მოსასხამი სველი ქვიშით დაუსვარა. ამ მოქმედებით ალბათ ეწადა, მიეხვედრებინა პატრონი, რომ თანაუგრძნობდა და მზად იყო, მასთან ერთად აეტანა ყველა განსაცდელი. იმავეს გამოხატავდა პატრონისაკენ მიპყრობილი მისი თვალები და დაძაბული, დაცქვეტილი ყურები. ასე, აივნიდან ფენმოუცვლელად შეხვდა დღესასწაულის ღამეს ერთურთის მოყვარული ორი არსება – ძალი და ადამიანი.

პროკურატორის სტუმარი კი, ამასობაში დიდ გაწამაწიაში იმყოფებოდა: აივანს მიჯრილი ბალის ზედა ტაფობი რომ დატოვა, ბალის ქვედა ტერასამდე ჩაუყვა კიბეს, შემდეგ მარჯვნივ გაუხვია და ყაზარმისკენ აიღო გეზი, სასახლის ტერიტორიაზე რომ იყო განთავსებული. ამ

ყაზარმებში იმყოფებოდა პროკურატორთან ერთად იერუშალაიმში სადღესასწაულოდ ჩამოსული ორი კენტურია და პროკურატორის საიდუმლო დაცვა, რომელსაც სტუმარი მეთაურობდა. იგი სულ ცოტა ხნით შეყოვნდა ყაზარმებში, დაახლოებით, ათ წუთს, მაგრამ ამ ათი წუთის შემდეგ ყაზარმის ეზოდან სასანგრო იარაღებითა და წყლიანი კასრით დატვირთული სამი ურემი გამოვიდა. ურემს თხუთმეტიოდე რუხმოსასხამიანი მხედარი მოჰყვებოდა. მხედრებადევნებულმა ურემებმა სასახლე უკანა კარიბჭიდან დატოვეს, დასავლეთისკენ გაეშურნენ, შემდეგ ქალაქის კედლის ბჭეც განვლეს, ჯერ ბეთლემის გზით განაგრძეს სვლა, შემდეგ ჩრდილოეთისკენ გადაუხვიეს, ჰებრონის კარიბჭის გზაჯვარედინს მიადგნენ და უკვე იქიდან იაფის გზას შეუდგნენ, რომელსაც დილას მსჯავრდებულნი და პროცესია მიუყვებოდა. უკვე ბნელოდა კიდეც და ჰორიზონტზე მთვარე გამოჩნდა.

როგორც კი ურემები და მხედრები თვალს მიეფარნენ, სასახლის ეზო პროკურატორის სტუმარმაც დატოვა. უკვე მუქი, გაქუცული ქიტონი ეცვა და ცხენზე ამხედრებულიყო. თვითონ ქალაქისაკენ წავიდა, ცოტა ხნის შემდეგ ანტონიუსის ციხესიმაგრეში შემავალს ნახავდით, ქალაქის ჩრდილოეთით, თვით დიდებული ტაძრის სიახლოვეს რომ იდგა. არც ამ ციხესიმაგრეში შეყოვნებულა დიდხანს და სულ მალე უკვე ქვედა ქალაქში გამოჩნდა, მის ოკრობოკრო და უთავბოლო ქუჩაბანდებში. აქ უკვე ჯორზე მჯდარი მოვიდა.

სტუმარი კარგად იცნობდა ქალაქს, ამიტომ არც გასჭირვებია სასურველი ქუჩის მოძებნა. მას ბერძენთა ქუჩა ერქვა, რადგან აქ ბერძნებს დუქნები ჰქონდათ გახსნილი. მათ შორის ერთში ნოხებით ვაჭრობდნენ. სწორედ ამ დუქანთან შეაყენა სტუმარმა თავისი ჯორი, ჩამოქვეითდა და ჯორი კარის რგოლს მიაბა. დუქანი უკვე დაკეტილი იყო. იქვე, დუქნის შესასვლელის გვერდით ჭიშკარში შევიდა და ოთხკუთხა, ირგვლივ ფარდულეებშემოწყობილ, მომცრო ეზოში აღმოჩნდა. მერე ეზოდან გაუხვია, საცხოვრებელი სახლის ხავსმოდებულ ტერასაზე შედგა ფეხი და მიმოიხედა. სახლშიც და ფარდულეებშიც სიბნელე იდგა. ჯერ კანდელები არ აენტოთ. სტუმარმა ხმადაბლა დაიძახა:

– ნიზა!

პასუხად კარმა გაიჭრიალა და ტერასაზე, საღამოს ბინდში თავდაუხურავი ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა. ის ტერასის მოაჯირს გადმოეყრდნო და დამფრთხალმა გახედა სიბნელეს. ცდილობდა გაერკვია, ვინ ეძახდა. მოსული რომ იცნო, გაუღიმა, თავი დაუკრა და ხელი დაუქნია.

– მარტო ხარ? – ხმადაბლა, ბერძნულად ჰკითხა აფრანიუსმა.

– მარტო, – ტერასიდან ჩურჩულით გაეხმაურა ქალი, – ჩემი ქმარი დღეს დილას გაემგზავრა კესარეაში, – მერე კარს გახედა და უფრო ხმადაბლა უთხრა, – მოსამსახურე კი შინ არის, – მან ხელი გაიქნია, ანიშნა, „შემობრძანდითო“. აფრანიუსმა კიდეც ერთხელ მიმოიხედა და ქვის კიბეზე ააბიჯა. ქალი და სტუმარი კარს მიეფარნენ.

ამ ქალთანაც აფრანიუსმა სულ ცოტა ხანს დაჰყო – ხუთ წუთზე მეტხანს არ შეყოვნებულა. შემდეგ ეს სახლიც და ტერასაც მიატოვა, კაპიუმონი უფრო ჩამოიფხატა თვალებზე და ქუჩაში გავიდა. სახლებში უკვე სანათურებს ანთებდნენ, მოზეიმე ხალხი ჯერ ისევ ბლომად დაეხეტებოდა ქუჩაში და აფრანიუსიც მოსეირნეთა და მხედართა ბრბოს შეერწყა. შემდეგ საით წავიდა, აღარავინ იცის.

იმ ქალმა კი, ვისაც აფრანიუსმა ნიზა უწოდა, აფრანიუსის გასტუმრებისთანავე სასწრაფოდ დაიწყო ჩაცმა, თან ძალიან ჩქარობდა. თუმც კი უჭირდა ჩაბნელებულ ოთახში ტანსაცმლის

მოძებნა, სანათური მაინც არ აუნთია და არც მოახლისთვის უხმია. მხოლოდ გამოწყობილმა და თავსაფარდახურულმა გაიღო ხმა:

– თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი, ენანტასთან წავიდა-თქო.

სიბნელეში ბებერი მოახლის ბუზღუნნი გაისმა:

– ენანტასთან? ეგ ენანტა რაღა გაგიხდა? აკი, აგიკრძალა ქმარმა იმ ქალთან სიარული? მაჭანკალია ეგ შენი ენანტა! მოიცა, თუ ყველაფერი არ ვუთხრა შენს ქმარს...

– გეყოფა, გაჩუმდი, – უთხრა ნიზამ და აჩრდილივით გამოსხლტა კარში. ნიზას სანდლებმა მოკირწყლულ ეზოში გაიპაკუნა. მოახლემ ბუზღუნ-ბუზღუნით ჩაკეტა კარი და ნიზა ქუჩაში გავიდა.

სწორედ იმავე დროს, ქვედა ქალაქის კიდევე ერთ დაკლაკნილ ქუჩაში, ტერასებით რომ ეშვებოდა ქალაქის ერთ-ერთი ტბორისკენ, რომელიღაც შეუხედავი სახლის ჭიშკრიდან, ყრუ კედლით ჩიხისკენ რომ იყო მიქცეული და ფანჯრებით ეზოში იცქირებოდა, ლაზათიანად წვერშეკრეჭილი ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, რომელსაც სუფთა, მხრებამდე დაცემული თეთრი კეფი ეხურა, ქობებზე ფუნჯებმოვლებული სადღესასწაულო ცისფერი ტალიფი და ახალთახალი, ჭრაჭუნა სანდლები ეცვა. ეს ცხვირკეხიანი, სადღესასწაულოდ გამოწყობილი ლამაზი ყმაწვილი აჩქარებული მიუყვებოდა ქუჩას, გამვლელებს უსწრებდა და გზად ჩამწკრივებულ, განათებულ ფანჯრებს უთვალთვალებდა. ყმაწვილი იმ ქუჩას მიუახლოვდა, რომელიც ბაზრის გასწვრივ, პირდაპირ სატაძრო მთის ფერხით აგებული კაიაფას სასახლისაკენ მიემართებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ უკვე კაიაფას ეზოს ჭიშკარში შეაბიჯა. კიდეც ცოტა ხნის შემდეგ კი – უკან გამოვიდა.

სანათურებითა და ჩირაღდნებით განათებული, სადღესასწაულოდ აფუსფუსებული სასახლიდან გამოსულმა ყმაწვილმა უფრო მხიარულად განაგრძო გზა და ისევ ქვედა ქალაქისკენ დაეშვა. სწორედ იმ კუთხესთან, სადაც ქუჩა ბაზრის მოედანს ერწყმოდა, ბრბოს ამ ზიმზიმსა და ჯგლერთაში, თითქოს აცეკვებული ნაბიჯით მიმავალმა თხელ-თხელმა, თვალებზე თავსაბურავჩამოფარებულმა ქალმა გაუსწრო. ვიდრე ყმაწვილს გაუსწრებდა, ქალმა წამით ასწია საბურველი, მიმავალს სტყორცნა მზერა, თუმცა კი ნაბიჯი არ შეუწელებია, უფრო აჩქარდა, თითქოს ცდილობდა, სწრაფად გასცლოდა იმას, ვისაც გაუსწრო.

ყმაწვილმა არამცთუ შენიშნა, იცნო კიდეც და ცნობისთანავე, შეკრთა, ადგილზე გახევდა, გაოგნებული, წამით გაუნძრევლად იდგა და წინ გამკრთალ ზურგს გასცქეროდა. თუმცა მაშინვე ადგილს მოსწყდა, ლამის ვიღაც ხელჯოხიანი გამვლელი წააქცია, როგორც იქნა, წამოეწია ქალს და აღელვებულმა, აქლოშინებულმა დაუძახა:

– ნიზა!

ქალმა მოხედა, თვალები მოჭუტა, სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა და ცივად უპასუხა ბერძნულად:

– აჰ, შენ ხარ, იუდა? უცებ ვერც გიცანი. თუმცა, კარგია. ჩვენში ამბობენ, თუ ადამიანს ვერ იცნობ, მალე გამდიდრდებაო...

იუდას დიდი მღელვარებისგან გული ისე უცემდა, როგორც ჩიტი ფართხალებს ხოლმე შავი საფარის ქვეშ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ჩურჩულით ჰკითხა, რომ გამვლელებს არ გაეგონათ:

– საით მიდიხარ, ნიზა?

– მაგის ცოდნა რას მოგცემს? – ნაბიჯის შეუნელებლად უპასუხა ნიზამ და ამაყად გახედა იუდას.

იუდას ბავშვივით დაუწვრილდა ხმა და დაბნეულმა ჩაიჩურჩულა:

– როგორ?.. ხომ მოვილაპარაკეთ. ახლა შენთან ვაპირებდი შემოვლას. ხომ მითხარი, მთელ საღამოს შინ ვიქნებიო...

– აჰ, არა, არა, – უპასუხა ნიზამ და ჭირვეულად გამობურცა ქვედა ტუჩი, – და იმავ წამს, იუდას ეს ლამაზი სახე ამქვეყნად ულამაზესად ეჩვენა, – შინ ჯდომა მომწყინდა, თქვენ დღესასწაულობთ, მე კი შინ უნდა ვიჯდე? ვიჯდე და ვისმინო, როგორ ოხრავ აივანზე? თან იმის მეშინოდეს, რომ მოახლემ ქმართან არ დამაბეზლოს? არა, ბატონო, სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, ქალაქგარეთ გავისეირნო და ბუღბუღების სტვენით დავტკბე.

– როგორ თუ ქალაქგარეთ? – ჰკითხა დაბნეულმა იუდამ, – მარტო აპირებ წასვლას?

– ცხადია, მარტო, – უპასუხა ნიზამ.

– ნება მომეცი, მეც გამოგყვე, – სთხოვა იუდამ და სუნთქვა შეეკრა, გონება აებნა, ყველაფერი დაავიწყდა ამქვეყნად და მუდართით მიაჩერდა ნიზას ცისფერ, აწ კი შავად ჩამუქებულ თვალებს.

ნიზამ აღარაფერი უპასუხა და ნაბიჯს აუჩქარა.

– რატომ არაფერს მეუბნები, ნიზა? – საბრალოდ ჩაეკითხა იუდა და თვითონაც ააჩქარა ნაბიჯი.

– შენთან არ მომწყინდება? – ანაზღად ჰკითხა ნიზამ და შედგა. აქ კი საბოლოოდ წაერთვა გონი იუდას.

– კარგი, ეგრე იყოს, – ბოლოს მოწყალება მოიღო ნიზამ, – წამოდი.

– სად, სად მივდივართ?

– მოიცა... მოდი, ამ ეზოში შევიდეთ და მოვილაპარაკოთ, თორემ მეშინია, ვინმემ არ დამინახოს და არ თქვას, საყვარელთან ერთად დადიოდა ქალაქშიო.

ნიზა და იუდა თვალს მიეფარნენ, რომელიღაც სახლის ეზოში შეიყუჟნენ და აჩურჩულდნენ.

– ზეთისხილის ბაღში წადი, – ეჩურჩულებოდა ნიზა, თან სახეზე იფარებდა საბურველს, რომ ეზოში შემოხეტებული ვიღაც სათლიანი კაცისაგან მოერიდებინა სახე, – გეთსიმანიის ბაღში, კედრებთან...

– ჰო, ჰო, ჰო...

– ჯერ მე წავალ, – განაგრძო ნიზამ, – ოღონდ, შენ უკან არ გამომყვე, ცოტა მოშორებით იარე. მე წინ წავალ... ნაკადულს რომ გაივლი... იცი, სად არის გამოქვაბული?..

– ვიცი, ვიცი...

– ზეთისხილის საწნებს ჩაუვლი და გამოქვაბულისკენ შეუხვევ, იქ დაგელოდები. ოღონდ არ გაბედო და ახლავე არ გამომყვე უკან, მოთმინება იქონიე და ერთხანს მოიცადე, – ამ სიტყვებით გავიდა ნიზა ეზოდან, თავი ისე ეჭირა, თითქოს არც ულაპარაკია იუდასთან.

იუდა ერთხანს მარტო იდგა გონებააბნეული და ცდილობდა, აზრი მოეკრიბა. ახლა იმაზედა ფიქრობდა, როგორ აეხსნა შინაურებისთვის, რომ სადღესასწაულო სუფრას არ დაესწრებოდა. იდგა და შესაძლებელ ტყუილს იგონებდა, მაგრამ აღელვებულმა, ხეირიანი ვერაფერი მოიფიქრა და ფეხებმა, მისდა უნებურად, ისევ ბაზრის მოედნისაკენ გამოიყვანა.

ახლა უკვე საპირისპირო მიმართულებით წავიდა, ქვედა ქალაქისკენ აღარ მიიჩქაროდა, ისევ კაიაფას სასახლისაკენ იქცია პირი. ირგვლივ ვერაფერს ხედავდა. დღესასწაული უკვე შემოსულიყო ქალაქში. ფანჯრებში მხოლოდ სანათურები კი არ ბჟუტავდა, ხოტბა-დიდებაც ისმოდა სადღესასწაულო სუფრებიდან. დაგვიანებული, ქუჩაში შემორჩენილი უკანასკნელი გამვლელი ვირებს მიაჩაქჩაქებდნენ, შოლტს უტყლაშუნებდნენ, უყვიროდნენ. ფეხებს თავისით მიჰყავდა იუდა და ვერც შენიშნა, როგორ ჩამოიტოვა უკან ანტონიუსის ციხესიმაგრის შემზარავი, ხავსმოდებული კედლები. არც ციხესიმაგრეში აბღავლებული საყვირის ხმა გაუგია, არც ჩირაღდნებიან რომაელ ცხენოსანთა პატრულისათვის მიუპყრია გულისყური, მფრთხალი შუქით რომ გაუნათეს სავალი. ციხესიმაგრე უკან რომ მოიტოვა, იუდა შემობრუნდა და თვალი ჰკიდა, ძალზე მალა, ტაძრის გუმბათს ზევით, ორი უზარმაზარი ხუთსანთლელი ენთო. მაგრამ ესეც ბუნდად გაარჩია, მოეჩვენა, თითქოს იერუშალაიმის თავზე ათი თვალგაუწვდენი სიდიდის კანდელი აგიზგიზდა, იმ ერთადერთ, სულ ზევით მიმქრალ მთვარის კანდელს რომ ეცილებოდა. ახლა აქ იუდას აღარაფერი ესაქმებოდა, თავდავიწყებით ილტვოდა გეთსიმანიის ბჭისკენ. ერთი სული ჰქონდა, სწრაფად გასცლოდა ქალაქს. ხანდახან ეჩვენებოდა, რომ წინ, გამვლელთა ზურგებსა და სახეებს შორის აცეკვებული ნაბიჯით მოარული ქალის სხეულიც კრთებოდა და თავისკენ იხმობდა. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენება იყო – იუდა ხვდებოდა, რომ ნიზამ კარგა ხნით გაუსწრო წინ. მან სამღებრო ღუქნებს ჩაუარა და ბოლოს, გეთსიმანიის ბჭესაც მიადგა. კარიბჭესთან, მოუთმენლობით გულშეღონებულს, მაინც მოუწია გაჩერებამ. ქალაქში აქლემები შემოდდიოდნენ, უკან კი სირიელთა სამხედრო პატრული მოჰყვებოდა, რომელთაც ფიქრში შეუკურთხა იუდამ...

მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული. მოუთმენლობით გულგაწვრილებული იუდაც მალე ქალაქის კედელს გასცდა. ხელმარცხნივ მომცრო სასაფლაო შენიშნა და იქვე, მლოცველთა რამდენიმე ზოლიანი კარავი. იუდამ მთვარის შუქდაცემული მტვრიანი შარა გადაკვეთა და კედრონის ნაკადულისკენ გაემართა. წყალი ჩუმად ბუტბუტებდა მის ფერხითით. მან ქვიდან ქვაზე ხტუნვით გადავლო ნაკადული, ბოლოს, გეთსიმანიის გადაღმა ნაპირზე აღმოჩნდა, გზას გააწვდინა მზერა, დაინახა, თავისუფალი რომ იყო და გული სიხარულით აევსო. უკვე ახლოს მოჩანდა ზეთისხილის ბაღის ნახევრად ჩამუქებული კარიბჭე.

ჩახუთული ქალაქის შემდეგ გაზაფხულის ღამის თავბრუდამხვევმა სურნელმა გააბრუა. გეთსიმანიის ველებიდან, ღობის გამოვლით, ბაღიდან მიტრისა და აკაციის სურნელება იპარებოდა.

კარიბჭეს არავინ იცავდა, არც არავინ იყო შიგ და რამდენიმე წუთის შემდეგ, იუდა უკვე ზეთისხილის უზარმაზარი გაბარჯლული ხეების იდუმალ ჩრდილში მირბოდა. გზა მთას მიუყვებოდა ზევით, აქლოშინებული იუდაც გზას მისდევდა, ხანდახან მთვარის შუქით მოჩითულ ნოხზე შეაბიჯებდა და ის ნოხები ახსენდებოდა, ნიზას ეჭვიანი ქმრის დუქანში რომ ენახა. სულ ცოტა ხანში, ხელმარცხნივ, ველზე, ქვის მძიმებორბლიანი ზეთისხილის საწნეხი და კასრების გროვაც გამოჩნდა. არც ბაღში იყო არავინ. მუშაობა ალბათ შებინდებისას დასრულდა. ახლა კი ბაღში კაცი აღარ ჭაჭანებდა და ხეთა კენწეროებიდან მხოლოდ იუდას ეფრქვეოდა ბუღბუღების მირიად გუნდთა ხმიანი გალობა.

უკვე ახლოს იყო მიზანთან. უკვე იცოდა, რომ მარცხნივ, სიბნელეში, საცაა გამოქვაბულში ჩავარდნილი წყლის ჩუმ ჩურჩულს გაიგონებდა. ასეც მოხდა. წყლის ჩხრიალი მისწვდა მის სმენას და თანდათან იმძლავრა.

მან ნაბიჯი შეანელა და ხმადაბლა დაიძახა:

– ნიზა!

მაგრამ ნიზას ნაცვლად ზეთისხილის სქელ ზროს ვიღაც დაგვაჯული კაცი გამოეყო და გზაზე გადმოხტა, რალაცამ იელვა მის ხელში, თუმცა ისიც მალევე ჩაქრა.

იუდა უკან გახტა და უნიათოდ შეჰყვირა:

– აჰ!

მეორე კაცმა გზა უკნიდან გადაუღობა.

პირველმა, წინ რომ ედგა, ჰკითხა იუდას:

– რამდენი მოგცეს? თქვი, თუ გინდა, ცოცხალი დარჩე!

გულში იმედის ნაპერწკალი გაუკრთა იუდას და გონწართმეულმა იყვირა:

– ოცდაათი ტეტრადრაქმა! ოცდაათი ტეტრადრაქმა! რაც მივიღე, ყველაფერი თან მაქვს, აი, ფული! აიღეთ, ოღონდ სიცოცხლე შემინარჩუნეთ!

წინ მდგომმა კაცმა წამის უსწრაფესად გამოსტაცა ხელიდან ქისა. იმავდროულად იუდას ზურგს უკან დანა გაკრთა ელვასავით და შეყვარებულს ბეჭებქვეშ შეესო. იუდა წინ გადაქანდა და დაკრუნჩხული თითებით ჰაერს წაეპოტინა. წინა კაცმა იუდა თავისი დანით შეაკავა და ტარამდე გულში გაუტარა.

– ნი... ზა... – თავისი მაღალი, მჟღერი, ახალგაზრდული ხმით კი არა, უკვე დაბოხებული, მძრახველი ხროტინით ამოთქვა იუდამ და მეტად კრინტი აღარ დაუძრავს. მისი სხეული ისე მძიმედ დაეცა, რომ მიწამ დაიბუბუნა კიდეც.

მაშინ მესამე კაციც გამოჩნდა გზაზე. ამ მესამეს კაპიუშონიანი მოსასხამი ემოსა.

– აჩქარდით, – ბრძანა მესამემ. მკვლელებმა ქისა და მესამის მიერ მიწვდილი წერილი სწრაფად გაახვიეს ტყავში და თოკით ჯვარედინად გადაკრეს. მეორემ უბეში ჩაიჩურთა შეხვეული, შემდეგ ორივე მკვლელი გზიდან გადახტა და ზეთისხილის ხეების წყვილიად

შეაფარა თავი. მესამემ კი მოკლულთან ჩაიმუხლა და სახეზე დახედა. ჩრდილში ეს სახე ცარცივით თეთრი ეჩვენა დამხედავს და როგორღაც გასულიერებულად ლამაზი. რამდენიმე წამის შემდეგ ცოცხალთაგან გზაზე აღარავინ იყო. უსულო სხეული ხელებგაშლილი იწვა მტვერში. მარცხენა ფეხს მთვარის ათინათი დასცემოდა და თვალნათლივ აჩენდა სანდლის ყოველ შესაკრავს.

გეთსიმანიის ბალი ერთიანად მოეცვა ბულბულთა ქორალს. საით წავიდნენ იუდას მკვლელნი, არავინ უწყის, მაგრამ იმ მესამის, კაპიუშონიანის კვალი ცნობილია. გზიდან გადასულმა, ზეთისხილის ხეთა ტევრი განვლო და სამხრეთისაკენ გაუყვა გზას. ბოლოს, ჭიშკრიდან კარგა მოშორებით, მის სამხრეთ კუთხეში გადაძვრა ღობეზე, იქ, სადაც ღობიდან ქვები იყო ჩამომზღვლეული. მალე კედრონის ნაპირზეც გავიდა, მდინარეში შეტოპა და ერთხანს წყალ-წყალ განაგრძო სვლა, ვიდრე მოშორებით ორი ცხენი და იქვე მდგარი კაცი არ დალანდა. ცხენებიც წყალში იდგნენ. წყლის დინება ფლოქვებს ურეცხავდათ. მომლოდინე კაცი ერთ-ერთ ცხენზე შეჯდა, კაპიუშონიანი მეორეს მოახტა და ორივემ ისევ წყალ-წყალ განაგრძო ნელი სვლა, ისმოდა მხოლოდ, როგორ ხრაშუნობდა ფლოქვებქვეშ კენჭები. შემდეგ მხედრები იერუშალაიმის ნაპირზე გამოვიდნენ და ქალაქის კედელს გაუყვნენ ცხენდაცხენ. აქ კი ის მომლოდინე დასცილდა კაპიუშონიანს, ცხენი წინ გააჭენა და მალე თვალს მიეფარა კიდეც, კაპიუშონიანმა კი ცხენი შეაჩერა, უკაცრიელ გზაზე ჩამოხტა, მოსასხამი გაიხადა, ამოაბრუნა, შიგნიდან ბრტყელი, უფრთებო ზუჩი ამოიღო და თავზე დაიხურა. ახლა უკვე სამხედრომოსასხამიანი და გვერდზე მოკლედამნიანი კაცი იჯდა ცხენზე. მან აღვირი მოქაჩა და ცხენი გააჭენა. წინ დიდი გზა აღარ ედო. იერუშალაიმის სამხრეთ ჭიშკარს უახლოვდებოდა.

კარიბჭის თაღქვეშ უთვალავ კანდელოთა ალი ხტუნავდა და ცეკვავდა. სადარაჯოზე ელვისებური ლეგიონის მეორე კენტურიის ჯარისკაცები ქვის სკამებზე ისხდნენ და კამათელს აგორებდნენ. კარიბჭეში შემოსული სამხედრო პირი რომ შენიშნეს, ჯარისკაცები ფეხზე წამოხტნენ, მაგრამ იმ კაცმა მოდარაჯეებს ხელი აუქნია და ქალაქში შევიდა.

ქალაქი საზეიმო ალით იყო გაჩირაღდებული. ყველა სარკმელში სანთლები ციმციმებდა და ყოველი მხრიდან ერთ ხმაშეწყობილ გუნდად შეკრული გალობა ისმოდა. ქუჩისკენ მზირალი ფანჯრებისკენ მხედარს იშვიათად თუ გაექცეოდა თვალი, და მაინც, ყველა ფანჯარაში საზეიმო სუფრას შემომსხდარი მოზეიმეები ჩანდნენ, მაგიდეებზე ბატკნის ხორცსა და მხალეულს შორის ღვინით სავსე თასები ეწყო. მხედარი რომელიღაც სიმღერას უსტვენდა, აუჩქარებლად მიჰყავდა ცხენი, ქვედა ქალაქის დაცარიელებული ქუჩით ანტონიუსის ციხესიმაგრისკენ ეშურებოდა, იშვიათად თუ გახედავდა ხოლმე ყოვლად შეუდარებელ, ტაძარზე აგიზგიზებულ ხუთსანთლეულს, ან მთვარეს, რომელიც ხუთსანთლეულის თავზე ეკიდა.

ჰეროდე დიდის სასახლეში პასექს არავინ ზეიმობდა. სამხრეთისკენ პირმიქცეულ დამხმარე სათავსებში, სადაც რომაული კოჰორტის ოფიცრები და ლეგიონის ლეგატი ბინადრობდნენ, ალი ბჟუტავდა. იქ კიდეც იგრძნობოდა მოძრაობა და სიცოცხლე. სასახლის წინა ნაწილი კი, სადარბაზო, სადაც ერთადერთი და უნებლიე ბინადარი – პროკურატორი ცხოვრობდა, ერთიანად, სვეტებიან-ოქროს ქანდაკებებიანად ჩალოუსკუმებულიყო ამ მანათობელი მთვარის ქვეშ. იქ, სასახლის სიღრმეში, მდუმარება და უკუნი ბატონობდა. პროკურატორს, როგორც წასვლისას უთხრა აფრანიუსს, სასახლეში ვერ მოესვენა და იქვე, აივანზე ებრძანებინა ლოგინის გაშლა, სადაც ვახშამი მიირთვა, მაგრამ რული მაინც არ ეკარებოდა. მალლა, კამკამა ცაში, გაშიშვლებული მთვარე ეკიდა და პროკურატორი რამდენიმე საათს თვალმოუშორებლად ასცქეროდა მნათობს.

შუალამისას, ბოლოს და ბოლოს, ძილმაც შეიბრალა იგემონი. პროკურატორმა კრუნჩხვისდარი მთქნარებით მოიშორა მოსასხამი, პერანგზე შემოჭერილი განიერი ქამარიც შემოიხსნა, რომელზეც რკინის ფართო დანის ქარქაში ჰქონდა დამაგრებული, სავარძელზე დადო, სანდლები გაიხადა და გაიზმორა. ბანგა მაშინვე ახტა მის სარეცელზე, გვერდით მიუწვა, თავი თავზე მიადო, პროკურატორმაც ხელი გადახვია ძაღლის კისერს და თვალი დახუჭა. მხოლოდ მაშინლა დაიძინა ძაღლმაც.

სარეცელი ბნელში იდგა, მთვარისგან სვეტით დაფარული, მაგრამ პარმალის კიბიდან სარეცლისკენ მთვარის ბილიკი იპარებოდა. და როგორც კი პროკურატორს გარე სინამდვილესთან გაუწყდა ძაფი, მაშინვე ამ განათებულ ბილიკს აუყვავა, ზევით, პირდაპირ მთვარისაკენ. ბედნიერად ჩაეცინა კიდეც სიზმარში, იმდენად კარგად და განუმეორებლად მოეჩვენა ყოველივე ამ გამჭვირვალე, ცისფერ ბილიკზე. მას ბანგა ახლდა თან, გვერდით კი მოხეტიალე ფილოსოფოსი მიჰყვებოდა. ისინი რაღაც ძაღზე რთულსა და მნიშვნელოვანზე კამათობდნენ და არც ერთს არ შეეძლო მეორის დამარცხება. ისინი არაფრით ჰგავდნენ ერთმანეთს და ამის გამო მათი კამათი უფრო საგულისხმო და დაუსრულებელი ჩანდა. თავისთავად ცხადი იყო, რომ დღევანდელი მსჯავრი არაფერს ნიშნავდა, ფილოსოფოსი ხომ აქ იყო, მის გვერდით. მასთან იყო ის კაცი, ვინც გასაოცარი უგუნურება მოიაზრა, თითქოს ყველა ადამიანი კეთილი იყო. სწორედ ის მოჰყვებოდა გვერდით, მაშასადამე, ცოცხალი იყო, და, ცხადია, სრული საშინელება იქნებოდა იმის გაფიქრებაც, რომ ასეთი კაცის დასჯა შეიძლებოდა. ის ჯვარზე არ გაუკრავთ! არა, არ გაუკრავთ! აი, ამით იყო შესანიშნავი ეს სეირნობა, მალლა, მთვარის ბილიკის აყოლებზე.

თავისუფალი დრო იმდენია, რამდენიც გწადს, ჭეჭა-ჭუხილი მხოლოდ საღამოსპირზე აიშლება და შიშიც, უცილობლად, ერთ-ერთი უდიდესი ცოდვია. ასე ამბობდა იეშუა ჰა-ნოცრი. არა, ფილოსოფოსო, მე შემიძლია დაგიმტკიცო: შიში ყველაზე უმთავრესი ცოდვია.

მაშინაც ხომ არაფრის ეშინოდა, აწ იუდეველთა პროკურატორს, იმ დროს კი – ლეგიონის ტრიბუნს, იქ, ქალწულთა ველზე, როცა გააფთრებულმა გერმანებმა ლამის ნაწილებად დაფლითეს გოლიათი ვირთხათმძლე? მაგრამ, მომიტევეთ, ფილოსოფოსო! ნუთუ თქვენ, ესოდენ გონიერს, შეგეძლოთ გეფიქრათ, თითქოს იუდეველთა პროკურატორი თავის კარიერას გასწირავდა იმ კაცისათვის, ვინაც შეურაცხყო კეისარი?

– დიახ, დიახ, – ძილში კვნესოდა და სლუკუნებდა პილატე.

ცხადია, გასწირავდა. დილით ვერ შეძლო, ახლა კი, ღამით, ყველაფერი აწონ-დაწონა და მზად იყო გასაწირად. აწ აღარაფერს მოერიდებოდა, ოღონდ კი მსჯავრისგან ეხსნა სრულიად უდანაშაულო, უგუნური მეოცნებე და მკურნალი!

– ამერიდან მუდამ ერთად ვიქნებით, – სიზმარში ეუბნებოდა მაწანწალა, ჩამოძენძილი ფილოსოფოსი, ვინ უწყის, როგორ, ანაზღად გზად რომ შემოხვდა ოქროსშუბიან მხედარს, – სადაც ერთი იქნება, იქვე გაჩნდება მეორეც! ჩემს ხსენებაზე იმავ წამს, შენც გახსენებენ! მე – კარზე მიგდებულს, სრულიად უსახელო მშობლების შვილს და შენ – მეფეს – ვარსკვლავთმრიცხველი ხელმწიფისა და მეწისქვილის ასულის, მზეთუნახავი პილას ძეს.

– ჰო, ოღონდ არ დამივიწყო, მომიხსენიე ხოლმე, ვარსკვლავთმრიცხველის ძე, – სიზმარში ევედრებოდა პილატე და გვერდით მიმავალი ენ-სარიდელი მაწანწალის თანხლებით გულდაიმედებული პროკურატორი ტიროდა და იცინოდა ძილში.

რა კარგი იყო, მაგრამ მით უფრო საზარი ჩანდა გამოფხიზლება. ბანგამ მთვარეს შელრინა და სრიალა, თითქოს ერბოთი გადაბრტყელებული ცისფერი ბილიკი ანაზდად გაქრა პროკურატორის თვალთაგან. წამისად გამოფხიზლდა და უპირველესად ის გაახსენდა, რომ განაჩენი აღსრულდა უკვე. პროკურატორმა ჩვეული მოძრაობით ჩაჰკიდა ხელი ბანგას საყელოს, შემდეგ სნებიანი თვლებით მოიძია მთვარე და დაინახა, გვერდზე იყო გადაფერდებული და ვერცხლისფერი შეპარვოდა. მისი ნათება ზედა აივანზე აციმციმებულ, უსიამო, მქრქალ შუქს ჩრდილავდა. კენტურიონ ვირთხათმძლეს ხელში იწვოდა და ხრჩოლავდა ჩირაღდანს. ჩირაღდნის მპყრობელი შიშითა და გაბოროტებით გასცქეროდა გადმოსახტომად გამზადებულ საზარელ ცხოველს.

– გაჩერდი, ბანგა, – სნებიანი ხმით უთხრა პროკურატორმა და ჩაახველა. შემდეგ აღს მოუჩრდილა ხელი და განაგრძო, – ღამით, მთვარის შუქზეც არ მაქვს მოსვენება. ჰოი, ღმერთებო! არც თქვენ გაქვთ სახარბიელო სამსახური, მარკუს, ჯარისკაცებს ამახინჯებთ...

მარკუსი გაოგნებული მიაჩერდა პროკურატორს და ისიც მაშინვე გონს მოეგო. ნამძინარევზე წამოცდენილის გასაბათილებლად, პროკურატორმა თქვა:

– ნუ გეწყინებათ, მარკუს, გიმეორებთ, მე თქვენზე უარეს დღეში ვარ. რა გნებავთ?

– საიდუმლო დაცვის მეთაური გეახლათ, – მშვიდად აუწყა მარკუსმა.

– მოვიდეს, მოვიდეს, – ბრძანა და ხველით ყელი ჩაიწმინდა პროკურატორმა. შემდეგ შიშველი ფეხებით სანდლები მოიძია. აღის ათინათმა სვეტები ალოკა, კენტურიონის ჩექმა არაწყუნდა მოზაიკაზე. კენტურიონი ბაღში გავიდა.

– არც მთვარის შუქზე მაქვს მოსვენება, – კბილებში გამოსცრა პროკურატორმა.

აივანზე კენტურიონის ნაცვლად, კაპიუშონიანი კაცი გამოჩნდა.

– ბანგა, ადგილზე, – ჩუმად თქვა პროკურატორმა და ძაღლს ქეჩოში სწვდა.

ვიდრე ლაპარაკს დაიწყებდა, აფრანიუსმა, ჩვეულებისამებრ, მიმოიხედა, ჩრდილში მიდგა და როცა დარწმუნდა, ბანგას გარდა აივანზე სხვა არავინ იყო, ჩუმად თქვა:

– გთხოვთ, სასამართლოს გადამცეთ, პროკურატორო. არც ამჯერად უმტყუნია თქვენთვის გუმანს. მე ვერ შევძელი იუდა კირიათელის დაცვა, ამ საღამოს მოკლეს. გთხოვთ, გამასამართლოთ და დამაქვეითოთ.

აფრანიუსს მოეჩვენა, რომ ოთხი თვალი უცქეროდა ერთად – ძაღლისა და მგლის.

ერთხანს შეიცადა და ქლამიდიდან სისხლით გახეშეშებული და ორგან ბეჭედდასმული ქისა ამოიღო.

– აი, ეს ფულით სავსე ქისა მიუგდეს მკვლელებმა ქურუმთქურუმს. ამ ქისაზე მიმხმარი სისხლი – იუდა კირიათელის სისხლია.

– მაინც რამდენია? – იკითხა პილატემ და ქისას დახედა.

– ოცდაათი ტეტრადრაქმა.

პროკურატორმა ჩაიცინა და თქვა:

– ცოტაა.

აფრანიუსი დუმდა.

– მოკლული იპოვეთ?

– ეგ არ ვიცი, – აუღელვებელი, ღირსეული ხმით უთხრა კაცმა, არასოდეს რომ არ იშორებდა კაპიუშონს, – დილას დავიწყებ ძებნას.

პროკურატორი შეკრთა და სანდლების შეკვრას თავი ანება.

– დანამდვილებით იცით, რომ მკვდარია?

ამ კითხვაზე პროკურატორმა ცივი პასუხი მიიღო:

– მე, პროკურატორო, თხუთმეტი წელია იუდეაში ვარ. ჯერ კიდევ ვალერიუს გრატუსის დროს დავიწყე აქ სამსახური. ჩემთვის სულაც არ არის აუცილებელი, გვამი ვნახო, რათა დავრწმუნდე, რომ ადამიანი მკვდარია. და აი, მე მოგახსენებთ, რომ ის, ვისაც კირიათელ იუდას უწოდებდნენ, რამდენიმე საათის წინ მოკლეს.

– მაპატიეთ, აფრანიუს, – უთხრა პილატემ, – ჯერ წესიერად არ გამოვფხიზლებულვარ. ცუდად მძინავს, – პროკურატორმა ჩაიცინა, – და ერთთავად სიზმარში მთვარის შუქს ვხედავ. წარმოგიდგენიათ, რა სასაცილოა. თითქოს ამ შუქზე დავსეირნობ. მაშ ასე, თქვენი აზრის მოსმენა მსურს ამ საქმის შესახებ. სად აპირებთ მის მოძებნას? დაბრძანდით, საიდუმლო სამსახურის უფროსო.

აფრანიუსმა თავი დაუკრა, საწოლთან ახლოს მიაჩოჩა სავარძელი, დაჯდა და ხმალი აურაჩხუნდა დაჯდომისას.

– გეთსიმანიის ბაღში, ზეთისხილის საწნეხის სიახლოვეს.

– გასაგებია, რატომ მაინცდამაინც იქ?

– იგემონ, მაინც მგონია, იუდა იერუსალაიმში არ იქნება მოკლული და არც ქალაქიდან ძალიან შორს. იერუსალაიმის სიახლოვეს გამოასალმებდნენ სიცოცხლეს.

– თქვენ მე ამ საქმის ერთ-ერთ დიდებულ მცოდნედ მიმაჩნებართ. მართალი გითხრათ, არ ვიცი, რა მდგომარეობაა რომში, მაგრამ კოლონიებში თქვენი ბადალი არავინ მეგულება. ამიხსენით, რატომ?

– ერთი წუთითაც არ დავუშვებ იმ აზრს, – ხმადაბლა ლაპარაკობდა აფრანიუსი, – რომ იუდა ვილაც საეჭვო პირებს ქალაქის საზღვრებში ჩავარდნოდა ხელთ. ქუჩაში ვერავის მოკლავენ უჩუმრად. მაშასადამე, სადმე სარდაფში უნდა შეეტყუებინათ. მაგრამ საიდუმლო სამსახურმა უკვე მოჩხრიკა ქვედა ქალაქი და აუცილებლად იპოვიდა კიდევ, იქ რომ ყოფილიყო. ის ქალაქში არ არის, ეს დანამდვილებით შემიძლია გითხრათ. ქალაქიდან მოშორებით რომ მოეკლათ, ამ ფულიან ქისას ასე მალე ვერ მიუგდებდნენ ქურუმთქურუმს. მაშასადამე, სადმე ქალაქის სიახლოვეს იქნება. ალბათ ქალაქიდან გაიტყუეს.

– ვერ ვხვდები, ეს როგორ უნდა მოეხერხებინათ?

– დიახ, პროკურატორო, ეს ყველაზე რთული საკითხია ამ საქმეში და არც კი ვიცი, შევძლებ თუ არა ამ საიდუმლოს ამოხსნას.

– მართლაც უცნაურია! სადღესასწაულო ღამეს მორწმუნე უარს ამბობს პასეკის სერობაზე, ქალაქიდან გადის, და იქ კვდება. ვის და როგორ შეეძლო მისი გატყუება? ქალი ხომ არ იქნებოდა გარეული? – უცებ ჩაეკითხა აღტაცებული პროკურატორი.

აფრანიუსმა მშვიდად და დამაჯერებლად უპასუხა:

– შეუძლებელია, პროკურატორო. ეს სრულიად გამორიცხებულია. ლოგიკურად უნდა ვიმსჯელოთ: ვინ იყო იუდას სიკვდილით დაინტერესებული? ვიღაც მოხეტიალე მეოცნებენი და ამ ჯგუფში ქალები არ ერივნენ. ცოლის სათხოვნელად, პროკურატორო, ფულია საჭირო, ადამიანის გაჩენასაც ფული სჭირდება, მაგრამ კაცი რომ მოკლა ქალის მეშვეობით, უზომოდ დიდი ფულია საჭირო და იმ მათხოვრებს ამდენი ფული არაფრით არ ექნებოდათ. ამ საქმეში ქალი არ უნდა ერიოს. მეტსაც გეტყვით, მკვლელობის ასე განხილვამ შეიძლება სწორი გზიდან აგვაცდინოს, ძიებას ხელი შეუშალოს და მეც თავგზა ამიბნიოს.

– ვხედავ, სრულიად მართალი ბრძანდებით, აფრანიუს, – უთხრა პილატემ, – მე მხოლოდ ჩემი მოსაზრება გამოვთქვი.

– სამწუხაროდ, ამჯერად შეცდით, პროკურატორო.

– აბა, რაშია საქმე? – წამოიძახა პროკურატორმა და აფრანიუსს ხარბი მზერა მიაპყრო.

– მე მგონი, ისევ ფული უნდა იყოს მიზეზი.

– შესანიშნავი აზრია! მაგრამ ვის და რისთვის უნდა შეეთავაზებინა იუდასათვის ფული ღამით, ქალაქგარეთ?

– ო, არა, პროკურატორო, არც მთლად ასეა. მე ერთადერთი მოსაზრება გამაჩნია და თუკი ის მცდარი აღმოჩნდება, სხვა განმარტებას ალბათ ველარც მოვძებნი, – აფრანიუსი პროკურატორისკენ გადაიხარა და ჩურჩულით დასძინა, – იუდას სურდა თავისი ფული დაფარულ, მხოლოდ მისთვის ცნობილ ადგილას დაემალა.

– სწორი მიგნებაა. ალბათ მართლაც ასე იყო. ახლა კი მესმის თქვენი: იგი ადამიანმა კი არა, საკუთარმა ზრახვებმა გაიტყუა ქალაქიდან. დიახ, დიახ, ასეა.

– დიახ, იუდა ეჭვიანი კაცი იყო. უნდოდა ხალხის თვალთაგან მოეფარებინა ფული.

– სწორია. თქვენ ბრძანეთ, გეთსიმანიაშიო. რატომ მაინცდამაინც იქ აპირებთ იუდას ძებნას? ამას კი, გულახდილად გეტყვით, ვერ ვხვდები.

– ოჰ, პროკურატორო, ეგ ყველაზე იოლია. ფულს არავინ დამალავს გზაზე ან ცარიელ, დაუცავ ადგილზე. იუდა არც ფებრონის გზაზე ყოფილა და არც ბეთანიის. ის აუცილებლად ხეებით დაფარული, ყრუ ადგილისკენ წავიდოდა. ეს ხომ ძალზე მარტივია. ასეთი კი, გეთსიმანიის გარდა, იერუსალიმის სიახლოვეს არ მოიძებნება. შორს არ დაუწყებდა ძებნას.

– სრულიად გეთანხმებით. მაშასადამე, ახლა რა უნდა ვიღონოთ?

– მე სასწრაფოდ დავიწყებ მკვლევების ძებნას, ისინი ალბათ კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ იუდას, ამასობაში კი სასამართლოს წინაშეც წარვდგები.

– რისთვის?

– კაიაფას სასახლიდან გამოსული იუდა ჩემს დაცვას ბაზართან დაეკარგა. ვერ გეტყვით, ეს როგორ მოხდა. ჯერ ასეთი შეცდომა ჩემს დაცვას არ დაუშვია. ჩვენი საუბრის დასრულებისთანავე მივუჩინე მოთვალთვალეები. მაგრამ ბაზრის მიდამოებში სადღაც გაქრა, ისე უცნაურად მიუხვ-მოუხვია, რომ დაცვა დაიბნა.

– ამგვარად... გაუწყებთ, რომ საჭიროდ არ ვთვლი თქვენს გასამართლებას. თქვენ ყველაფერი გააკეთეთ და ამქვეყნად ვერავინ, – აქ პროკურატორმა გაუღიმა, – ვერ შეძლებდა თქვენზე მეტის გაკეთებას. იუდას მოთვალთვალეებს მოსთხოვეთ პასუხი. თუმცა, ამ შემთხვევაშიც გაფრთხილებთ, არ ვისურვებდი, რომ პასუხისმგებლობა ოდნავ მაინც მკაცრი იყოს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმ არამზადას დასაცავად. ჰო, დამავიწყდა მეკითხა, – პროკურატორმა შუბლი შეიწილა, – კაიაფასათვის როგორღა მოახერხეს ფულის მიგდება?

– როგორ გითხრათ, პროკურატორო... ეგ არცთუ ძნელი იქნებოდა. შურისმაძიებლებს კაიაფას სასახლისათვის უკანა მხრიდან შემოუვლიათ, იქ, სადაც ჩინი უერთდება უკანა ეზოს, და ქისა ეზოდან შეუგდიათ.

– წერილით?

– დიახ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც გეგონათ, პროკურატორო. თუმცა... – აფრანიუსმა ბეჭედი შეხსნა ქისას და შიგთავსი უჩვენა პილატეს.

– რას შვრებით, აფრანიუს, ბეჭედი ხომ ალბათ, ტაძრისეულია.

– ეს თქვენს შეწუხებად არ ღირს, პროკურატორო, – უპასუხა აფრანიუსმა და ქისა ისევ შეკრა.

– ნუთუ მართლა ყველა ბეჭდის ასლი გაქვთ? – სიცილით ჰკითხა პილატემ.

– სხვაგვარად არ შეიძლება, პროკურატორო, – გაუღიმებლად, ძალზე მკაცრად უთხრა აფრანიუსმა.

– წარმომიდგენია, რა ამბავი ატყდებოდა კაიაფასთან!

– დიახ, პროკურატორო, ამ ამბავმა დიდი მღელვარება გამოიწვია. მაშინვე მიხმეს.

სიბნელეშიც კი ჩანდა, როგორ აუციმციმდა თვალები პილატეს.

– საინტერესოა... საინტერესო...

– თავს ნებას მივცემ, შეგაწყვეტინოთ, პროკურატორო. სულაც არ არის საინტერესო. ძალზე მოსაწყენი და დამღლეი იყო ყველაფერი. ჩემს კითხვაზე, ხომ არ გადაუხადეს ვინმეს ფული, კაიაფას სასახლეში კატეგორიულად მიპასუხეს, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა.

– აჰ, ასე? რას ვიზამთ, თუ არ გადაუხდიათ, მაშასადამე, არც გადაუხდიათ. მით უფრო გაძნელება მკვლელის შოვნა.

– მართალს ბრძანებთ, პროკურატორო.

– ჰო, აფრანიუს. აი, რა აზრმა გამიელვა უცებ, ის იუდა თავს ხომ არ მოიკლავდა?

– ო, არა, პროკურატორო, – გაცემისგან სავარძლის საზურგესაც კი მიეყრდნო აფრანიუსი, – მაპატიეთ, მაგრამ ეგ სრულიად დაუჯერებელია.

– ეჰ, ამ ქალაქში ყველაფრის დაჯერება შეიძლება! სანაძლეოს დავდებ, ასეთი ჭორი უმოკლეს დროში გავრცელდება ქალაქში.

აქ აფრანიუსმა ისევ თავისებური მზერა სტყორცნა პროკურატორს, დაფიქრდა და უპასუხა:

– ეგ შესაძლებელია, პროკურატორო.

პროკურატორს, როგორც ჩანდა, არ ეთმობოდა ამ კირიათელ ყმაწვილზე – იუდას მკვლელობაზე საუბარი, თუმცა უკვე ყველაფერი ნათელი იყო, და მაინც, ისე თქვა, რომ რაღაც ოცნებისეული გახმოვანდა მის ნათქვამში:

– ვისურვებდი მენახა, როგორ მოკლეს ის ყმაწვილი.

– გასაოცარი ხელოვნებით არის მოკლული, პროკურატორო, – უპასუხა აფრანიუსმა და ოდნავ დამცინავად გახედა პროკურატორს.

– ეგ საიდანღა იცით?

– თუ ინებებთ და ამ ქისას დააკვირდებით, პროკურატორო, – უპასუხა აფრანიუსმა, – შემოძლია თავდებად დავდგე, რომ იუდას სისხლმა ჩანჩქერივით ამოხეთქა. ჩემი სიცოცხლის განმავლობაში მკვდარი მრავლად მინახავს, პროკურატორო!

– ასე რომ, ცხადია, ველარ ადგება?

– ადგება, პროკურატორო, – ფილოსოფიური ღიმილით უპასუხა აფრანიუსმა, – როცა მესიის საყვირი, რომელსაც აქ ელიან, დაიგუგუნებს მის საფლავთან, მაგრამ უფრო ადრე კი – ვერაფრით.

– საკმარისია, აფრანიუს, ეს საკითხი გავარკვიეთ. ახლა დასაფლავების შესახებ მომახსენეთ.

– ჯვარცმულნი დაასაფლავეს, პროკურატორო.

– ო, აფრანიუს, სასამართლოსთვის თქვენი გადაცემა დიდი დანაშაული იქნებოდა. ჭეშმარიტად, უმაღლესი ჯილდოს ღირსი ხართ. ეგ როგორ მოხდა?

აფრანიუსმა თხრობა დაიწყო და აუწყა, რომ ვიდრე თავად იუდას საქმით იყო დაკავებული, საიდუმლო დაცვის რაზმმა, მისი თანაშემწის წინამძღოლობით, შებინდებამდე მთას მიაღწია. მაგრამ რაზმმა ერთ გვამს ვერ მიაგნო მთაზე. პილატე შეკრთა, ანაზდად ხმა ჩაეხლიჩა და ჩაილაპარაკა:

– ოჰ, ეს როგორ ვერ გავითვალისწინე!

– ნუ წუხნართ, პროკურატორო! – უპასუხა აფრანიუსმა და თხრობა განაგრძო, – ველური ჩიტებით თვალეზდაკორტნილი დისმასის და გესმასის გვამები წამოკრიფეს და მაშინვე მესამის ძებნა დაიწყეს. ისიც მალე აღმოაჩინეს, ვილაც კაცს...

– ლევი მათეს... – კითხვით კი არა, უფრო მტკიცებით უთხრა პილატემ.

– დიან, პროკურატორო... ლევი მათე ტაბაკელას მთის ჩრდილო ფერდობზე, გამოქვაბულში იმალებოდა, ალბათ, დაღამებას ელოდა. იეშუა ჰა-ნოცრის შიშველი სხეული გვერდით ედო და როცა დაცვა ჩირაღდნებით შევიდა გამოქვაბულში, ლევის ბრაზი წაეკიდა. ის გაჰყვიროდა, რომ არავითარი დანაშაული არ ჩაუდენია და კანონის თანახმად, ყველა ადამიანს აქვს უფლება, მსჯავრდებული მიწას მიაბაროს, თუკი ამის სურვილი გააჩნია. ლევი მათე ამბობდა, რომ არ სურდა ამ სხეულს დაშორებოდა. ის ძალიან ადგზნებული იყო, რაღაცას გაურკვევლად გაჰყვიროდა, ხან იხვეწებოდა, ხან იმუქრებოდა და იწყევლებოდა...

– იძულებული შეიქენით, დაგეპატიმრებინათ? – ნაღვლიანად ჰკითხა პილატემ.

– არა, პროკურატორო, არა, – თითქოს დაამშვიდა აფრანიუსმა, – თავხედი შეშლილი დავაშომინეთ, ავუხსენით, რომ გვამის დასაფლავებას ვაპირებდით.

ლევი მათე მიხვდა და დამშვიდდა, მაგრამ განაცხადა, რომ არსადაც არ წავიდოდა, რადგან ეწადა, დასაფლავებას დასწრებოდა. მან თქვა, რომ ფეხსაც არ მოიცვლიდა, თუნდაც მოეკლათ და ამისათვის, პურის საჭრელი დანაც კი შემოგვთავაზა, რომელიც თან აღმოაჩნდა.

– გააგდეს? – დაგუდული ხმით ჰკითხა პილატემ.

– არა, პროკურატორო, არა, ჩემმა თანაშემწემ უფლება მისცა დასაფლავებას დასწრებოდა.

– რომელი თქვენი თანაშემწე ხელმძღვანელობდა? – ჰკითხა პილატემ.

– ტოლმაიუსი, – უპასუხა აფრანიუსმა და შეშფოთებულმა დასძინა, – რამე ხომ არ შეშლია?

– განაგრძეთ, – უპასუხა პილატემ, – არაფერი შეშლია. საერთოდ, ოდნავ ვიბნევი კიდეც. აფრანიუს, მე ალბათ, ისეთ კაცთან მაქვს საქმე, რომელიც არასოდეს ცდება. ეს კაცი – თქვენ ბრძანდებით.

ლევი მათე ურემზე დასვეს, მსჯავრდებულთა გვამების გვერდით და ორიოდ საათის შემდეგ, იერუსალიმის ჩრდილოეთით მდებარე უდაბურ ხეობას მიაღწიეს. იქ ჯარისკაცებმა მონაცვლეობით, ერთ საათში ამოთხარეს ღრმა ორმო და სამივე მსჯავრდებული ერთად მიაბარეს მიწას.

– შიშვლები?

– არა, პროკურატორო, რაზმს ამ მიზნით ქიტონები ჰქონდა წაღებული. მიცვალებულებს თითებზე ბეჭდები ჩამოაცვეს, იეშუას ერთი ნაჭდევით, დისმასს – ორით და გესმასს – სამით. ორმო ამოავსეს და ქვები ზედ წააყარეს, სანიშნე ტოლმაიუსმა იცის.

– აჰ, ეგ რომ მცოდნოდა! – შუბლი შეიჭმუნა პილატემ, – მე ხომ იმ ლევი მათეს ნახვა მინდოდა...

– ის აქ არის, პროკურატორო!

პილატეს თვალები გადმოეკარკლა, ერთხანს აფრანიუსს უცქეროდა, შემდეგ კი უთხრა:

– ყველაფრისათვის მაღლობას გიხდით, რაც ამ საქმესთან დაკავშირებით გააკეთეთ. გთხოვთ, ხვალ ტოლმაიუსი გამომიგზავნოთ, წინასწარვე აუწყეთ, რომ კმაყოფილი ვარ მისი თავდადებით. თქვენ კი, აფრანიუს, – პროკურატორმა მაგიდაზე მიგდებული ქამრის ჯიბიდან ბეჭედი ამოიღო და საიდუმლო სამსახურის უფროსს გაუწოდა, – გთხოვთ, სახსოვრად მიიღოთ ჩემგან.

აფრანიუსმა თავი დაუკრა.

– დიდი პატივია, პროკურატორო.

– დასაფლავებაში მონაწილე ჯგუფს, გთხოვთ, ჯილდოები გადასცეთ. მაძებრებს, რომელთაც იუდა გაუსხლტათ, საყვედური. ლევი მათე კი ახლავე აქ მომგვარეთ, მინდა დაწვრილებით დავკითხო იეშუას საქმეზე.

– მესმის, პროკურატორო, – უპასუხა აფრანიუსმა, ქედმოდრეკილმა უკან-უკან დაიხია, პროკურატორმა კი ხელი ხელს შემოჰკრა და იყვირა:

– ჩემკენ! სანათურები სვეტოვანში!

აფრანიუსი ჯერ კიდევ არ გასულიყო ბაღიდან, როცა პილატეს ზურგს უკან, მსახურთა ხელში უკვე ბოლავდა ჩირაღდნები. პროკურატორის წინ, მაგიდაზე სამი სანათური იდგა, მთვარიანმა ღამემ იმავე წამს უკან, ბაღში გადაინაცვლა, თითქოს აფრანიუსმა გაიყოლა თან. აფრანიუსის ნაცვლად, აივანზე უცნობი კაცი შემოვიდა, დაბალი და გამხდარი რომ ჩანდა გიგანტური კენტურიონის გვერდით. იმ მეორემ, პროკურატორის მზერას წამწყდარმა, უკან დაიხია და მაშინვე გაქრა.

პროკურატორი ხარბად და ოდნავ დამფრთხალი აკვირდებოდა მოსულს. ასე იმას უცქერენ ხოლმე, ვის შესახებაც ბევრი რამ სმენიათ, ვისზეც თვითონაც უფიქრიათ და ბოლოს, აი, ისიც, მოვიდა.

მოსული ორმოციოდე წლის იქნებოდა, შავგვრემანი, ჩამოძენძილი, ტანზე ტალახშემხმარი. წარბებს ქვეშიდან მგელივით იცქირებოდა. ერთი სიტყვით, ძალზე შეუხედავი იყო და უფრო მათხოვარს ჰგავდა, რომლებიც მრავლად ირეოდნენ ტაძრის ტერასებსა და ხმაურიანი და ჭუჭყიანი ქვედა ქალაქის ბაზარში.

დუმილი დიდხანს გაგრძელდა და ეს დუმილი ანაზღად პროკურატორთან მოგვრილის მოულოდნელმა საქციელმა დაარღვია. მას სახე მოექცა, შექანდა და ჭუჭყიანი ხელით სავარძლის საზურგეს რომ არ დაყრდნობოდა, ალბათ, დაეცემოდა კიდევ.

– რა გჭირს? – ჰკითხა პილატემ.

– არაფერი, – უპასუხა ლევი მათემ და ისე გაიქნია ხელი, თითქოს რაღაც გადასცდა. გამხმარი, შიშველი, ჭუჭყიანი კისერი წამით დაეძაგრა, მერე ისევ დაცხრა.

– რა გჭირს, მიპასუხე, – გაიმეორა პილატემ.

– დავიღალე, – უთხრა ლევი მათემ და პირქუშად დახედა იატაკს.

– დაჯექი, – მიიწვია პილატემ და სავარძელზე მიუთითა.

ლევიმ ურწმუნოდ გახედა პროკურატორს, სავარძლისკენ დაიძრა, დამფრთხალი დააკვირდა ოქროს სახელურებს და შიგ კი არა, სავარძლის გვერდით, იატაკზე დაჯდა.

– ამიხსენი, რატომ არ ჩაჯექი სავარძელში? – ჰკითხა პილატემ.

– ჭუჭყიანი ვარ და დავსვრი, – თქვა მიწას ჩაჩერებულმა ლევიმ.

– ახლავე საჭმელს მოგიტანენ.

– ჭამა არ მინდა, – უპასუხა ლევიმ.

– რატომ ტყუი? – ხმადაბლა ჰკითხა პილატემ, – შენ ხომ მთელი დღეა არაფერი გიჭამია ან იქნებ, მეტიც. კარგი, ნუ შეჭამ. მე მხოლოდ იმისთვის გიხმე, რომ დანა მაჩვენო, რომელიც თან გქონდა.

– აქ შემოსვლამდე ჯარისკაცებმა ჩამომართვეს, – უპასუხა ლევი მათემ და პირქუშად უთხრა, – თუ შეიძლება, დამიბრუნეთ, პატრონს უნდა მივუტანო, ეგ დანა მოპარული მაქვს.

– რატომ მოიპარე?

– თოკები რომ გადამეჭრა, – უპასუხა ლევი მათემ.

– მარკუს! – იყვირა პროკურატორმა და კენტურიონმა სვეტოვანში შემოაბიჯა, – ამის დანა მომეცი.

კენტურიონმა ქამარზე დაკიდებული ერთ-ერთი ქარქაშიდან ჭუჭყიანი დანა ამოიღო, პროკურატორს გაუწოდა, თვითონ კი ისევ გაქრა.

– დანა ვის მოჰპარე?

– პურის ფარდულში, ჰებრონის კარიბჭესთან, ქალაქში როგორც კი შემოხვალ, იქვე, ხელმარცხნივ.

პილატემ დანას პირი მოუსინჯა, თითი დაუსვა, ფხა შეუმოწმა და რატომღაც თქვა:

– დანის ამბავი ნუ გადარდებს, ფარდულში დააბრუნებენ. ახლა ისიც მინდა ვიცოდე: მაჩვენე ის ქარტია, რომელიც თან დაგაქვს და რომელზეც იეშუას სიტყვებია ჩაწერილი.

ლევიმ ზიზღით შეხედა პილატეს და ისეთი ბოროტი ღიმილი გაუკრთა, რომ სრულიად დაუმახინჯდა სახე.

– ყველაფერი გინდათ წამართვათ? ის უკანასკნელიც, რაც გამაჩნია? – ჰკითხა მან.

– მე შენთვის არ მითქვამს, მომეცი-მეთქი, – უთხრა პილატემ, – მხოლოდ მაჩვენე.

ლევამ უბეში ჩაიყო ხელი და პერგამენტის გრაგნილი ამოიღო. პილატემ გამოართვა, სანათურებთან გაშალა და თვალმოჭუტულმა დაიწყო ძლივს შესამჩნევი ნიშნების ამოკითხვა. ძნელი გასარკვევი იყო ეს დაღვლარჭნილი სტრიქონები. პილატე შუბლს იჭმუხნიდა, პერგამენტზე იხრებოდა, თითს აყოლებდა სტრიქონებს. მან მაინც შეძლო გაერჩია, რომ ჩანაწერი ერთმანეთთან დაუკავშირებელ რაღაც გამონათქვამებს, ციფრებს, სამეურნეო შენიშვნებს და პოეტურ ნაწყვეტებს შეიცავდა. ზოგი რამ პილატემ ამოიკითხა კიდევ: „სიკვდილი არ არსებობს... გუშინ ტკბილ, გაზაფხულის ბაკუროტებს შევექცეოდით“...

დაძაბულობისგან სახედაღრეჯილი პილატე თვალებს ჭუტავდა, კითხულობდა: „და ჩვენ ვინილავთ სიცოცხლის თავანკარა მდინარეს... კაცობრიობა მზეს გამჭვირვალე კრისტალით შეხედავს“...

ანაზღად შეკრთა პილატე. პერგამენტის უკანასკნელ სტრიქონებში მან გაარჩია: „... უდიდესი ცოდვაა... შიში“.

პილატემ პერგამენტი დაგრაგნა და მკვეთრი მოძრაობით მიაწოდა ლევის.

– გამომართვი, – უთხრა და დუმილის შემდეგ დასძინა, – შენ, როგორც ვხედავ, წერა-კითხვის მცოდნე კაცი ხარ და სულაც არ გეკადრება მათხოვარივით მართო იწანწალო და თავშესაფარი ეძებო. კესარეაში დიდი ბიბლიოთეკა მაქვს, ძალიან მდიდარი ვარ და მინდა სამსახურში აგიყვანო. შენ დაგევალება პაპირუსთა გადარჩევა და შენახვა, მაძლარი იქნები და ჩაცმული.

ლევი წამოდგა და უთხრა:

– არა, არ მინდა.

– რატომ? – სახეზე ჩრდილმა გადაუარა პილატეს, – არ მოგწონვარ? თუ ჩემი გეშინია?

იმავე, უგვანო ღიმილმა მოუქცია სახე ლევის და უთხრა:

– არა, შენ შეგეშინდება ჩემი. შენ გაგიჭირდება სახეში შემომხედო, რადგან იცი, რომ შენ მოკალი იგი.

– გაჩუმდი, – უთხრა პილატემ, – ფული მაინც გამომართვი.

ლევამ უარყოფის ნიშნად თავი გაუქნია, პროკურატორმა კი განაგრძო:

– ვიცი, იეშუას მოწაფედ თვლი თავს, მაგრამ ერთს გეტყვი: ვერაფერი შეგითვისებია იქიდან, რაც მან გასწავლა, რადგან სხვაგვარად, აუცილებლად მიიღებდი ჩემგან რაიმეს. არ დაგავიწყდეს, მან ხომ სიკვდილის წინ თქვა, რომ არავის ადანაშაულებდა, – პილატემ თითი მაღლა ასწია, სახე უთრთოდა, – თვითონ აუცილებლად აიღებდა რამეს. შენ ულმობელი ხარ, ის კი ულმობელი არ იყო. საით წახვალ?

ლევინი უცებ მიუახლოვდა მაგიდას, ორივე ხელით ზედ დაეყრდნო, ანთებული თვალები შეანათა პილატეს და ჩურჩულით უთხრა:

– იცოდე, იგემონ, რომ იერუსალიმში ერთ კაცს სიცოცხლეს გამოვასალმებ. ეს მინდა გითხრა, რადგან უნდა იცოდე, რომ სისხლი კიდევ დაიღვრება.

– მეც ვიცი, რომ დაიღვრება, – უპასუხა პილატემ, – მაგ სიტყვებით ვერ გამოაცხებ. შენ, ცხადია, ჩემს მოკვლას აპირებ?

– შენს მოკვლას ვერ მოვახერხებ, – გაკრეჭილი ღიმილით უთხრა ლევინი, – მე არც ისეთი სულელი ვარ, ამის იმედი მქონდეს. მაგრამ იუდა კირიათელს კი გამოვასალმებ სიცოცხლეს. ამისთვის თავს არ დავზოგავ.

უცებ თვალები ღიმილით აევსო პროკურატორს, მან თითოთ იხმო ლევინი და წასჩურჩულა:

– ტყუილად გაირჯები, ამას ველარ მოახერხებ. ამაღამ უკვე მოკლეს იუდა.

ლევინი უკან გახტა, ველურად დააცეცა თვალები და ამოიხავლა:

– ვინ მოკლა?

– ნუ ხარ ეჭვიანი, – ნეტარი ღიმილით უთხრა პილატემ და ხელები მოიფშვნიტა, – მგონი, შენ გარდა სხვებსაც უყვარდათ იეშუა.

– მითხარი, ვინ მოკლა? – ჩურჩულით ჩაეძია ლევინი.

პილატემ უპასუხა:

– მე.

ლევინი პირი დააღო, შეშლილივით მიაჩერდა პროკურატორს, მან კი განაგრძო:

– ეს, რა თქმა უნდა, ძალზე ცოტაა. მაგრამ ეს მაინც, მე გავაკეთე! – შემდეგ დასძინა, – ახლა მიიღებ ჩემგან რამეს?

ლევინი დაფიქრდა, ოდნავ მოლბა და ბოლოს უთხრა:

– უბრძანე, სუფთა პერგამენტი მომიტანონ.

ერთი საათი გავიდა. ლევინი აღარ იყო სასახლეში. ახლა სიჩუმეს მხოლოდ ბაღში მოდარაჯეთა ჩუმი ნაბიჯის ხმა თუ არღვევდა. მთვარე სწრაფად ხუნდებოდა, ცის დასალიერზე კი მთიების თეთრი ლაქა იკვეთებოდა. სანათურები კარგა ხანია ჩამქრალიყო. სარეცელზე პროკურატორი იწვა. ხელი ლოყის ქვეშ ამოედო და მშვიდად, უხმაუროდ სუნთქავდა. მის გვერდით ბანგას ეძინა.

ასე შეხვდა ნისანის თხუთმეტის განთიადს იუდეველთა მეხუთე პროკურატორი პონტოელი პილატე.

თავი ოცდამეშვიდე

№50 ბინის დასასრული

ის იყო, მარგარიტამ რომანის უკანასკნელი სიტყვები ჩაიკითხა: „... ასე შეხვდა ნისანის თხუთმეტის განთიადს იუდეველთა მეხუთე პროკურატორი პონტოელი პილატე“, და ინათა კიდეც.

ეზოდან წნორისა და ცაცხვის ტოტების დილისეული შრიალით აჟღურტულებული ბელურების მხიარული გადაძახილი ისმოდა.

მარგარიტა სავარძლიდან წამოდგა, გაიზმორა და მხოლოდ ახლავდა შეიგრძნო, როგორ ტეხდა სხეული და როგორ უნდოდა დაძინება. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მარგარიტას სრულიად დამშვიდებოდა სული. აღარც აზრი ერეოდა, არც ის ადარდებდა, ასე არაბუნებრივად რომ გაატარა ღამე. არ ენაღვლებოდა, წუნელ სატანასთან რომ იყო წვეულებაზე, რომ რაღაც სასწაულით კვლავ დაუბრუნეს ოსტატი, რომანიც აღდგა ფერფლიდან და ისევ ძველებურად ცხოვრობდნენ ამ სარდაფში, საიდანაც კინწისკვრით გააგდეს ის ენაჭარტალა ალოიზი მალარიჩი. ერთი სიტყვით, ვოლანდის გაცნობას არავითარი ფსიქიკური ზიანი არ მიუყენებია მარგარიტასთვის. ყველაფერი ისე იყო, როგორც უნდა ყოფილიყო. მარგარიტა მეორე ოთახში გავიდა, ერთხელ კიდეც დარწმუნდა, რომ ოსტატს მშვიდად და ღრმა ძილით ეძინა, აწ სრულიად გამოუსადეგარი ღამეა ჩააქრო და თვითონაც მოპირდაპირე კედელთან მიდგმულ დივანზე მიწვა, ძველი, დახეული ზეწარი რომ ჰქონდა გადაფარებული. წუთის შემდეგ უკვე ეძინა და არც არაფერი დასიზმრებია იმ დილას. ღუმდა სარდაფის ოთახები, ღუმდა მთელი სახლი, ღუმდა ყრუ ჩიხი.

თუმცა კი, სწორედ ამ დროს, ე. ი. შაბათ დილას, ფხიზლობდა მოსკოვის ერთ-ერთი დაწესებულების მთელი სართული და მოასფალტებული, უზარმაზარი მოედნისაკენ, საგანგებო მანქანები რომ გუგუნით უვლიდნენ და ჯაგრისებით რეცხავდნენ, მომზირალი მისი ფანჯრები, მთელ ღამეს ჩახჩახებდა და ახალამოწვერილ მზის სხივებს კვეთდა.

მთელი სართული ვოლანდის საქმის ძიებით იყო დაკავებული და ნათურებიც მთელ ღამეს ენთო ამ კაბინეტში.

ამ საქმეს უკვე გუშინ, პარასკევს, მოეფინა ნათელი, როცა ვარიეტეს ადმინისტრაციის გაქრობისა და წინა საღამოს ჩატარებული შავი მაგიის სეანსის შემდეგ მომხდარი ათასგვარი საძაგლობის გამო, ვარიეტეს დაკეტვა მოუხდათ. მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ ამ ფხიზლად მოდარაჯე სართულს დაუსრულებლად აწოდებდნენ სულ ახალთახალ მასალებს.

ახლა მაძებრებს, რომლებიც ამ საქმეს იკვლევდნენ და რომელსაც სრულიად ცხადად უდიოდა ეშმაკის და თან რაღაც ჰიპნოზური ფოკუსებისა თუ სრულიად თვალნათლივი სისხლის სამართლის დანაშაულის სუნი, ევალეობდათ მოსკოვის სხვადასხვა რაიონში მომხდარი რთული და დაბურღული ამბები ერთიან საქმედ შეეკრათ.

პირველი, ვისაც ამ ფხიზლად მოდარაჯე, ელექტრობით გაჩახჩახებულ სართულზე მოუწია მისვლამ, არკადი აპოლონოვიჩი სემპლიაროვი იყო, აკუსტიკური კომისიის თავმჯდომარე.

პარასკევს, სადილის შემდეგ, კამენნი მოსტთან მდებარე სახლში მოთავსებულ მის ბინაში ზარმა გაიწკრიალა და მამაკაცის ხმამ არკადი აპოლონოვიჩი იხმო ტელეფონთან.

ყურმილთან მისულმა არკადი აპოლონოვიჩის მეუღლემ ნაღვლიანად აუწყა იმ ხმას, რომ არკადი აპოლონოვიჩი შეუძლოდ ბრძანდებოდა, წამოწოლილი იყო, ისვენებდა და ტელეფონთან ვერა და ვერ მივიდოდა. თუმცა არკადი აპოლონოვიჩს მაინც მოუწია ტელეფონთან მისვლამ. იმის პასუხად, თუ ვინ კითხულობდა არკადი აპოლონოვიჩს, ყურმილში ძალიან მოკლე პასუხი გაისმა.

– ახლავე... ამწუთას... ახლავე... – ჩაილუღლუღა საერთოდ ძალზე ზვიადმა აკუსტიკური კომისიის თავმჯდომარის მეუღლემ და ისარივით გაიჭრა საძინებელი ოთახისაკენ, არკადი აპოლონოვიჩის ლოგინიდან წამოსაყენებლად. მისი ქმარი ჯერ ისევ საწოლზე იწვა და ჯოჯოხეთურად იტანჯებოდა გუშინდელი სეანსისა და ღამეული აყალმაყალის გახსენებით, ბინიდან მისი ნათესავი ქალის გაძევებით რომ დასრულდა.

მართალია, ერთ წამში არა, მაგრამ არც ერთ წუთში, სულ რაღაც წუთის მეოთხედში, ცალ ფეხზე ფეხსაცმელწამოცმული, საცვლების ამარა არკადი აპოლონოვიჩი უკვე ტელეფონთან იდგა და აკანკალებული ხმით ბლუკუნებდა:

– დიახ, მე გახლავართ... გისმენთ, გისმენთ...

მისი მეუღლე, ამ ერთ წამში რომ დავიწყებოდა ყველა ის საზიზღარი, ოჯახური ერთგულების დამრღვევი ქმედება, წუხელ რომ გამოუმზეურეს უბედურ არკადი აპოლონოვიჩს, დაფეთებული იდგა დერეფნის კარში, ფეხსაცმელს იქნევდა და ეჩურჩულებოდა:

– ფეხსაცმელი ჩაიცვი, ფეხსაცმელი... გაცივდები, – რის პასუხადაც არკადი აპოლონოვიჩი შიშველი ფეხის ქნევით იგერიებდა ცოლს, თვალებს ველურად უბრიალებდა და ყურმილს ჩასძახოდა:

– დიახ, დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, მესმის... ახლავე გამოვდივარ.

არკადი აპოლონოვიჩმა მთელი საღამო იმ სართულზე გაატარა, სადაც ძიება მიმდინარეობდა. ლაპარაკი მძიმედ წარიმართა, ძალზე უსიამოვნო ლაპარაკი იყო, რადგან არკადი აპოლონოვიჩი იძულებული გახდა, სრულიად გულახდილად მოეთნრო, არა მარტო იმ უსაზიზღრესი სეანსისა და ლოჟაში გამართული ჩხუბის შესახებ, არამედ ამასთან ერთად, ძალიან აუცილებელ ამბებზეც ელაპარაკა, კერძოდ, ელოხოვის ქუჩაზე მცხოვრებ მილიცა ანდრეევნა პოკობატკოსა და სარატოველი ნათესავი ქალის შესახებ და კიდევ მრავალ სხვაზეც, რისი აღიარებაც არკადი აპოლონოვიჩს ენით აუწერელ ტანჯვას აყენებდა.

ცხადზე ცხადია, რომ არკადი აპოლონოვიჩის – ამ ინტელიგენტი და კულტურული კაცის ჩვენებებმა, კაცისა, ვინც თავად იყო ამ ამაზრზენი სეანსის მოწმე, თანაც გონიერი და კვალიფიციური მოწმე, რომელმაც შესანიშნავად აღწერა ის ნიღბიანი იდუმალი მაგიცა და მისი ორი ავაზაკი თანამზრახველიც და დანამდვილებით ახსოვდა, რომ მაგის გვარი ვოლანდი იყო – მნიშვნელოვნად წინ წასწია ძიება. არკადი აპოლონოვიჩისა და სხვათა ჩვენებების შეჯერებამ, მათ შორის სეანსის შედეგად დაზარალებული ქალების ჩვენებებიც რომ იყო (ის იისფერსაცვლიანიც, რიმსკი რომ გადარია და ვაი, რომ მრავალი სხვაც), კურიერ კარპოვისაც, სადოვაიას ქუჩაზე № 50 ბინაში რომ გაგზავნეს – საგრძნობლად გააადვილა იმ ადგილის დადგენა, სადაც ამ აურზაურის მთავარი დამნაშავე უნდა ეძებნათ.

ბინა № 50-ში მივიდნენ, მივიდნენ და არაერთხელაც, არამცთუ ზედმიწევნით დაათვალიერეს იქაურობა, არამედ კედლებზეც აკაკუნეს და სამალავის ძებნაში, ბუხრის საკვამურიც კი გაჩხრიკეს, მაგრამ ჩატარებულ ღონისძიებებს ნაყოფი არ გამოუღია და რამდენჯერაც არ

შეამოწმეს ბინა, მაინც ვერაფერი აღმოაჩინეს. თუმცა კი სრულიად ცხადად იგრძნობოდა, რომ ბინაში ვიღაც იყო. მიუხედავად იმისა, რომ ის პირები, ვისაც ასე თუ ისე ევალეობოდათ მოსკოვში ჩამოსული უცხოელ მსახიობთა ასავალ-დასავლის ცოდნა, კატეგორიულად ირწმუნებოდნენ, არანაირი შავი მაგი ვოლანდი მოსკოვში არ ჩამოსულა და არც შეიძლებოდა ჩამოსულიყო.

ვოლანდის ჩამოსვლა არსად ყოფილა რეგისტრირებული, არც არავისთვის წარუდგენია თავისი პასპორტი, სხვა რომელიმე საბუთი, კონტრაქტი თუ ხელშეკრულება, და მის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. სასცენო კომისიის საპროგრამო განყოფილების გამგე კიტაიცევს ლამის ხატზე შეეძლო დაეფიცა, რომ უკვალოდ გამქრალ სტიოპა ლინოდევს ვოლანდის სპექტაკლის პროგრამა საერთოდ არ გაუგზავნია მისთვის დასამტკიცებლად და არც ამ ვოლანდის ჩამოსვლის შესახებ უცნობებია ტელეფონით. ამდენად, კიტაიცევსთვის სრულიად გაუგებარი იყო, და ეს აოცებდა სწორედ, როგორ შეძლო სტიოპამ ვარიეტეში ამგვარი სეანსის ჩატარება. ხოლო როცა აუწყეს, რომ არკადი აპოლონოვიჩმა ამ სეანსზე საკუთარი თვალთ იხილა ის მაგი, გაოცებულმა კიტაიცევმა მხოლოდ ხელები გაშალა და თვალები ზეცისკენ აღაპყრო. სწორედ ამ თვალებით შეიძლებოდა იმის მიხვედრა და თამამად დაჟინება, რომ კიტაიცევი სუფთა იყო, ვითარცა ბროლი.

იმ პროზორ პეტროვიჩმა კი, მთავარი სასცენო კომისიის თავმჯდომარემ... დავაზუსტოთ: როგორც კი მილიცია მის კაბინეტში შევიდა, პროზორ პეტროვიჩი მაშინვე დაბრუნდა თავის კოსტიუმში, ანა რიჩარდოვნას გასახარად და ამაოდ შეწუხებული მილიციის გასაოცრად. ისიც უნდა აღვნიშნოთ: თავის ადგილას, თავის რუხ, ზოლიან კოსტიუმში დაბრუნებულმა პროზორ პეტროვიჩმა სრულიად მოიწონა ყველა რეზოლუცია, რომელიც კოსტიუმს დაედო მისი მცირევადიანი არყოფნის დროს.

... ამდენად, ამ პროზორ პეტროვიჩმა საერთოდ არაფერი იცოდა ვინმე ვოლანდის შესახებ.

როგორც გენებოთ და, რაღაც დაუჯერებელი გახლდათ: ათასობით მაყურებელმა, ვარიეტეს ყველა თანამშრომელმა და ბოლოს, არკადი აპოლონოვიჩ სემპლიაროვმა, ამ დიდად განათლებულმა ადამიანმა, საკუთარი თვალთ იხილეს ეს მაგი და მისი სამგზის წყეული ასისტენტები და, მიუხედავად ამისა, მათ კვალს მაინც ვერ აგნებდნენ. ნება მიბოძეთ, დაგეკითხოთ, მიწა ხომ არ ჩაყლაპავდა ამ საზიზღარი სეანსის დამთავრებისთანავე, ან იქნებ, როგორც ზოგიერთები ამტკიცებდნენ, მართლაც საერთოდ არ ჩამოსულა მოსკოვში? თუ პირველ ვერსიას დაუშვებდნენ, ეჭვგარეშე იყო, რომ მიწაში ჩაყლაპვისას, მათ თან უნდა გაეყოლებინათ ვარიეტეს მთელი ადმინისტრაცია. მეორე ვერსიით კი ისე გამოდიოდა, რომ თავად ამ თეატრის ადმინისტრაციას ჩაედინა რაღაც საზიზღრობა (გაიხსენეთ, რიმსკის კაბინეტის ჩამსხვრეული ფანჯრები და ტუზბუბენის უცნაური ქცევა!) და მოსკოვიდან უკვალოდ გამქრალიყვნენ.

სიკეთე არ უნდა დავუკარგოთ იმ ადამიანს, ვინც ძიებას ხელმძღვანელობდა. გადაკარგული რიმსკი გასაოცრად სწრაფად მოძებნეს. ამისთვის საკმარისი აღმოჩნდა, კინემატოგრაფის სიახლოვეს მდებარე ტაქსის გაჩერებაზე ტუზბუბენის ქცევა დროის სხვადასხვა მონაკვეთთან შეედარებინათ, თუნდაც სეანსის დამთავრების დროსა და მატარებლის განრიგთან, და სასწრაფოდ აფრინეს დეპეშა ლენინგრადში. ერთ საათში პასუხი მოვიდა (პარასკევ სალამოსვე), რომ რიმსკისთვის სასტუმრო „ასტორიის“ ოთხას ოც ნომერში მიეგნოთ, მეოთხე სართულზე, იმხანად ლენინგრადში საგასტროლოდ ჩასული მოსკოვის ერთ-ერთი თეატრის სარეპერტუარო ნაწილის გამგის ნომრის გვერდით ნომერში, სადაც, როგორც ცნობილია, მოქრული რუხ-ცისფერი ავეჯი იდგა და შესანიშნავი სააბაზანოც ჰქონდა.

„ასტორიის“ ოთხას ოცი ნომრის ტანსაცმლის კარადაში შემალულ რიმსკის მიაგნეს თუ არა, მაშინვე დააპატიმრეს და იქვე, ლენინგრადშივე დაჰკითხეს. რის შედეგადაც მოსკოვში დეპეშა მოვიდა, რომელიც იტყობინებოდა, რომ ვარიეტეს ფინანსური დირექტორი შეურაცხად მდგომარეობაში იმყოფებოდა, შეკითხვებზე გონივრულ პასუხს ვერ ან არ იძლეოდა, და მხოლოდ ერთს ითხოვდა, ტყვიაგაუმტარ საკანში ჩაეკეტათ და შეიარაღებული მცველები მიეჩინათ. მოსკოვიდან დეპეშით ბრძანება გაიცა, რიმსკი მცველების თანხლებით მოსკოვში ჩამოეყვანათ, რის შედეგადაც, რიმსკი, პარასკევ სალამოსვე, დაცვის თანხლებით გამოამგზავრეს მოსკოვში.

პარასკევ სალამოსვე მიაგნეს ლიხოდევის კვალსაც. ყველა ქალაქში დეპეშები დაგზავნეს ლიხოდევის ძიების შესახებ და იალტიდან პასუხი მოვიდა, რომ ლიხოდევმა იალტაში იმყოფებოდა და უკვე აეროპლანით გამოფრენილიყო მოსკოვში.

ერთადერთი, ვინც ვერსად იპოვეს, ვარენუხა იყო. მთელი მოსკოვისათვის ცნობილი თეატრალური ადმინისტრატორი. ისე გაქრა, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო.

ამასობაში, იძულებული გახდნენ, თეატრისაგან დამოუკიდებლად, მოსკოვის სხვადასხვა რაიონში მომხდარი შემთხვევებიც გაეანალიზებინათ. უნდა გარკვეულიყვნენ მოულოდნელად ამღერებული თანამშრომლების საქმეში (დავაზუსტოთ: პროფესორმა სტრავინსკიმ კანქვეშ რაღაც წამლის შემზავუნებით ორ საათში შეძლო მათი დამშვიდება), იმ პირთა საქმეში, ვინც სხვა პირებს თუ დაწესებულებებს, ფულის ნაცვლად, ეშმაკმა უწყის, რას არ სთავაზობდნენ, და იმ ადამიანთა საქმეებშიც, ვინც ამგვარი შეთავაზებით დაზარალებულიყვნენ.

როგორც თავისთავად ცხადია, ამ შემთხვევათაგან ყველაზე უსიამოვნო, ყველაზე სკანდალური და აუხსნელი განსვენებული ლიტერატორის – ბერლიოზის თავის მოტაცება იყო კუბოდან გრიბოედოვის დარბაზში, დღისით-მზისით რომ მოხდა.

თორმეტი კაცი აწარმოებდა ძიებას და საქმეს მთელ მოსკოვში მიმოფანტული წყეული თვლებივით ასხამდნენ ჩხირებზე.

ერთ-ერთი გამომძიებელი პროფესორ სტრავინსკის ეწვია და, უპირველეს ყოვლისა, იმ პირთა სია მოითხოვა, ამ უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში რომ მოხვედრილიყვნენ კლინიკაში. ამგვარად აღმოაჩინეს ნიკონორ ივანოვიჩ ბოსოი და უბედური, თავმოგლეჯილი კონფერანსიე. თუმცა ესენი ნაკლებად შეაწუხეს. ახლა უკვე იოლად შეიძლებოდა იმის დადგენა, რომ ეს ორნიც იმავე ბანდის მსხვერპლი იყვნენ, იდუმალი მაგი რომ მეთაურობდა. მაგრამ აი, ივან ნიკოლაევიჩ უსახლკაროთი კი გამომძიებელი უზომოდ დაინტერესდა.

ივანუშკას № 117 ოთახის კარი პარასკევ სალამოს გაიღო და ოთახში ახალგაზრდა, პირმრგვალი, მშვიდი და ძალზე თავაზიანი კაცი შევიდა, სულ რომ არ ჰგავდა გამომძიებელს და მაინც, მოსკოვის ერთ-ერთი საუკეთესო გამომძიებელი გახლდათ. მან საწოლში მწოლიარე, გაფითრებული და ლოყებჩაცვნილი ახალგაზრდა კაცი დაინახა, რომელსაც თვალებში სრული გულგრილობა ეწერა და ამ თვალებით ხან სადღაც შორეთს გახედავდა ხოლმე, ხანაც საკუთარ სულში იბრუნებდა.

გამომძიებელი ალერსიანად გაეცნო ივანს და მისვლის მიზეზი აცნობა, უთხრა, რომ გუშინწინ, პატრიარქთა ტბორებზე მომხდარი ამბავი აინტერესებდა.

ო, როგორ აღფრთოვანდებოდა ივანი, გამომძიებელი უფრო ადრე რომ მისულიყო მასთან, თუნდაც, ოთხშაბათ ღამეს, როცა გადარეული ითხოვდა, ვინმეს ყურად ელო მისი მონათხრობი, პატრიარქთა ტბორებზე მომხდარი ამბის შესახებ. აჰა, აღსრულდა კიდეც მისი ოცნება, უკვე შეეძლო დახმარება გაეწია კონსულტანტის დაჭერაში. არც არსად დასჭირდებოდა სირბილი, თვითონ მოვიდნენ მასთან, რათა მოესმინათ, რა მოხდა ორშაბათ საღამოს.

მაგრამ ვაი, რომ ივანუშკა სრულიად შეცვლილიყო იმ ხანში, რაც ბერლიოზის სიკვდილის შემდეგ გავიდა. ის მზად იყო თავაზიანად ეპასუხა გამომძიებლის ყველა შეკითხვაზე, მაგრამ გულგრილობა იგრძნობოდა ივანის მზერასა და ხმაში. პოეტს უკვე აღარ აწუხებდა ბერლიოზის ბედი.

გამომძიებლის მოსვლამდე ივანუშკა თვლემდა და უჩვეულო ხილვა ეზმანა. რომელიღაც უცნაურ, გაუგებარ, არარსებულ ქალაქს ხედავდა, მარმარილოს ზოდებით, ჩამოთლილი სვეტებით, მზეზე აბზინებული სახურავებით, ანტონიუსის შავი, ნაღვლიანი და უმოწყალო ციხესიმაგრით, დასავლეთ ბორცვზე აღმართული სასახლით, რომელიც სახურავამდე ბაღის ტროპიკულ სიმწვანეში იყო ჩაფლული, ამ სიმწვანის თავზე კი, აისით აბრიალებულ ბრინჯაოს ქანდაკებებსა და ძველი ქალაქის კედლებთან – მძიმედ შეჭურვილ რომაულ კენტურებს.

ძილ-ბურანში ივანი სავარძელში უძრავად მჯდარ კაცსაც ხედავდა, თავგადაპარსულ, ზაფრანისფერსახიან, განაწამებ კაცს, სისხლისფერქობიანი, თეთრი მოსასხამი რომ ემოსა და ზიზღით გასცქეროდა ამ დიდებულ და უცხო ბაღნარს. ხედავდა მოტიტვლებულ, ყვითელ მთასაც და უკვე დაცარიელებულ, გაშიშვლებულ ჯვრებს.

პატრიარქთა ტბორებზე მომხდარი ამბავი პოეტ უსახლკაროს უკვე აღარ ადარდებდა.

– მითხარით, ივან ნიკოლაევიჩ, თქვენ რა მანძილის მოშორებით იდექით ტურნიკეტთან, როცა ბერლიოზი ტრამვაიმ გაიტანა?

ძლივს შესამჩნევმა, გულგრილმა ღიმილმა ტუჩებზე გადაუარა ივანს და უპასუხა:

– შორს ვიყავი.

– ის კუბოკრულკოსტიუმისანი ტურნიკეტთან იდგა?

– არა, მოშორებით იჯდა მერხზე.

– კარგად განსოვთ, რომ ბერლიოზის დაცემამდე ტურნიკეტს არ მიახლოებია?

– მანსოვს, არ მიახლოებია. გაშხლართული იჯდა სკამზე.

გამომძიებელი მეტს აღარაფერს შეჰკითხვია, წამოდგა, ივანუშკას ხელი გაუწოდა, გამოჯანმრთელება უსურვა და იმედი გამოთქვა, რომ მალე ისევ წაიკითხავდა მის ლექსებს.

– არა, – ხმადაბლა უთხრა ივანმა, – ლექსებს აღარ დავწერ.

გამომძიებელმა თავაზიანად ჩაიცინა, თავს უფლება მისცა, რწმენა გამოეთქვა, რომ პოეტი ახლა ერთგვარ დეპრესიაში იმყოფებოდა და ეს ყოველივე მალე გაივლიდა.

– არა, – ისევ უპასუხა ივანმა, ოღონდ ახლა გამომძიებელს კი არ უყურებდა, შორს მიმჭრალ ცისკიდურს გასცქეროდა, – სუსტი ლექსებია, ამას უკვე მივხვდი.

გამომძიებელმა ივანი დატოვა და თან ძალზე მნიშვნელოვანი მასალა წაიღო. ბოლოდან დასაწყისისკენ მნიშვნელოვან ძაფს მიყოლილებმა, ბოლოს და ბოლოს შეძლეს იმ სათავისათვის მიეღწიათ, საიდანაც დაიწყო ყველაფერი. გამომძიებელს ეჭვი აღარ ეპარებოდა, რომ ეს მოვლენები პატრიარქთა ტბორებთან მომხდარი მკვლელობით დაიწყო. ცხადია, არც ივანუშკას და არც იმ კუბოკრულკოსტუმიანს ხელი არ უკრავთ „მასსოლიტის“ უბედური თავმჯდომარისთვის, ფიზიკურად, ასე ვთქვათ, ბორბლებქვეშ მისი შევარდნისათვის ხელი არავის შეუწყვია, მაგრამ გამომძიებელი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ბერლიოზი ტრამვაის დაჰიპნოზებული შეუვარდა (ანდა რელსებზე ფეხი დაუცდა).

ღიახ, მასალა უკვე საკმარისზე მეტი დაგროვდა და უკვე ისიც იყო ცნობილი, ვინ და სად უნდა დაეკავებინათ. მაგრამ საქმე ის გახლდათ, რომ სწორედ დაპატიმრება იყო ყოველად შეუძლებელი. იმ სამგზის წყეულ № 50 ბინაში, უნდა გავიმეოროთ, ვილაც ნამდვილად იყო. ეს ბინა ხან გაბზარული, ხან ნიღნილა ხმით პასუხობდა ტელეფონის ზარს. ხანდახან ფანჯრებიც იღებოდა, უფრო მეტიც, პატეფონის ხმაც კი ისმოდა. და, მიუხედავად ამისა, ყოველთვის, როცა ბინაში შევიდოდნენ, შინ არავინ ხვდებოდათ. თუმცა ბინას ერთხელ და ორჯერ არ სტუმრებიან. დღის ნებისმიერ დროს მიდიოდნენ, უფრო მეტიც, ბინა ბადით მოიარეს, ისე გაჩხრიკეს, კუთხე-კუნჭულიც არ დაუტოვებიათ. რა ხანია უთვალთვალეებდნენ კიდეც, არა მარტო ეზოსა და სადარბაზოსთან იდგა მოთვალთვალე, არამედ, უკანა კართან და ასე გასინჯეთ, სახურავზე, საკვამურთანაც. ღიახ, 50-ე ბინა თავს იგდებდა, მაგრამ მძებრები ვერაფერს უხერხებდნენ.

ასეთი მდგომარეობა იყო პარასკევ საღამოდან შაბათ დილამდე, როცა ბარონი მეიგელი, საღამოს კოსტიუმსა და ლაქის ფეხსაცმელში გამოპრანჭული ესტუმრა № 50 ბინას. ყველამ გაიგო, როგორ გაიღო კარი და ბარონი მეიგელი ბინაში შეუშვეს. ზუსტად ათი წუთის შემდეგ, ზარის დაურეკავად თვითონაც შეაღეს კარი და ბინაში შევიდნენ, მაგრამ არამცთუ მასპინძელი არ დახვედრიათ იქ, ყველაზე გასაოცარი ის იყო, რომ ველარც ბარონ მეიგელს მიაკვლიეს.

ასე და ამრიგად, როგორც უკვე ითქვა, ასეთი იყო მდგომარეობა შაბათ დილამდე. ამ დროისათვის კი ძალზე საგულისხმო და ახალი მონაცემები გაჩნდა. მოსკოვის აეროდრომზე ყირიმიდან მომავალი ექვსადგილიანი სამგზავრო თვითმფრინავი დაეშვა. სხვა მგზავრებთან ერთად იქიდან უცნაური მგზავრიც გადმოვიდა. ეს იყო ახალგაზრდა, წვერმოშვებული, სამი დღის დაუბანელი მოქალაქე, ანთებულ და დამფრთხალ თვალებს რომ აცეცებდა. ბარგი არ ჰქონდა და საკმაოდ უცნაურადაც იყო ჩაცმული. მოქალაქეს ბონობი ეხურა, ღამის საცვლებზე ნაბადი ჰქონდა წამოსხმული და ფეხზე ცისფერი, ახალთახალი, სულ ახლახან ნაყიდი ტყავის საშინაო ფეხსაცმელი ეცვა. როგორც კი თვითმფრინავიდან დაშვებული კიბე ჩამოათავა, მოქალაქეს მიუახლოვდნენ. ამ მგზავრს უკვე ელოდნენ და მცირე ხნის შემდეგ ვარიეტეს მარად დაუვიწყარი დირექტორი სტეპან ბოგდანოვიჩ ლიხოდეევი გამომძიებლის წინაშე წარდგა. მან მიაწოდა გამომძიებას ახალი ცნობები. ახლა უკვე გაირკვა, რომ ვოლანდს ვარიეტეში მსახიობის სახელით შეეღწია, სტიოპა ლიხოდეევი დაეჰიპნოზებინა, შემდეგ კი, იგივე ლიხოდეევი მოსკოვიდან, ღმერთმა უწყის, რამდენი კილომეტრის მოშორებით გადაესროლა. ამგვარად, სრულიად ახალი მასალა გაჩნდა, მაგრამ საქმეს ნათელი მაინც არ მოჰფენია. პირიქით, უფრო გართულდა კიდეც, რამეთუ ცხადზე უცხადესი ხდებოდა, რომ იმგვარი ამბების ჩამდენი პიროვნება, რომლის მსხვერპლიც გამხდარიყო სტეპან ბოგდანოვიჩი, ასე იოლად დასაჭერი არ იქნებოდა. სხვათა შორის, ლიხოდეევი, მისივე თხოვნით, საიმედო საკანში მოათავსეს და გამომძიებლების წინაშე ახლა ვარენუხა წარდგა,

რომელიც საკუთარ ბინაში დაეპატიმრებინათ, სადაც ორი დღით უკვალოდ გაქრობის შემდეგ დაბრუნებულიყო.

ვარენუხა აზაზელოს მტკიცედ კი შეპირდა, აღარ ვიცრუებო, მაგრამ ადმინისტრატორმა სწორედ ტყუილებით დაიწყო. თუმცა, ვგონებ, ძალიან მკაცრადაც ვერ განვსჯით. აზაზელომ ხომ იმის პირობა ჩამოართვა, ტელეფონში აღარ ეცრუა და ეუხეშა, ადმინისტრატორი კი ამჟამად, ტელეფონით არ ლაპარაკობდა. თვალდაცეცებული ივან საველიევიჩი აცხადებდა, რომ ოთხშაბათ დილით თავის კაბინეტში მარტომ გადაკრა სასმელი, შემდეგ სადღაც წავიდა, სად – აღარ ანსოვს, მერე კიდევ სადღაც დაამატა ერთი-ორი ჭიქა, სად – არც ის ანსოვს, სადღაც ღობის ძირას გამოფხიზლდა, სად – ველარ იხსენებს, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ადმინისტრატორი გააფრთხილეს, რომ თავისი უაზრო და უმეცარი ქცევით მნიშვნელოვანი საქმის გამოძიებას აფერხებდა და ამის გამო, ცხადია, პასუხსაც აგებინებდნენ, ვარენუხა აქვითინდა და თვალეზღვებულმა, აკანკალებული ხმით, ჩურჩულით განაცხადა, რომ მხოლოდ ვოლანდის ბანდის შურისძიების შიში აიძულებდა ეცრუა, რადგან მათ ხელში უკვე იმყოფებოდა და ახლა ერთსდა ითხოვდა, ევედრებოდა, ოცნებობდა – ტყვიაგაუმტარ საკანში ჩაეკეტათ.

– თფუი, ეშმაკს! რა ყველას ეს ტყვიაგაუმტარი საკანი აუტყდა! – ჩაიბუზღუნა ერთ-ერთმა გამომძიებელმა.

– ეტყობა, გვარიანად დააშინეს იმ ავაზაკებმა, – თქვა იმ გამომძიებელმა, ივანუშკა რომ მოინახულა.

ვარენუხა, როგორც შეეძლოთ, დაამშვიდეს, დაარწმუნეს, რომ უსაკნოდაც დაიცავდნენ და, ცხადია, მაშინვე გაირკვა, არაყი რომ არაფერ შუაში იყო, უბრალოდ, ვიღაც ორი სცემდა ვარენუხას ერთი – ლოჯიანი და წითური, მეორე კი – მსუქანი...

– ა, კატას რომ ჩამოჰგავს? . .

– დიახ, დიახ, დიახ, – ჩურჩულებდა შიშით სულგაპარული და თვალდაცეცებული ადმინისტრატორი და თანდათან წვრილად ყვებოდა, ორ დღეს როგორ იმყოფებოდა № 50 ბინაში ვამპირად და ლამის ფინანსური დირექტორის, რიმსკის მკვლეელი არ გახდა...

ამ დროს ლენინგრადის მატარებლით ჩამოსული რიმსკი შემოიყვანეს. ამ შიშით ათრთოლებულ, ფსიქიკურად გაუწონასწორებელ ჭადარა კაცს, რომელშიც ძლივსდა შეიცნობდით ადრინდელ ფინანსურ დირექტორს, არაფრის გულისთვის არ უნდოდა სიმართლის თქმა და ამ მხრივ, ყველაზე ჯიუტი აღმოჩნდა. რიმსკი ამტკიცებდა, რომ გელლა თავისი კაბინეტის ფანჯარაში არ დაენახა და არც ვარენუხა სწვეოდა სტუმრად, უბრალოდ, შეუძლოდ შეიქნა და გონებადაბინდული ლენინგრადში გაემგზავრა. აღარც ღირს იმის თქმა, რომ თავისი ჩვენება სნეულმა რიმსკიმ იმავე თხოვნით დაასრულა, მასაც სურდა ტყვიაგაუმტარ საკანში ჩაეკეტათ.

ანუშკა იმ დროს დააპატიმრეს, როცა არბატის უნივერსიტეტში მოლარეს ათდოლარიანს აჩეჩებდა. მისი მონათხრობი სადოვაიას სახლის ფანჯრიდან გაფრენილი ხალხისა და ნალის შესახებ, რომელიც ანუშკამ, მისივე მტკიცებით, იმიტომ აიღო, რომ მილიციაში წარედგინა, დიდი ყურადღებით მოისმინეს.

– ნალი მართლაც ოქროსი იყო, ბრილიანტებით? – ეკითხებოდნენ ანუშკას.

– მე თუ ბრილიანტები აღარ ვიცი! – ჰასუხობდა ანუშკა.

– როგორც ამბობთ, იმ კაცმა თუმნიანები მოგცათ.

– მე თუ თუმნიანებს ველარ ვცნობ! – ჰასუხობდა ანუშკა.

– აბა, დოლარებად როგორ იქცნენ?

– არაფერი ვიცი, რა დოლარი, რის დოლარი, თვალითაც არასოდეს მინახავს ეგ დოლარები, – ჩხაოდა ანუშკა, – ჩემი ნებაა! ჯილდოს ფასად ჩითის ყიდვა მინდოდა... – და ამის შემდეგ, ერთ აბდაუბდას მოჰყვა, რომ სახლმმართველის ნაცვლად თვითონ არ აგებდა ჰასუხს, მეხუთე სართულზე უწმინდური ძალა რომ გაამრავლეს და სიცოცხლე გაუმწარეს ხალხს.

გამომძიებელმა ანუშკას კალამი დაუქნია, უკვე ყველას მობეზრებოდა მისი ლაქლაქის მოსმენა. მომწვანო ქალაქზე საშვი გამოუწერა გარეთ გასასვლელად, რის შემდეგაც ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა – ანუშკა გაქრა იმ შენობიდან.

შემდეგ სხვებიც გამოჩნდნენ, მათ შორის – ნიკოლაი ივანოვიჩი, რომელიც სულ ახლახან თავისი ეჭვიანი ცოლის სისულელის გამო დაეპატიმრებინათ, ქმრის გაქრობის ამბავი დილაუთენია რომ შეეტყობინებინა მილიციისთვის. ნიკოლაი ივანოვიჩს დიდად არ გაუოცებია გამოძიება, როცა მაგიდაზე ის ჯამბაზური მოწმობა დადო, რითიც ამტკიცებდა, რომ ღამე სატანის წვეულებაზე გაატარა. თუმცა ნიკოლაი ივანოვიჩმა ოდნავ დაამახინჯა სინამდვილე, როცა იმის შესახებ ყვებოდა, როგორ მიიყვანა კისერზე გადამჯდარი მარგარიტა ნიკოლაევნას შიშველი მოსამსახურე სადღაც ეშმაკებში, რომელიღაც მდინარეზე საბანაოდ, ანდა მანამდე, როგორ დაინახა ფანჯარაში შიშველი მარგარიტა ივანოვნა. საერთოდ არ ჩათვალა საჭიროდ იმის თქმა, რომ მარგარიტა ივანოვნას ბინაში ღამის პერანგის მისატანად ავიდა, არც ის, ნატაშას ვენერას რომ ეძახდა. მისი ნათქვამიდან ისე გამოდიოდა, თითქოს ნატაშა ფანჯრიდან გამოფრენილიყო, კისერზე გადასჯდომოდა და მოსკოვიდან გაეჭენებინა...

– ძალადობას დავნებდი და იძულებული შევიქენი – დავმორჩილებოდი, – ყვებოდა ნიკოლაი ივანოვიჩი და თავისი ნაამბობი თხოვნით დაასრულა, არაფერი ეთქვათ მისი მეუღლისთვის, რასაც შეჰპირდნენ კიდეც.

ნიკოლაი ივანოვიჩის ჩვენებამ შესაძლებელი გახდა, დაედგინათ, რომ მარგარიტა ნიკოლაევნა და მასთან ერთად მისი მოსამსახურე ნატაშაც უკვალოდ გამქრალიყვნენ. ყველა ღონე ისმარეს მათ მოსაძებნად.

ასე, ყოველწამიერ ძიებაში გაილია შაბათი დილა, ამასობაში კი ქალაქში სრულიად დაუშვებელი ხმები გავრცელდა, სადაც, ჩვეულებისამებრ, ერთი ციდა სიმართლე უზღვავი ტყუილით იყო შეზავებული. ყვებოდნენ, თითქოს ვარიეტეში გამართული სეანსის შემდეგ ორი ათასი მაყურებელი შიშველი გამოვარდნილიყო ქუჩაში, თითქოს სადოვანაზე ყალბი ფულისმჭრელთა სტამბა აღმოეჩინათ, თითქოს ვიღაც ავაზაკებს გასართობი სექტორის ხუთი თავმჯდომარე მოეტაცებინათ, მაგრამ მილიციას მაშინვე მიეგნო მათთვის, და კიდეც ათას ტყუილსა თუ მართალს ყვებოდნენ, რისი გამეორება არც კია სასურველი.

ამასობაში, სადილის დროც მოახლოვდა და მაშინვე იქ, სადაც გამოძიება მიმდინარეობდა, ტელეფონის ზარი აწკრიალდა. სადოვანაიდან იუწყებოდნენ, რომ ამ სამგზის წყუელ ბინაში ისევ იგრძნობოდა სიცოცხლის ნიშანწყალი. იუწყებოდნენ, რომ ფანჯრები შიგნიდან გაიღო,

ოთახიდან პიანინოს ხმა და სიმღერა ისმოდა და ქუჩიდან გარკვევით ჩანდა რაფაზე წამოსკუპებული, მზეს მიფიცხებული შავი კატა.

ამ ზვაციანი დღის ოთხი საათი იქნებოდა, როცა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ მამაკაცთა ჯგუფი სამი მანქანიდან გადმოვიდა, სადოვაიას ქუჩაზე № 302-ბის სახლის ოდნავ მოშორებით. მოსულთა ჯგუფი ორ ნაწილად გაიყო. ერთი ეზოდან, პირდაპირ სადარბაზოში შევიდა, მეორემ კი, მუდამდღე აჭედელი, უკანა კიბეზე ამავალი პატარა კარი გამოაღო და ეს ორივე ჯგუფი სხვადასხვა მხრიდან № 50 ბინისკენ დაიძრა.

ამასობაში კაროვიევი და აზაზელო (კაროვიევს უკვე კოსტიუმი ეცვა და არა ფრაკი) სასადილო ოთახში ისხდნენ და საუზმეს ამთავრებდნენ. ვოლანდი, ჩვეულებისამებრ, საძინებელში იმყოფებოდა, კატა კი სად იყო, ეშმაკმა უწყის. მაგრამ სამზარეულოში არახუნებული ქვაბები მიანიშნებდა, რომ ბეჭემოთი სწორედ იქ უნდა ყოფილიყო და ჩვეულებისამებრ, რაღაც სისულელით ირთობდა თავს.

– კიბეზე რა ხმაურია? – იკითხა კაროვიევმა და შავ ყავაში კოვზი აათამაშა.

– ჩვენს დასაპატიმრებლად მოდიან, – უპასუხა აზაზელომ და კონიაკი გადაკრა.

– ჰო, კარგია, – უპასუხა კაროვიევმა.

სადარბაზო კიბეზე ამომავალნი უკვე მესამე სართულის ბაქანზე იდგნენ. იქ ვიღაც ორი მუშა გათბობის მილს ეჯაჯგურებოდა, ამომავლებმა მუშებს და მუშებმა – ამომავლებს მრავლისმეტყველი მზერა სტყორცნეს.

– ყველა სახლშია, – ჩაიჩურჩულა ერთ-ერთმა მუშამ და ჩაქუჩი მილს შემოჰკრა.

მაშინ წინ მიმავალმა პალტოს ჯიბიდან მაუზერი ამოიღო, მეორემ კი, მის გვერდით მავალმა – გასაღები. საერთოდ, 50-ე ბინისკენ მიმავალნი გვარიანად იყვნენ აღჭურვილები. ორ მათგანს ჯიბეში წვრილად ნაქსოვი, იოლად გასაშლელი აბრეშუმის ბადეები ედო, ერთს – ქამანდი, სხვას – დოლბანდის ნიღბები და ქლოროფორმის ამპულები.

უცებ გაიღო 50-ე ბინის კარი და მოსულები წინკარში აღმოჩნდნენ და იმწუთსავე სამზარეულოში გაჯახუნებულმა კარმა მიანიშნათ, რომ მეორე ჯგუფიც დროულად შემოსულიყო უკანა კარიდან.

ამჯერად სრულ თუ არა, ნაწილობრივ გამარჯვებას მაინც მიაღწიეს. მოსულები წამის უსწრაფესად გაიფანტნენ ოთახებში და ცხადია, ვერსად ვერავის მიაგნეს, თუმცა სასადილო ოთახში, როგორც ეტყობოდა, სულ ახლახან მიტოვებული საუზმე დახვდათ და სასტუმროში, ბუხრის შორენკეცზე, ბროლის დოქის გვერდით, უზარმაზარი შავი კატა იჯდა. თათებით პრიმუსი ეჭირა.

სასტუმროში უხმაუროდ შემოსულები დიდხანს უცქეროდნენ კატას.

– ჰ-ჰოოო... მართლა მაგარია, – ჩაიჩურჩულა ერთ-ერთმა მოსულმა.

– არ ვცელქობ, არც არავის ვაწუნებ და გაფუჭებულ პრიმუსს ვაკეთებ, – განაცხადა მტრულად გაბუსულმა კატამ, – ამას გარდა, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გაუწყობთ, რომ კატა უძველესი და ხელშეუხებელი ცხოველია.

– მაგარი ნამუშევარია, – ჩაიხურჩულა ერთ-ერთმა მოსულმა, მერე კი ხმამაღლა და გარკვევით თქვა:

– აბა, ხელშეუხებელი და პირმეტყველო კატუნია, აქეთ მობრძანდით.

აბრეშუმის ბადე გაიშალა, გაფრიალდა, მაგრამ მტყორცნელს, ყველასდა გასაოცრად, ხელი მოეცარა, ბადე დოქს წამოედო, რომელიც იქვე დაიმსხვრა ზრიალით.

– რემიზ! – დაიხზავლა კატამ, – ვაშააა! – იმავ წამს პრიმუსი გვერდზე მიდგა და ზურგს უკნიდან ბრაუნინგი იშიშვლა. მაშინვე მის სიახლოვეს მდგარს დაუმიზნა, თუმცა კატის გასროლამდე, იმან ისროლა, კატა შორენკევიდან იატაკზე თავქვე ჩამოვარდა და ბრაუნინგი და პრიმუსი ხელიდან გაუცვივდა.

– ყველაფერი დამთავრდა, – მიღეული ხმით თქვა კატამ და სისხლის გუბეში ნაზად გაიზმორა, – ერთი წამით მომშორდით, მაცადეთ, მიწას გამოვეთხოვო. ო, ჩემო მეგობარო აზაზელო! – დაიკვნესა სისხლისგან დაცლილმა კატამ, – სად ხარ? – მერე ჩამქრალი თვალები მიაპყრო სასადილოსკენ მიმავალ კარს, – როგორ არ დამენმარე ამ არათანაბარ ბრძოლაში?! მართო მიატოვე საბრალო ბეჭემოთი და მართალია კარგ, მაგრამ მაინც ერთ ჭიქა კონიაკზე გაცვალე! რა გაეწყობა, დე ჩემი სიკვდილი შენს სინდისზე იყოს, მე კი ჩემს ბრაუნინგს გიტოვებ ანდერძად...

– ბადე, ბადე, ბადე, – აჩურჩულდნენ კატის გარშემო შეკრებილები, მაგრამ ბადე, ეშმაკმა უწყის, რატომ, ვიღაცას ჯიბეში გაეხლართა და ვერა და ვერ ამოიღო.

– ერთადერთი, რაც სასიკვდილოდ დაჭრილ კატას იხსნის, – ჩაილაპარაკა კატამ, – ერთი ყლოუპი ბენზინია... – კატამ მოსულთა დაბნეულობით ისარგებლა, პრიმუსის მრგვალ ხვრელს ტუჩი მიადო და ბენზინი შესვა. იმავ წამს მარცხენა წინა თათიდან სისხლის დენა შეუწყდა. ცოცხალი და უვნებელი კატა ფეხზე წამოხტა, ილიაში პრიმუსი ამოიჩარა, ისევ ბუნარზე ახტა, იქიდან შპალერის ფხოჭნა-ფხოჭნით კედელზე აცოცდა და ორიოდ წამის შემდეგ ზემოთ, ფოლადის კარნიზზე ჩამოსკუპდა.

წამისად უამრავი ხელი ჩაეჭიდა ფარდას, კარნიზთან ერთად ჩამოგლიჯა და ჩაბნელებული ოთახი მზემ გაანათა. მაგრამ არც ეშმაკურად გაცოცხლებული კატა ჩამოვარდნილა ძირს და არც პრიმუსი. თათებით პრიმუსს ჩაბლაუჭებული კატა ჰაერში გაიკლაკნა და ოთახის შუაგულში დაკიდებულ ჭალზე გადახტა.

– კიბე! – იყვირეს ქვევიდან.

– დუელში გიწვევთ! – დაიხზავლა ისევ კატამ და ჭალი აქეთ-იქით გააქანა. უცებ თათებში ისევ ბრაუნინგი გაუჩნდა, პრიმუსი კი გატოტვილ ჭალზე ჩამოსდო. კატამ მოსულებს იარაღი დაუმიზნა და მათ თავებს ზემოთ აქანავებულმა, სროლა დაიწყო. გრიალმა ბინა შეაზანზარა. იატაკზე ჭალის ბროლის ნამსხვრევები ჩამოიფშვნა, ბუნარზე ვარსკვლავებად დაიბზარა სარკე, ბათქაში აბუქდა, იატაკზე ჩამოცვენილი ცარიელი ჰილზები ახტუნავდა, ფანჯრებში მინები დასკდა და გახვრეტილი პრიმუსიდან ბენზინი გადმოიქცა. ახლა ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა კატის ცოცხლად შეპყრობაზე და მოსულნი საპასუხოდ ზუსტად და გამმაგებით ესროდნენ მაუზერებიდან – თავში, მუცელში, მკერდში, ზურგში. სროლის ხმაზე ეზოშიც ატყდა აურზაური.

მაგრამ სროლა ძალზე ცოტა ხანს გაგრძელდა და როგორღაც თავისთავად მიიღია. საქმე ის გახლდათ, რომ არც კატასა და არც მოსულებს ტყვია არაფერს ვნებდა. მოკლული კი არა, დაჭრილიც არავინ ჩანდა. ყველას, მათ შორის, კატასაც, ბეწვიც არ შერხევია თავზე. ერთ-ერთმა მისულთაგანმა ამის შესამოწმებლად ხუთი ტყვია პირდაპირ შუბლში დაახალა კატას, იმანაც მთელი მჭიდი დააცალა და ვითომც არაფერი, ორივე ისევ ფეხზე იდგა. კატა ისევ ჭალზე იყო გადასკუპებული და ქანაობდა, რატომღაც ბრაუნინგის ლულას სულს უბერავდა და თათზე იფურთხებდა. ქვევით, ჩუმად მდგარებს სახეზე სრული დაბნეულობა დაეტყუოთ. ეს იყო ერთადერთი ან ერთი იმ ერთადერთთაგანი შემთხვევა, როცა სროლა სრულიად უშედეგო აღმოჩნდა. შეიძლებოდა ეფიქრათ, რომ კატას სათამაშო ბრაუნინგი ჰქონდა, მაგრამ მისულთა მაუზერებზე ამას ნამდვილად ვერ იტყოდა ვერავინ. უკვე ეჭვი აღარც იმაში ეპარებოდათ, რომ კატის პირველი ჭრილობა სხვა არაფერი იყო, თუ არა ერთ-ერთი ჩვეულებრივი ფოკუსი და ღორულის თვალთმაქცობა, ისევე როგორც, ბენზინის დაღვევა.

კიდევ ერთხელ სცადეს კატის დაჭერა. ქამანდი სტყორცნეს, მაგრამ ქამანდი ნათურას წამოედო, ჭალი ძირს ჩამოანარცხა. ზრიალმა მთელი სახლი შეძრა. მაგრამ ქამანდის სროლას შედეგი არ მოუტანია. დამსწრეებს ნამსხვრევები შეეყარათ სახეში, კატა კი ჰაერში გაიკლავა, ისკუპა და მალლა, ჭერში, ბუხარზე მდგარი სარკის მოოქრულ ჩარჩოზე ჩამოჯდა. არსად აპირებდა გაქცევას, სულაც პირიქით, შედარებით უხიფათო ადგილას მჯდარმა, კიდევ ერთი შეგონება წარმოთქვა:

– მე, მაგალითად, საერთოდ არ მესმის, – ქადაგებდა მალლიდან, – რატომ მექცევით ასე უხეშად...

და ანაზღად ეს შეგონება, ვინ იცის, საიდან მონადენმა დაბალმა, შემზარავმა ხმამ გადაფარა:

– რა ხდება ამ ბინაში? მუშაობას აღარ მაცდიან!

მეორე, უსიამოვნო და ნიღნილა ხმამ უპასუხა:

– ეშმაკმა დალაზვროს ცხადია, ბეჭემოთი მაიმუნობს!

მესამე ჟღრიალა ხმამ კი თქვა:

– მესირ! შაბათია, მზე გადაიწვერა. დრომ მოაწია.

– მაპატიეთ, თქვენთან საუბრის დრო აღარა მაქვს, – მოსულებს სარკიდან ჩამოსძახა კატამ, – ჩვენი წასვლის დროა, – მან ბრაუნინგი მოისროლა, ორი მინა ჩატეხა, შემდეგ იატაკზე ბენზინი მოაქცია, ცეცხლმაც თავისით იფეთქა და ალი ჭერს მიასკდა.

როგორღაც უჩვეულოდ გაჩაღდა ცეცხლი, სწრაფად და ძლიერად, ასე ბენზინიც არ იწვის ხოლმე. მაშინვე შპალერი აბოლდა, ჩამოგდებული ფარდა დანახშირდა და ჩამტვრეული ფანჯრის ჩარჩოები ატკაცუნდა. კატა ზამბარასავით შეიკუმშა, დაიკნავლა, სარკიდან რაფაზე გადაინაცვლა და იმ თავის პრიმუსთან ერთად თვალს მიეფარა. გარედან სროლის ხმა გაისმა. იმ კაცმა, სახანძრო კიბეზე რომ იჯდა, იუველირის ბინის ფანჯრების სიმაღლეზე, კატას ტყვიები დაუშინა, როცა რაფიდან რაფაზე ხტომით, სახლის წყალსადენი მილისკენ მიხტოდა. ამ მილს კატა სახურავამდე აჰყვა.

იქ, სამწუხაროდ, საკვამურთან მოდარაჯემაც ასევე უშედეგოდ დაახალა ტყვიები და კატა ქალაქზე დაფრქვეული ჩამავალი მზის სხივებში გალღვა.

ამასობაში მოსულთა ფეხქვეშ პარკეტსაც მოედო ალი და ამ ცეცხლში, იმ ადგილას, სადაც თითქოს სასიკვდილოდ დაჭრილი კატა ეგდო, თანდათან თვალნათლივ გამოიკვეთა ყოფილი ბარონი მეიგელის ნიკაპაშვერილი, თვალეზრახილი გვამი. გვამის გატანა უკვე შეუძლებელი იყო. სასადილო ოთახში მყოფნი ხტუნვა-ხტუნვით, აბოლებულ მკერდსა და მზრებზე ხელების ტყაპატყუპით კაბინეტიდან წინკარში გაცვივდნენ. არც საძინებელ და სასადილო ოთახებში მყოფთ დაუხანებიათ, დერეფნისაკენ გაიქცნენ, მალე იმათაც მოირბინეს, სამზარეულოში რომ იყვნენ და ყველა წინკარში შეჯგუფდა. სასტუმრო ოთახი უკვე ცეცხლითა და კვამლით იყო სავსე. ვილაცამ ამ გაქცევ-გამოქცევაში სახანძრო ნაწილში დარეკა და ყურმილს ჩასძახა:

– სადოვაია, სამას ოცი ბისი!

მეტი შეყოვნება აღარ შეიძლებოდა. ალი წინკარში გამოიჭრა. სუნთქვა გაჭირდა.

როგორც კი მოჯადოებული სახლის ფანჯრიდან კვამლის პირველი ბოლქვები გამოიჭრა, ეზოში განწირული კივილი გაისმა:

– ხანძარია, ხანძარი, ვიწვით!

სახლის სხვადასხვა სართულზე ხალხი ტელეფონის ყურმილს ჩასძახოდა:

– სადოვაია! სადოვაიას სამას ოცი ბისი!

იმ დროს, როცა სადოვაიაზე შემზარავად კიოდნენ ქალაქის ყოველი კუთხიდან სწრაფად მომჭროლავი მანქანები, ეზოში მორბენალმა ხალხმა დაინახა, კვამლთან ერთად მეხუთე სართულის ფანჯრებიდან როგორ გამოფრინდა სამი მუქსამოსიანი, როგორც მოეჩვენათ, მამაკაცი და ერთი შიშველი ქალი.

თავი ოცდამერვე

კაროვივისა და ბეჰემოთის უკანასკნელი თავგადასავლები

მართლა გამოფრინდა ვინმე თუ ამ წყეული სახლის დაზაფრულ მცხოვრებლებს მხოლოდ ეჩვენებოდათ ეს ყველაფერი, ცხადია, ზუსტად ვერავინ იტყვის. თუმცა, თუ მართლა გამოფრინდნენ, საით გაეშურნენ, არც ეს იცოდა არავინ და ვერც იმას იტყოდნენ დანამდვილებით, სად დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ ის კი ვიცით, რომ სადღვანაზე ხანძრის დაწყებიდან დაახლოებით თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ, სმოლენსკის ბაზარზე, ტორგსინის მაღაზიის სარკისებურ კართან კუბოკრულკოსტიუმისანი მაღალი მოქალაქე გამოჩნდა, თან უზარმაზარი შავი კატა ახლდა.

მოქალაქემ მოხერხებულად უქცია გვერდი გამვლელთ და მაღაზიის კარი გამოაღო. მაგრამ აქ დაბალმა, გაძვალტყავებულმა და რატომღაც მტრულად განწყობილმა შვეიცარმა გზა გადაუღობა და გაღიზიანებულმა უთხრა:

– კატის შეყვანა არ შეიძლება!

– მაპატიეთ, – აჟღერიალდა ეს მაღალი კაცი და გეგონებოდათ, ყრუაო, ყურთან მიიღო ხელი, – თქვენ მითხართ, კატები არ შეიძლებაო, არა? კატას სად ხედავთ?

შვეიცარს ლამის თვალეები გადმოსცვივდა და არც იყო გასაკვირი: კარის ნაცვლად ამ მოქალაქის ზურგს უკნიდან თავი გამოყო და მაღაზიისკენ მოიწევდა დახეულკეპიანი, სქელი კაცი, სახით მართლა რომ კატას ჩამოჰგავდა და ხელში პრიმუსი ეჭირა.

ეს ორი რატომღაც თვალში არ მოუვიდა მიზანთროჰ შვეიცარს.

– ჩვენ მხოლოდ ვალუტაზე ვვაჭრობთ, – დაიხროტინა და გაბოროტებულმა გამოხედა აფანჩული, თითქოს ჩრჩილით შეჭმული წარბებს ქვემოდან.

– ჩემო კარგო, – აჟღერიალდა აწოწილი მოქალაქე და გაბზარული პენსნედან თვალეები დააბრიალა, – დარწმუნებული ხართ, რომ ვალუტა არა მაქვს? თქვენ ალბათ ჩემი ჩაცმულობის მიხედვით მსჯელობთ. ასე როგორ შეიძლება? ჩემო უძვირფასესო მცველო! შეიძლება შეცდეთ და თან ძალიანაც! თქვენ ალბათ კარგა ხანია აღარ წაგიკითხავთ ცნობილი ხალიფა ჰარუნ ალ-რაშიდის თავგადასავალი. აბა, ერთი კიდევ გადაიკითხეთ. მაგრამ ამჯერად, თუკი ამ ამბავს ვერ გაიხსენებთ, ის მაინც მინდა გითხრათ, რომ გამგესთან გიჩვილებთ და ისეთ ამბებს მოვასხენებ თქვენზე, იქნებ ეს ბრწყვიალა კარიც უკან მოგატოვებინონ.

– მე იქნებ პრიმუსი ვალუტით მაქვს სავსე, – საუბარში ჩაერია კატისმაგვარი, მსუქანი მოქალაქე, თავალერილი პირდაპირ მაღაზიისკენ რომ მიიწევდა. მის უკან უკვე ხალხს მოეყარა თავი და ყაყანებდა. შვეიცარმა ზიზლით და ეჭვით შეათვალერია ეს უცნობეები, გვერდი უტია და ჩვენი ნაცნობი კაროვიევი და ბეჰემოთი მაღაზიაში აღმოჩნდნენ.

აქ, უპირველესად, მაღაზია მოათვალერეს, შემდეგ კი, კაროვიევმა მჭახე ხმით, ისე, რომ ყოველ კუთხე-კუნჭულში გაეგოთ, განაცხადა:

– შესანიშნავი მაღაზიაა! ძალიან, ძალიან კარგი მაღაზიაა!

დახლებთან შეგროვილი ხალხი შემობრუნდა და რატომღაც გაოცებული შეაცქერდა ორატორს, თუმცა მალაზიის შესაქებად მას ყველა საბაბი გააჩნდა:

ძვირფასი შეფერილობის ასობით ჩითი იწონებდა თავს თაროებზე. გაყოლებაზე მიტკალი, შიფონი და ფრაკის მაუდი დაეხვავებინათ. თვალის გასაწვდენზე ფენსაცმლის ყუთები აეხონოლავებინათ, იქვე, დაბალ სკამებზე ქალები ისხდნენ, მარჯვენა ფეხზე ძველი, ნახმარი ფენსაცმელი ეცვათ, მარცხენაზე კი – ახალთახალი, გაზიზინებული „ლოდოჩკები“ და ფეხებს გულდაგულ უბაგუნებდნენ ნოხს. სადღაც, სიღრმეში, მოსახვევს იქით, პატეფონის ხმა ისმოდა.

მაგრამ კაროვიევმა და ბეჰემოთმა ამ თვალისმომჭრელ სანახაობას გვერდი აუარეს და პირდაპირ გასტრონომიული და საკონდიტრო განყოფილებისკენ გაეშურნენ. აქ უფრო სინალვათე იყო, თავსაფრიანი და ბერეტიანი ქალები დახლებს ისე არ აწყდებოდნენ, როგორც ფართლეულის განყოფილებაში.

დაბალი, ერთიანად კვადრატული, კანის გალურჯებამდე გაპარსული, რქისსათვალიანი მამაკაცი, ჯერ დაულაქავებელი და დაუჭმუჭნავი შლაპა რომ ეხურა, იისფერი პალტო და ლაქის ჟღალი ხელთათმანები ეცვა, დახლთან იდგა და რაღაცას მბრძანებლურად ზმუოდა. თეთრხალათიანი და ცისფერქუდიანი გამყიდველი დახლის მეორე მხარეს იდგა და ამ იისფერპალტოიანს ემსახურებოდა. ბასრი დანით, ასე ძალიან რომ ჩამოჰგავდა ლევი მათეს მიერ მოპარულ დანას, ქონიან, აცრემლებულ, ვარდისფერ ზუთხს აცლიდა გველივით მოვერცხლილ კანს.

– ესეც დიდებული განყოფილებაა, – საზეიმოდ აღიარა კაროვიევმა, – ეს უცხოელიც სასიამოვნო კაცი ჩანს, – თქვა და კეთილად გაიშვირა ხელი იასამნისფერი ზურგისაკენ.

– არა, ჩემო ფაგოტ, არა, – უპასუხა დაფიქრებულმა ბეჰემოთმა, – მგონი, ცდები, მეგობარო. ჩემი აზრი თუ გაინტერესებს, იმ იისფერპალტოიან ჯენტლმენს რაღაც უსიამოვნო სახე აქვს.

იისფერი ზურგი შექანდა, მაგრამ ალბათ შემთხვევით, რადგან, აბა, უცხოელი ხომ ვერ გაიგებდა, რუსულად რას ლაპარაკობდნენ კაროვიევი და მისი თანამგზავრი.

– კარგია? – მკაცრად იკითხა იისფერმა კლიენტმა.

– მაგარია, – უპასუხა გამყიდველმა და კეკლუცად განაგრძო ბასრი დანით კანის ათლა.

– კარგი მიყვარს, ცუდი – არა, – მკაცრად ამბობდა უცხოელი.

– რა თქმა უნდა! – პასუხობდა აღფრთოვანებული გამყიდველი.

ჩვენი ნაცნობები ზუთხით დაინტერესებულ უცხოელს მოსცილდნენ და საკონდიტრო დახლს მიუახლოვდნენ.

– როგორ ცხელა, – ახალგაზრდა, წითელლოყება გამყიდველ ქალიშვილს მიმართა კაროვიევმა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, ჰკითხა, – მანდარინი რა ღირს?

– კილო 30 კაპიკი, – უპასუხა გამყიდველმა.

– მაინც იკბინება, – ამოიოხრა კაროვიევი, – ეჰ, ეჰ... – ცოტა ხანს დაფიქრდა, შემდეგ თანამგზავრი დაპატიჟა, – მიირთვი.

იმ სქელმა კაცმა პრიმუსი ილლიაში ამოიჩარა, პირამიდასავით ახოხოლავებული მანდარინის გროვიდან ზედა მანდარინს დაეპატრონა, თვალის დახამხამებაში გადასანსლა და ახლა მეორეს მისწვდა.

გამყიდველი თავზარდამცემმა შიშმა მოიცვა.

– ჭკუიდან ხომ არ შეიშალეთ! – იყვირა მან და აფაკლული ლოყები გაუმტკნარდა, – ჩეკი მომეცით! ჩეკი! – ისე ყვიროდა გამყიდველი, ხელიდან კანფეტების ასაღები ნიჩაბიც კი გაუვარდა.

– ძვირფასო, საყვარელო, მშვენიერო, – აქშიტინდა კაროვიევი, დახლზე გადაწვა და გამყიდველს თვალი ჩაუკრა, – დღეს ვალუტა გამოგველია... რას იზამ! ხდება ხოლმე. გეფიცებით, შემდეგში, არა უგვიანეს ორშაბათისა, ნაღდ ვალუტას მოგიტანთ, აქვე ვცხოვრობთ, სადოვიაზე, სადაც ხანძარი გაჩნდა.

ბეჭემოთს უკვე მესამე მანდარინი გადაეყლაპა და ახლა შოკოლადისგან აკოწიწებულ უცნაურ კომპკში ყოფდა თათს. იქიდან ერთი ქვედა ფილა გამოაძვრინა, რის გამოც, ცხადია, მთელი კომპკი ჩამოშვავდა, თავად კი, ოქროს ქაღალდი არც შემოუხსნია, ისე გადასანსლა მთელი ფილა.

თევზის განყოფილების გამყიდველებს დანები ხელში შეაცივდათ, იისფერპალტოიანი უცხოელი მძარცველებისკენ შემობრუნდა და მაშინვე ცხადი გახდა, რომ ბეჭემოთი ცდებოდა: რაღაც უსიამოვნო სახე კი არ ჰქონდა, არამედ ზედმეტად გადატვირთული – ჩამოტომრილი ლოყები და გაცეცებული თვალები.

ერთიანად გაგიჟებულმა გამყიდველმა კივილით გააყრუა მალაზია:

– პალოსიჩ! პალოსიჩ!

ხალხი ფართლულის განყოფილებიდან საკონდიტროს მიაწყდა, ბეჭემოთიც საცდურს გაეცალა, ახლა თათი კასრში ჩაყო, რომელსაც დიდი ასოებით ეწერა: „ქერჩის ქაშაყი, ნარჩევი“. ორი ქაშაყი ამოათრია, პირში გამოისვა და კუდები გამოაპურჭყა.

– პალოსიჩ! – განწირული კივილი განმეორდა საკონდიტრო დახლიდან, თევზის განყოფილებიდან კი გამყიდველმა დაიბღავლა:

– რა დღეში ხარ, შე არამზადავ!

პაველ იოსიფოვიჩი უკვე შემთხვევის ადგილისაკენ მიიჩქაროდა. წარმოსადეგი კაცი იყო, ქირურგივით სუფთა, თეთრი ხალათი ეცვა და გულის ჯიბიდან ფანქრის თავი მოუჩანდა. ეტყობოდა, გვარიანად იყო გამოჯეგილი ამგვარ საქმეებში. ბეჭემოთის პირიდან გამოჩრილ მესამე ქაშაყის კუდს რომ ჰკიდა თვალი, მაშინვე ყველაფერს მიხვდა, მდგომარეობა მაშინვე შეაფასა, თავხედებს არ შელაპარაკებია, სადღაც სიღრმისკენ გაიქნია ხელი და ბრძანა:

– ჩასტვინე!

პრიალა კარი გაიღო, სმოლენსკის ბაზრის კუთხეს შვეიცარი მიაწყდა და ავისმომასწავებელი სტვენა ატენა. ხალხი გარს შემოერტყა ავაზაკებს და მაშინ საქმეში კაროვიევი ჩაერთო:

– მოქალაქენო! – აკანკალებული, ჟღრიალა ხმით იყვირა მან, – ეს რა ხდება? გამაგებინეთ?! ნება მიბოძეთ, გკითხოთ! ეს უბედური ადამიანი, – კაროვიევს უფრო აუკანკალდა ხმა და ბეჭემოთზე მიუთითა, რომელმაც მაშინვე სატირლად გადმობრუცა ტუჩი, – ეს უბედური ადამიანი მთელ დღეს პრემიუმების შეკეთებას ანდომებს. ახლა მოშვიდა... სად ჯანდაბიდან უნდა მოგიტანოთ ეს ვალუტა?

პაველ იოსიფოვიჩმა, საერთოდ თავშეკავებულმა და მშვიდმა კაცმა, პასუხად მკაცრად დაუყვირა:

– შენ მაგებს მოეშვი! – და ხელი კიდევ ერთხელ აიქნია.

კარიდან უფრო განწირული სტვენა გაისმა.

მაგრამ კაროვიევს არაფრად ჩაუგდია პაველ იოსიფოვიჩის ნათქვამი და განაგრძო:

– საიდან? ყველას გეკითხებით! ამ კაცს შიმშილი და წყურვილი აწუხებს! სცხელა და მერე რა მოხდა, თუ ამ უბედურმა, ერთი მანდარინი აიღო გასასინჯად? ბოლოს და ბოლოს, სამი კაპიკი ღირს, მეტი ხომ არა. ამათ კი ისეთი სტვენა ატენს, გაზაფხულის ბუღბუღები გეგონება კაცს. ცალკე მილიციას აწუხებენ და საქმის კეთებას არ აცდიან. აი, ამისთვის ხომ შეიძლება ჭამა? ჰა? – თქვა კაროვიევმა და იმ იისფერპალტოიან უცხოელზე მიუთითა, რის გამოც მითითებულს საშინელი თავზარდაცემა გამოეხატა სახეზე, – ეს ვინ არის? ერთი მითხარით, ვის დაჰკარგვია? საიდან ჩამოვიდა? რატომ? ვეხვეწებოდით, ჩამოდიო? დაევატიყეთ? ცხადია – არა, – მთელი ხმით ღრიალებდა დამცინავად პირმოქცეული ყოფილი რეგენტი, – მაგას იისფერი პალტო აცვია, ზუთხის ჭამით არის გასივებული, ჯიბეებიც ვალუტით აქვს გაძედილი, ჩვენ რაღა ვქნათ?! გული მტკივა, ამხანაგებო! გული მტკივა! ძალიან მტკივა! – აქვითინდა კაროვიევი.

ამ სულელურმა, უტაქტო და ალბათ პოლიტიკურად გაუმართლებელმა გამოსვლამ პაველ იოსიფოვიჩი ძალიან განარისხა, მაგრამ, მისდა გასაოცრად, ირგვლივ შემოჯარულ საზოგადოებას შეეტყო, რომ უმეტესობა კაროვიევის ნათქვამს იზიარებდა. ხოლო როცა ბეჭემოთმა ტურტლიანი, იდაყვამოხეული ხელი თვალთან მიიტანა და ტრაგიკულად წარმოთქვა:

– გმადლობ, ერთგულო მეგობარო, ჩაგრული ადამიანი რომ დაიცავი! – სასწაული მოხდა. ერთი სასიამოვნო შესახედაობის, ღარიბულად, მაგრამ სუფთად ჩაცმული ჩუმი ბერიკაცი, რომელიც ნუშის სამ ნამცხვარს ყიდულობდა საკონდიტრო განყოფილებაში, უცებ გარდაიქმნა, თვალებში ბრძოლის ცეცხლი გაუკრთა, სახე წამოენთო, გახვეული ნამცხვარი იატაკზე დაანარცხა და იყვირა:

– მართალია! – წვრილი, ბავშვური ხმა ჰქონდა. შემდეგ სინი აიტაცა, იქიდან ბეჭემოთის მიერ ჩამოშვებული შოკოლადის ეიფელის კოშკის ნარჩენები გადმოხვეტა, აიქნია, მარჯვენა ხელით უცხოელს შლაპა მოჰგლიჯა თავიდან, მარცხენით კი სინი ბრტყლად დასცხო მოტვლეპილ თავში. ისეთი ხმა გაისმა, როგორც სატვირთო მანქანიდან გადმოყრილ ფურცლოვან რკინას აქვს ხოლმე. ერთ წუთში ფერმიმქრალი უცხოელი გულადმა გადავარდა, ქერჩული ქაშაყის კასრში ჩაჯდა და წათხის შადრევანი გადმოაფრქვია იატაკზე. აქვე მეორე

სასწაულიც მოხდა. კასრში ჩამხობილმა იისფერპალტოიანმა უცხოელმა სუფთა რუსულით, უაქცენტოდ და სიტყვების დაუმახინჯებლად იყვირა:

– მკლავენ! მილიცია! ბანდიტები მკლავენ! – ალბათ ტვინის შერყევითანავე შეძლო მისთვის სრულიად უცხო ენაზე ლაპარაკი.

სწორედ ამ დროს სტვენაც შეწყდა და აღელვებულ მყიდველთა ბრბოში გამკრთალი ორი მილიციელიც მოახლოვდა. მაგრამ იმ ავაზაკმა ბეჭემოთმა პრიმუსიდან საკონდიტრო დახლზე ბენზინი მოაქცია, როგორც აბანოებში სათლიდან მოაქცევენ ხოლმე წყალს, და ბენზინიც თავისთავად ააღდა. ცეცხლის ენები ჭერს აასკდა და დახლებს დაუყვა, ერთ წუთში გადაყლაპა ხილის კალათებზე დაკოსებული ქაღალდის ყვავილები. გამყიდველები წივილ-კივილით გამოცვივდნენ დახლებიდან და მათი გამოცვივისთანავე ფანჯრებზე ჩამოფარებული ტილოს ფარდები აბურბურდა, იატაკსაც ცეცხლი მოედო. მყიდველები კივილით გაცვივდნენ კარისაკენ, აწ უკვე არაფრის მაქნისი პაველ იოსიფოვიჩი გადაქელეს, ბასრდანიანი გამყიდველებიც კი უკანა კარისკენ მირბოდნენ; კასრიდან ამოძრობილი, თავით ფენამდე ქაშაყის წათხში ამოვლებული იისფერპალტოიანი დახლზე დახვავებულ გოჯის გროვას გადაევლო და გამყიდველთა კვალს მიჰყვა. თავის გადასარჩენად გასასვლელს მიმწყდარი ხალხის მიწოლოთ პრიალა კარის მინები აზრიალდა და ძირს ჩამოემხო. ის ორი ავაზაკი კი – კაროვიევი და მუცელდმერთა ბეჭემოთი – სადღაც გაქრნენ, მაგრამ სად, ვერ გაარკვევდით. ცოტა მოგვიანებით, სმოლენსკის ბაზარზე, ტორგსინში დაწყებული ხანძრის მნახველი მოქალაქეები ყვებოდნენ, თითქოს ორივე ხულიგანი ჭერში აფრენილიყო და იქ გამსკდარიყვნენ საჭაერო ბუშტებივით. ცხადია, საეჭვოა, საქმე ასე წარმართულიყო, მაგრამ, რაც არ გვინახავს, ვერ დავიჟინებთ.

თუმცა ის კი ვიცით დანამდვილებით, რომ სმოლენსკის ბაზარზე მომხდარი ამბებიდან ზუსტად ერთი წუთის შემდეგ ბეჭემოთი და კაროვიევი უკვე ხეივნის ტროტუარზე მიაბიჯებდნენ, სწორედ გრიბოედოვის დეიდის სახლის სიახლოვეს. კაროვიევი ღობესთან შედგა და თქვა:

– ოჰო! ეს ხომ მწერალთა სახლია. იცი, ჩემო კარგო, რამდენი ხოტბა მსმენია ამ სახლზე. ერთი კარგად დააკვირდი ამ სახლს! რაოდენ სასიამოვნოა იმის გაფიქრებაც კი, რომ ამ ჭერქვეშ თავს აფარებს და ხარობს ტალანტების მთელი არმია.

– როგორც ანანასები ორანჟერეაში, – თქვა ბეჭემოთმა და უფრო უკეთ რომ დამტკბარიყო სვეტებიანი, სპილოსძვლისფერი შენობით, თუჯის ღობის ბეტონის საძირკველზე აძვრა.

– სიმართლეს ამბობ, – თავის მუდმივ თანამგზავრს დაეთანხმა კაროვიევი, – გული ტკბილად მეწურება, როცა ვფიქრობ, რომ ამ სახლში სადაცაა მომწიფდება „დონ-კიხოტის“, „ფაუსტის“ ან, ეშმაკმა წამილოს, „მკვდარი სულების“ ავტორი! ო-ჰო-ჰო! გასაგიჟებელია!

– ამაზე ფიქრიც კი მაშინებს, – კვლავ დაეთანხმა ბეჭემოთი.

– დიახ, – განაგრძო კაროვიევმა, – საოცარ ამბებს უნდა ველოდეთ ამ სახლის სათბურიდან, თავის ჭერქვეშ რამდენიმე ათასი მოღვაწე რომ შეუფარებია, ის ხალხი, ვისაც გადაწყვეტილი აქვს, სიცოცხლე შესწიროს მელპომენეს, პოლიმნიას და თალიას. წარმოიდგინე, რა ამბავი ატყდება, როცა რამდენიმე მათგანი დასაწყისისათვის საზოგადოებას „რევიზორს“ წარუდგენს ან, უკიდურეს შემთხვევაში, „ეგგენი ონეგინს“.

– რატომაც არა! – ისევ დაეთანხმა ბეჭემოთი.

– დიახ, – განაგრძო კაროვიევმა და თითი აღმართა, – მაგრამ! ვამბობ და ვიმეორებ – „მაგრამს“! ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, თუ სათბურის ამ ნაზ მცენარეებს რომელიმე მიკროორგანიზმი არ შეესევა, ძირშივე არ გადაუჭრის ფესვებს და არ დააღპობს! ასეთი რამ ანანასებს ხშირად ემართებათ ხოლმე! ოჰ, ოჰ, ოჰ, რა ხშირად ემართებათ!

– მართალია, – თქვა ღობეში თავმეყოფილმა ბეჭემოთმა, – ხომ არ იცი, ამ ვერანდაზე რას აკეთებენ?

– სადილობენ, – განუმარტა კაროვიევმა, – იმასაც დავძენ, ჩემო ძვირფასო, რომ აქ ძალიან კარგი და იაფფასიანი რესტორანია, მე კი, სხვათა შორის, როგორც ყველა ტურისტი, წინ შორი გზა რომ უდევს, დიდი სიამოვნებით წავიხემსებდი და ერთ კათხა ცივ ლუდსაც ზედ დავაყოლებდი.

– არც მე ვიტყვოდი უარს, – უთხრა ბეჭემოთმა და ორივე ავაზაკი მოასფალტებულ გზას გაუყვა ვერანდისკენ. იმ რესტორანში დააპირეს შესვლა, ჯერ რომ ვერ გრძნობდა უბედურების მიახლოებას.

ფერმკრთალი, მოწყენილი ქალი, თეთრი წინდითა და თეთრი ბერეტით, ვერანდის შესასვლელში, ვენურ სკამზე იჯდა, იქ, სადაც სიმწვანეში კარი იყო დატანებული. მის წინ, უბრალო სამზარეულო მაგიდაზე, საკანცელარიოსდარი სქელი წიგნი იდო, რომელშიც ეს ქალი, ვინ იცის, ვისთვის და რატომ, რესტორანში შემსვლელთა გვარებს იწერდა. სწორედ ამ ქალმა შეაჩერა კაროვიევი და ბეჭემოთი.

– თქვენი მოწმობები? – ქალი გაოცებული მისჩერებოდა კაროვიევის პენსნეს, ბეჭემოთის პრიმუსს და კიდევ ბეჭემოთის გამოხეულ სახელოს.

– ათასგზის გიხდით ბოდიშს, მაგრამ რომელი მოწმობები გნებავთ? – ჰკითხა გაოცებულმა კაროვიევმა.

– თქვენ მწერლები ხართ? – თავის მხრივ დაეკითხა ქალი.

– ცხადია, – ღირსეულად უპასუხა კაროვიევმა.

– თქვენი მოწმობები? – გაიმეორა ქალმა.

– ჩემო მშვენიერო... – ნაზად დაიწყო კაროვიევმა.

– მე მშვენიერი არ გახლავართ, – შეაწყვეტინა ქალმა.

– ო, რა საწყენია, – თქვა იმედგაცრუებულმა კაროვიევმა და განაგრძო, – რას იზამთ, თუ არ გსურთ მშვენიერი იყოთ, რაც ძალზე სასიამოვნო იქნებოდა, შეგიძლიათ, არც იყოთ. მაშასადამე, იმაში დასარწმუნებლად, დოსტოვესკი მწერალია თუ არა, აუცილებლად მისი მოწმობა უნდა ნახოთ? წაიკითხეთ მისი ნებისმიერი ხუთი გვერდი ნებისმიერი მისი რომანიდან და ყოველგვარი მოწმობის გარეშეც დარწმუნდებით, რომ მწერალთან გაქვთ საქმე. თუმცა, მგონი, იმას არავითარი მოწმობა არ ჰქონია! შენ როგორ გგონია, ბეჭემოთ? – მეგობარს მიმართა კაროვიევმა.

– სანაძლეოს დავდებ, არ ჰქონია, – უპასუხა მან, პრიმუსი მაგიდაზე, წიგნის გვერდით ჩამოდგა და გამჭვარტლულ შუბლზე ოფლი შეიწმინდა.

– თქვენ დოსტოევსკი არა ხართ, – უპასუხა კაროვიევის ლაქლაქით თავგაბეზრებულმა ქალმა.

– ეგ ვინ იცის, ვინ იცის – უპასუხა კაროვიევმა.

– დოსტოევსკი მკვდარია, – თქვა ქალმა, მაგრამ არც მთლად დარწმუნებით.

– პროტესტს ვაცხადებ, – წამოიძახა ბეჰემოთმა, – დოსტოევსკი უკვდავია!

– თქვენი მოწმობები, მოქალაქეებო! – დაიჟინა ქალმა.

– ბოლოს და ბოლოს, ეს უკვე სასაცილოა, – არ ნებდებოდა კაროვიევი, – მწერალი მოწმობებით კი არ მოწმდება, არამედ იმით, თუ რას წერს! თქვენ რა იცით, რა აზრები მიბზუის ამ თავში! ან აი, ამ თავში! – და მან ბეჰემოთის თავზე მიუთითა, საიდანაც ბეჰემოთმა მაშინვე კეპი მოიშვლიძა, თითქოს ეწადა, ქალისთვის საშუალება მიეცა, უკეთ შეეთვალე რებიანა მისი თავი.

– მოქალაქეები გაატარეთ, – უკვე ნერვიულად თქვა ქალმა.

კაროვიევი და ბეჰემოთი გვერდზე გადგნენ და რომელიღაც მწერალი გაატარეს, ნაცრისფერი კოსტიუმი და საზაფხულო თეთრი პერანგი რომ ეცვა, რომლის საყელოც ფართოდ გადმოეფინა პიჯაკზე და ილღიაში გაზეთი ამოეჩარა. მწერალი მეგობრულად მიესალმა ქალს, მოწოდებულ წიგნს შეუჩერებლად გაჰკრა კალამი და ვერანდაზე ავიდა.

– ვაი, რომ არა ჩვენ, არა ჩვენ! – ნაღვლიანად ჩაილაპარაკა კაროვიევმა, – ჩვენ კი არა, მას ერგება ის ერთი კათხა ლუდი, რომელზეც უბედური მაწანწალები ვოცნებობდით. ჩვენი მდგომარეობა სამწუხაროა და რთული, აღარც კი ვიცი, რა ვიღონო.

ბეჰემოთმა მხოლოდ მწარედ აიჩეხა მხრები და კეპი ისევ ჩამოიფხატა თმახშირ, მრგვალ თავზე, ასე ძალიან რომ ჩამოჰგავდა კატის თავს. და იმავ წამს ქალის სიახლოვეს მბრძანებლური ხმა გაისმა:

– სოფია პავლოვნა, გამოატარეთ.

წიგნთან მჯდარი ქალი გაოცდა. სიმწვანეში ფლიბუსტიერის ფრაკის თეთრი მკერდი და წამახული წვერი გამოჩნდა. ის მეგობრულად შესცქეროდა ამ ორ საეჭვოდ ჩამოძენძილ კაცს და, უფრო მეტიც, თავაზიანადაც კი ეპატიჟებოდა. არჩიბალდ არჩიბალდოვიჩის ავტორიტეტი ისე მნიშვნელოვნად იგრძნობოდა მის მიერ მართულ რესტორანში, რომ სოფია პავლოვნამ მხოლოდ მორჩილად ჰკითხა კაროვიევს:

– თქვენი გვარი?

– პანაევი, – თავაზიანადვე უპასუხა კაროვიევმა.

ქალმა გვარი ჩაიწერა და ახლა ბეჰემოთს მიაჩერდა მომლოდინედ.

– სკაბიჩევსკი, – დაიწრიპინა მან და რატომღაც პრიმუსზე მიუთითა. სოფია პავლოვნამ ეს გვარიც ჩაიწერა და მომსვლელებს ხელის მოსაწერად მიუჩოჩა წიგნი. კაროვიევმა „პანაევის“ გასწვრივ მოაწერა „სკაბიჩევსკი“, ბეჰემოთმა კი „სკაბიჩევსკის“ გაყოლებაზე – „პანაევი“.

არჩიბალდ არჩიბალდოვიჩი, სოფია პავლოვნას გასაოცრად, მომხიბლავი ღიმილით მიუძღვებოდა სტუმრებს ვერანდის მოპირდაპირე მხარეს, საუკეთესო მაგიდისაკენ, სადაც სქლად იწვა ჩრდილი, ირგვლივ კი სიმწვანეში შემოდღეული მზის ათინათი ციალებდა მხიარულად. გაცეებისაგან თვალეზახამხამებული სოფია პავლოვნა დიდხანს დასცქეროდა ამ მოულოდნელი სტუმრების დანატოვარ უცნაურ ჩანაწერს.

ოფიციალტი სოფია პავლოვნაზე ნაკლებ როდი გააოცა არჩიბალდ არჩიბალდოვიჩის ქცევამ. მან პირადად გამოსწია მაგიდასთან მიდგმული სკამი, კაროვიევს სთხოვა დაბრძანებულიყო, ერთ ოფიციალტს თვალი ჩაუკრა, მეორეს რაღაც ჩასჩურჩულა და ორივე სტუმრების მაგიდასთან დააბზრიალა, რომელთაგან ერთმა ილლიაში ამოჩრილი პრიმუსი თავისი აჭრელებული ფეხსაცმლის გვერდით დადგა იატაკზე. მაგიდიდან თვალის დახამხამებაში გაქრა დალაქავებული, ერთხელ უკვე ნახმარი სუფრა, ჰაერში სახამებლის ტკაცანით გაიშალა ბედუინის საფარველივით ახალთახალი და ქათქათა სუფრა, არჩიბალდ არჩიბალდოვიჩი კი უკვე კაროვიევის ყურთან დახრილიყო და ჩუმად, მაგრამ ძალზე მრავლისმეტყველად ეჩურჩულებოდა:

– რას ინებებთ? არაჩვეულებრივი ზურგიელი მაქვს... არქიტექტორთა ყრილობას გამოვგლიჯე...

– ჯერ... ე... საუზმე მოგვიტანეთ... ე... – ჩაიზმულია კმაყოფილმა კაროვიევმა და სკამზე გადაიშხლართა.

– მესმის, – მრავლისმეტყველად უპასუხა თვალმილულულმა არჩიბალდ არჩიბალდოვიჩმა.

ოფიციალტებმა შენიშნეს, როგორი მოწიწებით ექცეოდა ამ საეჭვო სტუმრებს რესტორნის შეფი, ამიტომ თვითონაც დაფაცურდნენ და გულდაგულ შეუდგნენ საქმეს. ერთი ანთებულ ასანთს აწოდებდა ბეჰემოთს, როგორც კი მან ჯიბიდან ნამწვი ამოიღო და პირში გაიჩარა, მეორე რაწკარუწკით მოარბენინებდა მწვანე მინის ჭიქებსა და მაღალფეხიან ორთომელებს, საიდანაც ასე კარგად ისმება... თუმცა, მოვლენებს წინ გავუსწრებ და გეტყვით, შევცდი... ისმებოდა „ნარზანი“ გრიბოედოვის იმ დაუვიწყარ ვერანდაზე.

– შემიძლია გარეული ქათმის სუკებით გაგიმასპინძლდეთ, – მუსიკალურად კრუტუნებდა არჩიბალდ არჩიბალდოვიჩი. პენსნეგაზარული სტუმარიც ნეტარებით იწონებდა გემის ატამანის თავაზიანად შეთავაზებულს და ყოვლად უმაქნისი მინიდან კეთილად გამოსცქეროდა.

მეზობელ მაგიდასთან, მეუღლესთან ერთად სადილად მჯდარმა ბელეტრისტმა პეტრაკოვ-სუხავოიმ, ღორის ესკალოპს რომ მიირთმევდა, მწერლებისათვის ესოდენ დამახასიათებელი ალღოთი შენიშნა არჩიბალდ არჩიბალდოვიჩის თავგამოდება და ძალზე, ძალზე გაოცდა. მისმა მეუღლემ კი, ერთობ პატივსაცემმა ქალბატონმა, კაროვიევზე იეჭვიანა კიდეც და კოვზი აარაწკუნა თეფშზე... – აქაოდა, რატომ გვაყოვნებთო!.. ნაყინის მოტანის დროა, რას ჰგავს, ბოლოს და ბოლოსო!

მაგრამ არჩიბალდ არჩიბალდოვიჩმა პეტრაკოვას მხოლოდ მომხიბლავი ღიმილი სტყორცნა, ოფიციალტი გაუგზავნა, თვითონ კი ძვირფას სტუმრებთან დარჩა. ეჰ, ჭკვიანი კაცი იყო არჩიბალდ არჩიბალდოვიჩი! და არც ამ მწერლებზე ნაკლებად ჰქონდა გუმანი გამახვილებული! არჩიბალდ არჩიბალდოვიჩმა იცოდა ვარიეტეში ჩატარებული სეანსის შესახებ, ამ უკანასკნელ დღეებში მომხდარი მრავალი უსიამოვნებისთვისაც მოეკრა ყური. ყური მოეკრა, მაგრამ მრავალთაგან განსხვავებით, ცალ ყურში არ შეეშვა და მეორიდან არ

გამოეშვა სიტყვა „კუბოკრული“, „კატა“. არჩიბალდ არჩიბალდოვიჩი თვალის შევლებითანავე მიხვდა, ვინ იყვნენ მისი სტუმრები. და რაკი მიხვდა, ცხადია, არც მათთან ჩხუბი დაუპირებია. ეს სოფია პავლოვნაც კარგი ვინმეა! სულელი უნდა იყო ადამიანი, რომ ეს ორი ვერანდაზე არ შემოუშვა? თუმცა, რა უნდა მოჰკითხო? პეტრაკოვა ამაყად არჭობდა კოვზს უკვე გამდნარ ნაღების ნაყინში და უკმაყოფილოდ გასცქეროდა ამ ღვთის გლახებივით ჩაცმული ორი მოქალაქის მაგიდას, თვალის დახამხამებაში, თითქოს ჯადოსნური კვერთხი აიქნიეს, ისე რომ ივსებოდა ნუგბარი საჭმელით. სუფთად გარეცხილი სალათის ფოთლები უკვე ბზინავდა ხიზილალის თეფშებიდან... წამიც და საგანგებოდ მიდგმულ პატარა მაგიდაზე დაცვარული ვერცხლის თასიც გაჩნდა...

მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდა, რომ ყველაფერი წესით და რიგით მიდიოდა, მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოფიციალტმა თავდახურული, ამიშხინებული ტავით გვერდზე ჩაუქროლა, აი, მხოლოდ ამის შემდეგ მისცა თავს უფლება არჩიბალდ არჩიბალდოვიჩმა, ეს ორი იდუმალი სტუმარი მიეტოვებინა, ოღონდ წინასწარ ბოდიში მაინც მოუხადა:

– უნდა მომიტევოთ! სულ ერთი წუთით დაგტოვებთ! მე თვითონ მივხედავ სუკებს!

ის მაგიდას მოსცილდა და რესტორნის შიდა დერეფანში გაუჩინარდა. ვინმე მოთვალთვალეს არჩიბალდ არჩიბალდოვიჩისათვის რომ მიედევნებინა მზერა, ცხადია, აუცილებლად გაცდებოდა.

შეფი სამზარეულოსკენ კი არ წასულა სუკების მისახედად, არამედ რესტორნის საკუჭნაოსკენ აიღო გეზი. კარი საკუთარი გასაღებით გააღო, შესვლისთანავე შიგნიდან ჩაკეტა, ყინულიანი თასიდან ფრთხილად, ისე, რომ მანუეტები არ დაესვარა, ორი კარგა მსუქანი ზურგიელი ამოიღო, გაზეთში გაახვია, გულმოდგინედ გადაკრა თოკით და გვერდზე გადადო. შემდეგ მეზობელ ოთახში შეამოწმა, ადგილზე იყო თუ არა მისი საზაფხულო პალტო და შლაპა, და მხოლოდ ამის შემდეგ ავიდა სამზარეულოში, სადაც მზარეული გულმოდგინედ ჭრიდა სტუმრებისათვის სუკებს.

უნდა ითქვას, რომ არჩიბალდ არჩიბალდოვიჩის მოქმედებაში საოცარი და გამოუცნობი არაფერი იყო და საოცრებად ამ მოქმედებას მხოლოდ საქმეში ჩაუხედავი მოთვალთვალე მიიჩნევდა. არჩიბალდ არჩიბალდოვიჩის ქცევა სრულიად ლოგიკურად გამომდინარეობდა ადრე მომხდარი ამბებიდან. უკანასკნელ მოვლენათა ცოდნა და, რაც მთავარია – იგავმიუწვდენი ყნოსვა კარნახობდა გრიბოედოვის რესტორნის დირექტორს, რომ ამ ორი სტუმრის სადილი მდიდრული და მრავალფეროვანი კი იქნებოდა, მაგრამ დიდხანს არ გასტანდა.

იმ დროს, როცა კაროვიევი და ბეჰემოთი შესანიშნავი, მოსკოვური ორნახადი არყით სავსე ჭიქებს მეორედ უჭახუნებდნენ ერთმანეთს, ვერანდაზე აქელებული და ოფლგადამსკდარი ქრონიკიორი ბობა კანდალუპსკი გამოჩნდა, რომელიც მოსკოვში თავისი გასაოცარი ყოვლისმცოდნეობით იყო ცნობილი, და მოსვლისთანავე პეტრაკოვებს მოუჯდა. ბობამ მაგიდაზე დადო თავისი გაძეძგილი პორტფელი, ტუჩები ყურთან მიუტანა პეტრაკოვს და რაღაც ძალზე გასაოცარი ამბების ჩურჩულს მოჰყვა. მაგრამ პეტრაკოვამ, აქამდე რომ ცნობისმოყვარეობით ითანგებოდა, თავისი ყურიც მიუშვირა ბობას სქელ, ქონიან ტუჩებს. ბობა დროდადრო თვალს ავლებდა რესტორანს და ჩურჩულს განაგრძობდა, მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტი სიტყვების გარჩევას თუ მოახერხებდა კაცი, მაგალითად:

– სინდისს გეფიცებით! სადოვიაზე... სადოვიაზე, – ბობამ უფრო დაუწია ხმას, – ტყვია არ ეკარებათ, ტყვია... ტყვიები... ბენზინი, ხანძარი... ტყვიით...

– ერთი ის მატრიაზები დამაჭერინა, ამ სისულელეებს რომ ავრცელებენ, – განრისხებისგან ცოტა ხმამაღლა, ვიდრე ამას ბობა ისურვებდა, წამოიძახა მადამ პეტრაკოვამ, – ურიგო არ იქნებოდა, მათთვის გვარიანი ახსნა-განმარტება მოეთხოვათ! არა უშავს, მაგათი დროც დადგება, მაგათაც მოიყვანენ გონს! რა მავნებლური ტყუილებია!

– რა ტყუილი, ანტონიდა პორფირევნა! – წამოიძახა მწერლის მეუღლის ურწმუნობით გულნატკენმა ბობამ და ისევ აჩურჩულდა, – გეუბნებით, ტყვია არ ეკარებათ... ახლა ეს ხანძარიც... დამიჯერეთ, ჰაერში... ჰაერში... – ბობა ჩურჩულებდა და ვერც კი წარმოიდგენდა, რომ ისინი, ვის შესახებაც ყვებოდა, მის გვერდით ისხდნენ და მისი ჩურჩულით ტკბებოდნენ. თუმცა დიდხანს არ გაგრძელებულა ეს ტკბობა. რესტორნის შიდა დერეფნიდან ვერანდაზე სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა სამი მამაკაცი, წელზე მჭიდროდ ჰქონდათ ქამრები შემოჭერილი და რევოლვერები ეჭირათ ხელში. წინმომავალმა ხმამაღლა და საზარლად იყვირა:

– არ გაინძრეთ! – და მაშინვე სამივემ ტყვია დაუშინა კაროვიევსა და ბეჰემოთს. ორივე მიზანში ამოღებული წამის უსწრაფესად გალღვა ჰაერში, პრიმუსიდან ავარდნილი ცეცხლის ალი კი პირდაპირ ტენტს შეასკდა. ტენტზე შავქობიანი, ხახასავით ღრმული გაჩნდა და სწრაფად დაიწყო გაფართოება. ამ ხანაში გამსხლტარი ცეცხლი გრიბოედოვის სახლის სახურავს მოედო. რედაქციის ოთახში, მეორე სართულის ფანჯრებზე დაწყობილი საქალაქდები უცებ ააღდა, შემდეგ ცეცხლმა ფარდებზე გადაინაცვლა და ალი, ბუბუნით, თითქოს ვიღაც სულს უბერავსო, სვეტებად გაიკლაკნა გრიბოედოვის დეიდის ბინის დერეფნებში.

რამდენიმე წამის შემდეგ ხეივანის თუჯის ღობისკენ მიმავალ მოასფალტებულ ბილიკზე, საიდანაც ოთხშაბათ საღამოს უბედურების პირველი მაცნე, ყველასაგან დაწინაურებული ივანუშკა შემოვიდა ხეივანში, ახლა დაუნაყრებელი მწერლები, ოფიციალტები, სოფია ჰავლოვნა, ბობა, პეტრაკოვა და პეტრაკოვი მირბოდნენ.

უკანა კარიდან დროულად გასული არჩიბალდ არჩიბალდოვიჩი არც არსად გარბოდა და არც არსად ეჩქარებოდა, როგორც კაპიტანს, უკანასკნელი რომ ტოვებს გემს. მშვიდად იდგა აბრეშუმისსარჩულიანი საზაფხულო პალტოთი და ილლიაში ორი ზუთხი ამოეჩარა.

თავი ოცდამეცხრე

ოსტატისა და მარგარიტას ბედი გადაწყვეტილია

მზის ჩასვლის ჟამს, მოსკოვის თავზე, ძალიან მაღლა, საუკუნე-ნახევარზე მეტი ხნის წინ აშენებული ერთ-ერთი ულამაზესი შენობის ტერასაზე ორნი ისხდნენ: ვოლანდი და აზაზელო. ქვევით, ქუჩიდან შეუძლებელი იყო მათი დანახვა, რადგან უსაქმურთა თვალთაგან თაბაშირის ლარნაკებიანი და თაბაშირისვე ყვავილებიანი მოაჯირი იფარავდათ. თვითონ კი კიდით კიდემდე ხედავდნენ ქალაქს.

ვოლანდი დასაკვეც ტაბურეტზე იჯდა და თავისი შავი ქიტონი ემოსა. მისი გრძელი და ფართო დაშნა ვერტიკალურად იყო ჩასობილი ტერასის ორ გაბზარულ ფილას შორის და გაწოლილი ჩრდილი მზის საათს უცვლიდა. დაშნის ჩრდილი ნელა იცვლიდა ადგილს და სატანის შავი ფენსაცმლისაკენ მიცოცავდა. ვოლანდს წვეტიანი ნიკაპი მუშტზე ჩამოედო, ტაბურეტზე წელში მოხრილი, ცალფენაკეცილი იჯდა და თვალმოუშორებლად გასცქეროდა უთვალავ ტაძარს, გიგანტურ სახლებს და პატარ-პატარა, დასანგრევად განწირულ ქოხმანებს. აზაზელოს თანამედროვე სამოსელი, ე. ი. პიჯაკი, ქვაბურა ქუდი და ლაქის ფენსაცმელი გაეხადა, მასაც ვოლანდივით შავი ტანსაცმელი ემოსა, უძრავად იდგა მბრძანებლისაგან ოდნავ მოშორებით და ისიც დაჟინებით გასცქეროდა ქალაქს.

ვოლანდმა თქვა:

– რა საინტერესო ქალაქია, არა?

აზაზელო შეირხა და თავაზიანად უპასუხა:

– მესირ, მე რომი უფრო მომწონს!

– ჰო, ეგ გემოვნების საქმეა! – უთხრა ვოლანდმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ გაისმა მისი ხმა:

– იქ, ხეივანში რატომ დგას ბოლი?

– გრიბოდოვი იწვის, – უპასუხა აზაზელომ.

– უნდა ვიგულისხმოთ, რომ ის განუყრელი წყვილი, კაროვიევი და ბეჰემოთი ეწვეოდნენ იქაურობას?

– ამაში დაეჭვებაც არ შეიძლება, მესირ.

ისევ სიჩუმემ დაისადგურა და ტერასაზე მყოფთ დაინახეს, გიგანტური სახლის ზედა სართულთა დასავლეთისკენ პირმიქცეულ ფანჯრებში როგორ აინთო დაბზარული, თვალისმომჭრელად აელვარებული მზე. ვოლანდის თვალის ამ ფანჯრებივით ელავდა, თუმცა კი დაისისკენ ზურგშექცევით იჯდა.

მაგრამ ანაზდად რაღაცამ აიძულა, თვალი მოეშორებინა ქალაქისათვის და ყურადღება იმ მრგვალი კოშკისთვის მიეპყრო, მის ზურგს უკან, სახურავზე რომ იყო აღმართული. კოშკის

კედელს ჩამოქნდილი, თიხაში ამოსვრილი, ნაღვლიანი, ქიტონით შემოსილი კაცი გამოსცილდა, რომელსაც ხელით ამოსხმული სანდლები ეცვა და შავი წვერი ჰქონდა.

– ოჰო! – წამოიძახა ვოლანდმა და დამცინავად შეხედა მოსულს, – აქ ყველაზე ნაკლებად შენ გელოდი! რისთვის მოსულხარ, დაუპატიჟებლო, თუმცა, მოსალოდნელო სტუმარო?

– შენთან მოვედი, ბოროტების სულო და ჩრდილთა მბრძანებლო, – უპასუხა მოსულმა და წარბებს ქვემოდან მტრულად გამოხედა ვოლანდს.

– თუ ჩემთან მოხვედი, რატომ არ მომესალმე, მეზვერედყოფილო? – მკაცრად დაეკითხა ვოლანდი.

– იმიტომ, რომ დღეგრძელობა არ გისურვო, – თავხედურად უპასუხა მოსულმა.

– მაინც მოგიწევს, შეურიგდე ჩემს დღეგრძელობას, – უთხრა ვოლანდმა და ღიმილმა მოუქცია პირი, – სახურავზე გამოჩენა ძლივს მოასწარი და მაშინვე სისულელე ჩაიდინე. გეტყვი კიდევ, რაში მჟღავნდება ეგ სისულელე – შენს ხმაში. შენ ისე დაილაპარაკე, თითქოს არ გჯეროდეს ჩრდილისა და ბოროტების არსებობა. იქნებ კეთილი ინებო და ერთ საკითხზე დაფიქრდე: რად ეღირება ეგ შენი სიკეთე, ბოროტება რომ არ არსებობდეს, და რას დაემსგავსებოდა დედამიწა, ჩრდილი რომ გამქრალიყო? ჩრდილი ხომ საგნებისა და ადამიანებისაგან წარმოიქმნება. აჰა, ჩემი დაშნის ჩრდილი. მაგრამ არსებობს ხეებისა და ცოცხალ არსებათა ჩრდილიც. შენ, როგორც ჩანს, გსურს დედამიწა გააღარიბო, ხეები და ყოველი არსი წარტაცო, იმ შენი აჩემების გამო – დატკბე შიშველი ნათლით! შენ ბრიყვი ხარ.

– მე შენთან კამათს არ ვაპირებ, ძველო სოფისტო, – უპასუხა ლევი მათემ.

– ვერც შეძლებ კამათს, იმავ მიზეზით, ახლა რომ ვახსენე – ბრიყვი ხარ, – უპასუხა ვოლანდმა და ჰკითხა, – აბა, მოკლედ მითხარი, არ დამღალო, რისთვის მეახლე?

– მან გამომგზავნა.

– რა გიბრძანა, გადმოგეცა, მონავ?

– მე მონა არ ვარ, – თანდათან ბრაზი წაეკიდა ლევი მათეს, – მოწაფე ვარ მხოლოდ.

– ჩვენ სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, როგორც ყოველთვის, – უთხრა ვოლანდმა, – მაგრამ ის საგნები, რომლის შესახებაც ვლაპარაკობთ, ამით არ იცვლება. მაშასადამე...

– მან ოსტატის ქმნილება წაიკითხა, – დაიწყო ლევი მათემ, – ამიტომ გთხოვს, თან წაიყვანო და სიმშვიდე უწყალობო. ნუთუ გაგიჭირდება ამის გაკეთება, სულო ბოროტო?

– მე არასოდეს არაფერი გამჭირვებია, – უპასუხა ვოლანდმა, – და ეს შენც კარგად უწყი, – ერთხანს დადუმდა და დასძინა, – თქვენ რატომ არ მიგყავთ ნათელში?

– მას ჯერ ნათელი არ დაუმსახურებია, მან მხოლოდ სიმშვიდე მოიპოვა, – ნაღვლიანი ხმით ჩაილაპარაკა ლევიმ.

– გადაეცი, რომ აღსრულდება, – უპასუხა ვოლანდმა და დასძინა, თან თვალი აენტო, – ახლავე დამტოვე.

– ის გთხოვს, ქალი, ვისაც უყვარდა და იტანჯა მისთვის, თან გააყოლო, – აწ უკვე ვედრებით მიმართა ლევიმ ვოლანდს.

– უშენოდ ამას ვერ მივხვდებოდით. წადი!

ლევნი მათე გაქრა, ვოლანდმა კი აზაზელო იხმო და ბრძანა:

– გაფრინდი და ყველაფერი მოაგვარე.

აზაზელომ ტერასა დატოვა და ვოლანდი მარტო დარჩა. მაგრამ ეს მარტოობა დიდხანს არ გაგრძელდებოდა. მალე ნაბიჯის ხმა და მხიარული საუბარი გაისმა და ვოლანდის წინაშე კაროვიევი და ბეჰემოთი წარდგნენ. ბეჰემოთს პრიმუსი აღარ ჰქონდა ილლიაში ამოჩრილი, ახლა სხვა საგნები ამოეილლიავენა. ასე მაგალითად, ილლიაში ოქროს ჩარჩოში ჩასმული პატარა ლანდშაფტი ამოედო, სანახევროდ შემომწვარი მზარეულის ხალათი ხელზე გადაეკიდა, მეორე ხელში კი უზარმაზარი თევზი ეჭირა, კანგაუცლელი და კუდმოუჭრელი.

– გამარჯობა, მესირ, – წამოძახა წყვილმა, ბეჰემოთმა კი თევზი დაუქნია.

– კარგი სანახავები ხართ, – უთხრა ვოლანდმა.

– წარმოდგინეთ, მესირ, – აღტყინებული სიხარულით იყვირა ბეჰემოთმა, – მძარცველად ჩამთვალეს!

– მაგ საგნებით თუ ვიმსჯელებთ, თან რაც წამოგიღია, – უთხრა ვოლანდმა და ლანდშაფტს დააკვირდა, – ხარ კიდევ მძარცველი.

– დამიჯერეთ, მესირ... – ხმის კანკალით დაიწყო ბეჰემოთმა.

– ვერ დაგიჯერებ, – მოკლედ მოუჭრა ვოლანდმა.

– მესირ, გეფიცებით, მე გმირულად ვცდილობდი, გადამერჩინა ყველაფერი, რისი გადარჩენაც შეიძლებოდა და რაც ხელთ ვიგდე.

– გირჩევნია, ის მითხრა, რატომ დაიწვა გრიბოედოვი? – ჰკითხა ვოლანდმა.

ორივემ, კაროვიევმა და ბეჰემოთმა ხელები გაშალეს, თვალი ცად აღაპყრეს და ბეჰემოთმა წამოიყვირა:

– არც კი ვიცი! ვისხედით მშვიდად, უხმაუროდ, ვსადილობდით...

– უცებ – ბახ, ბახ, ბახ! – სიტყვა გააწყვეტინა კაროვიევმა, – სროლა აგვიტეხეს! მე და ბეჰემოთი შიშით თავზარდაცემულები გამოვცვივდით ვერანდიდან, ისინიც ფეხდაფეხ მოგვყვნენ. ჩვენ ტიმირიაზევისკენ მივრბოდით...

– მაგრამ მოვალეობის გრძნობამ, – განაგრძო ბეჰემოთმა, – დაჩრდილა ჩვენი სამარცხვინო შიში და უკან დავბრუნდით!

– ა, უკან დაბრუნდით? – ჩაეკითხა ვოლანდი, – მაშასადამე, შენობა ძირფესვიანად დაიწვებოდა.

– ძირფესვიანად, – ნალვლიანად დაუმოწმა კაროვიევმა, – სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით
– ძირფესვიანად, როგორც ინებეთ გებრძანებინათ, მესირ. ნაცარილა დარჩა!

– მე, – ყვებოდა ბეჭემოთი, – სააქტო დარბაზისკენ გავქანდი, სვეტოვანისკენ, მესირ,
მინდოდა, რაიმე ღირებული გადამერჩინა. ეჰ, ჩემს მეუღლეს, საერთოდ რომ მყოლოდა
მეუღლე, მრავალგზის დაემუქრებოდა დაქვრივება, მაგრამ, საბედნიეროდ, მესირ, ცოლი არა
მყავს და გულახდილად გეტყვით, ბედნიერიც ვარ. ეჰ, მესირ, განა შეიძლება თავისუფლების
გაცვლა ამ უმძიმეს უღელზე?

– ისევ რაღაც აბდაუბდა დაიწყო! – ჩაილაპარაკა ვოლანდმა.

– მესმის, და განვაგრძობ, – უპასუხა კატამ, – დიახ, აი, ეს ლანდშაფტი. სხვა ვერაფრის
გამოტანა ვერ შევძელი დარბაზიდან. ცეცხლი სახეში მეცა. საკუჭნაოში ჩავირბინე და თევზი
გადავარჩინე, შემდეგ სამზარეულოდან თეთრი ხალათი გამოვიტანე, დარწმუნებული ვარ,
მესირ, რომ შეუძლებელი გავაკეთე და ვერ გამიგია, რით აიხსნება ეს სკეპტიკური ღიმილი
თქვენს სახეზე?

– კაროვიევი რას აკეთებდა, როცა შენ ნივთებს იტაცებდი? – ჰკითხა ვოლანდმა.

– მე მეხანძრეებს ვეხმარებოდი, მესირ, – უპასუხა კაროვიევმა და შემოფლეთილ მარვალზე
მიუთითა.

– მაშასადამე, ახალი შენობის აგება მოუწევთ.

– აუცილებლად მოუწევთ, მესირ, – უპასუხა კაროვიევმა, – თავს ნებას მივცემ,
დარწმუნებული ვიყო ამაში.

– სხვა რა გზაა, იმედი მაინც ვიქონიოთ, რომ ახალი შენობა ადრინდელს აჯობებს, –
ჩაილაპარაკა ვოლანდმა.

– ასეც იქნება, მესირ, – დაუმოწმა კაროვიევმა.

– დამიჯერეთ, – დასძინა კატამ, – მე ნამდვილი წინასწარმეტყველი ვარ.

– ასეა თუ ისე, ჩვენ დავბრუნდით, მესირ, – მოახსენა კაროვიევმა, – და თქვენს
განკარგულებას ველით.

ვოლანდი ტაბურეტიდან წამოდგა, მოაჯირს მიუახლოვდა, დიდხანს დუმდა, სრულიად
მარტო, თავისი ამალისაკენ ზურგშექცეული გასცქეროდა შორეთს, შემდეგ სახურავის კიდეს
მოსცილდა, ისევ ჩამოჯდა ტაბურეტზე და თქვა:

– ბრძანება არ იქნება, თქვენ აღასრულეთ ყველაფერი, რაც შეგეძლოთ და ჯერჯერობით,
თქვენი სამსახური აღარ მჭირდება. შეგიძლიათ დაისვენოთ. ახლა ქარიშხალი დაიწყება,
უკანასკნელი ქარიშხალი, ის დაასრულებს დასასრულებელს და ჩვენც გზას გავუდგებით.

– ძალიან კარგი, მესირ, – უთხრა ორმა ტაკიმასხარამ და სადღაც, მრგვალი კომკის უკან
თვალს მიეფარნენ.

ქარიშხალი, ვოლანდმა რომ ახსენა, უკვე ქუჩებოდა თვალსაწიერზე. დასავლეთიდან ლუსკუმი ღრუბელი წამოიზლაზნა და სანახევროდ გადაფარა მზე, შემდეგ ერთიანად გადაყლაპა. ტერასაზე აგრილდა, რამდენიმე წუთში ჩამობნელდა კიდეც.

და უკუნმა, დასავლეთიდან რომ მოაწყდა, ერთიანად გადაფარა ეს თვალგაუწვდენი ქალაქი. გაქრა ხიდეები და სანლები, ყველაფერი გაქრა, თითქოს არც არსებულა ამქვეყნად. ცა გრძლად გაკვეთა ცეცხლოვანმა ბწკალებმა, შემდეგ ქუხილმა შეაზანზარა ქალაქი. ეს ქუხილი კიდეც ერთხელ გახშიანდა და დელგმა ჩამოსკდა. აღარც ვოლანდი ჩანდა წყვდიადში.

თავი ოცდამეათე

დრომ მოაწია!

– იცი, – ამბობდა მარგარიტა, – გუშინ, შენ რომ დაიძინე, მე იმ ჭექა-ქუხილზე ვკითხულობდი, ხმელთაშუა ზღვიდან რომ მოასკდა ქალაქს... და იმ კერპებზე, ოქროს კერპებზე... რატომღაც სულ იმ კერპებზე ვფიქრობ. ასე მგონია, ახლაც გაწვიმდება, გრძნობ, როგორ აგრილდა?

– ეს ყველაფერი, კარგი, – უპასუხა ოსტატმა და ჰაპირის ბოლს ხელი აუქნია, – ეს კერპებიც, ღმერთი იყოს მათი შემწე, მაგრამ ახლა რა გველის, ამას კი ველარ ვზვდები!

ეს საუბარი მზის ჩასვლის ჟამს მიმდინარეობდა, სწორედ იმ დროს, როცა ტერასაზე ვოლანდს ლევი მათე ეწვია. სარდაფის სარკმელი ღია იყო და ვინმეს შიგ რომ შეეხედა, უთუოდ გაოცდებოდა, იმდენად უცნაურად გამოიყურებოდნენ მოსაუბრენი. მარგარიტას შიშველ ტანზე ისევ შავი მანტია ჰქონდა წამოსხმული, ოსტატს კი საავადმყოფოს პიჟამა ეცვა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ მარგარიტას არაფერი ჰქონდა ჩასაცმელი, ტანსაცმელი შინ დატოვა და თუმცა მისი სახლი იქვე, სულ ახლოს იყო, ცხადია, შინ წასვლა და ტანსაცმლის წამოღება არც უფიქრია. ხოლო ოსტატს, რომელსაც ყველა კოსტიუმი ისე დაუხვდა კარადაში, თითქოს აქედან ფეხიც არ მოეცვალა, უბრალოდ, არ სურდა ტანსაცმლის გამოცვლა და მარგარიტას უმტკიცებდა, საცაა ახალი საოცრებები დაიწყებაო. თუმცა წვერი კი გაიპარსა, პირველად, იმ შემოდგომის საღამოდან მოკიდებული (საავადმყოფოში წვერს მანქანით უკვეცავდნენ).

ოთახიც უცნაურად გამოიყურებოდა და იმ არეულობაში რაიმეს გარკვევა შეუძლებელი ხდებოდა. ნოხზე ხელნაწერები ეწყო, ხელნაწერები ეწყო ტახტზეც. იქვე პირქვე იდო რაღაც წიგნი. მრგვალ მაგიდაზე კი სადილი იყო გაშლილი და თეფშებს შორის რამდენიმე ბოთლიც მოჩანდა. საიდან გაჩნდა ეს საჭმელ-სასმელი, არც მარგარიტამ და არც ოსტატმა არ იცოდნენ. გაღვიძებულებს, სუფრა გაშლილი დახვდათ.

ოსტატს და მის მეგობარს შაბათ საღამომდე ეძინათ და ახლა სრულიად ჯანმრთელად გრძნობდნენ თავს, მხოლოდ ერთი რამ ახსენებდათ გუშინდელ თავგადასავალს – ორივეს მარცხენა საფეთქელი უფეთქავდა. რაც შეეხება ფსიქიკას, ორივე საგრძნობლად შეცვლილიყო, ამაში ყველა დარწმუნდებოდა, ვინც კი შეძლებდა სარდაფში მყოფთა საუბრისათვის მიეგდო ყური. მაგრამ მიმყურადებელი არავინ ჩანდა. ეს ეზო სწორედ იმითი იყო კარგი, რომ იშვიათად თუ გაიჭაჭანებდა ადამიანი. თვალდათვალ ახასხასებული ცაცხვები და ტირიფები ფანჯრებს მიღმა გაზაფხულის სურნელს აფრქვევდნენ და ახლახან წამოქოჩრილ ნიავსაც სარდაფში შემოჰქონდა ეს სურნელი.

– ფუი, ეშმაკს! – ანაზდად წამოიძახა ოსტატმა, – გასაოცარია, – მან საფერფლეში ჩაჭყლიტა ნამწვი და თავზე ხელები შემოიჭდო, – მომისმინე, შენ ხომ ჭკვიანი ქალი ხარ და არც შემლილს ჰგავხარ. ნუთუ მართლა გჯერა, რომ გუშინ სატანასთან ვიყავით სტუმრად?

– მართლა მჯერა, – უპასუხა მარგარიტამ.

– ცხადია, ცხადია, – დამცინავად უთხრა ოსტატმა, – მაშასადამე, ახლა ერთის ნაცვლად, ორივე გიჟი ვართ! ცოლიც და ქმარიც, – მან ხელები ცისკენ აღაპყრო და იყვირა, – არა, ეშმაკმა უწყის, რა ხდება, ეშმაკმა უწყის!

პასუხის ნაცვლად მარგარიტა ტანტზე გადაწვა, ახარხარდა, შიშველი ფეხები აიქნია და იმანაც იყვირა:

– ოჰ, აღარ შემიძლია! აღარ შემიძლია! ნეტა ერთი დაგანახა, რას ჰგავხარ!

ვიდრე დარცხვენილი ოსტატი საავადმყოფოდან გამოყოლილ ქვედა საცვალს ისწორებდა, მარგარიტამ ხარხარით გული იჯერა და უკვე დაწყნარებულმა უთხრა:

– სრული სიმართლეა, ეშმაკმა უწყის, რა ხდება და დამერწმუნე, ეშმაკი ყველაფერს მოაგვარებს! – უცებ თვალეები წამოენთო, წამოხტა, აცეკვდა და კივილს მოჰყვა, – რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი ვარ, სული რომ მივყიდე! ეშმაკო, ეშმაკო! დღეიდან, ჩემო ძვირფასო, კუდიანთან მოგიწევს ცხოვრება, – მერე ოსტატთან მიიჭრა, კისერზე ხელები შემოაჭდო და გაშმაგებულმა დაუკოცნა ტუჩები, ცხვირი, ლოყები. მარგარიტას აწეწილი თმა ტალღებად ეცემოდა ოსტატს სახეზე, მისი ცეცხლოვანი კოცნა შუბლსა და ლოყებს უწვავდა.

– მართლა დაემსგავსე კუდიანს.

– ამას არც უარვყოფ, – უპასუხა მარგარიტამ, – კუდიანი ვარ და ძალიან მიხარია!

– კარგი, – უთხრა ოსტატმა, – ეგრე იყოს, თუ კუდიანი ხარ, იყავი. ძალიან კარგი! მაშასადამე, მე საავადმყოფოდან მომიტაცეს! ესეც კარგი! აქ დამაბრუნეს, ესეც დავუშვათ... ისიც დავუშვათ, რომ არავინ მოგვიკითხავს, მაგრამ, ღვთის გულისათვის, ის მაინც მითხარი, როგორ და რითი ვიარსებოთ? ამას რომ ვამბობ, შენი დარდი მაქვს, დამიჯერე.

იმწუთას სარკმელში ბლაგცხვირა ფეხსაცმელი და ზოლიანი შარვლის ტოტები გამოჩნდა. შემდეგ ეს შარვალი მუხლებში მოიხარა და დღის სინათლე ვილაცის ზონზროხა უკანალმა გადაფარა.

– ალოიზი, შინა ხარ? – სადღაც შარვლისა და ფანჯრის ზემოდან იკითხა ხმამ.

– აჰა, იწყება, – თქვა ოსტატმა.

– ალოიზის ეძებთ? – ჰკითხა მარგარიტამ და ფანჯარას მიუახლოვდა, – გუშინ დააპატიმრეს, ვინ კითხულობს? თქვენი გვარი მითხარით.

იმავე წამს მუხლები და უკანალი გაქრა, მხოლოდ სწრაფად მიხურული ჭიშკარი გარახუნდა და ისევ სიჩუმემ დაისადგურა. მარგარიტა ისევ ტანტზე დაეცა და ახარხარდა, ცრემლებიც კი სცვიოდა თვალეებიდან. შემდეგ, როცა დამშვიდდა, სრულიად შეეცვალა სახე, უკვე სერიოზულად დაიწყო ლაპარაკი, ტანტიდან ჩამოცოცდა, ფორთხვით მიუახლოვდა ოსტატს, თვალეებში ჩააცქერდა და თავზე ხელი გადაუსვა:

– როგორ ეწამე, ჩემო ძვირფასო, როგორ დაიტანჯე! ეს მხოლოდ მე ვიცი. აი, თმაში უკვე ვერცხლისფერი შეგრევია და ტუჩებთანაც ნაოჭი გაგჩენია, ჩემო ერთადერთო, ჩემო ძვირფასო, ნურაფერზე ნუ იფიქრებ. შენ ისედაც ძალიან ბევრი ფიქრი მოგიხდა და ახლა შენს ნაცვლად მე ვიფიქრებ ყველაფერზე! პირობას გაძლევ, გეფიცები, რომ ყველაფერი არაჩვეულებრივად მოეწყობა.

– მე არაფრის მეშინია, მარგო, – უცებ უპასუხა ოსტატმა, თავი ასწია და ისეთი სახე გაუხდა, როგორც მაშინ ჰქონდა, იმას რომ წერდა, რაც არასოდეს ენახა, მაგრამ იცოდა, რომ ასე იყო, –

იმიტომ არ მეშინია, რომ უკვე ყველაფერი გამოვცადე. მე ზედმეტად მაშინებდნენ და ახლა უკვე ვერაფრით შემაშინებენ. მხოლოდ შენ მეცოდები, მარგო. აი, რატომ ვიმეორებ ერთსა და იმავეს. გონს მოდი! რატომ უნდა გაიუბედურო თავი სწეულსა და ლატაკთან ცხოვრებით? შინ დაბრუნდი! შენ მეცოდები და იმიტომ გეუბნები ამას.

– შენ, შენ... – ჩურჩულებდა მარგარიტა და გაძეძილ თავს იქნევდა, – უჰ, რა ურწმუნო ხარ, რა უბედური. შენი გულისთვის წუხელ მთელ ღამეს ვძაგძაგებდი შიშველი, მე უარი ვთქვი ჩემს არსზე და სრულიად ახალ არსებად ვიქეცი. რამდენიმე თვე ჩაბნელებულ საკუჭნაოში ვიჯექი და მხოლოდ ერთზე ვფიქრობდი – იერუშალაიმის ჭექა-ქუხილზე. თვალები ამომიღამდა ტირილით, ახლა კი, როცა ბედნიერება გვეწვია, მაგდებ? თუ ასეა, წავალ, წავალ, წავალ, მაგრამ იცოდე, რომ გულქვა ხარ! იმათ შენ სულიერადაც გამოგფიტეს!

მწველი სინაზე ამოასკდა ოსტატს გულიდან, მარგარიტას თმაში ჩარგო თავი და ვინ იცის, რატომ, მაგრამ ანაზდად ატირდა. ისიც ქვითინით ეჩურჩულებოდა რაღაცას და ოსტატის საფეთქელზე შემოჭდობილი თითები უცახცახებდა.

– ჰო, უკვე ჭადარა შეგერია, ჭადარა. თვალდათვალ გაგიეთერთდა თმა, ჩემს მრავალტანჯულ თავზე. ერთი შენს თვალებს დააკვირდი, შიგ – უდაბნოა... მხრები, ტვირთით დამძიმებული მხრები... დაგამახინჯეს, დაგამახინჯეს, – სიტყვები აღარ ებმოდა ერთმანეთს, მარგარიტა თრთოდა და ქვითინებდა.

მაშინ ოსტატმა თვალები შეიმშრალა, დაჩოქილი მარგარიტა წამოაყენა, თვითონაც წამოდგა და მტკიცედ თქვა:

– საკმარისია! უკვე შემარცხვინე. დამერწმუნე, სულმოკლეობას აღარასოდეს გამოვიჩენ და ამ საკითხს აღარ დაგუბრუნდები. მე ვიცი, რომ ორივე სულიერი სნების მსხვერპლი ვართ, რომელიც ეგებ მე გადმოგდე... სხვა რა გზა მაქვს, ერთად ვატაროთ ეს სნება.

მარგარიტამ ოსტატის ყურს მიუახლოვა ტუჩები და ჩასჩურჩულა:

– შენს სიცოცხლეს გეფიცები, შენ მიერ ამოცნობილი ვარსკვლავთმრიცხველის სახელს ვფიცავ, ყველაფერი კარგად იქნება.

– ჰოდა, კარგია, კარგი, – უპასუხა ოსტატმა და სიცილით დასძინა, – ცხადია, როცა ადამიანები ჩვენსავით არიან გაძარცვულები, ისინი იმქვეყნიურ ძალებში ეძიებენ ხსნას! დე, ასე იყოს, თანახმა ვარ, ხსნა იქ ვეძებო!

– ასე, ასე... ახლა ისევ იმ ძველ ოსტატს დაემსგავსე, იცინი კიდევ, – უპასუხა მარგარიტამ, – და ეშმაკსაც წაუღიხარ შენი სიბრძნეებით. იმქვეყნიური სამყარო თუ ამქვეყნიური – განა სულერთი არ არის? უკვე მომშივდა.

მან ოსტატს ხელი ჩაჰკიდა და მაგიდისაკენ გაიყოლა.

– ასე მგონია, ამ საჭმელს ახლა მიწა შთანთქავს ან ფანჯრიდან გაფრინდება, – თქვა ოსტატმა უკვე სრულიად დამშვიდებულმა.

– არ გაფრინდება!

და სწორედ ამ ღროს ფანჯრიდან ნიღნილა ხმა გაისმა:

– აქა მშვიდობა!

ოსტატი შეკრთა, საოცრებებს მიჩვეულმა მარგარიტამ კი შეჰკვივლა:

– აზაზელოა! რა ბედნიერებაა! – და ოსტატს წასჩურჩულა, – ხედავ, მარტო არ გვტოვებენ! – და კარის გასაღებად გაიქცა.

– მოსასხამი მაინც შეიკარი, – დაადევნა ოსტატმა.

– რა აზრი აქვს, – მომცრო წინკარიდან გამოსძახა მარგარიტამ.

აზაზელო კი უკვე თავს უკრავდა, ესალმებოდა ოსტატს, ლიბრგადაკრულ თვალს აკვესებდა, მარგარიტა კი აღტაცებული გაჰკვივდა:

– რომ იცოდე, როგორ გამახარე, აზაზელო! ჩემს ცხოვრებაში ასე არაფერი გამახარებია! მაპატიე, აზაზელო, ტიტველი რომ ვარ!

აზაზელომ სთხოვა, არ შეწუხებულიყო, არწმუნებდა, არა მარტო შიშველი ქალები, ერთიანად გატყავებულიებიც მრავლად მინახავსო. მერე სიამოვნებით მიუჯდა მაგიდას და ვიდრე ჯდებოდა, კუთხეში, ღუმელთან, მუჭი ფარჩის ფუთა დადო.

მარგარიტამ აზაზელოს კონიაკი დაუსხა და მანაც ნეტარებით გამოცალა ჭიქა. ოსტატი თვალს არ ამორებდა სტუმარს და ხანდახან მაგიდის ქვეშ, მარცხენა ხელის მტევანზე იბწკენდა ხოლმე. მაგრამ ბწკენა საქმეს არ შველოდა, აზაზელო ჰაერში არ ლღვებოდა, თან, სიმართლე ითქვას, გაღობაც არ იყო საჭირო. საშიში არაფერი ეტყობოდა ამ პატარა ტანის, წითურ კაცს, მხოლოდ ეს ლიბრგადაკრული თვალი, მაგრამ ეს ყველაფერი ხომ ჯადოქრობის გარეშეც ხდება ხოლმე, ტანსაცმელიც უჩვეულო ეცვა – რაღაც ანაფორა თუ მოსასხამი – თუმცა, თუ კარგად დავუფიქრდებით, ასეთი ჩაცმულობაც გვხვდება ცხოვრებაში. კონიაკსაც გემრიელად ხუნავდა, როგორც ყველა კეთილი ადამიანი, ბოლომდე ცლიდა ჭიქას და არც არაფერს ატანდა. სწორედ იმავე კონიაკმა დაასხა თავბრუ ოსტატს და მანაც გაიფიქრა:

„არა, მარგარიტა მართალია! ცხადია, ჩემ წინაშე ეშმაკის მოციქული ზის. მე ხომ მხოლოდ გუშინ ვუმტკიცებდი ივანს, რომ პატრიარქთა ტბორებზე სატანას შეხვდა, ახლა კი რატომღაც დავფრთხი და რაღაც სისულელეებით გამოვიტენე თავი ჰიპნოზისა და ჰალუცინაციების შესახებ. რომელი ჰიპნოზიორი შეძლებდა ამდენს?“

ის აზაზელოს დააკვირდა და დარწმუნდა, რომ სტუმარს თვალებში რაღაც დაძაბულობა ეტყობოდა, რაღაც აზრი უკრთოდა, რომელსაც დროზე ადრე არ ამხელდა. „უბრალოდ, სტუმრად კი არ გვეწვია, რაღაც დავალება აქვს“, – გაიფიქრა ოსტატმა.

გულისხმამ არ უღალატა.

აზაზელოს შესმული კონიაკი არც დასტყობია და მესამე ჭიქა რომ გამოცალა, მხოლოდ მაშინლა თქვა:

– მართლა მყუდრო სარდაფია, ეშმაკმა წაიღოს! ოღონდ ერთი კითხვა გებადება, რა უნდა აკეთო ამ სარდაფში?

– მეც იმავეს ვამბობდი, – სიცილით უპასუხა ოსტატმა.

– რატომ მაშინებთ, აზაზელო? – ჰკითხა მარგარიტამ, – როგორმე ვიცხოვრებთ!

– რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, – წამოიძახა აზაზელომ, – ფიქრადაც არ მომსვლია თქვენი შეშინება. მე მხოლოდ მაინტერესებს, როგორ იცხოვრებთ? ჰო, ლამის დამავიწყდა. მესირი სალამს გითვლით და მიბრძანა მეუწყებინა თქვენთვის, რომ სასეირნოდ გიწვევთ, ცხადია, თუ თანახმა იქნებით. რას იტყვით?

მარგარიტამ მაგიდის ქვეშ ფეხი გაჰკრა ოსტატს.

– დიდი სიამოვნებით, – უპასუხა ოსტატმა და აზაზელოს დააკვირდა, მან კი განაგრძო:

– იმედი მაქვს, არც მარგარიტა ნიკოლაევნა იტყვის უარს.

– მე კი ნამდვილად არ ვიტყვი უარს, – თქვა მარგარიტამ და მისი ფეხი ისევ შეეხო ოსტატის ფეხს.

– შესანიშნავია! – წამოიძახა აზაზელომ, – აი, ეს მიყვარს! წამში გადავწყვიტეთ! იმდღევანდელისგან განსხვავებით, იქ, ალექსანდრეს პარკში.

– ოჰ, ნუ გამახსენებთ, აზაზელო! მაშინ ჯერ სულელი ვიყავი. თუმცა, ვერც დამადანაშაულებთ – ყოველდღე ხომ არ ხვდები უწმინდურ ძალას?

– ცხადია, – დაეთანხმა აზაზელო, – ყოველდღე რომ ხვდებოდე, სასიამოვნოც კი იქნებოდა!

– მე თვითონ მომწონს სისწრაფე, – ამბობდა აღტყინებული მარგარიტა, – სისწრაფე და სიშიშველე. თითქოს მაუზერიდან ისვრი – ერთი! ოჰ, როგორ ისვრის, – კივილით უთხრა მარგარიტამ ოსტატს, – შვიდიანი ბალიშის ქვეშ იდო და შიგ გულში... – შეზარხოშებულ მარგარიტას უკვე თვალები უბრწყინავდა.

– და მაინც... დამავიწყდა, – წამოიძახა აზაზელომ და შუბლზე იტაცა ხელი, – გადავიღალე. მესირმა საჩუქარი გამოგიგზავნათ, – მერე პირდაპირ ოსტატს მიმართა, – ერთი ბოთლი ღვინო. გთხოვთ, გახსოვდეთ, რომ ეს სწორედ ის ღვინოა, იუდეველთა პროკურატორი რომ სვამდა – ფალერნო.

ცხადზე ცხადია, ამ იშვიათ საჩუქარს დიდი ყურადღებით მოეკიდნენ ოსტატიცა და მარგარიტაც. აზაზელომ კუბოს მუქი ფარჩის ნაჭრიდან ერთიანად დაობებული დოქი ამოიღო. ღვინო დასუნეს, ჰიქებში ჩამოასხეს და ჰიქა-ჰუხილის წინ ფანჯარაში მიმქრალ შუქზე გახედეს. ირგვლივ ყოველივე სისხლისფრად შეიღება.

– ვოლანდის ჯანმრთელობისა იყოს, – წამოიძახა მარგარიტამ და ჰიქა ასწია.

სამივემ ასწია ჰიქა და დიდ-დიდი ყლუპებით მოსვეს. იმავ წამს ოსტატს ქარიშხლის ცრიატი ნათელი გაუქრა თვალთაგან, სუნთქვა გაუჭირდა და აღსასრულის მოახლოება იგრძნო. ერთხანს კიდევ ხედავდა, სასიკვდილოდ გადაფითრებული მარგარიტა რა საცოდავად იწვდიდა მისკენ ხელებს, როგორ ჩამოუვარდა თავი მაგიდაზე, შემდეგ კი მოსხლეტივ ჩამოცურდა იატაკზე.

– მკვლელო, – ამის დაყვირებულა მოასწრო ოსტატმა, – მაგიდიდან დანის აღება დააპირა, რომ აზაზელოსთვის დაერტყა, მაგრამ ხელი უღონოდ ჩამოუცურდა სუფრიდან, მის ირგვლივ

არსებული საგნები შავად შეიფერა, მერე კი საერთოდაც გაქრა. ის გულაღმა გადავარდა და დაცემისას კარადის კიდეც ჩამოჰკრა საფეთქელი.

როცა მოწამლულები დადუმდნენ, აზაზელო ამოქმედდა. უპირველესად, ფანჯარაში გახტა და რამდენიმე წამში იმ ბინაში ამოყო თავი, სადაც მარგარიტა ნიკოლაევნა ცხოვრობდა. მუდამ მოწესრიგებულ აზაზელოს იმის შემოწმება ეწადა, ყველაფერი ისე აღსრულდა თუ არა, როგორც საჭირო იყო. და მართლაც, ყველაფერი წესრიგში დახვდა. აზაზელო ხედავდა, ქმრის მოლოდინით გატანჯული ნაღვლიანი ქალი როგორ გამოვიდა საძინებელი ოთახიდან, უეცრად გადაფითრდა, მკერდზე იტაცა ხელი და საბრალოდ იყვირა:

– ნატაშა! მიშველეთ... მიშველეთ! – და კაბინეტთან მისვლამდე იატაკზე ჩაიკეცა.

– მორჩა! – თქვა აზაზელომ. წამის შემდეგ ისევ შეყვარებულთა გვერდით იდგა. მარგარიტა პირქვე იწვა, ნოხში ჩაერგო სახე. აზაზელომ თავისი ღონიერი ხელებით თოჯინასავით ამოატრიალა ქალი და სახეზე დახედა. მოწამლულს თვალდათვალ ეცვლებოდა სახე. ჭექა-ქუხილის დაწყებამდე ადრეულად ჩამობნელებულ ოთახშიც კი გარკვევით ჩანდა, როგორ გაქრა მისი დროებითი, კუდიანობის დროინდელი სიელმე და სახის ნაკვთების მკაცრი, თავაწყვეტილი მოხაზულობა. მიცვალებულს სახე გაუნათდა, ბოლოს, დაურბილდა კიდეც და ტუჩებს მტაცებლური კი არა, უბრალოდ, ქალური, ნატანჯი იერი დაუბრუნდა. მაშინ აზაზელომ კბილები გაუხსნა და პირში იმ ღვინის რამდენიმე წვეთი ჩაასხა, რომლითაც მოწამლა. მარგარიტამ ამოიოხრა, აზაზელოს დაუნმარებლად წამოდგა, დაჯდა და სუსტი ხმით იკითხა:

– რატომ, აზაზელო, რატომ? რა დაგიშავე?

შემდეგ იატაკზე გაშხლართულ ოსტატს ჰკიდა თვალი, შეკრთა და ჩურჩულით უთხრა:

– ამას აღარ ველოდი... მკვლელი!

– დამშვიდდით, – უთხრა აზაზელომ, – ახლავე ადგება. ოჰ, რა ნერვიული ხართ!

მარგარიტამ მაშინვე ირწმუნა, იმდენად დამაჯერებლად ჟღერდა ამ წითური დემონის ხმა, ფეხზე წამოდგა, ძლიერი და ცოცხალი, და აზაზელოსთან ერთად ღვინო შეასვა ოსტატს. ოსტატმა თვალი გაახილა, უმოწყალოდ და ზიზღით შეხედა აზაზელოს და კვლავ თავისი უკანასკნელი სიტყვა გაიმეორა:

– მკვლელი!

– ოჰ, შეურაცხყოფა ხომ მარადიული ჯილდოა კარგად შესრულებული სამუშაოსთვის, – უპასუხა აზაზელომ, – რამ დაგაბრმავათ? აბა, თვალი გაახილეთ.

ოსტატი წამოდგა, ცოცხალი, ნათელი მზერა მოავლო ოთახს და იკითხა:

– ეს რას ნიშნავს?

– იმას, – უპასუხა აზაზელომ, – რომ ჟამმა მოაწია. ჭექა-წუხილი უკვე დაიწყო, გესმით? ბნელდება. ცხენები მიწას ტორავენ და ძრწის პატარა ბალი. გამოემშვიდობეთ სარდაფს, ვიგვიანებთ.

– ა, მესმის, – თქვა ოსტატმა და მიმოიხედა, – თქვენ მოგვკალით, ჩვენ უკვე მკვდრები ვართ. ოჰ, რა ჭკვიანურია! და რა დროული! ახლა ყველაფერს მივხვდი!

– რას ბრძანებთ, – უპასუხა აზაზელომ, – ნუთუ ეს თქვენ ხართ? თქვენ ხომ მარგარიტა ოსტატს გიწოდებთ, თქვენ ხომ აზროვნებთ, თუ ასეა, როგორღა ხართ მკვდარი? განა იმისთვის, რომ ცოცხლად მიიჩნიო თავი, აუცილებლად სარდაფში უნდა იჯდე და საავადმყოფოს ნიფხავ-პერანგი გეცვას? სასაცილოა!

– ყველაფერს მივხვდი! – წამოიძახა ოსტატმა, – ნულა განაგრძობთ! მართალს ბრძანებთ!

– დიდებული ვოლანდი! – წამოიძახა მარგარიტამ, – დიდებული ვოლანდი! მან ჩემზე უკეთ გადაწყვიტა ჩვენი ბედი. მაგრამ რომანი, რომანი... – უყვიროდა ოსტატს, – თან წამოიღე, სადაც უნდა გავფრინდეთ!

– არ გვჭირდება! – უპასუხა ოსტატმა, – ზეპირად მახსოვს.

– ნუთუ არც ერთი სიტყვა... არც ერთი სიტყვა არ დაგავიწყდება რომანიდან, – ეკითხებოდა მარგარიტა, საყვარელს ეკვროდა და გადამსკდარი საფეთქლიდან სისხლს იწმენდდა.

– ნუ ღელავ, ახლა უკვე აღარაფერი დამავიწყდება, – უპასუხა მან.

– თუ ასეა, ცეცხლი! – იყვირა აზაზელომ, – ცეცხლი, რომლითაც დაიწყო ყველაფერი და რომელიც დაასრულებს ყოველივეს.

– ცეცხლი! – საზარლად იყვირა მარგარიტამაც. სარდაფში სარკმელმა გაიჯახუნა, ქარმა ფარდა კედელს შეახალა. ცამ მხიარულად, წამიერი ბუბუნით დაიგრუხუნა. აზაზელომ კლანჭიანი ხელი ღუმელში შეყო, ახრჩოლებული ნაკვერჩხალი გამოიღო და სუფრას წაუკიდა. შემდეგ დივანზე ძველი გაზეთების გროვა მისცა ცეცხლს, მას მერე კი – ხელნაწერები და ფარდა. მომავალი ჭენებით უკვე შეზარხოშებულმა ოსტატმა თაროდან რომელიღაც წიგნი გადმოიღო, მაგიდაზე აალებულ სუფრაზე გადმოაფრიალა და წიგნიც მხიარული ალით აგიზგიზდა.

– დაიწვი, დაიდაგე, ძველო ცხოვრებავ!

– დაიწვი, ტანჯავ! – ყვიროდა მარგარიტა.

ოთახს უკვე მეწამული სვეტები აზანზარებდა და კვამლთან ერთად კარში სამნი გამოცვივდნენ, ქვის კიბეს აუყვანენ და ეზოში გავიდნენ. ასვლისთანავე დაინახეს მიწაზე მჯდარი მზარეული ქალი, იქვე გაბნეული კარტოფილი და რამდენიმე თავი ხახვი ეყარა. მზარეული ქალის გაოგნება არც იყო გასაკვირველი. სარდაფთან სამი შავრა ცხენი ფრუტუნებდა, თრთოდა და ფლოქვებით ტორავდა მიწას. მარგარიტა პირველი მოახტა ცხენს, მას აზაზელო მიჰყვა, ბოლოს კი ოსტატი ამხედრდა. მზარეულმა ქალმა ამოიკვნესა, პირჯვრის გადასაწერად აღმართა ხელი, მაგრამ უნაგირზე ამხედრებულმა აზაზელომ ხმამაღლა დასჰყვილა:

– ხელს მოგამტვრევ! – მერე დაუსტვინა, ცხენები ცაცხვების ტოტთა ლაწალუწით აიჭრნენ ცისკენ და დაბლა მიმცურავ შავ ღრუბლებს შეერწყნენ. იმავე წამს სარდაფის ფანჯრიდან ბოლი გამოვარდა და მზარეული ქალის სუსტი, საბრალო კივილიც გაისმა:

– ვიწვით!

ცხენები უკვე მოსკოვის სახურავებს ზემოთ მიქროდნენ.

– მინდა ქალაქს დავემშვიდობო, – წინ მიმქროლავ აზაზელოს გასძახა ოსტატმა. ქუხილმა შთანთქა ოსტატის ბოლო სიტყვები. აზაზელომ თავი დაუქნია და უფრო ძალუმად გააჭენა ცხენი. მფრინავთა შესახვედრად თავაწყვეტით მოქროდა ღრუბელი, მაგრამ ჯერ წვიმის წვეთებად არ იღვრებოდა.

ისინი ხეივნის თავზე მიაჭენებდნენ ცხენებს, ხედავდნენ, ქვევით როგორ მიმორბოდა ხალხი და მოსალოდნელი წვიმისაგან ცდილობდა თავის შეფარებას. უკვე პირველი წვეთებიც დაეშვა მიწისკენ. მერე ახრჩოლებულ ღრუბელს გადაუფრინეს – ესლა დარჩენილიყო გრიბოდოვისგან, და უკუნდაღვრილი ქალაქიც უკან მოიტოვეს. მათ ფეხქვეშ ელვა იკლავებოდა. თანდათან სახურავები სიმწვანემ შეცვალა, მხოლოდ მაშინლა წამოსკდა დელგმა და თავით ფეხამდე გალუმჰა მფრინავები.

მარგარიტას უკვე გამოცდილი ჰქონდა ფრენის სილაღე, ოსტატი კი პირველად აღმოჩნდა ჰაერში, ამიტომაც ძალზე გაოცდა, რა სწრაფად მიაღწიეს დანიშნულ ადგილს, აქ ეგულებოდა ის, ვისაც სურდა გამომშვიდობებოდა, რადგან ამქვეყნად აღარავინ ჰყავდა გამოსამშვიდობებელი. წვიმის სქელი ფარდის მიღმა მაშინვე იცნო სტრავინსკის კლინიკა, მდინარე და იქ ყოფნის დროს ასე გულდაგულ შესწავლილი ფიჭვნარი. ისინი ჭალაში დაეშვნენ, კლინიკისაგან ოდნავ მოშორებით.

– მე აქ დაგელოდებით, – დაუყვირა აზაზელომ, მას ხან ელვა ანათებდა, ხანაც კვლავ უკუნი ფარავდა, – გამოემშვიდობეთ, ოღონდ სწრაფად.

ოსტატი და მარგარიტა უნაგირებიდან ჩამოხტნენ და წყლის აჩრდილებივით ბზინვა-ნათებით გაფრინდნენ კლინიკის ბაღში. კიდევ რამდენიმე წამის შემდეგ ოსტატმა გამოცდილი ხელით გადასწია № 117 ოთახის ივანის თეჯირი და მარგარიტაც თან მიჰყვა. ისინი ივანუშკასთან შევიდნენ, ქარიშხლის ღრიალსა და ყმუილში – უხილავნი და შეუმჩნეველნი. ოსტატი საწოლს მიუახლოვდა.

ივანუშკა უძრავად იწვა, როგორც მაშინ, როცა პირველად გასცქეროდა ქარიშხალს სიმშვიდის ამ მისეულ სახლში. მაგრამ მაშინდელისაგან განსხვავებით, აღარ ტიროდა. როცა აივანზე შემოჭრილ შავ სილუეტებს დააკვირდა, წამოიწია, ხელი გაიშვირა და განარებულმა თქვა:

– ა, ეს თქვენა ხართ? მე კი გელით და გელით. მადლობა ღმერთს, მოხვედით, ჩემო მეზობელო.

ოსტატმა უპასუხა:

– მე აქ ვარ! მაგრამ თქვენს მეზობლად ყოფნა, სამწუხაროდ, აღარ შემიძლია. მე სამუდამოდ მივფრინავ და მხოლოდ გამოსამშვიდობებლად მოვედი თქვენთან.

– ასეც ვიცოდი, მივხვდი, – ხმადაბლა უთხრა ივანმა და ჰკითხა, – იმას შეხვდით?

– დიახ, – უპასუხა ოსტატმა, – მე თქვენთან მოვედი გამოსამშვიდობებლად, რადგან თქვენ იყავით ერთადერთი ადამიანი, ვისაც ბოლოს ველაპარაკე.

ივანუშკას სახე გაუნათლა და თქვა:

– კარგია, ჩემთან რომ მოფრინდით. მე ჩემს პირობას შევასრულებ, ლექსებს აღარ დავწერ. ახლა უკვე სხვა რამ მაინტერესებს, – ივანუშკამ გაიღიმა და შეშლილი თვალები სადღაც შორს, ოსტატის მიღმა მიაპყრო, – ახლა სხვა რამის დაწერა მინდა. ვიდრე აქ ვწევარ, ბევრ რამეს მივხვდი.

ოსტატი ააღელვა ამ სიტყვებმა, ივანუშკას საწოლის კიდეზე ჩამოუჯდა და უთხრა:

– ეს კი კარგია, კარგი. მის შესახებ დაწერეთ გაგრძელება.

ივანუშკას თვალები წამოენთო.

– თქვენ აღარ აპირებთ? – მერე თავი ჩაქინდრა და დაფიქრებულმა დასძინა, – აჰ, ჰო... თუმცა, რას გეკითხებით, – ივანუშკამ ცერად გახედა იატაკს და შემდეგ ოსტატს ამოხედა დამფრთხალმა.

– დიახ, – უთხრა ოსტატმა და მისი ხმა უცხო და ყრუ ეჩვენა ივანუშკას, – მე უკვე ვთქვი სათქმელი. ახლა სხვა საქმე მექნება.

ქარიშხლის ბლუილი შორეულმა სტვენამ გაჰკვეთა.

– გესმით? – ჰკითხა ოსტატმა.

– ქარიშხალი ხმაურობს...

– არა, მე მიხმობენ, დროა, – უთხრა ოსტატმა და საწოლიდან წამოდგა.

– მოიცადეთ! კიდეც ერთი რამ მინდოდა მეკითხა, – სთხოვა ივანმა, – ის ქალი თუ იპოვეთ? და თუ ახსოვდით?

– ისიც აქ არის, – უპასუხა ოსტატმა და კედელზე მიუთითა. თეთრ კედელს შავით მოსილი მარგარიტა გამოეყო და საწოლს მიუახლოვდა. მან მწოლიარე ყმაწვილს დახედა და თვალებში ნაღველი ჩაუდგა.

– საბრალო, საბრალო, – უხმოდ აჩურჩულდა მარგარიტა და საწოლისაკენ დაიხარა.

– რა ლამაზია, – შეუშურველად, მაგრამ ნაღვლიანად და რაღაცნაირი ჩუმი გულაჩუყებით ჩაილაპარაკა ივანმა, – ხედავთ, რა კარგად მოეწყო ყველაფერი? მე კი არ გამიმართლა, – ერთხანს გაყუჩდა და მერეღა დასძინა, – ან იქნებ გამიმართლა კიდეც...

– ასეა, ასე, – ჩურჩულით უთხრა მარგარიტამ და ყმაწვილისაკენ დაიხარა, – მე თქვენ შუბლზე გაკოცებთ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა... დამიჯერეთ, მე უკვე ყველაფერი გამოვცადე და ყველაფერი ვიცი.

მწოლიარე ყმაწვილმა კისერზე შემოხვია ხელები და მარგარიტამ აკოცა.

– მშვიდობით, მოწაფევ, – ძლივს გასაგონად უთხრა ოსტატმა და თანდათან გალღვა ჰაერში. ის გაქრა და მასთან ერთად გაქრა მარგარიტაც. აივნის თეჯირი დაიხურა.

ივანუშკა შფოთვამ მოიცვა. საწოლზე წამოჯდა, დამფრთხალმა მიმოიხედა, ამოიკვნესა კიდეც, ლაპარაკს მოჰყვა, წამოდგა. ქარიშხალი უკვე მძლავრობდა და ალბათ იმან აუფორიაქა სული. მას ისიც აწუხებდა, რომ კარს მიღმა უკვე მუდმივ სიჩუმეს მიჩვეული ყურით გაარჩია აჩქარებული ნაბიჯის ხმა და ყრუ ლაპარაკი.

და მან, უკვე ტანში თრთოლაშემჯდარმა, დაიძახა:

– პრასკოვია ფიოდოროვნა!

პრასკოვია ფიოდოროვნაც უკვე ოთახში შემოდიოდა, გაოცებული და შეშფოთებული უცქეროდა ივანს.

– რაო? რა მოხდა? – ეკითხებოდა ის, – ქარიშხალი გაღელვებს? არა უშავს, დაწყნარდი... ახლავე გიშველით. ახლავე ექიმს დავუძახებ.

– არა, პრასკოვია ფიოდოროვნა, არ არის საჭირო, ექიმი არ მჭირდება, – უთხრა ივანმა და პრასკოვია ფიოდოროვნას კი არა, კედელს შეხედა შეშფოთებით, – ისეთი არაფერი მჭირს. უკვე თვითონ ვხვდები, დამიჯერეთ. თქვენ ის მითხარით, – გულთბილად სთხოვა ივანმა, – რა მოხდა ასმეთვრამეტე ოთახში?

– მეთვრამეტეში? – ჩაეკითხა პრასკოვია ფიოდოროვნა და თვალი აარიდა, – არაფერიც არ მომხდარა, – მაგრამ ხმაზე ეტყობოდა, რომ იტყუებოდა, ივანუშკამ მაშინვე იგრძნო სიყალბე და უთხრა:

– ეჰ, პრასკოვია ფიოდოროვნა, თქვენ ხომ მორწმუნე ქალი ხართ... დამიჯერეთ, არ გავწერვიულდები. არა, პრასკოვია ფიოდოროვნა, ეგ აღარ მოხდება. სიმართლე მითხარით, კედელს მიღმა მაინც ვგრძნობ ყველაფერს.

– გარდაიცვალა თქვენი მეზობელი, – ჩასჩურჩულა პრასკოვია ფიოდოროვნამ, ველარ უღალატა საკუთარ სიმართლესა და სიკეთეს, მერე დამფრთხალმა შეხედა წამით ელვის ბზინვარებით შემოსილ ივანს, მაგრამ ივანუშკას საშიში არაფერი დამართვია, მან მხოლოდ მრავლისმეტყველად აღმართა თითი და თქვა:

– ასეც ვიცოდი! გარწმუნებთ, პრასკოვია ფიოდოროვნა, ახლა, ქალაქში, კიდეც ერთი ადამიანი მოკვდა. და ვიცი კიდეც – ვინ, – იდუმალი ღიმილი დაეფინა ივანუშკას ტუჩებს, – ის ადამიანი – ქალია.

თავი ოცდამეთერთმეტე

ვარაზიოვის მთაზე

ქარიშხალი უკვალოდ მოისხიპა, ახლა მთელ მოსკოვს თავზე გუმბათივით დასდგომოდა შვიდფეროვანი ცისარტყელა და მდინარე მოსკოვში რწყულდებოდა. მაღლა, ბორცვზე, ორ ხეივანს შორის, სამი მუჭი სილუეტი მოჩანდა. ვოლანდი, კაროვიევი და ბეჰემოთი შავრა ცხენებზე ისხდნენ, მდინარის გაღმა ნაპირზე გაწოლილ ქალაქს გასცქეროდნენ, დასაღეთისკენ პირმიქვეულ ათასობით ფანჯარაში გადამტყდარ მზის მბზინავ სხივებს რომ აფრქვევდა ქალწულთა მონასტერს.

ჰაერი ხმაურმა გაკვეთა და აზაზელო, რომელსაც მუჭი, ჰაერში აფრიალებული მოსასხამის უკან ოსტატი და მარგარიტა მოჰყვებოდნენ, ბორცვზე, მომლოდინეთა სიახლოვეს დაეშვა.

– თქვენი და ოსტატის შეწუხება მომიხდა, მარგარიტა ნიკოლაევნა, – ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა ვოლანდმა, – მაგრამ იმედი მაქვს, არ მიწყენთ! არა მგონია, ინანოთ. აბა, – მიმართა მან ოსტატს, – გამოემშვიდობეთ ქალაქს, დროა, – ვოლანდმა შავი ხელთათმნიანი ხელი იქით გაიშვირა, სადაც მდინარის გაღმა უთვალავი მზე ალღობდა მინებს, სადაც იმ მზეთა თავზე მთელი დღის ხვატგადავლილი ქალაქიდან ანადენი ორთქლი, ბურუსი და კვამლი თრთოდა.

ოსტატი ჩამოქვეითდა, მხედრები მიატოვა და ქარაფისაკენ გაიქცა. შავი მოსასხამი მიწაზე მისთრევედა. ოსტატი ქალაქს გასცქეროდა. წამით გულისმომწურავი სევდა მოეძალა, მაგრამ ეს სევდა მალევე შეეცვალა ტკბილი, მოხეტიალე, ბოშური მღელვარებით.

– სამუდამოდ! ეს უნდა გაიაზრო! – ჩაიჩურჩულა ოსტატმა და მშრალი, დაშაშრული ტუჩები გაილოკა. იგი აყურადებდა, გამოწვლილვით აღნუსხავდა ყველაფერს, რაც მის სულში ხდებოდა. მღელვარება, როგორც მოეჩვენა, რაღაც უძირო, სისხლისმიერ წყენად ექცა, მაგრამ ამ შეგრძნებამაც მალე მიატოვა, ანაზდად გაქრა და რატომღაც ამაყი გულგრილობით შეეცვალა. ის უკანასკნელი კი – მარადიული სიმშვიდის შეგრძნებით.

მხედართა ჯგუფი უხმოდ ელოდა ოსტატს. მხედართა ჯგუფი ხედავდა, ქარაფზე მდგარი ეს შავი, მაღალი სილუეტი როგორ იქნევდა ხელებს, თავს მაღლა სწევდა და ეწადა მზერით მოეცვა მთელი ქალაქი, კიდით კიდემდე ჩასწვდომოდა, ხან კი თავს ქინდრავდა, თითქოს მის ფერხთით დატკეპნილ, გამეჩხერებულ ბალახს აკვირდებოდა.

დუმილი მოლოდინით გულშეღონებულმა ბეჰემოთმა დაარღვია:

– ნება მიბოძეთ, მესირ, – დაიწყო მან, – გამოსამშვიდობებლად დავუსტვინო, ვიდრე ცხენებს გავაჭენებდეთ.

– ქალბატონს შეაშინებ, – უპასუხა ვოლანდმა, – ამას გარდა, არ დაგავიწყდეს, რომ შენი დღევანდელი უმსგავსობანი უკვე დასრულდა.

– რას ბრძანებთ, მესირ, – უპასუხა ამორძალივით უნაგირზე გვერდულად მოკალათებულმა მარგარიტამ, – ნება დართეთ, დაუსტვინოს. მაინც ცოტა დავნალვლიანდი ამ შორი გზის წინ. დამეთანხმებით, მესირ, ეს ნაღველი სრულიად ბუნებრივია, თუნდაც ადამიანმა იცოდეს,

რომ გზის დასასრულს ბედნიერება ელის. ცოტა მაინც გაგვამხიარულოს, თორემ ვშიშობ, ეს ყველაფერი ცრემლებით არ დამთავრდეს და ყველას არ გაგიფუჭოთ გუნება.

ვოლანდმა ბეჭემოს თავი დაუქნია, ისიც იმავ წამს გამოცოცხლდა, უნაგირიდან მიწაზე ჩამოხტა, თითები პირში ჩაიწყო, ლოყები დაბერა და დაუსტვინა. მარგარიტას ლამის დაუსკდა ყურები. ცხენი ყალყზე შედგა, ხეებიდან გამხმარი ტოტები ჩამოცვივდა, ყვავებისა და ბელურების მთელი გუნდი აასკდა ცას, მტვრის ბუდი ზუილით დაიძრა მდინარისაკენ და მხედრებმა თვალნათლივ დაინახეს, სანაპიროს გასწვრივ მოსეირნე კატერში მგზავრებს ქუდები გადასძვრათ თავებიდან. ოსტატი შეაკრთო სტვენამ, მაგრამ არ შემობრუნებულა, უფრო შეშფოთებით აიქნია ხელი, ცისკენ აღაპყრო, თითქოს წყევლას უგზავნიდა ქალაქს. ბეჭემოთმა ამაყად მიმოიხედა.

– მაგრად დაუსტვინა, ვერ შეედავები! – მოწყალედ აღნიშნა კაროვიევმა, – კარგად დაუსტვინე, მაგრამ, თუ მიუკერძოებლად ვიმსჯელებთ, მაინც საშუალოდ შეიძლება ჩაითვალოს.

– მე ხომ რეგენტი არა ვარ, – ამაყად უპასუხა გაბუსულმა ბეჭემოთმა და მოულოდნელად თვალი ჩაუკრა მარგარიტას.

– აბა, ერთი, მეც ვცდი, ახალგაზრდობას გავიხსენებ, – თქვა კაროვიევმა, ხელები მოიფშვნიტა და თითებს სული შეუბერა.

– ცოტა ფრთხილად, ფრთხილად, – გაისმა ვოლანდის მკაცრი ხმა, – არავის არაფერი ავნო!

– მესირ, დამერწმუნეთ, – თქვა კაროვიევმა და გულზე მიიღო ხელი, – მხოლოდ გასართობად დავუსტვენ... – ანაზღად ზევით-ზევით აიწელა, მარჯვენა ხელის თითები უცნაურად შეკუმშა, ხრახნივით დაიგრაგნა და უკან დაბზრიალებულმა – დაუსტვინა.

ეს სტვენა მარგარიტას არ გაუგონია, მხოლოდ დაინახა, როცა ტალღამ ათი საჟენით შორს მოისროლა ცხენიდან. მის გვერდით მუხის ხე დაეცა და მიწა მდინარემდე გაბზარა. ნაპირის დიდი ნაწილი, სანაპიროთი და რესტორნითურთ, მდინარეში ჩაქანდა. წყალი აიტალდა და მოპირდაპირე, გადამწვანებულ დაბლობ ნაპირზე წყლის ტრამვაი შეაგდო, ოღონდ მგზავრებს არაფერი დაშავებიათ. მარგარიტას ახვიხვინებული ცხენის ფერხთით ფაგოტის სტვენით გულგამსკდარი ჭკა დაეცა. ოსტატი შეაშინა სტვენამ. თავზე იტაცა ხელი და უკან, მომლოდინე მგზავრებისაკენ გამოიქცა.

– ყველა ანგარიში გაასწორეთ? – თავისი ცხენის სიმაღლიდან ჰკითხა ვოლანდმა, – გამოეთხოვეთ ქალაქს?

– გამოვეთხოვე, – უპასუხა ოსტატმა და დამშვიდებულმა პირდაპირ და თამამად შეხედა ვოლანდს.

მაშინ კი საყვირთა გუგუნვით მთებს გადაუარა ვოლანდის საზარელმა ძახილმა:

– დროა!!! – და ბეჭემოთის მკვეთრმა სტვენამ და ხარხარმა.

ცხენები ადგილს მოსწყდნენ, მხედრები მალლა-მალლა აიტაცეს და გააჭენეს. მარგარიტა გრძნობდა, როგორ ღრღნიდა და ექაჩებოდა აღვირს მისი გააფთრებული ცხენი. ვოლანდის მოსასხამი უკანმავალთა თავებს გადაეფარა და ბინდშეპარული ცარგვალი გააქრო. და როცა

წამით გადაფერდებული შავი საფარიდან მარგარიტამ უკან მიიხედა. აღარც ფერად-ფერადი გუმბათები ჩანდა, არც ამ გუმბათებზე მოგუგუნე აეროპლანი, აღარც ქალაქი – ყველაფერი მიწას შთაენთქა და მხოლოდ ჯანღიღა რიალებდა ამ ქალაქის მოსაგონებლად.

თავი ოცდამეთორმეტე

მიტევება და მარადიული სიმშვიდე

ჰოი, ღმერთებო! რა სევდიანია საღამოსეული მიწა! რაოდენ იდუმალია ჭაობიდან ამობოლქვილი ნისლი. ვისაც ამ ნისლში უბორიალია, ვისაც ბევრი უტანჯია სიკვდილის წინ, ვისაც უფრენია ამ მიწაზე აუზიდველი ტვირთით დამძიმებულს, მან უწყის მხოლოდ. უწყის მაშვრალმა. ამიტომ დაუნანებლად ტოვებს მიწიერ ბურუსს, მის ტბებსა და მდინარეებს და მშვიდი გულით ნებდება სიკვდილის ხელებს, რადგან მხოლოდ იქ ეგულვის სიმშვიდე.

ჯადოსნური, შავი ცხენებიც კი დაიქანცნენ, აწ უკვე ნელა მიაქროლებდნენ თავიანთ მხედრებს და უცილობელი ღამეც თანდათან წამოეწიათ. ზურგს უკან ღამის მიახლოების შეგრძნებამ, თვით დაუოკებელი ბეჭემოთიც კი დაადუმა, ბრწყალებით უნაგირს ჩაჰფრენოდა, მდუმარედ მიფრინავდა ჩაგულისყურებული, მხოლოდ ღუნღულა კუდი უფრიალებდა ჰაერში. ღამე შავ ლეჩაქს აფარებდა ტყეებს და ველებს, ღამე ანათებდა სადღაც შორს, ქვევით, ნაღვლიან ნათურებს, აწ უკვე უინტერესოს და გამოუსადეგარ, ოსტატისა და მარგარიტასთვის უცხო ნათურებს. ღამე ეწეოდა მხედრებს, მალლიდან ეკვროდა და დანაღვლიანებულ ცაზე ხან აქ, ხან იქ ამოკვეთდა ხოლმე ვარსკვლავთა თეთრ ლაქებს.

ღამე მკვრივდებოდა, გვერდით მიჰყვებოდა, მოსასხამებზე ეჭიდებოდა მქროლავთ, მხრებიდან აძრობდა ამ მოსასხამებს და სიყალბეს ააშკარავებდა. და როცა გრილი ნიავით შემობურვილი მარგარიტა თვალს ახელდა, ხედავდა, როგორ ეცვლებოდათ გარეგნობა იმათ, ვინც მასთან ერთად მიქროდა მიზნისკენ. და როცა მათ შესახვედრად ცის კიდურიდან სისხლისფერი სავსე მთვარე ამოცურდა, ანაზღად გაქრა ყველა სიცრუე, ჭაობში ჩაემხო და ბურუსში ჩაიძირა ჯადოსნური, არამყარი სამოსი.

ახლა კაროვიევ-ფაგოტს, იმ იდუმალი კონსულტანტის თვითმარქვია თარჯიმანს, რომელსაც საერთოდ არ სჭირდებოდა თარჯიმანი, ძნელად თუ მიაღმგავსებდით იმას, ვინც ვოლანდისა და მარგარიტას შუა მიფრინავდა. იმის ნაცვლად, ვინც ტაკიმასხარას დაფლეთილი სამოსით მიატოვა ვარაბიოვის მთები და კაროვიევ-ფაგოტის სახელით იყო ცნობილი, ახლა უზანგის ჯაჭვთა ჟღარუნით მიქროდა მუქიფერმოსასხამიანი, სახენაღვლიანი და მარად მოღუშული რაინდი. ნიკაპი მკერდზე მიებჯინა, არც მთვარეს გასცქეროდა და არც ფეხქვეშ დარჩენილი მიწა ადარდებდა, საკუთარ საფიქრალში ჩაძირული მიაქროლებდა ცხენს ვოლანდის გვერდით.

– ასე რატომ შეიცვალა? – ქარის ზუზუნში ჩუმად ჰკითხა მარგარიტამ ვოლანდს.

– ამ რაინდმა ოდესღაც უგერგილოდ იხუმრა, – უპასუხა ვოლანდმა და მარგარიტასკენ იბრუნა მშვიდად ცალთვალანთებული სახე, – მისი კალამბური, თვითონვე რომ შეთხზა, ნათლისა და უკუნის შესახებ, არც მთლად სახარბიელო იყო და რაინდი იძულებული გახდა, უფრო ხანგრძლივად და დიდხანს ეხუმრა, ვიდრე ვარაუდობდა. მაგრამ ამაღამ ყველა ანგარიში სწორდება. რაინდმა თავისი ანგარიში გაანაღდა.

ღამემ ღუნღულა კუდი შემოაგლიჯა ბეჭემოთს, ბეწვი გაუწეწა და ბლუჯა-ბლუჯად მიმოფანტა ჰაერში. ის, ვინც ადრე წყვილიადის მეუფის ტაკიმასხარა კატა იყო, ახლა კაფანდარა ყმაწვილად იქცა, დემონ-ჰაჟად, საუკეთესო მასხარად, ვინც კი ოდესმე არსებობდა ამ ქვეყანაზე. ახლა ისიც დადუმებულიყო, ხმის ამოუღებლად მიფრინავდა და მთვარიდან მონადენი ნათლისთვის მიეშვირა სახე.

განაპირებით აზაზელო მოჩანდა. ფრენისას აბჯრის ფოლადი უბზინავდა. მთვარემ მასაც შეუცვალა იერი. უკვალოდ გამქრალიყო საშინელი, შემზარავი ეშვი და ლიბრგადაკრული თვალის ყალბი აღმოჩნდა. ახლა უკვე ორივე ერთნაირი თვალი ჰქონდა აზაზელოს, ჩაშავებული და ცარიელი, სახე – უფერული და გულგრილი გახდომოდა. უკვე დაბრუნებოდა უდაბნოს დემონის, დემონი-მკვლელის ჭეშმარიტი სახე.

მარგარიტა თავის თავს ვერ ხედავდა, მაგრამ გარკვევით დაინახა, როგორ შეიცვალა ოსტატი. ახლა მას მთვარის შუქზე უქათქათებდა თმა, უკან ნაწნავად ეკვრებოდა და ამ ნაწნავს ქარი უფრიალებდა. როცა ქარი მოსასხამის კალთებს უწევდა ფეხებიდან ოსტატს, მარგარიტა მისი ბოტფორტების დეზებზე ხან მიმქრალ და ხან აბზინებულ ვარსკვლავებს ხედავდა. ყმაწვილი დემონის მსგავსად, ოსტატიც მთვარეს არ აშორებდა თვალს, ოღონდ დიდი ხნის ნაცნობივით და ახლობელივით უღიმოდა მას და 118-ე ოთახში შექნილი ჩვეულებისამებრ, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

დაბოლოს, უკვე ვოლანდსაც დაუბრუნდა ჭეშმარიტი იერი. მარგარიტას გაუჭირდებოდა ეთქვა, რა მასალის იყო ცხენის უზანგი, რომელიც მთვარის ნისლეულისგან დაწნულს ჩამოჰგავდა, თვით ცხენი წყვილიადის უზარმაზარ ზოდს წააგავდა, ფაფარი – ღრუბელს და მხედრის დეზები – თეთრად მოციმციმე, აცრიატებულ ვარსკვლავებს.

ასე მიქროდნენ და დუმდნენ დიდხანს, ვიდრე ქვევით მიმქროლავი მიდამოც არ შეიცვალა. ნალვლიანი ტყეები მიწიერმა უკუნმა შთანთქა და თან მდინარეთა ბუნდოვანი ხმლისპირებიც გაიყოლა. ახლა ქვევით უზარმაზარი, მთვარის შუქზე აცრიატებული ქვის ზოდები გამოჩნდა, მათ შორის კი შუქჩაულწეველი, ჩალუსკუმებული უფსკრულები.

ვოლანდმა ერთ კლდოვან, ბრტყელ კლდეზე ამოსდო ცხენს ლაგამი და მხედრებმა ჩორთით განაგრძეს სვლა. ესმოდათ, როგორ ხრამუნობდა ფლოქვებქვეშ ქვა და კაჟი. მთვარე მწვანედ დანათოდა მინდორს და მარგარიტამ ამ უდაბურ ადგილას ანაზდად სავარძელი და შიგ მჯდარი კაცის თეთრი ფიგურა გაარჩია. ალბათ ეს კაცი ყრუ იყო, ანდა ერთიანად ჩაძირული საფიქრალში. არც კი გაუგონია, ამ გოლიათ ცხენთა სიმძიმით როგორ აზანზარდა კლდოვანი ნიადაგი და მხედარნი ასე, მის შეუშფოთებლად წაადგნენ თავზე.

მთვარე ეხმარებოდა მარგარიტას, უფრო მძაფრად ანათებდა, ვიდრე რომელიმე ელექტრონათურა და მარგარიტა ხედავდა, სავარძელში მჯდარი კაცი, ვისი თვალებიც უსინათლო ეჩვენა, ჩქარ-ჩქარა როგორ იფშვნეტდა ხელებს და იმ უსინათლო თვალებს მთვარეს არ აშორებდა. ახლა ისიც გაარჩია მარგარიტამ, რომ ამ მძიმე ქვის სავარძლის გვერდით, რომელზეც მთვარის შუქით აცრიატებული რაღაც მბზინავი ნაკვერჩხალი ელავდა, მუქი, უზარმაზარი, ყურებწამახული ძაღლი იწვა და ისიც, პატრონისდარად, შემფოთებული ასცქეროდა მნათობს.

კაცის ფერხთით დოქის ნამსხვრევები ეყარა და სამარადისოდ აუშრობელი მუქი წითელი გუბე იდგა.

მხედრებმა ცხენები შეაყენეს.

– თქვენი რომანი წაიკითხეს, – თქვა ოსტატისკენ პირმიქვეულმა ვოლანდმა, – და მხოლოდ ერთი რამ თქვეს, რომ სამწუხაროდ, რომანი არ არის დასრულებული. ამიტომ მინდოდა, თქვენი გმირი მეჩვენებინა თქვენთვის. ორი ათასი წელია ამ მოედანზე ზის და სძინავს, მაგრამ მთვარის ავსების ჟამს, როგორც ხედავთ, უძილობა აწუხებს. სავსე მთვარე მარტო მას კი არა, მის ერთგულ მცველს, ძაღლსაც ტანჯავს. თუკი მართალია, რომ შიში ყველაზე დიდი

ცოდვას ამქვეყნად, მაშინ იმ ძალს ბრალი არაფერში მიუძღვის. ამ მამაც ძალს მხოლოდ ქარიშხლის ემინოდა. მაგრამ რას იზამ, მან, ვისაც უყვარს, იმისი ხვედრი უნდა გაიზიაროს, ვინც უყვარს.

– მაინც რას ამბობს? – ჰკითხა მარგარიტამ და სრულიად მშვიდ სახეზე თანაგრძნობის ნისლმა გადაუარა.

– ის მუდამ ერთსა და იმავეს იმეორებს, – გაისმა ვოლანდის ხმა, – რომ მთვარის შუქზეც არა აქვს მოსვენება და საშინელი თანამდებობა ერგო წილად. ამას იმეორებს ყოველთვის, როცა არ სძინავს, ხოლო, როცა სძინავს, ერთი და იგივე ესიზმრება – მთვარის ბილიკი, რომელზეც სურს ფეხი შედგას და ტყვე ჰა-ნოცრის გაესაუბროს, რადგან, როგორც თვითონ ამტკიცებს, ტყვემ რაღაც ბოლომდე არ უთხრა მაშინ, დიდი ხნის წინათ, გაზაფხულის თვის ნისანის თოთხმეტს. მაგრამ ვაი, რომ ამ ბილიკზე ის ფეხის შედგმას ვერ ახერხებს და მასთანაც არავინ მოდის. ამიტომ სხვა რაღა დარჩენია, იძულებული ხდება, საკუთარ თავს ესაუბროს. თუმცა, მრავალფეროვნებაც ხომ საჭიროა, და მთვარის შუქზე საუბრისას, ხანდახან იმასაც დასძენს ხოლმე, რომ ყველაზე მეტად თავისი უკვდავება და ენით აუწერელი დიდება სძაგს. ის ამტკიცებს, რომ სიამოვნებით გაუცვლიდა თავის ხვედრს იმ ჩამოძენძილ ლევი მათეს.

– თოთხმეტი ათასი მთვარე იმ ერთი მთვარის სანაცვლოდ ძალიან ბევრი ხომ არ არის? – იკითხა მარგარიტამ.

– ფრიდას ისტორია მეორდება? – თქვა ვოლანდმა, – თუმცა, მარგარიტა, შეგიძლიათ აქ თავი არ შეიწუხოთ. ყველაფერი წესითა და რიგით მოხდება, ამას ემყარება სამყარო.

– გაუშვით, – უცებ ხმამაღლა იკვილა მარგარიტამ, ისე, როგორც ოდესღაც ალქაჯად ქცეული კიოდა. ამ კვილით შეძრული ქვა კლდეს მოსწყდა, ფრიალოზე თავქვე უფსკრულისკენ ჩაქანდა და მთები რახრახით შეაზანზარა. თუმცა მარგარიტა დანამდვილებით ვერ იტყოდა, ქვის ჩახერგვის ღრიალი იყო, თუ სატანური ხარხარის გამოძახილი. ასე იყო თუ ისე, ვოლანდი ხარხარებდა, მარგარიტას უცქეროდა და ეუბნებოდა:

– მთებში ყვირილი არ შეიძლება. ის მაინც მიჩვეულია ზვავს და არ შეაშფოთებს. თქვენი თხოვნა არ არის საჭირო, მარგარიტა, რადგან მისი შეწყალება უკვე იმან ითხოვა, ვისთანაც ასე ელტვის საუბარს, – ვოლანდი ისევ ოსტატისაკენ შებრუნდა და უთხრა, – ასე რომ, უკვე შეგიძლიათ ერთი წინადადებით დაასრულოთ რომანი!

ოსტატი, თითქოს ელოდა ამას, ვიდრე უძრავად იდგა და სავარძელში მჯდარ პროკურატორს გასცქეროდა. მან ტუჩებზე მიიდო ხელი და ისე იყვირა, რომ ექო უკაცრიელ და მოტიტვლებულ კლდეებზე ხტუნვა-ხტუნვით გაიწელა:

– თავისუფალი ხარ! თავისუფალი! ის გელის!

კლდეებმა ქუხილად აქციეს ოსტატის ხმა და იმავ ქუხილმა ჩამოაშვა მთები. წყეული კლდოვანი კედლები ჩამოინგრა. დარჩა მხოლოდ ქვისსავარძლიანი მოედანი. იმ შავი უფსკრულის თავზე, რომელშიც კედლები ჩაემხო, თვალგაუწვდენი ქალაქი გაჩახჩახნდა, მაღლა აღმართული მბზინავი კერპებითა და მრავალი ათასი მთვარის მიღმა მდიდრულად გადაფურჩქნილი ბალით. ზედ იმ ბალისკენ გაწვა ამდენ ხანს ნალოდინები მთვარის ბილიკი და ბილიკისკენ სირბილით გაიჭრა ძალლი. სისხლისფერქობიან თეთრმოსასხამიანი კაცი სავარძლიდან წამოდგა და რაღაც იყვირა ჩახლეჩილი, ლამის ჩაწყვეტამდე მისული ხმით.

ძნელი იყო გარჩევა, ტიროდა თუ იცინოდა, ან რას გაჰყვიროდა. ჩანდა მხოლოდ, თავისი ერთგული ძაღლის კვალად, ისიც სირბილით რომ გაუყვა ბილიკს.

– მეც იმას გავყვებ? – იკითხა ოსტატმა და აღვირს მოჰკიდა ხელი.

– არა, – უთხრა ვოლანდმა, – რატომ უნდა სდიოთ კვალში იმას, რაც უკვე გასრულდა.

– მაშასადამე, იქით? – ჰკითხა ოსტატმა, შებრუნდა და უკან მიუთითა, იქ, სადღაც ზურგს უკან, ახლანა მითოვებული ქალაქის გუმბათები და ათას სარკმელში გადამსხვრეული მზის ხილვა შეკოწიწდა.

– არც იქით, – უპასუხა ვოლანდმა, ხმა დაუკლტდა და კლდეებს გადაედვარა, – არც იქით, რომანტიკულო ოსტატო! მან, ვის ნახვასაც ასე ელტვოდა თქვენ მიერ გამოგონილი ახლანა გათავისუფლებული თქვენი გმირი, რომანი წაიკითხა, – აქ ვოლანდი მარგარიტასკენ შებრუნდა, – მარგარიტა ნიკოლაევნა! შეუძლებელია დაეჭვება, რომ ოსტატისათვის საუკეთესო მომავალი გემეტებოდათ, მაგრამ, დამერწმუნეთ, ის, რასაც მე გთავაზობთ, და ის, რაც იეშუამ თქვენთვის ითხოვა – ბევრად უკეთესია. დავტოვოთ მარტო, – თქვა ვოლანდმა, ოსტატის უნაგირისკენ გადაიხარა და შორს მიმავალ პროკურატორზე მიუთითა, – ხელს ნუ შევუშლით. და ეგებ შეთანხმდნენ კიდევ, – უცებ ვოლანდმა იერუშალაიმისკენ აიქნია ხელი და ისიც ჩაქრა.

– ან იქ, – ვოლანდმა ზურგს უკან გაიშვირა ხელი, – რა უნდა აკეთოთ იმ სარდაფში? – იმავ წამს სარკმლებში გადამსხვრეული მზე ჩაქრა, – რატომ? – რბილად და დამაჯერებლად განაგრძო ვოლანდმა, – ო, სამგზის რომანტიკულო ოსტატო! განა არ გსურთ, დღისით თქვენს მეგობართან ერთად ახალაყვავებულ ალუბლის ჩრდილქვეშ ისეირნოთ, საღამოობით კი შუბერტის მუსიკით დატკბეთ? ნუთუ არ გწადიათ, სანთლების შუქზე წეროთ ბატის ფრთით? ნუთუ არ გსურთ, ფაუსტის დარად იჯდეთ და ახალი ჰომუნკულოსის შექმნაზე იოცნებოთ? იქით. იქით. იქ უკვე გელით სახლი და მოხუცი მსახური. უკვე ანთია სანთლები, თუმცა მალევე ჩაქრება, რადგან იქ მისვლისთანავე შეხვდებით განთიადს. ამ გზას გაუყევით, ოსტატო, ამ გზას. მშვიდობით! ჩემი წასვლის დროა.

– მშვიდობით! – ერთად შესძახეს მარგარიტამ და ოსტატმა. და შავი ვოლანდი გზის გაუკვლევად გადაეშვა უფსკრულში. მის უკან ხმაურით შთაინთქა მისი ამაღაც. არც კლდეები, აღარც მოედანი, არც მთვარის ბილიკი და აღარც იერუშალაიმი აღარსად ჩანდა. შავი რაშებიც გაქრნენ. და ოსტატმა და მარგარიტამ შეპირებული განთიადი იხილეს. ის აქვე იწყებოდა, შუალამისეული მთვარის ჩასვლისთანავე. ოსტატი თავის მეგობარ ქალთან ერთად რიჟრაჟის პირველ სხივთა ნათელში მიაბიჯებდა ქვის ხავსმოდებულ ხიდზე. გადავლო კიდევ. ნაკადული უკან მოიტოვეს შეყვარებულებმა და ახლა ქვიშიან ბილიკს მიუყვებოდნენ.

– უბგერობას უსმინე, – ეუბნებოდა მარგარიტა ოსტატს და ქვიშა ხრაშუნობდა მისი შიშველი ტერფების ქვეშ, – მიაყურადე და დატკბი იმით, რაც არ გაღირსეს სიცოცხლეში – სიჩუმით. ხედავ, წინ შენი მარადიული სახლია, რომელიც ჯილდოდ გებოძა. მე უკვე ვხედავ ვენეციურ სარკმელს და მალღარ ვაზს. ვაზი სახურავამდე აღწევს. აი, შენი სახლი, შენი მარადიული საყუდელი. მე ვიცი, საღამოს ისინი გესტუმრებიან, ვინც გიყვარს, ვისთან საუბარიც დაგაინტერესებს და არ აგაღელვებს. ისინი გიმღერებენ, დაგიკრავენ და შენ დაინახავ, როგორი შუქი წვება ოთახში, როცა სანთლები ანთია. ძილის წინ უკვე გაქონილ და მარადიულ ჩაჩს დაიხურავ და გაღიმებული ჩათვლემ. ძილი მოგამაგრებს და სიბრძნეს შეგმატებს. და ველარც ჩემს გაგდებას შეძლებ. შენს ძილს მე დავიცავ.

ასე ამბობდა მარგარიტა, იმ მარადიული სამყოფისაკენ ოსტატის გვერდით რომ მიაბიჯებდა და ოსტატს ეჩვენებოდა, თითქოს მარგარიტას სიტყვები უკან დარჩენილი ნაკადულივით რაკრაკებდა და ელამუნებოდა ოსტატის ხსოვნას, და ეს შეშფოთებული, ნემსებით დაჩხვლეთილი ხსოვნაც თანდათან იღველფებოდა. ვიღაც თავისუფლებას ანიჭებდა ოსტატს, როგორც ახლახან თავად უბოძა თავისუფლება თავის მიერვე შექმნილ გმირს. ეს გმირი თვალგაუწვდენს შეერწყა, უკანმოუბრუნებლად წავიდა მეფე-ვარსკვლავთმრიცხველის ძე, კვირაძალზე მიტევებული, იუდეველთა უწყალო მეხუთე პროკურატორი – პონტოელი პილატე.

ეპილოგი

და მაინც, საკითხავია, რა ხდებოდა მოსკოვში, მას შემდეგ, რაც შაბათ საღამოს, ბინდისპირზე, ვოლანდმა ქალაქი მიატოვა და თავის ამაღასთან ერთად ვარაზიოვის მთებიდან გაქრა?

იმის შესახებ, რომ კიდევ დიდხანს, ყოვლად დაუჯერებელი ჭორები აზანზარებდა ქალაქს და მალე ეს ჭორები შორეულ და მიყრუებულ პროვინციებსაც მისწვდა, აღარც კი ღირს ლაპარაკი და გვრცხვენია კიდევ ამ ჭორების გამეორება.

ამ მართალი სტრიქონების ავტორმა თვითონ, პირადად ფეოდოსიაში მგზავრობისას საკუთარი ყურით მოისმინა, მატარებელში მონათხრობი ამბავი, იმის შესახებ, ორი ათასი მაყურებელი სრულიად შიშლიკანა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, როგორ გამოცვივდა მოსკოვის ერთ-ერთი თეატრიდან და ასევე გაშიშვლებულნი, ტაქსით გაემგზავრნენ სახლებში.

ჩურჩული – „უწმინდური ძალა“ ყველგან ისმოდა: რძის პროდუქტების რიგში, ტრამვაიში, მაღაზიებში, ბინებში, სამზარეულოში, სააგარაკო და შორეული დანიშნულების მატარებლებში, სადგურებსა და ბაქნებზე, აგარაკებსა და პლაჟებზე.

უფრო განათლებული და კულტურული ხალხი დედაქალაქში სტუმრად ჩამოსული უწმინდური ძალის შესახებ შეთხზულ ამბებს, ცხადია, ყურად არ იღებდა, დასცინოდა კიდევ ამ ზღაპრებს და ცდილობდა, გონს მოეყვანა მთხრობელები. მაგრამ, როგორც ამბობენ, ფაქტები ფაქტებად რჩება და მათი უარყოფა ჯერ ვერავის მოუხერხებია. ფაქტი იყო, რომ დედაქალაქს ვიღაც სწვეოდა, და ამას გრიბოედოვიდან დარჩენილი შავი ნაკვერჩხალი და კიდევ ათასი სხვა რამ მოწმობდა.

კულტურული ხალხი გამოძიების თვალთახედვას იზიარებდა. დედაქალაქში ჰიპნოტიზიორთა და მუცლითმეზღაპრეთა ბანდა მოქმედებდა, რომელნიც, როგორც ჩანდა, დიდებულად ფლობდნენ თავიანთ პროფესიას.

ამ ბანდის დასაჭერად მოსკოვსა და მისგან კარგა მოშორებით მდებარე რაიონებშიც, ცხადია, ენერგიულად და სასწრაფოდ მიიღეს ზომები, მაგრამ, სამწუხაროდ, მიღებულ ზომებს შედეგი არ მოჰყოლია. ის, ვინც თავს ვოლანდს უწოდებდა, თავისი ამაღიანად სადღაც გაქრა, მოსკოვში მეტად აღარ გამოჩენილა და არც სხვაგან გაუმჟღავნებია თავი. ცხადზე ცხადია, ეჭვი იმაზეც მიიტანეს, რომ საზღვარგარეთ შეიძლო გაქცეულიყო, მაგრამ მის კვალს ვერც იქ მიაგნეს.

მისი საქმის ძიება დიდხანს გრძელდებოდა. აბა, სხვაგვარად როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, როცა თვით საქმე იყო სასწაულებით სავსე? ოთხ დამწვარ სახლსა და ათასობით ჭკუიდან შეშლილ ადამიანზე რომ არაფერი ვთქვათ, იყვნენ დახოცილებიც. ორ ადამიანზე ზუსტად შეიძლებოდა ამის თქმა: ბერლიოზი და მოსკოვში ჩამოსულ უცხოელთათვის ქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობის ბიუროს ის უბედური თანამშრომელი, ყოფილი ბარონი მეიგელი მკვდრები იყვნენ. მეიგელის დამწვარი ძვლები სადოვარიაზე № 50 ბინაში აღმოაჩინეს, ხანძრის ჩაქრობის შემდეგ. დიან, იყო მსხვერპლი და ეს მსხვერპლი პასუხს მოითხოვდა.

მაგრამ ამ ორს სხვა მსხვერპლიც დაემატა და ეს მაშინ მოხდა, როცა ვოლანდმა დედაქალაქი დატოვა, და ეს მსხვერპლი, რამდენადაც უცნაურად უნდა მოგეჩვენოთ, შავი კატები იყვნენ.

ასზე მეტი ეს მშვიდობიანი, ადამიანის ერთგული და სასარგებლო ცხოველი თოკით ან სხვა საშუალებებით მოკლეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. ათასობით კატა, ზოგჯერ დამახინჯებულებიც კი, სხვადასხვა ქალაქის მილიციის განყოფილებებში მოხვდნენ. მაგალითად, არმავირში ვიღაც მოქალაქემ თათებგაკოჭილი ერთი ყოვლად უდანაშაულო კატა მიათრია მილიციაში.

ამ კატას მოქალაქე მაშინ ჩასაფრებოდა, როცა ეს საბრალო ცხოველი ქურდულად (რა ქნან კატებმა, თუ ასეთი იერი აქვთ? არა იმიტომ, რომ ქურდები არიან, არამედ ეშინიათ, რომელიმე მათზე ძლიერმა არსებამ – ძაღლმა ან ადამიანმა, უბედურება არ დაატეხოთ თავს. ერთიცა და მეორეც ძალიან იოლია, მაგრამ პატივი ამ ქმედებისა, დამერწმუნეთ, ძალზე მცირეა. დიან, ლამის უპატიოსნო საქციელადაც ითვლება). და იმ მოქალაქემაც მაშინ სტაცა კატას ხელი, როცა ის ოროვანდის ბუჩქისაკენ ქურდულად მიიპარებოდა.

მოქალაქე კატას სწვდა, თათების გასაკოჭად კისრიდან ჰალსტუხი შემოიგლიჯა, თან მტრულად და ზიზღით ეუბნებოდა:

– აჰ! მაშასადამე, ახლა ჩვენთან ინებეთ მობრძანება, ბატონო ჰიპნოტიზიორო? აქ თქვენი არავის ეშინია. კეთილი ინებეთ და თავს ნუ იკატუნებთ. ყველამ კარგად ვიცით, რა ჩიტიც ბრძანდებით!

მოქალაქე მილიციისკენ მიათრევდა მწვანე ჰალსტუხით თათებგაკოჭილ კატას, თან ჰანლურს ჰკრავდა და აიძულებდა, უკანა თათებზე ატოტებულს ევლო.

– თქვენ ის გირჩევნიათ, – ყვიროდა მოქალაქე და სტვენა-სტვენით ადევენებული ბიჭების ბრბოში გზას მიიკვლევდა, – სისულელეებს თავი გაანებოთ. მაინც არაფერი გამოგივათ! კეთილი ინებეთ და ისე იარეთ, როგორც დადიოდით.

შავი კატა კი დაფეთებული ათვალეირებდა გარემოს. ბუნებით ლაპარაკის უნარს მოკლებული, ვერც თავს იმართლებდა. ეს უბედური ცხოველი თავის გადარჩენას უპირველესად მილიციას უნდა უმადლოდეს, და კიდევ, თავის პატრონსაც, ღრმად პატივცემულ ქვრივ ქალს. პოლიციელები კატის განყოფილებაში მიყვანისთანავე მიხვდნენ, რომ მოქალაქეს სპირტის ონშივარი ასდიოდა, რის გამოც მისი ჩვენებები ყურად აღარ უღიანათ. ამასობაში, განყოფილებაში ქვრივი დედაბერიც მიიჭრა, რომელსაც მეზობლებისგან შეეტყო კატის დაპატიმრების ამბავი და სწორედაც სულზე მოუსწრო. მან საუკეთესოდ დაახასიათა კატა, მილიციელებს აუხსნა, რომ კნუტობიდან მოყოლებული, უკვე ხუთი წელი იყო, რაც კატა ცუდ საქმეებში არ იყო შემჩნეული და არც მოსკოვში გამგზავრებულა არასოდეს. არმავირში დაიბადა, აქვე აიდგა ფეხი და აქ ისწავლა თაგვების ჭერა.

კატას თათები შეუხსნეს და პატრონს დაუბრუნეს. მართალია, დიდად ჭირგამოვლილი, რადგან თავად, საკუთარ ტყავზე გამოსცადა, რა საშინელებაა შეცდომა და ცილისწამება.

კატების გარდა პატარ-პატარა უსიამოვნებები მოქალაქეებსაც შეექმნათ, რამდენიმე კაცი დააპატიმრეს კიდევ. მცირე ხნით დაპატიმრებულები აღმოჩნდნენ: ლენინგრადში – მოქალაქეები ვოლმანი და ვოლპერი, სარატოვში, კიევსა და ხარკოვში – სამი ვოლოდინი, ყაზანში – ვოლოხნი, პენზაში კი, სრულიად გაურკვეველია, რატომ – ქიმის მეცნიერებათა

კანდიდატი ვეტჩინკევიჩი... თუმცა ეს კაცი უზარმაზარი ტანისა იყო, ძალზე შავგვრემანი და შავთმიანი.

ამას გარდა, სხვადასხვა ქალაქში დააპატიმრეს ცხრა კაროვინი, ოთხი კაროვკინი და ორი – კარავაევი.

ერთი მოქალაქე სევასტოპოლის მატარებლიდან გაკოჭილი ჩამოიყვანეს სადგურ ბელგოროდში. მოქალაქე ბანქოს ფოკუსებით აპირებდა თანამგზავრების გართობას.

იაროსლავლში, სწორედ სადილობის ჟამს, რესტორანში ერთი მოქალაქე იღლიაში პრიმუსამოჩრილი შევიდა, რომელიც წუთის წინ ხელოსნისაგან წამოედო. ორმა შვეიცარმა მისი დანახვისთანავე მიატოვა სადარაჯო და გაიქცა, უკან კი რესტორნის ყველა თანამშრომელი და სტუმრები მიჰყვნენ. ამასთან, სალაროდან ყოვლად გაუგებარ მიზეზთა გამო, იმდღევანდელი შემოსავალიც გაქრა.

კიდევ მრავალი შემთხვევა მოხდა, მაგრამ ყველას ვერ გავიხსენებთ. დიდი არეულობა იყო გონთა!

კიდევ და კიდევ ერთი სიტყვით უნდა მოვიხსენიოთ სამძებრო ორგანოები. ყველაფერი გაკეთდა არა მხოლოდ ავაზაკთა დასაკავებლად, არამედ იმისათვისაც, რომ აეხსნათ მათ მიერ ჩადენილი უმსგავსოებანი. ყველაფერს მოედებნა ახსნა და ეს ახსნა-განმარტებები შეუძლებელია გონივრულად და ეჭვმიუტანლად არ მივიჩნიოთ.

გამოძიების წარმომადგენლებმა და გამოცდილმა ფსიქიატრებმა დაადგინეს, რომ ავაზაკური ბანდის წევრები, ანდა ერთი მათგანი მაინც (უმეტესად, ამ შემთხვევაში კაროვიევზე მიჰქონდათ ეჭვი), ჯერ არნახული ძალის ჰიპნოტიზიორები იყვნენ და უნარი შესწევდათ, იქ მოეჩვენებინათ თავი, სადაც სინამდვილეში არ იმყოფებოდნენ. ამას გარდა, ისინი თავისუფლად შთააგონებდნენ შემხვედრთ, რომ ზოგიერთი საგანი ან ადამიანი იმ ადგილას იმყოფებოდა, სადაც არასოდეს ყოფილა, ანდა პირიქით, ველარ ხედავდნენ იმ საგნებსა და ადამიანებს, რომლებიც სინამდვილეში იქვე, ახლოს იმყოფებოდნენ.

ამგვარი განმარტებით ყველაფერს ნათელი მოეფინა, იმასაც კი, რაც ყველაზე მეტად აღელვებდა მოქალაქეებს, ყოვლად აუხსნელი უვნებლობა კატისა, რომელსაც № 50 ბინაში ტყვია არ ეკარებოდა დაკავების დღეს.

კატა ჭალზე, ცხადია, საერთოდ არ მჯდარა, არც არავის უცდია, საპასუხო სროლა აეტეხა, მილიციელები მხოლოდ მოჩვენებას ესროდნენ. ეს კაროვიევმა შთააგონა მათ, რომ კატა ისროდა ჭალიდან, თვითონ კი ეგებ მათ ზურგს უკან იდგა, იმანჭებოდა და თავისი გასაოცარი, მაგრამ მაინც ავაზაკურად გამოყენებული შთაგონების უნარით ტკბებოდა. ცხადია, მანვე მოასხა ბენზინი ბინაში და ცეცხლი წაუკიდა.

ცხადია, არც სტიოპა ლიხოდეევი გაფრენილა იალტაში (ამის უნარი კაროვიევსაც არ გააჩნდა) და არც დეპეშები გამოუგზავნია იქიდან. მას შემდეგ, რაც კაროვიევის ფოკუსებით დამფრთხალმა იუველირის ბინაში გრძნობა დაკარგა, იქვე იმყოფებოდა ფენმოუცვლელად, ვიდრე ისევ კაროვიევმა არ ჩამოაფხატა თავზე თექის ქუდი და აეროპორტში არ გაგზავნა, თან სტიოპას დამხვდურ გამომძიებლებსაც შთააგონა, რომ სტიოპა სევასტოპოლიდან ჩამოფრინდა აეროპლანით.

მართალია, იალტის სამძებრო ამტკიცებდა, რომ მათ დანამდვილებით ნახეს ფეხშიშველა სტიოპა და დეპეშებსაც თვითონვე აგზავნიდნენ მოსკოვში, მაგრამ ამ დეპეშათა ასლები საქმეში არ აღმოჩნდა, რის გამოც, სამწუხაროდ, სრულიად უცილობელი დასკვნა გაკეთდა, რომ ჰიპნოტიზიორთა ბანდას უნარი შესწევდა, შორ მანძილზეც შთაეგონებინა ადამიანებისათვის და ადამიანთა ჯგუფისათვის. ამიტომ იყო, რომ დამნაშავეებს შეეძლოთ, ჭკუიდან შეეშალათ ყველაზე უდრეკი ფსიქიკური ორგანიზაციის თანამშრომლები.

ასე და ამგვარად, ისეთი უმნიშვნელო ობიექტები რაღა სახსენებელი იყო, როგორცაა პარტერში მსხდომი ადამიანების ჯიბეებში ბანქოს აღმოჩენა, ან გამჭრალი კაბები, ანდა აკნავლებული ბერეტი და ათასი სხვა სისულელე! ასეთი ფოკუსები საშუალო მონაცემების ნებისმიერ პროფესიონალ ჰიპნოტიზიორსაც შეეძლო გაეკეთებინა ნებისმიერ სცენაზე, მათ შორის კონფერანსისათვის თავის მოწყვეტის სცენაც და მოლაპარაკე კატაც სრული სისულელე იყო. იმისათვის, რომ ხალხისთვის ამგვარი კატა ეჩვენებინათ, მუცლითმეზღაპრეობის საფუძვლების ცოდნაც კმაროდა, და არც არავის ეეჭვებოდა, რომ კაროვიევი ამ საფუძვლებში ღრმად იყო ჩახედული.

დიახ, არც ბანქო და არც ნიკანორ ივანოვიჩის გაჩენილი ყალბი ქაღალდები არ იყო მნიშვნელოვანი. უმთავრესი სხვა გახლდათ. კაროვიევმა ხომ ტრამვაის ლიანდაგისკენ უბიძგა ბერლიოზს და სასიკვდილოდ გასწირა, მანვე შეშალა ჭკუიდან საბრალო პოეტი ივან უსახლკარო, გონება დაუბინდა და შთააგონა, სიზმრად უძველესი ქალაქი იერუსალიმი და ტაბაკელას მთის მზით გადაბუგული და დაშაშრული თხემი ეხილა, სამ ჯვარცმულთან ერთად. მან და მისმა ამაღამ აიძულეს მარგარიტა ნიკოლაევნა და მისი შინამოსამსახურე ნატაშა მოსკოვიდან გადახვეწილიყვნენ. უნდა აღინიშნოს, ამ საქმეს ძიება განსაკუთრებული გულმოდგინებით იკვლევდა, გასარკვევი იყო, ამ მკვლევებმა და ცეცხლის გამჩაღებლებმა მოიტაცეს ეს ქალები თუ ისინი თვითონ გაჰყვნენ, თავიანთი ნებით? ნიკოლაი ივანოვიჩის აბდაუბდა ჩვენებებსა და მარგარიტა ნიკოლაევნას ქმრისთვის დატოვებულ უცნაურ და გაუგებარ ბარათზე დაყრდნობით. წერილზე, რომელშიც მარგარიტა ნიკოლაევნა ქმარს სწერდა, რომ კუდიანებთან მიდიოდა და იმის გათვალისწინებითაც, რომ ტანსაცმელი ხელუხლებლად იყო დატოვებული ბინაში – ძიებამ დაასკვნა, რომ დიასახლისიცა და მოსამსახურეც, სხვა მრავალთა მსგავსად, ჰიპნოტიზიორთა გავლენის ქვეშ მოექცნენ და ბანდიტებმა გაიტაცეს. ალბათ, სრულიად მართებულადაც, რადგან, როგორც ჩანდა, ბანდიტები ამ ქალების გარეგნობამ მოხიბლა.

მაგრამ ძიებისათვის მაინც სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა – რატომ უნდა გაეტაცებინათ დამნაშავეებს ფსიქიატრიული კლინიკიდან სულით ავადმყოფი, ოსტატს რომ უწოდებდა თავს. ამის ახსნა ვერ მოხერხდა, ისევე, როგორც ვერ მოხერხდა ავადმყოფის გვარის დადგენაც. ასე გაქრა სამუდამოდ „ნომერი ას თვრამეტი, პირველი კორპუსიდან“.

ასე და ამრიგად, ყველაფერს ნათელი მოეფინა და ძიებაც დასრულდა, როგორც ყველაფერი მთავრდება ამქვეყნად.

წლები გავიდა და მოქალაქეებს თანდათან დაავიწყდათ ვოლანდიც, კაროვიევიც და სხვებიც. მრავალი რამ შეიცვალა მათ ცხოვრებაში, ვინც ვოლანდისა და მისი დამქაშების წყალობით დაზარალდნენ, და რაოდენ უმნიშვნელო ან მცირე უნდა იყოს ეს ცვლილებები, მაინც ღირს მათი აღნიშვნა.

ჟორჟი, მაგალითად, ბენგალსკი, სამ თვეს საავადმყოფოში მკურნალობდა, გამოჯანმრთელებული შინ დაბრუნდა, მაგრამ ვარიეტედან მაინც მოუწია წამოსვლამ, თან ყველაზე ცხელ დროს, როცა ხალხი თავპირისმტვრევით აწყდებოდა სალაროებს – შავი

მაგიის სეანსი ჯერ კიდევ კარგად ახსოვდათ. ბენგალსკიმ კი ვარიეტე იმიტომ მიატოვა, რომ ესმოდა, ყოველ საღამოს ორი ათასი მაყურებლის წინაშე წარდგომა, რომლებიც უცილობლად იცნობდნენ და მუდამ ერთსა და იმავეს ჰკითხავდნენ, როგორ ჯობდა, თავით თუ უთავოდო, მის ძალებს აღემატებოდა.

დიახ, ამას გარდა აღარც ძველებურად შეეძლო მხიარულება, რაც ესოდენ აუცილებელი იყო მისი პროფესიისათვის. ავადმყოფობის შემდეგ ერთი უსიამოვნო, შემზარავი თვისება დასჩემდა. ყოველ გაზაფხულს, მთვარის ავსების ჟამს, უცნაური ღელვა წამოუვლიდა, უცებ კისერზე იტაცებდა ხელს, დამფრთხალი მოათვალიერებდა გარემოს და ქვითინს იწყებდა. თუმცა შეტევა მალე გაუვლიდა ხოლმე, მაინც, მისი გადამკიდე ძველ სამუშაოს ვეღარ შეასრულებდა, ამიტომ კონფერანსიობას თავი ანება, დანაზოგით დაიწყო ცხოვრება, რაც, მისი გამოანგარიშებით, თხუთმეტ წელს მაინც უნდა ჰყოფნოდა.

ის ვარიეტედან წავიდა და მეტად აღარ შეხვედრია ვარენუხას, რომელმაც დიდი პოპულარობა და სიყვარული მოიპოვა თავისი გასაოცარი, თვით თეატრის ადმინისტრატორისათვის უჩვეულო თავაზიანობითა და გულკეთილობით. კონტრამარკების მაძიებელი, მაგალითად, მხოლოდ კეთილისმყოფელსა და მამას ეძახდნენ. რა დროსაც და ვისაც უნდა დაერეკა ვარიეტეში, ყურმილში მუდამ ისმოდა რბილი, მაგრამ ნალვლიანი ხმა: „გისმენთ“, და როცა სთხოვდნენ, ვარენუხასთვის დაეძახათ, იგივე ხმა სწრაფად უპასუხებდათ: „რას მიბრძანებთ?“ მაგრამ ნეტა იცოდეთ, როგორ ტანჯავდა ვარენუხას თავისი თავაზიანობა!

სტიოპა ლიხოდევსაც მეტად აღარ დასჭირვებია ვარიეტეში ტელეფონით საუბარი. კლინიკიდან გამოსვლის შემდეგ, სადაც სტიოპამ რვა დღე გაატარა, როსტოვში გადაისროლეს და დიდი გასტრონომიული მაღაზიის დირექტორად დანიშნეს. დადის ხმები, რომ სტიოპამ საერთოდ თავი ანება პორტვეინის სმას, მხოლოდ მოცხარის არაყს მიირთმევს და ძალიან მოიკეთაო. იმასაც ამბობენ, ძალიან გულჩათხრობილი გახდა და ქალებს გაურბისო.

სტეპან ბოგდანოვიჩის ვარიეტედან წასვლამ რიმსკის ის სიხარული ვერ მიანიჭა, რაზეც წლების მანძილზე ოცნებობდა. კლინიკაში მკურნალობისა და კისლოვოდსკში დასვენების შემდეგ დაბეჩავებულ-დაჩაჩანაკებულმა, თავაკანკალებულმა ფინანსურმა დირექტორმა ვარიეტედან წასვლის განცხადება დაწერა. ყურადსაღებია, რომ ეს განცხადება ვარიეტეში რიმსკის მეუღლემ მიიტანა. თავად გრიგორი დანილოვიჩს ძალა არ ეყო, დღისით მაინც შესულიყო იმ შენობაში, სადაც მთვარით შუქდაღვრილი ფანჯრის გაბზარული მინა და გრძელი ხელი იხილა – ქვედა საკეტისაკენ რომ იწელებოდა.

ვარიეტედან წასულმა ფინანსურმა დირექტორმა ზამოსკოვრეჩის თოჯინების თეატრში დაიწყო მუშაობა. ამ თეატრში მუშაობისას აკუსტიკის საკითხებზე უკვე აღარ უწევდა ღრმად პატივცემულ არკადი აპოლონოვიჩ სემპლიაროვთან შეხვედრა. ისიც მაშინვე გადაისროლეს ბრიანსკში და სოკოს დამზადების პუნქტის გამგედ დანიშნეს. ჭამენ ახლა მოსკოველები დამარილებულ ნიყვს და მჟავე თეთრას, ქება-დიდებას არ იმურებენ და სიხარულით ლამის ცას ეწიონ, იმდენად მოსწონთ ეს გადასროლა. წასული საქმეა და უკვე შეიძლება ითქვას, რომ არკადი აპოლონოვიჩს აკუსტიკაში ხელი მოეცარა და რამდენადაც არ ეცადა მის გაუმჯობესებას, მაინც ვერაფრით წასწია წინ.

იმ პირთა შორის, ვინც თეატრი დატოვა, ნიკანორ ივანოვიჩ ბოსოიც უნდა მოვიხსენიოთ, თუმცა ის თეატრთან არაფრით იყო დაკავშირებული, მხოლოდ უფასო ბილეთები უყვარდა. ნიკანორ ივანოვიჩი არა მარტო თეატრში აღარ დაიარებოდა, არც ფასიანად და არც უფასოდ,

არამედ სახეც კი ეცვლებოდა, როცა თეატრზე იწყებდნენ ლაპარაკს. მაგრამ თეატრზე არანაკლებ და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტადაც კი, პოეტი პუშკინი და ნიჭიერი მსახიობი, სავა პოტაპოვიჩი კუროლესოვი შეიზიზღა. თანაც იმ ზომამდე, რომ როცა შარშან გაზეთში გამოქვეყნებული შავარშიანი განცხადება დაინახა, სადაც შემოქმედების მწვერვალზე ასული სავა პოტაპოვიჩის გარდაცვალებას იუწყებოდნენ, ნიკანორ ივანოვიჩი ისე წამოჭარხლდა, ლამის თვითონაც უკან არ მიჰყვა ამ ცნობილ მსახიობს და იყვირა: „ახია მაგაზე!“ უფრო მეტიც, იმავე საღამოს ნიკანორ ივანოვიჩი, რომელსაც ცნობილი მსახიობის სიკვდილმა უთვალავი მწარე მოგონება ამოუტივტივა მეხსიერებიდან, სადოვაიას თავზე გადმომდგარი სავსე მთვარის შუქზე მარტოდმარტო გამოთვრა. და ყოველი გადაკრული ჭიქის შემდეგ უცოცხლდებოდა ამაზრზენ ადამიანთა ჯაჭვი და ამ ჯაჭვში იყვნენ სერგეი ჰერალდოვიჩი დუნჩილი, მომხიბლავი ადა ჰერკულანოვნა, მებრძოლო ბატების ის წითური პატრონიც და გულწრფელი ნიკოლაი კანავკინიც.

იმათ რალა დაემართათ? ღმერთო ჩემო! არაფერიც არ დამართვიათ და არც შეიძლებოდა დამართოდათ, რამეთუ სინამდვილეში არ არსებულან, როგორც არ არსებობდა სიმპათიური არტისტი-კონფერანსიე, თვით თეატრი, პოროხოვნიკოვის ბებერი ქვაწვია დეიდა, ვალუტას რომ სარდაფში აღპობდა, არ არსებობდა ოქროს საყვირები და თავხედი მზარეულები. ეს ყველაფერი მხოლოდ იმ ნამუსგარეცხილი კაროვიევის შთაგონებით ესიზმრა ნიკანორ ივანოვიჩს. ერთადერთი ცოცხალი არსება, ვინც სიზმრად იხილა, სწორედ მსახიობი სავა პოტაპოვიჩი გახლდათ და ისიც იმიტომ, რომ ნიკანორ ივანოვიჩს მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდვოდა რადიოთი მისი ხშირი გამოსვლები. ის იყო, დანარჩენები კი არც არსებულან ამქვეყნად.

იქნებ არც ის ალოიზი მალარიჩიც არ იყო? ო, არა, ეს კაცი არამცთუ არ იყო, ახლაც არის და სწორედ იმ თანამდებობაზე მუშაობს, რიმსკიმ რომ აღარ ისურვა, ე. ი. ვარიეტეს ფინანსურ დირექტორად.

ვოლანდთან სტუმრობის შემდეგ, მეორე დღეს, მატარებლიდან სადღაც ვიატკაში ჩასული მალარიჩი დარწმუნდა, რომ რატომღაც მოსკოვიდან გამომგზავრებულიყო, თან შარვლის ჩაცმაც დავიწყებოდა, სამაგიეროდ, ყოვლად გამოუსადეგარი საბინაო წიგნაკი მოეპარა მეანაბრისაგან. ალოიზიმ უზღვავე ფული გადაუხადა გამცილებელს, მისგან იყიდა ძველი და გაქონილი შარვალი და ვიატკიდან ისევ მოსკოვში დაბრუნდა, მაგრამ იმ სახლს, სამწუხაროდ, ვეღარ მიაგნო. მისი მცირე ქონებაც პირწმინდად მოესრა ცეცხლს. თუმცა, ალოიზი ის კაცი არ იყო, გულზე ხელები დაეკრიფა. ორიოდ კვირის შემდეგ უკვე ბრიუსოვის ჩიხში, მშვენიერ ოთახში ცხოვრობდა, ხოლო რამდენიმე თვეში რიმსკის კაბინეტშიც იჯდა. და როგორც ადრე რიმსკის ტანჯავდა სტიოპა, ახლა ვარენუხას აწამებდა ალოიზი. ივან საველევიჩი ახლა მხოლოდ ერთზელა ოცნებობდა, ეს ალოიზი იქნებ როგორმე მოეშორებინათ ვარიეტედან. რადგან, როგორც ხანდახან ძალიან ვიწრო წრეში ჩურჩულებდა ხოლმე ვარენუხა: „ასეთი ნამუსგარეცხილი, როგორიც ალოიზია, ჯერ არასოდეს შემხვედრია ცხოვრებაში და ამ ალოიზისაგან ყველაფერია მოსალოდნელი ამქვეყნად“.

თუმცა იქნებ აჭარბებდა კიდევ ადმინისტრატორი, რადგან ალოიზი ცუდ საქმეებში საერთოდ არ იყო შემჩნეული, ისევე, როგორც, საერთოდ რაიმე საქმის კეთებაში, თუკი არ ჩავთვლით, ცხადია, მებუფეტე სოკოვის ნაცვლად ვიღაც სხვა კაცის დანიშვნას, ის უბედური ანდრეი ფოკიჩ სოკოვი კი ღვიძლის კიბოთი გარდაიცვალა მოსკოვის პირველ კლინიკაში, ვოლანდის მოსკოვში ჩამოსვლიდან ზუსტად ცხრა თვის შემდეგ...

დიახ, წლები გავიდა, პირი შეიკრა ამ მართალ წიგნში აღწერილი თავგადასავლებისაგან დარჩენილმა იარებმა და ხსოვნიდანაც გაქრა. მაგრამ ყველას არ დავიწყებია ყველაფერი.

ყოველ წელს, გაზაფხულის ბუნიობის ჟამს, საღამოსპირზე, პატრიარქთა ტბორებთან, ცაცხვების ჩრდილში ჯდება ხოლმე ერთი ოცდაათი წლის ან ოცდაათს გადაცილებული კაცი. წითური, მწვანეთვალეა, უბრალოდ ჩაცმული კაცია. ეს გახლავთ ისტორიისა და ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომელი, პროფესორი ივან ნიკოლაევიჩი პონირევი.

ცაცხვებქცემ მოსული აუცილებლად იმ სკამზე ჯდება, სადაც იჯდა იმ საღამოს, როცა აწ ყველასაგან მივიწყებულმა ბერლიოზმა თავის სიცოცხლეში უკანასკნელად იხილა ნაკუწებად დამსხვრეული მთვარე.

ახლა ეს მთვარე სავსეა, საღამოსპირზე მოთეთრო, შემდეგ კი – ოქროცურვილი, შავრა კვიცი-გველემაპივით მიფრინავს ყოფილი პოეტის, ივან ნიკოლაევიჩის თავს ზემოთ და იმავდროულად, უძრავად დგას თვალსაწიერზე.

ივან ნიკოლაევიჩმა ყველაფერი იცის, ყველაფერს ხვდება და ყველაფერი ესმის. მან იცის, რომ სიყმაწვილეში დამნაშავე ჰიპნოტიზიორთა მსხვერპლი გახდა, შემდეგ მკურნალობდა და განიკურნა. მაგრამ ისიც იცის, რომ რაღაც-რაღაცებს ვერ ერევა. არ შეუძლია მოერიოს გაზაფხულის ამ ბუნიობას. როგორც კი ბუნიობა მოახლოვდება, რიგორც კი იზრდება და ოქროთი იფერება მნათობი, რომელიც ოდესღაც ორ ხუთსანთლეულს დანათოდა მაღლიდან, ივან ნიკოლაევიჩს მღელვარება იპყრობს, ნერვიულობს, მადას და ძილს კარგავს და ელის, როდის აივსება მთვარე. და როცა აივსება, ველარაფერი აჩერებს შინ. საღამოსპირზე გარეთ გამოდის და პატრიარქთა ტბორებისკენ მიეშურება.

სკამზე მჯდარი ივან ნიკოლაევიჩი უკვე დაუფარავად ელაპარაკება საკუთარ თავს, ეწევა და თვალმოჭუტული ხან მთვარეს გასცქერის, ხანაც ესოდენ სამახსოვრო ტურნიკეტს.

ივან ნიკოლაევიჩი ერთ-ორ საათს რჩება აქ. შემდეგ დგება და ყოველთვის ერთი და იმავე გზით, სპირიდონოვკის გავლით, თვალებამოღამებული, ჩინდაკარგული მიდის არბატის ჩიხებისაკენ.

ნავთის ფარდულს ჩაუვლის ხოლმე, იქ შეუხვევს, სადაც გადაფერდებული ძველი ფანარი ჰკიდია და ჯებირთან მიიპარება, რომლის მიღმაც მდიდარ, მაგრამ ჯერ შეუფოთლავ ბაღს ხედავს, ბაღში კი – მოპირდაპირე მხრიდან მთვარის სხივებით აბდღვრიალებული, სამკარედიანი ფანჯრებით დამშვენებული, ჩამუქებული გოთური შენობა დგას.

პროფესორმა არ იცის, რა იზიდავს ამ ბაღისკენ ან ვინ ცხოვრობს ამ სახლში, მაგრამ იცის, რომ მთვარის ავსების ღამეს თავს ველარ შეებრძოლება. თან ისიც იცის, რომ ბაღში, ჯებირის მიღმა აუცილებლად დაინახავს ერთსა და იმავეს.

ის დაინახავს სკამზე მჯდარ ხნიერ, პენსნიან და წვეროსან კაცს, ნაკვთებით რატომღაც კურატს რომ ჩამოჰგავს. ივან ნიკოლაევიჩს მუდამ აქ ხვდება ეს კაცი, ერთსა და იმავე მეოცნებე პოზაში მთვარისკენ თვალმიპყრობილი. ივან ნიკოლაევიჩმა იცის, რომ მთვარის ცქერით დამტკბარი კაცი ახლა ფანჯრებზე გადაიტანს მზერას და დაჟინებით მიაცქერდება, თითქოს ელის, რომ საცაა ფანჯარა გაიღება და რაფაზე რაღაც გასაოცარი გამოჩნდება.

შემდგომ რაც მოხდება, ისიც ზეპირად იცის ივან ნიკოლაევიჩმა. ახლა უკვე ჯებირის უკან უნდა დაიმალოს, რადგან საცაა სკამზე მჯდარი კაცი აღელვებული დაიწყებს თავის ქიცინს, თვალებს დააცეცებს, რაღაცას მოიძიებს ცაში, აღფრთოვანებული გაიღიმებს, შემდეგ კი ანაზღად ტაშს შემოჰკრავს და საკმაოდ ხმამაღლა, ტკბილი ნაღველით დაიწყებს ლაპარაკს:

– ვენერა! ვენერა! ო, რა სულელი ვარ!

– ჰოი, ღმერთებო, ღმერთებო! – აჩურჩულდება ივან ნიკოლაევიჩი, ჯებირს ამოეფარება და თვალს აღარ აშორებს იმ იდუმალ უცნობს, – აი, მთვარის კიდეც ერთი მსხვერპლი... დიახ, ესეც ჩემსავით მსხვერპლია!

სკამზე მჯდარი კი განაგრძობს:

– ო, რა სულელი ვარ! რატომ, რატომ არ გავფრინდი მასთან ერთად? რამ შემაშინა მე უბედური? ცნობა ვთხოვე! ეჰ, ახლა გაუძელი, ბებერო კრეტინო!

ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე შენობის ჩაბნელებულ ნაწილში ფანჯარა არ გაირახუნებს, იქიდან რაღაც მოთეთრო არ გამოჩნდება და ქალის უსიამოვნო ხმა არ დაიძახებს:

– ნიკოლაი ივანოვიჩ, სადა ხართ? ეს რაღა მოიგონეთ? მალარია გინდათ დაიმართოთ? მოდი, ჩაი დავლიოთ.

აქ კი ცხადია, სკამზე მჯდარი გონს მოეგება და ყალბი ხმით გასძახებს:

– სუფთა ჰაერზე გამოსვლა მომინდა, ჩემო კარგო. მშვენიერი ჰაერია.

მერე სკამიდან წამოდგება, უკვე მიხურულ ფანჯარას მალულად მოუღერებს მუშტს და შინ ფეხათრეული შევა.

– ცრუობს, ცრუობს! ჰოი, ღმერთებო, როგორ ცრუობს! – ბურღღუნებს ჯებირს მომორებული ივან ნიკოლაევიჩი, – ჰაერი სულაც არ იზიდავს ბაღში, რაღაცას ხედავს მთვარეზე მაღლა, ამ გაზაფხულის ბუნიობისას. ოჰ, არაფერს დავიშურებდი, ოღონდ კი შემეძლოს და მისი საიდუმლო შევიტყო; ოღონდ მაცოდინა, რომელი ვენერა დაკარგა, ახლა უშედეგოდ რატომ მისტირის და დაეძებს.

პროფესორი შინ უკვე სნეული ბრუნდება. მეუღლეს ისე უჭირავს თავი, თითქოს ვერც ამჩნევდეს მის ნაღვლიანობას და დასაძინებლად დაწოლას სთხოვს. თვითონ კი არ წვება, ლამპასთან ზის გადაშლილი წიგნით და დარდიანი თვალებით დასცქერის მძინარს. მან იცის, რომ განთიადისას ივან ნიკოლაევიჩს მტანჯველი ყვირილი გააღვიძებს, აქვითინდება და აწრიალდება. ამიტომ წინ, სუფრაზე, ლამპის ქვეშ უწყევია წინასწარ მომზადებული სპირტში ჩადებული შპრიცი და მუქი ჩაისფერი სითხით სავსე ამპულა.

სნეულის პატრონი საბრალო ქალბატონი ახლა თავისუფალია და მშვიდად შეუძლია დაძინება. ივან ნიკოლაევიჩი დილამდე მშვიდად იწვება, სახეზე ნეტარებაშეყინული და მისთვის უცნობ, მაგრამ რაღაც ამაღლებულ და ბედნიერ საზმარს ნახავს.

მეცნიერს მთვარის ავსების იმ ღამეს ყოველთვის ერთი და იგივე აღვიძებს და საბრალოდ აყვირებს. ის ხედავს არაბუნებრივად უცხვირო ჯალათს, რომელიც ღრიალით ხტება და ბოძზე გაკრულ, გრძნობადაკარგულ გესმას გულში ატაკებს ხოლმე შუბს. მაგრამ იმდენად ჯალათი კი არ არის ხოლმე საზარელი, რამდენადაც ძილში დაფრქვეული ანაზდეული ნათელი, ის აქაფქაფებული, მიწას ჩამომხობილი ღრუბელი რომ გამოსცემს, როგორც მხოლოდ მსოფლიო კატასტროფების დროს ხდება ხოლმე.

ნემსის გაკეთების შემდეგ ყველაფერი იცვლება. საწოლიდან ფანჯრისკენ მთვარის ფართო ბილიკი წვება, ამ ბილიკზე სისხლისფერქობიან თეთრ მოსასხამით ადის კაცი და მთვარისკენ მიაბიჯებს. გვერდით ვიღაც ახალგაზრდა მიჰყვება, სახენაგვემი, ქიტონჩამოძენძილი. მიმავალნი რაღაცაზე საუბრობენ, კამათობენ, რაღაცაზე ვერ თანხმდებიან.

– ჰოი, ღმერთებო, – ამბობს ის მოსასხამიანი კაცი და ქედმაღალ სახეს თანამგზავრისკენ აბრუნებს, – რა სამარცხვინო მსჯავრი იყო! მაგრამ მოილე მოწყალება და მითხარი, – მას უკვე მავედრებელი უნდება სახე, – ხომ არ ყოფილა? გემუდარები, მითხარი, რომ მსჯავრი არ ყოფილა.

– ცხადია, არა, – ხრინწიანი ხმით პასუხობს თანამგზავრი, – მოგეჩვენა მხოლოდ.

– შეგიძლია, დაიფიცო? – კვლავ ემუდარება მოსასხამიანი კაცი.

– გეფიცები, – პასუხობს თანამგზავრი და რატომღაც თვალები უცინის.

– მხოლოდ ამის გაგება მსურდა! – ჩამწყდარი ხმით ამბობს მოსასხამიანი და სულ უფრო მალლა მიიწვეს მთვარისაკენ, გვერდით კი ის ყმაწვილი მისდევს. უკან უზარმაზარი, დიდებული, მშვიდი და ყურწამახული ძაღლი მიჰყვებათ.

მაშინ ადუღდება ხოლმე მთვარე, მდინარედ გადმოიღვრება და ირგვლივ ყოველივეს დატბორავს. მთვარე ბატონობს და თამაშობს, მთვარე ცეკვავს და ცელქობს, აი, ამ დინებაში ჩნდება გასაოცარი სილამაზის ქალი და ივანისკენ მოჰყავს თვალებდაცეცებული, წვერმოშვებული კაცი. ივან ნიკოლაევიჩი მაშინვე ცნობს მას. ის ასმეთვრამეტე ნომერია, მისი ღამეული სტუმარი. ივან ნიკოლაევიჩი ძილში მისკენ იწვდის ხელებს და ხარბად ეკითხება:

– მაშასადამე, ასე დასრულდა?

– ასე დასრულდა, ჩემო მოწაფევ, – პასუხობს ასმეთვრამეტე ნომერი. ქალი კი ივანს უახლოვდება და ეუბნება:

– ცხადია, ასე. ყველაფერი დასრულდა და ყველაფერი სრულდება... მე თქვენ შუბლზე გაკოცებთ და ყველაფერი ისე იქნება, როგორც საჭიროა.

ის ივანისკენ იხრება და შუბლზე კოცნის. ივანი კი მისკენ იწევს, თვალებში ჩასცქერის, მაგრამ ქალი უკან-უკან იხევს და თავის თანამგზავრთან ერთად მთვარისკენ მიეშურება.

მაშინ ირევა მთვარე, ნათლის ნაკადს აფრქვევს ივანს, ყოველმხრივ განაბნევს სხივებს, ოთახში მთვარის წყალდიდობა იწყება, ნათელი ქანაობს, უფრო მალდება და ლოგინს ავსებს. აი, მაშინ სძინავს ბედნიერი ღიმილით ივან ნიკოლაევიჩს.

დილით გულჩათხრობილი იღვიძებს, მაგრამ სრულიად მშვიდი და ჯანმრთელი. მისი დასვრეტილი ხსოვნა მშვიდდება და მომავალ ბუნიობამდე პროფესორს აღარავინ შეაწუხებს, არც გესმასის უცხვირო მკვლელი და არც იუდეველთა მეხუთე უმოწყალო პროკურატორი პონტოელი პილატე.



- [1] „ტაბაკელა“ ადგილი, სადაც თავს იყრიან კუდიანები და ეშმაკები კუდიანთა ღამეს. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI.
- [2] ეკენტურია (ლათ.) – ძველ რომში ლეგიონის ნაწილი; მხედრო ქვეგანაყოფი, რომელიც პირველ ხანებში 100 კაციისაგან
- [3] ჰემიკრანია (ბერძნ.) – შაკიკი.
- [4] სინედრიონი (ბერძნ.) – იუდეაში უცხუცესთა საბჭო, უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება.
- [5] მისი უდიდებულესობა გულგრილად ვერ უცქეროდა თავის ქათმებს, ამიტომაც მუდამ მზრუნველობდა ლამაზ-ლამაზ ქალებს!!!(რუს.).
- [6] როგორც ყმაწვილი უცოდველი, პაემანს ელის გარყვნილ დიაცთან. (ა. პუშკინი „ძუნწი რაინდი“).
- [7] „იქ ოქროს მთები დგას და მე მეკუთვნის“ (ა. პუშკინი, „ძუნწი რაინდი“).
- [8] ფასრსანგი (სპ.) – ძვ.მანძილის საზომი ერთეული. უდრიდა დაახლოებით სამ მილს.
- [9] „დიადი ზღვა, წმინდა ბაიკალი“ (რუს.).
- [10] „დიდებული ხომალდი სავსე კასრებით“ (რუს.).
- [11] „ჰეი, ბარგუზინ... დააჩქარე სვლა!“ (რუს.).
- [12] „არც ის ყმაწვილი იქნება შორს!“ (რუს.).
- [13] სილკა და ნერჩენსკი (რუს.).
- [14] „დიადი ზღვა“(რუს.).
- [15] აჯასპი – სარემონტო მასალა.